ზურაბ კიკნაძე

# ანდრეზები

(აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის
რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები)

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2009

რედაქტორი

**მერაბ ღაღანიძე**

წიგნის გაფორმებისათვის გამოყენებულია
ვერა ბარდაველიძისა და გიორგი ჩიტაიას
„ქართული ხალხური ორნამენტი I", 1939

© ზურაბ კიკნაძე, 2009
© ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

ISBN 978-9941-9035-5-7

# სარჩევი


წინასიტყვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

ხევსურეთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 11
- ბუდეხევსურეთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 13
- ლიქოკი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 58
- გორშელმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 70
- წყალსიქითა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 92
- გურო-შატილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 99
- მიღმა ხევი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 115
- არხოტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 144

ფშავი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 159
- ლაშარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 161
- უძილაურთა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 165
- ქისტაურთ თემი (შუაფხო) . . . . . . . . . . . . . . 183
- ცაბაურთა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 194
- გოგოლაურთა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 203
- მუქუ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 225
- ჭიჩო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 227
- ახადი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 226
- გაბიდოურთ თემი (ხოშარა) . . . . . . . . . . . . . 232
- წითელაურთ თემი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 237
- უკანაფშავი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 238

მთიულეთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 246

გუდამაყარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 271

თუშეთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 311

ხევი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 337

შემოკლებათა სია .................... 353

ლექსიკონი .................... 355

საძიებლები .................... 364
I. ჯვარ-ხატები და სალოცავები .................... 364
II. ჯვარჩენის ნიშნები და სიმბოლოები .................... 367
III. ჯვარ-ხატთა დამხმარე არსებანი .................... 367
IV. ჯვარ-ხატთა მსახურნი .................... 367
V. დღესასწაულები .................... 368
VI. ჯვარ-ხატის სამსახური .................... 369
VII. ჯვარ-ხატთა ნაგებობები და ადგილები .................... 370
VIII. რჩეულობა .................... 371
IX. უწმიდურობა და ბოროტება .................... 371
X. სიკვდილი. საიქიო .................... 372
XI. ნათესაობა .................... 372
XII. საკუთარი სახელები .................... 374
XIII. გვარები და ქვეგვარები .................... 376
XIV. წარმომავლობა .................... 377
XV. პიროვნებები .................... 378
XVI. ადგილის სახელები .................... 380
XVII. მთები .................... 384
XVIII. წყლები .................... 384
XIX. მცენარეულობა .................... 385
XX. ცხოველები და ფრინველები .................... 385
XXI. სამოსელი .................... 387
XXII. შრომის იარაღი .................... 387
XXIII. საბრძოლო საჭურველი .................... 387
XXIV. საქმიანობა .................... 387
XXV. ჭურჭელი .................... 388
XXVI. სასმელ-საჭმელი. სუფრა .................... 388

თემატური ინდექსი .................... 390

ტექსტების ინდექსი .................... 397

**Andrezi**
(Religious-mythological Oral Traditions of the
Highland of Eastern Georgia) .................... 406

# წინასიტყვა

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ფშავ-ხევსურეთი, გუდამაყარ-მთიულეთი, ხევი, თუშეთი) თემები სამართლიანად ითვლება მითოლოგიური ზეპირი ტექსტების გავრცელების ძლიერ არეალად. ისინი აქ ერთიან სისტემას ქმნიან, მათი ადგილი ხალხის ყოფით და სულიერ ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული იყო წარსულში და დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მოსახლე მთიელებისთვის ეს ტექსტები, რომლებიც ადგილობრივ დიალექტზე ანდრეზებად იწოდება, საერთო წარსულის ხსოვნისა და აწმყოში კონსოლიდაციის ქმედითი საშუალებაა.

რა არის ანდრეზი?

ანდრეზი დიალექტური ფორმაა ირანული წარმოშობის სიტყვისა ანდერძი, რომელიც რაიმე სიტყვიერ — ზეპირ ან წერილობით დანატოვარს ნიშნავს. თუ ანდერძი, რომელსაც მამა, წინაპარი უტოვებს თავის შთამომავლობას, მისი შინაარსის უპირობო შესრულებას მოითხოვს, ასეთივე კატეგორიულია ანდრეზი საყმოსთვის. ანდრეზში გადმოცემული ამბავი სამაგალითოა, ფუძემდებლურია, მასზე დგას საზოგადოების საკულტო თუ საერო ინსტიტუციები, ქცევა, ზნეობა, ფორმალური თუ არაფორმალური ურთიერთობანი, ყველაფერი, რითაც საზოგადოება არსებობს და ფუნქციონირებს, როგორც საზოგადოება, სოციუმი, ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კრებული.

„ანდრეზ მართალ ას" — ეს სიტყვები არსებითად განსაზღვრავს ამ ცნებას. ეს საყმოს წევრის რწმენაა. მას არა აქვს საფუძველი, ეჭვი შეიტანოს თაობიდან თაობამდე გადმოცემული ანდრეზის ჭეშმარიტებაში. პირიქით, მას სრული საფუძველი აქვს, ირწმუნოს მისი ნამდვილობა, რადგან ყველაფერი, რაც მის გარშემო არსებობს და ხდება, ანდრეზის ჭეშმარიტებას ადასტურებს.

დღევანდელი ფშავის, ხევსურეთის, გუდამაყარ-მთიულეთის, თუშეთის თუ ხევის მიწა-წყალზე აღბეჭდილია ღვთისშვილთა (წმ. გიორგის, კოპალას თუ იახსრის) ისტორიამდელ ქმედებათა კვალი. ადგილთა სახელები (ავისგორი, კარატისწვერი, ირემთკალო, აბუდელაურის ტბა...) ინახავს ხსოვნას იმ ჟამისა, როცა ღვთისშვილნი, ჯერ კიდევ ხორციელნი, მათი მძლავრებისგან ადამიანთა გამოსახსნელად დევ-კერპებს ებრძოდნენ. ეს ადგილები მოწმეა იმ ბრძოლებისა და გამარჯვებებისა. ამ ციკლის ანდრეზთა უტყუარობის გადამწყვეტი დასტურია სალოცავები და მათი ნიშები, რომლებიც სწორედ იმ ადგილებზეა დაარსებული, სადაც დევ-კერპნი მკვიდრობდნენ და საიდანაც საბოლოოდ აყარეს ღვთისშვილებმა. ასევე „მართალ ას" და სინამდვილისეულ ფაქტად არის აღიარებული ანდრეზებში შენახული ჰიეროფანიის შემთხვევები — წმიდა საგანთა (ჯვარი, თასი, შიბი) ციდან ცვენა, ან იფნის ამოსვლა კერიიდან სალოცავის დაარსების ნიშნად, ან „მფრინავი ხატის" მოგზაურობა ადგილითი-ადგილად, ან მტრედის, ჯვარის მაცნის, გამოცხადება სამონადირო ჭიუხებში, ან ღვთისშვილთაგან ქაჯავეთის დალაშქრვა და გარეშე ადამიანისთვის დაუჯერებელი გახუა მეგრელაურის თავგადასავალი. ანდრ-

ეზთა ჭეშმარიტების დასტურია თავად არსებობა მოსახლეობისა, როგორც საყმოსი, რადგან ანდრეზის თანახმად, საყმოც ღვთისშვილის მიერ არის შექმნილი. ბევრი ანდრეზული მოვლენა თუ ხდომილება, რაც საყმოს შეგნებაში ჭეშმარიტად სინამდვილისეულია, გარეშე ადამიანმა, რომელიც არ ცხოვრობს საყმოს ცხოვრებით, არყოფილად და, შესაძლოა, ფანტასტიკურ გამონაგონად მიიჩნიოს. ასეც ხდება: საკმარისია, ანდრეზული გადმოცემა, რაიმე სიუჟეტი, ნარატივი მოწყდეს თავის ნიადაგს, რომ მან შეიცვალოს სტატუსი: დაკარგოს სარწმუნოობისთვის დამახასიათებელი საკრალურობა და უბრალო გასართობ, ბავშვების თავშესაქცევ ამბად გადაიქცეს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებებში (საყმოებში) ანდრეზების ერთობლიობა სისტემას ქმნის და ასაფუძვლებს ყოფა-ცხოვრების ყოველ შესაძლებელ სფეროს. მათში გამოხატულებას პოულობს რელიგიური წარმოდგენები, სამართლებრივი და სულიერი გამოცდილებანი, ზნეობრივი პრინციპები, ეგზისტენციალურ-პიროვნული მომენტები და სხვა და სხვა.

ანდრეზების უმეტესობა არქივებიდან არის ამოკრეფილი და დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ბევრი მათგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციების შედეგად არის მოპოვებული. ფასდაუდებელი მასალა მოიპოვება ალექსი ოჩიაურის (1892-1972) საარქივო ფონდში (ამ მასალიდან დღესდღეობით სამად-სამი წიგნია გამოქვეყნებული).

ანდრეზები აქამდე შესწავლილი არ არის იმ მასშტაბით, როგორსაც ის იმსახურებს. ტექსტები მნიშვნელოვანია როგორც წყარო ტრადიციული ადამიანის მრავალმხრივი აქტივობის შესასწავლად განსხვავებული (რელიგიური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ეთიკური, მითოლოგიური, სოციოლოგიური, ესთეტიკური...) კუთხით. კვლევის ცალკე უბანია მითოლოგიური მოტივები (მითოლოგემები), რომლებითაც დახუნძლულია თითოეული ვრცელი თუ ფრაგმენტული ტექსტი, ასევე ხალხური ნარატიული კულტურა, — ამ მხრივ ეს მასალა ყამირია.

ანდრეზების ერთობლიობის, როგორც სისტემის, გააზრების ცდა მოცემულია ჩვენს მონოგრაფიაში „ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო" (1996). მაგრამ დღეს, როცა ეს მასალა მეტ-ნაკლები სისრულით მისაწვდომია მკვლევარისთვის, მეტია შესაძლებელი და მკვლევარიც მოვალეა, საკვლევი სფეროს გაფართოებასთან ერთად წამოჭრას ახალი პრობლემები. ახალი პრობლემების კვლევას კი ახალი მიდგომები ესაჭიროება, თუმცა არც „ძველი" (მაგალითისთვის, სტრუქტურული მეთოდი) ყოფილა თავის დროზე გამოყენებული.

რამდენადაც, ანდრეზების კორპუსი პირველად ქვეყნდება, საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეხდინა მათი თემატური კლასიფიკაცია, თუნდაც არა სრულყოფილი, რაც მიუღწეველი იქნებოდა, რადგან თითოეული ანდრეზი არ არის თვითკმარი, ყოველი მათგანი თემათა ორგანული მთლიანობაა და თავად თემებიც არ არის ერთსახოვანი.

ანდრეზების კორპუსის თემატიკა ამგვარად გამოიყურება:

— ღვთისშვილთა (ჯვარ-ხატთა) დაარსება
— ჯვარჩენანი (პიეროფანიები)
— ღვთისშვილთა ლაშქრობანი
— ღვთისშვილთა სასწაულქმედებანი
— ღვთისშვილთა თანამოძმეობა
— მკადრეთა და ხუცეს-ხევისბერთა გამოცდილება
— საიდუმლო საგანძურები
— ღვთისშვილთა ბრძოლა დევ-კერპებთან

— ჯვარ-ხატები და საზოგადოება (საყმო)
— ჯვარ-ხატთა ტყვეობა
— ადამიანი ღვთისშვილთა სამსახურში
— საყმოს ბრძოლები
— სოფლის დაარსება
— გვარების წარმომავლობა
— ნანილიანები
— გაბუდაყებულთა განსაცდელი
— დევ-ეშმაკნი ადამიანის სამსახურში
— ჟამიანობა

მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ მასალა არა თემატიკის, არამედ კუთხეების მიხედვით დაგველაგებინა, რამაც წარმოაჩინა ზოგიერთი კუთხის (ფშავ-ხევსურეთის) სიუხვე, ზოგის (ხევის) სიმწირე, რასაც, ცხადია, თავისი მიზეზები აქვს. შესაძლებელია, ეს იმდენად ამ კუთხის ხარვეზი არ იყოს, რამდენადაც იმათი, ვინც ვერ შეძლო ამ მასალის დროული გამოვლენა. მკითხველი დაინახავს, რომ ლომის წილი ეკუთვნის ხევსურეთისა და ფშავის საყმოებს — ეს რეგიონი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და, ასე ვთქვათ, განებივრებული იყო ფოლკორისტთა და ეთნოგრაფთა ყურადღებით. მასალის დიდი ნაწილი ალექსი ოჩიაურის მიერ არის მოპოვებული. მას ჯერ კიდევ დახვდა უხვი სამკალი და მან იმაზე მეტი შეძლო, ვიდრე ერთ ადამიანს ხელეწიფებოდა. სამკალი ხევსურებში დღესაც არის, რასაც ვერ ვიტყვით სხვა კუთხეებზე, კერძოდ, ხევზე, სადაც დაგვიანდა მოსავლის აღება. დღეს ხარვეზის შევსების ჩვენი ყოველი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. მკითხველი შეამჩნევს ამ სიმწირეს.

ტექსტების ერთი ნაწილი მაგნიტოფონური ჩანაწერებია და, ამდენად, ისინი, როგორც დიალექტის ამსახველნი, შეიძლება გამოყენებული იქნას დიალექტოლოგიის მასალად.

მასალის მოწესრიგებაში, ლექსიკონისა და საძიებლების შედგენაში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის დეპარტამენტის (ყოფილი კათედრის) თანამშრომლები: ასოც. პროფესორები ხვთისო მამისიმედიშვილი (საძიებლები), ტრისტან მახაური (ლექსიკონი), ასისტ. პროფესორი ელენე გოგიაშვილი (საძიებლები), ასპირანტი გიორგი გორთამაშვილი.

პეტრეპავლობა, 2008

# ხევსურეთი

# ბუდეხევსურეთი

## 1. ხმალას ალვისხე I

### [მირონის დარანი]

ხმალაში მდგარა ერთი ძალიან მაღალი ალვისხე. მირონი გამაზდენივ. ამ ალვისხეს ძირში დარანი ხქონივა დ' მაღლა ალვისხის გვერდზე დიდი ციხეჲ მდგარ. ალვისხის ძირი შიგ ამ დარანში ყოფილასა დ' ამ დარანს საფარველი ზდებივ. გახუა რო ყოფილ, ხეთეშაური, ის ანგელოზთან წილნაყარ ყოფილა დ' იმათთან უვლავ. ერთხან გუდანის ჯვარ მიუყვანავ გახუა ხმალაშია დ' ჩაუხდენავ დარანში. იმ სიღრმე ჩასავალ იყვავ, იცოდისავ გახუამავ, რო ცხრა ფეხ სანთელივ ჩასაეს დამჭირდაო დ' ცხრა ფეხ სანთელივ ამაესასავ. რო ჩავხედივ, იქაობაივ სანთლებით იყვავ გარაპრაპებულიო დ' ათასის რიგის ხთიშვილნ ად-ჩადიოდესაო დ'გახქონდივ მირონივ. ძირშიავ ქოთან ედგაო დ' შიგ ეწვეთებოდავ აის მირონივ. ერთ ანგელოზი ედგა თავზედაო დ' რომენიც ხთიშვილ მავიდოდავ, მახქონდავ სამირონე ოქროს ბოთლებიო დ' ის ანგელოზივ უსხემდავ მირონსაო დ' ისტუმრებდავ ყველასავ. ოქროს საწყავაი ხქონდაო დ' იმით ქვე უწყევდავ. მია დ' გუდანის ჯვარსაც მაგვცესავ მირონიო დ' წამავედითავ. საკვირელ სანახაობა იყვავ იქაობაივ, რო სრუ რაპრაპ იყვაო დ' ხმაამაუღებლად შად-გადიოდესავ ხთისნასახნივ.

### [ალვისხის მოჭრა]

აქ ხო მდგარ ციხეჲ დ' ალვის ხეჲ დ' ამის პირდაპირ არაგვის გაღმ ამასახედისკე მაღალს გორზე მდგარ კიდევ ერთი ციხეჲ დ' იმას ქვივნებულ შურის ციხე. შურის ციხეჲ დ' ხმალაის ციხე ერთუცის მემჯობიაზე აშენებულნ ყოფილან. ხთიშვილთ ალვისხეზეითა დ' ციხეების წვერებზეით ჯაჭვებ ხქონივ გამბულები დ' იმაზე უდენავ.

ამ ალვისხეს სთველთ რო ფათოლ ჩამაუყრავ, ერთ ფათოლი არაგვჩი ჩავარდნილა დ' ქალაქჩი წაუღავ წყალს. აქ მეთევზეებ შახვედრიონა დ' გაუგავ, რო ეს ფათოლივ მირვნის ხისაი ასა დ' მეფისად მიუტანავ ის ფათოლი. მეფეს უთქომ, რო ეეხლადავ წავიდასავ მძეველ ხალხიო დ' ეგ ხე მახელანავ, შაშჭრანაო დ' მამიტანანავ აქავ ქალაქჩიავ. წამასულ ქალაქჩიით ბევრ ხალხი დ' ყველკან წასულ, საითაც არაგვ მადიოდ მშავსა, მთიულეთ-გუდამაყარსა დ' ხევსურეთ. ბოლოს, გაუგავ, რო ბარისახოსავ ხმალაჩი დგასავ ეს ხეივ. ხევსურთ რო ეს გაუგივ, რო ამ ხის მაჭრას აპირობენავ, არ მიუცავ მაჭრის ნება მასულებისად. წაულალავ ქალაქს კაცი დ' მაუყვანავ დიდძალი ჯარი, ჯარსთან ხევსურნ ველარას გამხდარან, მაგრამ ხე კი მაინც ვერ მაუჭრავ. დახკრიანავ ხესავ ცულიო დ' იქავ გაიკურნისავ. წვალებულანა დ' მაინც ვერას გამხდარან. ბოლოს, ხნიერ ხალხ მაუქუჩებავა დ' უთქომ გვასწავლეთავ, ეს ხე რაით მაიჭრებისავ. ყველას არც სცოდნივ, რახელ მეეჭრებოდ ეს ხეი დ' ვისაც სცოდნივ, იმასაც არ უსწავლებავ.

ერთი ღულელ კაც ყოფილ, გვარად არეშაული, ხნიერი დ' ჯვარის ხელკაცი. მასულებს გაუგავ, რო მაგან იცისავ, როგორ მეეჭრებისავ ეგ ხეიო დ' დაუქრთამავ ეს არეშაული. იმას უსწავლებავ: ერთ ციცა მაიყვანეთავ, იმით განათლეთაო დ' ხთიშვილ ახდებისაო, მემრ მეეჭრებისავ. თორე მანამ ხთიშვილი ხპატრონობსავ, მაგას ცულ არ გაშჭრისავ. მაუყვანავა დ' დაუკლავ ხის ძირში. ახხდომივ ხთიშვილი დ' მაუჭრავ ხეი. ხე რო წაქცეულ, წვერზე გამბულ ჯაჭვი გაწყვეტილა დ' ნივილით ცაში წასულ. ხე ხო მაუჭრავა დ' იმის ფესვებიც სრუ დაუთხარავა დ' წაუღავ ქალაქს ხემწიფესთან. არეშაული ხემწიფესაც დაუსაჩუქრებავ, მაგრამ ხევსურთ კი მაუკვეთავ, დაურისხებავ ყველას ხთიშვილებში როგორც მეღალატეი დ' ამაწყვეტილ შვილით-შვილამდენა დ' ქალით-შვილამდენ. იმისა არავინალ დამრჩალ, სრუ ამაწყვეტილან ყველანი.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 35

## 2. ხმალას ალვისხე II

ამ ხმალას გვერდზე იდგა ერთი მაღალი ციხე და ერთი ძალიან დიდი ალვის ხე. ციხეს შიგნით ჰქონდა რკინის საფეხურები, კედელში მოთავსებული, და ამის საშუალებით ადიოდნენ ზეთვალებში. ციხის გვერდზე იდგა ალვის ხე და მის ძირში იყო დარანი. დარანში იდგა სამი ქვევრი და ამ ალვის ხიდან გადმონაწვეთი მირონი ჩადიოდა

ქვევრებში. ქვევრები თუ აივსებოდა, მაშინ შეჩერდებოდა მირონის წვეთების ჩამოდენა. ამ ქვევრებიდან მიჰქონდათ მირონი და ნათლავდნენ ხალხს.

ამ ხის მოპირდაპირედ არაგვის გაღმა, აღმოსავლეთ მხარეს, ერთ მაღალ გორზე იდგა ერთი ძალიან მაღალი ციხე, რომელსაც ეწოდებოდა შურის ციხე. ამ ციხეს ბევრჯერ დაესხან თავს ქისტის და ლეკის ლაშქარი, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ. შურის ციხეს და ალვის ხეს წვერებზე ანგელოზთაგან ჰქონდა გაბმული ოქროს შიბი, რაზედაც დადიოდნენ ანგელოზნი.

მოსულმა ლაშქარმა ბევრჯელ სცადა შურის ციხის გატეხა, ალვის ხის მოჭრა და შიბის წაღება, მაგრამ ვერ მოუხერხდა. ბოლოს, მოსულმა ლაშქარმა ეს მოახერხა. ერთი ღულელი კაცი დაიჭირეს და სთხოვეს ესწავლებია, როგორ შეიძლებოდა ამ ხის მოჭრა, მანამდინ კი ხეს რამდენსაც ცულს დაკრავდნენ, გასჭრიდა, მაგრამ ცულის მოშორებისას ნაცულარი ისევ გაიკურნებოდა. არეშაულს აჩუქეს ერთი ჯორი და ერთი თემლაკი, ხმალზე შესაბმელი, და მან ასწავლა ალვის ხის მოჭრის ხერხი. მოაყვანინა დააკვლევინა ერთი შავი ფერის ციცა ხის ძირში და ხე მოჭრეს.

ხე რომ ცულით მოჭრეს, წაიქცა და წვერი შურის ციხეს დაკრა და ციხეც დაინგრა. მათზე გაბმული ოქროს შიბი მოწყდა და მაღლა ცაში წავიდა. როცა მიდიოდა, შიბი ასეთ ხმამაღლა წიოდა, რომ მთელმა ხევსურეთმა გაიგონა. ამ ხმაზე ხევსურნი მიხვდნენ, რომ აქ რაღაცა ამბავი იყო და შეიარაღებულმა ხალხმა ბლომად მოიყარა თავი, დაესხნენ ლაშქარს თავს და ცუდი დღე დააწიეს. არეშაული საშინლად გაკიცხეს და გააძევეს ხევსურეთიდან.

ამ ხეს რომ სჭრიდნენ, ნაფოტი ჩავარდა წყალში და ქალაქში ჩაიტანა არაგვმა. აქ ეს ნაფოტი ერთმა კაცმა იპოვნა და მეფეს მიუტანა. მეფემ გამოგზავნა ხალხი და ეს ხე ძირიან-ფესვიანად ქალაქს ჩაატანინა. ორი სამირონე ქვევრიც წაუღია და იქვე დამრჩალა.

ალ. ოჩ. M 32, რვ. 46-60

## 3. გუდანის დასახლება I

კახეთით წამასულ მენადირე. გუდან მაუკლავ ვაცი. ის წამაუღავ, მაუტანავ შინ. მამას უთქომ მემრ, რო სად მახკალივ. ეემად, ეემ ადგილას მავკალივ. მთაზე შავჴედივ, არავინ იბადებოდავ. ჭალაში ერთ სახლ იდგნესავ. მამას უთქომ: ვერძის ქისაითავ იქ იფქლ წაიტანევ.

წამაუტანავ, იმით დაუთესავ, გაუქექავ მიწაი. მემრ მამკისად მისულ იქავ, მაუმკავ, გაუფშვნეტავ, ერთ გუდა დასდგომივა დ' უთქომ:

ერთმა ვერძისა ქისამავ
გუდან შექნა და გუდანივ.

იფქლ წაუტანავ შინ. მემრ მამას უთქომ, რომ მიაც იქ წამიყვანეო დ' იქ ვიცხოვროთავ. ამდგარანა დ' მანდ მისულან. გუდანელთ იმით ვეძახთ მექათმეთ, რო კახეთით წამოსულან.

მთხრ. გიგია და ბათირა ლიქოკლები,
ჩამწ. რუსუდან ხარაძე, ჭალაისოფელი, 1938.
რ. ხარაძის არქ.

# 4. გუდანის დასახლება II

ჭინჭარაი დ' არაბა ყოფილან ორნ ძმანი. აქ ე ჩვენ მზვარე ას, ჩვენს იქით ეს ისე ყოფილა, როგორც გალმით. ე ტყეს ხედავ, იმაჩი შუნები ყოფილ. ტყეჩი ერთ ჩვენ პაპას უნახავ, წასულ და მაუკლავ. ის ჩვენ პაპა, არ ვიც, საით მასულ. იმ ჭინჭარას მაუკლავ შველი. მემრ წასულ ის შვილ ბარჩი. მამას უკითხავ: „სად მახკალივ ესივ?" „ეემად, ეემ ადგილას მავკალივ, წყალ გამოსდიოდავ კლდესავ, იმაჩი მავკალივ". მამას უთქომ, რო ვერძის ქისაითავ წაიღივ იფქლი. იმ ალაგჩი წაიღიო დ' იმით გუდა გაუვსავ, ვერძის ქისაით დათესვილ. მემრე უთქომ, რო კას ადგილას ყოფილავ ის შუნივ, იქ უნდა ვიცხოვროთავ. უთქომ:

ერთი ვერძისა ქისამა
გუდა შაქმნა და გუდანიო.

წინწინ ორივ ძმა ყოფილ არაბაი და ჭინჭარაი. გაყრილანა დ' არაბა წასულ გორშელმ, ზეისტეჩოს. ჭინჭარა გუდანჩი დამრჩალ. არაბაისა და ჭინჭარაის მოსვლამდე ხევსურეთ არავინ ცხოვრობდ. ის სხვა გვარებ მემრ არიან მოსულებ.

ჩამწ. რუსუდან ხარაძე, ძეძეურთა, 1938.
რ. ხარაძის არქ.

## 5. გუდანის დასახლება III

ჭინჭარაულებ ბარჩით მოსულან. იმას ჭინჭარა ჰქვივნებულა. ერთ კაც ყოფილა, სამ შვილ ჰყვანივა. ის ერთ მონადირე ყოფილა, ერთ შვილ. ის წამოსულა ხევსურეთში და შუნ მაუკლავ. შინ რო არ მიუტან, მას უკითხავ: „ეს რა ალაგს მაჰკალი, ეს გასუქარი სად იყო". იმასა ვერძის ქისაი გაუვსია, იფქლი ჩაუყრია, წმიდას რო ეტყვიან. „აბა, წაიღე, იქ დათესე, მოვა იმ ადგილ თუ არა." ის დაუთესავ, სადაც შუნ მაჰკლა, იმ ალაგას. მემრა, შემოდგომაზე რომ მისულ, იქ იფქლი გაუფშვნია, ერთ გუდა აუვსია. ის აუტანავ მამისად, უთქვამ: აი, ამოდენა ქნა ერთმა ვერძის ქისამა.

ერთი ვერძისა ქისამა
გუდა ქნა და გუდანიო.

ასე უთქომ პირველად იმ კაცს. მემრე სრუ მთელ მამა-შვილი იქ წამოსულა დასასახლებლად.

ერთ შვილ არ დამდგარ გუდანს. უვლია ხან სად, ხან სად, ვერ მოსწონებია იქ ყოფნა. ეს ის შვილ ყოფილა, რომელმაც პირველად ნადირი მოხკლა, ის წამოსულ აქ (კისტანს). სოფელ ჯერ არ ყოფილა. მამაიც მას გამახყოლია. მამას რო მოსწონებია ეს ადგილი, უთქომ შვილისთვინ: „იჯე, კარგი ადგილიაო" და პირველში იმიტომ კისტანს „იჯე" ერქვა. დარჩენილა ის კაცი აქ, დედაკაცი მაუყვანია. მემრ ორ ბიჭ დახბადვი იმას. ერთს ობოლა დარქმევია, ერთს მამისა. მამისა ლებაისკარში გადასახლებულა. ამიტომ ეხლაც მამისაურებს ვეძახით ლებაისკარლებს. ობოლა აქ დასახლებულა. ჩვენ ობოლაურებს გვეძახიან, კისტნელებს.

ობოლაურთაგან არიან წასული შატილს: აბულეთაურნი, ავთანდილანი, ჯულურანი, ივანიკანი, მგელიკანი.

მუცუელები მთლად ჩვენთან შაყრილები იყვნენ. ეხლა გავიყარენით. ვერ იყვნენ კაი ხალხი. არდოტელები ჩვენთან შამაყრილები არიან, ერთ მამად — მურლვანად იწოდებიან.

მთხრ. გიორგი (ხოტა) ჭინჭარაული,
ჩამწ. რუსუდან ხარაძე, კისტანი, 1938.
რ. ხარაძის არქ.

## 6. გუდანის დასახლება IV

### [ხევსურეთის გამრავლება]

ხევსურეთ რო წარმოდგენილა, არაბა, ჭინჭარა და გოგოჭა ყოფილან. ეგენი ერთის მამის შვილები არიან. ეგენი ყოფილან ნაქალაქარში, ჟინვანის გამოღმით. იმათ პაპას ქვივნებულა ბეჟანი. ბეჟანს გამოსჩენივა ნაბიჭვარი. იმის მოკვლა დაუპირებავ ბეჟანს, და ის გაექცა, სოფელს გაეპირა და დასახლდა აფშოს. მერე იქიდან წავიდის ბეჟანის შვილი და, როცა ცოლ შაირთ, ვაჟ ეყოლ ერთი. ის წავიდის ნადირობად გუდანში და იქ ფსიტ მოკლა და ეს წამაილ და მაილ ის თავის მამასთან. მერე უთხრის მამამა: „შენ წადიო და, სადაც ეს ფსიტი მოჰკალიო, იქ დასთესეო დიკაო, როგორი პური მოვაო".

წავიდ იმან, მოთხარ ეს მიწაი და დათეს დიკა. მერე შემოდგომაზე წავიდ, მომკის და ერთ გუდა ისევ გაავს. წამოვიდ იქიდანა და, კორშას ეძახიან, გუდა დადო, დაისვენა და ეძახიან გუდელასა. იქ რო მავიდ, იმ ადგილს სახელ არ ექვივნეს. ამაზე თქვიან:

ერთმა ვერძისა ქისამა
გუდა შაქნა და გუდანი.

იმ სამ ძმათ ციხეი ააგეს გუდანში. არაბასა და გოგოჭას ორივეს შვილებ ყვანდა. ხუთ თვალ ციხე ყოფილა. ჩარდახი ქონდის თავშია. იმ არაბაის შვილს გოგოჭას შვილმა ხელ კრა და გადააგდ დაბლა და მოკვდა.

მავიდ არაბაი და ი თავის ძმისწულს დაავლ ხელი და გადააგდის. ისაც იქ მოკვდა. „ეხლა გავიყარნათა", — უთხრა არაბამა. გაიყარნეს, წავიდეს. ნახეს, ჭორმეშავს ეძახან, ეს ადგილი. წავიდეს კიდენა და ნახეს ბაცალიგო. ეხლა დააყარეს კენჭი და გოგოჭას მიერგო ჭორმეშავს წასვლა, არაბას — ბაცალიგოში. გუდანში კი დარჩა ჭინჭარა. ესე ცხოვრობდა. აქიდანა გამრავლებულ მერე ხევსურეთი.

დიალექტ. 132

## 7. გუდანის დასახლება V

### [კინკოზაურ-ბადრიაულები]

გუდანში ერთ დროს ურჯულო კინკოზაურები მდგარან. მაშინ მაგანძურები ცოტანი ყოფილან გუდანს და კინკოზაურს უჩაგრია ისინი. გუდანში კინკოზაური ყოფილა მაგანძურის მჩაგვრელი, ოხერხევს კი — ბადრიაული. თურმე წესად ჰქონდათ, რამდენ მაგან-

ძურსაც მოკლავდნენ, იმდენ წითელ ხელსახოცს ამოიტანებდნენ ქამარში. ერთხელ ქისტებს (ბადრიაულებს) ქორწილი ჰქონიათ ოჯერჯევს, მაგანძურებს უბნისთავით (ოჯერჯევის მოპირდაპირე გორია) გაუხედავთ ქორწილისკენ. ქორწილში ბადრიაულებმა ფერჯისა დააბეს და ერთ მათგანს თორმეტი ჯელსაჯოცი ეტანა თურმე წელში, თორმეტი მაგანძური მოეკლა. შეწუხებულ მაგანძურებს მეტი საშველი არ ჰქონდათ, ქადაგი დაუსვამთ, რომ გაეგოთ, რას ურჩევდა მათ ჯვარი ქადაგის პირით. დასვეს ქადაგი და (მაშინ ჯვარი გუდანის მაღლა, სანეზე იყო დაარსებული) თქვა ჯვარმა: ბევრი ვეცადე ღვთის კარზე და გადავლაჯე, გავტეხე კივკოზაურის და ბადრიაულის დავლათიო. მაგანძურებმა ეს არ დაიჯერეს: კინკოზაურის და ბადრიაულის დავლათს რა მოერევა, როცა მათი დავლათი ცასავით ჰქუხსო. მაგრამ მოვიდა ზამთარი და დიდი თოვლი დადო ოჯერჯევში. ისეთი ზვავი წამოსულა და დასცემია ბადრიაულებს, რომ სამოცი ჯმლიანი მოუკლავს. მკვდრების ამოსათხრელად ვინც მივიდნენ, იმათაც ზვავი დაეცა და გასწყვიტა. ამით გახალიზებული მაგანძურები დაეცნენ ბადრიაულების დიაც-ყმაწვილს და მუსრი გაავლეს, არც ერთი ცოცხალი არ გაუშვიათ. ამით გამართლდა ქადაგის ნაქადაგარი და გატყდა ბადრიაულის დავლათი. ამათ ადგილზე დასახლდნენ ახლანდელი ოჯერჯეველნი მაგანძურთა გვარიდან — არაბულნი, არაბულთ გვარიდან ქვეგვარი ჩუჩაყეური და შემდეგი ქვეგვარი ფიცხელაური.

ალ. ოჩ. M 86 რვ. 9(23)

## 8. კინკოზაურები

სანეს დაბლა ბაცალიგოს თემში არის ერთი არაბულების სოფელი — აყნელი. აყნელშიც ყოფილა დაარსებული გუდანის ჯვარი, მუხათკარში. სანეს ადგილ-მიდამო გუდანის ჯვარს ეჭირა, გუდანში კი კინკოზაური იდგა და გუდანის ჯვარს ეჯიბრებოდა დავლათით. ჩვენ იმდენი დავლათი გვაქვს ღვთიდანო, იტყოდნენ კივკოზაურნი, რომ გუდანის ჯვარი ვერაფერს დაგვაკლებსო. სანეს ერთი დიდ ვაკეა, გუდანის ჯვარის კუთვნილი. მისულა კინკოზაური და ხვნა დაუწყია. გუდანის ჯვარი პირად გამოცხადებია კინკოზაურს და უთქვამს: დაანებე თავი, ჩემი ბორტვის ნაკვეთია ეს სანევაკე და ნუ ხნავო. კინკოზაურმა სიცილად არ იკმარა გუდანის ჯვარის ნათქვამი და არც ჯარები გაუშვა. გუდანის ჯვარს არ უნდოდა, რომ ამ ბორტვის ნაკვეთში კაცი მომკვდარიყო და აქ მეტი ალარაფერი უთქვამს.

სალამოხანზე, ჯარი რომ გაუშვეს, წავიდა კინკოზაური შინისაკე და ჯარებიც წამოასხა. ჩამოეწივა ხეთანას გუდანის ჯვარი

კინკოზაურს და იქ მოკლა. ამაზეა სიმღერე, რომელსაც ხშირად მღეროდნენ ჴევსურები:

შაუდგა გუდანის ჯვარსა კინკოზაური ძალზედა,
უბარებს ბადრიაული მუქარას მუქარაზედა.
ხეთანას ჩამაეწივა, სისხლ ათხევივა ქვაზედა!

დანარჩენ კინკოზაურებს გაუჩნდა შავი ჭირი და სულერთიანად გაწყვიტა ყველანი. მერე დარჩა თავისუფლება ჭინჭარაულთ, მაგანძურის ერთ-ერთ გვარს, და დასახლდნენ მათ ნასახლარზე გუდანში. მამული კი, რაც კინკოზაურებს ეკუთვნოდა, გუდანის ჯვარმა დაიჭირა.

კინკოზაურნი რომ გაწყდნენ, ერთი იმათი ქალი თამარი ჴადუელ კაცს ღარაქიშს ყავდა ცოლად. ერთ დილას ამ ოჯახს შუა კერაში ამოუვიდა იფნი, რომელიც მოსჭრეს. მეორედ ამოვიდა იფნი, მეორედაც მოსჭრეს. მესამედ რომ ამოვიდა იფნი, გველი ამოჰყვა და ზედ მოეხვია. ეცადნენ და ველარ მოაშორეს გველი. დაუძახეს კინკოზაურის ქალს თამარს: გვიშველეო. ქალი მიეშველა. ბევრი ეწვალნენ, მაგრამ გველი ვერ მოაშორეს. ამ ბრძოლაში თამარს ოფლი მოუვიდა და წაიწმიდა. ოფლის ნაწმედზე წარბები გაეღვერა. ეს დაემართა კინკოზაურის შანაცოდვარზე. ქალს შერცხვა, წამოვიდა და ისევ ქსელს დაუწყო ქსოვა. გაიგო ღარაქიშმა, მივიდა ცოლთან და ლექსად უთხრა:

დაუთქვეს ბაჩით თამარსა,
ტყუილია თუ მართალი?

ქალმა უპასუხა:

არა გინდ, ღარაქიშისძევ,
არ დაგაკლდების სხვა ქალი!

ამის შემდეგ ქალმა თანდათან ლპობა დაიწყო და, ბოლოს, მოკვდა. ამით დაბოლოვდა კინკოზაურის საგვარეულოს ქალ-ქალიშვილიც.

გუდანის ჯვარს ამის შემდეგ ტახტის ყმად აუყვანია ჭინჭარაულნი, სამაგანძუროს ერთ-ერთი საგვარეულო, რომელსაც საკუთარი ჯვარიც ჰყავს - ნაჴარელა (ნაჴარელას ღვთისმშობელი). გუდანის თავში კი ზენა ჯვარი ანუ ბეღლის კარი სამაგანძუროს - სამი გვარის საერთო ჯვარია.

ქადაგობს გაიდაური, - ბრძანებს გუდანის ჯვარიო:
ჩემ კარზე შაიყარენით სამის დროშაის ყმანიო,
წავიდათ მითხოსაკედა, მავიღათ ჴარავანიო,
არხოტ ჩავიდათ სოფლადა, ვატირათ ქალი-ზალიო.

ალ. ოჩ. M 86, რვ. 9(25)

## 9. მეფე ერეკლე და გუდანის ჯვარი

მეფე ერეკლე გუდანი ჯვარის მოძმე ყოფილა. ის რომ ხევსურეთში მოვიდოდა ხევსურთა გასაყვანად ჯარში, პირველად გუდანში ავიდოდა, შევიდოდა გუდანის ჯვარის ბეღელში, საიდანაც გუდანის ჯვარისა და მეფის საუბარი ისმოდა თურმე. გუდანის ჯვარს ხევსურნი ვერ ხედავდნენ, ერეკლეს კი პირადად ეცხადებოდა და, როგორც მოძმეს, პირისპირ ელაპარაკებოდა. ლაპარაკს რომ მორჩებოდნენ, მეფე გამოვიდოდა და გუდანის ჯვარის ნებას ბეღლისკარს შეყრილ ხევსურთ განუცხადებდა.

ხშირად ყოფილა, რომ ბეღლიდან გამოსულ მეფეს გამოუცხადებია: „გუდანის ჯვარი ბრძანებს, ჩემნი ყმანი ხევსურნი მოემზადენით, ჩემი დროშა ააბით, საქართველოს მტერი შემოსევია, უნდა დავეხმაროთო. ღვთისგან გამარჯვება ვითხოვე და მიბოძა. მე ჩემს ფხასისხლიან ხმალს შევირტყამ და თქვენთან ერთდ ომში ვიქნებიო. დამბადებელმა გამარჯვება მიბოძა და დავლა მე და ჩემ ყმათ დაგვრჩებაო“.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 42

## 10. ნახარელას ღვთისმშობლის სასწაული

### [ქალის წულად ქცევა]

ნახარელა ღვთისმშობლის ხატში ამაღლების სწორზე, სამშაბათს, იცოდნენ დღეობა – „ქალ-ქალიშვილობა". ამ დღეობას ასრულებდნენ ჭინჭარაულების ქვეგვარიდან აზუზნი და ბერღოჯანი. ისინი ერთმანეთის ახლო განაყრები არიან.

აზუზთა და ბერღოჯანთა პაპას ვაჟიშვილი არ ჰყოლია და ამ ამბავზე ძალიან დაღონებული ყოფილა. ბევრი საკლავი დაუკლავს ხევსურეთის ღვთისშვილთათვის, მაგრამ არაფერი შველებია. უარესი: მის ცოლს უკანასკნელად ქალი შესძენია. აქ ერთ მეზობელს ამ დროს ვაჟი ეყოლა. ღამით გარეთ გაიხედეს და დაინახეს, რომ გუდანის ჯვარის მიდამო, განსაკუთრებით კი ნახარელა, განათებულიყო: ღვთისმშობელს ღვთისშვილნი სწვეოდნენ სტუმრად. ქალის დედამ დაიწერა პირჯვარი და თქვა: „დაილოცენით, ათასიმც მადლი გაქვთ. ნუმცა რაით შამისაწყინდებით". ვაჟის დედამ თქვა: „აუ, დაგწყევლნასთ კაცთ გამჩენმ ღმერთმ, ქვე რეებიღ ანათებენ

აი ნახარელას!“ ამ სიტყვებით ორივენი მიბრუნებულან და შესულან შინ. დილას რომ ამდგარან და აკვნებიდან ბავშვები აუყენებიათ, ქალის დედას ვაჟი აუყენებია თავისი აკვნიდან, ვაჟის დედას – ქალი. ქალის დედის მადლის მოთხოვნაზე მისი ქალი ღვთისშვილთ ვაჟად მოუქცევია და ვაჟის დედის დაწყევლაზე მისი ვაჟი – ქალად.

ის ვაჟი ყოფილა აზუზთა და ბურღოჯანათ პაპა და მისი შთამომავლობა ისე გამრავლებულა, რომ ორ ქვეგვარად გაყოფილა.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 46

## 11. კაცნი და დევნი

მთიბელ ყოფილას ჭანჭახიეს, ჩვენ მთაში. საქარისგორს ვეძახით, ახოსკე, მყოლ-მარჯეკალ გამაჩინდავ. ესენ დევებ ყოფილან, ზეპირ უდენავ, საცხად. გახუამავ — ემტერებოდეს ამას — ჩაცმა ველარ მაასწვრავ ფეჴებისადავ, გამაიქცავ. ერთ შამაბრუნდავ დევივ, შამაჴდავ მარტიასთანავ. მარტიამავ მშვილდ-ისარნ მიუბრუნავ. „ნუავ, მარტიაო, ფხატეხთ კიავ, თუ გინდავ, ეგრე ვიჭიდათავ“. — „მე ჭიდაობა არ ვიცივ“, — უთხრავ მარტიამავ, — „წაედივ, თორე გაიგებავ, როგორ ვიჭიდაებთავ“. ჩაეწიავ ისევავ ი დევივ თავის ამხანაგებსავ. ჩავიდესავ თევდორაჴევავ, ბისოს აქეთ, გაიხსნავ აის კლდეივ, მთელივ რაპრაპ დარჩავ, შაედინნესავ შიგათავ.

მოვდიოდით მე, მიხა გოგოჭური, ავთანდილ გოგოჭური. მოვდიოდით ბარისახოდან ცხენებით. ჩვენ წინ და ავთანდილ უკენ მოგვდევდა ჯორით. ავთანდილმა მითხრა, რომ „მაიცადეთავ, ბიჭებო, უკენ ვილაცა მამდევსავ. მეც შევაჩერე ცხენი და ნამდვილად ვნახე, რომ ვილაც მოდიოდ. წამოვედით ისევ გზაზე და მოვდიორთ. ფეჴის ჴმა ისმოდ დიდად და ბარტყბურტყით, მძიმედ. თან იმხელა რალაცა იყვ, რო ერთ უშველებელ. ერთი, სამას მეტრამდე მოგვყვებოდ. გუდანის ძირ ხიდიდან გამოგვიდგ. ციხეს ეძახიან, ციხემდე მოგვყვა და მერე არ გვინახავ.

მთხრ. ჩალხია გოგოჭური,
ჩაწ. გოდერძი არაბული, ჭორმეშავი, 1985.
თსუფა 27130

## 12. გველეთის განძი I

უწინ გველეთში გიგაურები სახლობდნენ. ახალწლის ღამეს ზურაბ ერისთავი თავს დაესხა გველეთს. მთავარანგელოზის ხელოსნები ამ დროს დარბაზში იყვნენ. ხუცესს სამი თასი ეჭირა ხელში, სამალავში შენახვა ვეღარ მოასწრო და დარბაზის კედელში დამალა.

ზურაბის ჯარი მოადგა გველეთს, გადაწვა და ნანგრევებად აქცია მთავარანგელოზის ხატის დარბაზი. ის სამი თასიც ნანგრევებში ჩაიმარხა.

ზურაბმა გველეთელი გიგაურები ჭართალში გადაასახლა. მათ თან წაიღეს მთავარანგელოზის ნიში და ახალ ადგილას ლოცულობდნენ.

ხუცესს თავისი შვილისშვილისთვის დაუტოვებია ანდერძად იმ სამი თასის ამბავი: „პირველამამხდარი მზის შუქ რო დაადგების დარბაზის კედელს, იქ იქნების თას-განძივ". შვილიშვილი რომ მოხუცდა, წავიდა გველეთს, დილადრიან მივიდა დარბაზის ნანგრევებთან და მზის ამოსვლას დაელოდა. პირველი მზის სხივი დაეცა ნანგრევს და, სადაც დაეცა, ხუცესის შვილიშვილმა აიღო ქვა, არაკუნა, არაკუნა, გამოთხარა და იპოვა სამი თასი, და ჭართალში წაიღო.

მთხრ. მიხეილ არაბული, გველეთის მთავარანგელოზის ხუცესი,
ჩამწ. ზ. კიკნაძე და ხ. მამისიმედიშვილი, გველეთი, 7. V. 1999.
თსუფა 30037

## 13. გველეთის განძი II

ჩვენ რო მოვსულვართ, აქ გიგაურებს უცხოვრავ. აქ პირველად ჩვენ კაც ბაცალიგვით ჩამასულ. გიგაურების ველი იმიტომ ხქვიან. აქ მთავარანგელოზი და ხთიშობელი იმათ ულოცავ. ჩვენ ხალხ რო ჩამასულან, მაშინ გიგაურებ აქ აღარ ყოფილან. ისეებ გადასახლდეს ჭართალში. გიგაურები მემრე მამდინარან და ბეგარ ულავ იმ ადგილისაო. ჩამასულ ჩვენ კაცი. ეს ადგილ გაოხრებულ ყოფილ. წელიწადში ხუთ ცხვარ უძლევავ. ერთ აქ დაუკლავ. ბოლოს ისენ მოსულან. იმათ ანდრეზად ხქონივ დამრჩალი, რო იქ და აქა და აქავ დასხდებითო და ნაგებობასო რო მზეიო გარმოხენებსა, ისეთ ადგილზედავ რო დადგებისავ, იმაში კლდეივ, ის მოთხარეთავ.

დასხდესავ, უყურებენ რაღაცას. დადგავ მზეიო და ამაუღავ ის განძივ. ის ჩვენიაო და იმის შემდეგ მგონივ აღარც მასულან. მაგათ ნალოცავს ვლოცულობთ. მხოლოდ რო ჩამავსულვართ, ჩვენ ჯვარ

ჩამაგვიტანავ, პირქუში. აქ ნიში ას. გაღმაც ას კოშკი, ნიში პირქუში-სა, მთავარანგელოზშიც ისე ას რო ერთია, მაგრამ თასებს რო დად-გამენ, მაშინ ახსენებენ ორივე ხატს, პირქუშსაც და იმასაც ახსენე-ბენ. ძირითადად ყმაი პირქუშისაი ვართ. სამ შვილ რო ექნებოდ ჩვენ ყმას, ერთ გუდანში უნდა ყოფილიყვ ხელოსანი, ერთ ბაცალიგოს, ერთ აქ, მათავარანგელოზში. ერთ ვაჟ რო ხყვანიყვ, უფრო ის მო-დიოდ, რო – ბაცალიგოში, რაკიღა იქით ჩამასულები ორთ. მე ბაცა-ლიგოს ხელოსანი ორ, ჩემი ძმა მთავარანგელოზის ხუცესი.

მთხრ. გიორგი ვანოს ძე არაბული,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, გველეთი, 1963, 12 ივლისი.
თსუფა 29981

## 14. ირემი და მონადირე

ძველად ძალიან ბევრი ირემი ყოფილა აქაურ მიდამოებში და ირემზე ნადირობაც ხშირი ყოფილა. იყო თურმე ირემზე მონადირე. წასულა სანადიროდ და მაუკლავს ძალიან დიდი ირემი, გაუტყავე-ბია, დაუნთია ცეცხლი და ამოუღია გულ-ღვიძლი, რომ შეეწვა და შეეჭამა. ამ დროს მთიდან ბალღის ძახილი გაუგონია, ჯერ შორიდან, მერე ძალიან ახლოდან: „ხარი დამეკარგა და ხომ არ გინახავსო?" მეორე ხმამ უპასუხა: „შენი ხარი, აი, აქ მაუკლავ და გულ-ღვიძლს წვავს შესაჭმელადო." ამაზე პირველმა ხმამ წყრომით დაიძახა: „თუ შაჭამ, მემრ ვნახათო!" დაფიქრებულა მონადირე: შავჭამო თუ არა. თუ შავჭამ, მოვკვდები, თუ არა და დიდხანს ვიცოცხლებო. დიდი ფიქრის შემდეგ ცოტა მოუჭრია, შეუჭამია და დანარჩენი ჩოხის მას-რებში შეუნახია, როცა დავბერდები, მაშინ შევჭამო. გასულა დიდი ხანი. მონადირეს ღვიძლი დავიწყებია და ეს ჩოხა ძმობილი თუშისთ-ვის მიუცია. დაბერებულა მონადირე, მაგრამ არ აცხადებს, თუ რა-ტომ არ კვდება. შეწუხებულა გარშემო სოფელი, ოჯახი. დამდგარა დიდი წუხილი, რატომ არ კვდებაო. მონადირეს უთქვამს ღვიძლის ამბავი და მომკვდარა კიდეც.

ბალ., მაკ., მას. 169-70

## 15. აშექალი

აშექალი იყვ მოწმოელი ქალი. ერთ გვერდი ეშმაკებს შჭერივა დ' ერთი ანგელოზებს. აშექალივ ესეთ მკითხავ ყოფილავ, რო კაცის დღე იცოდავ. ხანავ საფარველ დაიდვისავ აშექალმაო დ' ველარავინ ნახისავ ისივ. ხანავ კი გამაცხადებით დავიდოდისავ. ერთხან გად-ამხტარ აშექალი ალაღებულს წყალში მოწმაოს ძირა, დაკარგულას, წაუღავ წყალს აშექალი დ' ყველას ის ღგონები, ქვე თუ მაკვდავ.
მაშინ ჟინვან რუსის ჯარ მდგარ წყლის პირშია დ' აშექალი, აი, ჯარის ბოლოში ამამაძვრალ წყალშიით. წამასულას, შუას ჯარზე გამაუვლავ. ჯარს რო უნახავ აშექალი წყალშიით ამამძვრალი დ' ტალავარივ არც კი ხქონდავ დალაფებულივ, რუსის ჯარს გახკვირე-ბივა დ' თანაც დაშინებულან, ეს რა ამაძვრავ წყალშიითავ. ტალა-ვარივ დალაფებულ არ აქვავ. მიმდგარ-მამდგარას რუსის ჯარი დ' შუაზე აშექალს გამაუვლავ.
აშექალმ თქვისავ, რო სამს წელსავ ხახმატის ჯვარის მე-ჯინიბე ვიყავივ. ხახმატის გიორგისავ წითელივ ცხენი ხყვანდისაო დ'შუბლზედავ სალარი იყვისაო. რახან საისკე გაემართისავ, გიორ-გისავ ნისლის კოტორ გახყვისავ თანავ. ხალხ ვერ ხედევდისაო დ' მე კი ვხედევდიდივ. რახან მავიდისავ გიორგივ, შორით მაგვედინისავ იმის ცხენის ბიბინიო დ' მემრავ ნისლის კოტორნ მავიდიანაო დ' გიორგი კი არ ჩინდისავ. თავის საარსოში რახან მავიდისავ გიორგივ, მაშინ ახხდიანავ ნისლის კოტორნივ. თაოდ თავის საკადრის ადგ-ილზე წავიდისაო დ' ცხენივ იმაში დარჩისავ. მე შავიყვანიდივ ცხ-ენიო დ' გაუშვიდივ საჯინიბოშიავ. ასეთ საჯინიბო იყვისავ, რო შიგ შასვლა მეხათრებოდისავ. ცხენიც ისეთ განმედილი ხყვანდისავ, რო შუქთ უტევდისაო დ'თავლაშიავ სრუ თამაშობდისავ, სრუ ტოტებზე დგებოდისავ. სხოივ ვერვინ თავლას ღნახევდაო დ' ვერც ცხენსავ ჩემ მეტივ. ცხენივ სრუ შაკაზმულ იდგისაო დ' საითაც ვინ შველასაო დ' დახმარებას შამასძახნებდავ, გაუღიდივ კარივ, ცხენივ გამავარდის-აო დ' გიორგი ხახმატის ჯვარ რო შაჯდისავ, ვერ მივასწვრიდივ თვა-ლიო დ' ნისლის კოტორნ გაემართნიანაო დ' დაიკარგისავ, წავიდისავ მისაშველებლადავ. ცოტაი ხნითგეს იქავ დაბრუნდისავ. იმ ცხენის საჯინიბოში რაპრაპი იყვისავ, რო თვალთ არ იყრიდავ. იმ ცხენსავ არც სმა უნდოდაო დ' არც ჭამაივ. ეეგრ იყვავ. ბოლოსავ გამიწყრავ ხახმატის ჯვარიო დ' გამამაგდავ მეჯინიბობაზეითავ. სრუ ცოტას საქმეზე კი გამიწყრავ: შამაზძახნავ საითამ ვინამავ შველევაივ. მე იმ დროს იქ არ დავხვდიო დ' ცხენსავ კარ აღარ გაუღივ. რო მივე-დივ, მიაც საფარველს ამეხადაო დ' ველარც ცხენი ვნახეო დ' ვერც

საჯინიბოივ. მემრ გავიგივ, რო გიორგი გამწყრალიყვავ ჩემზედაო დ' იმით მამსვლიყვავ ეს ამბავივ, რო საფარველ ამხდიყვავო დ' იმ დღიდგესავ აღარც ხახმატის ჯვარ მინახავაო დ' არც იმის საღარ ცხენივ. ხოლოთ ეგრ კი გავიგონებავ ხახმატის ჯვარის ცხენის ფეხის ხმასავ, რახანავ დასაშველებლად ვისად მივიდოდისავ, ისით გრიალს გაიტანისავ, რო კაც იტყვისავ, მიწა თუ იძვრისავ.

ბოლოს აშექალი ისრ გამკითხავებულ, რო ფშავლებიო დ' ხევსურებივ საკითხვიებლად მისულებივ ჯარ იყვისავ იმის კარზედაო დ' კაცის დღეს იგებდისავ აშექალივ.

აშექალ მოკვდა ძალიან დაბერებული დ' სიკვდილამდინ არც მკითხაობისად დაუნებებავ თავი.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 34

## 16. ჩირდილის ზენა ჯვრის დაარსება

ამ ადგილას ადრე ჩირდილელები ცხოვრობდნენ. ერთ მკითხავ ქალს, ფანცქალათ ოჯახიდან, უთქომ რომ ჯვარი სოფელ ადგილას საკლავის დაკვლას და სადობილოს გამართვას მოითხოვსო. ამ ქალს ლექსად უქადაგია:

ას მარჯვენა ასი ცხრასა
შარის ძირსა, შარის თავსა.

ხალხს მკითხავისათვის ყური არ უგდია. ხატს ხალხი დაუმიზეზებია, ავად გამხდარან. ახლა დათვისიდან მოსულა სხვა ქადაგი, რომელსაც ხალხისთვის ხატის მიზეზი აუხსნია: დათვიას ნაციხვარში თურმე სამი თასი დარჩენილა. თასებს დედა ხთიშობელი დაპატრონებია და იმ ადგილიდან ხალხის აყრას მოითხოვსო.

ხალხი აიყარა და დაბლა დასახლდა. ამის შემდეგ კიდევ დაუმიზეზებია ხატს ხალხი. კიდევ ჩასულან დაბლა და დასახლებულან შარის ძირს, როგორც ფანცქალათ მკითხავს ჰქონდა ნაქადაგარი.

ვინ იყო ეს დათვია, არავის ახსოვს. ის კი იცოდნენ, რომ მას აქ არაბულების ხიტალედან მოსვლამდე უცხოვრია. მისი ოჯახი ასე გამწყდრა: ერთ დღეს ხინკლიან ქვაბში გველი ჩავარდნილა და თორმეტი სული, ვინც კი ხინკალი შეჭამა, მოიწამლა და დაიხოცა. გადარჩა მხოლოდ აკვნის ბავშვი. ნატირალის მიხედვით გადარჩენილი ბავშვი ბუჩუკურელებს გაუზრდიათ.

მთხრ. აბიკა არაბული,
ჩამწ. მაია არაბული, ჩირდილი, 1982.
თსუფა 29963

## 17. ფუძის ანგელოზის დაარსება

ერთმა უკანაჴოელმა კაცმა ძროხა დაკარგა. დადის და ეძებს ძროხას. ბოლოს მიაგნო ერთ ადგილს, სადაც ძროხას ხბო მოეგო. სცადა ხბოს აყვანა იმ პატრონმა, დაეზიდა, მაგრამ ძვრა ვერ უყო, ვერ ასწია. გაანება თავი, წავიდა და ხალხს უთხრა: ძროხა ვიპოვე, ხბო მოუგია, მაგრამ ვერ მოვერიეო. როგორ ვერ მოერიეო? გაიკვირვეს. წავიდნენ, თავადაც სცადეს, მაგრამ ვერც ისინი მოერივნენ, ვერ გაიყვანეს ხბო იმ ადგილიდან.

ერთმა თქვა: აბა, წავიდეთ და შევეკითხოთ ემ ფუძის ანგელოზსო: მოგვეცი ნება, ხბო წავიყვანოთ შენი ადგილიდან და გამსახურებთო. მივიდნენ, შეევედრნენ და გამოიყვანეს ხბო. მიხვდნენ, რომ ამ ადგილას ფუძის ანგელოზი იყო დაარსებული და დაიწყეს აქ მისი ლოცვა-სამსახური.

მთხრ. მიხ. წიკლაური,
ჩამწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, გომეწარი 1993.
თსუფა 30014ა

## 18. იფნი კერიაში

ჯვარნ რო არიან, შიგ იმაჩი სდგომიავ ამათ პაპას სახლი. ამასულ ცეცხლჩი ნედლ ხეი, იფნი, შუაცეცხლჩი. თან ცეცხლ გზნებავ და თან ხეი ამადის. მაუჭრავ ის ხეი. მეორედ ამასულ. მეორედაც მაუჭრავ. მესამედ რო ამასულ, შიბი ამაჰყოლია ვერცხლის, დახვეულ. ამდგარა და გაუწირავ ის სახლი და ამაჩი დასახლებულ. მემრ დაარსებულ აი, იმაჩი ჯვარი. აეს ჴაჴმატის წმიდა გიორგი.

ამათ არ შაუძლავ - ამათ ეძახან გამლივარაულთ, ერთ სამ-ოთხ კვამლია - ამ სახლიდან კვამლ გაქრას, რო წავიდეს, არ შაიძლება. ეგრე აქვ ანდრეზი და კიდე მკითხავმაც უთხრ.

მთხრ. ბუბიკა ჭინჭარაული,
ჩამწ. ნანა ზურაბიშვილი, ხახმატი, 1986
თსუფა 28078

## 19. ხახმატის ჯვარის მკადრე შიშია

შიშიაიც ჯვარის ჴელკაც ყოფილ, რახელც გახუაი დ' ომაი. შიშიაიც ჴაჴმატის ჯვარს ხან საფარველით დახყონებისა დ' ხან კი გამაცხადებით უვლავის. გაუძლვებოდ მფრინავ ხატი შიშიასაცა დ' უკენ შიშიაი უნდა გახყოლიყვ.

ერთხან უთქომ შიშიაისად ჴაჴმატის ჯვარს, რო წაედიო დ'უკანამშავ მამიცადევო დ' მიაც იქ მაოლავ. იქავ ერთ საქმეი გვაქვავ გასაკეთებელიო დ'ის გავაკეთათავ.

წამასულ შიშიაიო დ' მასულ უკანამშავ. უცდავ აქ ორს დღესა დ' არცად მასვლივ ჯვარი. მესამეს დღეს ჴელზე მასვლივ ტრედის ალით. უნახავს უკანამშავლებსაცა დ' მაუყვანავ კვამლის საკლავი, საკლავებ რო დაუხოცავ, შიშიაისად გაუწევავ წყაროსთავისკე ჯვარს. წყაროსთავ რო მისულან, ერთ ბეღელ ყოფილ, სადაც არვინ არ მიდიოდ. მისულ მფრინავ ხატი დ' მიხყოლივ, შასულ ხატ-ბეღლის ნანგრევშია დ' შახყოლივ შიშიაიც. იქავ ერთ დიდ სიპ იდვაო, ჯვარმა საით დამიყენავ, რო ეგ სიპ ახჴადევ. აუჴდავ სიპი დ' ერთ ქვაბ ამაჩენილ, ოქრო-ვერცხლით სავსე. ზედავ ერთ ჴბო იწვავ ყვითელიო დ' აბობინებდავ ნითელ თვალთავ. შიშიას რო ჴბო უნახავ, დაშინებულა დ' გონთ ახჴდივ. გონთ რო ამავედივ, გამევეყვანევ მშავლებსაო, წყალს მასხემდესავ. მემრ აღარც ვინ მიხკარებივ ამ ბეღელს. მემრ აღარც ხატ გამაცხადდ, ისიც დაკარგულ. მემრ შიშიას უცდავ, მამივავ ჴელზედო დ' არ მასვლივ. ბოლოს, შიშიას უყიდავ ერთ საკლავი დ' განათლულ. ერთ საკლავი ფშავლებს დაუკლავ ჴაჴმატის ჯვარისად.

დღეობა ყოფილა დ' საყეენო ხქონივ ფშავლებს დადგმული. საყეენოს რო სვემდეს, ამ დროს უცბად გამაცხადდ ჴაჴმატის ჯვარის ხატი ტრედის სახით, საყეენოს თასის პირზე დაჯდ. აქ ამ დროს ერთ ფშაველ სვემდ საყეენოში ლუდსა დ' ეს ხატ რო დაჯდ, შეელვარ ლუდი პირისახეზე ამ ფშაველს. იმ ფშაველმ თქო, რო მე საყეენოს ღირს არ ვიყავივ, წმიდად ვერ ვიყავიო დ' აისითა მავედივ ჯვარჩიავო დ' საყეენოსაც ისითაი ვსვემდივ. წავიდა დ' სამანანულოდ მაიყვან ერთ დიდი ვერძი დ' დაკლ. სამალავს შიშით ველარ მიზდგომიონ ვერც მშავლები დ' ვერც შიშია. გამაუძლვ თუ[რმე] შიშიას თავის ხატი დ' წამავიდ ჴაჴმატ. წამასალებიც კი ბლომად მაუგროვდ, საკლავების ტყავები დ' წამაიღ შინ. მას აქეთ დაიწყეს მშავლებმაც ჴაჴმატის ჯვარის ლოცვაი დ' დაუდიოდ საკლავები ჴაჴმატ.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 34

## 20. მფრინავი ხატი და მკადრე

იმ მჴრით მფრინავ ხატს სხვა ხალხიც ხედევდ. მამაშჩემიც მნახავი. „საკადრეე ხქონდავ, გადაიფინისავ ჴელზედავ, აიმაში კოჭობა ჩაიდგისავ. რო მავიდისავ, ცით მავიდისავ ი ხატიო დ' იმასავ ხან ერთ გვერდზე მიეკრისაო, ხან მეორეზედავ (კოჭობას). ეხვეწისავ, ეხვეწისავ ე მკადრეიო დ' მემრ შიგ ჩაჯდისავ, აი კოჭობაშიავ. ჩემის თვალით ენახევ", თქვის მამაშჩემმ. მეავადე თუ იქნებოდ, შაზძახებნ. თუ მასვლივას ის ხატი, ქვე მამრჩალასა დ' თუ არა - მამკვდარას. იმასაც ის უთქომ: „თუ მაბძანდავ, არა გიშავავ". ჯერ შაზძახნაო დ' ის რო მაუვიდავ, მემრ იქადაგავ. წავიდავ ი ხატივ აღმაო დ' წაუვიდავ იმასაცავ გონივ. გადაიქცავ, წყალ მაუტანესავ, შაასმიესავ.

ეეხლა ქადაგობას რო გაათავებენ, გასუსტებულებ დარჩებიან.

დოლ. 23

## 21. ხატის მგზავრობა

ბალღივ ვიყავივ პატარაივ და პაპასთან ერთადავ გარეთ გამოვედივ. ღამეავ, გამოვიხედეთავ და ჯვარის ხოდაბურისასავ ცეცხლ მადიოდავ. „ააგერავ, აგერავ, ბაბუავ, ეგ რაიავ?" და „გაჩუმდივ, - გამაჩუმ პაპასჩემმავ, - არ შაიძლებისავ აჩქამდომაივ". და კვრივთან რო მივიდავ, ორად გაიყარავ: ცეცხლმავ კვრივისას სწორად გადაიარავ. იმ ხთიშვილმავ კვრივსავ ბოლო მაუარავ, ზედ არ გადაიარავ. როგორც მათრახსა გაჰკეცავ, ეგეთა ბაია წამოვიდავ და ისივ ცეცხლს შაუერთდავ. ხთისნაბადებნივ ერთსხვასთან მიდ-მოდიოდესავ.

მთხრ. მამუკა ქეთელაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ბისო, 1985
თსუფა 27116

## 22. ქეთელაურები

ჩვენი წინაპარი თიანეთიდან მოსულა, ცხრაკარანიდან.

თიანეთს ყიზილბაში რო მოსულა და ქვეყანა აუოხრებია, მაშინ ორი ძმა ყოფილა, ერთი კოჭლი და მეორე ფეჴიანი. კოჭლი იქ დამრჩალა, ფეჴიანი კი მთაში გაქცეულა. ჭავჭავაძენი ყოფილან ის ძმანი. ფეჴიანი წინწინ ჴორჴში დამრჩალა, შემდეგ აქ წამოსულა, ბისოში.

ფეჴიან კაც, აქ რომ მოსულა, შვილი გასჩენია, თითონ ის მტერს მოუკლავს. დედას პატარა შვილი ფშავში, გოგოლაურთას, თურმანაულებთან დაუმალია და იმათ გაუზრდიათ. რომ დავაჟკაცებულა, თურმანაულებს ჴაჴმატის წმიდა გიორგის ხატში მაუყვანიათ და უთქომთ, რო ვინმეს რამე გინდავ, სისხლი გმართებთ ან როგორ რო დაყენება გჭირდებათ, ჩვენა ვართ ეხლა ალუდას გამზრდელებიც და მტრის პასუხის მგებელიცო. თურმანაულს რო წამოუყვანია ქეთელაური, იმას ალუდა რქმევია. ხუთი შვილი გასჩენია ალუდას და ყველანი ბისოში დასახლებულან. იმ ხუთ შვილში მხოლოდ ქეჩანი დამრჩალა, დანარჩენი უშვილოდ დახოცილან. ქეჩანის ნატეშრები ვართ ყველანი.

მთხრ. ჩალხია ქეთელაური,
ჩამწ. რუსუდან ხარაძე, ბისო, 1938
რ. ხარაძის არქ.

## 23. ქეთელაურთა გვარის ანდრეზი

ბისო სამჯერ გათაული. ჩვენ მეოთხე დინასტიაი ორთ. ჩვენ წინ ფილაურებ იყვნეს. ფილაურებ გადასახლებულან. მაგათ ჯვარი მაგათ საცხოვარში ყოფილ. საცეცხლურში ხე ამასვლივ. ჯერ ერთხან ამასულ, მემრ მეორედ და მესამედ ამასვლისას წითელ გველ ამახყოლივ ხეს. ამის მემრ აყრილან. ზუსტა იმ ადგილში ეკლესია იყვ აშენებული და მემრე ის ეკლესია ჯარებმ დაანგრიეს და სკოლა გაიკეთეს. ეკლესიის მემრ კიდევ ამავიდ ეხლა, პაპასჩემის დროს, ხე.

აქ დასახლებულნ უკვე ვყოფილვართ, როცა ფილაურნ წასულან. ეხლა ფილაურ ამბობს: ჩვენავ ქეთელაურის განაყრები ორთავ. ფაქტიურად კი არ: თავთავადნი ორთ - ჴარ-ქვაბით ვეძმენით.

ჩვენ ყვარელშიით ორთ წამასულები, ჭავჭავაძეების განაყრები. ჩემ პაპამ მიამბის: თელავში ჯამბარებს უწნევდითავ ხალხსავ და იქ ვთქვითავ, აბა, წავიდეთავ ყვარელშიავ, მამისძმან ვინახულათავ. მივედითავ და გვკითხესავ. არ შაგვიშვესავ, ერთ ლანძღვა მოგვაყარესავ და ჩვენც მივაგინეთავ და წამოვედითავ.

აქ ყოფის დროს, როცა ილია დუშეთში მუშაობდ მოსამართლედ, დაუბარებავ: ბისოთავ წამოვიდანავ ქეთელაურებივ ყველანივ. წავიდ სამი კაცი: ბაჭყურა, გიორგი, მგელა. მისულან და ილიას გამოუკითხავ. ესენიც მახყოლიან: ჩვენ ჭავჭავათ განაყრები

ორთავ. ჩვენ პაპაივ კაცის კვლაზე წამოვიდავ, ლავრენტი და ქეთო. აქ რო მასულან, გვარ გადაუკეთებავ და სახელებით გაუკეთებავ: ქეთო-ლაურა, ქეთელაური. ილიას დაულოცავ და ერთ ოქრო გამოუტანებავ, სოფელში გაინაწილეთავ ჩემ სახელზედავ და ეს ნათესაობა არ დავკარგათავ. ოქრო მასულებს კი აღარ გაუნაწილებავ.

მთხრ. მამუკა ქეთელაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ბისო, 1985.
თსუფა 27120

## 24. ახალკვირეს დაწესება

„გახუა ჴეთეშაური ჴევსურთ კას ეუბნებისავ:
ჴმლებს ნუ დაიჴსნით, ჴევსურნო, ზურაბ არ დაინდობისა,
დასხდეს, დარიგდეს ჴევსურნი, ზურაბ თავს დაადგებისა".

ალუდა ალექსაურს ჴმალი ხქონივ შიგათი დამალული. ეს ზურაბის ჯარ რო დასცემივ ხევსურებს, ამ ალუდსაც უშიშვლავ ჴმალი და პირდაპირ ზურაბისკე გაქანებულ. ზურაბს კიდე თავის ტალავარ მეღვინესად ჩაუცმავ და ალუდსაც შეცდომით მეღვინე მოუკლავ. გამაჴეითზედ ჴაჴთაზედავ ისარნივ სხაპ-სხუპით დაუყრავ და ამაშინ ჴაჴმატის ჯვარისად შაუთქომ: „თუ გამამიჴსნივ, დღეობას დაგიმწესებავ". და აიმის მემრ ას ეს ახალკვირე დაწესებულ ჩვენ ჯვარში, აღვსებითგე ერთი კვირის შემდეგ.

მთხრ. მამუკა ქეთელაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ბისო, 1985.
თსუფა 17118

## 25. ხატის გადავლა

მოვდიოდივ დუშეთიდან და დამიღამდავ. ბნელ ღამე იყვ. ხატთან რო მოვდივარ, ხატის მიწა-წყალზე, ქუდს ვიხდი და მადლს შავსთხოვ. მაღლა მთაზე სალოცავია ჩვენის ხატისა და იქიდან უეცრად შუქი მოვიდა, დაჰკრა ხატის ტერიტორიას და წავიდა სწრაფად უკან. შუქი იყვ თოვლივით თეთრი და კაშკაშა. მე თვალი გავაყოლე და უკენ გაბრუნებული გაჰკრა და ცისარტყელასავით გაკრთა თეთრი და წითელი ერთმანეთში ქამრებივით, და გაქრა.

იმ ღამეს სიზმარი ვნახე: კაცი მოვიდა, ანგელოზის ჩვენება, და მითხრა: ხთის კარზეით მადიოდავ. ბედიანაივ მაშინ იქნებოდივ, როცა თუ ხთისკრისკე მიმავალს მახყოლიყავივ შუქშიავ. თვალს ავ-ლებსავ მასვლაშიაც და ნასვლაშიაც. წელიწადში ალბათ ორჯერ: მზემაბრუნვისას და ზაფხულისას.

მთხრ. აპარეკა ალუდაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ხახმატი, 1985.
თსუფა 27098

## 26. მონადირის ამბავი

ერთმ შარაჴეველ ფშაველმ მიამბ: ირმებზე დავდიოდივ, ვჴოცდივ ირმებსავ. ერთხელ წავედივ, ჩაუჯედივ ირმებსავ, იმაზე უნდა მასულიყვნესავ და ქალის კივილ გავიგონევ. დაიკივლ ქალმავ და ირმებ შაბრუნდესავ და სხვაზე წავიდესავ.

იმ ღამესავ სიზმარ ვნახევ. სიზმარჩიავ ი ქალ მავიდავ და მითხრავ: საქონელს რატო მიწიოკებ? თუ გინდავ, - მითხრავ, - ნამეედ ეემ გორზედავ, წიფელ რო დგასავ, იმ გორზე დაჯედივ და წერისწერ იქ მაგივალისავ. ავდეგივ იმ ღამეს დილიანადავ, წავე-დივ და დავჯედივ იმ გორზედავ. მზას თოფ მიჭერავავ, აბა, გაცხ-ადდებავ თუ არაო. უკვე რო შათენდავ, ლეწა-მტვრევა დადგავ და მავიდავ ერთ უზარმაზარ ირემივ, ქორბუდაივ. დამიწყავ ყურებაივ. დავხკარივ თოფივ. დაკვრა თოფისაიო და დაიბღავლავ: „მე რადაო და ამასავ!" დავიბრუნეო ის თოფივ და წიფელს შამოვხკარივ.

თოფ წიფელს შამოვხკარივ, ცოდვა გადასულიყვ წიფელზე. ჰოდა, ავიღივ ისივ, გავატყავევ, მოვიჴმარეთავ. მერე იმას უყურეო და გაჴმავ ის წიფელივ მთლიანადავ.

მამაჩემს ვუამბევ ყველაფერივ და მას დღე, ის დღეიო და სა-ნადიროდ აღარ გამიშვავ: თავს მოვიკლავავ, თუ ნადირობას წახვე-დივ. დავანებევ თავი.

მთხრ. აპარეკა ალუდაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ხახმატი, 1985.
თსუფა 27105

## 27. ნაწილიანი

გუროელ კაც იყვავ. ბაბლიათ ჩუაი. ძალიან მოგვწონდისავ ერთსხვაივ. ლამაზ ვაშკაც იყვავ. გერგეტელთავ ი ბაბლიათით მას-

დგამსავ ე სილამაზეივ. სხვაში არ აირივნიანავ. სრუ ერთად ვწვებო-დიდითავ. პერანგიანებ არ დავწვიდითავ და იმანავ რაადამავ პერან-გივ არ წაიყარისავ. თუ როობას წაიყარისავ პერანგივ, ძიროობასავ ფართლისა ეცვავ და ის არ წაიყარისავ. ერთხან უთხარივ: რაად არ წაიყრივ პერანგსავ. ე გრწყილნი ჯერ მე მაღონებენავ. ამაიძვრინავ ი პერანგივ და ალბათავ ი ფართლისაიც წამახყვავ. ისეთ შუქმ დაიარავ იმ სახლშიავ, როგორც აი, სარკის ანარეკლს დაივლისავ გრილოშიავ. მემრავ, ისივ რო მაკვდავ, ლურჯადავ ი კანსავ ბეჭზედავ მზე-მთვარის გამოსახულება დეეწერავ-დეემჩნიავ: მთვარის ნალევივ და მზეივ.

მთხრ. ბაბალე ალუდაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ხახმატი, 1985.
თსუფა 27091

## 28. ბენიკუა ნაწილიანი

ბუბიკამ იცის თავის დედის ნათქვამი. ეს დედა — მზია ხოსიაუ-რთ ქალი ყოფილ, ხახაბოელი. ამ მზიას მოუყოლებავ თავის შვილზე: პირველა რო დაიბადავ (ივანე კი ხქვივნებივ და ტანმომცრობის გამო ბენიკუა დაუქვივნებავ), მესამე დღეზე შავატყვევ და ერთ თვალივ არ ხქონდავ და რო გაატყერნისავ, აი, ერთ თვალივ, როგორც მზეივ, ისრ ბორჯღალნ გამაშალისავ, გამასხივდისავ. დიაცებ რო მადიოდიანავ სანახავადავ, ერთმავ ვერავინ შაატყვავ და ერთმავ ფშავლის დიაცმ შაატყვავ. იმ დიაცსავ უჟლა ექვივნავ. იმ დიაცმავ ვეღარა თქვაივ და „გენაცვლე თვალასავ", დაშჩავ პირშიავ. რამდენიმეჯერ ანაბრივ გაიმეორ. იმასავ მავანათვლიეთ და ალბათ თქმა და გამომჟღავნება არ შაიძლებოდ იმისაჲ და ისივ აღარ გასთქომსავ.

მთხრ. ბაბალე ალუდაური,
ჩამწერი გოდერძი არაბული, ხახმატი, 1985.
თსუფა 27090

## 29. დევის ქალი

...შალვას რო ვამბობდით, იმ შალვას ჰყოლივ დევის ქალი დაყ-ვარებული. ერთ დროია და აჴდა მაღლა სახლჩი შალვაის ცოლი და ნახა თმის ნაჭაპნ გარმასულნი და მიწაზე ჩამასულნი კრაოტის თავ-

ითით. გულჩი გაუკვირდ იმ ქალსა და ჩამაჴდა და აიღა ერბოი და ნაჭაპნი დაუპოხნა და აკეცნა და ჩაუსვენა თავისი ქმრის გვერდით. გამეეღვიძა დევის ქალსა და უთხრა შალვას, რო შენ ცოლს რა უფრო ანუხებსო. უთხრ იმ შალვამ, რო ჩემ ცოლსა ქსელ აქო ყბაზე დამრჩალი და იმავაკენივ დასამკალიო. „ყანასა ულონი უკულმ დაისხნასაო, ქსელ კვად უკულმ განირასაო". იმ ღამეს ყანაც მაუმკავ დევებს და ეშმაკებსა და ქსელიც მაუქსოვავ.

იმაზედ ჩამამრჩალ ვართო, თქვის მამამთილმა, უკაცური ვართო, რად ეს არ უთხრა შალვამაო. ამათ კაცი არ გაბევრდება.

მთხრ. ბუბიკა ჭინჭარაული,
ჩამნ. ნანა ზურაბიშვილი, ხახმატი, 1986.
თსუფა 28078

## 30. ეშმაკის ქალი

ეშმაკი და კაცი დაძმობილებიან ერთმანეთს, ქალი ეშმაკისა. ცოლიან ყოფილ ეს კაცი. თურმე მოვა საღამოზე, დაწვებიან ერთად. მივიდა და ამ ცოლმა დაუპოხა ეს თმები ერბოთი. პატივცემა იყო ეს იმისი და, მერე ამან პატივი რო სცა, ამ ეშმაკის ქალმა ხკითხა ამ კაცს, რო შენ ცოლს რა უფრო ანუხებსო? - „ქსელი აქვავ მოსაქსოვიო და ყანაი გვაქვავ მოსამკალიო, ი ყანაივ". - „მაშინავ, - უთქმავ, - ე ქსელიო წუხრავ კვად უკულმ განირასავ და ე ყანასავ ულონივ უკულმ დაუსხენითავ". დილასავ, რო გათენდავ, გავხენეთაო და ერთი კოჭლა გადავიდოდავ, ის დამრჩალიყვავ უკენავ. აი, ყანაიც მამკილიყვავ, აი ქსელიც მაქსოვილიყვავ და მთელ ღამეს რაღაც ხმაურ კი მადიოდავ.

მთხრ. აპარეკა ალუდაური,
ჩამნ. გოდერძი არაბული, ხახმატი, 1985.
თსუფა 17107

## 31. ეშმათა ტყვე

ყოველ ღამე, ისეთ ღამე არ წავ, რო მთათუშეთისკე არ გაიარას (კოპალამ) ცეცხლით და არ გამაიარას, სამკვიდროში არ ჩამაჴდას. მთათუშეთში იმიტო, რო მაგის აგებული. ვეშაგურთისგორი მაგის ატანილი.

ვეშაგურთისგორით ერთ მონადირე დაუჭერავ ეშმებს, კუდიანებს, წაუყვანავ და დაუტყვევებავ სამ წელს. აიმან თქვისავ მემრავ: ღთისკრობაიავ, — თქვიანავ ეშმაკებმავ, — რა ვიცოდივ მეავ, ადამიანებ მეგონნესავ. კერაის ძირშიითავ შავ რაიმ გამაიღიანავ, ის მაიცხიანავ და მაიკარგნიანავ. ერთ დროიც იყვავ და წავიდესავ. სად დადიანავ, ვთქვიავ და გამავიღივ მეაცავ და მავიცხივ და აღარა მახსონსავ. გონზე რო ჩავარდიო და ღთისკარიაო, თქვესავ. „აქ რა გინდოდავ", დამეცნესავ და მფარევდესავ.

— ვინებ გფარევდესავ?

— ვისთანა ვიყავივ, ისეებივ ი ცისკრისკესავ სრუ მამეფარნესავ, არ ვჩანდივ. ჯერავ ჴაჴმატის ჯვარ წალალესავ, არ შაუშვნესავ ღთისნასახნივ ღთისკარავ იმ იუდათავ. ჴაჴმატის ჯვარ წალალესავ კოპალასთანავ და ვერ მაიყვანავ. სრუ აცახცახებდისავ, რო კოპალას მაიყვანსავ.

— ვის აცახცახებდისავ?

— ი ჩემ მამჴრეებსავ. მერე კვირაე წალალესავ. ცისკიდურ განათდესავ. აჰაჰავ, თქვესავ. — ქვეც მაიყვანავ. სრუ დაკვ დარჩავ მთელივ. ერთივ მორიგე ღმერთსავ კალთაში ჩაუფრინდავ. ერთიღა დარჩათ და ისიც კალთაში ჩაუფრინდაო.

— იუდან, თუ?

— ჰო, იუდანივ, და ისიც დაწვავ. და შამასწყრავ მორიგე ღმერთივ: „ჩემ კალთაში რადღაევ?" მივიხენ-მავიხენეო და მარტოკა ვიყავივ დამრჩალივ, სრუ დაკვ იყვავ ჩემ ირგვლივავ, მფარევდეს ვინაო. „რატომ გააკეთივ ესივ?" — ჰკითხ. „ესივ იმიტომ გავაკეთევ, რო აესივ ჩემ ყმა იყვავ. სამ წელიაო, რო მაგათ პატიმარ იყვავ, ჩემდ მოპარულივ ჩემ ყმაიავ". და აპატიავ იმანაცავ, რო ჩემ კალთაში არ უნდა დაგეწვავ. მერე შამეკითხნესავ, რო შინ რა დაგრჩავ კაივ? მამგონდავ გულშიავ, რო ცოლ დამრჩავ ახალზალივ. უნდა ვთქვაევ ესივ, ეს გამაჴსენდავ. „არავ, გულში რო ღგონობავ, ეგ არ სთქვაევ. სხვა რა დაგჩავ კაივ სახლჩიავ". „უღელნ ჴარნიო და ვეშაგურთისგორნივ", — უთხარივ. — „აის უღელნ ჴარნ ჩემნივ", — ერთმა მითხრავ, — კოპალამავ, „და აის ვეშაგურთისგორიცაო და შენავ შინავ ჯალაფთაიო". და ის მაჴსონავ, რო ცხენის უზანგას მამაბესავ. გონად რო ჩავარდიო და თავის ლოგინში ვიწევიო ვეშაგურთისგორავ და საგონად გამიხდავ, რო საიდან მოვედივ აქავ. პირველადავ დედაშჩემ მავიდავ ჩემ ლოგინსთანავ.

— შინ ასა?

— შინა უკვე, შინ გამეეღვიძ იმას. ის ქვე მაჴსონსავ: ცხენის უზანგას მამაბესავ. გამეღვიძავ, თავის ლოგინში ვწეორავ. პირველადავ დედაშჩემ მოვიდავ. მღვიძავაო და თან მიკვირსავ ესიო: როგორ,

საიდან მოვჴვდივ. გამაჴსენდავ ყველაფერიო ჩემ თავს გადამჴდარივ. „შვილო, შვილოო" და რო ავეძრახეო და გათავდ სიხარულით. სამ წელს დაკარგულ შვილ იყვ. ეს რძალ ამამჴდარ და უნახავ ლოგინჩი მძინარი. ნამდვილა შაუმონმებავ, რო ჩემ ქმარი. ჩამჴდარა და დედისთვის უთქომ, რო აჴედაევ, შენი შვილის ლოგინში ვინამ წევსავ. ამამჴდარ ე დედაი და ეგ დალმართივ. ის ადგილი ეხლა კოპალას უჭერავ, ვეშაგურთისგორი.

მემრ იმას არ დაუტოვება ისი. ვერ დაუთმავ ის გორი. ციხის აგება დაუწყავ. ნასულა და გამასცხადებივ (კოპალა), ვითომ მწყემსი. „გამიზიარევ, - უთქომ, - ეს ციხეივ. ზიარ იყვასავ. მეც მაგეჴმარებივ". აბა, იმან რა იცის, მწყემსია და ღგონავ, და კარგივ. ავიღივ ერთ ქვანივ, კუთხით კუთხემდე უძევსავ, თქვიან ი თუშებმ ეეხლა, ერთ კუთხეშიითავ სხვას კუთხემდეავ. კედელს რაც უჭერავავ, უჭერავავ, ერთ იმდენ შიგით ასავ დუქნადავ. ეს ქვან შაუსხენივ. წყალზე ნამლალავ მემრავ მიქამავ, ალბათ ეჭვ შეეპარ. ვეშრაპან მამცნაო, თულუხნი. ამოვიღევი წყალიო და ირმად ვიქეციო და ისრ მავეჩვენეო და ვეშრაპან რქაზე შამავიცვიო. ისარ დამაყარესავ. ეს კოპალაია და არ იციან, ვინ ას. ამდგარა და ლახტ უკრავ აი ციხესადაცა და სრუ ამოუწყვეტავ. და ეეხლა იმ ბეგარზე დადიან. სამკოჭაო იქნებოდ, მიუდიოდეს.

ზოგ შორად მწყემსი კვდებოდ, მეხსა ხკრევდ, ზოგს წყალი კლევდ. და ეს ლიქოკელნ უნდა ხყვანიყვნეს იქ. ჩვენ ჯვარ (ხახმატის ჯვარი) კიდე, სანათლავ ვისაც ექნებოდ, დედლად დაბადებული, ქალ-რძალი, ყველა უნდა განათლულიყვ.

მთხრ. გიგია ალუდაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ხახმატი, 1985.
თსუფა 27088

## 32. ძმადნაფიცი დევი

როგორც ანგელოზივ ღვთის წინაშე, ეგრევ ეშმაკივ. ისინივ თანაბარ უფლებით მიდიანავ. ღვთით აქვ ნება და მიდიანავ.

სოლომონ ბრძენმ თქვისავ: ლოცვითავ სამჯერ გავათაენივ ეგენივ. სამჯერავ თითოივ გადამირჩავ. მესამედაც რო გავათაენივ და ერთ კიდე გადამრჩავ, მაშინავ ღმერთს შავსცოდევ მეავ: ეგენიცა ღმერთის გაჩენილ ყოფილანავ. ჰოდა, ეს არ უნდა გამეკეთავ. დევ რო კაცს შეებმის, იმას უფლება არა აქვ, რო მეტის ძალით შეებას,

რაც კაცს ძალი აქვ. ხოლოდ თავად თვალში თვალ უნდა გაუყარასავ და ისრ შეებასავ. არ შაიძლების, არ უნდა იხმარ იარალი. დევს ხკვლენ, როგორ არ ხკვლენ, ხოლო თავ ედების იმათაი და არც მეეშობისავ, იმათაში მაინც მახკვლენ ვის.

ერთ კაცს დევი გასძმობილებივ და ძმად გახფიცვია და უთქმავ, რო წეედივ ეეხლადავ, შენ დიაცს ხავიწ ადუღებიევ და ის წამამიტანევ. ხოლო თუ გკითხასავ, რაად გინდავ, სად მიგაქვავ, არც უკულმ მიხედავ და არც ის უთხრავ. გამასდგომივ ე ცოლ, რო ადუღებივ ი ხავიწი, აი ეშმაკ როა დიაცი: „სად მიგაქვავ, რაად მიგაქვავ, მაბრუნდიო“ და მაბრუნებულ და „თავი დამანებეო“, უძახებავ ემ კაცს. წასულა და, მე რო მივედივ, საცა პირობა გვქონავ, აიქიდანავ იქითაივ გორზე გავარდავ. „დადლო დადლის ძეო!“ მიძახავ, კალთაში დამალულ სახნის-საკვეთელ გამაიღავ: „დიაცის ენამავ აეს სახნისსაკვეთელ დაგაცდინავ“. დაიმალავ აისივ და დაიკარგავ. ალბათ ის სახნის-საკვეთელ ისეთა იყვავ, რო იმით დახნულ-დათესულ აღარ მათავდებოდ. იქნებოდ და იქნებოდ.

მთხრ. აპარეკა ალუდაური,<br>ჩამწ. გოდერძი არაბული, ხახმატი, 1985.<br>თსუფა 27106

## 33. დევები

დევები სახით ადამიანს ღგვან. ტანად უფრო დიდებია და მთელ ტანზე ბარდღლი ასხია, ლექსშიაც ასე ამბობენ: „მეც ვნახენ იმის ძუძუნი, ბარდღლ ესხა როგორც მელასა. წელთ თაობას კი სრუ ესხა. ვინ შინჯავს, იმის ქვენასა.“ ღონე ძალიან დიდი აქვს, მაგრამ კაცს როცა შაემბის, ძალს უწონს. დამბადებელისაგან ნება არა აქვს, ვისაც შაემბის იმაზე მეტი ღონე იხმაროს. დევისთვის შემბმელ კაცს რაც ღონე აქვს, დევმაც იმდენი ღონე უნდა გამოიყენოს, რომელსაც ებრძვის, რამდენი ღონეც ამ კაცსა აქვს. დევები ეშმაკებთან შედარებით უფრო დინჯი და მშვიდი არსებანია. კაცისათვის გაფიცვა გაძმობილებაც იციან და მოსისხლეობაც ძალიან იციან. თუ დევი მოკლა კაცმა, მერე იმის გვარს ყოველთვის ეშინიან, დევის სისხლი გვმართებს და არ შეგვრჩებაო. მარტოები და ნამეტნავად ღამით არსად წავლენ. დევები თავის მოსისხლეს ბანზე გაეყრებიან ღამით და სახლი სულ დაიძვრის. დევი თოფიან კაცს ვერ ებრძვის. თუ თოფიანმა კაცმა დევი შორს დაინახა, ტყუილადაც რომ გაისროლოს თოფი, ტყვია მაინც დევს მოხვდება და მოკლავს. დევი ტყვიისათვის

უკლო არისო, იტყოდენ და ამიტომაც ეშინიან იარაღიანი კაცისაგანაო. დევმა კაცთან ბრძოლაში, მისი მოპირდაპირის ძალით უნდა იბრძოლოს, მაგრამ დევის ნაბრძოლს მისი ნახელრები ლურჯად ეტყობოდა, სადაც ის ხელს მოკიდებდა, ნათითრები სულ გალურჯდებოდა. ან თუ სილას შემოკრავდა, ისაც კარგად დაეტყობოდა. დევმა კაცისათვის გაფიცვა, გაძმობილებაც იცოდა. თუ დევი კაცს გაუძმობილდებოდა, კაცისათვის სასარგებლო იყო. ბევრ რამეს გააგებინებდა და ხელს შეუწყობდა ცხოვრებაში. დანდობაც ძალიან იცოდა, რომ თავის ძმობილს თავის დღეში არ უღალატებდა და მისთვის თავს დასდებდა.

ალ. ოჩ., M 15 რვ. 16

## 34. ანდრეზები გახუა მეგრელაურზე

### [ქაჯავეთის ლაშქრობა]

გახუა იყვ ჭორმეშიონ კაცი. გახუა ყოფილას ხთისშვილთაგან დაჭერილი. გახუა გუდანის ჯვარის მკადრე ყოფილას. იმას მაშინაც უვლავ ხთისშვილთან, როსაც ჴაჴმატის ჯვარმ ქაჯეთ გატეხა დ' ხთისშვილნ ეხმარებოდეს, მაშინ გახუას თან თუ[რმე] იყოლებდიან. მაშინდელ ამბავი ას ისიც, რო „სულ ამამაძვრინესავ, — თქვისავ გახუამაო, - დ' გვამივ ქვიშაში ჩაღმარხესავ. რო მავედითავ, ვნახევ ჩემ გვამ დასულებულიყვავ. მჴარზედავ თაგვსავ ამეეჭამავ. შამზიზლავ ჩემმ გვამაო დ' გაქცევა გავბედევ. რად გაღრბივ, მეპურსატნევ გახუაო, ჩაძვერივ, მითხრესაო დ' ჩამაძვრინესავ პირისასავ ძალითაო დ' ავდეგივ აისეთა კაცივ". გახუასავ, — იცოდიან [თქმა], — თაგვის ამანაჭამ აჩნიყვისავ მჴარზედავ.

### [გახუა ბეთლემის სახლში]

გახუა წაუყვანავ ხთიშვილს გერგეტისთავა დ' შაუყვანავ ბეთლემის სახლში. რო შაველივ, — თქვის გახუამავ, — სავსე იყვავ ის სახლივ ხატებითაო დ' თამაშობდესავ. ზოგ ხატებივ ტრედებივით იყვაო დ' ირეოდავ ერთმანეთშიავ. იმთვენ იყვავ ხატებივ, რომ ბუზვებივით გად-გამადიოდესავ. ერთივ ოქროს აკავან იდგაო დ' შიგავ ყმაწვილ იწვავ, ტრედებ დაღბრუნებდესავ თავზედაო დ' იფქლის მარცვლებს აჭმევდესავ.

გახუა იქით რო წამოსულა, წამოუყვანავ ერთ მფრინავ ხატი. ეს ხატი ნანილიანი ყოფილ, რო ღამითავ შუქთ უშობდისავ. რო მოვიდოდ გახუაი, ხატ თავისთავად წინ მამიძღვებოდისავ, თუ[რმე] იცოდ გახუამ. ყორისწყალზე რო მაველითავ, იცოდის გახუამ, ბიბინ რაიმ დადგა დ' ხატიც კლდის თავზედ შაჯდავ. მავიდესავ ტრედის ალითავ რეებიმაოდ დ' შუქთ კი უტევდესავ. ოქროქსოილ მაიტანესაო დ' რომენიც გახუას მახყვებოდ, იმ ხატს ჩააცვეს თუა დ' გამახყვ გზას. უკენ გახუა მახყვებოდ. იქით წამასულ დღე და ღამ ვიარეთაო დ' გათენებისად გუდან მაველითავ. გუდანის ჯვარის ბელელსთან რო მივედითავ, ის ბელელში შავიდაო დ' მე კარში დავრჩივ. აქით დაწყებულ გახუაისა დ' მფრინავის ხატის ერთად სიარული.

## [გახუა და გუდანის ხატი ღილღოში]

ერთხან გაქადაგებულ გახუაი დ' მაუტანიებიებავ გუდანის ჯვარს, რო მიავ ღილღოს ვემზადებიო დ' ჩემ მკადრეიო დ' ორ დასტურ გამამყევითავ. გახუასა დ' დასტურებს სამთავ მაუყვანავა დ' თითო სანათლავ დაუკლავ. მეორე დილას დასტურები დ' გახუა მისულან გუდანის ჯვარის კარზე. გახუას სამკადრეო ხქონივას, გადაუფენავ ხელზე სამკადრეიო დ' მასვლივ გუდანის ჯვარი ხატად. ხან ტრედის სახით იქნისაო დ' ხან ხატივით იყვისავ. გახყოლივ დასტურებიცა დ' გახუაიც ხატს. ხატი წინ მიგვიძღვებოდისაო დ' ღამითავ გზასაც გვინათებდისავ. უვლავა დ' ღილღოს მისულან. ღილღოს ერთ სოფელი ას ტარგამე, იქ მისულან. ტარგამეს ხალხ შაყრილა, გახუასად ხატ წაურთომა დ' ჩაუსომ კიდობანში. გახუას უთქომ, რო გაუშვითავ, თორე არ მაგივათავ კარგადავ. ღილღველთ სიცილ დაუწყავ: შენ ხატივ, გახუაო, ჭიშქენს ჭამსავ კიდობანშიავ. ბოლოს, გახუას უთხოვავ ხახმატის ჯვარისად, რო გუდანის ჯვარის მფრინავ ხატივ ქვე დამიპატიმრესაო დ' შენ მიშველეო დ' დაიხსენივ გუდანის ჯვარივ. საით რა უყენევ ამ ღილღვლებსავ, რო ირწმუნანაო დ' გაუშვანავ (კიდობანში რო დაუმწყვდევავ, ზედ თავ დაუხურავ კიდობნისად).

როსაც ღილღველნ შაყრილან, თავის მკითხავიც თან მაუყვანავ. ამ დროს გახუას ახხდივ ყელსადები ვერცხლისაო დ' ღილღველ ხალხის თვალწინ, იქავ ასხმულა დ' გადაზდებივ ყელზედ. ეესრ სამჯერ უქნავ ხატსა დ' ამ დროს მასვლივ იმათ მკითხავსაც იარდა. იარდამ თავის მეენეს ატანებივ, რო გუდანის ჯვარ მესტუმრაო დ' თქვენავ მასხარაად იგდებთავ ჯვარ-კაცსავ? დაუთხოვავ მუქარა ღილღველთად იარდას: თქვენავ ჩემს სტუმრებსავ პატივს არ სცემთო დ' გაგანადგურებთავ. ის რო ქადაგობდავ, გახუამ თქვისავ, გადმავხენეო დ' ერთიანად ღილღველნივ მუხლისკვერზე ისხდესაო

დ' თავებივ დახრილები ხქონდავ. გაიქცნესავ, მაიყვანესავ მაშივავ საკლავიო დ' სადაც გუდანის ჯვარის მფრინავ ხატი ხყვანდავ დამწყვდეულივ, დაკლესავ. აუხდავ კიდობნისად თავი დ' კიდობანშიით ამამხტარ ხატი დ' დამჯდარ კიდობნის თავზე ტრედის ალით. რო დაჯდავ, ისეთ შუქთ უტევდისავ, რო კაცივ თვალთ ვერ შააყრიდავ. ახლა, როსაც ამ სახით უნახავ ღილღველებს, ისენ სრულიად შაშინებულანა დ' დაუწყავ ხვეწნაი: დალოცვილო გუდანის ჯვარო, გვაპატიეეო და კვამლზე თითო საკლავს დაგიკლავთაო დ' შამაგწირავთავ. მაუყვანავისა დ' თითო საკლავ ყველას დაუკლავ. გაუმართებავ ღილღველებს დიდ ლხინი, უდუღებავ ხორცი დ' კაცსა, დიაცს ყველას უჭამავ. ტყავებ კი გუდანის ჯვარის ჯვარიონთად მიუცავ სრუ. ამ დღიდგეს დამეგობრებულან გუდანის ჯვარი დ' ღილღველთ იარდაი.

გუდანის ჯვარს სრუ წლიათაოდ უვლავ იქ. გუდანის ჯვარ რო ესტუმრებოდ, დიდი ამბვით დახვდებოდეს ღილღველნი დ' უხოცდეს საკლავებს. ერთხან ერთს ღილღველს თეთრ ხბო მაუყვანავ დასაკლავად, ქოოდ თეთრი, ულიშნოი. ხუცესმავ რო ხუცობა დაიწყავ, გუდანის ჯვარივ ტრედის სახით დააჯდავ თავზედავ ხბოსავ. ხუცესმ რო იხუცაო დ' ხბოს დაკვლას უპირებდავ, მაშინ გაქრავ. ღილღველებს შაშურდავ, რო ამ ერთის ღილღვლის საკლავივ კარგად მიიღავ გუდანის ჯვარმაო დ' ამაზე კინაღამ ერთუც ჩაუხოცავ ღილღველებს: შენ საკლავ რაად მიიღავ გუდანის ჯვარმავ, ჩვენივ არავ?

ალ. ოჩ., M 17, რვ. 34

## [გახუა არხოტში]

გახუა ერთხან არხოტ წასულ თავის მფრინავ ხატსთან ერთად. გზაზედ ხკარგვივ ხატიდ' გახუა ხოშურაულთას მისულ. გამაუხენებავა დ' იფნზე იჯდავ ტრედის ალითაოდ' შუქთ უშობდავ. მიუყვანავ სანათლავი დ' იფნის ძირში დაუკლავ. გაზძღოლივ მემრ იქავა დ' მისულ არხოტ. არხოტივნებს გუდანის ჯვარ არ ხყვარებივ, რაკი იმის დროშაით უდენავ არხოტიონთ დასალაშქრავად. მისულებისად ვერა ბევრ პატივ უცავა დ' დაბრუნვილან იქავ გახუაი დ' იმის ხატი. ეს ხატის ან ტრედის სახით თაოდ გუდანის ჯვარი ყოფილას.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 34

## 35. გახუა მეგრელაური

გახუა მეგრელაურს ხელში მასდენივ ხატი, მფრინავ ხატი. ის ხატი ხახმატის ჯვარში ბუნელათ ქვითკირში ასავ შანახულივ. იმ ხატით გახუას ღთისშვილთან უფრინდოლავის. ჭორმეშავის ჯვარი, ზენა ჯვარი და ხახმატისა მოძმენი.

გახუას პურისა და მარილის გარდა არაფერ არ უნდა ეჭამავ და ერთხან სატან შაუყოლებავ და ამბობდ, რო აღარ მამიდგავ, „პირმძორიან" მიძახავ. ხატსავ, ოთხტოტა იყვ, მტრედებ ხქონდავ გამამბულებივ, ვერცხლისა ყოფილ. ის ხატ გახუას მუხაში შაუნახავ, დაუმალავ. ქადაგს უძახნებავ გახუათაზე: „დამაბნელე კიავ და დაგაბოლოებავ კიავ!" და იმის მემრე ამანყვეტილან გახუანი.

ამის მემრ ბუნველას, ვისაც ქვითკირ აუგავ, მუხან უთხრავ, ამასჩენივ ხატი და იქავ დაუმალავის. ქადაგისად უძახებინებავ: „დამაბნელევ და დაგაბოლოებავ!" თუმცა ამაუღავ ბუნველას ის ხატი, მაგრამ მაინც ამანყვეტილან. ის ხატ ბუნველას განძში მიუცავ. მემრ ქადაგს უთქომ: „განძში არ შაიძლებისავ", და ქვითკირში დაუმალავ. მემრ იქავ მიზეზ გამასულ. წასულან და ქვითკირში ველარ მოუხელავ.

მთხრ. მამუკა ქეთელაური,<br>ჩამწ. გოდერძი არაბული, ბისო, 1985.<br>თსუფა 27117

## 36. ქაჯავეთს ლაშქრობა I

გიორგი წავიდა ქაჯავეთში საომრად და თან წაიყვანა თავისი ლაშქარი. ამ დროს იქ ყოფილა ერთი ჭორმეშიონი კაცი, სახელად გახუა და გვარად გოგოჭური. ეს კაცი, ხევსურების რწმენით და გადმოცემით, ყოფილა წმინდანი და თურმე დადიოდა ხორციელად ხთიშვილთან. გახუა ილაპარაკებდაო, იტყვიან, რომ ხთიშვილთან რო მივდიოდი და სადმე წამიყვანდენო, ხთიშვილთ ჩემი სუნი ეჯავრებოდა და მერიდებოდნენო. მე იმათთან ვერ მივიდოდი და შორიშორს უკან მივსდევდი და მაინც ზოგნი ხთიშვილნი თურმე ჯავრობდნენ, რად დადის ჩვენთან ეს ჴორციელიო. მაგრამ გიორგი ჴაჴმატის ჯვარმა იცოდა, რომ გახუა წმინდა კაცი იყო და ამიტომ არ იშორებდა მას. გახუა მთავარ ხთიშვილებთან თურმე ვერ მიდიოდა, მაგრამ ლაშქართ კი თან დაჰყვებოდა. მაგრამ როგორც ჴორციელისა, იმათაც სუნი ეჯავრებოდა და ერიდებოდნენ. ბოლოს, გახუას დაავალეს, რომ ორი

დღე არაფერი ეჭამა და იქნება სუნი აღარ ექნებოდა. გახუამ ერთს დღეს არაფერი ჭამა და მეორე დღეს რომ ძალიან მოშივდა, იქ პურ-სატანი იყო (პური და ყველი). გახუამ პურ-სატანი მოიპარა და ჭამა. გაუგეს ხთიშვილებმა და დასცინოდნენ: „მეპურსატნევ გახუაო". პურ-სატანი რომ ჭამა, გახუას ისევ სუნი აუვიდა და ხთიშვილნი დანყდნენ. მერე სული ამომაცალეს და ჩემი გვამი ქვიშაში დაფლეს. რომ დავბრუნდით, მიმიყვანეს ჩემს გვამთან და ჩაძვერიო მითხრეს. და გახუამ თურმე სთქვა, რომ ჩემს აყროლებულ გვამს რომ დავხედე, ჩაძრომა დამეზარაო და გავექეცი და ხთიშვილთ უარი უთხარ ჩემს გვამში ჩაძრომაზეო. ბოლოს ძალით დამიჭირეს და ჩემ გვამს მხარში მიმარტყეს და ავდეგი ფეხზეო. იქ აღარც ხთიშვილნი იყვნენ და არაფერიო. ქვიშაში თაგვს ჩემი გვამისათვის მხარზე ამოეჭამა და რომ გავცოცხლდი, ის თაგვისაგან ამოჭმული მტკიოდა. დავხედე და ვნახე თაგვის ამოჭმულიო. შემდეგ წამალი მასწავლეს და როცა შინ დავბრუნდი, იმ მხარის ნასწავლები წამალი მოვისვი და მომირჩაო.

გახუა იტყოდა: გიორგიმ რო ქაჯავეთი გატეხა, მე იქ ვიყავიო. მე რომ ხორციელად ვეჯავრებოდი, სული ისევ ამომაცალეს და ისე წამიყვანესო და ჩემი გვამი ისევ დამალესო. წავედ ქაჯეთში, მე და გიორგის ლაშქარნი ერთად მოვდიოდით, და გიორგის კოპალა მიჰყვებოდა და იგინი ერთად მიდიოდნენო. ქაჯავეთს რო მიუახლოვდით, ერთს ტყეში დავიმალენით და დაღამებას უცდიდით. ამ დროს ქაჯებმა გაგვიგეს და დაგვეცნენ. ჩვენც აღარ დავიმალენით და შევებენით, და გახდა დიდი ბრძოლა, ქაჯები ვსძლიეთ და დავამარცხეთ, და აღებას უპირობდით, მაგრამ ციცაის თავ-ფეხს დაგვიწყეს სროლა და ძალიან შეგვაწუხა, რომ კინაღამ დავმარცხდით, მაგრამ გიორგი და კოპალა ფარებს იფარებდენ და ჩვენ იმათ დაუწყეთ მოფარება, ბოლოს ერთ-ერთს, გიორგის ლაშქარის წევრს კატის თავი მოარტყეს ფეხზე და ფეხი მოსტყდა. ფეხმოტეხილი გამოვიტაცეთ და შორს დავმალეთ და ჩვენც ისევ შევებრძოლეთ ქაჯებს, ბოლოს ციცაის თავ-ფეხს აღარ გვაჴლიდეს, და გავიგეთ, რომ გაუთავდათ და დიდს წინააღმდეგობას ველარაფრით გაგვიწევდნენ. შევესიეთ გიორგის ხელმძღვანელობით. ქაჯები ამოვწყვიტეთ და რაც გადაგვრჩა, ისინი ციხეში შეცვივდნენ, მაგრამ კატის თავ-ფეჴი ხელმეორედ მოეგროვებინა და ხელმეორედ დაგვიშინეს. ძალიან შეგვაწუხეს და დროებით ისევ გამოვეცალეთ. მე რომ ხთიშვილთ ველარ მოვსდევდი, ცხენი ეგდო მოკლული და იმის ღრუვში ჩამაძვრინეს და დამმალეს. როცა ქაჯებს ციცაის თავ-ფეჴი კიდევ გაუთავდა და ხვთიშვილნი მათ ისევ დაედევნენ, მეც ამომაძვრინეს ცხენის ღრუვიდან და ისევ ქაჯების საბრძოლველად წამიყვანეს. მესამედ შეტევაზე ქაჯებიც დავამარცხენით. ქაჯები ბევრი დავხოცეთ და ზოგი დავიჭირეთ და ტყვედ წამოვიყვანეთ. მაშინ დავიჭირეთ სამი ძალიან ლამაზი ქაჯის ქალი:

სამძიმარი, მზექალი და აშექალი. ისინი წამოყოლაზე გვეწინააღმდეგებოდნენ და ამბობდნენ: „აქვე დაგვხოცეთ და იქ თქვენთან არ წამოვალთო". ბოლოს გიორგიმ აღთქმა მისცა, რომ წამოდით, მე ძმა და თქვენ დებიო, და მე რაც ძალი და შეძლება მაქვს, ამასაც გაგინაწილებთ და საპიროსაც ჩემთან მოგცემთ, და ჩემთ და ჩემთ ყმათ, როგორც ჩემს თავს, ისევ თქვენს თავს ვალოცვინებ და ჩემის მოდის სახელით გამყოფებთო. მათ უთხრეს: ჩვენ რომ ქართული არ ვიცით, შენს მეენეს რას გავაგონებთო (ანუ მკითხავს ან ქადაგს ვერ ვალაპარაკებთო). გიორგი დაპირდა, რომ ჩემი მეენე თქვენს ენაზე ილაპარაკებს და ჩემსავე მეენეს მე ქართულად გადავათარგმნინებო. ამ პირობაზე ქალები დათანხმდნენ და შეგვიერთდნენ ჩვენ. მერე გიორგიმ თავის ლაშქართ უბრძანა და მეც მათთან ერთად წავედი. მოვკრიფეთ დავლა ქაჯების ცხოვრებიდან, და აგრეთვე მოვრეკეთ საქონელიც, და იყო ძალიან მსხვილი საქონელი.

ერთ ფურს ერთი რქა ქონდა და აქ მოსულს მოტყდა და მოვიტანეთ ხახმატის ჯვარში ინახებოდა და ჩადიოდა ერთი საწყავი, ანუ ერთი ფუთი ქერი. გამოვრეკეთ საქონელიც და ვერცხლი, ოქრო და სხვა ნადავლი ბევრი წამოვიღეთ. გზაზე წვალებით მოვდიოდით და ქაჯები კიდევ გვეწეოდნენ გზა და გზა და გვაღონებდნენ. მაგრამ ბოლოს მაინც, როგორც იქნა, მივაღწიეთ ხახმატს. ხახმატში საქონელი რომ მოვრეკეთ, იმდენი იყო, რომ არემარე სულ დაიჭედა ჯვართ მიდამოებში. ამ დროს თურმე ღამით ჩამოიხედა ორმა დედაკაცმა ხახმატიდან და ნახეს ეს საქონელი მონდორზე ნადგომი. ერთი დედაკაცი ვაჟის დედა იყო, და ერთი ქალისა, ქოხში კი ყოფილან ორივენი. ვაჟის დედას უთქვამს: „დაგწყევლნასთ ღმერთმა ეგ საქონი თხები და ეშმაკები, რაიღ ვისაი დგას მანდ, რამოდენი მიწასაც უმძიმს." ქალის დედას უთქომ: „ო-ოო. დაილოცოს ვინ იცის რაი, საით რა გავიდ, ყველა თავის წესითამც დაილოცების! ეგ საქონი კაცთ მასხმულს არ ღგავ, დიდება ხახმატის ჯვარს, ეგ მაგის ძალაი!" ეს ხახმატის ჯვარმა გაიგო და გაუწყრა ვაჟის დედას, რომელმაც იგინი დასწყევლა და სთქვა: „დასწყევლოს ღმერთმა ეგენი რაები არიან, ეგ თხები და ეშმაკები ვინაღ მალალ (თხებად მითომც მოეჩვენა საქონელი და ეშმაკებად ქაჯის ქალები, რომლებიც მოიყვანეს. მთვარიანი ღამე ყოფილა და თურმე ასე ეჩვენებოდა).

და ხახმატის ჯვარმა მეორე დედაკაცი, რომელიც ქალის დედა იყო, კი დალოცა. და ქალის დედას ქალიშვილი ვაჟად უქცია და ვაჟის დედას ქალად უქცია შვილი.

მეორე დღეს მთელი ხევსურეთის ხთიშვილნი დაეცნენ და წაართვეს მოტანილი ნადავლიო, გადმომცეს ხევსურებმა, ხთიშვილთ თურმე შეშურდა ეს დავლა, ყველანი დაეცნენ და დაიტაცეს, რაც მოტანილი ქონდათ, ამბობენ: არხოტის ჯვარს „სასრევ-სა-

მართებელნი" წაურთმევია. ბრიშა ამლიდან მოსულს იაჴსარს წაურთმევია, და იქვე იახსარში ინახება. ბრიშა არის სამკუთხა რაღაც ლითონი, და მეკვლე დილას, ამლაში მცხოვრებლები, მეკვლენი, აგორებენ მას. მას აქვს გვერდებზე ნიშნები, ერთი წერტილი, ორი წერტილი და სამი წერტილი, და ამას აქცევენ ყურადღებას. სამ წერტილზე თუ მოვიდაო, ძალიან კარგია, თუ ორზე, კიდევ არა უშავს, და თუ ერთ წერტილზე მოვიდა, ძალიანც ცუდი წელი დადგებაო. სხვა და სხვა ხვთიშვილებმა ყველამ გაიტაცა რამე ხახმატის ჯვარის ნადავლიდან, და მარტო კვირამ არ იკადრა ნადავლის წართმევა, ის არ ჩავიდა, და არ წაიღო რამე. მარტო შორიდან კი უყურებდა, როცა ხთიშვილნი იტაცებდნენ. მიტომც ისეთი დიდი ძროხები ყოფილა ქაჯავეთიდან მორეკილი, რომ „ჭერხ-ბოსელი“-ვით: რქები ქონდა ძალიან დიდებიო, ერთი ძროხა ცალრქა ყოფილაო, რომლის რქაო გვიანობამდინ იყო და საწყავად ხმარობდნენო, ქვითკირის ნანგრევმა დაიჭირაო (ქვიტკირი ყოფილა თამარ მეფის აშენებული). ხევსურები ამბობენ, რომ სამძიმარმა, აშექალმა და მზექალამ ცოტ-ცოტა ქართული ისწავლეს და ამენქალმა და სიმენქალმა არ ისწავლეს. და არიან ხმა ამოუღებლად, და არც არაფერში ერევიან ხახმატის ჯვარის საქმიანობაში, მხოლოთ იქ არიან და ხანდახან თან გახყვებიანო. ხახმატის ჯვარი წინათ ზეპირადაც დადიოდაო. იტყვიან, ერთმა სოფელ გუდანელმა დიაცმა თქვა, რომ ერთხელ ძროხა დავკარგეო, თეთრი ძროხაო, ღამე ვეძებე და ვერ ვნახეო და ბოლოს ხახმატის ჯვარს შევეხვეწე, რომ ეს ძროხა ცოცხალი მენახვა. მეორე დღეს ეს ქალი წასულა და უნახავს: იმ ძროხას ხბო მოუგია. ძროხა ყოფილა თეთრი და თოვლივით თეთრი ხბო მოუგია. რომ მივახლოვდიო, იტყოდა ის ქალი, დავინახეო, რომ იქ იყო ერთი თეთრტანისამოსიანი ქალი, რომელიც მზესავით ბრწყინავდა და თვალი ვერ გაუსწორეო. გავიგე, რომ ხახმატის ჯვარი იყო და დავიმალეო. გაიგო, რომ მე მოვედი და გაქრაო. მივედი და ძროხაც და ხბოც შინ წამოვიყვანეო. როცა მოიზარდა ხბო, ხახმატის ჯვარისათვის დავკალიო. ხევსურებს სწამთ, რომ ხახმატის ჯვარი ძალით იცავს და პატრონობს პირუტყვს. და შინაურ პირუტყვის გულისათვის ხშირადაც მიმართავენ და ეხვეწებიან მას. მაგალითად, ან ძროხა ან ცხენი, და ცხვარი რამე გარეთ თუ დარჩება ღამე, მაშინვე ხახმატის ჯვარს მოიგონებენ უფრო ქალები, და იტყვიან: „დიდო ჴაჴმატის ჯვარო, უშველი, ნუ დამიღუპავ იმ საქონელს" და დაპირდებიან საკლავს ან მასანთოთ, გააჩნია, როგორი ღირებულების არის გარეთ დარჩენილი საქონელი. და ბოლოს დაპირებას შეუსრულებენ კიდეც. აგრეთვე ხბო, კვიცი და სხვა, თუ კარგი რამე ყავს, მიაბარებენ ხახმატის ჯვარს. ძროხა, იციან კიდევ, ხახმატის ჯვარს შეუსახელებენ უფრო მაშინ, როცა ძროხა წველის დროს გადაირევა და რძეს აღარ აძლევს, ან დააბრალებენ თვალისაგან ვნებას და ან ხახმატის

ჯვარის მიზეზს და ამას ორივეს უშველის თვითონ ხახმატის ჯვარი. შეუსახელებენ და ხშირად შეხვდებით ძროხის სახელად ხევსურეთში „ხახმატას". ეს შესახელებული ძროხა რომ გაზაფხულზე პირველად წველას დაიწყებს და მისი რძისაგან ერბო დამზადდება, მაშინ ერბოსაგან დაამზადებენ ქადებს.

ალ. ოჩ. M 15

## 37. ქაჯავეთს ლაშქრობა II

ქაჯავეთ რო გაუტეხავ ანგელოზთ, ნაუყვანავ გახუა მეგრელაური. გართულ ყოფილ ის ანგელოზებში. ყველა ანგელოზი იქ ყოფილან.

გახუა ფიცრულში ყოფილ, ჭორმეშავ. მემრ იმას ჯვარ მასვლია დ' უბრძანავ: უნდა ქაჯავეთ გავტეხათავ. ი გახუაიც გაუყოლებავ. გახუა ჭორმეშიონ ყოფილ ქადაგი.

„ერთ მთა ადგილსაც კლდის ძირში ეხჩი დამაწვინესავ, სულ ამამაძვრინესავ. მეც ანგელოზებსთან ვიარევ. შავიდესავ ჯვარნიო დ' მეც იქ შამიყვანესავ ქაჯეთის ციხეშიავ. არ შაგვიტივნესაო დ' ციცაის თავ-ფეჴ დაგვრიესავ. მაჴეცხითავ კლდე-ღრეთავ. „არა შაგიძლავესთაევ?" — ხკითხესავ ერთუცსავ ანგელოზთავ. ჴაჴმატურმ თქვაევ, რო არ ვხკრთებივ მაგასავ. ერთ ცხენ ყოფილიყვავ მკვდარივ, იმის ღრუჩი ჩაძვრავ. გამაგვიდგავ მდევარივ, ქაჯავეთელ ხალხივ. გამასცდავ ჴაჴმატის ჯვარსავ. იმას ნება დაშჩაო დ' ცეცხლი ხკრაევ ციხესავ, ჩაწვავ ყველაფერივ. მაშინისა ველარაი ქნესაო დ' მიბრუნდესავ. მივხყევითავ ჩვენაცავ. სრუ მაიბრუნესავ იქაურობაივ. ქურთემულებ ნამაულავის, შაქრის ზოდებ იყვის, აისეთები, კარატის ჯვარჩი ნახეთქი ას. უცავ ქურთემულისადა დ' დაუხეთქავ.

„ქაჯავეთ რად იარები, გიორგივ, მგელთა ფერაო?
ვალი მიკიდავ, ვალსა ვთხოვ, რას მკითხავ ქრისტეს დედაო.
სინას შჭედს ქაჯთა მჭედელი, მოვასწვერ წურვაზედაო.
ქაჯთა მჭედელმა ჴელკვერი ცხენს მიცა ბეჭებზედაო".

მემრ წამავიდეთავ იქითავ. მაველითავ, საცა ჩემ გვამ იყვავ. მეპურყველე გახუასავ მატლ აშჩენივავ, თქვესავ. ჩავხენეავ, სრუ მატლ იყვავ. გალბერნესავ, გამალბერნესავ, ჩამაძვრინესაო დ' აისეთაივ კაც ვიქენივ.

თ. ოჩ.189.

## 38. ქაჯების დამარცხება

მეორედ კოპალაის ქვა რო ას კოპალაის ხატთ ქვეთი, ციხეი ქაჯთა, ძველებური, ეეხლა ყორენი. იქით ამასატანებ თვლებ ასავ, უთქომ გახუას, ჯვარ მეუბნებისავ. წასულან, ღამით მისულან. ორნ სხვან სტანებივან. „გარმაილივ, გახუაო, გადაილივ ხელივ." აკოშკებშიავ პრიალ იდგავ იალგუნდისაივ. მეორე გადმავიტანევ, ერთ ხატ გადმავილივ. ის თუ[რმე] იალგუნდიავ (ზოგმ ის იცოდის: ხახმატის ჯვარჩი ასავ). გამავედითავ. აი, პირდაპირ ტიჟინა დადგავ. იქავ კბილსავარცხელან ხყვანიყვესავ, იმათ გაიგესავ. გამაგვიდგავ მდევარივ. იდგავ ნგლევაივ. „გაიქეცივ, გახუაო, აგებ გავასწვრათავ." გათენდავ, მემრაო დ' სკივა რაიმ შამაჩინდისავ, შამაგორდისავ. ბურთვს გვესრევენავ, თქვისავ გახუამავ, „მამეშველნითავ, მოძმენო!" — სხვათ ანგელოზთ შასძახდისავ გახუაივ. გახუას ხახმატის ჯვარ სტანებისავ. მემრავ განათდესავ ცის გიდელ-გიდელნივ. ეეხლა მაგვეშველავ კარატიონიც, კოპალაივ. მავიდავ კოპალაივ, ერთიანა ცეცხლ კი გასჩინდავ აი ჭალასავ. აი ქაჯნივ სრუ ჩაინვნესავ, კბილსავარცხელანივ. სამნ გამაგვიდგესავ. ვირბოლეთავ. დარბასში კოდთ შუაში გადავძვერივ. ერთ გზაში მამკვდარ ამხანაგი, მეორე აქ მამკვდარ. გახუა დარბასში კოდთ შუაში გადამძვრალ.

თ. ოჩ. 188-189

## 39. ხახმატის ჯვარი ქაჯების სოფელში

გახუა ყოფილ წამებულ კაცი, ხთის ნათლული. ამას ამურიდებიან სულნი, ისე დამავალას პეპელაის ალით. ხატს ამურიდებავის იმისად სულნი. მემრ წასულან. ყოფილან ჴაჴმატური, გუდანის ჯვარი დ' სხვა ანგელოზნი. წასულან და მისულან ქაჯების სოფელში. ჴაჴმატის ჯვარ ბუზურაად გადაქცეულ, შასულ ქაჯების სახლში. თურმე ბზუის იქ. მემრ ერთ ქაჯს უთქომ, რო „ამ ბუზურამ რაც ქნასავ, ხვალ დილამ ცნასავ". ის ქაჯ მჭედელ ყოფილავ. დასდევნებივან ამ ბუზურას — „ეს მავკლათავ, თორე გაგვაფუჭებსავ". რო შასწუხდ, ეს ბუზურა შაძვრ ცხენის ღრუეში. მემრ მივიდ კოპალაი, შაღრივ ლახტი დ' გამაწყვიტ ქაჯები.

იქით გამაიღეს თეფშები, საკიდელი (მკლავის სისქე გვლარძები აქვ), ვერცხლეულობა. ქაჯებს გაცხელებულ რკინაი დ' ქურთემულებ დაურევავ ანგელოზთად. ქაჯაავეთიით ერთ ძროხის რქა მაულავა დ' ერთ საწყავ ჩამდინარ.

როსაც დაბრუნვილან, ერთ ხე მდგარ, იმასთან მისულან. ე სულნ თუ[რმე] ამაარიდეს გახუასა დ' გვამ ი ხეს მიხყუდეს. მესამე დღეს მასულან. გვამსავ სულ აუვიდაო დ' ველარ ჩასულ სული. მემრ უთქომ ანგელოზებს: „ჩაძვერივ, მეპურყველე გახუაო, შიგავ".
ის გახუა გოგოჭურ ყოფილ. მკადრე ყოფილ, ხთის წამებული.

თ. ოჩ.188

## 40. ქაჯავეთს ლაშქრობა III

პაპასჩემმ თქვის, რო ჴაჴმატის ჯვარს ქაჯეთ გაუტეხავის, ხოლო ეს ქაჯეთ რა იყვ ან სად იყვ, არ ვიცით. დიდოეთიც გაუტეხავის. ეეხლადაც იციან: „დიდოეთის გამტეხეო" ჴაჴმატის ჯვარზედ. დიდოეთიც და ქაჯეთიც გაუტეხავის, გამოულალავის ქაჯეთით ძალიან ბევრი საქონ. წამოულალიან სამნ ქაჯის ქალნი: სამძიმარი, აშექალი და მზექალი. ესენი წამოუყოლებიან წმიდა გიორგის, ჴაჴმატის ჯვარს. ჴაჴმატის ჯვარს იქიდან წამოუყვანავ საქონი, წამოუტანავის ქაჯავეთის ერთ ცხრაენიან ზარი, ცხრაძალიან ოქროს ფანდური, სასრევ-სამართებელ წამოუღავ. სასრევ-სამართებელნ სანებას დაუპარიან. იმაზე ამტერებული არიან ჩვენ ჯვარი და ჴადუის ჯვარი. არ შაიძლების ჴაჴმატის ჯვარკაცი, ხუცეს, ქუდიან, მედროშე ხატისა მივიდას, დროშა მიიტანას. არ შაიძლების, რო ჴადუელთ ამბავზე ჩვენ ჯვარ ნავიდას. არც ჴადუის ჯვარკაცნ მადიან (როდინდელი ამბავი და აქამდე ეს მადის!).
ჴაჴმატის ჯვარს ქაჯავეთის აღება გასჭირვებიას. ხან ირმის სახით წასულას, ხან ღურბლის სახით წასულას, ცით წასულას. „არ შამიშვესავ. რამდენიც მივედივ, ისარ დამაყარესავ. ვერცაით ვერ შავედივ, ვერცაით ვერაო და ცხენის ღრუში შევსხლტივ". ცხენის ღრუშივ ჴაჴმატის ჯვარი და აისრ შაჰპარვივ ქაჯებსა და მემრიადა გაუტეხავის და გამაულალავის საქონ. იმის მემრ ჩვენ ჯვარში ცხენის დაკვლა აუკრძალავის. „მეავ ამან მიშველავ." წინეებ კვიცებს სწირევდეს. აუკრძალავის: „აღარ დაიკვლისავ!" იმის მემრ ნათლავენ ცხენს და გაუშობენ, იქნების ჯვარისა, როგორც ჴარი ას ჯვარისა გაშვებული, აისრ. ჩვენ ჯვარში, როგორც ადამიან დაინათლების, ეგრე დანათლევენ ცხენს.

მთხრ. მამუკა ქეთელაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ბისო, 1985.
თსუფა 27123-27124

## 41. გახუა და ქაჯავეთის ნადავლი

ანგელოზთავ სულნ ურიდებიანავ და თან უყოლებიანავ, ქაჯავეთის გასატეხად ყოლიავ. მეგრელაურის ნასახლარში ეეხლად ხატი, შიგ ნასახლარში. ხელ-სამძივრობით ილოცვენ.

თურმე გამოუვიდეს ქაჯები და დეერივნეს და ნაბდის ჴმლებ თუ ხქონდ იმათ და იმას უქნევდეს და „ციცაის თავ-ფეჴ დაგვრიესავ", — თქვისავ გახუამავ. სხვა ანგელოზ გამეექცავ და ბარისახოს რო ჴმალაი, ის არ გამეექცავ. აი, ჴმალა დეერიავ და სრუ დაფანტავ აი, ქაჯებივ. ქურთემულ წამოუღიათ ერთ იქიდან, რო გაუტეხავ ქაჯავეთი და სრუ მაუსპიან ქაჯნი. მშვილდ-ისარნ წამაუღიან ოქროსანი. გაუნაწილებავ ნადავლი. ხადუურსავ მშვილდ-ისარნ წაუღავ.

მთხრ. ჩალხა გოგოჭური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ჭორმეშავი, 1985.
თსუფა 27127

## 42. ხახმატის გიორგი ქაჯთა სამჭედლოში

გიორგის მასწონს თუ[რმე] ქაჯავეთში. წასულ იქ და გაუყოლებავ ერთ კაც, ჴორციელ. მთაზე სადამ კლდეჩი სულებ ამაურიდებავ და თან გაუყოლებავ ქაჯავეთში. იქ ქაჯებსა საფეხნო ხქონივ გაკეთებულ. სინის მჭედელ ყოფილ. ჭედს თუ[რმე] ის სინასა. შავიდ თუ[რმე] წმიდა გიორგი ი სამჭედლოჩი და ი კაცის სულ თან შახყვა, მჭედლის საჭედი სინა მაუხიბლავ. გამაიღ თუ[რმე] ის სინა და გრდემზე შააგდა და კვერ დახკრა. ის სინა უნ გატყვრას და ხალხ (ქაჯები) სრუ გალუპას. გიორგის ისე მაუხიბლავ ი სინა. გადადვ თუ[რმე] ის სინა მჭედელმ, გამოვიდ კარზე, სოფელჩი წავიდ. იქ ერთ ქაჯ ეგულების. აჴსნას, ეს რა ამბავია. მეუფროსე იქნებოდის, რაღა, მათი. მაიყვან თუ[რმე] სამჭედლოჩი ი ქაჯი. ე სინა ამნაირად შვრებისო, რა ამბავიაო, თუ[რმე] უთხრა. იმ ქაჯმ თუ[რმე] უთხრა: ეს მე ვიცი, ეს გიორგი არის, ესკაიძეო.

მემრ გიორგიმ ჯანღებ თუ[რმე] გააჩინ ი სამჭედლოჩი. მემრ თავის ძალა მაიჴმარა და ე სამჭედლომ იქუხა სრუ-ერთიანა და ნაგაბარ ცისკე გეედინ. იმ გრდემს მათრაჴი თუ[რმე] შამოხკრა და ცხენზე აიღ ი გრდემი, კვერიც თან ამააყოლ იმას. რაც იმ ქაჯებს საქონელ ხყვანდა, ის აქისკე დალალ. აქ თუ[რმე] მარეკეს ი საქონელი და, აქ რო ეკლესია დგას, იქ დააქუჩეს. ერთი ძროხა ცალა-რქა მააყოლ იმაშიგ.

აი ზევით სოფელჩი (ხახმატში) ორ დიაც თუ[რმე] ას თავის ოთახჩი. ერთს გოგო ხყავის, სხვას — ბიჭი. ბიჭის დედა კარებზე გამოსულ, რო გათენებულ. უნახავ ი ქაჯაველით მასულ საქონელ. „ავაჲ, ის რაიაო?!" თუ[რმე] დაიძახა. იმ გოგოს დედამ თუ[რმე] თავის ოთახშიით უძახა: „ჴაჴმატის წმიდა გიორგის ძალიაო ეგიო". იმ დროს თუ[რმე] ი ბალღებ აკავანჩი ატირდეს. დედებიც თუ[რმე] ოთახებში შევიდეს. გოგოს დედამ აკავანშიით ბიჭ ამააყენ, ბიჭის დედამ გოგო თუ[რმე] ამააყენ. იმ თქმაზე ას, რო იმ ხატს გაუცვლია, მაუქცევავ ის გოგოჲ და ბიჭი.

ი ცალა-რქა ძროხა რო მოუყვანავ, იმისთვის რქაი მაუტეხავ. უთქვამ ი წმიდა გიორგის, რო ჩემს ლუდს რო მოხარშავთო, ამ ქაჯაველთური ფურის რქით აწყევით სალუდე ფორიო. აი ეხლა მაშინდელ საწყავ გვიდგას, იმ ფურის რქის წყეი, ის რქაი კი აი ციხეში დგას, ზევით. აღარ იქნების ახლა, დალპებოდა. აი ის გრდემიც მაშინ მოღებული ას, წმიდა გიორგის მოულავ ი ქაჯების სამჭედლოდან. იქით მოუტანავ კიდევ ოქროს ფანდური, ცხრაძალიანი, ოქროს საცერი, სამართებელი, სასრევი.

შან., ხევს. 594-5

## 43. გახუა I

მეგრელაურ ქალთ უვლევავის იქ ქაჯაველთ. ჴაჴმატის ჯვარ ქალის აღით ას. სულნ ამაუცლიან, გვამ დაუგდავ მთაზე. სულნ იქ წაუყვანიან, ქაჯაველთ. ყავარჯნის კოჭ დაუცავის, ორმო ქნილ. აიმაჩი ჩაუყუდებავის აი გვამი. რო მასულან, ჩაუდგმიან იქავ სულნი. მაში მაულავ ბევრა რაიმ. საქონიც მაუსხამ. ფურის რქას (იქი მაღებულს) ჩხუტის წყე ხქონდ. ქურთემულიც მაულავ. ჴაჴმატის ჯვარჩი ას. ის მკადრე ყოფილას. მჴრით მფრინავ ხატ ყოფილას ისი. ის მასდენივ ჴელზე. იმას ხატის აღით მასდენივ. იმას მჴრებ ხქონივ. გაფრენილ თავისით. კაცის თავ აღარ ღმბივ, მე არ გამიგონებავ. იმას ანგელოზებისად პირად უუბნავ.

მეგრელაურ გასდგომივ ცოლ-შვილობას. გასცლივ ი ხატიც. მეგრელაურის შვილს ოქროს ჯაჭვ გამახყოლივ კისერზე. ზდილ ე ბალღი, ზდილ ე ჯაჭვიც. რო გაზდილ უთქომ, რო ცოლიანობის ნებას არ მისცემსავ ი ჯაჭვივ. მამკვდარ ისიც. ი ჯაჭვ დედის მუცლით გამახყოლივ. ის მაშიავ ხატს აუყვანავ დედის მუცლით. იმთვენ სირეგვნე მითხარ შენ, რო იმას ცოლის მაყვანა მაუნდომებავ. ისეთ დაბადულს, დაუშლიდ, მაშ რას იქმოდ.

თ. ოჩ.194

## 44. გახუა II

მეგრელაურ ჭორმეშიონ ყოფილ. იმას ცოლ-შვილ არ ხყვანივ. ნება არ ხქონივ არც დედაკაცის, არც სხუაი. სულ ამოურიდებავ იმისად. ქაჯავეთ წაუყვანავ ჯაჯმატურს. გვამს მატლ დახვევივ. რო მაბრუნებულან, გაურეცხავ გვამი, ჩასულ შიგ სული. ის გიორგის უყოლებავ ქაჯავეთ. ისენ წასულან. ის სამძიმარ ქაჯთ ჯემწიფის ქალ ყოფილ. იქ გველეშაპ ყოფილ. იმას თუ[რმე] უნდა შეეჭამ ერთ ვინ სოფელშიით, წყლისპირში დაუსვემდეს. ის სამძიმარ დაუსომ. მისულა გიორგი. უთქომ, რო გაგანთავისუფლებავ შენავ. მამას უთხარივ, რო წაგიყვანავ. ცხრაჯერ წყალში გაიბანევ, სამივ საკლავ დაკალივ. იქით იმას მაუყვანავ შვიდ ქალი: სამძიმარი, აშექალი, მზექალი, შუქაი, განძაი, ამენქალი, სიმენქალი. სამძიმარმავ ცხრა ენა იცისავ. ის ქადაგობს ყველა ენაზე, ქაჯურადაც ქადაგობს. ჯერ იმათ ენაზე დაიწყებს საუბარს, მემრ ქართულად.

ის ყმაწვილობაშიითავ გაქადაგებულ იქნებოდ. გახუასაც ცოლსთან მისვლის ნება არ ხქონდ. იმის ნასახლარში ჯვარი ეეხლად.

თ. ოჩ. 193

## 45. გახუას ბოლო

გახუაივ ისეთ მკითხავ იყვისავ, რო კაცის დღე იცოდისავ. ხანდიხანავ დაიკარგისაო. ერთ-ორი თვითგეს მავიდისავ, საფარველ დადებულ დახყვანდისავ ხთისშვილთ თანავ. ჯერ კი არ სცოდნივ საუბარი გახუას თავის სიარულისაი. ხთისშვილთაგანაც ნება არ ხქონივ. ბოლოს, რო ხანში შასულ, ხთისშვილიც თანდათან ახხდომივა დ' საუბარიც დაუწყავ თავისა დ' ხთიშვილთ ამბებისა. ამ დროს აღარც ხელზე მაუდიოდ ხთისშვილი.

ალ. ოჩ., M 17, რვ. 34

## 46. ქაჯეთის აკლება

### [თორღვას ნაამბობი]

...მაშინ თორღვამაც გადაუშალა თავის უჟმურის წიგნი და ისეთ-ისეთი წაუკითხა ჩემ ტრაბახა „კახას“ (კახელს), რომ სრუ

კბილები გამოაკრეჭინა. ჩინებულის მოხერხებით უამბო ქაჯ-დევებ-ის ქვეყანას ჩვენის ხატ-ჯვრების გალაშქრების ამბავი... როცა ჩვენ-მა ბატონებმა ქაჯეთი აიკლეს და დავლა-ალაფიანნი შინათკე გამო-ბრუნდნენ, „დევ-ქაჯთაც" მოესროლეს იმათ „ციცეების", ძაღლების და სხვა „უსურმაგის" ნაჭერ-ნაკუწები, მაგრამ გმირმა ბერბაადურმა — გუდანის ჯვარმა დალამფარი უფარა, ვაჟმა ასკაისძემ — ხახმა-ტის ჯვარმა — კაბის კალთები, და ტანზედ არც ერთი არ მიუკარები-ათ. ბორბლის მთასთან, ერთ ვიწრო გამოსავალში, ქაჯებმა იმათ ცხ-ენის დოლოჩაც აუყუდეს, მაგრამ ბიჭნი იმაშიც შიგ გამოძვრნენ და ნასახელარ-გამარჯვებულნი „იქავ ხევსურეთს" მოიქცნენ, ხახმატს შეიყარნენ; აქედამ ყოველივე ქაჯეთიდამ წამოღებულ-წამოსხმული ღმერთს გაუგზავნეს; თავად მხოლოდ ერთი საუკეთესო ფური დაი-ჭირეს, რომელიც საღმრთოდ დაკლეს, სისხლით „გაინათლნენ" და ისევ ის „ვაჟნი" გახდნენ. იმ ფურის რქა, რომელშიაც ერთი კოდი პური ჩადის, ეხლაც ხახმატის ჯვრის მონაშენობაშია შენახული, მა-გრამ „თქვენ ფერეებს კი იმას არ ვაჩვენებთო", დაუმატა თორღვამ.

... მოკვეთილი მხოლოდ „ხადური ჯვარი" ჰყავთ ჯვართა: იმას არ იკარებენ ახლო, თვითონაც ერიდებიან. ახიც კია, მე და ჩემმა ღმერთმა!.. რასა ჰბრძანებთ? იცით, რა უქნია იმ დალოცვილს? რა და ისა, რომ ხახმატის ჯვარისთვის ოქროს სამართებელი და სალეს-ველი მოუპარნია. ამას ჯერ ჩვენ არ „ვჩადით" ჩვენს ქვეყანაში, რომ ჯვარს ეკადრებოდეს? - სხვაგან კი „ქვეც რა უშავდა?" ისიც სად უქ-ნავ იმას „კანტალაობა"... იქა, ჩემო კარგო, რო ხახმატის ჯვარი, როცა ქაჯეთით მომავალა თავის თანამოლაშქრე ხატებით, იმათ ლაშქარს წყალი მაჰწყურებია. ხახმატის ჯვარს კარატის ჯერის კოპალასათ-ვის „დაუძახებავ": „მამეშველე, ჯარი წყურვილს მელევისო". ისაც მაჰგებებია: ერთ უწყლო ადგილს მდელოსად ლახტი დაუტყლაშნია, წყარო ამოუყვანია და მთელი მხედრობა დაუძღვია. „ხადური ჯვარი" კი „უდუმლივ" მოსულა და ის კაი კაცობა გაუწევია, რაც წეღან გიამ-ბეთ: ოქროს სამართებელი და სალესველი მოუპარნია მოზავე ხატე-ბისათვის, რომლებიც იმათ ქაჯეთიდამ წამოღებულები ჰქონიათ.

ვაჟა IX 154-5

## 47. გიორგი ასკაიძე და სამძიმარი

ანდრეზი არის ისეთი, რომ სამი ძმანი ყოფილან, ასკაიძენი. უფროსი გიორგი ნაღვარმშვენიერი აქ დამდგარა (ხახმატს), ერთი

ჭორმეშავს წასულა, გიორგის მოძმედ. ილოცავენ მას ფიცრულში. მესამეც ბოსლოვნის გიორგია. იქ აუარება ბოსლები ყოფილა, აუყრია ბოსლები და თავად დამდგარა.

ნაღვარმშვენიერი კაცი ყოფილა, როცა ქაჯეთი დალაშქრა. ქაჯებს არ სწამთ არც ღმერთი, არც კაცი. წესი ჰქონიათ, რომ თითო შვილი უვლევავ ზღვის პირს, ვეშაპისად უძლევავ. ერთი ქალი ჰყოლიათ, სამძიმარი. ჩაუცვამ აბრეშუმი და მოვიდა ვეშაპი, წაუყვანია ზღვის პირს და იქ დაუსვამს. ამ დროს ასკაიძე გიორგი მისულა და სამძიმარს უთქვამ მისთვის, შემჭამს ვეშაპიო. მაშინ ჩვენ გიორგის დაურტყამს ვეშაპისათვის შუბი და წამოუყვანია სამძიმარი. მოიყვანა თავის ჯვარში და მონათლა თავის რჯულზე. დასდვა საფარველი და ველარ ნახა სამძიმარი ხალხმა.

ბარდ. ხევს. 78-9

## 48. ქალი ვაჟად და ვაჟი ქალად

იმ დროს ყოფილ ის, ხაჴმატის ჯვარ ქაჯოეთი რო დაულაშქრავ. სამრელოჩი ყოფილან შალვაის ცოლი და იმის მული. შალვაი იმ დროს მკვდარ იყო. გამასულ მული და უთქომ, რო გამეედივ, სალებეთანას რა ამბავიაო. გამასულ ეს რძალი და „ჴაჴმატის ჯვარის ძალია, დაილოცოსავ", უთქომ. შასულან იმ სამრელოჩია და ზალსა ქალ ჰყვანდა და ბიჭ აუყენებავ და ქალსა, ბიჭ რომელსაცა ჰყვანდა, ქალ აუყენებავ. მემრე რძალ რო გამასულ ხარებისა დაუდევ უღელი და ოქროსი და ვერცხლის სარტყლები რქებზე მაუბავ. შამაუვლებავ და ეს ადგილები სულ იმათ შაწირულია ხატისად. ჩემ მამამთილ ეგრე მაუყოლებავ, იმაზე მავდივართ, ბიჭ რო აუყენებავო.

მთხრ. ბუბიკა ჭინჭარაული,<br>
ჩამწ. ნანა ზურაბიშვილი, ხახმატი, 1986.<br>
თსუფა 28076

## 49. ქაჯის ქალები I

ღვთიშვილებმა რომ ქაჯავეთი გატეხეს, იქიდან ექვსი ქალი წამოიყვანეს ტყვედ, სამი მოინათლა, სამი მოუნათლავი დარჩა. მონათლული ქალები იტყოდნენ: „მეგრელაური გახუა მოგვწონდა და საცოლედ ვეწონებოდითო".

მონათლული ქაჯის ქალები არიან: სამძიმარი, აშექალი და მზექალი. ეს ქალები ძალიან ჭკვიანები და კაცის მოყვარულები არიან. ძალიან უყვართ გაჭირვებული ადამიანის დახმარება. ისინი ხახმატის ჯვართან ერთად ხსენდებიან და რჯულიან-ურჯულონი ერთნაირად ილოცავენ მათ.

სამი მოუნათლავი ქალი ჭორმეშავის ახლოს არიან, ისინი ადამიანებს მტრობენ და სულ მათ ვნებაზე არიან დამდგარნი. იმათ ხალხი იმიტომ ილოცავს, რომ არაფერი ავნონ, თორემ მათგან რგება არ არის მოსალოდნელი.

ალ. ოჩ. M 15

## 50. ქაჯის ქალები II

გიორგის ადრე უვლავ ქაჯეთ, სდომნივ იმათ გატეხა. ხან რარიგად მაშჩვენებივ, ხან რარიგად — კაცის ალით მაშჩვენებივ, ხან როგორც მუშა ისე მისულ, გზაკვალ გაუგავ.

ქალები ხუთნ წამაუყვანიან იქით. ქალები ხუთნ დაუჭერიან, წამაუყვანავ იქით. ტყვედ წამაუყვანავ, საქონელ იმათად ურებიებავ იქავ.

სამძიმარი, აშექალი, მზექალი ჰქვივნებივ. ორთ სახელი არ ვიცი. მაგათ სახელ ხატს არ უთქმევავ. მოდეობით ჴსენდებიან ეეხლა ეგენ ხთიშვილნი. სამძიმარ მთავარი. ეგ არის მთავარ, როგორც დამცველი. ეგ გაიგებს და გააგებინებს სხვა ხთიშვილთ. საფარველ მაგას აქვ. იხურავს იმას, შადისა და ყურობს, ვინც რას ამბობს. ის პირდაპირ გამოუცხადებს ხთიშვილთ საუბარს. მეგრელაურს ქალის ალით შჩვენებივ, ჴორციელის ქალის ალით, პერანგ უკერავ ნაჭრელებით. მეგრელაურს მასწონებივ, მაყვანა დაუპირებავ. იმ ქალს მასთან თაოდ უმუშავებიან, თაოდ მაუჴსენებიან. მემრ გაუგავ, რო არ ასავ ქალივ. შიგ მეგრელაურის ნასახლარში ას სალოცავ იმისა. მეგრელაურნი ამაუწყვეტინ. მეგრელაურს მეფის ერეკლისად სულ გაუზიარებავ. ვიღაცას უთქომ მეფის ერეკლისად, რო ბევრის ცოდვა გაქვავ, ერთი ვინმე კაც ნახევ, ხთისშვილთ ერთგულივ, სულ გაუზიარევ და ნახევარ ცოდვას მოიცილებავ. და დაუბარებავ ეს კაცი, გახუაი. უთქომ ერეკლეს, რო სამსამჯერავ ზურგზე მავიკიდითავ ერცხვასავ და რასაც ზიდავ, მეერევივ, ოქრო-ვერცხლი წაიტანივ საჩუქრადავ. ღულის იქით მასულან გახუაი და იმის ამხანიგები. მააქვ გუდით ის ოქრო-ვერცხლი. ამხანიგებ ტანებულან. ღულის იქით, სრელოვანაში, ტყეებზედავ, გველ იყვავ გაწოლილივ. ჩოქზე დაჯდა გახუაიო. შეეხვეწავ, წავიდავ ის გველივ. ტყე და ტყე

გაცურდაო და დაიკარგავ. ჩვენ კი გველი ვნახეთავ. — შასცოდებითავ, თქვისავ გახუამავ, — წავიდა ჩემი საქმევ, იმად რო ცუდი გაიზიარ. მისულა და რაც ხატები რამე იყო თასი-ზარი, სრუყველა მიწაში ჩაუდვავ, რო მე ვიღუპებიო ცოლ-შვილით და ჩაუდვავ მიწაში. ამაწყვეტილან კიდეც თავის ცოლ-შვილით. დაღუპულან კიდეც მეორეს წელს.

მთხრ. გიორგი არაბული, 51 წ.,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, დათვისი, 27.07.1962.
თსუფა 29990

## 51. ღალანგურის დაარსება

მწყემსების აგებულ კოშკ ყოფილ მთაზე. იქ უნახავ. შიბათ ჩამასულ, ხატ იყვაო და სურათ იყვავ, როგორც კაცისაო და ჴმალ ხქონდავ ჴელშივ. წყემსებ წამასულან და უთქომთ: ესეთ ესეთ რაღაცაა ამა და ამ ადგილზედაო და წასულას ხალხი. უნახავა და ჴარ იყვავ ერთივ თეთრი და აფრინდავ ის ხატიო და რქების შუაში დაჯდავ. მივიდა ის ჴარი, საცა მთავარი. ის ხატ აფრინდას, ნაშალში ჩავიდას. ის შიბივ აიკეცა და დაიკარგავ. ჴარივ მივიდას და იმაში დაწვავ, სადაც ჩაბძანებულ ხატი. მისულანა და მაუჭრიან თავი ჴარისად, დაარსებულ იმის მემრ. ქადაგ გაუჴდავ თავისა. ის გაუგიჟებავ იქ. ჴარისადაც იმას მაუჭრავ თავი და იმას უძახებისავ სახელიც თავისა და ისიც, თუ რა უფლება ხქონდ. მაშინ დაარსებულ. ეგ კოპალაზე ადრე ას დაარსებულ.

მთხრ. გიორგი გურამის ძე არაბული, 51 წ.
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, დათვისი 27.07.1962.
თსუფა 29992

## 52. კუდიანი დედა-შვილი

იყვნენ დედა და მისი ქალიშვილი ორივე კუდიანები, ეს ქალი გათხოვილი იყო და კუდიან ღამეს თავისი ქმრით მოსულა მამისახლში, იმ ღამეს სიძემ და ცოლის ძმამ არაყი დალიეს და თავისებური დრო გაატარეს. მერე დასაძინებლად რომ წავიდნენ, სიძემ ღილებიც გაიხსნა და ჯვარიც დაიწერა. ცოლის ძმა კი ნასვამი ყოფილა და დავიწყებია ეს წესები. ცოლის ძმას დაეძინა და სიძეს ისევ ეღვიძა,

როცა ამ უკანასკნელის ცოლს და სიდედრს (კუდიანებს) კუდიანები მოუვიდნენ და მოსთხოვეს ადამიანის ღვიძლი (ამ ღამეს ყველა კუდიანი ვალდებული ყოფილა, რომ ვინმე გამოეღვიძლა, უფრო თავისი ნათესავი და სხვა კუდიანებისათვის მიეტანა მისი ღვიძლი. ღვიძლს უხილავად ამოაცლიდნენ და მოკვდებოდა გამოღვიძლული ადამიანი). მაშინ დედამ უთხრა თავის შვილს, ქალს: ადი ჭერხოში, ან შენი ძმა გამოღვიძლე, ან შენი ქმარი და ღვიძლი მოიტანეო. ქალი დაემორჩილა, ავიდა ჭერხოში, ნახა, რომ მის ქმარს ღილიც გახსნილი აქვს და ჯვარიც დაუწერია. მის ქმარს კი არ შეიძლება ხელი შეახოს წესების შესრულების შემდეგ და მის ძმას არც ერთი წესი არ ჰქონდა შესრულებული, მაგრამ ქალს ძმა დანანდა და ვერ გაბედა მისი გამოღვიძვლა, ჩამოვიდა და დედას უთხრა: ჩემს ძმას არ დაუწერია ჯვარი და არც ღილი გაუხსნია, ქმარი რომ ყოფილიყო, გამოვღვიძლავდი და ძმის გამოღვიძვლა ვერ გავბედეო.

დედა გაუწყრა: „რა ძმა და ძმარი, ნადი და ჩქარა გამოღვიძლეო". ქალი დაღონდა, მაგრამ დედამ საშველი არ მისცა და გამოაღვიძვლინა ძმა და თავისი შვილი. ამ დედა-შვილის მოქმედებას სიძე ყველაფერს ყურს უგდებდა და ცოლის ძმა რომ გამოღვიძლეს და კვდომა დაიწყო, სიძემ ამოიღო ხანჯალი და ცოლსა და სიდედრს თავზე დაადგა: ორივეს დაგხოცთ, თუ არ გატყდით და ეს ცოლისძმა არ გამიცოცხლეთო. კუდიანი დედა-შვილი შეშინებულან. დედას უთქვამს შვილისათვის: მიდი, თხა გამოღვიძლე და შენს ძმას ის ღვიძლი ჩაუდევიო. გამოუღვიძლავს თხა. თხა იმავ წამს მომკვდარა, ღვიძლი თავის ძმისთვის ჩაუდვია და მორჩენილა. მერე გატეხილან და ბევრი რამ უამბნია კუდიანების ამბები. ხალხს ისეთი წარმოდგენა და რწმენა ქონია: კუდიანი თუ გატყდებოდა, ჩვეულებრივ ადამიანად იქცეოდა და კუდიანობის წესებისა აღარაფერი ეცოდინებოდა. გატეხა იყო, რომ ის იტყოდა: „მე კუდიანი ვარ, გავტეხილვარო". ამის თქმის შემდეგ მოშორდებოდა კუდიანური სული და დარჩებოდა სუფთა ადამიანი.

ალ. ოჩ. M 32, რვ. 46

## 53. კუდიანი დედა და თორმეტი შვილი

ერთ კუდიან ქალს ეყოლა ექვსჯერ ტყუპი ვაჟიშვილები. სულ თორმეტი. თერთმეტი გამოაღვიძლინეს და მეთორმეტის გამოღვიძვლა რომ დაავალეს, ვეღარ გაიმეტა და გამოტეხილა. ჯერ დავალებაზე უარი უთქვამს: ერთი შვილი მაინც უნდა შევირჩინოო, კუდი-

ანებს მაინც დაუყინებია და მოუთხოვიათ გამოღვიძვლა. მეტი საშველი რო არ ჰქონია, ქალი გამოტეხილა და ლექსად უთქვამს:

მე ექვსის მუცლის მამგე ორ, თორმეტის შვილის დედაო,
უნცროსის ჟამურულისა, ეხლა ძლივ მექნა ნებაო.

ეს რომ უთქვამს, მოშორებია კუდიანური სული და დამრჩალა ჩვეულებრივი ადამიანი, შერჩენია უმცროსი შვილი.

ალ. ოჩ. M 32, რვ. 46

## 54. უტეხი კუდიანი

ერთ კაცს ჰყოლია კუდიანი დედა. ჯერ ერთი ცოლ-შვილი დაუხოცია გამოღვიძვლით თავის შვილისათვის. მერე მეორე ცოლ-შვილი გაუჩენია და იგინიც დაუხოცია. მესამე ცოლ-შვილი რომ გაუჩენია, წასულა მკითხავთან. მკითხავს უთქვამს: „დედა გყავს კუდიანი, ან უნდა გასტეხო და მოკვდეს, თორემ ცოლ-შვილი არ შეგრჩება და კიდევ გამოგიღვიძლავსო. შვილს ყოველი ღონე უხმარია დედის გამოსატეხად და, ბოლოს, რომ არ გამოტეხილა, შემოკვდომია თავისი დედა. დედა რომ მომკვდარა, აღარავინ მოკვდომია და შერჩენია ცოლ-შვილი.

ალ. ოჩ. M 32, რვ. 46

## 55. გამოტეხილი კუდიანი

ყოფილა ოთხი ძმა. მოუყვანია ყველას ცოლები და ერთს ძმას კუდიანი ცოლი შეხვედრია. ამ რძალს თურმე ერთ-ერთი მაზლი ძალიან უყვარდა. ეს კუდიანებმა იცოდნენ და თხოვდნენ მისი კარგი მაზლის ღვიძლს. ამ კუდიანმა თურმე ვერ გაიმეტა ის მაზლი, რომელიც უყვარდა და მის მაგიერ გამოღვიძლა მეორე მაზლი. მეორედ მოთხოვეს მისივე გამოღვიძვლა და ისევე ვერ გაიმეტა და სხვა მაზლი გამოუღვიძლავს. მესამეზე მოსულან კუდიანები და მოუნდომებიათ მისი კარგი მაზლის გადაგდება ბანიდან და ისე გამოღვიძვლა. ამის მნახველმა კუდიანმა ვერ გაიმეტა მაზლი და დაიძახა: „არიქა, მაზლო, კუდიანები ბანიდან გადაგაგდებენ, გავტეხილვარ, კუდიანი ვარო". ეს რომ დაიძახა, მაზლი შეკრთა და მოშორდა ბანის წვერს და გადარჩა გადავარდნას. ამ კუდიანსაც ახდა კუდია-

ნური სული და დარჩა სუფთა ადამიანი. მერე გამოტეხილა. კუდიანი ლაპარაკობდა: „გატეხის ნება არ გვქონდა, კუდიანები თან მუქარით გვაშინებდნენ და თან კუდიანს უნდა, რომ კუდიანი იყოს და იცოდეს ყველაფერი, რაც ხდება ქვეყანაზე და ამიტომ ეზარება გამოტეხაო. მაგრამ მე ეგ მაზლი ძალიან მიყვარდა, სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე და გამოვტყდიო.

ალ. ოჩ. M 32, რვ. 46

# ლიქოკი

## 56. კოპალას დაარსება ლიქოკში I

ლიქოკში არის ერთი მაღალი მთა — კარატისწვერი. ეს წვერი მთაზე პატარა დავაკებაა. ერთ მხარეზე გადახედავს ბულალაურთას, ფშავის სოფელს, და მეორე მხარეზე — ლიქოკის ხეობას. ამ ფშაველ-ხევსურების და, ნამეტნავად, ამ ორი სოფლის ადგილს საზღვრავს ეს მთა — კარატისწვერი. ამ მთაზე ზაფხულობით ამოდის როგორც ბულალაურთის საქონელი, ისე ლიქოკლებისა და ამ მთის სიმაღლეზე სანიაოზე დგებიან.

აქ ამოდიოდნენ და ერთიმეორეს ხვდებოდნენ ორივე მხარის მწყემსები. ლიქოკში კარატის ჯვარის კოპალას დაარსებამდე იყვნენ ლიქოკელი ახალგაზრდა ვაჟი და ბულალაურელი ახალგაზრდა ქალი. იყვნენ სრულიად ახალგაზრდები და ძალიან უყვარდათ ერთიმეორე. მხოლოდ და-ძმასავით იყვნენ.

ერთხელ მათ ძროხები ჰყავდათ კარატისწვერზე. მოესმათ რაღაც წივილი. დაინახეს, რომ მათ მახლობლად ჩამოვიდა ზეციდან ერთი თასი და ვერცხლის ჯაჭვი. ქალ-ვაჟი ჯერ შეშინდა, მერე კი მივიდნენ ზეციდან ჩამოსულ საგნებთან. ამავე დროს ისევ გაისმოდა წივილი და რაღაც ჯღარუნი. ქალმა აიღო შიბი და ვაჟმა თასი (იმათ ეს დაინახეს და აიღეს იმიტომაო, ამბობენ ხევსურები, რომ ისინი ჯერ წმიდად იყვნენ და მამაკაცი და ქალი არ იცოდნენო, თორემ თუ მათი სიწმინდე შელახული ყოფილიყო, ისინი ვერც დაინახავდნენ და ვერც აიღებდნენ თასსა და შიბსაო).

მათ ეს ნივთები სახლში წაიღეს. მხოლოდ პირობა დადეს, რომ არავისთან ეთქვათ ეს ამბავი, არც ოჯახში და არც სხვაგან. ქალმა შიბი მიიტანა და პურიან კიდობანში დამალა, ვაჟმა კი თასი თავის ჭერხოს კარების უკან დადგა და ზედ მიაფარა რამეები, რომ ვერავის დაენახა.

დაღამდა თუ არა, ატყდა ორივე ოჯახში წივილი, მაგრამ ოჯახებში ვერ გაიგეს, რამ გამოიწვია ეს წივილი. ქალი და ვაჟი ერთიმეორის აღთქმის გულისათვის არ გამოტყდნენ და არაფერი უთქვამთ

მომხდარ ამბავზე. მეორე დღეს ქალ-ვაჟი ამავე მთაზე შეიყარნენ და უთხრეს ერთიმეორეს თავ-თავისი თავგადასავალი. გადაწყვიტეს, რომ თუ ეს ამბავი განმეორდებოდა, რაღაცა მიზეზი უნდა ყოფილიყო, და თავ-თავიანთი მშობლებისთვის ეთქვათ. მეორე დღე რომ დაღამდა, ორივე ოჯახში ისევ ატყდა საშინელი წივილი და ჯღარუნი. ქალ-ვაჟი იძულებული გახდა მშობლებისათვის ყველაფერი ეამბათ და ზეციდან ჩამოსული ნივთებიც ეჩვენებინათ. ქალ-ვაჟის მშობლები მკითხავთან წავიდნენ და მკითხავმა უთხრა, შიბი ორად გაეჭრათ და ნახევარი, სადაც პირველად ჩამოვიდა, იქ ჩაეგდოთ მიწაში და ზედ პატარა კოშკი აეშენებინათ. ასევე ის თასიც აქვე უნდა ჩაეგდოთ მიწაში და აქაც პატარა კოშკი აეშენებინათ. იმათაც შეასრულეს მკითხავის დარიგება და ასე მოიქცნენ. გააჩინეს კარატისწვერზე დღეობები წელიწადში ერთხელ, მკათათვეში.

შიბი რომ წაუღია ქალს და ბულალაურთას ჰქონია, აქ იგი მცველად დაუყენებია კარატის ჯვარს მოდე ქალის სახით. ქალი იმ ადგილზე დარჩა, სადაც შიბი იყო და კარატისწვერმა იქ ადგილის დედად დატოვა და ადგილის პატრონობა მას მიანდოო. თვითონაც როგორც მოდესთან კარგი განწყობილება აქვს და ურთიერთშორის მისვლა-მოსვლა. მკითხავ-ხუცესები ამბობენ, რომ ყოველ მეშვიდე წელს კარატისჯვარის კოშკიდან ამოვა გველი და ბულალაურთაში ადგილის დედის კოშკში ჩავაო. ამას მარტო წმინდა კაცები ვხედავთ და დანარჩენი ხალხი ვერ ხედავსო.

ალ. ოჩ. M 15, რვ. 11

## 57. კოპალას დაარსება ლიქოკში II

აქ რო ხატის ლოცვილობა გაჩენილ, ის ქალ ყოფილ, იმას ქვივნილ ნინო. წასულ ისი, შიგ ჯვარჩი მამკვდარ ბოლოს, დარბასჩი. ველარაით გამოუღავ. ჴარებ მაუბამ, ვერ გამაუთრევავ. მემრ ჯვარს უბრძანებავ, ჩემ ახლო დალმარხეთავ. კარატის ჯვარჩი ღმარხავ.

ის ჯვარს დაუჭერავ ბალღი, მწყემსი. ხატ მასვლივას ციდან (ის რომ მამკვდარ, თმა იყვ იმისა შანახულ, პირში ვერცხლის ღილაების).

ჯვარ-ხატის ალით ჩამასულ კოპალაი. ის ისრ ყოფილ, რო ბულალაურთის მილმ სოფლები მდგარ. იქ მწყემსობას რო შაიძლებენ, ორ ქალ-ვაჟს კარატეს საქონელ უდენავ. მწყემსობას დადიანა დ' იმაში ერთ ბატარა კოშკ გაუკეთებავ, ქვებისაი. მეორე დღეს ერთხან, როსამ რომ მისულან, ი კოშკზე დაყუდებულ ხატ ყოფილ. ის მფრინავ ხატ ყოფილ. ჩამასულ ხატი დ' ზე შიბი ხქონივას მიმბული იქით (ცი-

დან). ბალღებ გასაოცრებულან, აუყვანავ ხატი. გაგლეჯილ, მჯართ გაშლა როა, აიმოდენა შიბ თან ჩამახყოლივ, დანარჩენ გამხტარ, შაუჴსნავ შიბი, დაუწყავ დავა. ქალ ლიქოკის აქათი ამასულ. მემრ უთქომ, წილ გავყარათავ, წყლიან ჯამ დავდგათავ, საისკესაც გადაიხრებისავ, იმას ჯვარი ხქონდისავ, მეორესავ შიბივ. ჯამ ლიქოკისკე გადაბრუნვილ, ჯვარ ქალს დაშჩომივ. მემრ გაჴდილ ქადაგ ის ქალი, გაქადაგებულ. გაუგავ ხალხს, მავკლათავ, უთქომ. ის ქალ ხან სად მალულ, ხან სად. ი ხატს თან უყოლებავ. ხატ ხან გაფრინდების, ხან მაუვ. იმ ქალს არც მეთვეურობის წესნ ხქონივან, არც ქმრიანობისა, არც მებოსლეობისა. ი ხატს უბეგრავ, უყოლებავ თუშეთში. მარანზე ჩასულ კახეთში, ყურძენ აუღავის. ხატს უყოლებავ ის ქალი. ნავ ხატი, მიდის ქალიც. ქალ ფეჴით, ხატ ფრინავს. გზას ის ასწავლის. ქალმ რა იცოდ, თუშეთ სად ას. რაიც სოფელი ას თუშეთ, სრუ ბეგარა უდებავ: ზოგან ცხვარი, ზოგან ვერცხლი. დიდოებ ამ ხატს მაუქრისტიანებავ, მარჯულებულან. მემრ საათენგენოდ ხატიონნ გადამდგარან. ხატიცა დ'ქალიც ყოფილან. კარატიონნივ ელოში ჩამავიდესავ, მახიბლულ მაიჴსნავ. როცა ისენ ჩადიოდეს, მაში მაიჴსნისავ.

პირველ იმას (ქალს) აუტეხავ მთელ ქადაგობა ჴევსურეთში, გუდანაც, ჴაჴმატაც. იმ ქალს სრუ მუდამ ხატში უვლავ სალოცავად. მემრ ეკლესია დაუდგამ, დარბას გაუმართებავ, მემრ დღეობებ დაუწესებავ - ათენგენა, ამაღლება, სხვაი.

ხალხს არ უყენებავ ი ქალი: „ეს ვინ ასავ, ეგ რას ავლევსავ, რაიავ!" ის ხალხ სრუ დაულევავ (ხატს). ხატთ ერთკე ჭეტკოელნ ყოფილან, გაუთავებავ. მეორე — კვათიონნი, ნაციონნი, მარნაულნი. ისეებ გვარებ ყოფილას, ხატს შამახვეულნ ყოფილან. იმათ ხატში სიარულის ნება არ უძლევავ ქალისადა ხატისად. ეეხლად იმათ მამულ კოპალას უჭერავ, ხატს.

იმ ქალს არ უხუცებავ, ეეგრ საქადაგოდ უუბნავ.

თ. ოჩ. 161-163

## 58. კოპალას დაარსება ლიქოკში III

ერთ დროს ხევსური მწყემსი ბიჭი შეხვედრია ფშაველ გოგოს, რომელიც ცხვარს მწყემსავდა მთაზე, სადაც ახლა ხატია. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეყვარებია. ერთხელ ციდან ჩამოვარდნილა ოქროს ჯაჭვი. ორივე ჩასჭიდებია ჯაჭვს, არ უნდოდათ ერთმანეთისთვის დაეთმოთ. ბოლოს, გადაწყვიტეს წილი ეყარათ. ჯაჭვი ვაჟს შეხვდა, რომელმაც იგი პურის გუდაში დამალა. როცა სახლში დაბრუნდა,

გუდიდან ყვირილი მოისმა. მწყემსის დედამ მოინდომა ამბის გაგება. გახსნეს გუდა და იქიდან ამოფრინდა ჩიტი და ცაში გაფრინდა. ამ შემთხვევის გამო კარატეში დღესასწაული დააწესეს და ჩიტს საგანგებო ჭურჭელი შესწირეს.

სანებაზე ამავე ამბავს ყვებიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თითქოს ჯაჭვს დედათნესში მყოფი ქალი შეხებოდეს. ამის შემდეგ ჯაჭვი ჩიტად კი არ გადაქცეულა, არამედ უკანვე დაბრუნებულა ცაში.

რადე 100-101

## 59. კოპალას დაარსება ლიქოკში IV

ახალგაზრდა ხევსურს შეუყვარდა ფშაველი გოგონა. იპოვეს ოქროს ჯაჭვი. წილი ჰყარეს და ჯაჭვი ბიჭს ერგო. ბიჭმა ეს ჯაჭვი გუდით წაიღო სახლში. დედამ უნებურად გახსნა გუდა და ჯაჭვი ცაში გაფრინდა. ბიჭი მთათუშეთში იქნა წაყვანილი, რის შემდეგაც ხევსურეთში საშინელი დროება დამდგარა: უფროსებიც კი ველარ გამოდიოდნენ გარეთ. როცა დარწმუნდნენ, რომ ბიჭი წმიდა ადამიანი იყო, ხევსურებმა მის სახსოვრად ააშენეს კარატის ჯვარი. მალე წმინდანი დაბრუნდა ხევსურეთში, სადაც აღადგინა წესრიგი და კარგი დროება. ბიჭი მოკვდა ეკლესიასთან მდგარი.

ამის სამახსოვროდ ხევსურეთში დაწყებული დღესასწაული კარატის ჯვრისა თუშეთში გადადის (გრძელდება), სადაც ასევე ადუღებენ ლუდს და ხვდებიან სტუმრებს.

ხუდ. 96

## 60. შუბნური ჯვარის დაარსება I

შუბნური არის გველის სახით. ის თუშეთიდან არის მოყვანილი. თუშეთიდან წამოსულა თურმე ერთი თათარი, მთაზე ლიქოკელი მწყემსები შეხვედრიან და მოკვლა დაუპირებიათ. მან სთხოვა: „ძიმაო, ნუ მომკლავთ". „ძიმაო" „ძმაოს" მაგივრად უთქვამს, ქართული კარგად არ სცოდნია. რაკი ძმობა შეასწრო, წამოიყვანეს და ადგილი მისცეს თავის ცოტა მოშორებით და დაბინავდა. შეუყვარდა ხევსური ქალი და შვილი ეყოლა მასთან. ხევსურებმა მოიძულეს და თავისთან არ უშვებდნენ. მაშინ შუბანი დიდი სოფელი იყო, სამოცამდე კომლი ცხოვრობდა. ეს სოფელი უფრო აწუხებდა ძიმას, მოსვენებას სრულებით არ აძლევდნენ. და იყო ძალიან დაღონებული. შეყვარე-

ბული ხევსური ქალი კი ცოლად მოიყვანა და მასთან ცხრა ვაჟიშვილი შეეძინა. დაერქვათ მათ ძიმაისძენი და იყვნენ ძალიან ამაყი და კარგი ვაჟკაცები.

ძიმა, სანამ შვილები მოეზრდებოდნენ, დიდად შევიწროებული იყო. გადაწყვიტა წასულიყო და თავისი მტრების მოსაგერიერებლად თუშეთიდან მოეყვანა შუბნური ჯვარი კოპალას მოძმედ. წავიდა და იქიდან ვერცხლის თასი წამოიღო და ჩუმად იმათ სახლში მიწაში ჩადგა, ვისი ჯავრიც სჭირდა. ისინი სამნი ძმანი იყვნენ. ამ თასის ჩადგმის შემდეგ მათ კერაში ერთი იფნი ამოვიდა. ძმებმა მოჭრეს და გადააგდეს. მეორე დილას ისევ ამოვიდა იფნი და ისევ მოჭრეს. მესამედ რომ ამოვიდა, გველი ამოჰყვა და ზედ შემოეხვია.

მიხვდნენ, რომ აქ რაღაც ამბავი იყო და გამოიბარგნენ სახლიდან. ერთ ძმას ჩალხი ერქვა. მან სახლს ცეცხლი შეაყარა და დაწვა. თვითონ კი, ცეცხლი რომ მოუკიდა, მაშინვე წავიდა იქიდან. შორს რომ გაიარა, მოიხედა: ნეტავ, რა იქნა, ცეცხლი რომ წავუკიდეო. მოიხედა და ამ დროს ცეცხლის ნაპერწკალი გამოფრინდა და ეცა ცხვირზე ჩალხს. ცხვირი რომ დაეწვა, ხელი მიიკრა და ცხვირი მოსძვრა, დაბლა დაეცა და დარჩა ჩალხი უცხვირო.

ამის შემდეგ აიყარა სამოცივე კომლი და ის ადგილი შუბნურმა ჯვარმა დაიჭირა და ახლაც მის ხელშია.

ალ. ოჩ. M 15, რვ. 11

## 61. შუბნური ჯვარის დაარსება II

ნერგის ანგელოზის საარსოში იქ სამნი ძმანი მდგარან... შუბნურს მოუნდომებია აქ დადგომა. ამ სამ ძმათ ყვერფში იფნი ამოსვლია. მაუჭრავ ეს იფნი, მეორედაც ამოსულა და ისევ მაუჭრავ, მესამედ ამოსულა და გველი ამოხყოლია თან. გამოსულან ძმანი და უთქომ: „ჩვენ აქ არ გვაყენებსავ რაიმაო დ'წავიდ-წავიდეთავ." ერთი ძმა აჭეს წასულა, მეორე ძმა კარწაულთას, მესამე ბოქჩვილოს. გზაშიით მაბრუნვილა დ' ცეცხლ შაუყრავ სახლისად, დავსწოვ მაინცავ, რაიცალ გადაგვეკიდავ, სახლსავ, იმას არ გავწირავავ. ცეცხლ რო შაუყრავ, წასულ ბოქჩვილოს. კარგა შორს რო წასულ, გამაუხნებავ, ამ ცეცხლწაკიდებულ სახლზეით გამამფრინდალ სკივი, მახვედრივ ცხვირთაო დ' ჩამახყრივან ცხვირნი. მას აქეთ თესლიანობა მაუდიოდ. თესლიანნ კი არ იყვნეს, ჯვარისაგან დამწვარ იყვნეს, მაგრამ ხალხი შუღლში მაინც დამპლობას აყვედრებდ.

ის იფნი ახლაც ისევე არის...

ალ. ოჩ. M 86, რვ. 13 (29)

## 62. გველეშაპი შუბნურის სალოცავში

შუბანში რო სალოცავ ჯვარი, იქ დღეობა რაიმ ყოფილას. დილა რო გამასულან, გველეშაპ ყოფილ შამახვეულ ი მლოცავისადა დ' ჯვარისადაც. ეეხლა გალავანი, იმაზე შამახვეული. ისივ ტანჭირიან ყოფილასავ ი გველეშაპიო დ' შასახვეწნად მასულასავ. გამასვლა თუ[რმე] უნდ ჯვარშიითა დ' „რაიღ ვქნათავ, დაგვთქამსავ“, კანკალებს ხალხი თუ[რმე] შიშით. ბებერ კაცს უთქომ, რო: „მე მაინც მავკვდებიო დ' რასაც მიქსავ, მიქსავ“. მისულას იქ, სადაც თავი ხქონდ ბოლოზე დადებული. აუღავ გველეშაპს თავი დ'ამასულ ხალხი. ტანჭირიან ყოფილა დ' თვალშიაც რაიმ დახვეულ ხქონივ. ი კაც რო მისულას, გადადვავ თავიო დ' სრუ გამასულ ხალხი. როსაც გამასულან, აიღავ თავიო დ' იქავ ბოლოზე დადვავ. სამ-ოთხ დღეს ყოფილას. მემრ წამასულ, გამაულეწავ ჭალაი დ' იმის მემრ გაჩენილ სვეი. ისივ ჭალაისად შამაუმადლებივავ. ის კი წასულა დ' ეეხლა სხვაიავ ჭალაის ყარაულივ. გველის აღით დადისავ.

ამბობენ, დათვის აღითაც ეჩვენებისავ, გველის აღითაცავ. ჭალაის ყარაულ სხვაია დ' ნებისა რო ხყავ დამბულ, ის სხვაი. რომენიც შესცოდვებს ჯვარსა დ' დაუშავებს რას, იმას მიუსევს. ჭალაის ყარაულ ვისაც შახვდებისავ, ვაი იმის ბრალივ.

ერთ კაც, კოღოთ გაგაი, ბულალაურთას ცხოვრობს. იმან თქვა, რო: „ჯვარშისაკავ, შუბნისკე წამავედივ. გზასაყარჩი რო ჩამავედივ, მზეებ დგასავ ისრევავ. დამიბნელდავ რაადამავ ე თვალთავ. ჭექა-ქუხილ რაიმ მავიდავ ჭალაზედავ. გონთ ორავ. ჩამავხედავაო დ' ვამბობავ: „დიდება შენდა, ღმერთო, რა მამივიდავ?“ ნისლ რაიმ გამაჩინდავ. შუაში პარაოზ იყვაო დ' უკენაც ნისლ მასდევდავ. ეეგრ გაიარავ. ეეხლა ვფიქრობავ, როგორ წავიდავ, შავშინდივ. სახლშიავ წავედივ. მეორეს დღეს მკითხავსთან მივედიო დ' იმან მითხრავ: „ჭალაის ყარაულს გამაუვლავაო დ' რო შაგყრიყვავ, ცუდად იქნებოდავ შენ საქმეივ“.

დოლ. 25-26

## 63. ომა — განძის მხილველი

ლიქოკელი ომა ჯვარის ჴელკაცი იყვა და რწმუნებული. ხყვანდ მფრინავ ხატი. ომა კოჭლა კაც იყვისაო დ' ცოდვით დადიოდისავ. მაგრამ კარატის ჯვარსავ ხან სად დახყვანდისავ დ' ხან სად. წინავ კოჭლა არ ყოფილა დ' გველეთში დაკოჭლებულავ.

მასვლივ ომას კარატის ჯვარი ხელზე და გამაუცხადებავ, რო გველეთ უნდა წავიდათავ. იქავ სამალავიაო დ' წინ ლიქოკის ხატი გამაზძლოლივ. არაგვზე ისრ ჩაუვლავ, რო ვერვის უნახავ. საფარველ ზდებივ ომასაცაო დ' კარატის ჯვარის ხატსაც. გველეთ რო მისულ, სადაც სამალავ იყვავ, იმის კარზე გაჩერდავ ხატი. იწრო ჩასაძრომ ყოფილა დ' ჩაზძლოლივ ხატი დ' ჩასულ ომაი. შიგ რო ჩასულან, უნახავ, რო დიდძალ თას-განძ ყოფილ დადგმული. თარო იყვაო დ' სრუ ეჭირავ ვერცხლის თასებსავ. ვერცხლის სურაებ იდგავ ერთს თაროზედავ, სრუ შიბიანები. ერთივ ვერცხლის ყავარჯენ ეყუდავ ერთს კუთხშიავ. მეორეს კუთხშიავ დიდ ქვაბ იდგავ, სალუდეი დ' ზედავ ოქროს ფერივ ყვითელ ჴბო იწვავ. „რაი რა ასავ ამ ქვაბშიავ, აიმ ქვაბსავ ჯოხ შამავკარივ. დადგავ ჯღარ-ჯღურივ ქვაბშიაცაო დ' რაიც თას-განძ იყვავ, სუყველა ძირს დაეცაო დ' დადგავ ჯღრიალივ. იმ ჯღარ-ჯღურზე მაიბრუნავ თავი, ზედ რო იწვავ, იმ ჴბომაო დ' შამამიბღვირავ".

ომა შაშინებულა დ' გამავარდნილ გარეთი. გონთ ახჴდივ, გამაგორვილ, გადავარდნილ კლდეთა დ' დამრჩალ აიქ. „გონთ რო მავედივ, იცოდისავ [თქმა] ომამავ, კლდეთ ძირში ვეგდიო დ' ერთს ფეჴსაც ველარ ვიყოლებდივ. ალარცად ხატ იყვავ იქაო დ' ალარც ანგელოზივ".

მემრ მწყემსებს მაუჴელავ ომაი დ' გაუგებიებავ ხალხისად. მისულ ხალხი დ' საკაცით შინ წაუღავ.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 34

## 64. ომა და დევი

ომა ერთხან შუაფხოს ჭალაზედ მიმავალა დ' შახყრივ დევი. იმ დროს ომას მფრინავ ხატი თან არ ხყონივა დ' დევს დაკვრა გაუბედავ. ომას შაუძახებავ კოპალაისადა დ' ირემთ კალოსავ ცეცხლ გადმაჩინდაო დ' დევმავ მაშივ ღრიალ დაიწყავ. წამავიდავ ყარტის ქუჩივით ცეცხლიო დ' სადაც დევი იყვავ, აიმაში გაუფშვნიტავ. ჯერ ღრიალ დადგაო დ' მემრავ ნატუსრის სულმ იარავ, დაწვავ სადამავ აი დევიო დ' მე კი ნება მექნაო დ' წავედივ. თუ[რმე] იამბის ომამ.

ჯერ ხო ასეთ ჯვარის ჴელკაცებს დევებ ძალიან ემტერებდესა დ' მემრ ომამ რო ეს დევ მააკვლივ კოპალას, მაშინ ქოოდ ძალიან გადეეკიდნეს მესისხლედ ომას, იჭერდეს დევები დ' იძევდეს მასაკლავად, მაგრამ შველდ კოპალაი დ' შჩებოდ ომაი კოპალაის დაჴმარებით დევებისგან მაკვლას.

* * *

ერთხან ომა წავიდ ბაცალიგოს ცოლეულთას სტუმრად. წუხრ რო დაღამდ, წავიდ ომა შინისკეს, ეუბნ სიმამრ, რო:

— ომაო, ეხლა წასვლის დრო არ ასავ, მტრიან კაც ხარავ. კაცთადავ დღე გაუჩენავავ ღმერთსავ სასიარულოდაცავ, სამუშაოდაცავ. ღამეივ მელამიეთაი ასაო დ' იმათ უნდა დაანებასავ.

ომამ თუ ერთხან რაი თქვის, მემრ ის აღარ დაიშალის. წამავიდ ბაცალიგოთ ლიქოკისკედ. იქ ერთ იწრო ჴევი ას გასავალი. აქ რო მასულ, ჴელჩი ნაჭერ ცხენ დამდგარად დ' აღარ გამახყოლივ ომას. გადმაუხენებავ ომასა დ' შავნაბდიან კაც იჯდავ ზედავ.

— ველარ გამაივლისავ, ომაო, შენი ცხენიო დ' ველარც შენ წახოლავ უჭირველივ, — უთქომ დევს.

— შენ ცხენზედავ შავ-ნაბდიან შაჯდაო დ' არც შენ გაგიშობავ უჭირველსავ. ჩამახედივ, — უთქომ ომას, — ამ ცხენზეითავ, მზორიანო, დამპალო.

გადმამხტარ დევი დ' სცემიან ერთუცს. დევსავ ნება არ აქვავ ხთითგანავ, იცოდიან, რო კაცსავ რაიც ძალი აქვავ, იმაზე მეტით ძალით შახვდასავ, ძალ უნდა აუწონასავ დევმან კაცსაო და თაოდაც იმ ძალით უნდა შაებასავ.

შაბმულან დევი დ' ომაი. დიდხანს ვიბრძოლეთავ, იცოდისავ ომამავ, ბოლოს ამაუღავ ომას ხანჯარი დ' დაუკრავ ორი თავში. „დამისამევ", უთქომ დევსა დ' კოპალამ დაგისამასავო დ' ჩაქცეულ დევი დ' დაუწყავ ღრიალი. აქ რო ღრიალ დაუწყავ, ერთმ დევმავ საბალახოსჭალას დაიწყავ ღრიალი. მეორემ დევმავ აბუდელაურ დაიღრიალავ: „არიქათავ, შავნაბდიან მაკლესავ."იქით გაქცეულ ომაი დ' ჭორმეშავ მასულ ნაობურთას. ნაობურთას რო მისულ, ბევრადავ ჭკვაზე აღარ იყვავ, თქვიან. გამოზდგომიან დევებ მდევრად ომას. შინ კი ვერ შასულანა, აი ბანსავ ჭიხ-ჭიხ ედგისავ იქ, სადაც მიდ-მადიოდიანავ. ომა გათენებამდინ იქ ყოფილ, ველარ გაუბედავ შინ წასვლაი.

ომა ხთიშვილიან კაც ყოფილასა დ' დევებს ვერ უწონავ ხთიშვილთ შიშით.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 34

## 65. სანაგი

სისვაურებ მასულები არიან ჭანთეთით. მითხოსკე სადამ არის. იქით წამასულას ერთ კაცი. იმას ქვივნებულას სანაგი. კაცის თავ შამეებერა, თუ რაში იყვ საქმე. ხელთ ჩალბარებავ ის ხევსურებს.

უთქომ, რო თუ გინდათავ მთელ ქისტეთსავ აქ გადმაგალალვიებთ-ავ. იმას უვლავის, ჯარ უყრავ. სანაგის საჯარეივ იციან. იქ უყრავის ლაშქარი, გასძლოლივა და ქისტეთ ულაშქრავ. ყველას ალბათ უყ-ვარდ. ერთ ქალ დაორსულებულას. გაშჩენიას ვაჟიშვილი. უთქომ: ვისი გყავავ. — არ ვიტყვი ჩემ დრომდივ. შვიდის წლისა რო გახდის ის, ბალღივ ხთის კრობას, იქ უძახნებავის ქალ-ვაჟს ერთუცი. ის ქალიც იქ მისულა და ის ვაჟიც იქ მიუყვანავის. — ეეგ რაად მითხრავ, გაუბედავ. აქ თუ არ სანაგიც. მშვილდ-ისარნ დაუკეთებიან, პატა-რანი. როცა გავივლიო და დავწვებიო, მაში წამაღლალიდივ, წამავი-დასო. ხელს დავსდებავ ნაბადზედავ. – სანაგის სანაგი დაგკრავ. მე ვერ ვიტყვივ რო ჩემიავ. გაუვლავ, დაწოლილ. წამოვიდ თუ ი ბალღი და მშვილდ-ისარნ ხელში უჭერიან. მასულასა და იმას ხელ გაუჩე-ცავ. შაშინებულ ი ბალღ და დედასთან მისულ. — არ გცემსავ ეგივ, — იძახოდივ. სანაგის სანაგმ დაგკრავ. გაიყუჩაო და წამადგავ. ამ ძაღლიშვილმავ როგორ შამარცხვინავ. რა უყვათავ, როგორ ვქნა-თავ. ეგ საქმე რად გაბედავ. – რას ამბობთავავ, უთქომ თავის ხალხს. მაგან თავის ხალხს უღალატავ, ჩვენთან გადმოვიდავ სახელიანივ. მისულან და მიულოცავ. მიავ წამავალივ არცად არავ. საურჯულე-სავ ვინაღ მიმიღებსავ. წამავალ არცად მაქვავ. გაუზდავის ის სანა-გის სანაგ. სახლ ხქონივ ბარისახოს, —სისვაურთ ხოვლივ იციან. იმ სანაგის შვილს დაუქორწინებავ. ფშავლის ქალ მაუყვანავ. შიო ხქვინებივა და სამხარაულ ყოფილას გვარად. ლექს უთქომ:

შიო ორ სამხარაული,
სკამს დავჯე ახოვლისასაო,
არცარა ჩემ ქალ სწუნობდა
ნაბიჭვარსავ დუსურბნისაო.

ხყვანის ისი. ყოფილან აქა და გაბევრებულან. სრუ ნასოფლარი ზენით ტყეი ას – წითელ კლდე. ჩვენ გვჭერიას. ხმალა ყოფილ აქ. ჯვარნ მანდ ყოფილან. მემრ რო გაბევრებულას, ზოგ ჭინჭარაული, არაბული. დამდგარან ახოს. დაუტანებავ ძალი. სისვაურებს უთქომ: ავიყარნათავ, სხვაგან წავიდათავ. წასულ-წამასულ სხვაგან. ჯვარის განძს რაღა უყვათავ, გაუსწორებავ. ჩვენ პაპა ლიქოკ წასულ ჭალი-სოფელში. გაღმ რო ხატნი არიან, მთაშია ჩვენ ნასახლარი ბაცეივ, იციან. ორნ ძმან ყოფილან. იქ სოფელ ყოფილას, კვათეი. დიდიდ ყა-ნანი იმათ ნაქონნი. ჯვარისად ას დამრჩალი. ორნ ძმან ყოფილ ღივი და დათვია. ჩვენ პაპან ყოფილან. ღივის შვილებს ჩალხურთ ეძახიან. (ბოქჩვილო). დათვის ისებ ზენ აჭეს არიან. სისვაურთ საჯვარიობოივ იციან. გუშარაანებ ჩვენთანით წასულები, ზოგ ზემო თიანეთ ას. იქ წაუტანავის ეს განძი. სისვაურთ საჯვარიობოვ იციან – დიდ მეიდანი. ქვევრებიც ას. მემრ ზენამხარ გადავიდავ. სასისვაუროსაი ხმალაიო.

ხმალა სანაგის სალოცავ ყოფილას. ხმალაი, მაგრამ წმინდა გიორგი ას. ანატორელნ ჩვენის ჯვარის ყმან იმით იყვეს, რომ ანატორელნი ყოფილან ჩვენების ბიძაშვილები, ჩვენ განაყარნი. ეგენიც სანაგისან არიან. ბიძაშვილებ არიანა თუ არა ანატორელნ კარატეს დიან — ჩვენ ხელში. ეგენ შავლენ შაბათს. წუხრ შუბან მივლენ, დილას კარატეს გავლენ. მლოცავ მადის, ზღვენ მახყავ. ჯვარიონ არ მადიოდ.

მილმახევი ქისტებისა იქნების. ამათ, სამაგანძუროს დაუჭერავის. ბეგარს კრეფენ მილმახევ, ვერას დასდევნებიან, ვირ დაუჭირავ, სავირისხევლებს იმით ეძახიან. ბეგარს მასზე ილებდეს, ურჯულო რო გაურეკავის მანდით ქრისტიანებს, საბეგროდ გაუხდავის. ვინცა დადგების, ის ხარკით ბეგარს მისცემს. მარტო მილმახევია მებეგრე. შატილ ას. მანდ წმინდა გვარი ას აქით გადასულ. ბეგარს გუდანს აძლევენ.

მთხრ. ჩაჩაურ ლიქოკელი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, 14.08.1970.
თსუფა 29983

## 66. სანაგის სანაგი

სანაგის სანაგი. პირველი სანაგი კი არა, მეორე სანაგი. სანაგის სანაგი შვილი იყო იმისა, შვილი.

სანაგი ანატორით იყო წამოსული, ანატორით, შატილით იყო წამოსული სანაგი. იყო ბარისახოში მოსული. ეს იყო ქისტი, ბარისახოში მოვიდა თურმე, მანდ დადგა. გიგაური იყო მაშინ გველეთ. ჰოდა, მაგათ ქალი ვიღაცას შეჰყვარდა. ჰოდა, ხთისკრობას ეძახდენ ღელისვაკეს, აი, ქმოსტით რო გამოვალთ, აი, ღელისვაკის თავ, ხთისკრობას ძახნილან მაშინ. ჰოდა, თურმე ქალ-ვაჟი ცოლ-ქმრის ასარჩევად იქ იყრის თავს წელწადს.

ეს სანაგი ახოს ცხოვრობს. ეს გიგაურის ქალი დაორსულდა, გააჩინა შვილი და არავინ იცის, ვისია. ჰოდა, ეს ბალღი გაიზარდა, იმოდენაა, რო შვილდ-ისარს ხმარობს. მესამე წელში იქნებოდა. ჰოდა, შეიყარა ამ ხთისკრობას ეს ხალხი, ჰოდა, უთხრა დედამ, რომ: „აი, ნაბდიანი კაცი რო წევს, წეედი, მაგას ისარი დაჰკარივ და უთხარივ, რო სანაგის სანაგ დაგკრავსო მაგას“ (სანაგია ეს, რომელიც წევს, ნაბადი ჰხურავს). წავიდა ეს ბალღი და გამოიქცა და დედას მოხვდა ისევ. „რო გადმომხენაოვ, დიდ-დიდნ თვალნ ესხდესავ, შავშინდიოვ“. „ნუ გეშინისაო, თქვა დედამ, მიდიო“. მივიდა ეს ბალღი, აუწანწალდა ხმაი. გაისრივ და ნაბადზე დაეცა ისრის აღეი. „სანაგის სანაგ დაგკრავსავ მაგასავ!“ თქვა.

წამოიშალა ე ხალხიოვ და მიულოცესავ ცოლშვილიანობაივ სანაგსაო. ეს ცოლ-შვილი წამაიყვანავ წუხრავ შინავ. გახდივ ნათესაობა, მაკეთეობაივ, ქორწილობაივ და ისეთურაივ ყველაივ, ვაჟის სახთოიცავ.

ეს სანაგი მოხუცდა, ე ბალღი გაიზარდა და, ეტყობა, რო კარგიც გამოდის. მაშინ ამბობს ეგე:

„შიო ორავ, სამხარაული, სკამს ვიჯე ახოვლისასაო,
სანაგის სანაგს ქალს ვაძლევ, ყმაწვილსავ ოცი წლისასავ.
არცა რას ჩემ ქალს სწუნობდავ, ნაბიჭვარსავ
დუსურბნისასავ".

აიმ ბალღმა, მაშინ გაჩენილ ბალღმა, მაიყვანა სამხარაულის ქალი. აკუშოს იდგა სამხარაული, ფშაველი, მაშინ.

ჰოდა, ი სანაგი ისეთი იყო, რო იმისა იყო ყველაფერი. ხმალაშიც ის იყო უფროსი, დროშათ ამბმელიც ის იყო, ლაშქრის შამყრელიც ის იყო ხევსურეთ. ბევრ იყო ხევსურეთ მამაცი, კაკაცი, ხალხის მხოცელი, მაგრამ ლაშქარი სანაგის მეტს ვერავის ვერ უყრავ. იმას უყრავ ლაშქარი. აი, სანაგის საჯარეს ეძახიან ღულისთავ, კარწეულთისკე რო გადმავას, აიქ, ღულისთავ წყალნია და იმ წყალთან უბარებავ ხალხი იმ სანაგს, იქ შაუყრავ ჯარი, შაუქუჩებავ, დაუბარებავ და იმიტომ ჰქვიან სანაგის საჯარე იმ ადგილს. იმაშიით ხან საისკე წასულა ლაშქარი, ხან საისკე. ხმით ნატირალი სანაგზე:

ნუცალ ერთს კითხავ მამიდასაო,
ხკითხე ბორტველსა ჭეთხოველსაო,
მემრ ნადი, გიგას დაეკითხეო,
ახოს სანაგის მემიჯნესაო.
რიგნი წაიქცნეს ახოჩიგაო,
სანაგი მოკვდა სანაგისაო,
დროშათა ვინაც აგვიბემდაო,
ჴმალას წითლისა ატლაზისაო,
ლაშქართა ვინალ შაგვიყრიდაო,
გიგაურ-სამხარაულთაო,
მუხრანსა ვინალ გალბეგრევდაო,
მინდორთა სისხლით მობასრულთაო.

აი, იმ სანაგის შვილები ვართ ჩვენ. ორ ძმანი იყვნეს ისენი. დათავთავადდნენ, გაიყარნენ. ერთი ქვეით წამოვიდა, ერთი ზეით წავიდა...

მთხრ. ძაღლიკა ხახიაური (ლიქოკელი),
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, თბილისი, 1980
თსუფა 24515

# 67. მეფე ერეკლე

მეფე ერეკლე მისულ სალოცავა დ' სანეს შამხდარ. იმ დროს ჩამავიდ ის დალოცვილი დ' იმ ციხეშიგა დ' მოვიდაო დ' უნდა შავიდას ერეკლეი დ' ვერ შავიდ, გამაგორდ. მეორედ მოვიდიდ, მესამედ. გამაგორდ. ერეკლეს უთქომ უწმინდური ვიყავივ ხუთმეტ დღე უნდა ენმიდ.

მთხრ. გიგია იმედას ძე ლიქოკელი (ბასხაჯაური),
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, ჭალისოფელი, 7.VII.62.
თსუფა 30003-ბ

# გორშელმა

## 68. პირქუში

პირქუში იმით ხქვიან, რო ისი შახედულად ცუდის სახისაი ას. წინავ ძალიან კაის სახისა ყოფილა დ' ოცდასამ ქალ ყოფილა, ვისაც ის ხყვარებივ. უთქომა დ' შაუთხოვავ ხთისად, რო ძალიან ბევრს უყვარორაო დ', ღმერთო, ისეთ რა მიქენივ, რო ამ ქალებს აღარ უყვარდავ. მერიგემ ღმერთმ გაუგონა დ' გააჩინ ყვაილი. ყვაილმ ისრ მაუთოჴნ პირსახეი დ' გააჯულურ, რო აღარავინ ახლოს არ ეკარებოდ. სხვამ ყველამ თავ დაანება დ' სამმ ქალმ არ დაანებ თავი. ერთ ქალი ელენე ყოფილ, რომენსაც პირქუში უყვარდა დ' იმას მაინც თავ არ დაუნებებავ. პირქუშმ თქვისავ: რახან ელენე ყვარელშიით ჩემკე წამავიდისავ, იმის სამკაულის ჟიჟინივ სამჭედლოში მამდიოდისავ.

პირქუში წინწინ კაც ყოფილ, მჭედელი. ის ყოფილ მგელაის შვილი, დავითი. ნაწილიან ყოფილას. რახან დაიძინისავ, მჴართ შუაშიით შუქ ამავარდისაო დ' გაანათისავ იქაობაივ. სხოდაც მანათის ოდნავ ხქონდისავ მჴართ შუაშიავ თეთრ კვერივ. ისით ჴორცნი ხქონ, რო მზესავით შუქს უშობენ.

პირქუშს უთქომ, რო ახმეტას წავედივ ვენაჴის მოსავლელადაო დ','რო მავედივ, გრდემზე ეწერავ, რო მგელაიშვილ დავითივ ამა და ამ დღეს უნდა მაკვდასავ. ვიწვალევ, უთქომ პირქუშს, რამთვენჯერამავ გრდემივ ცეცხლში ჩავაგდიო დ' მაიც არ წაიშალავ. მე მინდოდავ, რო ის დაწერილი წაშლილიყვავო დ' მაგრამ მაინც არ იქნავ, როსაც დალიშნულ იყავავ დროივ, სწორედ იმ დროს ამამივიდავ სულივ. ისეთ წმიდა კაც ყოფილ რო, რო მომკვდარ, ხთისნასახად გადაქცეულ. მემრ რო სულიწმიდად გადაქცეულ, აჴადს მასულასა დ' იქ დაარსებულ. მაშინ ბაცალიგველნიც იქ მდგარანა დ' ძმობა ხქონივ აჴადელთან.

პირქუშ რო დაარსებულ აჴად, მკითხავ გაუქადაგებავა დ' მაუთხოვიან ყმანი. ბაცალიგველ-აჴადელთ სცოდნივ, რო პირქუშივ კაცი იყვავ მჭედელიო დ' იმას რაჴელ დავეყმნათავ, უთქომ, არ დახყ-

მობიონა დ' გამწყრალ ძალიან პირქუში. ზოგისად ცეცხლ გაუჩენავ, ზოგ აოდ გაუხდავა დ' ისრ შაუშინებიან, რო, ბოლოს, პირქუშის ყმათ ჯარჯ გირკლიანებს უდენავ. გაუკეთებავ აჴად პირქუშის კოშკი, დარბასი დ' საქვაბეი, და დაუწყავ ლუდის დუღილი დ' ლოცვა პირქუშისა.

პირქუშს ყმან ისით დატეხილნი ხყვანიონ, რო დღეობა რო მავიდისავ, ყველას ხქონდისავ ჯარჯ გირკალივ დამზადებულივ კაცებსავ, ჯვარჩიაც ჯარჯ გირკალიანებ დადიოდიანავ, ღამითაც ჯარჯ-გირკალიანებ იძინებდიანავ დღეობაშიავ. თუ ვინ ჯარჯ-გირკალს მაიშორებდ, მაშივ აოდ უჴდავა დ' უმიზეზებავ ჯვარს, პირქუშს. ბოლოს, სრუ სალოცავ ძრიელ ჯვარად გადაიქცავ უბრალო კაცივ, იცოდიან [თქმა]. ჯვარჩი რახან ჯარზე დასხდიანავ პირქუშის ყმანივ, ჯარჯ-გირკალსავ ჯღარა-ჯღურ გახქონდისავ, იცოდიან. როდესაც ჯარჯ-გირკალს ჩაისხემდესავ, მაშინავ იარაღიც სრუ დაყარიანავ პირქუშის ყმათავ. ჯარჯ-გირკალივ პირქუშმავ იმით გაუწესავ, რო წინ-წინ რო არ დაღმორჩილდესავ. მაშინდელ ჯარჯ-გირკალი ნელობამდინ ხქონივ შანახული ხალხს. ბოლოს ჯვარში მიუტანავა დ'იქით ას დაკარგული. ჯარჯ-გირკალი რო მაუშლავ, მას იქითავ მაუვიდისავ ქადაგსავ ჯვარიო დ' ატანებდიებდისავ: „მე მაშინ მქონდავ ძალიო დ' შაძლებაივ, როსაც ყმანივ ჯარჯ გორკლიანნ დამიდიოდესავ. აეხლადავ მკლავივ მკლავს გამისწორეთაო დ' კისერივ კისერსავ. მაგრამ აისივ პირქუშ კი ორავ. თუ ჩემ ცხრაფესვიან მათრაჴ დავიბრუნევო დ' ჩემ უნამებივ მინასთან გავასწორებ, მაშინ გაიგებენავ ჩემნ ყმანივ, რო პირქუშსავ აისივ ძალი-შაძლებაი ხქონივავ".

პირქუში წინწინ იორზე მდგარი აჴადს იქით მასულა დ' იქაც უდენავ ძველებს სალოცავად, იქაც ყოფილ იმის ნიში. მემრ რო ბაცალიგველნი ბაცალიგოს წამასულან, პირქუშიც გამახყოლივ, რაიც დამრჩალი დ' ყველა ერთნაირ სალოცავი. ხოლოთ ძალა კი უფრო ბაცალიგოს პირქუშს ხქონივას წინავ, რაკი ის თავ იყვ. პირქუშ ყოფილას დევებსთან მებრძოლი დ' უჴოცავ დევები. მემრ რო მთავარ რაიც იყვ, ის ბაცალიგოს წასულასა დ' აჴადს იმაზე ღამით დამრჩალა დ' იმთვენ შაძლება აღარ ხქონივ. ემისად დევებს დაუწყავ ბრძოლაი დ' ჩაგვრაი. ქადაგ რახან დასვიანავ, მაშინ მაატანებივისავ აჴადის პირქუშმავ დევების მუქარაივ: „თქვენავ, პირმზორიანნო, მე თუ ძალიო დ' შაძლება არ მაქვავ იმთვენივ, რო თქვენ გაგამტვერნათავ, მე გავაგებიებავ ბაცალიგოს ლეკურთაში მდგარს ჩემს მოძმეს პირქუშსაო დ' ცეცხლით დაგწვავთავ ერთიანადავ".

პირქუში წინ-წინ იორზე რო მისულას, იქ ზდობნივ დადგომადაარსება, სადაც დევები მდგარან. ხთიშვილთ უთქომ: „პირქუშივ ქალისპირაი ასავ, ეგივ დევებს ვერას ეტყვისავ, იქით ვერ ახყრი-

სავ, ვერას ეტყვისავ, ეშინიანავ. მაგრამ კოპალაი დ' თავის ძმობილი წყაროსთავ წმიდა გიორგი დაშველებიონ. იმათ დაჴმარებით დევებ ამაუწყვეტიანა დ' თაოდ დაარსებულ პირქუში იმათ ნამყოფლავში. მემრ კი გაუგავ ხთიშვილთ, რომ კოპალაი დ' წმიდა გიორგი პირქუშს ძმობილები ხყვანდესავ, გაჭირვებაში ისენ უშველდეს თავის ძმობილს. ამის გაგებაზე პირქუშს უფრო პატივ დაზდვეს ხთიშვილთაცა დ' თავის ყმათაც. უფრო მეტად ილოცევდესა დ' სწირევდეს შასაწირავსაც, ზღვენსაც. გააჩინესა დ' ააბეს პირქუშის დროშაიც. პირქუში მჭედელი იყვა დ' წყაროსთაულს წმიდა გიორგის ის უკეთებდ მშვილდ-ისარს, რაკი წყაროსთაულიც მშვილდ-ისრით მეომარი დ' მებრძოლ ყოფილ. რაკი კოპალაი დ' წყაროსთავ წმიდა გიორგი ძმობილები ხყვანდესა დ' დევებს ანადგურებდეს, იმაზე დევებს სამთაივ ჯავრი შჭირდა დ' ცდილობდეს, რო ევნ საით იმეებისად. პირქუშს იმთევნ ძალ ვერ ხქონივ დევ-კერპთან საბრძოლად, როგორც სხვებსა დ' იმით იმას უფრო იძევდეს, თუ მარტოს სად მაიმწყვდევდეს. ერთხან ჯიჯეთის ყელჩი დედუფლის წყალთან შახვდ ბევრას დევებსა დ' დაიჭირეს პირქუში. „მიშველეთავ, კოპალაო დ' წყაროსთავ წმიდაო გიორგიო", შამაზძახნ თავის ძმობილებს პირქუშმ. იმავ ნამს ცეცხლის გირკლებივით გაჩინდეს პირქუშსთან გიორგიო დ' კოპალაი დ' სრუ ცეცხლში ჩანვეს, რაიც იქ დევები იყვ, გამაღგლიჯეს პირქუშ ჴელჩიითა დ' ნამაიყვანეს. პირქუშს რახან შამაზძახნან გაჭირვებაში, მაშინ იტყვიან: „მიშველე, დიდო პირქუშო, ცეცხლისალიანო, ლეკურთის ვაკეს მებურთვალო".

კოპალაი დ' წყაროსთაულ გიორგი რო ძმობილები ხყვანიონ, იმათ გამაუჩვევავ პირქუში დ' ძალიან დაუწყავ დევებისადაც ბრძოლაი, მტერსთანაც შველა თავის ყმათად.

ერთ მიგრიაულ მშაველ ყოფილასა დ' ცხვარ ხყონივ. მიმავალ მშაველი ცხვარში შირაქისკესა დ' გზაში თათრის ყაჩაღებ დასცემიან. შამაუძახნებავ მშაველს პირქუშისად: „დალოცვილო პირქუშო, ნუ მამრევავ მტერსავ, შენ მიშველეო დ' ერთს ჭედილას მავიყონავ შენ კარზედაო დ' ვარდის დღეობას შამაგწირავავ". პირქუშს შამაძახნება გაუგავა დ' იმ ნამს ჩაშველებივ. თათრებივ თოფებს უყურებდიანავ, მშაველსაოდ არც ერთს არ გაუვარდავ. მშავლის თოფ გადიოდისაო დ'ზოგ დაუხოცავ თათრები დ' ზოგებ გაქცეულან.

მემრ რო ათენგენა მასულ, მაუყვანავ მშაველს ერთი ჭედილა თავის ცხვრის ფარაში არჩეული დ' დაუკლავ პირქუშისად. ერთ ბაცალიგველ კაცი იყვ გიორგიი დ' გუროს ორწყალში დევ შამახყრივ. შამაუძახნებავ პირქუშისადა დ', რაკი ის ვერ ებრძოდ დევებს ძალიან, იმავ ნამს გაუყოლებავ კოპალაი. ერთად მავიდესავ, უუბნავ გიორგის, კოპალაიო დ' პირქუშივ. პირქუშივ ცეცხლის მათრაჴით

შამაეტივავ დევსაო-დ' დევივ იმას არ შეეპოვავ. კოპალამ ესრივავ ლახტიო დ' ცეცხლ გაშჩინდაო დ' დაიწვავ დევივ.

დევს რო კოპალამ ლახტ დახკრავ, ისეთ ჭექა-ქუხილიო დ' დევის ღრიალ დადგავ, რო მთა-ბარ სრუ დაიძრავ, უგონთ გავსულიყავიო დ', რო გონთ მაველდივ, იქ აღარა იბადებოდავ, აღარც დევიო დ' აღარც ხთის ნასახნივ. ავდეგიო დ' წამაველდივ. სად დავდიოდივ, ის კი არ ვიცოდივ, ისრ ვიყავივ გაჟეჟილივ. ერთს წელს გიორგი იმის შემდეგ სრუ აოდ ყოფილ, მემრ ჯვართად მიუმადლებავ ბევრი დ' მამრჩალ.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 19

## 69. პირქუშის თას-განძი

თავად ბაცალიგოში ცხოვრობენ მარტო არაბულები და სოფელიც ერთია, გვარიც და სალოცავიც ერთი ყავს და ამ სალოცავს მკითხავები და ხუცეს-ჯელოსნები „პირქუში ცეცხლისალიანად" იხსენიებენ. ცეცხლის ალიანს ეძახიან იმიტომ, რომ ხევსურების რწმენით ის ხალხსა სწვავს, ვინაც გააჯავრებს, განარისხებს მას, პირქუშიც სასტიკად მოეკიდება, ფარულად ცეცხლს წაუკიდებს, რომ კაცი ცეცხლს კი ვერ დაინახავს, მხოლოდ დაწყრულდება, როგორც დამწვარი და ბოლოს შლას დაიწყებდა მისი გვამი. პირქუში ცეცხლისალიანი აგრეთვე არის მებრძოლი ეშმაკებთან და ბაცალიგოს მტრების ლაშქართან. ხევსურები ამბობენ, რომ პირქუშმა მჭედლობაც იცისო. ერთხელ პირქუშის განძი მოიპარა პ. რ.-მ. სხვა ამხანაგებთან ერთად. წაუღია ვერცხლის თასები და ორწყალში ტყეში დაუმალავს, ნაწილი კი სახლში წაუღია. ორწყალში იმიტომ დამალეს, რომ თუ პირქუში განწყრა ან სიზმარში ნახავდენენ ან მკითხავი ეტყოდა. და თუ არ იყო საშიში, მერე წაიღებდნენ და გაყიდდენ განძს. მერე თურმე პავლემ ნახა სიზმარი და ამხანაგებსაც უამბო: ერთი თეთრი კაცი მოვიდა და მარჯვენა თვალში მაკოცაო. ეს იმას ნიშნავს, რომ საშიში არაფერია და წავიღოთ ეს განძიო. მესამე დღეს წასულან განძის წასაღებად და გზაზე პავლეს თვალი ასტკივდა და ციმბირის წყლული ანუ ხევსურულად ჯარის ყვავილი გამოუვიდა და თვალი გამოეთხარა. ეს ქურდებმაც და შემდეგ ხევსურებმაც მიაწერეს პირქუშის მიზეზს. პავლე შეშინდა და მისი ამხანაგებიც და დააბრუნეს თას-განძი. მერე პავლე იტყოდა თურმე: მანამდინ ახლოს ვერ მიუდეგით ამოსაღებად იმ თას-განძს, მანამ კატა არ დავკალით და სისხლი არ დავასხითო. ასე რომ მოვიქეცით, რაღაცამ ხანგრძლი-

ვად დაანივლა. ეს ნივილი ჯერ ახლო მოისმა და თანდათან სუსტდებოდა, თითქოს უფრო და უფრო შორიდან ისმისო. და ჩვენც ნება მოგვეცა ახლო მისვლისა და განძის ამოღებისაო. მანამდინ კი რომ მივუახლოვდებოდით, იმ თას-განძიდან ცეცხლი ამოვარდებოდა და ზედ გადმოგვეფინებოდა ალიო და დანვას დაგვიპირებდაო.

ასე უკლებლივ დააბრუნეს ის თას-განძი. მხოლოდ ზოგი თასები დაჭყლეტილი იყო და ისეთები დააბრუნეს. ერთი ძეძეურული მჭედელი იყო, ყვირილაურთ ბაძია, რომელიც ვერცხლის თასებს აკეთებდა და ეს თასები მასთან მიიტანეს გადასადნობად და ხელმეორედ გასაკეთებლად. ბაძიას თურმე პირქუშმა სახუცო თასის გაკეთების ნება დღისით არ მისცა, მოდიოდა თურმე ღამით პირქუში და თვითონ ასწავლიდა, როგორ გაეკეთებინა თასი, რადგან სახუცო კოჭობი დიდი იყო და მას სჭირდებოდა უფრო კარგად გაკეთება და ბაძია ამას ვერ ახერხებდა. ამიტომ, ვითომც პირქუში ღამით მოდიოდა, რომ დღისით ხალხს არ ენახა და მჭედელს დახმარებოდა თვითონ.

ერთხელ ბაცალიგოს ლეკის ლაშქარი მოსულა, სოფელს დასცემია ასაკლებად. სოფელს რომ ვერაფერი დააკლეს, ბოლოს პირქუშის საქვაბეში შესულან და სალუდე ქვაბის დაჭრა და ნაღება დაუპირებიათ. ცული რომ დაუკრავთ, ქვაბიდან ალი ამოვარდნილა და მთელ ლაშქარს გადასდებია, ლაშქარი დაბნეულა და გასულა სოფლიდან. ამის შემყურე ხევსურებს ხალისი მისცემიათ და დადევნებიან ლაშქარს. ახლა სხვა სოფლელებიც დაედევნენ თურმე და დიდად აზარალეს ლეკის ლაშქარი. ამ ბრძოლის დროსაც ხედავდნენ თურმე ლეკები თეთრ კაცს, რომელსაც პირიდან ცეცხლი ამოსდიოდა და მათრახით ხოცდა ხალხს. ხევსურებისათვის კი ამას ყველაფერს საფარველი ედო.

ალ. ოჩ. M 15, რვ. 14

## 70. პირქუშის შურისძიება

...წინაპირველად, რუსები რომ გადმოსულან, ამბობს ლეგენდა, ბაცალიგოს ხატშიც მისულან. ხატში უნახავთ ლუდის სადუღები ქვაბი და დაუწყიათ იმისთვის ხმლებით ცემა... რამდენიც დაუკრავთ და გაუჭრიათ, იმდენი გაკერილა. ბოლოს გაჯავრებულა პირქუში: ამოვარდნილა ქვაბიდამ ცეცხლი; შეშინებული რუსები კლდეზედ „გადალეულან" - გადაცვივნილან.

ვაჟა IX 440-441

## 71. შიშია და პირქუში

ერთ ბაცალიგველ ყოფილას, თინიბექთ შიშიაი. იმას ქვაბე-ბის კერვა სცოდნივ. პირქუშში სალუდე ქვაბ დაღლევივა დ' შიშიას დაუკერავ ეს ქვაბი. ქვაბს რო კერევდ, იმ დროს შინ დიაცსთან ყო-ფილა დ' გაუბანი ხელებზე აუსხმელი მისულ ჯვარშია დ' დაუკერავ ქვაბი. ეს ქვაბიც მაშივ დალეულ იქავ.

ერთხან ვერ უდუღებავ ლუდი. შიშიაიც ორ-სამი დღიდგეს აოდ გახდილ. დასწყრულებივ პირსახე, ხელ-ფეჴი და, ბოლოს, სრუ მაშორებივ ხორცი ძვალზეით. იმის ჯალაფთაც გადაზდებივასა დ' სუყველან აოდ დახდილან, ყველას გადაზდებივ ეს ჯვარისგან დამ-წვრობით, ხალხ იმას თუ ამბობდის, დალპესავ, დამპლობა გამას-ჩინდავ. მემრ მკითხავს უთქომ: ემად ემ შანაცოდვარზე გადმაუსხ-ამავ პირქუშსავ ნავთის წყალივო დ' დაუწვიხართავ. ღლიშნებნივ მკითხავის ნათქვამი შიშიას, ბევრ უნანებავ, სამანანულო ზღვენიც დაუკლავ, ქვაბ-კუროიც დაუნათლავ კურეტიც, მაგრამ მაინც ვერ შველივ. მაუტანებიებავ მკითხავისად რო, მე პირქუში ორავ, ერთხან გადმადუქვენილს აღარ ავღლოკავ, ჩაიდინავ ცუდ საქმეი დ' მე ამას ვერ ვაპატიებავ, ტყუილად ღონდებიანავ.

მე ნავთის წყალი გადავასხიო დ' იმას ვეღარას უშველავ, დამ-წვარს ხორცთავ მე ვეღარ გავამთელებავ. კიდევ სხვებ გამთხილდე-ბიანაო დ' რიოშიანებ აღარ მავლენავ ჩემს კარზედავ, რო ადამიანად ვინ მაგდებსავ, კლოვ დამაფასებენავ.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 19

## 72. ზოგიერთ ხთიშვილთ ამბავი

ყოფილა ერთი ჴადუელი კაცი, მამით ბაჭუა, სანების ჯვარის გამძღო იყო და ხელზე მოუდიოდა სანების ჯვარი, რომელიც ვერ-ცხლისა იყო თურმე და ბოლოში ვერცხლისავე შიბი ედვა. ჯვარი ჰაერზე მოფრინდებოდა და ამ გამძღოს ხელზე დაბძანდებოდა. ამ კაცს მუდამ თან დაჰქონდა საკადრი. ჯვარის მობძანებას წინასწარ იგრძნობდა, ამოიღებდა ჯიბიდან საკადრს, ხელზე გადაიფენდა, მოფრინდებოდა ჯვარი და საკადრგადაფენილ ხელზე დაბძანდე-ბოდა. გამძღო თავს სხვაკე დაიჭერდა, რომ ამონასუნთქი ორთქლი ზედ არ შეშლოდა და ხორციელის სულზე არ შემკრთალიყო და ისე ესაუბრებოდა.

ერთხელ მოუვიდა ჯვარი ხელზე და ესაუბრა, გამოუცხადა, ორი დასტური გამოიყოლე და ღილღოს წავიდეთო (მაშინ ღილღოთ ორ სოფელზეით სანების ჯვარი ბეგარს იღებდა ხამხასა და ნეთხაზე). ჩემი მებეგრეები ბეგარს დროზე არ იხდიან და უნდა დავბეგროთო. წავიდა გამძღო, ორი სხვა კაცი გახყვა. ჯვარი წინ მიფრინავდა და მას მიყვებოდნენ, სადაც ჯვარი დაისვენებდა, გამყოლნიც ისვენებდნენ. სადაც ღამეს გაათევდა, ისინიც ღამეს ათევდნენ. ღილღოს რო მივიდეს, ჯვარი ისევ წინ მიუძღვებოდა ცხადად. ეს რომ ღილღველებმა ნახეს, იწამეს და ძალიან შეშინებულებმა ბეგარი მაშინვე აკრიფეს და ჩააბარეს. მოყვანდა დასაკლავად, რაც ვის კაი ცხვარ-ვერძი ხყვანდა, ზოგს ჴარებიც მოუდიოდა და კლავდნენ სანების ჯვარისათვის. აქით ისევ ჯვარი გამოუძღვა წინ და წამოვიდნენ. გზაში შეხვდა ძალიან ლამაზი ღილღვლის ქალი და მკადრემ რაღაცა გაიფიქრა ქალზე. ამაზე სანების ჯვარი გაწყრა, როცა მე ხელზე მოუდივარ, როგორ თუ ქალზე რამე გაიფიქრაო, გამოფრინდა შორს წინ და მკადრეს აღარ მიკარებია. მხოლოდ შორს ხედავდენ, რომ მიფრინავდა და თან მიყვებოდნენ. ღილღოთ წამოსული, კალოთანას დაჯდა. ამ ადგილზე მერე დააარსეს სანების ჯვარის სალოცავი ნიში. აქით გამაფრინდალი ცროლისწვერს დაჯდ. სადაც სრუ წინწინ იყვ დაარსებული. აქ, რომ მოუახლოვდეს, გამაფრინდა დ' ჴორიელ დაჯდ. ახლა იქაც ილოცვენ სანებას. აქით გაფრინდა დ' წინჴადუს დაჯდ. აქაც სანების ჯვარის ლოცვა დაიწყეს მას აქეთ. აქით გამფრინდალი მაჭეხას მუხის ნერგზე დაჯდ. აქაც ილოცვენ და ეძახიან: „ბარის სანებას". აქით წასულ საჯანგეს ტყეში შავიდ, სადაც კვრივი აშენდა და გამძღოს მეტი იქ ვერავინ მივიდოდა. სულ პირველად კი გერგეტით იყო მოსული და ცროლის წვერს დაარსებული. ამიტომ იტყვიან ხუცესები: „ცროლისწვერ წმინდაო სანებაო, ყინვრისლოგინიანო, ნისლის კოტორში გახვეულო." აქ მუდამ თოვლიანი და ნისლიანი მთა არის. აქით ჴადურ გვერდზე ზაის დაარსდ, ხოდაბურებიც აქ აქვს. ქისტი მოიყვანა გამძღოდ და მისი ჩამომავლები დღესაც არიან. ამ ადგილის სახელს ატარებენ გვარად: ზაიელ მუდმივ არიან ხატის გამძღონი.

სანების ჯვარი რო წინწინ მაუვიდ ჴელზე თავის გამძღოს, მაშინ მეგრელაურ გახუა იყვ მასულ სანების ჯვარში სტუმრად. გახუა მეგრელაურს გუდანის ჯვარ მაუვიდ ჴელზედა და ცოტაი ხნიდგე სანების ჯვარიც ჴელზე მაუვიდ ბაჭუათას, თავის მკადრეს. ორივ ჯვარ მიაბძანეს დროშაის საბძანში, მარჯვნივ დააბძანეს გუდანის ჯვარი და მარცხნივ სანების ჯვარი. ცოტაი ხნიდგე წვერად იქნესა დ' გუდანის ჯვარი სანების ჯვარმ მარცხნივ გადმააგდ. გაიცინ მეგრელაურ გახუამა დ' თქო: სანების ჯვარმავ გუდანის ჯვარივ მარ-

ჯვენივ არ მაიჴდინაო დ' მარცხნივ გადმააგდავ. მეგრელაურ გახუა, რო წავიდ გუდანის ჯვარიც წააბძანა დ სანების ჯვარი თავის საბძანისში გაფრინდ. ჴადუელთ ეგონ სანების ჯვარიც გახუას თან გახყვაო დ' დაედევნნეს უკენა დ' უთხრეს: „რად გამაიყოლევ ჩვენ ჯვარივ". გახუამ უთხრა: „რას ამბობთავ, მე რას გამავიყოლებდივ, მე ჴორციელი ორაო დ' ის ხთიშვილი ასავ გაფრინდაო და მე რა ვიცი, სად წავიდავ". დაანებეს თავი და დაბრუნდეს შინ.

ალ. ოჩ. M15, რვ. 16

## 73. საჯანგეს თავშეფარებული ქისტები

ხევსურეთში ბაცალიგოს მახლობლად არის სადღვებელათ მთა. ერთხელ აქ მოვიდნენ ქისტები. საქურდლად ჩამსხდრები იყვნენ ტყის ბორჯლებში. დაინახეს მწყემსებმა და სოფელში ხმა გატეხეს, ამა და ამ ადგილას ქისტები არიან დამალულებიო. გატყდა ხმა, გაიგეს ქისტებმაც, რომ ხმა გაგვიტყდაო და გაიქცნენ უკანჴადუსაკე. ერთი ქისტი სოფელ ნეთხიდან იყო, სახელად ფარეშა. ნეთხა ის სოფელი იყო, რომელიც სანების ჯვარს ბეგარს აძლევდა და ამ ბეგრის აღებ-გაღების დროს ცნობილიყო ზოგიერთ ჴადუელებს, ვინც თაოსანი ხალხი იყო. ისიც სცოდნოდა, რომ თუ საჯანგეს ტყეში შეასწრობდნენ, იქ სანების ჯვარის ნიში იყო და ხევსურები ამ ტყეში არ შედიოდნენ. ქისტებმა კარგა შორი მანძილი ირბინეს, ხევსურებმა ესროლეს კიდეც, მაგრამ საჯანგეს ტყეში შესვლა მაინც მშვიდობით მოასწრეს. ქისტები ტყვია-წამალს ზოგავდნენ და ჯერჯერობით თოფი არ გაისროლეს. ხევსურებმა დაინახეს, რომ ქისტები ტყეში შევიდნენ, მაგრამ ჯვარის ხათრით არ შეყვნენ თან. ზოგნი არჩევდნენ, შევიდეთო და ზოგნი უშლიდნენ ჯვარის ნაკვეთში შესვლას. ამ დროს აქ მდევარში მოვიდა სოფელ ჩხუბიონელი კაცი ბათაკა. ჴევსურებმა დასვეს ქადაგად ბათაკა და შასძახნეს სანების ჯვარს, შევიდეთ თუ არაო. ბათაკას პირით ებძანა სანების ჯვარს. ბათაკამ იქადაგა: „ღილღველები დაბღუჯვილნი მყვან, ისინი ჴელს და ფეჴსაც ველარ დაზძვრენ, შედით ტყეში და ტყვედ გამოიყვანეთო. ხევსურებსაც ეს უნდოდა და გახყვნენ სანების ჯვარის ბძანებას. დევათ შიშია და წიქათ ხთისია მივიდნენ ღილღვლებთან. ფარეშამ ქართული იცოდა და მისულებმა უთხრეს: „გამოდით ჴელზე დაგვნებდით, თორემ დაგხოცთო. თუ გამოხვალთ, არაფერს დაგიშავებთ და შინ მშვიდობით გაგისტუმრებთო." ფარეშა ერთ ჴადუელს თაოსან კაცს იცნობდა და მისულებს უთხრა: გამიხარდი მოვიდეს და თუ ის პირობას მოგვცემს, რომ არაფერი დაგვიშავდება, მაშინ გამოვალთო.

ხთისიამ უთხრა: მე ვარ გამიხარდიო. ერთ ქისტს ბერდა ექვივნა და იმან ფარეშას ჰკითხა: მართლა ეს არისო გამიხარდიო. ფარეშამ ქისტურად უთხრა: არ არის გამიხარდი. ეს კაცი გვატყუებსო. ხთისიამ ხმალს კი ამოსწია, მაგრამ ქისტის თოფმა დაასწრო გავარდნა და გულსნატყვიარი გაგორდა წიქათ ხთისია. მეორე თოფი გამოვარდა და მეორე ხევსური გაგორდა მკვდარი. ამ დროს აქ ახლო იყო წოვათ ბაიჭაური, გადმოხტა ქისტი და წოვათ ბაიჭაური ხანჯრით მოკლა. როგორც იქნებოდა, დევათ შიშიამ ერთი ქისტი მოკლა თოფით. ფარეშა კი ჩასაფრდა სანების ჯვარის კვრივთან და დაშინებული ხევსურები მკვდრების გამოსატანადაც ველარ მივიდნენ ამ დღეს. დაღამებამდინ ფარეშა აქ იჯდა და რომ დაღამდა, წავიდა, ტანიის ღელე მთა გადაიარა და უვნებლად მივიდა შინ. მერე, როცა დრო მიმშვიდდა, ფარეშას ნახულობდნენ მისი ნაცნობი ჴადუვლები და ის უამბობდა საჯანგეს თავის თავგადასავალს. „იქაო, — იტყოდა ფარეშა, კოშკთან ერთი ქვა იყო და იმას გამოვსწიეო, შიგ ჯვარი გამოჩნდა, რომელიც მოძრაობდაო. ამოვიღე სამი მანეთი ფული, შევსწირე და დახმარება ვთხოვეო. საფარველი დამდო სანების ჯვარმა და ხევსურები ველარ მხედავდნენო. წამოსვლაშიაც ხევსურებს გვერდზე გამოუარე და ვერ დამინახეს და ამნაირად სანების ჯვარისაგან გადავრჩიო." ამის შემდეგ ფარეშა ყოველ წელს წელგამოვლილ საკლავს კლავდა სანების ჯვარისათვის.

ქისტებისაგან დახოცილ ხევსურებს ჴმით მატირლები ქებადიდებით ტიროდნენ, რომ გაბედულად შევიდნენ საჯანგეს და თავი შესწირეს. ქადაგ ბათაკას კი უსაყვედურებდნენ, სანების ჯვარის ბძანება არ იყო და ხალხი შეაცდინა და მტერს შეახოცაო. ქისტებს კი ხევსური ჴმით მატირლები ცუდად ტიროდნენ და არ აქებდნენ. ერთი ჴევსურის დიაცი კაი ჴმით მატირალი იყო, პირდაპირი და ყველასათვის სწორად შემფასებელი და მთქმელი. სიკვდილის წინ რომ მდგარიყო, მაინც სიმართლეს იტყოდა ტირილშიაც და ისე ლაპარაკშიაც. ხევსურმა დიაცებმა რომ მკვდარი ხევსურები აქეს და ქისტები არაფრად ჩააგდეს, ამ ბრძოლაში კი გამარჯვებული ქისტები იყვნენ, ხსენებული ჴმით მატირალი დიაცი გაჯავრდა. როცა იმათ ტირილი გაათავეს, გადმოჴდა წინ და იტირა ჴმით:

დედა ვაცხონე ქისტებისაო,
საჯანგეს შამაყრილებისაო,
ჴევსურთ გტირიანთ მატირალნიო,
დიდის ქებითა დ' დიდებითაო,
ქისტებმა კარგა შაგიფერესთო,
არ დაგხვდესთ ჴელდაკონკილებიო,
სამ-სამი ჩამაიღით მკვდარიო,

ღილღველმ კი გადიარნა მთანიო,
სამი თან წაიტანა ჴმალიო.

რომელი ხევსურებიც აქ დახოცეს, ფარეშას მათი ხმლები აუხსნია და სამივე თან წაუღია. მერე ხევსურებმა სახსარი მისცეს და ხმლები უკან დაიბრუნეს.

ამ დიაცის ტირილზე ხევსურები გაჯავრდნენ და თქვეს: „ფარაგ მოსაჭრელია ეგ დიაციო. ღილღველთ მკვდრებს იმათგან დაჴოცილებთან ქება-დიდებით ტირის და ჩვენი მკვდრები კი სულ არაფრად ჩააგდოო." მაგრამ დიაცს ისეთი ქმარ-ქმრის ძმები ჰყავდა, რომ მათი შიშით ხმაც ვერავინ გასცა.

ამის შემდეგ ქადაგ ბათაკასაც სახელი გაუტყდა, ხევსურები რომ შეაცდინა, ტყეში შეგზავნა და დააჴოცინა. მაგრამ იმით იმართლებდა თავს, რომ წერა იყო ეგრე და იმიტომ სანების ჯვარმა მათქმევინა, რომ წერამწერელთ დაწერილი შესრულებულიყოო.

ალ. ოჩ. M15, რვ. 16

## 74. ცროლის მთის სასწაულები

წინავ ცროლს ყოფილ დარბასიც, საქვაბეიც სანების ჯვარისაი. იქ უდენავ ხადუელთაც, კალოთანელთაც ზამთარ-ზაფხულ სადღეობოდ. იქ წასულს ხალხსავ არც სციოდისაო დ' არც ზვავ მაუვიდისავ. აქ ტყე არ ასა დ' ზამთრის შეშა ვერცაით უზიდავა დ' ხორცივ უცეცხლოდ დუღდისავ დარბასშიავ. საკლავ რო მიგვყავდისავ, თოვლზედ ისრ გაიარისავ, რო თოვლ არ გაუტყდისავ. იქ წასაყვან საკლავი ხალხს წინ თუ[რმე] დაუდგისა დ' თაო შახდის ცროლს ზამთრის. სხვაკან რო ქარბუქ იყვისავ, იქავ თბილ იყვისავ. როსაც დღეობა იქნებოდ, იქ ყოფილ გამართულ ყველაი: ქვაბი, საქვაბე, დარბასი, სუყველაი. წელნადში მეკვლეთაც იქ უდენავა დ' მანამდენ იქით მეკვლენ არ მავიდოდეს, ხალხ შინ ყოფილ ას პატიმარი. მეკვლეთ მიხქონივ მარტო სანთელი დ' ღამე იქ უთენებავის. სიცივე არ სცოდნივ. ისეთ თბილ ყოფილასავ ხალხივ, რომ მთელს ღამესავ ოფლ გადაზდიოდისავ. ხელ მიგეხლათავ, ქვაიც თბილ იყვისაო დ' მიწაიცავ. მიხქონებივ სეფეები, როგორც მეკვლეთ წესი ასა დ' სეფეებზე დაკრულ სანთლებსაც თაოდ გაეკიდისავ. თუ ვინ ან წმინდად ნამყოფ არ მივიდოდაო დ'ან სოფელჩი ნამყოფს ნაღალატარ რა ვისად ექნებოდ, იმის სანთელს არ მეეკიდისავ ცეცხლიო დ' მეკვლენ თუ მასთხოვდეს მადლსა დ' შაეხვეწებოდეს: „დალოცვილო წმიდაო სანებაო, აპატიევ ზღვნითაო დ' სანთლით გადაახდიევ. ჩვენ

ორთავ თავზდებნივ ერთიანა შენ მეკვლე-პატიმარნივ". დამნაშავე უნდა გატეხილიყვა დ' მეკვლეთად ეთქვ თავის შანაცოდვარი დ' ზოგს კი მაეკიდისავ ცეცხლივ იქავავ სანთელისაო დ' ზოგს კი აღარ მაეკიდისავ.

სანების ჯვარ რახან მავიდისავ, განათდისავ იქაობაივ, თვალ-ით კი ვერაი ვნახიდითავ, სცოდნივ წინათ, ნახისავ ან მკადრემაო დ' ან ხუცესმაო დ' იმას გამაუცხადისავ თავის ბძანებაი. მაშინ ძალიან წამება ყოფილას, ძალიან სიწმიდე. ჯვრის ხელკაცს არ შეეძლიყვ დი-აცის ახლოს გაევლ ან დასტურსა დ' ან ხელოსანს, ან ხუცესს. დია-ცის ახლოს კი არა დ' რასაც გზაზე დიაცებ დადიოდეს, იმ გზაზე გავ-ლაიც არ შაეძლიყვ. ხუცეს სრუ ცალკე იყვ ჭერხოში. იმის სამყოფჩი ვერც კაც შავიდოდა დ' ვერც დიაცი. ყველა დღეობაში თითო სანათ-ლავ უნდოდა, ზოგში მეტიც. მემრ ეს წამება თანთან დაიკარგ, აღარ სწამს ხალხსა დ' ხთიშვილიც თანთან ახხდ. აღარც ხორცმ დაიწყ უცეცხლოდ დუღილი, აღარც სანთლებს ეკიდებოდ ცეცხლი. ხალხ-საც სციოდა დ'ქარბუქვისგან ველარ დადიოდესა დ' დაანებეს თავი წვერს სიარულსა დ' გააჩინეს დაბლა სალოცავი. ხოლოთ გაამწესეს წელში ერთხან დღეობობა მარტო ათენგენას, რაკი მაშინ კა დრო ასა, ყველას შაუძლავ იქ ასვლაი. სხვა დღეობებს აქ იხდიან, სოფლის გვერდზე რო ჯვარნი[ა]. იმის მემრ მაიკარგნეს დარბასი, საქვაბეიც ცროლ, რო აღარც ვინ იცის, სად იყვნეს, ვერც ვინ მიდიოდ იქ, სადაც ეჭვი იყვა დ' მაინც ამბობდეს, რო საფარველ დაედვავ, ველარავინ იგებსავ. ერთხან ზვავმ კი მაიტან კარის ფიცარი, ერთ გვერდი ბობ-ოჩიკიანი. ფიჭვის ფიცარი იყვ ძალიან სქელი ერთ გვერდი კარისა დ' საით სად რა მაიტან, ისიც არ იყვ გასაგები, ვერვინ გაიგ. იმ ფიცარს ჯერ კი ინახევდეს ჯვარჩია დ' მემრ კი, არ ვიცი, სად წავიდ.

ერთ მენადირეს, გუროელს კანანათ მანგიას, დაღამებიყვ ნადირობაჩია დ' უჩინ ღამე ყოფილიყვა დ' არ სცოდნიყვ, სად იყვ. მისულიყვა დ' ეხ ღგონებიყვ. შასულიყვ ღამითა დ' დამდგარიყვ. სიზმარჩი მასჩვენებიყვ თეთრცხენიან კაცი. თაოდაც თეთრ იყვავ, რო თვალთ არ იყრიდავ. მათრახ ეჭირავ ხელჩიაო დ' წამამკრავ მა-თრახის წვერივ: „შენავ აქ რა გინდოდავ, რაად შამახვედივ აქავ". ამავ ღამეს უნახავ სიზმარჩი თავის ვერძი, ოთხრქაი. უთქომ სიზმარჩი სხვა კაცს, რო ეგ ვერძივ აქ უნდა მაიყვანაო დ' დახკლავ. რო გამა-ღვიძებივ მანგიას, ისით თბილად ვიწევივ, რო ოფლ გადამდიოდაო დ' გათენებულიყვავ კიდეცა. ამდგარ მაშივა დ' მაუთხოვავ მადლი დ' შაუთქომ ის ოთხრქა ვერძი, რო ზაფხულის აქ მავიყონაო დ' რო კარგად გასინათლებულა, დაუაზრეიო დ' დარბასში.

სადამ კი ვწეორავ, თქვის მანგიამ, ყველა იყვავ გაწყობილი სკამებივ, საცეცხლურივ, საკიდელივ, ზედგანიც იყვავ. სუყველა

გამართულობა იყვავ სპილენძის ქვაბ-ტაბლებივ. გაკვირვებულ დავრჩივ, აქ მავსულორავ. გამასულ იქითაო დ' უნახავ მეორე კარნი შასავალნი. შასულა დ' აქ საქვაბე ყოფილ გამართულ, ქვაბ-საკიდელი, დიდ სალუდე ქვაბი, შეშანიც იქავ იყვნესავ, ქვაბის ძირჩიავ. ლათბა, ტომარათ კედ-პირსაკრავები — ყველა განყობილ იყვავ.

გამასულ იქითაც, მაუთხოვავ მადლი, რო გაუგავ, სანების ჯვარისად, რო მაპატივევ, რო შენს კარჩია დ' კამალაჩი შამავვარდნილორავ ღამის სიბნელის გამოთაო დ' ათენგენას ჩემი ოთხრქაით ვერძით აქ შამავხდებივ. წასულ იქითა დ'ათენგენას მავიდავ მანგიაივ, იცოდიან, ერთივ ოთხრქა ვერძ მაიყვანაო დ' ერთივ სხვა ზღვენ მააყოლავ. მემრ უუბნავ ჯვარის გამძღოთად ყველა, რაიც გადახხდ თავს, მაგრამ ის კი ველარც იმას გაუგავ, რომენჩი იყვ, ან დარბასი დ' ან საქვაბეი. ამბობენ, რო საფარველი ზძესავ ხთიშვილთაგანაო დ' ვერც ვის ვერ შაუძლავავ იმის ნახვაიო დ' გაგებაივ.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 10

## 75. ცროლის სანება

სანების ჯვარი სხვადასხვა ადგილას ილოცება, მისი მთავარი სამლოცველო და საარსო ადგილი კი ერთ მაღალ მთაზეა, რომელსაც ცროლი ეწოდება. ჯვარს კი მისი ყმანი ასე მოიხსენებენ: „მფრინაო ანგელოზო, ბატონო სანებავ ცროლისწვერისაო". სანამ სანება ცროლს დაარსდებოდა, იგი მინდორში ყოფილა, ერთი სოფლის ახლოს.

„ის რომ მინდორჩი მდგარა, ხალხს ძალიან სწამებივ. ბარის კაცებს ძალიან წმიდად ულოცავისა დ' ყოფილ იქ. როსაც ჯვარჩი მისვლა ეგულ, დღეობა იქნებოდ მაახლოებული, ერთი თვით წმიდად ეჭირ თავი. არ გაივლიდეს რიოშიანში, არ შაიძლებოდ ქალის სიახლოვე და, თუ ასეთ რა მახდებოდ, მაშინ ჯვარში აღარ მივიდოდ კაცი. თუ ჯვარჩი მივიდოდ, სანანწყევრო იყვ, ძალიან ცუდად წაუვიდოდ საქმე. ჯერ თითო-ოროლამ დაიწყ უწმინდურმ ჯვარჩი სიარული დ' მემრ ყველამ ერთუცს მიხენა დ' აღარას ვინ ერიდებოდ. არც რიოშსა დ' არც დიაცსთან ყოფას. არც კი გაიბანებოდესა დ' აისეთეებ დაიწყებდეს ჯვარჩი სიარულსა დ' თას-განძსაც ჴელევდეს. ბოლოს სანება იქამდინ განყრ, რო აიყარ მინდორჩიითა, წამავიდ მთაჩი სიწმინდის გულისად. სოფელს არც აქ მიეკარა დ' მაღალს მთაზე, ცროლს დაარსდ, ჴმელთ შუაჩი. სანება მფრინავ ანგელოზ რო ცროლისწვერ დაარსდ, იმ დროს ჴადუს ცხოვრობდ ჩარგლით მასულ ქერაი. ქერა

ყოფილ ჩარგალელ კაცი დ' უკენჴადუ მასწონებიოს საცხოვრებლად. იმ დროს ჴადუს არვინ ცხოვრობდ, თავისუფალ ალაგი იყვ. ქერამ გაიგ სანების დაარსება იმით, რომ ღამითაოდ ცროლისწვერი განათდის, რაპ-რაპ დარჩის. ჯერ კი ვერ გაბედ ქერამა დ' ბოლოს თქო: წაოლაო დ' გავიგებავ, იქ რა ანათებსავ. წავიდა დ' ნახ, რომ მტრედის სახით იჯდ მაღალს ქვაზედ მფრინავ ანგელოზი დ' თვალთ არ იყრიდ. ქერას გონ ახჴდივა დ' გონთ რო მასულ, იქ აღარა იბადებოდ. მუჴლმაყრილ ვიჯედივ იმ ადგილზედავ, სადაც მფრინავ ანგელოზი ვნახევ, თქვის. მეორე დღე რო გათენებულას, აუგავ იქ კოშკი. ჯერ კოშკ აუგავ, მემრ დარბასი დ' საქვაბეიც მაუთხოვავა დ' ისიც აუშენებავ. ამის მემრ გაჩენილ აქ დღეობაი.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 1

## 76. სანების ჯვარის გამძღო

ერთხან ჴადუელთ ჯვარიონნი ბეგრის ასაღებად მივიდეს ხამხასა დ' ღილღველებმ რაიმ აწყინეს საბძანსთან. გაწყრ სანების ჯვარი დ' კიდობანჩიით ამახტა, მაღლა დაჯდ. მახკრეს თვალ ღილღვლებმაცა დ' ხალხმაც. ღილღვლებმ რო ნახეს, შაშინდესა დ' მუჴლმაყრით სთხოვეს პატივება, მაგრამ სანება ძალიან გამწყრალ იყვა დ' წამავიდ, აღარ დადგ იქ, გამახყვ მკადრეიცა დ' დასტურებიც.

რო მადიოდეს, წინ მაუძღვებოდა დ' უკენ ჯვარიონნ მახყვებოდეს. ნეთხის კარ რო მავიდეს, იქ ერთი ლამაზ ღილღვლის ქალ შახვდ ჯვარიონთ, რომ იმისთანა ლამაზ ქალ მეორე არ იქნებოდ. მკადრე არ იყვ ხნიერ კაცი დ' ამ ქალზე გულში რაიცალ ცუდ გაიფიქრ. აბა სანება გულთამხილავი ასა დ' გაიგ ეს ამბავი, რომ ჩემმ მკადრემავ გულში ცუდ რაიმ იფიქრავ ქალზედავ, გაწყრა დ' ამ მკადრესად. სხვათ ჯვარიონთაც თვალშიით გაუქრ. ბევრ მადლი სთხოვეს, ბევრ ეხვეწნეს, მაგრამ მაინც გული არ მაიბრუნა დ' ახლოს აღარ მივიდ იმათთან, შორ-ახლოს კი ხანდახან თვალს მახკრევდესა დ' მახყვებოდეს უკენ.

იქით წამასულმ სამ-ოთხგან მაიკიდ კოჭი, სადაც მემრ ააგეს სამლოცველო კოშკები. ამამავალი კალოთანას სოფლის გვერდზედ დაჯდა დ' იქ მაიკიდ კოჭი. იქით რო წამავიდ, გაძღოთ დალიშნეს ის ალაგი, მემრ კოშკ ააშენეს, დარბას საქვაბეიც გააჩინესად, დაიწყეს ლოცვაი. ყველა დღეობები, რაიც ცროლ იცოდეს, ამის შემდეგ კალოთანასაც დაიწყეს. იქით წამასულმ შიტუს მაიკიდ კოჭი, შიტუს სოფელ არ ას, აქ საზაფხულო სამთოი ას, მაგრამ აქაც ააგეს კოშკი დ' ზაფხულის ათენგენას.

აქაც მადიან სადღეობოდ კალოთანლები დ' ამღივნები, რაკი იმათ სამთოი ას. იქით წამასულ წინჭადუს დაჯდ, იქაც სალოცავი. მემრ ბარის სანებას და იქაც კოშკ ააშენეს. ბოლოს, გოგოთურათ ბანის კანჭზე დაჯდა დ' აქაც ილოცვენა დ' აწმიდებენ ამ ბანს; აქ დიაცი არ გაივლის. კიდევ ზაის დაჯდა დ' აქ სამკვიდროდ დაარსდ. აქ აშენდ ყველა, რაც ჯვარჩი წესი: ჭერო-ბეღელი, დარბასი, საქვაბე. ყველა დღეობები აქ გადმაიტანეს, რაიც ცროლს იცოდეს, გარდა ათენგენისა, რომენსაც ეძახიან „ვარდის დღეობას" ვარდის დღეობას იმით, რო იმ დროს ყველა ყვავისა დ' ვარდის ყვავილობის გამო ჰქვიან ვარდის დღეობა. ეს დღეობა დარჩ ცროლს, დანარჩენ დღეობები ყველა ჩამაიტანეს ბარში, ზაის.

ალ. ოჩ. M17, რვ. 10

## 77. სანების ჯვარის მკადრე ბაჭუაის ძე

...მკადრეს ბაჭუაისძეს მაუვიდ ჭელზედ ტრედის სახით სანების ჯვარი დ' სრუ გაანათ იქაობაი. ეს ღილღველთაც ნახეს. სანების ჯვარმ უბძან ბაჭუაისძეს, რო შინისკე წამასულიყვ. ბაჭუაისძემ ააბძან დროშაი დ' გაბედ დაბრუნვაი. ღილღველებმ რაკი ჭელზე მასულ ნახეს, ძალიან დაშინდესა დ' მაღგვარეს ერთი ვერძი, ხოლოთ დაბრუნვილიყვავ, არ ნასულიყვ ბაჭუაის ძე. ჭადუვლებ დაბრუნდეს, აღარ წავიდესავ დ' სადამდინაც ჴმა მისნვდ ღილღოს, მაუდიოდ კომლზე თითო ცხვარი ბეგარი დ' იმის გარდა კიდევ საკლავ ზღვნები სანების ჯვარისად დასაკლავად.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 10

## 78. თეთრცხენიანი სანების ჯვარი

ღილღველებს უთქვამთ: „რო თეთრცხენით კაც მაუძღვავ წინავ ჭადუელთავ. ჯერ ის გაგიკვირდავ, რო თოვლჩით რაჭელ დავიდოდავ ცხენივ. მემრ გამაგვერივავ ლაშქარსაო დ' სრუ ცხენის ფეჴით გვანადგურებდავ, თან ჭადუელნივ ჴმლითაოდ' ამაგვიჴოცესავ მთელ ლაშქარივ. მემრ მივხვდითავ, რო ის თეთრცხენიან კაცივ სანების ჯვარ იქნებოდავო დ' დავიბნიენით კიდევაც".

ალ. ოჩ. M 17, რვ. 10

## 79. მარილის ვეძა

ხადუს წინავ მარილის ვეძა ამამდინარ. უდულილებავის მარილად, მთელს რჯულიან-ურჯულოს, ბეგარ ზდებივ. თუ მარილს ადულილებდესავ, ან მიხყიდდეს ნადულარს მარილს, ურჯულო კომლზე თითო ცხვარს იჴდიდა დ' რჯულიანი ერთ კვირაეს დაგროვილ კარაქს იჴდიდა. ამას ექვივნ „შაბათის კარაქი". შაბათიდგეს შაბათამდე რაიც დაგროვდებოდ, ის კარაქ უნდა ეჴად ყველა კვამლს ჴევსურეთ ჴადუელთ სასარგებლოდ. ჴევსურებს ჴადუელთად ქალიც მარჯვედ უძლევავის, რაკი მარილ აქ ყოფილ. მარილობად მაინც არ დაშჭირდებისავ შორს წასვლაივ. ის მარილი ყოფილას შეღმ ჴორჴისაკეს, იქ ტყე ყოფილა დ' წყალი მარილისაი იმ ტყეში ამამდინარას. ეს ყოფილ სანების ჯვარისაგანა დ' ამ ალაგს ძალიან სიწმიდე ზდობნივ, აქ არ უნდა გაევლ დიაცსა დ' ნამეტნაოდ მრევლს, სამრევლოს ნამყოფს. აქ არ უნდა გაევლ ჴდალს ცხენს, ძაღლს, ერთი სიტყვით, რაიც მირეულად ითვლების. კაცსაც არ უნდა გაევლ აქ, თუ ან ცოლ ექნებოდ სამრელოსა დ' ან სხვაფრივ იქნებოდ უწმიდურად. იმ ვეძას ყარაულ ხყონივ კაცი დ' ხთიშვილთაგანაც ხყონივ საკუთარ ყარაული, რომენიც არ ჩინდ თვალით. ხალხს თანთან სიარული დაუნყავ უწმიდურსა დ' სხვას. ხთიშვილიც თანთან წახრთომივ ამ ალაგს. ბოლოს, იქამდინ მისულ საქმე, რო მრევლს დიაცს გაუვლავ იქ. სამრელოს ნამყოფს დიაცს რო გაუვლავის, დაკარგულ კიდეც ვეძა — მარილის წყალი. ბევრ უნვალებავ ჴადუელთ, რო იქავ ამაჩენილიყვ ვეძაი. სანების ჯვარისად რა საკლავი, რა კურეტ დაუკლავ სამანანულოდ, მაგრამ ველარას გაუქრავ, მაინც არ ამაჩენილ. ხან უთხრავ, მაგრამ ვერცალ რა მაინც გაუგავ. ბოლოს, მკითხავს უთქომ, რო სანების ჯვარიავ გამწყრალივ, რო პატივს აღარ ზდებდისაო დ' იმ სიშორეზე გადავიყვანევ ისივ, რო ჴადუელნ ველარაით ისარგებლებენავ. სადაო დ' დათეხ ამაჩენილ, მთელი საურჯულოს ბოლოს, რო იქ ჴევსურების წასვლა ძალიან ძნელი იქნებოდ. დამრჩალან ჴადუელნ კი უმარილოდ. მაშინ ას ნათქვამი ლექსი:

ჴადუს გათავდა მარილი,
გუდან-ჭორმეშავ ქალიო.

მემრავ რაიც იმას ხყარაულობდავ, ის ანგელოზ დარჩაო დ' ჴადუელთ სამავნეოდ იყვავ გამასულივ. ბოლოს, ხადუელთ ძენგლად დაუდებავ აქ მარიანობას დღეობის ქნაი. ეხლაც იქავ იციან. დახკვლენ ერთს საკლავს იმ ალაგზე, სადაც ვეძა ყოფილას, მიიტანენ ლუდსა დ' ღამისთევა-ჟამისწირვასაც შაასრულებენ, როგორც წესი ას.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 10

## 80. მითხოელი მჭედლის ამბავი

მარილ როსაც დუღდ, მაშინ სამარილე ქვაბ გაფუჭვებულასა დ' ხევსურეთ იმის გაკეთება აღარ ვის შაზძლებივ. არვინ ყოფილ მჭედელი. სანების რჩევით წავიდ კაცი მითხოსა დ' იქით მაიყვან ქვაბის გამკეთე, გვარად ჴაიაური, სოფელ არლოს მცხოვრები. მაიტანეს თან იარაღებიცა დ' გააკეთ სამარილე ქვაბი (სამარილე წყალი დ' ალაგი, ქვაბი — ყველა ეკუთნოდ სანებას). მისცეს ფასიც, რაიც ეკუთნოდა დ' წავიდ შინისკე. ჩვენს მთაზე მითხოსკე წასავალს გზაში ერთს ალაგს მაჭარელი ხქვიან. მაჭარელ რო ასულას, ახფარებივ თვალებსა დ' დამრჩალ აიმაჩი, ველარც ალმ გაულავ გზაი დ' ველარც ჩალმ. ცხენ ხყონივა, აის ცხენივ ახლოს ბრუნებდავ პატრონსთანავ, შორს არ გასცილებიყვავ, იცოდიან.

ჴადუელ რო გაუგავ, რო იქ დარჩავ, წასულანა დ' მაუყვანავ იქავ ჴადუს. დაუსომ მკითხავი-მარჩიელი დ' სანებას უთქომ მკითხავის პირით, რო თუ გულს ამაირეცხავ, რო აღარ წახოლავ, მაშინ აგეხილებავ თვალთავ. თუ არა და, ეგეთა უნდა იყვავ, შენის თვალების იმედ ნუღარ გაქვავ. ჯერ კი ვერ გაუბედავ აქ დარჩომაი დ' მემრე რო სანებას კიდევ უთქომ მკითხავის პირით, რო მამულსაც მე მივსცემავ, ოღონდ აქ დარჩასავ, მაშინ კი უფიქრებავ, რო ბრმის ყოფასავ ის მირჩევავ, რო თვალ-ახილებული ვიყვავ, სადაც გინდა ვიყვავ. გაუმართავ გულ აქ დარჩომაზედა დ' თვალებს აშჩენივ.

დამდგარას მემრა დ' ზაის ჯვართ ახლოს, ხადუელთ სოფლის გვერდზე, მიუციან სანებას თავის ხოდაბურნი დ' სახლიც იმაში გაუკეთებიებავ. ეხლადაც იქავ არიან, ხოლოთ ადგილის სახელობით არიან: ადგილს ხქვიან ზაი დ' იმით ზაიელთ ეძახან. მადიან მამით ჯვარის ჴელკაცად, სრუ ჯვარს ემსახურებიანა დ' ახლოს არიან ჯვართან, რაგინდად ისრ არიან, ვითამ შუამავალნი სანებისა ჴადუელთანი. ჯვარის შიშით ზაიელთ ჴმას ვერაად ვინ გასცემს. თუ ისენ ვინ გააჯავრნა დ'იმათ შამაარისხეს, დარისხებულს ძალიან ცუდად წაუვ საქმეი, ან აოდ ვინ გაუჴდებისა დ' ან მაუკვდების ვინ, ან სხვაფრივ მაუვ ზარალი. იმით ზაიელთ ყველა ეფერების. მაგათ მამაში ერთ კაც არ გამაილევის, რო ჯვართ ემსახურას. ჯვარის სამსახური სრუ იმათაისა დ' არც ვის რას ხკითხვენ საჯვარო საქმეს. იმათ ეკითხების საჯვარო საშენის შოვნა, სპილენძის ქვაბების, შანახვა თასგანძისაიც იმათ ევალების. თუ რა ახალ დადგენილებაი ას რჯულში, აქაც არ შაიძლების, რო ერთ კაცი ზაიელ არ ერთვას. ის, რაც წესი ას, ნიადეგ მაგათ ზეპირად იციან. რჯულში, კაც-შუაკაცში, სრუ ეგენი არიან შემრიგებელნი ხალხისად. ორთაც რო იშუღლან, ზაიელნ თუ

ჩაერივნეს, კაც-შუაკაცში, ის საქმე მაინც გარჩეულ იქნების, სადაც ზაიელნ იქნებოდეს ჩარეულნი.

ალ. ოჩ. 17, რვ. 10

## 81. ბიჩინდარალას დევები

ბერდედასჩემმ მიამბის, ზეისტეჩოელ ქალ იყვ ბერდედასჩემ, რო ჩვენთანავ ბიჩინდარალას ცხოვრობდესავ დევებივ, ყოფილან დევებივ. ბიჩინდარალაით წამოვასავ, თქვის ბერდედასჩემმ, იამბიანავ, ბიჩინდარალას წამოვასავ, ჭალას გამაივლისავ, ახალჴევს აივლისავ, ახალჴევით ჩიტისკარს გადაივლისავ, ჩიტისკრით ბენდერაჴევისას ჩაივლისავ, საკანათისჴევს აივლისავ, საკანათისჴევით ლიქოკის მთაზე შადგებაო დ' ლიქოკის მთაზე, სანიოტაისჴევს ეძახან ლიქოკელნ, შუბნისას კარატისწვერზე ჩადის, აიქ ჩაივლისავ და გაჴეითი, კარატისწვერის ძირ კოპალასავ ხყავისავ დამბულივ. რახანისა გამოუშვასავ კოპალამავ, ზოგისად თაოდ უსევავის კოპალას: ვისაც ხატ არ სწამდ, ან კაცს არ ინდობდავ, ან ისეთა იყვავ, რო ჟამ-კარს სტეხდა. იმას გინდ შეეძახნ კოპალაისად, გინდ არა, მაინც ავნებდ იუდაი. კარატის ბოლოს მიჴლაჴეურას ეძახანავ, მიჴლაჴეურას ხყავისავ დაბმული. იქით თვითონ უშვავის. მაშინ კაცს გინდა შეეძახნ, არ ეშველობოდ, თუკი კოპალა თაოდ მიუსევდ.

მთხრ. მამუკა ქეთელაური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ბისო, 1985.
თსუფა 27122

## 82. ჟამნი ატაბეს I

ჟამი რო გაჩენილა, ატაბეში გამაცხადებულ. კოკიტა ყოფილ ერთი. იმას გახფიცვიან ესენი. ჟამნ ვერვის ვერ უნახან. ისარ კი უსრევავ. ისარ ხქონივ იმათ. კოკიტას მეტს ესენ არავის უნახიან. იმას გახფიცვიან. კოკიტას უთქომ: ერთ ვირ ხყვანდისო, ისარ ეკიდავ. ისრებ თუ ეჭირავ. ერთივ წითელ თბა, ერთ შავ თბა, მესამე თეთრ თბია. შავ თბას რომენსაც ესრევდესავ, მაშივ კვდებოდავ. განა რამე ამავიდის — ცვარ ამავიდის ზედაო და კვდებოდავ. წითელ თბაც ხოცდაო და თეთრ თბა კი რჩებოდავ. მითხრესა, ვირზედ არ გადასჯდავ, თორე გავიგებთო და შენც ეგრე მაგკლავთო. ერთხანივ ესენ იქეთ გადავიდეს და გადავჯეჯივ. მთელ ხმელეთს ისრე ჩავხედავ,

როგორც ხელისგულივ და მითხრესავ, სად დაგვემალებისავ ხალხივ, რო გვემალებისავ.

მემრე შევეკითხევ: რაიავ თქვენ ისრის წამალივ. მითხრესავ, არავისთან სთქვაევ. ლურჯ ფირ-ფურნივ ბაგაში უჩუმრად უნდა ჩახხოცნო და ისიავ ჩვენ წამალივ. ყელ არ უნდა გამაჭრა. უნდა დახანჯრ. ისენ უფლის ბრძანებით არიან.

სამოც კვამლ ანატორელ ახალგაზრდა თავის ფეხით ეკალდამაში შასულ. იქ დაურტყამ ისრები და დარმჩალან იქ. ამ ჩვენ სალოცავს დაუჭერავ აქ. ამის მეტ ვერა ხთიშვილს ვერ შაუნახავ. ჩვენ სახმთოს არ შამაუშვიან.

მთხრ. გიორგი ვანოს ძე არაბული,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, გველეთი, 1963.
თსუფა 29982

# 83. ჟამნი ატაბეს II

ატაბეს ყოფილ ერთ კაც. კოკიტა ხქვივნებივ. ის ყოფილ ჟამთან გაფიცებულ. იმის მეტს ვერავის ვერ სცოდნივ, თუ რან იყვნეს. ბატარბატარებ იყვნესავ. მესიცივეებ იყვნესავ. ზამთარშივ ვერ მუშაობდეს — იმალებოდესავ. სამ ფერ ისარი ხქონდავ: თეთრ, შავივ, წითელივ. შავ ისარს ვისაც დახკრევდესავ, მაშიავ კვდებოდავ. თეთრი ქვე რჩებოდავ. ეგ ჟამნ ყველგან გაჩენილან. მაგრამ ზოგიერთ ჯვრებს არ უშვიან: ზეისტეჩოს ადგილის დედას, ჴადუს სანებას უშინებან. გუდანის ჯვარს არ მიუშვიან. ალაველა ვაკეს გუდანის ჯვარში შაგროვილან მთელ ყმანი. შახვეწნიან გუდანის ჯვარს: გვიშველევ. ი სამით ჩახენესავ, — თქვისავ კოკიტამავ, — ერთავ დიდ კაც ხყუდავავ სათავეშიო, დიდიდნ წვერან ხქონივ თეთრნიო. არ ჩინავ, რო დავხკრათავ ისარივ. ჟამნი სამ წელს ყოფილან. მესამეს წელს, ჴარ რო შაიმბის, თოვლ რო გაშრების — ურნად გავიდვ, — ერთიმეორეს უთხრესავ, — ეხლა დრო გაგვივიდავ. წავიდესავ, თქვიან. ზეისტეჩოს, ერთ კაც ყოფილ ამანათი, მარტო იმისად დაუკრავ ისარივ. და წინჴადუს გვერდზე ერთ ჴევი ას, იმისას აიპარნისავ, რო არ გვინახნისავ, — თქვისავ ზეისტეჩოს ადგილის დედამავ, სანებამავ.

მთხრ. გიორგი გურამის ძე არაბული,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, დათვისი, 27.07.1962.
თსუფა 29991

## 84. ჟამნი ხადუში

ჴევსურეთს ჟამიანობა სრუ მაედვ პირიქით-აქათს. ჯვარის ჴელკაცები ყველგან ხედევდეს ჟამთ, დადიოდეს მშვილდ-ისრიანე-ბი დ' ვირებით ისრები დახქონდ. სადაც ვის გაეწეოდეს, ესრევდეს ისარს. სადაც მახვდებოდ, იქ გამაუვიდოდ რაიმა დ' აღარც რას ხანს დაღლევდ, მაკვდებოდ. პირიქით-აქათ ხალხი ნახევარზე მეტი გან-ყდ. ჟამთ სხო ხალხ კი ვერ ხედევდ, გარდა ჯვარის ხელკაცებისაი. ისენ კი ყველას ხედევდეს, როგორ ხოცდეს ხალხს ჟამნი. მაშინ ჟამნი ხადუს ვერ მავიდეს. სანებამ არ შამაუშვნ. ერთ ატაბიონ დადიოდ მა-შინ ჟამთან, სახელად თათარი. იმას საფარველ დაზდვესა დ' ყველგან ავლევდეს. ხან ისარს აზიდვიებდეს, ხან ხალხს ასწავლებიებდეს, სად ვინ იმალებოდ. ჴადუელთა დ' ატაბიონთ ადგილზე ხქონივ იმ დროს დავაი. ძალიან მტრობა ხქონივ ჩამავარდნილი. ამ თათარს, რომენიც ჟამთ ეხმარებოდ, ზდობნივ ჴადუელთ ერთიანად დალევაი დ' იქისკე ნამაუსხმიან ჟამნი. უფიქრებავ, რო ჴადუელთავ ერთიანად დავა-ლევინებო დ' ადგილივ ჩვენ დაგვრჩებისავ. მაგრამ სანების ჯვარს თავიც არცაით გადმაუჩინებავ. წამაუყვანიან დიახვევის გორისას, აქით უნდა ეჴლივ ისარი, ვინაც ჴადუს კარჩი გამაჩინდებოდა დ' უნდა ეჴოცივ კაცი, დიაცი, დიდი, ნვრილი. ჟამთ რო დიახევისგორ თავ გადმაუჩენავ, წმინდას სანებას ცეცხლის გირკალ უკრავ ჟამთა და კინალამ ჩაუწვიან. ცეცხლ გამაუჩენავა დ' სრუ დაუტყრუშიან. შაის-ვენიანავ ჟამთაო დ' კიდევ გადეემზადიან ჴადუსად ისრების დასა-შენადავ, მაგრამ მაშივ ცეცხლ ეცისავ ზედაო და დანვა გაუბედისავ. ბევრ უბრძოლავ ჟამთ, მემრ სხვაკნით მაუვლავ სხვის გორისადა დ' იქაც ესეთ დღე დაუყენებავ სანებას. ბოლოს, თავზე სალუდე ქვაბ ჩამაუცომ ჟამთა და აისრ წამასულან ჴადუსაკეს, ჯერ ერთ ხან უკრავ სანებას ცეცხლის გირკალი. ვერა დაუკლავ, მეორედ, ვერა დაუკლავ, მესამედ ძრიელ ცეცხლ უკრავა დ მაუგლეჯიებავ თავზეით ეს სა-ლუდე ქვაბი. ჯღარ-ჯღურივ ჭალაშიით ამადიოდავ. გაუგორებავა დ' ჭალაში გავარდნილ. დამრჩალან ჟამნ ველი-ველა დ' დაქცეულანა დ' გადატოლებულან. რო მაინც არ მიუშვიან სოფლად, დამსხდარან გორის იქითა და ხანდიხან გადააჩენიანავ თავებივ. ერთ თავმაძულე-ბულ ბებერ რაიმ ყოფილასა, იმას ზდობნივ სიკვდილ. არც ვინ გად-მაჩინდებისაო დ' მემრ გაუგავ, რო სანებამ არ მაუტივნავ. წასულ იქასვე, სადაც ჟამნი ეცოდინებოდეს. უნახავ ჟამთ სოფელს შორად გაცილებული, უსრევავ, დაუკრავ ისარი, იმაშიავ მამკვდარ. სანებას სოფელში აღარ მაუტანიებავ, რო რაად გავიდავ სოფლის გარეთაო დ' მაავლიავ თავივ. მე ის მინდოდავ, რო ჩემს საყმოშიავ ბენვიც არ

გამრუდებულიყვაო დ' მაგან კი შამარცხვინავ, გავიდაოდ დ' თავივ ძალით მააკვლიავავ.

ჟამთ მემრაც ბევრ უბრძოლავ ჭადუსაკე, მაგრამ სანებას მაინც ნება არ მიუცავ.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 19

## 85. ადგილის დედა ატაბეში I

სოფელ ატაბეს ქალ ეძინ. მივიდ ქმარი. ნახ, რო პირში გველ მიუძვრებოდ. ვერ მაასწვრ ჭელ, რო დაეჭირ. ეგონ, მაკვდებავ და დასამარხავად პურ დაფქვ. მაგრამ ქალ არ მაკვდ.

ამ ქალს ეყოლ ბავშვ. იმასთან ერთად დაიბად გველიც. ჭელზე ჰყვანდ დახვეულ. აკვანში ერთად იწვნეს, პურსაც იმათთან სჭამდ.

ამ დროს მეორე სოფელში იყვ დიდ ლუდ, ათი ჩხუტ. წავიდეს იქ. გველიც თან გაუდგ. მდინარ შახვდ გზაში. ისენ გავიდეს, გველი ვერ გავიდ. უკანავ მაბრუნდ. გაბრაზდ და წიოდ. სოფლის ბოლოში ნანგრევებში ჩამძვრალ და დაუძახებავ: „ატაბიონებ ნურც გამრავლდებითავ, ნურც გასწყდებითავ!“

იმის მემრ იმ ადგილს ჰქვია ადგილის დედა და იქ ვლოცულობთ.

სინამდვილეა, კაცო, ესა, უბრალო ჩვენება კი არ არის!

მთხრ. ხვთისო გოგოჭური,
ჩამწ. ნინო ჯავახიშვილი, ატაბე, 1993
თსუფა (სსნ) 58

## 86. ადგილის დედა ატაბეში II

ჰოდა, ქალი და გველი დასჩენია ი დედაკაცსა, ჩვენ რძალ იქნებოდა. ის გველი ჩაუწვებოდა იმ გოგოს აკვანჩი. წამააყენებდა. ერთ გვერდჩი გველი სწოვდა დედას და ერთ გვერდჩი კიდევ ქალ სწოვდა, გოგოი. გაიზარდა ეს გოგოი და დაიწყა პურის ჭამაი, კომიჭებისაი, და ეხლა ი გველიც ხო შვილ იყვა ი დედისადა და ენანებოდა ი გველი და დაუფცქენის იმ გველსა და ი დიდი ი გოგომ აილის. შაჭამის და ის ფქვილივით ი დაფცქენილი, დაყრილი, ი გველი თუ[რმე] ლოკდა იმას, ლოკდა ი გველი და: „ნუ ცუცუსავ, ჭიაო, კოიჭ-კოიჭივ ჭამევ“, — ეტყვის ი გოგოი. გაიზარდა და იმასაცა, ალბათ ხთისგან იქნებოდა ისიც, ი გველი, დაბადულიცა, და წამოსულ იქით, რო ადგილის დედაზე რო ჩავიდა. მემრ ტირის თუ ე ბალღ, ტირის, ტირის, ტირის ე

გოგო, ტირისა და ე დედა საქმეზედა წასული. მოვიდა ეს დედაი და იმ დროს მოვიდა, რო ეს გველი გამოსული იქითა და ნივის, ნივისა და გამაიარა ჭალაი, აი, ხატჩიით, ი ხევ რო გამოდის, ის ჭალაი გამოვლილი გველს. ნივილი გამაიარა ჭალაიო და, როგორც კრავლიან ბატკანი, ეგეთ იყო, ეგეთ იქნაო და ამაიარაო და აიმ ციხეჩი ჩავიდაო.

ბოჩოლას რო მაიგებს პირველა ძროხაი, ის უნდა დავკლათ ადგილის დედაჩი. ციკანს ვკლავთ კიდევ. ჰოდა, მემრ ქადა-პურს დააცხობენ ყველა სოფელჩი, ამაღლება რო ვიცით, მაში, დააცხობენა და სანთელს მაიღებენა და იმას იქ ვხუცობთა და მემრე ტოშლები, იმოდენანია ტოშოლი ზოგი და აავსებენ ტაშტებსა და მემრ დაუშლიან ბალღებსა. აი, ზეით, ვაკეს ვეძახით, იმაში.

დასტური იქაც თავისი უდგების. დროშანიც ადიან იქა. კოშკი ერთგან აგებული, მირგვალი ნაციხვარია, ნახოლარივითაა, ნასახლარია, და ერთგან კოშკი ას აგებული. იმაჩი დეეყუდნენ დროშანი, ქადა-პურიც იქ მივიდას, ხუცესმაც იმაჩი უნდა იხუცას. ეს ლუდი, ეს ქალ-ზალი მოდის იმ ვაკეში, ია, ზეით, წყალობას ვეუბნებით. ეეგრ ას მაგის საქმე.

მთხრ. ხვთისო გოგოჭური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ატაბე, 6.XII.1981,
თსუფა 25434ა

## 87. არაყი

ეს არაყი ეშმაკმ გამოხადა პირველად. ღმერთის გამოხდილ კი არ ას. ქვაბნი ხქონ დადგმულნ გამოსახდელად და პირველად რო ჩამეედინ, ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა, დაუძახა ეშმაკს: „რას აკეთებავ?" — „არაყს ვჴდიავ, ნახე, აბა, რა გავაკეთევ". პატარა ყანწ გაუვსა და მიაწოდა და დალია ეს ღმერთმ. კაი გუნებაზე შავარდა. მეორე ყანწი და მესამეც თაოდ დაავსებივ. ღილინის ხასიათზე დადგა და უთხრ ეშმას: „ვინც სამს შასომსავ, ჩემი იყვასავ. ვინც მეტსავ, — შენივ".

მთხრ. პეტრე გოგოჭური,
ჩამწ. გოდერძი არაბული, ატაბე, 1985,
თსუფა 27135

# 88. თუში ქაჯეთში

ერთი თუში მიდიოდა თიანეთიდან თუშეთისაკენ. თხილაში რომ გადავიდა, გზაში წამოეწია ძალიან ლამაზი ქალი, ერთის შეხედვით თუშსაც მოეწონა. ქალი თუშს მიუახლოვდა და დაეჯახა. მაშინ გავსხვარიგდიო, — ყვებოდა თუში, — დავბორბონიავდით და მერე აღარაფერი ვიცი, რა მოხდა და სად ვიყავითო. გონზე რომ მოვედი, ქაჯეთში ვიყავი, იქაურობა სავსე იყო ქაჯებით. ვინ იცის, იქ რამდენ ხანს ვიყავით. ქაჯები ორჯერ სადმე წავიდეს და მე არ წამიყვანესო. მესამედ რომ წავიდეს, მაშინ კი მეც თან წამიყვანეს. სადაც მივედით, იქ ხთიშვილნიც იყვნეს და ქაჯნიც. გავიგე, რომ ხთის კარზე ვიყვენითო. ქაჯებს ხთიშვილნი ისეთ მიჭუჭკვილნი ხყვანდეს, რომ ჩუჩუნის საქნარი არ ჰქონდა. თურმე ქაჯებს ხთიდან ნება აქვს მზის დაბრუნვის დროს ხთის კარზე მისვლისა და თამამად ქცევისა. ამ დროს ხთიშვილნიც ხთის კარზე იყრიან თავს. მე ქაჯებს თან ვყავდი და არცად არ მიშვებდნენ, ხოლო შორიდან კი ხთიშვილთაც ვხედავდი და ვიცოდი, რასაც აკეთებდნენ. გავხენე და მინდორი ქაჯ-მანდილოსანთ სრუ ეჭირა. ხთიშვილნი, იმათგან შეწუხებულნი, მიჭუჭკვილიყვნენ ხთის კარზე. მემრე ხთიშვილთა ჯერ ერთხან სადამ წალალეს კაცი, არავინ მოვიდა. მემრე მეორედ სადამ წალალეს კაცი, არავინ მოვიდა. მესამედაც რო კაც წალალეს, ქაჯებს არევ-დარევა შაეტყვ, შაშინდეს სადამ. მემრე თქვეს: „კოპალა მოვაო და ჩვენი საქმე ცუდად ასავ."

მავიდ კოპალაი დ' იმ მინდორს სრუ ცეცხლ გაშჩინდ, სადაც ქაჯ-მანდილოსანნი იყვნეს. სრუ დაკვლად აქცივ, ქაჯებ დაწვ ცეცხლში. სხვა ყველა დაიწვა და მე დავრჩივ მარტოივ, — ყვებოდა თუში. კოპალამ გაიგ, რო მე ხორციელ ვიყავი — იმით დავრჩი. მავიდ ჩემთან, მკითხ: „ვინ ხარავ, შენ აქ რას აკეთებავ?"

მიაც უთხარი ჩემს თავს გადასავალი, საით მოვედ აქ. „რა დაგჩავ შინავ კაივ, მითხარი." მე მამგონდ, ცოლი დ' ცხენ დამჩესავ კაებივ. მაგრამ მანამ ვეტყოდი, „ყროლ მაგგონდავ, არ სთქოვ!" მიაც მალე მოვისაზრე, ვუთხარ: „ქორან ხარნიო დ' მამულნ მამჩესავ."

ხარნიო დ' მამულნი მიაო დ შენ — ჯალაფნივ, მითხრ. ეს რო მითხრ, მემრ აღარ ვიცი, რაი ვქენი დ' წელწად შინ საითამ მავედ. მე ის არ ვიცოდი, ქაჯეთში რამთვენ ხან დავლიე. შინ მისულს მითხრეს: სამ წელს იყავივ დაკარგულივ. მერე ეს ხარებიც ორივე კარატის ჯვარისთვის ანუ კოპალასთვის დაუკლავთ, მამულიც კოპალას შასწირეს თურმე ამ თუშისა.

ალ. ოჩ. ფშავი 126-127

# წყალსიქითა

## 89. დიდგორის ჯვარი

ერთხელ ერთი ჴელოსანი შეხვდა ქისტებთან სროლას და თურმე ქისტებმა სძლიეს და გამოაქციეს ჴევსურები. ეს ჴელოსანი ტყვიის ქარცეცხლში მოყვა და გადმოხტა კლდის ძირში, მოსახვევი ნაბადი კლდის თავზე დარჩა, ტყვიის ქარმა ნაბადი გადმოაგდო. ჴელოსანი გამოიქცა და ნაბადიც მოიტანა ისევ. ხალხს არწმუნებდა: „დაილოცას დიდგორის ჯვარი, ეგ რო არ ყოფილიყვ, მე საეშმაკოდ მამკლევდეს. რო გადმავხტი, ტყვია ბზესავით გადიოდა, მე არ მეკარებოდ, ნაბადი დამჩ კლდის თავზედაი, დიდგორის ჯვარმ ის ნაბადიც აიღა, გადმამიგდ იქავ, არ უნდოდ. რო იმათ ხელჩი დამრჩალიყვ. ეს ხალხსაც ყველაფერი სჯეროდა და ამბობდნენ: „დაილოცას დიდგორის ჯვარი". ამ ჴელოსნის ჯალაფთაც სჯეროდა და სამეშვლოდ ერთი საკლავიც დაკლეს. დიდგორის ჯვარი მარტო არ არის, მას ყავს დამხმარე ძალები, მასვე ყავს ლაშქარნი დახმარებისათვის და შინაურ საქმეებში, როგორც სხვა ხთიშვილები, ისევე დიდგორის ჯვარიც იყენებს მათ. მაგალითად, მის ყმებში როგორ ვინ იქცევა, ვინ რას ფიქრობს, ამას არკვევენ ლაშქარნი და მერე დიდგორის ჯვართან მიაქვს ამბავი და დიდგორის ჯვარი გასცემს განკარგულებას და იგინი დასჯიან მას. ავად გახდიან, ფათერაკს მოგვრიან და სხვა. დიდგორის ჯვარის ნებართვით ამავე სოფელში არის დევთდედა. ამას აქვს პატარა კოშკი როშკისგორზე და როშკელი ხალხი, უფრო კი ქალები, ილოცავენ მას. მოიტანენ ქადას, სასანთლეს. მხოლოდ აქ სანთლის მაგივრად მუშს ანთებენ. მოუნთებენ სადობილოს და სცემენ თაყვანს. როშკელი ქალები ისე არიან დაშინებული ამ დევების დედით, რომ ხშირად სიზმარში ნახულობენ მას და ამბობენ, რომ ხორნაულთაში ყავს რძალი და როშკაში დედამთილიო. იახსარმა რომ დევები ამოწყვიტა, მაშინ დარჩენილანო და მათ აბრალებენ უფრო ქალების მარცხს. აქ მშობიარე ქალები უპატრონობის გამო ხშირად მარცხდებიან ბავშვის სიკვდილით და აბრალებენ დევთ დე-

დას და ამიტომ ილოცავენ მას. საკლავსაც უკლავენ და ძალიან ეფ-ერებიან. როშკაში კიდევ არის მთავარანგელოზის სალოცავი და მას თვლიან მეორეხარისხოვან სალოცავად.

ალ. ოჩ. M 15, რვ. 14

## 90. როშკის მთავარანგელოზის დაარსება

### (იფნი კერიაში)

როშკის მთავარანგელოზი ჭიმღის კლდით წამოსულა. თავდა-პირველად კალაური და ჩურთული მდგარან როშკას, სადაც ბელლი[ს] მთავარანგელოზის ნაჴოლარები. ჩურთ კლდეი სუ[ლ]. გველ ამასულ საცეცხლურში გაზაფხულ და იფნ ყვერფ-კერაში. მაუჭრავ. მეორედ ამასულ, მაუჭრავ. მესამედ რო ამასულ, გველ ამახყოლივ, ირგვლივ შამახვევივ იფნს. უთქვამის ცოლისად ქმარს: „ჩვენ სამყოფო აღარ ასავ, მოვშორდეთავ". აყრილან. ჩურთელ ქოოდ გათაულ. იმათი ალა-რავინ არა... მერე დაარსებულ ას მთავარანგელოზი. ჭიმღის კლდით გადმაბძანებულივა.

მთხრ. აბაისძე კაგას ძე წიკლაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, როშკა, 1981.
თსუფა 25439

## 91. დიდგორის ჯვარის დაარსება

### [თურმან მონადირის ნაამბობი]

...შარვანში რო ჩაველი, მტრედი ამყვაო. რო დავისვენებდი, შორს წავიდოდაო. რო ავდგებოდი წასასვლელად, ახლოს მოდიოდაო. საძელის ულელტეხილზე რო მოველი, სამჯერ შემოხკრა მხრები ერთმანეთს და გაენთო ცეცხლი, ცეცხლის ბურჯღუმი წამოვიდაო. წამოვიდა ცეცხლი და გორაზე, როშკის სამხრეთით, თავბერაულის სიმაგრეში ცეცხლის ალი ჩაიკრიფაო... მაშინ დაარსებულა იქ. მაშინ ქმოსტი და როშკა გაერთებული იყო. ხატიც ერთი ქმნილა და ლოც-ვაც ერთი დაუწესებიათ. ქმოსტელი მანგიური გაქადაგებულა: ქმოს-ტის მხარეს უნდა დაარსდესო. მერე უთქვამს (ჯვარს), ადგილი არა მაქვს და ქმოსტ-როშკის სისწორეზე — დიდგორზე დაარსდა. ამის შემდეგ თხუთმეტი მამა-პაპა იქნება.

მთხრ. ჯურხა კაგას ძე წიკლაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, როშკა, 1981.
თსუფა 25434

# 92. მონადირე ჯურხა თურმანაული

## [მონადირე — ჯვარის აღმომჩენი]

როშკაში ყოფილა ერთი განთქმული მონადირე, ჯურხა თურმანაული. ერთხელ ნასულა ჯუთის ჭიუხებში სანადიროდ და ერთი დიდი ჯიხვი მოუკლავს. ჯიხვი ყოფილა თორმეტ-ცამეტი წლისა. ჯიხვის ხორცი და თავ-რქა წამოუღია და წამოსულა. მთაზე რო შემდგარა, დაუნახავს, რომ ერთი რაღაც დიდი ფრინველი, არწივის მსგავსი, მიჰყვება უკან. მონადირეს უფიქრია, ეს ნამდვილად ჯვარია და არწივის სახით მეჩვენებაო (მონადირე არწივს არ ესროდა ჯვარის შიშით, ჯვარს არ შესცოდავდა).

მიდის მონადირე სოფელში და მიჰყვება არწივიც კივილით. როშკაში რომ ჩასულა, არწივს მთისკენ უქნია პირი და როშკის პირდაპირ მაღალ ტყიან გორის წვერზე დამჯდარა. ჯვარიც იქ აუშენებიათ. ხალხი ახლოს ვერ მიდიოდა თურმე. მიუვალი ადგილი იყოო, თანაც ძალიან წმინდა ადგილი და ეშინოდათო. ამიტომაც იმ გორის ქვემოთ დიდგორის ჯვარის ნიში — კოშკი — აუშენებიათ სალოცავად.

რაკი როშკის დიდგორის ჯვარი მონადირის მოყვანილი იყო, ამიტომაც ამ ჯვარს მონადირე ძალიან უყვარდა და ხელს უწყობდა ნადირობაში.

## [მონადირის ცხენი — ვეძის აღმომჩენი]

ჯურხა თურმანაულს კარგი ცხენი ჰყოლია. დილით დაჭედავდა და მინდორში გაუშვებდა. საღამოზე ცხენი დაღლილი და ნალებდაცვენილი მოდიოდა თურმე. ძალიან უკვირდა თურმანაულს: რა მოსდის, რა ემართება ჩემს ცხენსო. ერთ დღეს მიჰყოლია უკან. ცხენი მისულა ერთ ადგილას და დაუწყია მიწის თხრა და წყლის ლოკვა. დააკვირდა თურმანაული, ნახა ვეძა.

ამბობენ, თურმანაულმა დიდგორის ჯვარი მოიყვანა, თურმანაულის ცხენმა კი ვეძა აღმოაჩინაო.

ბალ., მაკ., მახ. 118-119

# 93. დიდგორის ჯვარი

დიდგორს ჯვარი როშკისა დ' ქმოსტის სალოცავებში ყველაზედ უფროსი ას. ხთისგან აქვ მალოცვილი ძალი დ' შაძლებაი. დიდგორის ჯვარი დევ-კერპთაც ებრძვისა დ' გაჭირვების დროს

მტერსთანაც შაუძლავ დაჴმარება. თუ ვინ შამასძახნებდ, დიდგორის ჯვარი დაეშველებოდ.

წინავ აქ დიდგორის ჯვარ არ ყოფილ. შარვანით მენადირეს გამახყოლივ, მასულასა დ' დიდგორ დამჯდარ. მენადირეს მიუზიდავ ქვები დ' სადაც ის დაარსებულ უნახავ, იქ კოშკ აუგავ. იმის აქეთ დაუწყავ აქ ლოცვაი. ეს ალაგი, სადაც დიდგორის ჯვარი ას დაარსებული, ქმოსტელთ შჭერიოსა დ' ჯვარს დაუჭერავ ძალით. ტახტის ყმად ქმოსტელ-როშკიონ დაუჭერიან. წინ-წინ ეეგრ ილოცევდეს, როსაც რაჴელ ვის უნდოდ. ბოლოს, გაუჩენავ ჯვარს ყანები, დასტურები, ხუცეს-ჴელოსნები. შაუწირავ ხალხს თასები, დროშა, დროშაის მასალა. გაუჩენავ დღეობები, ლუდის დუღილი დ' გაძლიერებულ დიდგორის ჯვარიც.

დიდგორის ჯვარ არჩენდ დახელთილებსა დ' ეშმაკეულებს.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 16

## 94. ნადირთ მწყემსი

ყოფილა ერთი როშკელი მონადირე. წასულა სანადიროდ. გზაში შემოღამებია და ეხში დამდგარა. ღამე ესმის ძახილი: „რა გინდათ, რას მეძახით, სტუმარი მყავს, ვერ წამოვალო". „—სტუმარიც თან წამოიყვანეო". წასულა ეხის პატრონი და მონადირეც თან წაუყვანია. შესულა მეორე ეხში, სადაც თურმე დიდი ღრეობა და ლუდ-არაყის სმა იყო. ჩემს მასპინძელს ჰკითხეს: „რად მოსულა შენი სტუმარი, რა უნდა, რას თხოულობსო?"

„შენს საქონს თხოულობსო". იმ კაცმა უპასუხა: „ჩვენ სამაგისო საქონი არა გვყავსო. გაუშვით შინ ცარიელიო". მონადირის მასპინძელი თურმე შეეხვეწა: „ნუ გაუშვებთ ხელცარიელსო". მაშინ ისევ იმ მოხუცმა კაცმა თქვა თურმე: „დაუძახეთ ნადირთ მწყემსსო!" შემოვიდა ქალი, ქართულად ჩაცმული, კაბიანი. ქალს უთხრეს: „ხომ არა გყავს რამე კოჭლი ან ბრმა, რომ ამ კაცს მივცეთო?" ქალმა უპასუხა: „მე დღეს დავდექი მწყემსად. აქამდე ვაჟი მწყემსავდა ნადირთ. იმას არ ჰქონია ნადირთაზე გული. გაუშვია ისეთ ადგილზე, სადაც ქვის საგორავი ყოფილა. გამოგორებულა ქვა და ერთ ნადირს ფეხში მოხვედრია. ის არის კოჭლიო". „აბა, ის მიეციო!" — უთხრეს და გაქრა ის ქალიო. მე კი მითხრეს: „ეხლა შენ წადი და დაიძინეო".

მეორე დილას რომ გავიღვიძე და ეხიდან გამოვედი, არც კი დამჭირდა ბევრი სიარული, ავიხედე და ფეხმოტეხილი შუნი პირდა-

პირ ჩემკენ მოდიოდა. არც დამიფრთხა. ვესროლე, მოხვდა ტყვია და მოკვდა. როცა გავატყავე, ვნახე, რომ ფეხი მართლა მოტეხილი ჰქონდაო. შინისკენ რომ მოვდიოდი და ხორცი მომქონდა, ძახილი მომესმა: „ღმერთმა ალალ გიყვასო!"

ბალ., მაკ., მას. 122-123

## 95. ჯიხვთ წინამძღოლის ღვიძლი

ერთ მონადირეს ბევრი ჯიხვი უხოცია. თითო წასვლაზე სამ-ოთხზე ნაკლები არ მოუკლავს. როცა ჯიხვებს ხოცავდა, წინ მიმავალ ჯიხვს თურმე არა კლავდა. ერთხელ წასულა სანადიროდ და სხვა ჯიხვებთან ერთად ის წინამძღოლი ჯიხვიც მოუკლავს. როცა დახოცილ ჯიხვებს დაუწყო თურმე გატყავება, ზევითა კლდიდან მოესმა ძახილი: „ბაბუკო, შენ რომ ჯიხვებს ხოცავ, კარგად არ წაგივა საქმე. სანამ წინამძღოლის ღვიძლს შეჭამ, ცოცხალიმც იქნები. როცა შეჭამ კი — ნუღარაო".

ეს რომ გაიგონა ბაბუკმა, ამოაჭრა თურმე ჯიხვს ღვიძლი, ჩაიდო ჯიბეში და თან ფიქრობს: „რომ შევჭამო, მოვკვდები, უბეში თუ მექნება, ვიცოცხლებო."

ამის შემდეგ დახოცილი ჯიხვების ტყავ-ხორცი შინ წამოიღო და ხორცზე ხალხი მიიპატიჟა. თანაც ყველაფერი უამბო. მხოლოდ ის კი არ უთხრა, თუ რა ხმა გაიგონა კლდეშიით ანდა რა დაუძახეს. ღვიძლის შენახვის ამბავიც არ გააცხადა, რადგან ვინც დაუძახა, იმისგან ჰქონდა დარიგებული.

ბაბუკს ის ღვიძლი ყოველთვის ჩოხის ჯიბეში ჰქონდა დამალული. მას შემდეგ ის დიდხანს და კარგად ცხოვრობდა. ისე დიდხანს უცოცხლია, კიდევაც დავიწყებია, რომ ჩოხის ჯიბეში ღვიძლი ჰქონდა. ერთხელ ეს ჩოხა გაუცვლია და ჩოხასთან ერთად ღვიძლიც თან გაუყოლებია. ამის შემდეგ ბაბუკი მალე მომკვდარა

ბალ., მაკ., მას. 123

## 96. დევის ქმარი

ხორნაულთ ჭრელას დევის ქალ ხყვანივ ცოლად. ის ვერ სცოდნივ დევების ქალიაო დ' დევს უძახებავ: „ქალ წამავიდესავ, მუშაი გვყავისავ". წასულავ ი ქალიცაო დ' მემრ თუ[რმე] ჭრელა წამოსულ.

„ნეტავინავ, — უთქომ, — სიძეო, არ მასულიყავივ, ჟამ-კარს რას ამირევავ. ევანისითავ მუშა მაასხესავ". — „რას ამბობავ, რას მუშას აგირევთავ, ცალკე მავხმკივ".

მემრ პურის საჭმელად დამსხდარან. ყველამ დამიბღვირავ. „დამწერევ, კოპალაო, შენ ჯვარივ! სრუყველაიც მე მიბღვერსავ", — უთქომ. გაშჩინდ ცეცხლიო დ' სრუ გაიბუგავ ძნაიცავ. თაოდ გადამრჩალ ის კაცი.

დოლ. 24

## 97. მწყემსი ქალი, დევი და იახსარი

ერთ ახალგაზრდა ბლოელ ქალს ქალქვისთავისკენ ძროხები დაუდიოდა საზაფხულო საძოვარზე. ამ ქალთან სიარული დაიწყო ერთმა ლამაზმა ვაჟმა. ქალი ძროხებს არეკავდა თუ არა ქალქვისთავს, ვაჟი მაშინვე იქ გაჩნდებოდა. ძროხებს რომ შინისკენ დააბრუნებდა, ვაჟი ისე მოხერხებულად გაიპარებოდა, რომ ქალი ვერ ხვდებოდა, როგორ, რა დროს ან საით წავიდა. უკვირდა ქალს და თანდათან ეჭვში ვარდებოდა. ვაჟი კი მთელი დღე ესაუბრებოდა ქალს, ეთამაშებოდა და ესიყვარულებოდა. ისე ჩანდა, თითქოს უიმისოდ გაძლება არ შეეძლო. ქალს ბევრჯერ უკითხავს: ვინა ხარ, საიდან მოდიხარ ან სად მიდიხარო, რომ ერთხელაც ვერ გნახე ვერც მიმავალი და ვერც აქეთ მომავალიო? ვაჟი ამაზე გაიცინებდა და სულ სხვა რამეს ეტყოდა.

ასე გადიოდა დრო. ქალი ისე დაუახლოვდა ვაჟს, რომ ხელდახელაც კი დაუწყო ხუმრობა-თამაშობა. ერთხელ ქალმა მკლავზე მოხვეული მძივიანი ხელსახვიელა შეამჩნია, მკლავი დაუჭირა და სახელო შეუხვასტა. ნახა, რომ მკლავი ადამიანის მკლავს არ უგავდა, მეტისმეტად ბარდღლიანი ჰქონდა. ქალი შეშინდა, კარატისწვერისკენ გაიხედა, სადაც კოპალას და იახსრის ნიშებია, და თქვა: „იახსარო და კოპალავ, თქვენ დამწერეთ ჯვარი. ამას რა რიგი მკლავი ჰქონიაო?" ვაჟი ამ სიტყვაზე შეკრთა და უთხრა ქალს: „რაზე დამღუპე, ეს რა თქვიო?" ამ დროს კარატისწვერიდან აიმართა სალუდე ქვაბის ოდენა ღრუბელი, ჯერ მაღლა ავიდა და მერე ქალქვისთავისკენ წამოვიდა. გზაში ცეცხლად იქცა, ზედ დაეცა ვაჟს და ფერფლად აქცია. ქალი კი უვნებლად გადარჩა.

მერე ქალის ჯალაფნი მკითხავთან წავიდნენ იმის გასაგებად, თუ რა იყო ეს ჩვენება. მკითხავმა უთხრა: ის ვაჟი დევის შვილი იყო, ქალს დაიახლოვებდა და, ბოლოს, ავნებდაო, თუ თქვენი

ქალიშვილი ყისმათიანი არ ყოფილიყოო. კოპალა და იახსარი რომ ახსენა, იმ დროს კარატისწვერს იახსარი ყოფილა კოპალასთან სტუმრად და ქალს მიშველებიაო.

ამ ქალის ჯალაფთ ათენგენას საკლავი წაიყვანეს ხატში და იზღვნეს იახსრის ნიშთან.

ალ. ოჩ. ფშავი 48

## 98. აბულეთაურთა

აბულეთაურთა ცუდად ყოფილ. მივ თურმე ქალი და ამბავს ხკითხავს ძილში. რო გაიღვიძებს და იტყვის: ეს ქალიმც მანახვავ, მაგას მაუყვანს არ გაუტევდივ. ის ჴაჴმატის ჯვარ ყოფილ. ჴაჴმატის ჯვარს უთქომ: საცოლედ მამინდომესაო და მაგათ კედელთავ შავად ავტუსავავ. მე ჩამასაშველებლად მავიდიდიო და მაგან საცოლედ მამინდომავ და დაულევან კიდევაც.

მთხრ. ბერდია თათარას ძე გიგაური,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, უზუნდარა, 1980.
თსუფა 29986

# გურო-შატილი

## 99. გუდანის ჯვარის დაარსება შატილის მხარეს

კისტნის მთაში მასულ გამაფრენილ მტრედი. „მტრედ მავიდავ გამაფრენილივ, — მწყემსს უნახავ, - მთაზე დაჯდავ". მემრე იმ მწყემს ხალხისად უთქომ: „მტრედ ზისავ გორზედავ, აღარ შორდებავ ორ დღეიავ". ქადაგ წასულ და საკლავ დაუკვლევიებავ. რომ დავკალივ, ხუცესს ეთქვ: „მტრედმავ ნისკარტ დახკრავ სისხლსავ სამჯერავ და მემრე გაფრინდავ გუდანისკედავ". მემრე ხალხს უთქომავ: „აქ გადმავიდავ დალოცვილივ, აღარ გვინდავ გუდან დენავ".

მემრე ხალხს, მთაივ იციან კისტნის თავ, იქ აუგებავ კოშკი. ამ ხატს ასე იხსენებენ: „თეთრო მთის ქორო თერგვაულო".

პირველად გუდანით ჯვარ კისტან გადმასულ, მემრე შატილ. შატილ, ზენ ვაკეს, ბალღს უნახავ მტრედი. „აგერავ ჩიტივ", უთქმავ მამისად. მამას დიაცისად უთქმავ: „წადივ, ხბო მამიყვანევ". იმ კაცს ხბო დაუკლავ და კოშკ აუგავ თეთრ თერგვაულისად.

მთხრ. მინდიკაური
ჩამწ. ნიკო ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26082

## 100. ხელმწიფე ხთიშობელი

გუდანით, ბელლისკარით არის მაბძანებული, გარმაყოლილი. კისტნელ წამასულ და იმას გამაჰყოლიავ. ნიში გუდანით მატანილი. თავადი გორის ანგელოზი, თეთრ თერგვაული — ეს ას გუდანით, სანეით არის გადმასული. ის წამასულ მტრედის სახით. იქ საყმოს უნდა დავეშველავ, უთქმავ. პირველად ჭეჭყეთის თავ დამჯდარ, იქ დაარსებულ. ეეხლადაც ეტყობ ნადარბაზალი. მეზღვნე დადიოდ ათენგენობაჩი. ერთხელ მეზღვნეს, იქისკე წასულს, გზაჩიით გადა-

ვარდნი ბალღი, ხურჯინშიით. ის წყენივ, ვერ დავეშველევ და ამი-
ტომ აყრილ და წამასულ, ლიშანთვაკეს (დაბლა) დაარსებულ. ისევ
ტრედის სახით ეჩვენებოდ. ზენსოფელ რო ყოფილ კისტანი, ძალიან
მირ-მარეულ ადგილჩი ყოფილ კოშკი. ამიტომ აყრილ და წასულ მთას,
ხახაბოისთავ. ისეთ ადგილზე ეხლა, რო იქ არაფერ არ შახვდებ: არც
ცხვარი, არც საქონი. ეეხლა იქ დავდიორთ საზღვნელად.

მთხრ. გ. ჭინჭარაული
ჩამწ. ნიკო ზვიადაური, კისტანი, 1983.
თსუფა 26142

## 101. შატილის ჭინჭარაულები

ჩვენი გვარი საჯინჭრით მოსულები ვართ. კახეთიდან სადღაც ეძახდეს საჯინჭრეს, იქიდან წამოსული არის. მარტო ერთ კაც გუდანში დასახლებულა. იმას სამ შვილ გასჩენია გუდანში. ეს სამი შვილი ქნილა მონადირე, კაი გამდიდრებული ბიჭები. ის შვილებ სანადიროდ წამოსულან (ამ შვილებს რქმევიათ: გიორგი, ბოთლაი, როსტომ). წამოსულან, მთა გადმოუვლიათ, გუდანით წამოსულან. აქ, ჩვენ სოფლის თავში, რო ვაკე ადგილი ას, აქ მოუკლია ფსიტი. ისეთი ყოფილა, რომ ძალიან გამსუქანი ეს ფსიტი. მერე ის ფსიტი მამასთან წაუღიათ. იმ მამას უთქვია, ეს სად გასუქდა ასეთი, რას ადგილჩი მოკალით, იყო იქ კაც თუ არაო. საცხოვრებლად კაი იქნებაო. იმათაც უთქვამთ, არავინ კაც იქ არ სჩანდაო, მხოლოდ ძალიან ტყიანი იყოო. ვერძის ქისით წამაუღავ ქერი და იფქლი. წამოუღებავ იმ სამივე შვილთა, დაუთესავ ის მარცვლეული და შემდეგ, რომ მოუმკიათ, მძიმე ტომარა შეუგროვებიათ. მერე უთქვამს მამას შვილებისათვის, ერთ-ერთი იქ უნდა დასახლდეთო. გადავალთ, უთქვიათ შვილებსაც. გაუყრიათ კენჭი და, რომელიც უფროსი ძმა ყოფილა, იმას ადგილობრივ გუდანში დარჩენა რგებია და ორნი აქ გადმოსულან. საშუალო შატილში დამდგარა. ეს უმცროსი, მესამე, მუზუს წასულა, ქისტეთს. იქ ვერ დამდგარა და მუთხუს წამოსულა. ესეც შატილს ეკუთვნის, ჴორჴია. არც ის ჴორჴ მაიწონა. საშუალო ძმამ უთხრა უფროს ძმას, რო რა უყო ამ კაცსაო, ეს არსად არ დგებაო. მუზუს წავიდა, არ დადგაო, მუთხუს წავიდა, არ დადგაო. მერე დაიბარა იმ უფროსმა ძმამ, მაგის ალაგსაო იჯე ჰქვიანო. მერე კისტანს დაუსვამთ და უთქომთ, შენ აქ იჯეო და იმ ადგილსაც იჯე დაარქვეს.

გვარ-ძვალი არიან ყველა ჭინჭარაულები, რომლებიც ცხოვ-რობენ გუდანში, შატილში, კისტანში. არდოტს არიან მურღვანი, ისინიც ჩვენი სისხლისანი არიან, ძმისწულები არიანო, ასე იციან.

ღულელი ქისტაურები ჴარ-ქვაბით შამაყრილები არიან. მუ-ცუელებიც ჴარ-ქვაბით შამაყრილები არიან: შეთეკაურნი, დაიაურ-ნი, გიონი. ასე იყოფიან მუცუელი ჯინჭარაულები. ჯუთელნი იყვნეს კიდევ ჴარ-ქვაბით შამაყრილები და, ეხლა, არ ვიცი, რომელი გვარი-სანი იყვნეს ისინი.

მთხრ. საყურა ჭინჭარაული,
ჩამწ. რუსუდან ხარაძე,
რ. ხარაძის არქ.

## 102. ანატორის ჯვარი

ანატორისჯვარიყოფილამფრინავი.ესარისმთავარანგელოზი. იმას მყოლი ჰყოლია. ის მყოლ მოხუცებულა და უფიქრებია ამას, — იქ ოქროსმჭედლებ ყოფილა, კაკნიახოს ეძახიან, დიდი სოფელი, ქალაქ ყოფილიყო, ვერცხლი უჭედავ, ოქრო, — ჰოდა, იქ წავიყვანო და ამ მჴრებზედ ლუსმებს დავაკვრევო. გადაუყვანი იქი მჭედელთან, ოქროს ლუსმებ დაურტყმებავ მჴრებისა.

ჰოდა, ამის შემდეგ კი გაჩენილა შავ ჭირი. შავ ჭირი გაჩენილა და ის სოფელიც ამაწყვეტილა. აკლდამებ როა, იმდროინდლებია ეგენი.

ერთი კაცილა დამრჩალა, წასულა თუშეთში. ჰოდა, იმას შახვე-დრია შატილელ კაცი თუშეთში.

— საიდან ხარიო?

— ამა და ამ ადგილიდან ვარიო. ჩვენ სოფელშიო ორჯერო მზე ამადიოდაო, ფარეხთყანას ეძახდესაო და სრელ იყვნიანო და ჴარნი სოფელშიით წასულნი ფარეხთყანას გადავიდიანო.

მერე წამაუყვანავ ისევ ის კაცი და შატილ დაუსახლებავ, აქ, ბოლოჩი. ეგრე ვიც მე.

მთქმელის შენიშვნა: „ანატორში გორა დგასა და ზამთრობით რო მზე ბუდეში მიდის, ამოვ, გაჴენებს ი სოფელსა და მერე იმ გორას მეეფარების, გრილო დაადგებ იქა. მერე გორას რო გამოსცდებ, ისევ იქ ჩაჴენებს. ამისთვი ამბობენ, ანატორჩი მზე ორჯერ ამადისაო“.

მთხრ. ბასილი ჭინჭარაული,
ჩამწ. გიორგი ჯაფარიძე, შატილი, 1977.
თსუფა 27048

## 102-ა. ქისტები ანატორის ჯვარში

ანატორი ჯვარ რჯულიან-ურჯულოთა სალოცავი ას. იქ ქისტებ მავიდიან.

ჩემს ბავშვობაში ანატორის ჯვარჩი ქისტ ხუცეს მადიოდის, ბახაგა ექვივნ, სახანოც იყვ, მთის იქით ქისტეთიდან მადიოდის. ბახაგა სანთლითაც, საკლავითაც, ბაჩაყურებითაც ჯვარს ადიდებდის. მემრ ქისტებ მოხარშულ ხორცსაც, ბაჩაყურებსაც ხალხს ურიგებდენ, ჯვარს გაადიდიან. ბალღებს გვიხაროდის ქისტების მასვლა ჯვარჩი. ბახაგა ხუცობდის: — ანაქორინ წა წეიმ ბარა! — გწყალობდასთ ანატორის ჯვარივ.

ანატორის გალმ, მთის წვერს, ანატორის კუჭას ვუძახთ. იქ ეკალდამა ყოფილ, ინახებოდ ოქროს ფანდურ, ოქროს ლარებიან. ეკალდამას ჯდებოდის მტრედ. — ანატორის ჯვარიავ, — ამბობდნენ. მარტუაი ქისტ ბახაგა ადიოდის იქ. ვერც შატილივნებ ავიდიან წრიაპითა. ჯვარ არ უშვებდის, ჯვრის ადგილ ყოფილ. ბახაგა მარტუაი ადიოდის ეკალდამათას. ბახაგას მტრედ აფრინდებოდის მხარზე. მტრედ კიდეთას ავლებდის. დიდ მოწმინდარ კაც იყვის. ბახაგას მტრედ ჯვრის დროშით ქისტეთჩი მიჰყოლებავ. იქაც იხუცებდის: — ბისმილაჰი რაჰმანი, ანაქორინ წა წეიმ ბარა...

— ანატორის ჯვარიავ, — ეუბნებოდის მტრედზე ქისტებს და ისინიც ილოცვიდიან.

ქისტებ ხევსურ ხუცესებსაც ავლებდიან ქისტეთჩი და ახუცვინებდიან, დაალოცვიდიან, ჩემ პაპა გიგიაჲც ხუცეს იყვ, შატილიონ, მიჰყავდათ ქისტეთჩი და მათ ბინებზე ხუცობდის.

მთხრ. მზექალა (ჩორეხ) აბაის ასული ჭინჭარაული,
ჩამწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, შატილი, 01.12.1995.
თსუფა 30000

## 103. ანატორის საყმო

საიდან მოსულა ანატორის ჯვარი, არავინ იცის, რადგან თავისი ყმები ანატორელები სულ ამოუწყვეტია. ანატორის ჯვარს ორი მოძმე ჰყოლია: არხოტის ჯვარი და ჴონის ჯვარი, მესამე თავად ანატორის ჯვარი სამივენი მთავარანგელოზებია. ამათში უფროსად არხოტის ჯვარი ითვლება, მეორეა ანატორის მთავარანგელოზი, მესამე ჴონეს მთავარანგელოზი.

ანატორის მთავარანგელოზის ყმები ყოფილან სოფელ ანატორში მცხოვრებნი და ბევრნიც ყოფილან. მათ ეკუთვნოდათ მთელი შატილის მთა და ბარი. მერე გუდანიდან ჭინჭარაულები მოსულან და ძალით ჩასახლებულან შატილის მახლობლად, ქაჩუში. ანატორელებმა მთავარანგელოზის დროშის ქვეშ მოიყარეს თავი და რამდენჯერმე დაეცნენ ჭინჭარაულებს, მაგრამ მათ მოიგერიეს მომხდურები. რომ ვერაფერს გახდნენ და ვერ აჰყარეს ქაჩუში ჩასახლებული ჭინჭარაულები, წავიდნენ და თუშებს სთხოვეს დახმარება. ისინიც მოვიდნენ დიდძალი ლაშქრით და შეუერთდნენ ანატორელებს, რომლებმაც აბეს მთავარანგელოზის დროშა და მოულოდნელად დაესხნენ თავს ქაჩუს. ჭინჭარაულთა ცხვარი და ძროხა კი გამოირეკეს, მაგრამ ციხეში გამაგრებულებს ვერაფერი დააკლეს.

თუშებს უნდოდათ გაეგოთ, საიდან ამოჰქონდათ წყალი ციხეში ჭინჭარაულებს. ამის გასაგებად ჯორი დიდხანს უწყლოდ ამყოფეს და წყალმონწყურებული რომ გაუშვეს, იმ ადგილას მივიდა, სადაც დარანიდან ასატანი წყალი იყო დამალული. ჯორმა წინა ფეხებით ამოთხარა წყარო, მოწყვიტეს წყალი, მაგრამ ქაჩუს ციხეს შეფარებულნი მაინც არ დამორჩილდნენ. ისინი მატყლის გრძელ თხორებს გადაყრიდნენ ღამ-ღამობით სოფლის ბოლოს არღუნის წყალში. იქ ციცაბო კლდე იყო და თხორები პირდაპირ ეშვებოდა მდინარეში და წყლით იჟღინთებოდა. ამოათრევდნენ თხორებს, გაწურავდნენ და კოდებს ავსებდნენ გამონაწური წყლით. წყალიც ბევრი ჰქონდათ და პურის მარაგიც.

ანატორის ჯვარს ჰყავდა ერთი მკადრე, რომელიც ანატორის მფრინავ ხატს დაჰყვებოდა თან. როცა ხატი თავის მკადრეს ხელზე მოუვიდოდა, მკადრეს თავს გვერდზე დააჭერინებდა, თავად კი მის ხელზე გადაფენილ ხელსახოცზე — სამკადრეოზე დაბრძანდებოდა მკადრისგან ზურგშექცევით, რომ ხორციელის სული არ მისდენიყო. ხატი ფრინავდა ხევსურეთში, თუშეთში, ქისტეთშიც, მაგრამ ხალხს არ ბეგრავდა — დაბეგრვა გუდანის ჯვარის საქმე იყო, არამედ თავისი სახელის ასამაღლებლად დადიოდა, რომ ბევრი მლოცველი გაეჩინა. როცა მკადრე მოხუცდა და თანაც დაკოჭლდა, ველარ ჰყვებოდა მფრინავ ხატს. ამიტომ მოინდომა მჭედლისთვის გაეკეთებინა ოქროს ლურსმანი და დაეკრა ხატისათვის მხარში, რომ ხატს სწრაფი ფრენა ველარ შესძლებოდა და მოხუცებული მკადრე დასწეოდა.

ანატორს გაღმა იყო ერთი სოფელი, რომელსაც ახლა ძველ ნასოფლარს უწოდებენ, სახლების ნანგრევებილაა. ამ სოფელში ცხოვრობდა ოქრომჭედელი. მკადრემ გამოაჭედინა ოქროს ლურსმანი და დაალირა ხატს დასაკრავად. ხატს დაეტყო ნალურსმნალი და ძალიან გაუწყრა მკადრეს, მთელს მის გვარს და მჭედელს. გააჩინა ჟამი და სულ გასწყვიტა ხალხი. ანატორის აკლდამებში ერთ დღეს მარტო

სამოცი ხმლიანი შესულა, რადგან ჟამისგან მოკლულს არავინ ეკარებოდა დასამარხავად. სნეული თავისი ფეხით შედიოდა აკლდამაში და იქ დალევდა სულს.

ეს ხალხი რომ გაუწყვეტია, ერთი საწყალი კაცი გადარჩენილა, რომელსაც თავი ჰქონია დაჭიავებული. ეს კაცი ჯერ მუცუში შეხიზნულა. ჭინჭარაულებს მოუნდომებიათ მისი მოკვლა და ამით ანატორელთა გვარის სრული ამოწყვეტა, რომ ადგილზე აღარავინ შედავებოდათ. მაგრამ მუცუელებს ეს კაცი თუშეთში გადაუყვანიათ და იქ მიუბარებიათ. კაცი თუშეთში დაცოლშვილებულა. ჭინჭარაულები კი დამდგარან ანატორის ადგილებში, დაუკავებიათ შატილი, და დაუწყიათ ცხოვრება. ანატორის ჯვარსაც მოუშლია მჴრით [ფრთებით] ფრენა და ჩვეულებრივ სალოცავად გადაქცეულა. შატილივნებმა ანატორის ჯვარის ლოცვა განაგრძეს და გაჩნდნენ დასტურ-ჴელოსნებიც. სალირა ჭინჭარაული ყოფილა, შატილიონი, ხატის კაცი. მთავარანგელოზის ხატი ხელზე მოუდიოდა, მაგრამ ერთხელ ხელიდან გაუშვია, გაფრენილა და წუქვისგორზე დაბრძანებულა, იქიდან ჴონეს წასულა და იქ დარჩენილა. ამის მერე ანატორის ხატი ხელზე აღარავის მისვლია.

ჭინჭარაულებმა როცა შატილი ააშენეს, თუშეთიდან მოიყვანეს გადარჩენილი ანატორელი კაციც და თავისი სოფლის ბოლოს დაასახლეს.

ალ. ოჩ. M 32, რვ. 46

## 104. ანატორის ჯვარის მკადრე I

მაშინ ანატორის ჯვარს ყავდა ერთი ხუცესი. იგივე მკადრე. ეს ხატი იყო მთავარანგელოზის სურათის სახით, რომელიც ფრინავდა ჰაერში და თავისი მკადრე დაყვებოდა თან. სურათი ჩარჩოებში ყოფილა გაკეთებული, როგორც ჩვეულებრივი ხატი. ეს ხატი ფრინავდა ხევსურეთშიც, თუშეთშიც და ქისტეთშიც. მას არ ახასიათებდა ხალხისათვის ზეგრის დადება (ეს მარტო გუდანის ჯვარის საქმე იყო), არამედ ის დადიოდა იმიტომ, რომ ხალხი დაეყმო და თავისი სახელი აემაღლა და ბევრი მლოცველი ყოლოდა. ის როცა მიფრინავდა, თან დაყვებოდა მისი მკადრე, ვისაც ის ხელზე მოუდიოდა. მკადრე მოხუცდა, თანაც დაკოჭლდა და ველარ ყვებოდა ხატს. ამიტომ მან მოინდომა გაეკეთებინებინა მჭედლისათვის ოქროს ლურსმანი და დაეკრათ ხატისათვის მხარში, რომ ხატს ჩქარად აღარ შესძლებოდა ფრენა და მოხუცებულ მკადრეს შესძლებოდა მისთვის

გაყოლა. ანატორის გაღმა მხარეს იყო ერთი სოფელი, რასაც ახლა უწოდებენ ძველ ნასოფლარს. იქ სახლების ნანგრევებია. ამ სოფელში ცხოვრობდა ოქრომჭედელი. ხატის მკადრემ გააკეთებინა ოქროს ლურსმანი და დააღირა ხატს დასაკრავად (დააპირა ხატისათვის დარტყმა ლურსმნისა). ხატს დაეტყო ნალურსმრალი და გაუწყრა ძალიან მკადრეს, მის გვარს, მჭედელს და მის გვარსაც; გააჩინა ჟამი და სულ გასწყვიტა ხალხი. ანატორში იყო აკალდამები და ერთ დღეს სამოცი შესულა, სამოცი ხმლიანი მარტო. ეს ისეთი ჭირი ყოფილა, რომ გამოუვიდოდა მუწუკის სახით სხეულზე და აღარ აცოცხლებდა დიდხანს. ჟამისაგან მოკლულს აღარავინ ეკარებოდა დასამარხავად და ამიტომ, როცა მუწუკი გამოუვიდოდა, ავადმყოფი თავისი ფეხით შედიოდა აკალდამაში და იქ დალევდა სულს. მათი გვამები ანუ ჩონჩხები დღესნამდინ არიან აკალდამებში.

ეს ხალხი რომ გაუწყვეტია, ერთი საწყალი კაცი გადარჩენილა, რომელსაც თავი ქონია დაჭიავებული. ეს კაცი პირველად შეხიზნებია სოფელ მუცუში და შატილიონებს აქაც მოუნდომებია მისი მოკვლა და ანატორელთ გვარის სრული ამოწყვეტა, რომ მათი აღარავინ დარჩენილიყო და ადგილზე აღარავინ წამოდავებოდა. მაგრამ მუცუვლებს იგი გადაუყვანია და მიუბარებია თუშეთში. თუშეთში ის დაცოლშვილებულა. შატილიონები კიდევ დამდგარან ანატორელების ადგილებში და დაუწყია ცხოვრება. ანატორის ჯვარსაც მოუშლია მხრით ფრინვა და გადაქცეულა ჩვეულებრივ სალოცავად. შატილიონებმა ანატორის ჯვარის ლოცვა კიდევ განაგრძეს და გაჩნდა დასტურ-ხელოსნები. ხოლო ხატი ხელზე აღარავის მოუდიოდა. დანარჩენი წესები კი განაგრძეს ჩვეულებრივ. შატილიონებმა როცა შატილი ააშენეს და ფეხი მოიმაგრეს, მოიყვანეს თუშეთიდან და ის დარჩენილი ანატორელი კაციც თავისი სოფლის ბოლოზე დაასახლეს.

ხატი როცა თავის მკადრეს ხელზე მოუდიოდა, მკადრეს თავს გვერდზე დააჭერინებდა და თვითონ კი ხელებზე გადაფენილ ხელსახოცზე დაბძანდებოდა, ზურგი მუდამ მკადრესაკენ ქონდა მიქცეული, რომ ჴორცივლის სული არ მისდენიყო.

ალ. ოჩ. M 32, 728-729

## 105. ანატორის ჯვარის მკადრე II

ლიქოკით არის მასული, ლიქოკით გამამფრინდალავ, ანატორ დამჯდარ. იქით გაფრენილ და ჴონეს დამჯდარ მტრედის აღით.

საღირა ყოფილ, ბადურიკათ პაპა. იმანავ, გაქცეულმ აიარისავ, ანატორის კუჭზე შაჴდისავ, მტრედ დაუჯდისავ მჴარზედავ. ერთ კაციავ, — თქვისავ საღირამავ, — მკვდარივ, გულზედავ ოქროსლარიან ჩონგურ აძესავ.

მემრ ძალიან დაბერებულ საღირა, ჯვართ ველარ დახყვებოდ. ის ქისტეთისკე დადიოდ თურმე ხშირად, ჯვარს დახყვანდ. ბოლოს, რომ ველარ დახყვებოდ ჯვარს, ლურსმან დაუკრავ მჴარზე ხატისად, გასწყრომი ხატი.

ერთჴელავ ჯარეგას მივედითავ, ერთ კაცის კარებზე მივედითავ. ქისტ გამავარდავ: აქ ნუ მააბძანებთავ, სხოგან მიდითავ (იმას მშობიარე ქალ ხყვანი შინ). არ უშლისავ, — თქვეევ საღირამავ, აჴდავ და ბანზე მიხყუდავ დროშაივ.

მთხრ. მინდიკაური,
ჩამწ. ნიკო ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26084

## 106. ჟამთნაისრალი ანატორელი

შატილ დაუსეტყვავ. შატილიონნი ქისტეთ წასულან პურობად.

მივედითავ ერთკანავ, — თქვის ჩემ პაპამ, — საქონ იყვავ იქავ. პატარა ბალღ უვლიდავ. გამაიარავ იმანავ და ჩვენებურად აჩქამდავ. იმან თქვეევ: „მეავ ანატორელ ვარივ. ჟამთავ ყველა გაწყვიტესავ ანატორავ, მარტო მე დავრჩივ. ქისტებმ წამამიყვანესავ. თავში ჟამთნაისრალი მჭირდავ, ჭია მესხდავ. ჩვენ სოფელსავ ეეხლადაც გავიგებავ, რომ ვნახავ. იქავ სამჯერ მადიოდავ მზეივ". წამავიყვანეთავ და გორზე რომ გადმავჩინდითავ ანატორის გაღმავ, თქვეევ: „აი, ისიავ ჩემ სოფელივ!" ჴელ გაწვადავ ანატორისკედავ.

იმის შვილბოლოი ანატორელნი და სისაურობით იწერებიან.

მთხრ. მინდიკაური,
ჩამწ. ნიკო ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26080

## 107. დევი და ჭეჭყეთიონი კაცი

ეს კაცი ყოფილა ჭეჭყეთიონი და ერთ საღამოს ჭალიდან დაუძახა ვიღაცამ, რო, ძმობილო, ჩამოიარეო, გიორგინმიდაში მივდივარო, წამომყევიო. ჩამოვიდა ეს ჭეჭყეთიონი კაცი და ნახა, ძმობილია მისი. გადაეხვიენ ერთიმეორეს, მიესალმენ და წავიდენ მერე. ჰოდა, რო წავიდენ, დაეჭვდა ეს კაცი და უთხრა ამხანაგს, წინ იარეო. ჰოდა, რო შეხედა, ფეხი უკუღმა იყო, შებრუნებით იყო ნავალი თოვლზე, თითები უკან იყო, კოჭი კი წინ. და დაეჭვდა ეს კაცი.

ქვეით, ღუბძირს ეძახიან, პირზე რო გავიდენ, ღუბძირს, და იქ რო ჩავედითო, ჩრდილმა და მზის სხივმა სრუ იზრიალაო ერთნაირადაო. საშინელი ხმაური გაისმაო. გამოქცეულა ეს კაცი, უკან გამობრუნებულა და წამოსულა. უკან ეს დევი გამოკიდებია. ჰოდა, ამ დროს სუყველა ჯვარების სახელები ჩამოვთვალეო, თქვა იმ კაცმა, სუყველაო, და არ გამახსენდაო ისაო, რომელიც დევებს აშინებსაო, კოპალა ვერ გავიხსენეო და ასე ვთქვიო: დევებს რო აშინებო, ის სალოცავო, შენ მიშველეო! და ამ დროს გამოჩნდაო ცეცხლის გირკალი ციდანაო და ამ დევს დაეცა და იქვე ცეცხლი გაჩნდაო და მე კიდე წამოვედიო.

წამოვედიო, უკან მომყვაო ეს მდევარიო, დევებისაო. მოვედი სახლშიო. მოსულა ეს კაცი და, რო მოვედიო, იმის მერე, ბანიანი სახლია, დილამდეო ჭიჭინ იდგა ჭერისაო. სუ ჭიჭინებდა და ჭიჭინებდაო. რო გათენდა, მერე წავიდენო.

ნათქვამია ასე, რო იმის მერე მაგათი რო ვინმე მოკვდებოდა, ღამის მთევლები ხომ იყვნენ, რომ ყარაულობდენ მიცვალებულს, გვერდზე ესხდენ, იმათ ეჩვენებოდათ, თითქოს ხმაურობდა ჭერი თუ ფეხის ხმა იყო. გამოვიდოდენ, კაციშვილი არ ჩანდა.

მთხრ. გიორგი ჭინჭარაული,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), გამარჯვება, 1982.
თსუფა 25442

## 108. „შავეთით გამაღებულ ლექსი“

სიზმარს ერთხელ რომ ღნახავ და გაგიცხადდებ, მეორედაც გაგიცხადდებ, მაშინ სიზმარ უკვე დაცდილია. ამას სიზმრის დაცდას ეძახიან. დაცდილ სიზმარ თუ ვინმემ ნახ, ის აუცილებლად გამართლდებ.

ქალს შაყვარებულ მახკვდომივ. იმ ქალსაც თავ მაუკლავ. როცა ადამიანს ნაღმ აღარ ხყვანან ხთიშვილნი, მიუსევენ ეშმათ, მებალინჯეთ. მებალინჯენი მააკვლევენ თავს. კისტანში არის ხატი ნაჴარელა, რომელიც დაზეზდებ. თუ დაზეზდ, თავს ვიღაც მაიკლავს. ჯვართ დობილნიც აეკიდებიან კაცს ბალინჯად.

ნაჴარელა დაზეზდავ და მიღმაჴევისკედ შაიარავ, თქვიან, არდოტისკედავ. იმ ქალს, თავ რო მაუკლავ, შაველში უთქმავ ლექსი, რომელიც სიზმრით გამაიღ ვიღაცამ. შაველით გამაღებულ ლექსიავ, — იციან:

ხუთშაბათ გათენებადა თოფოჴერმ მიყვა ძალიავ,
დედა მწყევდა და მკრულავდა: გაქვის რა ანაბარიავ?
შაგაგინებენ სწორები გაგიცინებენ სხვანია.
ცრემლით ნაკერო მანდილო, სად იქენ მასატანიავ?
ჩამამაცილეს მეშველთა ჩვენის კულაის ტანიავ.
მადიან უნაწილონი: არ გვნებდებიან გზანიავ.
ცოდვიანთ შამასავალი ნარ-ეკლიანი გზანიავ.
მადლიანთ შამასავალნი სუ სანთლიანი გზანიავ.
სათავის თვალჩი ადიან ქვეითნი, ცხენოსანნიავ.
გვიწუხის თავშარიანი: ჩამადის ბობოქარიავ.
ულონდებიან წამლებსა, აქიმიც მაგვაყვანია.
მიწა ყოფილა წამალი, გველი აქიმად ხყვანიავ.
პირჩიგით გადმაზდიოდა ულვაშის ნაგაბარიავ.
თავზე ნახვევი ქიშმირი ნაგაბრად გაუტანიავ.

მთქმ. ძილა მურღუევი,
ჩამწ. ნიკო ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26113

## 109. ღვთის წილი წყალი

გუროს ყოფილ ერთ კაცი, ხქვივნები გეჯა. ის ნადირობად ყოფილ წასული, მაუკლავ ორი ჯიხვი. ღამით ეხში ყოფილ და ძახილ გაუგონავ: „ხარნ გამავყარენივ, კალოჩიითავ, სად წავიდესავ, ხო არ გინახიანავ?" მეორემ უძახა: „ეხში რომ არისავ, იმან დახოცნავ". „რა ვუყვათავ?" უძახავ პირველმავ. მეორემ უძახავ: „წყალში ჩაურიათავ მამკლავივ".

წყალ მამწყურდავ მაგრადავ და წყლის დასალევად წავედივ. ერთ მათარაიც გადავღვარევ, მეორეიც გადავღვარევ, მესამე დავლიევ. მავედივ ეხში და ისევ შამამწვდავ ძახილი: „რა უყავივ?" „ვე-

რაფერი ვერ ვუყავივ", — უძახავ მეორემავ, — ხთის წილ დალიავ".
მეორე დილასავ ჯიხვნ რომ დავატყავენივ, ერთ ჯიხვსავ რქათ შუაჩიითავ სამ იფქლის მარცვალ ამავარიდევ. ამის მემრედავ სამჯერ ავათავევ აზარივ, სამჯერ დავლმარხევ თოფივ.

მთხრ. მინდიკაური,
ჩამწ. ნიკო ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26099

## 110. უთურგას გახუცესება

უთურგა (სიგირგალი) სხვებთან ერთად გიორგიწმინდისაკენ მიდიოდა გუროდან. უკან გაბრუნდა, მათრახი დამრჩაო. სახლში უცადეს, უცადეს, აღარ მოვიდა უთურგა. დაჰყვნენ წყალს, ეძებეს წყალში, არსად ჩანს. ოთხ დღეს ეძებეს. ერთ ხიდთან სისხლის წვეთები შეამჩნიეს. სხვა არაფერი ჩანს.

უცებ ხედავენ, ზემოდან, ფრიალოდან მოდის უთურგა. დახვდნენ ძირს მამამისი და სხვები. მამას ზურგი შეაქცია, დევი ხარო. ერთხანს არეული ყოფილა უთურგა, მერე მოსულა გონთ. ყვება: ხიდზე ერთი კაცი შეხვედრია, ნაბდიანი, უზარმაზარი, შატილელი კაცი ჰგონებია, მისთვის მიუმსგავსებია. ახლოს რომ მისულან ერთმანეთთან ხიდზე, დაუნახავს, რომ არც შატილელია და არც კაცი. შემოვკარი ხმალიო და მერე არაფერი მახსოვსო. ოთხი დღე კარატის ჯვარში ვიყავიო...

ამის მერე გახუცესებულა უთურგა კარატის ჯვარში, გუროში.

***

უთურგას დაუტაცნია ხელი დროშისათვის, განძს მივაგენიო, და გასულა ხალხის თვალწინ ფრიალოზე, გაუსვლელ კლდეზე. ერთ ადგილას დაუღირებია დროშა, დაუწყია თხრა, თავად ყვებოდა, და ხბო გამოჩენილა, უზარმაზარი თვალი ჰქონდა შუბლზეო. გული წამივიდაო და გადავვარდი ხევშიო...

მთხრ. ალექსი ჭინჭარაული,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, შატილი, 1985.
თსუფა 30235

## 111. ძმობილი დევი

ერთ გუროელ კაცს, უთურგას, დევი ჰყავდა დაძმობილებული. ერთხელ, როცა უთურგა და მისი ჯალაფი სამკალზე იყვნენ, წყლის თუნგში მკლავის სისქე შხამიანი გველი ჩასულიყო და წყალი მოეწამლა. ეს ამბავი მთაზე მიმავალ უთურგას ძმობილ დევს გაუგია და დაუწყია ძახილი უთურგასთვის: „ძმობილო უთურგაო!" „რა გინდა, ძმობილოო!" გაპასუხებია უთურგა. „თუნგიდან წყალი არ დალიოთო, — დაუძახნია დევს, მანდ ჩამოსასვლელად არ მცალია და წყალს რომ დალევთ, მაშინ გაიგებთ, რისთვის გეძახითო". მივიდა უთურგა და გადმოღვარა წყალი თუნგიდან და გადმოყვა გველი.

ასე გადაარჩინა დევმა უთურგა და მისი ჯალაფი მოწამვლას.

ალ. ოჩ. M 15, რვ. 16

## 112. ზურაბ ერისთავი და მამუკა ქალუნდაური

ზურაბ ერისთავს ჴშირად ულაშქრიან ჴევსურნი. ერთხან შაუყრავ თავის ჯარი, წამასულ საომრად ჴევსურეთ, მაგრამ არა მიუცემავ ჴევსურთ ზურაბისად ჭირის მეტი. გარდმამჴდარას ფხიტუს მთისას, ოსაურზე გამაუვლავის, მაუსხამ თავის ჯარი როშკის გორზე, დიდგულად მასულას. მაშინდელ სიმღერეი ას ეს ნათქვამი:

ფხიტუთ მავიდეს წერონი, მაშვრალნი შორის გზისანი;
როშკას აწინდეს ციხენი, ბლოს — ბანნი ქვიტკირისანი:
ეშინის, დაგვეცემიან ნაზლობნი საძელისანი.
ზურაბ როშკისგორ ჩამაჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი.
სანეს შაგროვდეს ჴევსურნი: ვართ პატრონნ ადგილისანი.

ამ ზურაბს გაუბედავის ბეგრის წაღება ჴევსურეთით, როგორც წინავ დაჩვეულ ყოფილას. ზურაბისად ბევრს ვერა უქცევავ, — ძალიან მეომარ ყოფილას. მარტო, ჴევსურეთ მარტია მისურაული, ბერდია მამუკაური, ჴირჩლა ბაბურაული და ხოშარაული ყოფილან ზურაბისა და იმის ლაშქართ ჴელის შამქცევნი, სხვას ვერვის უწონავ. ამ ლაშქრის მოსვლის დროს უომებავ ძალიან გუროელს მამუკა ქალუნდაურს. ეს ქალუნდაურ გუროელი თუ[რმე] ზის სოფლის ძირში და თხრის ხიფხოლას. როსაც ქალუნდაურს გამარჯვების დღე მაუიდოდ მტერზე, მაშინ ქალუნდაურის ჴმალი — ნაწილიან ყოფილას და — ქარქაშჩიგით თუ[რმე] ამაიწევდ, ამით გააგებიებდ პატრონს გამარჯვების დღეს. ჴმალ როსაც ამაიწევდ, ამ დროს ქალუნდაური, სადა გინდა საქმეზე ნამყოფ, გაიგებდ ჴმლის ამაწევას,

სხონაირად გაჴდებოდ. და ამ დროს ხიფხოლაის თხრაში დაზდგომივ იმნაირ ლიშანი. ამდგარ, მასულ შინ, შაუხენებავ ბოძზე ნაკიდების ჴმლისად და ნახევარშიამდი ამაწეულ უნახავ ჴმალი. უფიქრებავ ქალუნდაურს: „ნეტარ, რა ამბავიავ, სად ვის რა უჭირსავ, საისკედ მინდავ წასვლაივ?"

გამასულ კარში ქალუნდაური, თავის სოფლელ ბაჩაყაურისად უძახებავ: „ბაჩანაო (ბაჩაყაურს მეტ სახელ, თიკუნ, ბაჩანა ხქვივნებივ), რა ამბავიავ, რომავ ჴმალი ასავ ნახევარშიამდი ამაგებულივ? სად რა ვის უჭირსავ, არ იციაევ, საისკე მაწევსავ ეს ჴმალივ?"

ბაჩაყაურს უძახებავ: „არ ვიცივ, ქალუნდაურო, მარტო, ჴევსურეთ კი ამბობენავ, ზურაბის ლაშქარიავ შამასულივ". — „აბა, მეტ გაჭირება რაიღ იქნებისავ?" უძახებავ ქალუნდაურს, „ხო იცივ ზურაბის ხასიათივ: აღარას შაარჩენსავ ჴევსურთავ, ჩქარა თუ არ მივეშველევ". ბაჩაყაურს უძახებავ: „ძალიან სიმთხილე კი გინდავ, თორე ძალიან ეშმაკ მეომარიავ ზურაბივ, მოგკლავსავ". — „რაიც იქნებისავ, ის იქნებისავ", უძახებავ ქალუნდაურს, „მგონავავ, რო გავიმარჯვებავ: გამარჯვება თუ არ იყოვ, ჴმალ არ ამაიწევდავ".

მობრუნვილ შინ, შამასულ ჭერხოში, აუსხამ იარაღი, ჯაჭვჩაჩქანი, გარმაუჴდავ ბოძზეით ჴმალი, ჩაუგებავ ამაწეულ ქარქაშჩი, უთქომ: „აბა, ჩემო ჴმალო, ეხლა შენ იცი, რაჴელც წამგვრი საქმეს!"

წამასულ მამუკა, სხვა მთასიქითლებიც წამასულან ზოგ-ზოგები. ბორბლის მთაზედ რო შამამჴდარას ეს მამუკა ქალუნდაური, ჩამაუხენებავ ჴევსურეთისად და უნახიან სანეს ჴევსურნი და ზურაბის ლაშქარნი. გარმამფრინდალას მაშინ ქალუნდაური სანისკე. მამუკა ქალუნდაური ნაწილიან ყოფილას: როსაც სალაშქროდ სად გეემართებოდ, წინ მასკვლავივით თუ[რმე] გაუძღვებოდ სვეტი, ანუ შუქი. მაშინაც ისრ ქალუნდაურს შუქ გასძღოლიოს წინ. ზურაბს რო ამაუხენებავ, უნახავ მთის ძირში ქალუნდაურ მიმავალი. ზურაბს ალაგზე დასადგომ აღარ ხქონივ, შაშლილას, უთქომ ჴევსურთად: „ის რა კაც მავავ, რომ წინ მასკვლავ მაუძღვებისავ?" ჴევსურთ უთქომ: „ჩვენ არ ვიცითავ, რა კაციავ". მაშინ ზურაბს აუყრავ ლაშქარი, უთქომ ლაშქართად: „ჩვენ ის კაც არას კას დაგვაყრის, თუ ჩქარა არ წავედით".

აუყრავ მაშიავ ლაშქარ ზურაბს და გაქცეულ თავის ჯარით. მაგრამ ქალუნდაური ჩქარად მასწევივ ზურაბის ლაშქართ (ბეკენთგორის ძირში წყალში ჩასწევივას), ზურაბ კი გახქცევივ, ველარ ჩაუგდავ ჴელად და იმის ლაშქართ სცემივ ჴმლით წყალში. მოუკლავ ერთი, მემრე მეორე, მესამე, ისრ, რომ თორმეტ ერთბაშად მაუკლავ. მეთორმეტისად რო შამაუკრავ ჴმალი მამუკა ქალუნდაურს, მაშინ ეს მეთორმეტე კაც მოკლული თავით ფეჴ-აღმ დაყუდებულას წყალში

და ღმერთს შასწდომივ იმთვენ ხალხის ცოდვაი და ჩაუგავ ჴმალ მამუკა ქალუნდაურს. შაუძახნებავ ხთისად: „ღმერთო, შენ ნუ გამიწყრებივ! მეტს აღარ მავხკლავავ“ (ჴევსურეთში ძველ მეომართ ახლადაც რჯულად ას: თუ ჴმლით შუღლში მოკლულ კაც ფეჴ-აღმ დაეყუდ, მაშინ შუღლ აღარ შაიძლების, მაშინ ღმერთს შამწვდარი-ას).

მაშინ ჩაუგავ ჴმალ ქალუნდაურს, უთქომ დამრჩალ ზურაბის ჯარისად: „მშვიდობით, ჴელ მაგიმართასთ! ღმერთმ აღარ მამც მეტის ჴოცის ნებაი“ და ამაბრუნვილ. ნაომარში, გზის პირში, სამან ჩაუგდავ, უთქომ: „ვინაც ჩემ სიკვდილიდგეს ამაზე მგზავრ აივლჩაივლის და ვინაც ამ სამანთან სამს ყანწს არაყიანს არ დაღლოცავს, ამ ჩემის ჴმლის ცოდვა ეკიდას, რაც ჩემ ჴმალს ცოდვა უქნავ და კაც მაუკლავ!“ მაშინ ნათქვამი ას:

მაუვლენ მთას იქითითა ნაპირის ადგილისანი.
მამუკას ქალუნდაურსა თან მახყვეს შუქნი მზისანი,
ბეკენთგორ ჩამაენივა, ჭრნა ლაშქარნ ზურაბისანი.
ამანდით ამაბრუნვილმა სამანნ ჩახყუდნა ქვისანი:
ვაჟამ ქნას ყველამ აესრა, ვინც ლაჴნას აეს ქვიშანი!
ვინც ამას გადასცილდების, ცოდვან ეკიდნან ჴმლისანი!

დაბრუნვილ აქით გამარჯვებულ ქალუნდაური. ზურაბსაც ჩქარად წაუსხამ დამრჩალ ხალხი.

მამუკა ქალუნდაურს იმის იქით ბევრხან აღარ უცოცხლავ, მაუკლავ თუშებს. ამბობენ, ქალუნდაურსავ, ზურაბის ჯარი რო ჴოცავ, იმათ ცოდვა აუდგავ, ღმერთს შასწვდავ, კაც რო დაყუდებულას თავ-აღმ წყალში. მაგრამ ეს მართალ არ უნდა იყოს, იმით, რომ თორმეტ კაცის სიკვდილ რას ცოდვას აუყენებდ, როსაც იმ დროს ჴევსურნ მეომრები ასს, ორას კაცს ჴოცდეს? რად არ იმათ უდგებოდ ცოდვა? ამბობს ამაზედ ზოგ-ზოგ ხალხი: ალბათ მამუკას დღეი ხქონდავ გათაულივ, იმით მაკლესავ თუშებმავ ბორბლისთავზედავ.

გაბ. ხევს. მას., 158-160

## 113. მამუკა ქალუნდაურის სიკვდილი

ორ კვირაე არ გასულას ზურაბის ლაშქართ ჴოცისაი, მამუკა ქალუნდაურ ყოფილ სათიბზე გუროს მთაში. დაზდგომივ იქავ ომის ლიშანი. წამასულ სათიბზეით, მასულ შინ, შაუხენებავ ბოძზე ნაკიდების ჴმლისად და ნახევარშიამდი ამაწეულ უნახავ. ღგონებივ ქალუნდაურს: „აეხლადაც აისრავ გავიმარჯვებავ, რაჴელც ზურაბის ლაშქართაზე გავიმარჯვევ“, მაგრამ ანაბრივ ჴმალმაც საუბედუროდ

ამაიწივ ქარქაშთით. ქალუნდაურს შაურტყამ ჴმალ, გამასულ კარში, უთქომ გულში: „ნეტარ, სად წასვლა მინდავ, სად მაწევსავ ჴმალივ?" გაუჴენებავ ბორბლის ძირში, უნახავ: ცხვარი თუ[რმე] მიუდის თუშებს ორთ ძმათ, შალვას და ივანეს (ეს შალვაი და ივანე თუშებში განთქმულ მეომარნ ყოფილან). წასულას მამუკა, გაზდგომივ უკენ. თუშებს რო უნახავ, უძახებავ: „მამუკავო, ნუ მახოლავ, თავს ნუ შამაგვაკლაო, გვენანებივ, კა მეომარი ხარავ. დაბრუნდივ და ცხვარიც სრუ შენ იყოსავ, არცალ ცხვარს წავასხამთავ".

მაგრამ მამუკას არ დაუშლავ, ღგონებივ, „გავიმარჯვებავ", არ დაბრუნვილ. თუშებს რო მიახლოებივას, შალვას უძახებავ: „აბა, თუ არ იჯერებავ!" ჩამაუჴლავ თოფი, მოხვედრივ ქალუნდაურს ტყვია, დაფშვნეტილ მიწაზე ცოცხალ-მკვდარი. მაშინ ნათქვამი ას:

ჴმლით არ მაგიშვეს, მამუკავ, შორით მაგკიდეს თვალია,
თოფის ჭერემის ტყვიამა შორით დაგიძრა ტანია.

ქალუნდაურ რო დაჭრილ, მიწაზე დაფშვნეტილას. მოსულან თუშები იარაღის ასაყრელად, რაჴელც რჯულად ხქონივას ძველ მეომართ. მაშინ მამუკას ცოტაად კიდე ზდგომივას სული. სიკვდილის სულ-ამაის დროს უთქომ თუშებისად: „მარჯვენას ჴელს ნუ მამჭრითავ!" ეს სიტყვები მაშინ ნათქმები ას ქალუნდაურისები:

ჴელსა ნუ მამჭრით მარჯვენას: მარცხენა ჴელ ხო თქვენია.
ჯაჭვსა ნუ წამყრით ტანზეით: ქვა-ქვიშათ-მიწათ ფერია.
თოფსა ნუ ამჴდით მხარზეით: ჭაუხში ნადირთ მტერია.
ჴმალსა ნუ შამჴსნით წელზეით: ჴევსურთად კაის მქნელია.

თუშებს მაუჭრავ მარჯვენა ჴელი, წაუყრავ ტანზეით მცურავ ჯაჭვი, წაუღავ თოფი, ჴმალი, წასულან. თუშებში, ამბობენ, ეხლადაც ისრევ ინახვენავ ქალუნდაურის აბჯარსავ, ხეი აქვავ გამაჭრილივ და იმაში აქვავ შანახულივ ეს ქალუნდაურის აბჯარივ.

ესრ ყოფილას ქალუნდაურის ამბავი.

გუროელთ მაუტანავ, თავის საფლავ-სამარეში დაუმარხავ, რო გაუგავ ქალუნდაურის სიკვდილი.

გაბ. ხევს. მას. 160-161

## 114. ნანილიანი ტუჩით ნიკო

ტუჩით ნიკოს ნანილ ხქონი მჴარზე. ის ყაჩაღად ყოფილ გასუ-ლი, ქისტებ უჴოცავ.

ერთჴელ მთაზე ყოფილან და იქ დაღამებია. ცეცხლგამჩენ პატრონა ვერ უცნავ. მერე ხალათისად გადაუწევავ და ნაწილის შუქ დაუყენებავ სავაზნესად და ისე გაუგავ.

ნაწილიანნი თურმე საეშმაონ ჴდებოდეს.

მთხრ. ჩუა გოგოჭური,
ჩამნ. ნიკო ზვიადაური, გიორწმინდა, 1983.
თსუფა 26100

## 115. გუროელი იმედა

გუროელ იმედას ძმა მოუკლეს და მკვლელი ისე დაიმალა, რომ იმედამ ველარაფერი ვერ გაიგო, სად გაქრა მისი ძმის მკვლელი. ერთ ადგილას დევები ეგულებოდა და გადასწყვიტა იმედამ, წავალ იმ ადგილზე, სადაც დევები არიან, ერთს დევს ძმად გავეფიცები და ის მომაკვლევიებს ძმის მამკლავსაო. იმედას გაგონილი ჰქონდა, რომ დევებს რკინეულისა ეშინოდა, წავიდა უიარაღოდ, რკინეული სულ არაფერი გაიყოლა, ვერცხლის ბეჭედიც კი შინ დააგდო, მივიდა იმ ადგილზე, სადაც დევები იცოდა, და შაეხვეწა თავის გულში დევებს: „ერთადერთი გამეცვნეთ და ძმად გაგეფიცებითო. ელოდა იმედა, მაგრამ არსად გაეჩვენა დევი, მეორე დღეს, მესამესაც აქ სიარული დაიწყო იმედამ. ბოლოს მთიდან გაიგონა დევის ბოხი ხმა: „არ გაგე-ფიცები, არა, იმედაო, ტყუილად სწვალობ, შენის ძმის მამკლავი შენს ჴელს არ სწერავო". ამის შემდეგ დაანება იმედამ ძმის მამკლავის ძებ-ნას თავი, აუტყდა კაც-შუაკაციც და რჯულის მიხედვით მოახდინეს მამკლავ-მაკვდართ შერიგება.

ალ. ოჩ. M15, რვ. 16

# მილმახევი

## 116. გიორგი წყაროსგორულის დაარსება

### [იფნი კერიაში]

გიორგი წყაროთგორული აქ პირველად რომ მოსულა, ერთი სახლი შეუთვალიერებია, სადაც უნდა დაარსებულიყო. მკითხავის პირით შეუთვლია, რომ სახლი დაეთმო. მეკომური არ დათანხმებულა და გიორგი მათზე გამწყრალა. ჯერ ტყენი (ხე) ამოსულან ყვერფში საცეცხლურთან. წუხრ, რო დაწოლილან, არაფერი ყოფილა და რო გათენებულა, უნახავთ შიგ საცეცხლურში დიდი ტყე დგას. ამ სახლის პატრონს მოუჭრია ეს ხე და გადაუგდია. კიდევ განმეორებულა ტყეთ ამოსვლა და მოჭრა. ბოლოს, ხორცი დაუკიდებია სადუღებლად და ჯალაფნი სამუშაოდ წასულან. მარტო ყმაწვილები ყოფილან შინ. გველი ჩამოსულა ჭერშიით საკიდელზე, ჩასულა ქვაბში და შიგ მოხარშულა. მოწამლულა ქვაბი და ყველანი ამოწყვეტილან, ვინც ხორცი ჭამა. დარჩენილა ერთი ბავშვი, რომელიც მარტო ძუძუს წოვდა და მამიდას გაუზრდია მერე ქმართას. რა თქმა უნდა, გიორგი აქ დაარსებულა. ხალხს ეს სახლი გიორგის დავალებით (მკითხავის პირით) საქვაბედ და დარბასად გადაუკეთებია. შეუძენია ყველაფერი, რაც ჯვარში საჭირო იყო: ქვაბი სალუდე, განძი და სხვა. მკითხავის რჩევით აურჩევია დასტურები. ჯვარს ადგილებიც თვითონ დაუჭერია, სადაც კარგი მამულები იყო და დაუწესებია დღეობები.

### [წყარო ჯვარში]

ამ ქვაბში კლდენი არიან ისე, რომ მისასვლელი მარტო ერთი ადგილიდან ჰქონდა. აქ წყალიც არ იყო. მერე თავისთავად გაჩენილა წყარო. წყაროსთვის კლდე იყო ამოჭრილი და წყალი იდგა ერთ დონეზე. სიგრძე იქნებოდა ამ ამოჭრილი კლდისა დაახლოებით სამი

არშინი და სიგანე ორი. წყალი იყო ძალიან ცივი ისე, რომ დალევაში კბილებს ყინავდა. ამ წყაროს ვერ შეამჩნევდა კაცი, ვერც გამოდენას და ვერც გადადენას, — იდგა ისე, თავისთავად. ქვაბს რომ ადუღებდნენ, ლუდისთვის მაშინ ამოჰქონდათ წყალი, ასხამდნენ ქვაბში და ამ წყაროს კი არაფერი აკლდებოდა — იდგა ისევ თავის დონეზე. როცა წვიმა იყო და წვიმის წყალი ჩადიოდა შიგ, იმას არ გაირევდა.

ამ წყაროს ინახავდნენ ძალიან წმიდად. ვერც მოვიდოდა იმის ახლო ისეთი კაცი, რომ გაბანილი და განათლული არ ყოფილიყო. თუ რაიმე ჩაიყრებოდა ამ წყალში, მაშინ უნდა მისულიყო ძალიან წმიდა კაცი, ჩასულიყო შიგ და ამოეხვეტა. მისულ-მოსული ხალხი იქ ჩაყრიდა ხურდა ფულს ვერცხლისას. ამოხვეტის დროს ამოქონდა ამომხვეტს კაცს და რჩებოდა ეს ფული იქვე, ჯვარში, საჯვაროდ. ეს წყალი თურმე მოქონდათ ავადმყოფის ტანის დასაბანადაც და დასალევადაც.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 10

## 117. ჯვარის დაარსება ხახაბოში

### [გიორგი წყაროსგორული]

ეს სალოცავი მოყვანილი არის მატნიდან. ხახაბოში ამ ჟამადაც რამდენიმე კომლი არის, რომელთაც ბატარიათ ვეძახით. იგინი მოსულნი არიან კახეთიდან, სოფელ მატნიდან. მათი ჩამომავლობა აქაც ძალიან არ გამრავლებულა. ამათ პაპას ბატარიას კახეთში კაცი შემოკვდომია და იქიდან გამოქცეულა წელწად დილას. მოუპარავს და თან წამოუღია გიორგი წყაროსგორულის ხატი. წყაროსგორულს მისთვის ნება არ მიუცია, რომ ფეხსაცმელით ევლო, როცა ხატი მოჰყავდა. გაუხდია ფეხსაცმელი, გადაუყრია და ფეხშიშველი წამოსულა. მთაზე რომ ამოსულა, დიდი თოვლი ყოფილა და გასჭირებია სიარული, ჩაწოლილა თოვლში ფეხშიშველა, პერანგიანი, და გულზე გიორგის ჯვარი დაუდვია. ისე დამცხაო, იცოდა თურმე იმ კაცმა, რომ სულ არ ვგრძნობდი, თუ ზამთარი იყოო. მერე ამდგარა, წამოსულა და თურმე თოვლზე ისე მოდიოდა, რომ ფეხი დაბლა არ უვარდებოდა. გადმოსულა მთაზე და სწორედ წელწად დილას ამოსულა ხახაბოში. მოსულა წყაროსგორს, ჯვარი ხელიდან გაფრენია და იქ დაარსებულა. უნახავს ხახაბოვლებს, რომ წყაროსგორს ფეხშიშველ-თავშიშველი კაცი დგას და იმის ახლო რაღაც მზესავით ანათებს. წასულან და გაუგიათ, რაც იყო. იმავ დღეს მიუტანიათ ჯვარი და აუშენებიათ პატარა კოშკი. ის ჯვარი იმაში თავისთავად შებრ-

ძანებულა და გამქრალა ხალხის თვალიდან. ხახაბოვლებს მიუყვანიათ კომლზე თითო საკლავი და დაუკლავთ იმავე დღეს კოშკთან. მოუტანიათ სასმელი და გადაუხდიათ დღეობა.

ეს ბატარიათ კაცი ჯერ ცალკე დაბინავებულა. სოფელს მიუცია ერთი წმინდა ქვითკირი, სადაც დიაცი ვერ გაივლიდა. ყოველ დღეობაში სოფელი მოიტანდა ერთ საკლავს და განათლავდნენ მას. ის გახდა წმინდა კაცი და დაიწყო მკითხაობა, კაცის დღეს იგებდა. სამ წლამდინ ასე იყო, მეოთხე წელს ჯვარმა მისცა ნება და შეირთო ცოლი, ისევ ხახაბოვლების ქალი. ცოლი კი ჰყავდა, მაგრამ უწმინდურ ადგილას მაინც ვერ გაივლიდა.

ერთ ათენგენა დღეს ეს კაცი განათლეს სოფლელებმა და ჯვარს სთხოვეს, მისთვის ეთქმევინებინა და დაეყენებინათ შულტა, რომელსაც მოტანილი ძნისა მარტო გალეწვა ევალებოდა, განიავება და პურის ჩაყრა კიდობანში. ჩალა-ბზე კი რჩებოდა შულტას. დასტურები მარტო თიბდნენ ჯვარის სათიბებს, ყანის ნაპირ-ყურებს, ყამირებს.

მანვე ქადაგობით აირჩია მედროშაე. შეიძინეს სადროშე მასალები და ააშენეს დროშა. მკითხაობით მოატანინებდა ზოგს ვერცხლის თასს, ზოგს სპილენძისას, ან თუ ჯვარში სხვა რამე სჭირდებოდათ — ქვაბი, საკიდელი და სხვა. ააშენებინა დროშის საბრძანისი, დარბასი, საქვაბე, საზარე. დაკიდეს ზარი და, ერთი სიტყვით, ჩამოაყალიბებინა ბატარიამ ყველაფერი, რა სჭირდებოდა ხატის სამსახურს.

## [თავადი ბეღლის ანგელოზი]

ზენ ხახაბოს, ეეხლა რომ საქვაბეა, იქ ერთ კაც ყოფილ. იქ ეხლა წყალ გამადის. ის ადგილ ჯვართ დაუჭერავ, ჯვარს ნიშან მიუცავ: კერაში სამჯერ ამასულან ტყენი (ხე), ამჯერავ დაუჭრიან სახლის პატრონს და გადმაუყრიან. მერე საკიდელზე გველ ამაცოცებულ და ჴორციან ქვაბში ჩავარდნილ. პატარა ბალღს უნახავ და უთქმავ: „აგერავ, ჭიაივ". ვერავის ვერ უნახავ, გველ რომ ჩავარდ ქვაბში. ჯალაფთ უჭამავ ჴორცი და სულ დაჴოცილან. დედა და ის პატარა ბალღ დამჩალან, რომელმაც გველ ნახ.

იმ ადგილზე დაარსდ თავადი ბეღლის ანგელოზი.

მთხრ. ილო მინდიკაური,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, ხახაბო, 1983.
თსუფა 26030

## 118. ხახაბოს დაარსება

მინდიკაურებ ჩარგლიდან არიან მასულები. მაგათ პაპა იქით მასულ. ერთ ობოლ ბალღ ყოფილ, მერე ბიძასთან ყოფილ ნამაზდილი. ჯვარშიით განძ დაუკარგავ და ამ ბალღისად დაუბრალებავ. ის ბალღ თურმე იპარავდ სოფელჩიით რაღაცაებს. სოფელს უთქმავ, რომ მაგის მეტ კაც არ მაიპარავდავ. ამდგარა და ნამასულ. პირველად ჴელმოკლეს დასახლებულ, იქ იცხოვრავ. კარგად უნახავ ის განძი და მეორე განძში ჩასმულ აღმოუჩენავ. მასულ ბიძა და უთქმავ: წამოდივ, განძ ვიპოვეთავ. მემრე აღარ წასულ და აქედან დაარსებულ მინდიკაურების სოფელი.

ხოსიაურების გვარის წინაპარ მატნით ყოფილ მასულ. ხატს გამაუგზანავ, ფეხშიშველას გადმოუვლავ დათვისჯვარი, წყაროსგორ რომ მასულ, იქ დაუწყავ ქადგობაი. ხოსიაურების გვარს აბარავ წყაროსგორული, მაგათ მოუდის მანდ ხუცობა, ეგენ უძღვებიან ჯვარს.

მინდიკაურების გვარი კი უძღვება ვაკეს კვინტილა ვაკეს მობურთალს.

მთხრ. თაძია მინდიკაური, დეკანოზი,<br>ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, ხახაბო.<br>თსუფა 26021ა

## 119. თასების მოპარვა წყაროთგორულიდან

წყაროთგორსაც ყოფილა ძალიან დიდი სიმდიდრე, ვერცხლი და ოქრო. ეს ქისტებმა გაიგეს თურმე და დაეცნენ ლაშქრად. თასგანძი ისე გაიტანეს, რომ შინ არავინ ყოფილა და ვერაფერი გაუგია აქ მცხოვრებლებს. ქისტები რომ მშვიდობიანად დაბრუნვილან, სიმღერა დაუწყიათ და მღერით მიდიან თურმე. ამ დროს ჯვარში ყოფილა მარგოშვილი ლაგაზი. ის უცოლშვილო ყოფილა და ჯვარი ახლო იყო მასთან, ხატთან მკითხაობდა და ქადაგობდა კიდეც. აქ რომ ჯვარი გატეხილა და თას-განძი ქისტებს წაუღია, მთაში, ცხვარში გაქადაგებულა ლაგაზი, ცხვრისათვის თავი დაუნებებია და ქადაგებით გაქცეულა ხახაბოელთა სამთოებისკენ. მასულ და ხალხს გაუგია, რაშიაც იყო საქმე. მოკლე გზით წასულან და ქისტის ლაშქრისათვის ვიწრო გასავალი გზა შეუკრეს. დაუყრევინებია თას-განძი და მოუტანიათ აქვე. მხოლოდ სხვა სამალავი გაუჩენიათ. სოფელში ორ კაცს მეტი არვის სცოდნია და ისე გადაურჩენია მტრიანობისვის.

ალ. ოჩ. M18, რვ. 11

## 120. ჟამნი ხახაბოში

ხევსურეთში ჟამიანობა რომ ყოფილა, მაშინ მოსულან ჟამნი ხახაბოში, მაგრამ გიორგი წყაროთგორულს ვაკეს არ გადმოუჩენინებია თავი ჟამთათვის.

ერთი ხახაბოელი კაცი თურმე დაჰყვებოდა ჟამთ, საფარველდადებული, როგორც ჟამნი დადიოდნენ. ამ კაცს ჟამიანობის შემდეგ ასე უთქვამს: „ჟამთ ერთი თეთრი ჯორი ჰყავდა და მასზე ხან ერთი შეჯდებოდა, ხან მეორეო". ერთხელ ამ ხახაბოელ კაცს თურმე წააყვანინეს ეს ჯორი გორის იქით დასაბმელად და უთხრეს: „არ გაბედო და ზედ არ შეჯდე, თორემ გავნებსო". ეს კაცი ძალიან ეშმაკი იყო და იფიქრა: „რაც გინდა მომივიდეს, შევჯდები და გავიგებ ამ ჯორზე შეჯდომას ეგ ჟამნი მე რატომ მიშლიან და თვითონ კი სხდებიანო". გორს გაღმა რომ გადავიდა, შეჯდა ჯორზე და, დედამიწაზე რაც რამე იყო და სადაც რა ხდებოდა, ყველაფერი დაინახა. კაცი რომ დაბრუნდა და ჟამთან მივიდა, მათ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ არ უსაყვედურიათ, მხოლოდ ჰკითხეს: „რომელი შვილი გყავს ყველაზე კარგი და რომელი გირჩევნიაო". კაცი მიხვდა, რატომ ეკითხებოდნენ და თავისი შვილებიდან უარესზე უთხრა: „ეს მირჩევნიაო".

ეს შვილი კოჭლიც იყო და ისედაც ჩამორჩებოდა სხვა შვილებს და მამამ ეს უფრო გაიმეტა დასასჯელად. ჟამთ გიორგი წყაროთგორულისთვის უთხოვნიათ ნება, მოეკლათ მისი ერთი ყმა ღალატისთვის. წყაროთგორულმა მისცა ნება, „ოღონდ კარგი და მეომარი ყმა არ მომიკლათ, რომელიც თავისთვისაც ვარგა და ხალხსაც გამოადგებაო". ჟამნი ამდგარან და უკრავთ ისარი თავის გამყოლი კაცის კოჭლი შვილისთვის. გამობმია ნაისრალში, ზედ გულზე, მუწუკი და მაშინვე მომკვდარა. სხვას ხახაბოში არავის უზარალებია. გიორგი წყაროთგორულს ღვთისგან ჰქონია მოლოცვილი, რომ მის საყმოში მავნებელ ღვთის იასაულთათვის ნება არ მიეცა, ხალხის ხოცვით დაებეგრათ სოფელი.

ჟამთ რომ დაჰყვებოდა, ის კაცი თურმე იტყოდა: „ჟამნი რომ ისარს ისროდნენ, ვერავინ ხედავდა, მარტო ჟამნი და მე ვხედავდითო. სადაც ისარი მოხვდებოდა ადამიანს, იქ მუწუკი გამოუვიდოდა და ერთ საათში მოკვდებოდაო".

ალ. ოჩ. M 18

## 121. ვეშაპის გამოვლა

ხახაბოველები გიორგის ისე ვერ ემსახურებოდნენ, როგორც საჭირო იყო, და ამიტომ ძალიან გამწყრალა გიორგი წყაროთგორული. უთხოვია დამბადებლისთვის, თავის ძალა მიეხმარა ყმათაზე, რომ ერწმუნათ იგი. დამბადებელს მიუცია ნება და გიორგის მოუყვანია ვეშაპი და მთაკლდე სულ თან წამოუღია. ხალხს ჭექა-ქუხილი გაუგონია და მაღლა ახიზნულან. მაშინ ხახაბო გლუვი ყოფილა, სწორი უკლდეო ადგილი. გადმოუვლია ვეშაპს და იმის ნავალზე სულ გამოქანებულა ადგილები და კლდე-ღრედ ქცეულა. გიორგის თავის ყმანი დასახოცავად კიდევ არ გაუმეტებია და ყველანი ცოცხლები გადაურჩენია. მხოლოდ ადგილი და ჭირნახული გაუფუჭებია. მაგრამ ხახაბოში კარგი მოსავალი იცოდა და, რაც დარჩა, იმ მოსავლით გაუტანიათ თავი. მას აქეთ სახლები ჩამოღვარულ კლდეზე აუშენებიათ, ასეთი რამ რომ განმეორდეს, სახლები მაგარ ადგილზე იდგესო. ამიტომ ხახაბოში სახლები მერცხლის ბუდეებივით არის კლდეში მიკრული.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 11

## 122. ლაშარის ჯვარის მუხა

ჩვენ ლაშარის ჯვარის ყმან ვიყვენით, იქ სკამ გვქონდ. წელშუ დავდიოდით საზღვნელად მინდიკაურები და მიგვყვანდ სარიგო საკლავი (ჴარი, ჴბო ან ჭედილა). ხე ყოფილ ერთი ლაშარის გორზე. იმას წვერში შიბ ხქონიავ მაბმულივ და ცაში ყოფილავ ასულივ. ის უჭრევავ ზურაბ ერისთავს. მაგრამ ხე თურმე არ იჭრებოდ, სისხლ გადმავიდისავ, ისევ განიკურნისავ წყლულივ.

ერთ ჩვენ გვარის კაც ყოფილ, რომელსაც ცულ არ დაუკრავ ხისად და ძაღლის ჴორც უჭამავ (ვინც ცულს არ დახკრავდ, იმას ძაღლის ჴორც უნდა ეჭამ). პატივსაცემად ჩვენ გვარისად სკამ უბოძებავ, თავის ყმად მაუნათლავ ჯვარს.

მთხრ. ილო მინდიკაური,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, ხახაბო, 1983.
თსუფა 26022

## 123. მინდიკაურთ ანდრეზი

თავიდან ჩვენ პაპა მცხეთიდან გამაქცეულ ჩარგალში. სამ ძმანი ყოფილან, მცხეთიდან ჩარგალში რომ წამასულან. ჩარგალში ჯვარშიით თას დაუკარგავ და უმცროსისად დაუბრალებავ ქურდობა. უმცროს ძმა გამაქცეულ ჩარგლით და ხახაბოს დასახლებულ. როგორც ამბობენ, თადიაურნი და რაზიკაანი არიან ჩვენ განაყრები. თავიდან რა გვარ იყვ, ეგ არ ვიცი... ხახაბოს რომ წამასულ, იმ ძმას მინდიკა ხქვივნები. ის ჯერ ქვენა ხახაბოს დასახლებულ. თასი, რომლის მაპარვაც დააბრალეს ძმებმ, მეორე თასჩი ამაჩენილ ჩადგმული. მემრ კაც გამაუგზავნავ ძმებს მინდიკასთან და უთხოვავ დაბრუნება, მაგრამ მინდიკა აღარ წასულ.

მთხრ. ილო მინდიკაური,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, ხახაბო, 1983.
თსუფა 26021

## 124. ჟამნი I

ზვიადაურები ფშავით მოსულები უნდა ვიყოთ, სოფელ მუქუდან. ზვიადაურები გიგაურების გვარისანი ვართ. ისინი ეხლაც არიან ბლო და ჭართალში. ისინი ოთხნი ძმანი იყვნეს. ძმათ ფარდაგ გაუჭრიათ ჭალაში ოთხად და, სადაც ვის შეხვდებოდა, ის იქით უნდა წასულიყო. ჩვენი წინაპარი ზვიადა ყოფილა. წამოსულა, ჯერ სოფელ გორაში დასახლებულა (არდოტის გაღმითაა). კუდიან წუხრა ყოფილა, რო ჩაუვლია და ხიდზე დაწოლილა. ეშმაკებს არ ასჩქამებია და მერე იმათ თავისთვინ უთქვამთ, ჟამიანობა მოდისო. მერე იმას გაუგონავ, ამა და ამ წუხრას ჟამ მოდისო და, ვინც იმათ ხარს დაუკლავს და კარგად დახვდება, კარგია მისთვისაო. ზვიადას გაუგონია ეს. წუხრას დახვედრია ის გზაჩი და იმავ წუხრას უსტუმრებია ისინი.

ზვიადასთვინ დაუკითხავთ იმათ, რომელი შვილი გირჩევო. ხუთი შვილი ჰყოლია ზვიადას. ერთი კოჭლი ჰყოლია და ის უფრო მებრალებაო, ის უფრო მირჩევო, უთქომ, და სწორედ ის მოუკლეს, ოთხი კი აპატიეს.

თეთრი ჯორი ჰყოლიათ იმათ, რომელზედაც შვილდ-ისრებს ჰკიდებდნენ. უთქომთ ზვიადაურისთვის, არ შეჯდეო, თორემ ჩვენ მაინც გავიგებთო. ჟამებ რო გადახედავდეს, უფიქრია ზვიადაურს,

ნეტა რად მითხრეს იმათ, აბა, ერთი შევჯდეო. მემრე შემჯდარა ჯორზე და, როგორც სარკეში ვნახავთ, ისე უნახავ მთელი ხმელეთი. სამნაირი ისარი ჰქონიავ იმათ: შავთბია რომელსაც მოხვდებოდა, მაშინვე კვდებოდა. წითელთბიანი ვისაც მოხვდებოდა, ორ-სამ დღეში კვდებოდა. თეთრთბიანი რომელსაც მოხვდებოდა, ათასში ერთი-ორი რჩებოდა.

ამ სოფლიდან ანთა სულ ტიტველი გამაქცეულა და გადარჩენილა. მემრ გაუხედავა დ' დაუწყიათ სიცილი — ტიტველა როგორ მირბისო, და უძახიათ:

ანთა გავარდა ველთაო,
ტიტველთ გაიქნევს ყვერთაო!

მთხრ. ნიკო ზვიადაური,
ჩამწ. რუსუდან ხარაძე, არდოტი, 1938.
რ. რუხაძის არქ.

## 125. ჟამნი II

ზვიედაურთ მამა-პაპა პირველად მცხეთით წამასულ და დამდგარ მუქუს. იმის შვილებს ხქვივნები ერთს გიგა (გიგაურნი), მეორეს — წონკა (წონკოლაურნი), მესამეს — ზვიედა (ზვიედაურნი).

ზვიედა წამასულ არდოტ და დასახლებულ სოფელთგორაზე. სოფელში არ მაუშვავ მურღვათ. ზვიედა კუდიან ყოფილავ, თქვიან. კუდიანთ წუხრას ჩამავიდოდ და ხიდზე დაწვებოდ სასმინაოდ. ერთხან ეშმაკების ნაძახნარ გაუგონავ, რო ამა და ამ დროს ჟამნ მავლენავ საყდართთავისასავ. ზვიედას ეს სცოდნივ და საკლავ მიუგებებავ. ჟამთავ ერთ თეთრ ჯორ ხყვანდავ და ისრიან ხურჯინებ ეკიდავ. ისრებ ზოგ შავთბიან იყვავ, ზოგივ — წითელთბიანივ, ზოგივ — თეთრთბიანივ. იმას შინ მაუყვანიან ჟამნი. ჟამთ უთქომავ ზვიედაისად: ჯორ ბალახზე დააბივ, ოღონდ ზედ არ შასჯდავ. ზვიედა მაინც შამჯდარ ჯორზე. როგორც წყლიან ჯამში ჩახედებ, მთელ ქვეყანას ეგრე ჩავხედევ, თქვისავ ზვიედამ.

ჟამთ უთქომავ: რატომ შასჯედივ. თქვენ რომ იტყვითავ, ჟამთ დავემალებითავ, სად უნდა დაგვემალნათავ?

ზვიედას დილით რომ გამაუმართებიან, ჟამთ უთქომავ: რომელ შვილ გირჩევავ? ზვიედას უთქომავ: კოჭლა მირჩევავ და თან მებრალებავ. წინ მიდგნესავ, როცა შამეკითხნესავ და შემდეგ ველარ გავიგივ, უკენ როგორ მამექცნესავ, თქვისავ ზვიედამავ, ისარ

დეეკრავ და მაეკლავ ჩემ შვილივ. მერე გასულან საყდართან და იქით აუტეხავ ისრის სროლა. არდოტ სიპედა ხქონივ სახლებს დახურული. ქუდს რომ გააგორებდივ, წყალში ჩადიოდავ. ამ სიპედაზე წკრიალ მახქონდისავ ისრებსავ. მაშინ დაუწყავ ისრით დაჭრილ ხალხსავ აკალდამაისკე სიარულივ. ვისაც შეეძლიყვ სიარული, ის თავად მიდიოდა აკალდამაში და იქ ეგებებოდ სიკვდილს.

ერთ მურღვათ კაცს ჟამთ დროს ტანისამოს გაუხდავ და ტიტველა გაქცეულ ხონისკე თავის შესაფარებლად. ის ჟამნი ხთით ყოფილან და ხონეს ჯვარს არ მიუშვიან. მურღვათ კაცს ანთა ხქვივნები. იმაზე ლექსიც არის:

ანთა გავარდა ველთაო,
ტიტველთ გაიქნევს ყვერთაო.

მურღვათ რომ იზარალეს, მერე გასულ ზვიედა სოფელთგორზეით არდოტში. ზვიედას შვილებს უგებავ ზვიადაურთ ციხე. ზვიედა ლეკებსთან ყოფილ წასული, ისენ უნდა მეეყვანნესავ ციხის ასაგებად. მასეე (მოსვლისას) ხიდოტანზეით ჩაუხენებავ არდოტ და უთქმავ: დაუწყავავ ძაღლის ლეკვებსავ შენებაივ.

მთხრ. თ. ზვიადაური,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არჭილო, 1983.
თსუფა 25970

## 126. ჟამნი III

ძველი ჩვენი გვარი გიგაურია, შინაური გვარი მამად — ზვიადაური. მცხეთელები ვართ, იქიდან მოსულები ვართ და მერე ბლოელ გიგაურებს შავეყარეთ. ჴარ-ქვაბით შაყრილები ვართ. არდოტს ბევრი ხალხი ყოფილა წინავ. აი, სათავეში სიპი რომაა, იქ სულ ხალხი ყოფილა.

ჩვენი პაპა ყოფილა მცხეთაში. იქ უხოცავ ლეკები. იმ ლეკების ხოცვით ლეკებ შაუწუხებავ და წამოსულა. მანგი რქმევია ჩვენ პაპას. იქიდან რომ წამოსულა, სამგან მდგარა ფშავ-ხევსურეთის არაგვზე. მერე შამოუვლავ და მუქუს დამდგარა, მათურასთანა. მერე იქიდან წამოსულა, არდოტთან ახლოს მოსულა და სოფლის გორში დამდგარა, რადგან არდოტში ადგილი არა ყოფილა და სამი შვილი ჰყვანია: ბაჩი, ზვიადა, მესამე ჟამთ მოუკლავ.

ჟამნ მისულან მანგისად, უთქომ, რომ გამომყევი ამ სოფელშიო. იმ ჟამთ ერთი თეთრი ჯორი ჰყოლია და უთქომ, ან თავ არ მაიბრუნო,

ან ზედ არ შაჯდე ჯორზეო. წამოუყვანია მანგიას ეს ჯორი და მოსაფარებელ გორზე რომ მოსულა, უთქვამს, რა იქნება. ზედ რომ შამჯდარა, რაც ქვეყანა არის, მთელი დუნია დაუნახავს. იქიდან რომ წამოვიდა, ჟრიამული ატყდა და დახოცილი ხალხი გადმოდიოდა. მერე წამოვიდა და შავიდა სახლში. მერე როცა ხალხი დახოცეს, დალიეს, ისევ მანგიასად მივიდეს სახლში. რომ მისულან, ჟამთ უთქომ:

— ხო გითხარივ, არც თავი მაიბრუნო, არც ჯორზე შაჯდეო, და ჯორზედაც შაჯექი და თავიც მააბრუნეო. ეხლა ამ შვილებში რომელი შვილი გირჩევნიაო.

— ერთი კოჭლი არისო და ის მებრალებაო კიდევაც და კარგადაც მაჩნიაო.

და ის მაუკლავ იმისად. შენ ჯორზე შაჯდომამაო და თავის მობრუნებამაო ეგ საქმე გააკეთაო. მაუკლავ ის იმისად, ამდგარა ჟამიც, წასულა.

დარჩომია ორი შვილი — ერთი ზვიადა, მეორე ბაჩი. ბაჩის ბოლოს მავესწარი. ნელა იყო ის ბაჩინი და დაილივნეს. ეხლა აღარავინ დარჩა იმათი კაცი.

მთხრ. ბაისერ ზვიადაური,
ჩამწ. რუსუდან ხარაძე, არდოტი, 1938.
რ. ხარაძის არქ.

## 127. ჯვარს შეწირული თოფი

ჯვარისათვის შეწირული ყოფილა თოფი, რომელიც მოუპარავს ქისტს.

ტურას, მინდიკაურს, საოცარი დასდგომია, რომ ქისტმა რაღაც მოიპარაო. გაეკიდა, წამოეწია. ქისტს თოფი ეკიდა. ღამე იყო. ტურამ შესძახა: „გიორგი წყაროთგორულო, მიშველე, ამ ქისტის ჯავრს ნუ მაჭმეო!" ამ დროს გამოჩნდა ანთებული ყარტის ქუჩის ოდნად ცეცხლი და იქაობა გაანათა. ტურამ ქისტი დაინახა და ესროლა, დაჭრა. ტურა მივარდა, მაგრამ ქისტმა ხანჯალი იხმარა და ტურას თითი მოაჭრა. ტურამ თოფი მაინც წაართვა დაჭრილს, იარაღი არ უხმარია დაჭრილზე. დახმარებისთვის წყაროსგორულს ტურამ ერთი დიდი ვერძი შეაკლა.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 11

## 128. ხოლიგისწვერის ანგელოზი

ხოლიგისწვერი ერთი მაღალი მთაა არჭილოსა და ხახაბოს შუა. აქ წინათ ძალიან მდიდარი სალოცავი ყოფილა. ახლაც არის მისი ნადარბაზალი, ორი ჟანგიანი ლითონის ჯვარიც არის შემორჩენილი. დღესდღეობით მომსწრე არავინ არის, რომ ახსოვდეს იქ სალოცავად სიარული. არც ის ახსოვს ვინმეს, თუ რომელი ღვთისშვილის სახელზე იყო ეს სალოცავი ამ მაღალ მთაზე. ახლა კი ხოლიგისწვერის ანგელოზს ეძახიან. სალოცავს ბევრი ნადირი — ჯიხვი ჰყოლია. მათზე ნადირობა ხოლიგისწვერის ჯვარისაგან აკრძალული ყოფილა.

ლეკებს სცოდნიათ ამ სალოცავის სიმდიდრის ამბავი და წამოსულან თურმე და დასხმიან თავს. შეულეწავთ კარი და გაუტანიათ ყველაფერი, რაც იქ იყო. ერთი ოქროს ჯვარი ყოფილა იქ, თვალთ არ იყრიდა თურმე, ისეთი ბრწყინვალე სამკაულებით ყოფილა მორთული. ჯვარი წაუღიათ ლეკებს და ღვთისშვილიც გაჰყოლია ამ ჯვარს. სოფელში რომ მიუტანიათ, ერთ სუფთა ადგილზე დაუბრძანებიათ. მაგრამ რაკი ლეკები ურჯულოები იყვნენ, ჯვარს არ უნდოდა, ქრისტიანთ სალოცავი ურჯულოთა ქვეყანაში ყოფილიყო და გამწყრალა თურმე. გაჩენილა ლეკეთში ავადმყოფობა და ბევრი ხალხი გამწყდარა. მერე მკითხავს უთქვამს: ეგ ქრისტიანთ სალოცავი ჯვარი თუ არ მოაშორეთ, ამ ხალხის ხოცას ვერ გადარჩებითო. ლეკებსაც შეუთვლიათ ხახაბოვლებისათვის, წამოდით და წაიღეთ თქვენი ხატიო. მაგრამ ხახაბოდან არავინ წასულა ლეკეთს ჯვრის დასაბრუნებლად და დარჩენილა იქ. ლეკებს ჯვარი იმ ადგილიდან აუღიათ და მაღალ მთაზე ერთ კლდეში დაუბრძანებიათ, ერთი ვერძიც დაუკლავთ და მოშორებია ხალხს მუსრი.

ლეკებს რომ ხატი წაუღიათ ხახაბოდან და ღვთისშვილიც თან გაჰყოლია, მაშინ ნადირიც წასულა და ლეკეთის მთაში გადაყრილა. ნადირი რო აიყარაო, წავიდავ როგორც ცხვრის ფარაივ, ეგრ დაიძრაო დ' მიწა გახნავ. სრულ ბოლოსავ ერთივ თოვლივით თეთრ ჯიხვ გადაეფარავ. ეს ჯიხვივ არც მანამდენ ვის ენახაო დ' არც მემრ ნახულავ ლეკეთშიავ.

ალ. ოჩ. M 16, რვ. 22

## 129. არდოტის დასახლება I

ანდაქჩიით ნამასულ დაჭრილ ირემი. უსაგბლო და უტალავრო გამადგომი მენადირე მურღვაი დაჭრილ ირემს. ეხში დადგ, დაიღამა. წურტის კიდურზე რო მავიდ, ტყე დაუხვდ წინ. იქ დამჯდარ. ტყიდან გზა ველარ გაუკვლევავ, ადგილ მაეწონ. მერე უთქომავ სოფლელთად, ესეთ ადგილ ვნახევ, და წამასულ ხალხი.

მთქმ. ჭრელა მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26122

## 130. არდოტის დასახლება II

პირველად არდოტ მასულ ღულანტელ ლეკი — აბაშო. იმას ირემ დაუჭრავ ანდაქჩი, იმას გამაზდგომი. კვალს წურტეს მაუყვანავ. წურტის კიდურით ჩაუხენებავ, მასწონები ადგილი და დასახლებულ.

აბაშოს შვილს ბაისერ ხქვივნები და მურღვათ ამიტომ ბაისერათ გვეძახიან. აბაშო სომხოს გორზე დასახლებულ, სოფელთ გორაზე კი დასახლებულ ფშაველი, გვარად გოგოლაური. ის მუქუთ გამაგდებულ ყოფილ. ამ ფშავლის ჩამომავლობა არის ზვეედაურები.

მთხრ. კიბლე მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი 1983.
თსუფა 26056

## 131. არდოტის დასახლება და ჟამნი

არდოტში პირველად მურღვა ხულანტელი მოსულ და დასახლებულ. ანდაქჩიით მასულ, გამაჰყოლი დაჭრილ ირემს. ეს მურღვა გუდანით უნდა იყვას წამასულ. ღატოხზე უვლავ, იმ დროს ტყე ყოფილ, ეხლა შიშველი ადგილია, და გადაუხედებავ წურტის ჩრდილით, მასწონებივ ადგილი. უნახავ ქისტების ნასახლარ-ნასოფლარი დანიუხის კუდ. ჩაუვლავ სომხოსგორზე, დაუსინჯავ ადგილი. მემრედასჯდომი მხარზე და ქავში დასახლებულ. მემრე მაუყვანავ ცოლი და გამრავლებულ. თავის ციხე-ქავ გაუკეთებავ.

მემრე არდოტში ზვიედა, ზვიედაურთ პაპა მასულ, სოფელში არ შამაუშვავ, სოფელთ გორაზე დასახლებულ. არ უშვებდეს სოფელში, არც წყალზე. საფეხვნოზე თულუხთ ახგლეჯდეს და არ აძლევდეს ნებას არაფრისას. ჭალაშიით მახქონდ თურმე წყალი. მემრ დანათესავებულან: ზვიედაურთ კაცს მურღვათ ქალი ნაუყვანავ ცოლად. მემრე სოფელშიაც შამაუშვავ, სოფლის შაღმითა მხარეზე დასახლებულ.

ოთხშაბათ წუხრას, სოფლის გორაზე ცხოვრებულ მაშინ, სასმინაოდ წასულ. ხიდზე ჩაწოლილ პირქვ. ეშმაკებმა ხან აღმ მამაბრუნესავ, ხან ჩაღმავ, ხან სხვა რაღაცეებ მამაჩვენესავ, ხან გველივ, ხან ქვებ დაგორდავ. ის არ გაჩუჩვილ. ორ-სამ საათს უწვალებავ და არ განძრეულ. მემრე მაჰყვნენ კუდიანებ, ვის რა მაუვიდოდ, ან ღვთისგან რა იქნებოდ, ან ვინ ვის გაჰყვებოდ, ან სად ვინ მაკვდებოდ. ბოლოს, უძახებავ, ამა და ამ დღეს, ამა და ამ წუხრა ჟამნ მადიანავ, ზვიედასთანაც მავლენავ. მასულან კიდეც. ზვიედას ოთხი შვილი ჰყვანი. ისიც უბარებავ ეშმაკებს: ჯორ ექნებავ ერთივ, იმაზე ვინც შაჯდებავ, შვილს მაუკვლენავ. ჟამნ იმ კაცთან დამდგარან წუხრას. თენება რო დაიწყავ, ზვიედასთვის უთქომავავ, ჩვენ სოფელჩი გავალთავ, ზედ არ შაჯდავ ჯორზედავ.

გასულან ჟამნ სოფელჩი ხალხის გასაწყვეტლად. იმათ ხქონი ისრები: თეთრთბიანი, წითელთბიანი, შავთბიანი. შავთბიანი რო ხვდებოდ, აუცილებლად მოკვდებოდ. წითელთბიანი ვისაც მახვდებოდ, მეორე-მესამე დღემდე ცოცხალ იყვა და ისიც კვდებოდ. თეთრთბიანი რო ხვდებოდ, რჩებოდ. ჟამშეყრილ თვითონ მიდიოდ და წვებოდ აკლდამაში, დამმარხავ აღარავინ რჩებოდ.

ერთ მურღვათ კაცი დარჩენილ ცოცხალ და ისიც ხონისჭალას გაქცეულ, თავ შაუფარებავ უფრო ძლიერ ჯვარისად, ხონისგორულისად, რომელსაც ჟამნ არ შამაუშვიან. ანთა ხქვივნები იმ კაცს. ლექსი ახლაც არის:

ანთა გავარდა ველთაო,
ტიტველთ მიიქნევს ყვერთაო.

მთქმ. ხვთისო მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26118

## 132. არდოტის ჯვარის დაარსება

სომხოს გიორგი სომხეთიდან გამოფრენილა აქეთ. თან მისი მორიგე — ერთი კოჭლი სომეხი გამოჰყოლია. მოდის გზაზე სომხოს გიორგი მტრედის სახით და მოჰყვება ეს კოჭლი სომეხი. როცა დაიღლება კაცი ან დაეძინება, მოუცდის ეს მტრედი; როცა ადგება კაცი, გამოუძღვება მტრედი და მოსდევს მისი მორიგეც ანუ ხუცესი.

ბოლოს, მოვიდნენ არდოტში და კოჭლს ჯვარი გაუქრა თვალიდან. ეს სომეხი კაცი არდოტელთა წინაპრებმა ნახეს და ვინაობა გამოჰკითხეს. კაცს ქართული არ სცოდნია და ხმა არ გაუცია. მხოლოდ ხელით უნიშნებია იმ გორისთვის, საითაც მტრედი გაუჩინარდა, და ტირილი დაუწყია. ხალხმა საჭმელი მოუტანა, მაგრამ პირი არაფრისთვის მიუკარებია. წავიდა და იმ გორზე დაჯდა. სამი დღე და ღამე იჯდა იქ. მეოთხე დღეს არდოტელები მისულან და საკლავი მიუყვანიათ. ერთი მათგანი გაქადაგებულა, დაუკლავს ეს საკლავი და ძალაუნებურად უხუცებია სომხოს გიორგისთვის. ბოლოს, გიორგის ამ სომხისთვისაც აუმოძრავებია ენა ქართულად სალაპარაკოდ და ყველაფერი უთქმევინებია: ამ ხატს გიორგი ჰქვიაო, მთელი სომხეთი ემორჩილებოდა და ბევრ დახმარებასაც უწევდა ხალხსო. ერთ დღეობაში გააწყრეს, წესი დროზე არ შეუსრულეს, გამწყრალი გამოფრინდა აქეთ და მეც თან გამოვყევიო. აქ ინება დაარსება და სომხეთში დაბრუნებას არ აპირებსო. მე კი უკან უნდა წავიდეო. ეს უთქვამს და დაუწყია ტირილი. არდოტელებმა ანუგეშეს: რას იზამ, ღვთისშვილთ ნებაა: თუ კი ჩვენც ვერ შევუფერებთო, აქედანაც წავაო.

წავიდა კოჭლი სომეხი, სომხოს გიორგი კი დარჩა არდოტს. ერთი კაცი აუყვანია მეენედ ანუ ქადაგად და, რაც საჭირო ყოფილა ახალდაარსებული ჯვარისათვის, ყველაფერი მისთვის გამოუცხადებია.

ეს სომხოს გიორგი თურმე ჯვარის ხელკაცებს თეთრ ტანსაცმელში, ქისტურ ჩოხა-ახალუხში ეჩვენებოდა. ხშირად იტყოდნენ: წუხელ გიორგი ვნახე ქისტურად ჩაცმული და ესა და ეს დარიგება მომცაო, ანდა, წუხელი გამწყრალი იყო და მიჯავრდებოდაო.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 11

## 133. სომხოს გიორგი

მე კიკო ჯოყოლაისგან როგორც ვიცი, სომხოს გიორგი სომხების სალოცავი ყოფილ. მერე ეშმაკს გაუჩენავ ღორი. ღორი რომ უნახავ ქრისტე ღმერთს, უთქმავ: გამჩენისამც შამჭმელ იქნებივ, ქრისტიანისიმც შამჭმელ იქნებივ. ღორის ჭამა ვერ მასწონებივ ანგელოზს და გამამწყრალ.

ერთ კაც ამდგარ ზამთარჩი, ტიტლიკანა წამასულ, მასულ არდოტ და უთქმავ: აქ არისავ გამწყრალ გიორგიივ. იმ კაცს კოშკ აუგავ და ამის მერე დახქვივნები იმ ადგილს სომხოს გორი.

მთხრ. ხვთისო მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26041

## 134. არდოტის ხთიშობელი I

არდოტელი ხევსურების წარმოდგენით ხთიშობელი სომხოს გიორგის და, ანუ დად გაფიცული ყოფილა და მკითხავები ამიტომ უწოდებდნენ მას გიორგის მოდეს. როცა გიორგი აქ დამკვიდრდა, მაშინ ერთ მკითხავს უქადაგნია, რომ მე ქალაქში ერთი მოდე მყავს, ჩემნი ყმანი უნდა წახვიდეთ და ის აქ უნდა მოიყვანოთო. იმ ჩემს მოდეს ხთიშობელი ჰქვიანო. არდოტელებს წილი უყრიათ და წასვლა ორ კაცს რგებია. წავიდნენ თურმე და ქალაქში შეხვდნენ ხთისმშობელს ერთს საყდარში. ხთიშობელი იყო დიაცის სახით და დიაცის ოდენი. იმდენი სამკაული, თვალმარგალიტი ჰქონია, რომ სულ ღამღამ მოუყვანიათ და დაუარსებიათ სოფლის პირდაპირ, ერთ დავაკება ადგილზე. შეუწირავთ მამულები, აუგიათ კოშკი, გაუჩენიათ დასტურ-ხელოსნები და მას აქეთ დაუწყიათ მისი ლოცვა. ლოცვა იცოდნენ ჩვეულებრივ. ხუცობაში კი აყოლებდნენ: „დედაო ხთიშობელო, მოდეო სომხოს გიორგისაო“.

მერე დასცემია არდოტელებს ქისტის ლაშქარი და წაუღიათ ხთიშობელი. ლაშქარი თურმე სულ დაბრმავდა და არევია გზა. ბოლოს მოლას უთქვამს, ეგ რომ მოგაქვთ, რა არის, გადააგდეთ, თორემ ვიღუპებითო. რაც სამკაული ჰქონია, სულ შემოუცლიათ და ის კი იქ დაუგდიათ. მაშინ მოტეხია ხთიშობელს ერთი ხელი. დანარჩენი კი დღესაც ისევ ისე არის შენახული. გამოაბძანებენ მარტო წელიწადში და დატიობაში. სხვა დროს ინახება საიდუმლოდ. მას მოტეხილი

ხელი ზედვე აქვს მიბმული. სახით ძალიან ლამაზი არის და მძიმეც არის... აბარია ერთ კაცს და იგიც, თუ საკლავით არ გაინათლება, ვერ გამოაბძანებს.

ალ. ოჩ., M 18, რვ. 19

## 135. არდოტის ხთიშობელი II

როცა სომხოს გიორგი არდოტში დამკვიდრდა, მაშინ ქადაგის პირით უთქვამს, რომ ქალაქში ერთი მოდე მყავს, ჩემნი ყმანი უნდა ნახვიდეთ და აქ მოიყვანოთო. იმ ჩემს მოდეს ხთიშობელი ჰქვიანო.

არდოტელებმა წილი ჰყარეს და წასვლა ორ კაცს ერგო. წავიდნენ თურმე და ქალაქში შეხვდნენ ხთიშობელს ერთ საყდარში. იმდენი სამკაული, თვალ-მარგალიტი ჰქონია, რომ ღამითაც სულ ბრწყინავდაო, იტყოდნენ არდოტელთა წინაპრები. წამოუყვანიათ იქიდან ღამით და აქ სულ ღამ-ღამობით მოუყვანიათ და დაუარსებიათ სოფლის პირდაპირ, ერთ ვაკე ადგილზე, ბისოს. შეუწირავთ მამულები, აუგიათ კოშკი, გაუჩენია დასტურ-ჴელოსნები და მას აქეთ დაუწყიათ ლოცვა. ხუცობაში აყოლებდნენ: „დედაო ხთიშობელო, მოდეო სომხოს გიორგისაო".

ერთხელ დასცემია არდოტს ქისტის ლაშქარი და წაუღიათ ხთიშობელი. ლაშქარი თურმე სულ დაბრმავებულა და არევია გზა. ბოლოს მოლას უთქვამს: „ეგ რომ მოგაქვთ, გადააგდეთ, თორემ ვიღუპებითო". რაც სამკაული ჰქონდა ხატს, შემოუცლიათ, ხატი კი გზაში დაუტოვებიათ. მაშინ მოსტეხია ხთიშობელს ცალი ხელი.

ხთიშობელს გამოაბრძანებენ ხოლმე წელწადში და დატიობაში. სხვა დროს საიდუმლოდ ინახება. მოტეხილი ხელი ზედვე აქვს მიბმული. გარდა ერთი კაცისა, ხელს ვერავინ ახლებს. ისიც კი, თუ საკლავი არ დაკლა, ვერ გამოაბრძანებს.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 19

## 136. სომხოს გიორგი და უშვილო ქისტი

ერთი უბედო ქისტი ყოფილა, სახელად ძორა. მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა. ამის გამო ბევრს სწუხდა. ეხვეწებოდა ხატებს, ღმერთს, რომ ბედი მიეცათ, მაგრამ არ ეშველა.

ბოლოს, ერთმა მკითხავმა ურჩია, სომხოს გიორგის ერთი საკლავი მიუყვანე და ბედი შეგეძინებაო. ქისტი ძორაც ასე მოიქცა. მიუყვანა დიდი ჭედილა და დაუკლა სომხოს გიორგის ჯვარში. ამის შემდეგ მის ცოლს ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც ძუბეირი დაარქვეს. მანამ ძუბეირი გაიზრდებოდა და დაცოლშვილდებოდა, მშობლებს ყოველწლიურად მიჰყავდათ იგი სომხოს გიორგიში და თან ერთ ჭედილას გააყოლებდნენ დასაკლავად. როცა წამოიზარდა და დაცოლშვილდა, ძუბეირი თავისი ცოლ-შვილით თურმე ყოველთვის მოდიოდა ამ სალოცავში და მოჰყავდა საკლავები. მისი ჩამომავლობა ისე გამრავლებულა, რომ ერთი დიდი გვარი გამხდარა. მთელი ეს გვარი პატივს სცემდა და ემორჩილებოდა სომხოს გიორგის. იტყოდნენ, ჩვენ სომხოს გიორგისაგან ვართ გამრავლებულებიო.

ქადაგობის დროს ქადაგები იტყოდნენ გიორგის სიტყვებს: „გიორგი ორ მე, ჴმიან-ჴმლიანი. მე მაქვს ძალაი დ' შაძლებაი. მე რჯულიანსაცა დ' ურჯულოსაც ბედს ვაძლევ, უბედურს ვაბედიანებ".

ალ. ოჩ. M 18, რვ. 12

## 137. კოპალა არდოტში I

კოპალა ლიქოკით გამაფრენილავ, მტრედივ, უკან კოჭლა კაც გამაჰყოლიავ. მტრედ ისეთ ადგილას არ დაჯდებოდ, თუ კაცს თვალით არ იჩინდ. ბოლოს, არდოტ სოფლის თავში დამჯდარ. მემრ აფრინდ და სახატოში დაჯდ. იფრინ მტრედმა, გადიარ მთაი და არიშკის თავ ქისტეთისკე დაჯდ. იმ კაცმ გაიგ, რაში იყვ საქმეი, მადლ მასთხოვ. იმ მთაზეით გამაფრინდ და ისევ ლიქოკ წავიდეს.

მთხრ. ჭრელა მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26124

## 138. კოპალა არდოტში II

ლიქოკით არის კოპალას ნიში მაბძანებული. ადრე ხალხ იხოცებოდ მებალინჯეთაგან თავის მოკვლით, ზვავით, წყლით... ამიტომ მაიყვანეს კოპალა და ააგეს კოშკი. კოპალა მფარველობს თავის

ყმათ ავქარისაგან, დევ-ეშმაკისაგან, უხილავი ძალებისაგან. წინავ დევებს ჯვარ-ხატის საგანძო გაუტეხავ და თას-განძი გაუკრეფავ. ცხენ დაუკლავ დევებს და ზღურბლზე, კარებზე მიუდვავ, კოპალა რომ ვერ შამასულიყვ. კოპალას იქ შასვლის უფლება არ ხქონდ ხთისგან. წამასულ კოპალა და ხახმატის ჯვარისად უთხოვავ: „რამე მიშველევ". ხახმატის ჯვარი, მგზავრ გიორგი, ფუტკრად ქცეულ და შამძვრალ ცხენის ძირზე. გაუტეხავ კარის კლიტე. მისულ კოპალა და მთელნ დაუხოციან. დიდ ომ მამხდარ იქ და სისხლში მხრებ ჩასწებები კოპალას, ველარ ამასულ. იახსარ მისულ და უთქომავ: „ხუთრქა ჭედილა დაკალივ, ამახვალავ". თავის ყმათად დაუკვლევიებავ და მერე ძლივ ამასულ.

მთხრ. ხვთისო მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26044

## 139. სანეური ჯვარი

ეს ჯვარ ყოფილ გუდანის სანეურის მოძმე. მეენეს ათქმევიავ: „მეავ მესამე სანება ვარივ, ცის კლიტეთ ყარაულივ". დევი და კაც შაბმულან ერთხელ ლატოხის ძირ. კაცს ხანჯარ დაუკრავ ორჯერ და ორჯერავ ცეცხლის ნალვერდალ დაისრიავ ტანზეითავ. „დამისამევ!" — უთქმავ დევს კაცისად. „სანეურმ დაგისამასავ!" — უთქმავ კაცს. იმ წამში ცეცხლის ბურჯღუმ მასულ. „დევს რომ დაეცავ, გონ დავკარგევ. გონთ რომ მავედივ, დევის ფერფლივ და ყურებილა იყვავ დამჩალივ". ის ყურნი სულ თან დახქონდეს ომში და ლაშქრობაში. არაფერ ხიფათ არ მაზდიოდ. ცოლ გადახკიდები: „მითხარივ, უვნებელი როგორ ღბრუნდებივ". ეს რომ უთქმავ, დევებს მეორე დღესვე მაუკლავ და ყურნიც წაუღიან.

მთხრ. ხვთისო მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26043

## 140. დევის ყურები

მურღვათ ღმართები დევის თავი. ბოჯს მაუკლავ დევი. დევს რომ თოფს დახკრავენ, ყურნ მარჩებიან მარტო. ყურნ სახლჩი უნდა წამაიღან და სულ თან ხქონდან. თუ მახკარგავს, მაშინ შახვდებიან

დევის მოძმენი და მახკლავენ. ბოჯს ყურნ მასცილებიყვნეს შინ და დევს მაეკლ ტყეში.

მთხრ. ძილა მურღუევი,
ჩამნ. ნ.ოდარ ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26114

## 141. არჭილოს თეთრი წმიდა გიორგი

არჭილოში არის ერთი ხატი. ხუცობისას ასე ახსენებენ: „თეთრო წმიდა გიორგიო, მახკოსწვერისაო".

წინავ მთის წვერზე ყოფილ ნიში. მემრე იქით ერთ ქვა წამაუღავ და ჭალაის ცოტა ზევით აუშენებავ კოშკი. სოფლელებს სცოდნი, რომ იქ წვერზედავ ხატიავ, მაგრამ ვერვინ ბედავდ იქ ასვლას. ერთხელ ჯიჴვთ ახყოლი ბოსელაის შვილი, გეგი. იმას უთქმავ: სუ ცეცხლ ამერტყავ, იქ რო შავხედნევ. გონება დავკარგევ. გონთ რო მავედივ, ქვენ ქვიშაში ვეგდივ. მემრ მიხვედრილან, რომ აქ ჯვარიავ.

მთხრ. თ. ზვიადაური,
ჩამნ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 25979

## 142. კუდიანთ წუხრა I

გაზაფხულზე არის კუდიანთ წუხრაი. ყველას ჯვარ უნდა დასწერო: თივას, ჩალას, ცხვარს, საქონს, პურებს. ნახშირს შაისრევ და იტყვი: „ჯვარიმც გწერავავ, ჯვარდაუწერიმც წურა დასჩებითავ". სასმინაოდ მიდიან ხიდზე ან სხვაგან სადმე. ეშმაკებ ამბობენ ყველა ადამიანის ბედის შესახებ. სასმინაოდ წასულმ კაცმ ყველა განსაცდელს უნდა გაუძლოს: ქვის დაგორვილ ლოდებს, ხიდზე მწოლარეს უზარმაზარ წყალ გადაუვლის, გველს მააჩვენებენ, ეშმაკს, ყველაფერს. მაჰყვებიან ყველაფერს, ვის რა მაუვ, ვინ ვისზე გათხოვდებ, ვის ვინ მაუკვდებ...

კუდიანების სულები ცოცხზე გადამჯდარები წავლენ აჩხოტის მინდორზე და იქ იკრიბებიან, აცხადებენ ადამიანის ბედ-იღბალს.

აჩხოტის მინდორ გაივსავ
კუდითავ, კუდივნებითავ,
შიგ სტანავ ჩემი დედაი
ძირეულაის ბოძითავ.

ერთხელ ერთ ვაჟ ყოფილ სასმინაოდ. ბევრი რამე მაუჩვენებავ კუდივნებს, მაგრამ ვერ შაუცდენავ, ყველაფრისად გაუძლავ და უნახია აჩხოტის ველზე კუდივნებთან თავის დედაი. მისი დედისთვის შვილის მოკვლა დაუვალებიათ კუდივნებს. დედას უარ უთქმავ, მე ვერ მავჰკლავავ შვილსავ, ოღონდ ხარებს დაუხოცავ და მარცხენა თვალს გამავსთხრივ. შვილ დაბრუნებულ შინ. ყველაფერი იცის. უცბად ხარებ გადმაყრილ კლდეზე და დახოცილ. შვილ თურმე ატყავებს ხარებს და მარცხენა თვალჩი ბუზ აჯდებ. დაუჭერავ ბუზი. ხელს რო მაუჭერდ, დედის ჯარან ჩერდებოდესავ. რო გაუშვებდ, ისევ ბრუნავდესავ. შვილს უთქმევინებავ დედისად, რომ მას კუდიანებისად მიუყიდავ სული.

კუდიანებთან ვინც დადიოდ ადამიანი, ისიც კუდიანად ითვლებოდ. ვინაც გასტყდებოდ, კუდიან ვარივ, ის კვდებოდ. აჩხოტის მინდორზეით დაბრუნებულ სულები, თუ გვამს უძრავად ნახავდეს, ჩავიდოდეს შიგ.

მთხ. ჭრელა მურღუევი,<br>
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.<br>
თსუფა 26134

## 143. კუდიანთ წუხრა II

კუდიანთ წუხრას ჯვარ უნდა დასწერან ყველას, ნახშირით ჯვრებს გაუკეთებენ. კუდიანთ წუხრას სასმინაოდ მიდიან. ხიდზე უნდა დაწვას მესმინავე და დაუგდას ყური კუდივნებს. ხმა არ უნდა ამაიღას. კუდივნებ ბევრ რამეს მააჩვენებენ: გველს, დათვს, დაგორებულ ქვებს. თუ არ გაინძრ, მოისმენს იმათ საუბარ. კუდივნებ ამბობენ, ვინ ვის გაჰყვებ ცოლად, ვინ ვის მაიყვანს, ვინ მაკვდებ...

ზოგიერთი დიაც გაკუდივნებული, ფიცით არის შაკრული კუდივნებთან. კუდიანთ წუხრას იმის სულნ წავლენ აჩხოტის მინდორზე.

დედა-შვილნ ყოფილან. ის ვაჟი დედისერთაი ყოფილ. შვილ თურმე იჭვით იგრძნობს, რომ დედა გაკუდივნებულია. კუდიანთ წუხრას დედას ეჩქარის აჩხოტის მინდორზე წასასვლელად. „დაწევივ", დედამ უთხრ შვილს. შვილ დაწვ, მაიმძინარ თავი. დედამ გაიარ, შუა ბოძის ძირჩიით რაღაცა აიღ, წაისვ ზურგზე და წავიდ აჩხოტის მინდორზე, შვილიც გაუდგ უკენ. კუდივნებმ მას მაარგუნეს შვილის მაკვლა. დედამ უთხრ: ერთ შვილ მყავავ, ვერ მავხკლავავ, თვალს კი გამავსთხრივ. თეთრ ჴარ ხყავავ, იმას გადმოაგდებავ, იმის

ტყავის გაჴდაში ბუზურად ვიქცევივ, თვალში დავაჯდებივ და დანას ვაკვრევიებავ.

მართლაც, გადმავარდ ის ჴარი. ტყავის გაჴდა დაიწყ შვილმ. დედა იქვე ზის თურმე და ჯარას ძაჴს. უცებ ბუზ მავიდ და თვალზე აჯდებ. შვილმ იცის ყველაფერი და დანას არ ხმარობს მაგერიებაჩი. ბოლოს, დაიჭირ ბუზი. ჴელს რომ მაუჭერს, დადგებიან ჯარან. დედას უთქვამ: გაუშვივ, შვილო, ცოდვაიავ. შვილს უთქმავ: გატყდივ, თორემ შენ სულნივ ჴელში მიჭერიანავ, მაგკლავ. გამავარდნილ ის დიაც კარჩი და უძახებავ: გატეხილ ვარივ, კუდიან ვარივ!

მთხრ. თაძია ზვიადაური,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26003

# 144. გველვეშაპი

არდოტ ჭაუხით გამასულ გველვეშაპი, ჩამაუვლავ ბაიტის ჴევდიჴევ. წინ მძივს ისრევს და გზას ინათებს. წყალდიდობის დროს იცის გამასვლა. ჩაუვლავ ანატორ და გაჩერებულ ქისტეთისკე. მორს მახვევივ. მწარიათ თამარს მახპარეს ორ ფური, მომავალს ენახ მორზე მახვეული. „ისე შავიზარევ, რო შიშითავ ცაში წავედივ“.

მთხრ. ძილა მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26117

# 145. როსტომი და გველვეშაპი

ერთ გველვეშაპ ყოფილ. ის ხან წყალში, ხან ტყეში დადიოდ, ჴოცდ ხალხს, აზარალებდ ცხვარ-საქონს. კაცისკე რომ წამავიდოდ, როგორც ცხვარს დაუსტვენ, ეეგრ ისტვენდავ. როსტომ ყოფილ მძლე კაცი. ის შახვედრივ ვეშაპს. წამავიდავ ჩემსკედავ, თან ისტვენდავ. ცხენ დაუფარებავ როსტომს. უცებ ცხენ გვერდზე გაფრენილ, როსტომს ჴმალ დაუკრავ წელჩი და ორად გაუჭრავ.

მთხრ. თ. ზვიადაური,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არჭილო, 1983.
თსუფა 26004

## 146. სულეთი

სულეთში მკვდარნი არიან. კაც რომ კვდება, სულის ამადენის ხანს მგებრნ მადიან სულეთით და იმათ მიჰყავთ.

ერთხელავ კაც კვდებოდავ და სულის ამასვლის ჟამსავ საკვამ-ჩიავ ბოლსავით დაჭრეხილნ სულნ გაეფარნესავ.

მგებრნ ადრევ მოდიან ერთი-ორი კვირის წინ. ხთიშვილნი გზა-ვნიან მკვდართ ახალსულისათვის.

ერთხელ არდოტ ვიყვი, ბნელდებოდ. უცბად გრიალით ცხენებ მავიდეს. ერთს კაცს მავჰკარი თვალი. კარგად ვერ გავიგ, რა კაც იყვ. „შენ ნუ დაშინდებივ, — მიძახ, — ჩვენავ ბაისახურის მგებრში მივდი-ვართავ". ბაისახურ იმ დროს ავად ყოფილ. არ გასულ სამ დღეი და ბაისახურ მაკვდ. სულეთში ბეწვისჴიდაზე გაიყვანესავ. ვინც მადლი-ანიავ, ის გაივლისავ; ვისაც მიზეზ აქვავ, ვინც ცოდვიანიავ, ის შიგ კუპრის წყალჩი ვარდებავ. საიქიოს კართან ძაღლებ ღბავავ. ისინივ კარს ყარაულობენავ.

მთხრ. ჭრელა მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26131

## 147. საიქიოში

სიზმრებით ერთჴელ-ორჯერ მეაც ვიყავ იქ. ჩემ უფროს ძმას, იმედას, სანამ მახკლავდეს, მანამდე იყვ ეგ ამბავი. შავედი საი-ქიოს და ხალხ იყვ ბევრი. ისიც გამაჴსენდ, რომ საიქიოს ვარივ. ბიძა ნიკო მავიდ და იმან მითხრ:

— „რას იძევავ აქავ?"

— „იმედას ვიძევავ".

— „იმედასავ აქ რა უნდავ, წადივ აქითავ!" — მითხრ.

ერთ ლამაზ, მთავარ ვაჟ ეტან ბიძა ნიკოს. მე არ წამავედი. მეორედ მავიდ ნიკო, დამკრ და გამიჯავრდ. უცებ გონთ ჩავარდი დაშინებული.

დამეძინ ისევ და სამ კაც ვნახე, ხის ტაბლებ ედგ. შიგ ჴალი, ჴორცი ესხ იმათ. თითოს თითო ტაბლა ხქონდ. სასარტყლეზეით ხქონდ იმათ ყბებ გამაშვებულებ. „წერამწერელნიავ", ვიფიქრ მე.

წერამწერელნ დაბადების დროს დაუწერენ ადამიანს სამ წერას. ორ წერას თუ მასჩ, მესამე წერას ველარ გადაურჩებ. წერა-მწერელნი არიან ხთიშვილნი და ხთის დავალებით მოქმედებენ, იმათად საკლავ იკვლის.

მკვდარნ უმზეოში არიან და ადამიანის სახე აქვ. სულნივ, როგორც კვამლივ, ეგრე დაჭრელებულნივ, ამავიდესავ და ნავიდესავ ღმერთსთანავ. საიქიოს გვამს გააკეთებენ წინასწარ. ამ გვამის გაკეთების შემდეგ იტყვიან იმ კაცზე: „შასულიავ". შასულ ვინც არის, დიდხანს ველარ ცოცხლობს. სიკვდილის შემდეგ სულნ წავლენ და იმ თიხის გვამჩი ჩავლენ და გვამ დაიწყებს მოძრაობას.

მთხრ. თ. ზვიადაური, დეკანოზი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26005

## 148. ბაჩით ბაჩის ძენგლი

ბაჩით ბაჩი ყოფილა ძალიან ამაყი კაცი. არავის არ ემორჩილებოდა, არც ხალხს და არც ღმერთს. აქ დასტურისათვის ხმამაღლა დალაპარაკებაც კი აკრძალული იყო, მაგრამ ბაჩიმ დასტურს ხანჯალი დაჰკრა და ჯვარში დაჭრა. ამაზე თურმე გაწყრა სომხოს გიორგი და ბევრი საკლავებით, დიდი თხოვნით გიორგიმ ცოტა მოიბრუნა გული. მაშინ იმ ოჯახისათვის სასიკვდილო ზიანი არ მიუყენებია. მხოლოდ ერთ ჩხუტ ლუდს ამზადებდნენ, ერთს საკლავს მოიყვანდნენ და დაკლავდნენ გიორგის სახელზე. ლუდს ხალხს დაალევინებდნენ ხორცის ტაბლას დადგამდნენ და აჭმევდნენ პურს დასტურ-ხელოსნებს და მერე ხალხსაც.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 19

## 149. ქრისტეს სასწაული

ქრისტე ღმერთ თურმე დადიოდა კაცთაზე. ნაჯღანა წუხრას ყველამ ხორც ჩადგ ქვაბში. ერთ გლეხ ყოფილ, რომელსაც ხორც არ ხქონივ და ჯღანნ ჩასხ ქვაბჩი. ქრისტე ღმერთი, ძონძ-მანძებში გამაწყობილი, მივიდ მდიდარსთან, რომელსაც ქვაბჩი სულ დუმახორც ჰქონდ მახარშული. მდიდარმ არ აჭმი ხორცი ქრისტე ღმერთს. მერე ღარიბსთან მივიდ. ღარიბს შარცხვ, ჯღანებ ვერ ამაიტან სტუმარსთან. მაშინ ღმერთმ, ღარიბს ქვაბჩი ჯღანებ რომ ხქონდ, ხორცად უქცი, ქალ რომ ეწვ აკვანჩი, ის ვაჟად უქცი. მდიდარს ვაჟ ხყვანდ, ის ქრისტე ღმერთმ ქალად გადააქცი.

ჯღანებ რომ ეწყვ ღარიბს ქვაბჩი, ამიტომ ეძახიან ნაჯღანა წუხრას.

მთხრ. თ. ზვიადაური,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არჭილო, 1983.
თსუფა 25985

## 150. მუცუს მთავარანგელოზი

მუცუში იყო სალოცავი მთავარანგელოზი. მუცუელი ხალხის გადმოცემით, არხოტის ჯვარი ყოფილა დედა და მუცუს მთავარანგელოზი მისი შვილი. იქ არხოტში, ორივეს ყოფნა საჭირო არ ყოფილა, შვილი წამოსულა იქიდან, დაარსებულა ყველაზე მაღალ მთაზე დაქუეხში. ეს მთა ზამთარ-ზაფხულ თოვლ-ყინულით არის დაფარული და ვერ ადენილან სალოცავად, გარდა ათენგენა დღეობისა, თითქმის მაშინაც ყველა ვერ მიდიოდა. ამიტომ დაკლეს ერთი ხარი და სთხოვეს, დაბლა დაარსებულიყო, რომ სალოცავად ადვილი მისასვლელი ყოფილიყო. ამის შემდეგ ჩამოსულა და დაარსებულა ერთ წმინდა ადგილზე, ჴონეს. მას შემდეგ დაუწყიათ აქ ლოცვა.

ზოგები ამბობენ, რომ არხოტიდან ქისტეთში წასულა, იქიდან დაქუეხში მისულა და იქიდან ჴონეში ჩაიყვანეს ჴონის მთავარანგელოზიო.

მთავარანგელოზი არ უშვებდა თავის სოფელში ჟამთ. მისი შიშით თავს ვერ გადმოაჩენენ. ერთი კაცი სხვა სოფლიდან გამოქცევია ჟამთ, გატიტვლებულა, წყალში გადავარდნილა, ჴონის მთავარანგელოზში მისულა და გადარჩენილა მათი ისრების სროლისაგან. მუცუდან გაქცეულან ჴონესავე ხალხი და უკან ჟამნი თურმე დაედევნენ. მისულან ჴონეში და ჟამნი ველარ გადარჩნენ. ასე გადარჩენილა ხალხი.

ალ. ოჩ. M 18, რვ. 19

## 151. ნაწილიანი შვილი

ნაწილ დედის მუცლიდან გამახყვებ ბალღს. ტანზე აქვ ნაწილ კაცს და დაუდის. თუ ნაწილ დაიძრ ადგილშიით, ის კაც აღარ გადარჩებ.

დედ-მამათ რომ იცოდან ნაწილიანიავ შვილივ, ერთმანეთს არ უნდა უთხრან. თუ უთხრეს, მაშინ ბალღ მაკვდებ. ნაწილ რომ

დაეძვრის და დაუვ ტანზე, ფულ უნდა დაადვას, სადაც გაანათებს.

ტანზე ნაწილი წითლად აქვ კაცს. ის მრგვალი, ცეხლისფერი. როცა მაკვდებ ნაწილიანი, ნაწილ გალურჯდება.

ბალღ მაკვდ ერთი. იმას ხქონდ ნაწილ გულზე და მჴრებზე მზე-მთვარენი. იმის სიკვდილ ჩვენ ბიძაშვილი შეესწვრ და იმან თქვა: მზე-მთვარიან გყვანიათავ, ეს როგორ გაიზდებოდავ.

ნაწილ სარკის შუქივით არის და გარეთ თუ გამაუვიდ, ის მაშინვე მაკვდებ.

მთხრ. აგუნდა ჭინჭარაული,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26072

## 152. ნაწილიანი მამა

ჩემ მამა ყოფილ ნაწილიანი. ჩემ დედამ იცოდ თქმა, საჴნავზეით მავიდავ, თქვევ: ბეჭზე წითელ კვერ მაქვავ, დამივავ, ბოლოსავ ჴელში მამივიდავ.

ფულიც ადვეს ნაწილზე, მაგრამ იმას აღარ ეშველ.

მთხრ. ბ. მინდიკაური ,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26087

## 153. ნაწილიანი ძმა

თავში გამაუდის ნაწილი. ჩემ ძმაიც გიგია ნაწილიან იყვ. ღამით თავში გამაუდიოდ ნაწილი, ეგეთ, როგორც საკვამში მზე ჩავარდებ. მონაი (ცუდია), როცა ნაწილ სააშკარაოზე გამავ. მაშინ დიდხანს აღარ იცოცხლებს. მე შუქ მინახავ ჩემ ძმისად კუჭულაში. ჩემ ბიძას ნიკოს თავში ხქონდ ნაწილი. ბარისახოს წაიყვან მამამ და წამოსვლის მეორე დღეს მამკვდარიყვ. მკვდარ რომ გაიტანეს, დედამ შენიშნ, რომ ნაწილ ამოჭრილ ხქონდ. ნაწილ თუ მასჭრეს, მაშინ კაც კვდებ.

მთხრ. კიბლე მურღუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, არდოტი, 1983.
თსუფა 26087-ა

## 154. კუდიანის სიკვდილი

### [კუდივნები აჩხოტის მინდორზე]

კუდიანთ წუხრას ოჯახს, ცხვარ-საქონს ჯვარ უნდა დაეწერას ნაჭშირით, ხელში დანით. ჯვარს რასაც არ დასწერავ, ისივ კუდივნებს მიაქვავ.

ერთ შვილს კუდიან ჰყოლი დედა. ვაჟს სცოდნი ეს. კუდიანთ წუხრას იმას თავის დედა ერთკეით სხვაკე მაუბრუნებავ ლოგინჩი. სულნ რომ მასულან, აჩხოტის მინდორზეით ველარ ჩასულან შიგ და მამკვდარ დედა. აჩხოტის მინდორზე კუდივნებს უთვლიან, ვინ უნდა მაკლან. ერთისად შაუთვლავ: „შენავ ქმრის ძმა უნდა მახკლავ, თივის ზვინზეით უნდა გადმააგდავ". ქმრის ძმას და ზალს კარგად თუ[რმე] აჩნავ ერთმანეთი. ორჯერ უცდავ, ვერ გადმაუგდავ. მესამედაც გამასულ და გატეხილ, უთქმავ: „კუდიან ვარივ. მე შენ არას გავნებავ. ღმერთივ და კვირეე იყვნანავ შუაშიავ".

ვინც გატყდებოდ კუდივნობაჩი, იმას კუდივნებ ხკლავდეს.

მთხრ. აგუნდა ჭინჭარაული,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26071

## 155. თხის ღვიძლი და ხის ბეჭი

კუდიანთ წუხრას თუ ჯვარდასაწერნ მარჩებოდეს კაცნი ან საქონნი (კაცნი ადრე აპაურებს იხსნიდეს), მაშინ კაცს თხაივით დააბლავლებენ და საქონს ხის ბეჭს გაუკეთებენ.

ადე, ფურო, ბეჭედაო,
ხისა გიდგავ ბეჭედაო.

ერთ კაც დამრჩალ ჯვარდასაწერი და მისთვის ღვიძლ ამაურიდებავ. იმის მაგივრად ჩაუდებავ თხის ღვიძლი და თხასავით აუკიკინებავ.

მთხრ. ძილა მურლუევი,
ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, მუცუ, 1983.
თსუფა 26116

## 156. თორღვა

თორღვა სანადიროდ ყოფილა. ერთ ალაგას ყინულში ჩავარდნილა. იქ ვეშაპი წოლილა და იმას დასცემია. თურმე სიცივითა და შიმშილით კვდებოდა თორღვა. შეეცოდა ვეშაპს, ამოიღებს თვალს, ალოკებს, გააძღობს და გაათბობს. გაუძმობილდება.

იმ ვეშაპს მიუცია ჯაჭვი, ბეგთარი, ტანზე ჩასაცმელი. თურმე ისეთი თვისება ჰქონია იმ ჯაჭვს, სადაც ხმალს დაარტყამდენ, ან ტყვია ან ისარი მოხვდებოდა, სულ იქ მიიხვეტებოდა თურმე და ვეღარაფერს აკლებდა იარაღი.

ბოლოს, გაჰფრენია ის ჯაჭვი და უჯაჭოდ ხომ ისრით მოკლა ფშაველმა ჩოთამ. თორღვას მარჯვენა წითლად ჰქონია შეღებილი.

შან. ხევს. 44-ზ

## 157. დაიაურთა გვარის წარმოშობის ანდრეზი

თავიდან საიდან ვართ, არ ვიცი ეგ, ვერ მახსონს. პირველად რო წამავსულვართ, იქით მასულან ჩვენ მამა-პაპანი, გაბევრებულ, გაამაყებულ, თურმე და მდინარ-გამდინარ ხალხს ჰკოხავდეს, ისრევდეს ქვას, აწუხებდეს ხალხს. შაკრა პირობა სოფელმა, არდოტმა, ხახაბომა, შატილმა — დავხოცნათ ეგენ. კარგი შაიყარნეს, დახოცეს ისეებ, გაწყვიტნეს სრუ. ერთ დიაც ჰყვანივ წამაყვანილ ხახაბოთ. ხახაბოელ ყოფილ ის დიაც. დაია ჰქვივენებივ და იმ დაიას ჰყვანი ხუთ ძმანი და ის არ მაუკვლევავ, წაუყვანავ ძმებს შინ. და ის დამრჩალ ყოფილ, დაორსულებულ. იმას დაჰბადები შვილ. აზდილ ი შვილ იქ...

... და საით ხარ, ვინ ხარ, შე ნაბიჭვარო შენ რა აქავ, ახკიდები ხალხ... საიდან ვარივ, დედისად უკითხავ მემრ. ესე-ესე შენ მამა-პაპა რო გაწყვიტეს, შენ ჩემ მუცელში დარჩი. კარგი, სადა ჩემ ადგილი... წამავიდ, მუცოს დაჯდ, აიზარდ შვილი და დაია დაუძახეს, დაიაურები იმაზე ვსწერივართ. დაიას შვილებ იმ დედის სახელზე დაეწერენ.

მთხრ. უცნობია,
ჩამწ. გელა დაიაური, მუცო, 1999.
თსუფა 30038

# 158. თორღვა ძაგანი

თორღვა, არ ვიცი, ეგ საით წარმაშვება იყვ. ნაბიჭვარიავ, ქვე იცოდიან. შეთეკაურთ ქალს თუ დეეცა ისი, თქვიან მთაჩი ნამყოფი. წავიდ მემრ შინისკე და სამჯერ მაიბრუნ თავ მთაზეითავ, ძაღლის მუცელშიავ თესლ დამრჩავ და რა გამოვავ, ნეტარავ. ეს თქვა მაშინ ხელმწიფემ. დაიბად თორღვაი და გაიზარდ, იქნ ძალოვან კაც. ნაწილიან კაც ის, ბეჭებჩი ეწერავ რავი ვარსკვლავიო. აიზარდ თორღვაი და დაჯდ მუცოს. გააკეთ სახლ, ააშენ ციხე. სახლ მიცუს ხქონდ, მაღლა, უკანა მხარეს რო არის. ციხე ააშენ მერე, ეგ ციხე რო იყვ, ანატორით მაღებულ ქვაი აქვ სუ. იმოდენ ხალხ ჰყვანივ იმას ყმან რომა, ესე გვერდის-გვერდ დამდგარ ხალხ დაუყენებავ ერთიერთზე დაწვდით, სხვასხვას გადააწვდიდ და სულ აისე გამაღებულ ქვაი, ეგრე თქვიან, ეგ ციხე როა აგებულ. მაშ უბეგრავ იმას ხალხი იქით-აქეთ. რა ვიცი მე.

მიცუს სახლ გიდგანავ, თორღვაო,
იალავანზე კარავიო (იალავან სადა,
ალვან თუ იქნებოდ),
არცა რას მტერი გამაგრჩებაო,
ვერც რას მაგპარავს მპარავიო.

ჯაჭვ ხქონივ იმას, ჯაჭვ სცმია იმას, ბიჭო, მე რაც ვიცი გადმაცემით, ნაჩუქარ ექნებოდ. ისე ქვე იციან, რავი, ქაჯთ ნაჩუქარ ალბათ ხქონივ, წასულ თავის ჯარით, ალვანჩი ალბათ წავიდ. გზა ეგრე ხონის თავისას გაივლ, თორღვაის გზა იცოდიან. თორღვაის წყალნიც ხო არიან. იმაზე გზა ხქონივ, წასულ ფშავისაკე ალვანჩი თუ წავიდ, გავიბანები იქ მინდორჩი სადღაც, უნდა ვიბანავავ და დაუყენა ჯარი სამზე, და გაიხად ის ჯაჭვ და იმას უნდა უყარაულან იმათ, თავად გაიბანების, საბანაოდ ჩადგ, მივიდ, დაიკარგ ჯაჭვი. არავინ დასცნ თვალნ, რო სად გაქრ, ჩაძვრ დარჩ ისეთა. მემრ მაუკლ მგონივ ისი, საცა ტყვია ეგანებოდა მის ჯაჭვს მაშინა, იმათი თუ შაიკუმშის ის ჯაჭვი და არ მიუშვებდა ტანზე, სხეულზე. მემრ იქით წამასულ მაუკლავავ, ჩონთას მაუკლავავ, ქვე იცოდის, ფშაველს (ფშავლებიც უბეგრიან იმას).

ბეგარს უმატეთო, ფშავლებო,
გყვანან ოროლი ცხვარია.
თითო ნაცრიან ტომარა,

ლაღის არწივის მხარიაო,
ვინც შენ მაგცასო, თორღვაო,
ცოცხალ წაუწყმდეს მკვდარია.
ჩამოუბრუნა ისარიო
ჩონთამო შხამიანიო.
დახკრ ისარი და მაკლ.

მთხრ. უცნობია,
ჩამნ. გელა დაიაური, მუცო, 1999.
თსუფა 30039

# არხოტი

## 159. არხოტის ჯვარი მიქიელ მთავარანგელოზი

არხოტის ჯვარი, ხალხის რწმენით, მოყვანილი არის ფშავიდან, სოფელ მათურიდან.

მიქიელი ქისტებთან საბრძოლველად იყო მოყვანილი არხოტს. მას მოლოცვილი ჰქონია ბრძოლა მტრებთან და მათურაში რომ იყო, აქაც ქისტებთან ბრძოლაში ეხმარებოდა მათურლებს. ბოლოს, ხარის ყვირილზე გამწყრალა. ერთი ხარი მიდიოდა თურმე მის ადგილზე და გაგიჟებით ყვიროდა. მათურლებს მთავარანგელოზის ხატირი უნდა ჰქონოდათ, რომ ხარისთვის ყვირილის ნება არ მიეცათ. ხატი შემოსწყრომია მათურლებს, წამოსულა და არხოტში დაარსებულა. აქაური ხალხი ხათრიანად ექცეოდა, ქალები სოფელში ხმამაღლა ვერ ლაპარაკობდნენ, ძაღლის ყეფა და ვირის ყვირილი არ შეიძლებოდა. მათ აღარც ყოლიობდნენ და ამიტომ აქ დამკვიდრებულა.

მათურლებმა დაკარგეს მთავარანგელოზი და წავიდნენ საძებნელად. თან ერთი თეთრი ხარი წაიყვანეს მისთვის შესაწირავად. ის ხარი ხალხს გაუძღვა წინა და პირდაპირ არხოტს წავიდა. არხოტში რომ გადავიდნენ, მთავარანგელოზი მტრედის სახით მოფრინდა და ხარის რქაზე დაჯდა. არიქათ, ფშავლებო, ჩვენი მთავარანგელოზი მოფრინდა, დავიჭიროთ და წავიყვანოთო, უთქვამთ ფშავლებს და დაჭერა მოუნდომებიათ. მთავარანგელოზი ამაზე ისევ გამწყრალა და გამქრალა იქიდან. მას აქეთ იგი არხოტშია.

მაშინ, ფშავლებს დაჭერა რომ არ მოენდომათ, იგი ხარის რქით მათურაში მოვიდოდაო, იტყოდა ძველი ხალხი. მათურლებმა ახლაც იციან დაცინვა არხოტელებისა: თქვენ ქურდი ხალხი ხართ, მთავარანგელოზი მოგვპარეთო.

ალ. ოჩ. არხოტი, 61

## 160. სანების ჯვარი

სანების ჯვარი დაარსებულა პირველად მაღალს მთაზე. ამ მთას ეწოდება ცროლისწვერი. ამ მთაზე დაუწყია ლოცვა ხადუელებს და კალოთანელებს. ზამთარში აქ სიარული გაძნელებულა, რადგან მაღალი მთა არის და თოვლი და ბუქი იცის. მერე ხადუელებს ნიში გაუკეთებია და ზამთარში დაუწყია სოფლის გვერდზე ლოცვა.

სანების ჯვარს ჰყოლია ერთი მკადრე და მეენე, რომელსაც ხელზე მოუდიოდა სანების ჯვარი. ამ კაცს სანებამ უბრძანა: „დასტურები და შენ ჩემი დროშით წამოდითო და ღილღო დავბეგროთო". აიბეს სანების დროშა და გაუძღვნენ, წავიდნენ ღილღოს სოფელ ხამხაში. იქ ღილღველებმა დაცინვა დაუწყეს და სანების ჯვარმა ისეთი სასწაულები მოახდინა, რომ ღილღველები დაიმორჩილა. მოიყვანეს საკლავი და თავის მკადრეს ხელზე მოუვიდა ჯვარი. მკადრეს ხელსახოცი ჰქონდა ხელზე გადაფარებული და სანება მტრედის სახით ზედ დაჯდა. ღილღველები წამოიშალნენ და დაჭერა მოუნდომეს. მაგრამ მტრედის სახე თვალიდან გაუქრათ. გამოითხოვა დასტურ-მკადრეებიც და დაბრუნდა თავის საბძანებელში. მკადრემ იცოდა, რომ წინ მოუძღვებოდა, მაგრამ თვალით კი ველარც ის ხედავდა. იქიდან წამოსულმა კოჭი მოიკიდა კალოთანაში. თანამყოლებმაც დაინახეს, რომ ის იქ მტრედის სახით იჯდა. იმ ადგილზე არის აშენებული სანების ჯვარის ნიში და კალოთანელები ილოცავენ იმის შემდეგ ამ ადგილზე. იქიდან წასულმა კალოთანელების საზაფხულო სამთოში — შიტუში მოიკიდა კოჭი და აქვე ააშენეს კოშკი. რადგან სოფელი არ არის, აქ ილოცავენ ზაფხულში ათენგენას. აქედან წასული მოვიდა ცროლს, თავის საბძანებელში. აქ იმას ჰქონდა ძველისძველი დაჩემებული მაღალი ადგილი და იქ დაბძანდა. ეხლა კალოთანის, ხადუს, შიტუს და ცროლის სანებებს ერთად დიდი კავშირი აქვს, ერთმეორეს ეხმარებიან, ახმარებენ ლაშქართ და დობილთ. მხოლოდ მთავარი არის ცროლის სანება.

ალ. ოჩ. M 84, რვ. 6

## 161. სანების ჯვრის ხუცობა

კალოთანას სანების კურთხევას არვის ასწავლიდიან ჩვენებ ხუცესები. სანების ჯვარიჲ ნებას არ გვაძლევსავ კურთხევათ სწავლებისავ. თუ აქაურ ხუცეს არ იქნებისავ. ხუცესები იყვნენ ჩამამავ-

ლებით ერთ მამიშვილობაი. ერთ ხუცეს რო დაბერდებოდ ან მაკვდებოდ, სანება მეორეს იმავ მამიშვილობაშიით აირჩევდ. ახალ მიმხდარ ხუცესს ან ავად გახდიდა და ან გააქადაგებდა და ქადაგობით მიიყვანდ ჯვარჩი. წინ-წინ რო ხუცობას დაიწყებდ, საჴელოს იქმოდ. ერთს დღეობაში ათენგენას ან ამაღლებას კურეტით გაინათლებოდა და დაიწყებდ ხუცობას. ხუცობასა და კურთხევას ისწავლ ძველს ხუცესისგანა და ხანდიხან ჯვარშიც ასწავლიდ. ჯვარ როსაც ასწავლ, მაშინ გართული იქნებოდა, და მძინარი და მღვიძარი სრუ ხუცობდ. მძინარ როსაც იხუცებდ, გამაეღვიძებოდა და ხუცობან ზეპირად იცოდინ.

ალ. ოჩ. M 84, რვ. 6

## 162. საფარველი

ჴირჩლათ მინდიას ღილღველნი მისდევდნენ მოსაკლავად. როცა დაინახა, რომ თავს ვერ დააღწევდა მათ, შედგა და გორულ ჯვარს შესძახა: „მიშველეო დ' შინავ რო ქორა ჴარი მყავ, იმას დაგიკლავავ, თუ მშვიდობით გადამარჩენავ!"

ჴარ რო შამაუთქომ, გორულ ჯვარს საფარველ დაუდებავა დ'ვეღარ უნახავ ღილღვლებს. „ზედ დადიოდიანავ ჩემზედავ", გაჴეითითაც ეძახდიანავ, რო ამაგ დეკასთან მივიდავ, მემრ გორელად წასულაო დ' მაინც ვერ მაუჴელავ, საფარველ ზდებივ. ბევრ უძევავ, მაგრამ ვერ უნახავ.

მშვიდობით დაბრუნებულ მინდიას დაენანა ქორა ხარის დაკვლა ჯვარისთვის, ჯვარმა იწყინა და სატკივარი გაუჩინა მინდიას. როცა დაინახა, რომ ვერ რჩებოდა, გაწამებულმა თოფი დაიკრა. რომ კვდებოდა, ჰკითხეს, რად მოიკალ თავიო და „ქორამ მომკლაო, ქორამო!" დაუძახნია სულთმობრძავს.

არხოტის ჯვარს უშველავ ბევრი. ჩვენ ხალხ თუ[რმე] ქვე ვერ ხედევდისა. მაშინ ტყვედ დაჭერილს ღილღველს უთქომ: „ერთივ თეთრცხენიან კაც მაგვყვებოდისაო დ' ისი გვჴოცდისავ ბევრს ხალხსავ. ყინვრებზედავ, აი, ცხენივ ისრ დავიდოდისავ, როგორც მშრალზედაო დ' ცხენიც გვჴოცდისავ ტოტითავ".

არხოტივენებსთან საფარველ ზდებივა დ' ღილღვლებს ქვე უხენავ არხოტის ჯვარი. მაშინდელ ამბავზე ას ნათქვამ:

ხო არ დასცილდა ღილღვლებსა, სამანს რო დგემდეს ძვლისასა, თეთრტაიჭოსანს ხედევდეს, მწევართ არხოტის ჯვრისასა?

ალ. ოჩ. M 43, რვ. 20

## 163. მგელა და ჭადელა — არხოტის ჯვარის მკადრენი

მგელა ისეთი წმიდა კაცი ყოფილა, რომ არხოტის ჯვარს პირადად ელაპარაკებოდა. ყველაფერი იცოდა, ვის რა მოუვიდოდა და ვინ როდის მოკვდებოდა. ძველები ამბობენ და ნამდვილად ასე სწამთ, რომ მას ჰქონდა ერთი სუფთა ხელსახოცი, რომელსაც სამკადრეოს ეძახოდა. არხოტის ჯვარის მოსვლას რომ იგრძნობდა, გადაიფენდა ხელზე სამკადრეოს და ჯვარი მტრედის სახით სამკადრეოზე დაჯდებოდა და მგელას ელაპარაკებოდა. მგელა თავს გვერდზე დაიჭერდა, რომ მის პირდაპირ არ ესუნთქა და, როცა საუბარს მოათავებდა, მტრედი გაუჩინარდებოდა. ერთხელ წელწად-დილას მოუვიდა და ყველამ დაინახა. ისეთი ბრწყინვალე ყოფილა, როგორც მზე, და თვალის გასწორება არ შეიძლებოდა.

ამ დროს ჭადელაც იყო ხუცესი და მგელაც. ახლა ჭადელას სწყევლიან ქალები, — სამრელოობა პირველმა იმან მოიგონაო. ჭადელას ორი წყვილი თათი (წინდა) ჰქონდა, ერთი საჯვარშიგო და ერთი საშინაო. ერთ თათებს ინახავდა წმიდად და, როცა ჯვარში წავიდოდა, მაშინ ჩაიცვამდა. მეორეს კი, სახლში როცა იყო, მაშინ იცვამდა. ერთხელ დღეობა იყო. შემთხვევით საჯვარშიგო თათები სადღაცა დაეკარგა. ამ დროს ცოლს დედათ წესი ჰქონდა (ამას ხომ ხევსურები ყველაზე მეტ უწმინდურებად სთვლიან) და ველარ წავიდა ჯვარში. თან რაღაც საქმე კარგად არ წაუვიდა. ჭადელამ თავის ცოლს ამ ხანში ცალკე სამყოფად პატარა ქოხი გაუკეთა და დაარქვა „სამრელო". მას მიბაძა ყველამ და გავრცელდა მთელ ხევსურეთში სამრელოები, სადაც ხევსური ქალი დიდის ტანჯვით ცხოვრობს ერთი კვირის განმავლობაში. ამიტომ წყევლიან ჭადელას.

ალ. ოჩ. არხოტი, 123

## 164. მგელას ხილვა

მგელამ თქვაო, რომ ერთხელ წელწადში გავხედე და თოვლზედ ერთი მწევარი იჯდაო, ყელზე ოქროს შიბი ედვა, პირი ჩაგრძელებული ჰქონდა, იქით-აქეთ ქანაობდა და იმ თოვლს ღარავდაო.

მწევარნი ორნი არიან, მწევრების მსგავსნი, და ყელზე ოქროს შიბები ახვევიათ. მტრებთან ბრძოლაში სისხლიანი ბრჭყალები აქვთ და მუდამ მზად არიან საბრძოლველად, მიქიელის ტახტის ყმათათვის დასახმარებლად.

ალ. ოჩ. არხოტი, 122

## 165. წითელჩექმებიანი ჟამნი

ჟამზე ასე იტყოდეს რო, ამღამსავ ბახათ ქვითკირში იყვნესავ სტვირნივ. ჟამ ქალაქში რო გაჩინდებოდ, ამღას სტვირნ აძრახდებოდესავ. ჟამნი პატარა ბალღებივით იყვნესავ, წითლებ ჩექმებ ეცვავ. მშვილდ-ისრებ ხქონდავ.

მთხრ. თათარა ივანეს ძე წიკლაური,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, სართიჭალა, 1974.
თსუფა 29978

## 166. მგელა და ჟამნი

მგელამ თქვისავ: „ჟამნი რო მოვიდნენო, ვითასაც ისარ ესრივიანავ, სადაც მახვდისავ, მე ვხედევდიდიო დ' მემრავ აიმაში გამაებისავ ჟამიო დ' მაკლისავ. მაშინ ბევრს იზარალებდავ ახიელაივ. მწევარ მაეშველნესაო დ' ახიელასავ ბევრ ისრებ არ ასრევიესავ. ჩამამდინართავ მწევარნ დახვდესაო დ' უკენ დააბრუნნესავ".

ისეთი რწმენა არსებობს, ვითომც მგელამ და მწევართ ჟამნი ერთიმეორის დახმარებით არ შემოუშვეს ახიელში. ამბობენ, ჟამიანობას ჭირი ყოფილა და ხალხი დაუხოცია ბევრი, მგელას გვარისა (ჯაბუშანურნი) კი არავინ მომკვდარა. მგელას ჟამთათვის უთხოვნია, რომ მისიანი არავინ მოეკლათ. სხვა ხალხი კი სულ განადგურებულა, სოფლიდან გახიზნულა და შორს, მთაში დასახლებულა. დღესაც ეტყობა მათი ნაბინავარი, რომელსაც ნახიზნარს ეძახიან. ხალხი რომ დაბრუნებულა, ზოგიერთ სახლში ორი-სამი მკვდარი ყოფილა დაუმარხავი, ზოგი კი ერთ ღილღველს და ერთ არხოტიონს დაუმარხავს. იმ არხოტიონს გამოსვლია ჟამი ბარკალზე, ხის ჩხირით გაუხეთქია და მომრჩალა. მეორედ აღარც შეხვედრია. იმ ქისტს სულ არ მიჰკარებია ჟამი. იტყვიან, სახლები თავდანებებული იყო, რაც უნდოდათ, ჭამდნენ და მკვდრებსაც მარხავდნენო. იმ ორ კაცს უთქვამს: „სხვა ყველაფერი ვჭამეთ და, მოდი, ერთი ერბოს ფაფა გავაკეთოთ და ვნახოთ, როგორი იქნებაო." მოხარშეს და გამოუვიდათ ხავიწი. მანამდე ხავიწი არ იცოდნენ და ამის შემდეგ იწყეს ხავიწის კეთებაო.

ჟამთ გელა ხედავდა, სხვა კი ვერავინ დაინახავდაო. ისინი ფარული რაღაცა ადამიანის მსგავსი არსებანი ყოფილან. მშვილდისრები ჰქონიათ და ისრებს ესროდნენ ხალხს. ისარი სადაც ვის ხვდებოდა,

სწორედ იმ ადგილზე გამოუვიდოდა ჟამი და ხუთ წუთში გააქრობდა ადამიანს. მგელა რომ მათ ხედავდა, ეს მათაც იცოდნენ და, როგორც წმიდა კაცს, არაფერს ეუბნებოდნენ. მგელა საუბრობდა კიდეც მათთან. ისინი ღვთის ბრძანებით ყოფილან მოვლინებულნი არხოტს. ახიელში კი ხალხს მგელასა და მწევართა წყალობით ბევრი ზარალი არ მისდგომია.

ალ. ოჩ. არხოტი, 121-122

## 167. მგელა სიბერეში

მგელა ჯეილობის დროს სასმელს არ სვამდა და ჭამაც ძალიან ცოტა ყოფნიდაო, და ჯვარიც იმიტომაც მოუდიოდა ხელზეო. რამდენიც ხანში შესულა, დაუწყია სმა და სიბერის დროს ისე გალოთებულა, რომ თურმე მხარს დაუჭერდნენ და ფეხზე ისე დააყენებდნენ ხუცობის დროს. და ხთიშვილიც განშორდა და აღარ მოუდიოდაო.

ალ. ოჩ. M 84, რვ. 6

## 168. თათართ ჯვარანი

ჯაბუშანურებმა გადმოცემით იციან, რომ მათი წინაპრები თათრები ყოფილან და მერე გაქრისტიანებულან. სასაფლაო მათ გვარს დღესაც ცალკე აქვს სხვა დანარჩენი თემისა და სოფლის მცხოვრებთა სასაფლაოსაგან.

ამბობენ, თამარ მეფე რომ არხოტში მოსულა, ხალხის ყრილობა მოუწვევია და უკითხავს: აქ რამდენი ქართველი ქრისტიანი ცხოვრობს და რამდენი თათარიო. ხალხს უთქვამს, ვინ რამდენიც იყო. მერე თამარ მეფეს უთქვამს: ცალკე თათრები დადექით და ცალკე ქართველებიო. ისინიც ცალ-ცალკე დამდგარან.

თამარ მეფეს ცალკე მოუზომია ქრისტიანებისათვის სასაფლაო და თათრებისათვის ცალკე. ქრისტიანების სასაფლაო უკურთხებიათ, თათრების სასაფლაო კი ისე მიუჩენია მათთვის. მას აქეთ ახიელლებს ცალ-ცალკე აქვთ სასაფლაო. რაკი თამარის მიერ არის მიჩნეული ეს სასაფლაოები, იმ ადგილს არც გასცილდებიან. ამიტომ ზოგიერთ საფლავში ხუთი-ექვსი ადამიანის ჩონჩხი აღმოჩნდება ხოლმე.

ალ. ოჩ. არხოტი, 195

## 169. ჯაბუშანურთ პაპა

ჯაბუშანურთ პაპა ყოფილა თათარი. საიდანღაც კოჭლი თათარი დარჩენილა და პირველ ის დასახლებულა სოფელ ახიელში. სხვა ხალხი მერე მოსულა, როცა იმათ უკვე სალოცავიც ჰყავდა. როცა სხვა ხალხიც დასახლებულა, მაშინ თამარ მეფე მისულა არხოტში. აქ გაუგია, რომ ზოგები ქრისტიანები ცხოვრობდნენ და ზოგები მაჰმადიანები. შეუყრია ხალხი და უთქვამს: ქრისტიანები ცალკე დადექით და ურჯულოები, თათრები ცალკეო. დარჩეულა ხალხი და ჯაბუშანურები ცალკე გასულან, თათრები. მაშინ თამარ მეფეს უკურთხებია არხოტისთვის სამარეთ გვერდის სასაფლაო და ჯაბუშანურ თათრებისთვის უთქვამს, თქვენი მკვდრები აქ დამარხეთო. მიუცია სასაფლაოს ადგილი. მას შემდეგ ჯაბუშანურები ცალკე იმარხებიან, გარდა მგელასი, რომელიც წმინდა კაცად ითვლებოდა, არხოტის ჯვარის მკადრე, და იმან მოითხოვა სოფლის პირდაპირ პატარა მოედანზე „ფურთოკიაზე" დასაფლავება და იქ დაასაფლავეს... იმის საფლავის ახლო მრევლი ქალები ახლაც არ გაივლიან.

ჯაბუშანურები როდის მოინათლნენ ქრისტიანულ წესზე, ეს არავინ იცის, ხოლო არხოტის ჯვარის უნჯნი ყმანი ეგენი არიან.

ალ. ოჩ. M 86, რვ. 13

## 170. ალიათ უშიშა და განძი

ალიათ უშიშა იტყოდა: „ერთხელ ვაჴნავდი ციხის კისერაო (ნაციხვარია სოფლის თავზე). საჴნისი რასამ გამაედო და დაჟღარუნდაო. ჩავხედე და ქვაბი იდგა ოქრო-ვერცხლით სავსეო და ზედ წითელი ოქროსფერი ჴბო იწვა და თვალებს აბობინებდაო. მერე აღარაფერი მაჴსოვდა, რა დამემართაო და, გონთ რო მოვედი, მე და ჩემი ჴარ-გუთანი ჭალაში ჩავსულიყავით, არეულ-დარეული..."

არავის ასწავლა ის ადგილი, შვილის გარდა, და არც იმან ასწავლა სხვა ვინმეს. ასე დაიკარგა ის ადგილი.

ალ. ოჩ. M 86, რვ. 12

## 171. ალების ღამით

ერთი ღარიბი კაცი ყოფილა, ხორცი არ ჰქონია და წესის არგატეხის გულისათვის ქვაბში ძველი ქალამნები ჩაუყრია მოსახარშად. ამ დროს იესო ქრისტეს ჩამოუვლია და სტუმრად ამ საწყალ კაცთან შესულა. დასხდნენ, მუსაიფობენ. მასპინძელი დაღონებულია, არ იცის, რა აჭამოს სტუმარს, ქალამნებს ხომ არ მიართმევს. იესო ქრისტემ ეს ყველაფერი იცის და ხმას არ იღებს. ბოლოს უთხრა იესო ქრისტემ: „ამოიღე ხორცი, ვჭამოთო." მასპინძელმა: „მე ღარიბი კაცი ვარ, ხორცი არა მაქვსო და ეს ქალამნის ძველებია, ქვაბში რომ იხარშებაო." იესო ქრისტემ მაინც ამოაღებინა ფიცარზე და ქალამნის ძველების ნაცვლად სულ დუმა და მსუქანი ხორცი ამოვიდა.

ალ. ოჩ. არხოტი 118

## 172. უფალანი

არხოტში იცის მოცვი, რომელსაც იქაურად შალშავს ეძახიან. შალშავის საკრეფად ბავშვები დაიარებიან. იმ გზაზე სალოცავია, რომელსაც „უფალათ" ეძახიან. იგი ერთი წამოხრილი კლდეა. ბავშვები იმ უფალთ შეეხვეწებიან: „დალოცვილნო უფალანო, ნუ დაგვიშლით (დაგვიფანტავთ) დაწილულს (დაკრეფილს) ნუ დაგვიშლით შალშავასა დ' რომ გამოვივლით, თქვენს წილს არ გაგყრით". წავლენ, შალშავით აავსებენ ჭურჭელს და იმავე გზით დაბრუნდებიან. სალოცავთან რომ მივლენ, ამოიღებენ კოფადან შალშავს, წაუსვამენ უფალათ კლდეს და ეტყვიან: „ნუ დამიშლით, უფალანო, კლოვაც კიდე ღაგისომთა". შალშავი კლდეს სულ შავ ფერად შეღებავს. ბავშვებს სწამთ, რომ თუ არ წაუსვამენ უფალათ, შალშავი დაებნევათ.

ალ. ოჩ. არხოტი 196

## 173. ლუდის მოყვარული დევი

დევები წინათ ბევრი ყოფილა და უწუხებია ხალხი. თურმე ღამით თუ წავიდოდა სადმე კაცი, დახვდებოდნენ და ეჭიდებოდნენ. დევებს ღვთიდან ჰქონდათ ნაბრძანები, რომ რა ძალის კაციც

შეხვდებოდათ, მეტ ძალას ვერ მოიხმარდნენ და იმავე ძალით შეებმებოდნენ.

ახიელში, სოფლის გვერდზე, არის ერთი ვიწრო და კლდიანი ხეობა ნეთხიჩო. ძველი ხალხის რწმენით, ეს ხეობა დევების საცხოვრებელი იყო. იქ ღამე სიარული არ შეიძლებოდა და, თუ ვინმე წასვლას გაბედავდა, ვაი იმას, აუცილებლივ მოეჩვენებოდა დევი. ის კაცს ან შეებმოდა, ან შორიდან შეაშინებდა და გააგიჟებდა.

ახიელში იყო იმ დროს ერთი კაცი ფუნჩა, რომელსაც თოფი ჰქონდა. თურმე დევებს მარტო ფუნჩასი და თოფისა ეშინოდათ. ხეობიდან რომ წავიდოდნენ, გაივლიდნენ ახიელს და ჩავიდოდნენ არხოტის ჯვარში. იქ დალევდნენ, რაც ლუდი იყო სულ, და წავიდოდნენ ისევ ნეთხიჩოს. გამოვლისას ფუნჩას სახლთან მივიდოდნენ და დაუძახებდნენ: „ფუნჩ შინ ასა?" შინ არისო, თუ გამოეპასუხებოდნენ, დევები იკითხავდნენ: „ჴუ (თოფი) შინ აქვა?" აქვსო, თუ ეტყოდნენ, დევები უკანვე გაბრუნდებოდნენ. თუ არა, ჩავიდოდნენ და დასცლიდნენ ლუდიან კოდებს. არხოტის ჯვარს ღვთიდან არ ჰქონდა მოლოცვილი დევებთან ბრძოლა.

ხალხი რომ შეწუხდა, წავიდნენ ქავთარანი და ოჩიაურნი და საიდანღაც მოიყვანეს ჯაჭველი — წმიდა გიორგის ჯვარი დევებთან საბრძოლველად. ჯაჭველი დაარსდა ერთ ხმელ გორზე და დაერქვა „ჯაჭველი ხმელის გორისა". მან დაუწყო დევებს ბრძოლა და შეაშინა ისინი. მაგრამ ჩუმად ერთი დევი მაინც იპარებოდა და სვამდა ლუდს. ერთხელ ღამით თამარისძეთ (ნავროზაულთა გვარიდან) ვიღაც პაპის-პაპას მოესმა დევის ხმა. მაშინ ფუნჩის მეტს თოფი არავის ჰქონდა. თამარისძეთ კაცი გამოვარდა ხმლით და დევს გზა შეუკრა. დევმა მხარი აუქცია და სხვა გზით წავიდა. ის კაცი დაედევნა, დევი გაიქცა და მაინც ლუდს მივარდა დასალევად. კაცი შევარდა ჯვარში და დაინახა, რომ დევს თავი კოდში ჰქონდა ჩაყოფილი. ეს კაცი ჯაჭველის ყმა იყო და ძალი იმისაგან ჰქონდა. დაჰკრა ხმალი კისერში, თავი გააგდებინა და დევის სისხლით აივსო კოდი. ჯვარი გაჯავრდა, რადგან ჯერ იქ შეხიზნული დევი მოკლა, მერე დევის სისხლით მოსვარა დარბასი. ამიტომ ჯვარის გულის მოსაგებად ამ კაცმა საშვილ-შვილიშვილოდ დაიდო ძენგლი.

თამარისძენი ქრისტეს (ქრისტეს შობის) წინადღით მოიყვანდნენ საკლავს. დასტურ-ხელოსნები ეტყოდნენ ძენგლის პატრონს: „დაშვენდი, მოგვიხვე მშვიდობით. მშვიდობით შენ მასვლა, წყალობა მიქიელისა. წალმ მაგეგებას მიქიელის დავლათი. ნუ შაგანანას ძენგლისა, დანადების შასრულება".

ალ. ოჩ. არხოტი 51-52

## 174. გაბურთ ეშმა

ეს ამბავ ძალიან ძველი ას, სისხლის წვიმინდელი. ამის მამსწრო ხალხისაგან ას ანდრეზად დამრჩალი, რომ ყოფილას ერთ ვინამ გაბური. ამის სახელ არვინ იცის, არ ას ანდრეზად. მარტო ეს კი ას ანდრეზად, რომ ეს კაც გაბურ ყოფილას. წასულ სათიბზედ შუამთას (ეს შუამთა ეხლადაც ჩვენ მთაი ას სათიბი). ამ მთაში თუ[რმე] სთიბს ეს გაბური. გახენ და ნახ, რომ იმის იქითი გვერდზე ეშმა მავიდ, უჭერავ ხის ცელი, დაუწყ მთას ქნევა ამ ხის ცელს, მაგრამ ხის ცელ რას მასთიბს? ეს იმით, რომ უქრეჯს ამ გაბურს. გაიქც დასაჭერლად ეს გაბური, გაექც ეს ეშმა. მავიდ გაბური, ისევ შაადგ სათიბს. დაიწყ იქავ ეშმამაც თიბა. დაჯდ გაბური, დაჯდ ეშმა. დაიჴველნ გაბურმ, დაიჴველნ ეშმამაც. რაჴელც გაბურ იქამს, ეს ეშმაიც საჯავროდ ისრ იქამს. წავას დასაჭერად გაბური, ეს ეშმა მაშივ გაექცევის. მავას, შაადგების სათიბს, მოვას ეშმაიც, თიბს, სათიბს შაადგების. ფიქრობს ეს გაბური: „რა მაუჴერჴავ?“ მემრ ამ გაბურმ მაიგონ ესი: დაჯდ, დაიხვივ ფეჴებს მაგრად ალერდი. დაჯდ ეს ეშმაიც, დაიხვივ ამანაც ფეჴებს ალერდი. ამ დროს ამაიკრ გაბურმ ცელი თავის დახვეულ ალერდს, გაჭრ, გაიჴსნ ფეჴები. ამაიკრ ამ ეშმაკმაც ამ ალერდს თავის ხის ცელი და ვერ გაჭრ (ან რას გასჭრიდ ხის ცელი?). გაიქც მაშინ ეს გაბური, დაიჭირ ეშმა, უთხრ: „აბა, რო მიქრეჯდი, დღეს რომ აღარ მამათიბვიე, ვერც აეხლად მაგიჴერჴია? აეხლა სადაღ წახოღ?“

ამ ამბის მოგონებაზედ შარშ ჩვენს უშიშა შუღლიაისძემ იმღერ თავის პირით ეს ლექსი, ეშმაისი და გაბურისა. არაყს ვსვემდით, მაში თქვა: „აბა, ბიჭებო, თითო გაბურთ ეშმაის შასანდობარ შავსოთავ!“ წამაასხ ყანწები, ჯერ თაოდ შასვ, მემრ სხვათ შაასმივ, ზედ ეს ლექს იმღერ:

> თითო ყანწ იმას შაუნდნას, ვინაც იჭერდა ეშმასა!
> გაბურ შუამთას წამავა, თივას თიბს, ცელს კი ლესავსა.
> ათასნაირად მაექცა, რას მაატყუებს ეშმასა?
> ამბობდა გულში გაბური: ეშმავ, გიტირებ დედასა!'
> დაჯდა, დაახვევს ალერდსა, ეშმაც იკონავს ფეჴათა.
> გაბურმ კი ფეჴებ დაიჴსნა, დახტა ეშმაი კვეცასა.
> გაიქცა, აღარ გაუშვა, ეშმა მააჯდა ეშმასა.

დაიჭირ ეს ეშმა ამ გაბურმ, წამაიყვან შინ, დასჭრ ფირჩხილები ჴელზე და ჩაყარ ჴმლის ქარქაშჩი: რომ ჴმალს ეშმა ახლოს ვერ მიუდგების. თუ ეს ფირჩხილებ ეშმამ ჴელად ჩაიყარ, მაშინ იქავ გაიქცევის, უფირჩხილოდ ეშმა ვერცად წავას.

ხყონივ მემრ ეს ეშმა ამ გაბურს სახლში, როგორც სახლის ჯალაფი. ბევრ რაიმ საკვირველ საქმე ჩაუდენავ ამ ეშმას, არცრა ვისად უვნებავ. როსაც ყანან ხქონივან ამ გაბურს დასამკალნი, ეს ეშმა თუ ადუღებიებდ ფაფას. გაიტანდ ღამით, რო დაღამდებოდ, ფაფიან ბაკნებს ყანაში დაზდგემდ, უძახებდ თავის ამხანიგ ეშმაებს, დაამკევს ყანათ. დილა რო გახენებდ გაბური, ყანათ გადამკილთ ღნახევდ, ფაფიან ბაკნებს ამაჭმულებს. ეს ჩაუდენავ ამ ეშმას. როსაც ზისცვართ დღვებდ, ეს ეშმა თუ[რმე] წავიდოდ წყალზე, წაიღებდ საწყლეს, გადააწვებოდ ჭიდს, დაუწყებდ ხედვას წყალს, მამდინარს. მემრ ხკრეფდ წყალს, მაიტანდ შინ, ჩაასხემდ ზისცვართ და სრუ კარაქად იქცეოდ. ამნაირ ბევრ ჩაუდენავ.

ერთხან კვირიწმიდას ვინამ მამკვდარ კაცი. იქ მატირალ თუ[რმე] მიდის. დაუწყ ამ ეშმას: „წამაედივ". ეშმამ უთხრ: „ნუ წამიყვანთავ, თორე გამეცინებისავ". არ დაუჯერებავ, მაინც წაუყვანავ: „გაიცინიდივ, თუ გაგეცინებისავ". წასულან. თუ[რმე] ტირიან ამ მკვდარს. ეს ეშმაიც ტირის. ამ მკვდრის ცოლი თუ[რმე] ძალიან შაწუხებული ას ქმრის სიკვდილზე. ამ დროს თუ[რმე] მოვიდ პირიქითელ ჭევსურის მგზავრი. ერთ კაც ამ მგზავრთაში კოჭლა თუ[რმე] მავიდ. გამაიარეს ამ მგზავრთ. ამ დროს ეშმამ ამ ტირილის დროს ერთ ძალიან მაღლად გაიხახან, გაიცინ. რა თქმა უნდ, რომ ამ ეშმაის მიმყვანებს შასცხვენდ, რომ „ამ ტირილის დროს რა სიცილის დრო ასავ!" ცოტად გაუჯავრდეს ეშმას. როსაც ტირილ გაათავეს, წამავიდეს შინისკე, წამაიყვანეს ეს ეშმაიც, თან გზაზე ჰკითხეს: „რაზე გაიცინევ?" ეშმამ უთხრ: „რო გეუბენითაევ, რომ ნუ წამიყვანთავ, თორე გამეცინებისავ?!" მემრ უამბობავ ეშმას: „მე იმაზედ გავიცინევ, რომ იქ რო მგზავრში კოჭლ კაც მავიდ, მაშინ თქვა თავის გულში იმ ქმარ-მამკვდარ ქალმ: „აბა, რა მატირილებსავ? სხვას თუ ვერვის წაუოლავ, ეგ კოჭლა მაინც არ წამიყვანსაევ? იმაზედ გავიცინევ".

ხყონივას მემრაც კარგა ხანს ეს ეშმა. როსაც საქმეზე წავიდოდეს ჯალაფნი, ეს ეშმა ძალიან ეცდებოდ, რომ ვისად ის ჭმლის ქარქაშჩიგით ფირჩხილებ ამაეღ და გაქცეულიყვ, მაგრამ ჭმალს შიშით ახლოს ვერ უდგებოდ. ერთხან უნახავ დრო ამ ეშმას. ჯალაფნ რო საქმეზე წასულან, ამ სახლში ხუთის წლის ყმაწვილი და ეს ეშმა მაუწირიან. მაშინ ამ ეშმას მაუტყუებავ ეს ყმაწვილი. უთქომ: „აბა, აის ჭმალი ამააგი, ხო არ დაიჯანგავ". ამ ყმაწვილს ამაუგავ ეს ჭმალი. მემრ უთქომ ეშმას: „აბა, პირჩალმ დახარე, ქარქაშჩი ხო არა ჩაიყარავ". დახარ ამ ყმაწვილმ, წამაიყარ შიგით ეს ფირჩხილები. დასც ჭელი ამ ეშმამ, აიღ ეს ფირჩხილები და გაიქც. გაქცევაში უთხრ ამ ყმაწვილს: „დაწყევით ვერ დაგწყევთავ ისრავ, რო გაგათავენათავ, — კანი მყვანდითავ". უთქომ ამ ეშმას: „შვიდ მამას ნუმც გალბევრდებ-

ითავ და ნუმც გასთავდებითავ! შვილიმც მამას ნუ იცნობთავ! შვილ რო გაჩინდების, მამაიც ქვე მახკვდებითავ! თითოიმცავ კა მენადირე ნუ მაგეშლებისთავ, თითო კა ცხენივ, თითო გიჟივ! შვიდ მამასავ შინ სიკვდილიმც ნუ გიწერავთავ!" და წასულ. მას იქით შვიდ მამამდი სრუ თითოზე მავდენილორთ. ეხლა მას იქით მეცამეტე მამას გად-ამცდარნი ვართ.

იმ ეშმას კიდევ ერთ საქონელ გაუწირავ, რო ის ეხლადაც იქავ გვოქ, ვინახავთ. იმას რო ჯიბაში ჩავიდებთ და ხალხში გაოლთ, ხალხ რო კაად იყოს, სრუ შიგიში მახვდების, იმით იშულლებს ხალხი. ამით ამას ჩვენ ეხლადაც ძალიან კაად ვინახავთ. ამას კიდევ სხვაიც ბევრ შაუძლავ. იმის ძალით ბევრას სხვა საქმესაც ვაკეთებთ, მაგრამ ეს ყველა არ ითქმის, თქმის ნება არ გვოქ. ანდრეზი ას ეშმაისგან: თუ ყველაი-ვთქვით ის, რაისაც კიდე გამასადეგი ას, ეშმა გაგვიწყრების. ამით ვისაიც ჯავრი-გვოქ, ამ საქონელს ჩავიდებთ ჯიბაში, მივალთ იმათ ახლოს. ძალიანაც რო უყვარდას ერთუცი, მაინც იშულლებენ.

ეს ას გაბურთ ეშმაის ჩანადინარი და ამბავი.

გაბ. ხევს. მას. 155-157

## 175. ალიათ მგელა

ალიათ მგელა გარყვნილავ. საქმეზე ყოფილ, გამაქცეულ. მასულა და შასულ. გამასცხადებივ (ჯვარი). მავიდოდავ, — თქვა მგელამავ, — სულის ამასაღებ ბორწკალნ უნდა ენახვივნესავ. ესრ შაბრუნდავ, ძალმავ იქითი მიმახეთქავ. კოჭი ხქონდისავ, დანაით მაითალისავ, — ეესივ მაში ვხკარივ.

არხვატით უდენავ ფშავს. ერთხან წამასულან. ივანეურს მავესწარ მე. ივანეურის მამა, ოდინათ გარსია, ყოფილ მაში დასტური. ჭიშეხისას წამასულან, ბლოს თავისას. მასულან ფშავს, მანდ სადამ ჩამასულან — ხოშარასა თუ მათურას. საფლავებ მიუგებავ ყველას. ერთ მთვრალ ფშაველ მისულ:

— რა გინდათავ?!

— ხატს მავხყვებითავ.

— რომენიავ, მაჩვენეთავ თქვენ ხატივ.

მგელას სამკადრეო დაუფენავ ჴელზედა და მასულ ჯვარ ტრედის აღითა და მჴარზე დასჯდომივ. ხილის ხე იყვავ. სამჯერ დაიბერტყნესავ აი ტოტნიო, მიწაზე დაისხნესავ. „იმ ფშაველმ კი დაიღ-

უპავ თავივ, — თქვაევ მგელამავ, — რო ავიარეთავ, ტირილ ამეედინავ. მამკვდარიყვავ აი ფშაველივ."

მგელა შასულიყვავ ციხეშიო (იქ არავინ შადიოდ), გამასრეულ გამაჩინდავ. ეს შუბლივ გათეთრებულ ხქონდავ. კარის თავისად დაეკრავ. გადაჴდავ გალავნისასაო და იქ წამაუვიდავ სისხლივ.

მთხრ. არჩილ გიორგის ძე ოჩიაური,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, 19.07. 1979.
თსუფა 30002

## 176. გამიწრივლებული ჯვარი

სოფელ ახიელში, შუა სოფელში, ხთიშობელის სალოცავი ყოფილა, რომელსაც მხოლოდ ბალიაურები ლოცულობდნენ. ერთხელ სხვა გვარის კაცი დათვია სახლის საძირკველს თხრიდა და მიწას ხთიშობლის ნიში ამოყვა. ბალიაურებიდან იმ დროს მარტო ერთი კაცი იყო დარჩენილი — გაგა და მან დათვიას წინააღმდეგობა ვერ გაუწია. როცა დათვიამ სახლი გაიკეთა, გაგას უთქვამს: „შენ იცი და მაგ სალოცავმაო". ამბობდნენ, დათვიას კარგად არ წაუვიდა საქმე, ცოლშვილიანად ამოწყდაო, რადგან ხთიშობელი ჰყავდა გამწყრალიო. მზია ბალიაური იტყოდა: „მახსოვს ბოლო დროს ამ სალოცავში თეთრი ხარი დავკალით, გამოთხრის შემდეგ კი აღარაფერი დაგვიკლავს და არც დღეობა გადაგვიხდიაო".

დღესაც ახსოვთ სოფლელებს ეს ადგილი, სადაც იყო. ბავშვებს ხთიშობლის ნამყოფ ადგილზე არ უშვებენ. ამბობენ, ეს ადგილი რომ გამოთხარეს, მერე სალოცავიც გამიწრიელდაო. მკითხავები ამბობენ: „ბალიაურთ ჯვარი რომ გამიწრივლდა, იქვე, ქვითკირის ნანგრევის კუთხეში ცხოვრობს ქალი სახითო". ქალს ვხედავთ ამ ნანგრევებშიო, იტყოდნენ. ამ ქალს მწვანე ტანსაცმელი აცვია და ეძებს, ვის რა ავნოსო.

ალ. ოჩ. არხოტი 194

## 177. კვირიკანი

ახიელ ის იცოდეს რო, თუ ჟამნ უნდა გაჩნდანავ, სტვირნი ღმართიანავ სათიბეში და ესენ მაშინ აძრახდებიანავ. ჴადელას უთქომავ, რო სათიბეშიავ სტვირნ აძრახდესავ, ჟამნ გაჩინდებისავ, გაჩენილავ ჟამივ. ბევრ ხალხ დაუხოცავ. ზენუბან თითან დაუჴოცან. ერთ დამრჩალ. გასულ, ნადირობას ყოფილ. რო მასულ, ცოლ-შვილ დახვედრიავ ჟამიანი. ერთ დამრჩალ შვილი. იმას (მამას) თაოდაც გაშჩენივ ჟამი. შვილისად უთქომ: წაიყარევ, წაედივ ამღასაო, იქ გაგზდიანავ. გატიტვლებულა, ამღას წასულ. იქ გადამრჩალ. ამღიონთ გაუზრდავ.

ჭიმღაის კლდეში ეხები ას. იქ ხიზნულან. ერთს ნალებ წაუღავ, გზაში კარაქად დასდღვებივ. ნახიზნარებს ეძახიან იმ ადგილს, იქ ხიზნულას ხალხი. ბევრ უჴოცავ.

ჟამს დაულევიან კვირიკანი. ალარავინა დამრჩალი. ჩემ მამამ იცოდის დარისხება: ამააგდავ თქვენობაი კვირიკათავითავ. ამბობენ, არხოტის ჯვარს შაუძლავავ ჟამის გაჩენასავ.

ამაყ ყოფილან კვირიკანი. ჴაროვან ყოფილ საირმეს (საორბეს), საქარეს გორზე მდგარავ. ასულან, იქით ჴაროვან ჩამაულალავ. საბელ ყოფილ, თუ დაშჩაგრევდეს სოფელს. ჩამაუყრავ ძალად ჴაროვანი. არ ჩასულან ახიელელნი. ჴარებ უჭრავ ხანჯრით, უჩხვლეტავ. ჯვარისად გაშობილ ჴარებიც ყოფილ შიგ. იმაზე გაუჩინავ ჟამ იმითადა და ქოო ამაუწყვეტავ.

ჩემობას გაშჩინდ ხალხს, მუწუკ ამასდიოდიან. უცებ გამაუვიდის, გაჴდიან ავად. დიდებ გაიხადის ჴელისოდენი. ამაში ალია ქოსას ეთქვ, ჟამიავ. უშველავ არხოტის ჯვარმავ, გაჯავრებულ იყვავ, დაუზეზდესავ, მავნენივ დააბავ იქავავ არხოტის ჯვარმავ. ჟამ უნდა გაეჩინავ, მაგრამავ არ მისცავ ნებაივ. ალია ქოსამ უთხრ:

ორან დადიოდესავ, ვირი ხყვანიავ წინ წამაგდებულივ. ისრებ ეკიდ თეთრ თბანივ და შავ თბანივ. ვისაც შავ ისარ დახკრიანავ, ის მაშიავ მაკვდისავ. თეთრ თბან რასაც დახკრევდესავ, ისივ ქვე არ კვდებოდავ.

ჭირ არ ასავ, რო არხოტის ჯვარს არ შეძლიყვასავ, ყველაი ხყავავ მავნებელივ და მაშველიცავ. კიდევაც გააჩენსავ და კიდევაც მაარჩენსავ.

მთხრ. ნათელა დავითის ას. ბალიაური,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, 19.07.1979.
თსუფა 29984

# ფშავი

# ლაშარი

## 178. ლაშარის მუხა

ხმელგორზე, სადაც ახლა ლაშარის ჯვრის სალოცავია, ერთი ბერმუხა მდგარა, რომლის წვერი ცას სწვდებოდა თურმე. ამ მუხის ჩრდილი ხოშარამდე უწევდა. მუხის წვერზე ოქროს შიბი ეკიდა და ზედ ანგელოზები ჩამოდიოდნენ ციდან და მუხის ტოტებზე სხდებოდნენ.

ზურაბ ერისთავმა მოინდომა ფშავ-ხევსურეთის დამორჩილება, მაგრამ ვერაფერს გახდა. ზურაბმა ფშავ-ხევსურეთის ბევრი ხატი გატეხა, აურაცხელი სიმდიდრე გაიტანა, ლაშარის ჯვარს კი ვერაფერი მოუხერხა. მიადგნენ მისი ყმები ლაშარის მუხას, დაუწყეს ჭრა, მაგრამ რამდენი ნაფოტიც გადმოვარდებოდა, იმდენივე უკან აფრინდებოდა, მიეკვრებოდა და ხე ისევ იკურნებოდა. ზოგის გადმოცემით კი, ზურაბის ჯარისკაცებს ხის ჭრაში ულამდებოდათ, ბნელში ვერაფერს არჩევდნენ და მუშაობას წყვეტდნენ, მეორე დღეს კი ხე ისევ გამრთელებული იყო.

ზურაბი საგონებელში ჩავარდნილა. უნდოდა, როგორმე შეეტყო მუხის მოჭრის საიდუმლო და ოქროს შიბი ხელში ჩაეგდო. ბოლოს, ზურაბს დაუბარებია ფშავის თორმეტი თემიდან კაცები და მოუთხოვია მათთვის, გაეცათ ლაშარის მუხის მოჭრის საიდუმლო.

პირველად გოგოლაური დაუბარებია, უთქვამს: ან ამ მუხის მოჭრის საიდუმლო უნდა გაგვიმჟღავნო, ან კლდიდან უნდა გადახტეო. მაღალი კლდე ყოფილა, ფრიალო. იქიდან გადამხტარ კაცს დაბლა სულიც არ დაჰყვებოდა. გოგოლაურს კლდიდან გადახტომა აურჩევია და გადამხტარა კიდეც. ჩავარდნილა არაგვში, გაუცურავს მდინარე და გალმა ტყისთვის შეუფარებია თავი.

ზურაბს ახლა ნონკურაული (მუქუს თემიდან) დაუბარებია, უთქვამს: ან მუხის მოჭრის საიდუმლო უნდა გასცე, ან გველის ხორცი უნდა ჭამოო. ნონკურაულს უთქვამს: საიდუმლოს არ გავთქვამ და გველს ისევ გამოვწონკავო. აქედან შეერქვა ნონკურა და ასე წარმოიშვა გვარი ნონკურაული. მანამდე ის სხვა გვარისა ყო-

ფილა. მუქუელი სასწაულად გადარჩენილა სიკვდილს. მას შემდეგ წონკურაულებს „მუცელგველიანებს" ეძახიან.

მესამედ ზურაბს ცაბაურთ თემის უფროსი დაუბარებია და ძაღლის ხორცის ჭამა დაუვალებია, თუ მუხის მოჭრის ხერხს არ ასწავლიდა. არც ცაბაურმა ასწავლა და ზურაბ ერისთავმაც აჭამა მოხარშული ძაღლის ხორცი. ამიტომ არის ძველი ნატირალი ცაბაურზე:

იქით მიმიდეგ, ცაბაურო,
ძაღლის მჭამელო გოგოჭურო.

ერთი თემის კაცისთვის დაუვალებია: თუ გვასწავლი, გვასწავლე, თუ არა და — ძმას მოგიკლავთ, იმის ხორცს მოგიხარშავთო. ეს კაციც არ დათანხმებულა და უჭმევიათ მისთვის ძმის ხორცი.

ბოლოს, ერთ-ერთ კაცს, გვარად ჯალაბაურს, უთქვამს: კატა დაკალით, იმისი სისხლი მიასხით ხეს და მაშინვე მოიჭრებაო. ხის მოჭრის საიდუმლო კი გაიგეს, მაგრამ უსურმაგის დაკვლას ვერავინ ბედავდა. მაშინ ზურაბს საჩუქრებით მოუსყიდია ერთი აფციაური, რომელსაც დაუკლავს შავი კატა და მისი სისხლი მიუსხია მუხისთვის. დაუწყიათ ჭრა. ხე კი მოუჭრიათ, მაგრამ წვერზე დაკიდებულ შიბს გველივით წივილი დაუწყია, ახვეულა და წივილით წასულა ცაში, გაუჩინარებულა. ვერ ჩაუგდია ხელში ზურაბ ერისთავს ოქროს შიბი.

ლაშარის ჯვარმა აფციაურები დაწყევლა და იმ დღიდან ფშავის არაგვზე აფციაურები ვერა გვარობენ. ფშაველ ვაჟს სასტიკად ეკრძალება აფციაური ქალის მოყვანა ცოლად. ასევე ფშაველი ქალი ცოლად ვერ წაჰყვება აფციაურ ვაჟს.

არ მინდა ფშავის ხევზედა
აფციაურის გვარისა.
ეგ მუხა მაგათ მოგვიჭრეს,
მუხა ლაშარის ჯვარისა.

აფციაურებს თურმე საყელოსა და სალილურებსაც უკუღმა უკერავდნენ ხალათზე. ასე დაისაჯნენ ისინი ღვთისაგან.

ლაშარის მუხამ სადაც კი დაჰკრა წვერები წაქცევისას, ყველგან ნიშები დაარსდა. ერთი ნაფოტი ივრის ხეობაში, ხატხევში, გადავარდნილა და იქაც ლაშარის ჯვრის ნიშაა.

მთხრ. ხვთისო მოკვერაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, ჯიჯეთი, 1981.
თსუფა 24595

## 179. სანათას უნარი

ღელისგორზე, სადაც ფშავლებს თამარმეფის სალოცავი აქვთ, ძველ დროში, სანამ სალოცავი თავს იჩენდა, გაბიდაურის თემის ფშავლებს უცხოვრიათ და ეს გორი თავის მთა-ბარიანად ამ თემის საკუთრება ყოფილა. როდესაც ამ გორზე თამარმეფეს თავი უჩენია, ეს ხალხი გაბიდაურების სხვა სოფელში — ხოშარაში გადაუსახლებიათ. აი, როგორ მომხდარა ეს.

სალოცავის გამოჩენა გაბიდაურის დედაკაცის, სახელად სანათას უნარი ყოფილა. თავდაპირველად იმას დაუწყია სანთლის ნთება და თამარმეფის ხევისბერულად დიდება იმ ადგილში, სადაც ახლა სალოცავია. სანათას ურჩევია იქ მცხოვრებ ფშაველთათვის სხვაგან გადასახლება და ამ ადგილის თამარმეფისთვის დათმობა. ფშავლებს სანათას რჩევა არ დაუჯერებიათ და არ გადასახლებულან. თამარმეფე ამის გამო განრისხებულა ხალხზე: ერთმანეთი ირმებად მოუჩვენებია და მათაც ერთმანეთი მშვილდ-ისრით ამოუჟლეტიათ.

რამდენიმე კომლი ამ სასწაულის შემდეგაც გამაგრებულა, არ გადასახლებულა. უთქვამთ: სანამ გასალეწად გაშლილ კალოს ცეცხლი არ წაეკიდება, ფინლის ტოტებზე და ხარის რქებზე კელაპტრის ალივით ცეცხლი არ გამოჩნდება, აქედან არ გადავსახლდებითო. ამ ურწმუნოთათვის თამარმეფეს ეს სასწაულიც მოუვლენია და, ბოლოს, იძულებული გამხდარან გადასახლებულიყვნენ.

ახლა ღელის გორზე, სალოცავის მოშორებით, მარტო მისრიაანთ გვარი ცხოვრობს.

ხიზ.

## 180. თამარ მეფის მჭედელი

ხოშარასთან ახლო, წყალგალმა, წაწადის ხეობაზე, არის სოფელი მისრიანთკარი. იმათთან ახლოა თამარ მეფის ხატი. წინათ აქ ხოშარლები მოსახლეობდნენ. თამარ მეფის ხატი რო გაჩნდა, აქედან აიყარნენ და ხოშარაში დასახლდნენ. მათი ადგილი დარჩა თამარ მეფის სანადოებად (სახატო ყანებად). ეხლა სადაც მისრიანი მოსახლეობენ, ის ადგილიც თამარ მეფის მამული იყო.

ამათი პაპა ჯალაბაური განთქმული მჭედელი ყოფილა. თურმე მისრეთში ყოფილა მჭედლად. თამარ მეფეს გზაში შეხვედრია, უკითხავს: ვინა ხარ და სად მიდიხარო. უთხრა: მჭედელი ვარო. ამოიღო ჯიბიდან თავის გაკეთებული ხმალი, დაგვირგვლული ყოფილიყო და

ჯიბეში სდებიყო. გახსნა და გაიშალა, გასწორდა. დაგვირგვლა ისევ და ჯიბეში ჩაიდო. თამარ მეფემ ჯერ ნებით უთხრა: ჩემთან წამოდი და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიჭირა და წამოიყვანა. ცოტა ხანს კი იმუშავა და გაიპარა ისევ. იპოვა თამარ მეფემ მჭედელი და, ერთი დიდი ბორკილი გამიკეთეო, უთხრა. გაუკეთა იმანაც ბორკილი. თამარ მეფემ ეს ბორკილი ყელზე ჩაუდვა, წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დაება. მანამდე ჰყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა: აღარ წავალო. შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა.

რადგან ის მისრეთით მოყვანილი იყო, მათი გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიანთკარი. ამის შემდეგ დაიწყო აქ მჭედლობა და მათ გვარში არ შეიძლება, რომ ერთი მაინც კარგი მჭედელი არ იყოს და ერთი ხევისბერი. ეს ორივე მოდენილობა აქვს მილოცვილი თამარ მეფისა და ლაშარის ჯვრისაგან. ბორკილი ლაშარის ჯვარში ინახება და ახლანდელი კაცის თავი კარგად ძვრება იმის ყელზე ნადებ ბორკილშიო.

მისრიანი მას აქეთ გახდნენ თამარ მეფის მკვიდრი ყმანი ანუ უნჯი ყმანი.

ალ. ოჩ. რვ. 15

## 181. თამარისა და ლაშარის სალოცავები

ეს ხატები ნელად (გვიან) არიან დაარსებულები. სუ ნასოფლარებში არიან. ნათქომია, რო მხარგრძელი ყოფილა ივანე, ეგეთნი დამხვდნენ ფხოველნიო, როგორც მხეცნიო. ზოგი დავწვიო. ალბათ მაშინდელია, რო ნასახლარებია. ეს ხატები თამარ მეფის უწინვეა დაარსებული. ლაშარის ჯვარს რო ვეძახით, ჯვარი იყო. თამარმა შასწირა შვილის სამწყალობნოდა და, რაკი თამარმა შასწირა, დაარქვეს ლაშარის ჯვარი, თურმე ისე წმინდა გიორგობით ხსენდება, მუხის ანგელოზობითა. მოდე-მოძმეთ კი ეძახდნენ თამარსა და ლაშარსა და დედა-შვილნი კი არიან.

თამარი რო მომკვდარა, რვა კუბო გაუსვენებიათ. ერთი კუბო მანდ არი დამარხული და იმაზე დააარსეს თამარის ჯვარი, მანდ წყაროც არი — პირსაბანსაც ეძახიან. რო მახვდებიან, ფულებს ჩაჰყრიან — იბანებიან. წამალიაო.

მთხრ. ბიჭურ ბადრიშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 17.07.1979.
თსუფა 30001

# უძილაურთა

## 182. კოპალას საქმენი საგმირონი

### [კოპალას ტყვეობა]

კოპალა იყო ხორციელი, ხორცველის შვილი. ერთხელ, როცა შინ არავინ ჰყავდა, პატარა კოპალა დაიჭირეს დევებმა და თავისთან წაიყვანეს. აწვალებდნენ, ამუშავებდნენ, ისეთ საქმეს აკეთებინებდნენ, რაც არ შეეძლო. საჭმელსაც ისეთს აძლევდნენ, ადამიანისგან რომ არ იჭმოდა. გაპარვას ვერ ახერხებდა, რადგან პატარა იყო და გზა არ იცოდა. ცოტა რომ მოიზარდა, გაიპარა და ბერებთან მივიდა. იფიქრა, ბერებთან ვილოცებ, დამბადებელს ძალას ვთხოვ და დევებს ამოვწყვეტო. ბერებმა კარგად მიიღეს. კოპალამაც ილოცა და დამბადებელმა შეუსრულა თხოვნა და იმდენი ძალა მისცა, რომ დევებს მორეოდა.

მაშინ დევები ციხეთგორს ცხოვრობდნენ. ერთი ხელმწიფე ჰყავდათ. მათი ფალავნები იყვნენ: მუსა, ბეღელა და ავთანდილი. ხელმწიფე ციხეთგორს იჯდა და იქიდან იძლეოდა ბრძანებებს. დევების კრებასაც იქ იწვევდა.

### [ასპარეზობა ქვის სროლაში]

ძალმოცემული კოპალა მივიდა ციხეთგორს და დევებს უთხრა: წადით აქედან, ეს ადგილი დამიცალეთ, მე უნდა დავბინავდეო. დევებს გაუკვირდათ მისგან ეს ნათქვამი: ეს ვინ არის, ასე გულდიდად რომ გველაპარაკებაო? ეს ბუკუკა ჩვენ რას დაგვაკლებსო. კოპალამ გაუმეორა: თუ არ წახვალთ, ძალით გაგრეკავთო. დევებმა ძალის გამოსაცდელად რკინის კუნძი დაუდვეს წინ, ცული მისცეს და უთხრეს: თუ ეგეთი ძალის პატრონი ხარ, რომ ჩვენ აყრას აპირებ, აბა ეს კუნძი დაჭერიო. კოპალამ დაჰკრა ცული და კუნძი ორად გააპო. დევებს გაუკვირდათ, შეეშინდათ კიდეც: ეს ვინ არის, ასეთი ძალის

პატრონიო? მერე დევებმა უთხრეს: ირემთკალოდან ციხეთგორისკენ ქვები გავისროლოთ და, ვინც აჯობოს, ციხეთგორიც მას დარჩესო.

დათანხმდა კოპალა. დევებმა დაიბარეს ფალავნები: ხაშრით ბეღელა, კართანით მუსა და ავთანდილი. სხვა დევებიც აქ იყვნენ. დანიშნეს დღე, როდესაც უნდა შეყრილიყვნენ ირემთკალოზე ქვების სასროლად. დანიშნულ დღეს ყველამ მოიყარა თავი. მხოლოდ ბეღელა არ მოსულა ხაშრით. მისთვის იახსარს შეეკრა საპარავის ყელში გზა და ლახტით მოეკლა. მერე ჩასულა ხაშარში და, რაც იორზე დევები იყვნენ, ყველა გაუწყვეტია.

ირემთკალოზე, სადაც ახლა საზარეა, ისევ ეტყობა სიპებით დაზღავებული ადგილი. კოპალამ და დევებმა სიპები დააწყვეს იმ ადგილზე, საიდანაც ქვები უნდა ესროლათ. მერე დასხდნენ და მოემზადნენ სასროლად. მოიტანეს ერთი ქვა, მაგრამ კოპალამ სიმსუბუქით დაიწუნა და უკან გადმოაგდო უძილაურთისკენ. მეორე ქვა მოიტანეს და ესეც ემსუბუქა. მერე ზედ დააკრეს მეორე ქვა ცომივით და დაამძიმეს. მოიტანეს და ეს უკვე კარგი სიმძიმისა იყო. დევები ერთმანეთს თვალს უკრავდნენ, კოპალას დასცინოდნენ: კოპალა რა არის და რა ქვას გაჰკრავსო? გაღმა, აკუშოს ხევს იქით, კვირა იყო დადარაჯებული კოპალას დასახმარებლად.

პირველად დევმა გაისროლა ქვა და გადააგდო ციხეთგორს. მეორედ კოპალამ გაისროლა. დევის გასროლილ ქვამდე ვერც კი მიაწვდენდა, რომ კვირიას მათრახის წვერი არ წაეკრა გასროლილი ქვისათვის. შორს გაამალა და გადააჭარბა დევის გასროლილს. მერე ამბობდა კოპალა მეენის პირით: „კვირა რომ არ დამშველებიყო და ქვა არ გაემალა, ჩამოვრჩებოდიო. ქვების გასასინჯად მე და დევები რომ წავედით, ჩემს გასროლილ ქვას ქაჯები ეხვეოდნენ და ვერ ძრავდნენ, უკან გადაწევა უნდოდათო. ჩვენ რომ დაგვინახეს, თავი ანებეს და გაიქცნენო". იმ ქვას ახლაც ეტყობა, რომ ნაბრძოლია, მაგრამ ვერ არის გადმოღწეული, სხვა ქვაზეა მიხირებული.

მერე დევები და კოპალა გაიყარნენ მტრობაზე. კოპალას დარჩა დევების ბინა ციხეთგორს. ტახტიც, რომელიც დევების ხელმწიფეს ჰქონდა, კოპალას დარჩა.

## [დევები იპარავენ კოპალას სკამს]

კოპალას გამარჯვების შემდეგ დევები აქედან აიყარნენ და გადასახლდნენ ფშავის არაგვზე, კართანას.

ერთხელ დევებმა, მუსამ და ავთანდილმა, მოილაპარაკეს, კოპალას სკამი მოვპაროთო. მუსამ უთხრა: მე ქვას მოვპარავ და მოვი-

ტან, შენ კი ნადირობად წადი და შეშა მოიტანეო. წამოვიდა მუსა და, როცა კოპალა შინ არ იყო, მოჰპარა ქვის სკამი, დაიდო საბელზე და წაიღო. გაიგო კოპალამ და თავისი ლახტით დაედევნა. სადაც ახლა არის ის ქვა, იმ ადგილს კოპალას ქვას ეძახიან. იქ ჩამოეწია კოპალა დევს, ესროლა ლახტი და იქვე მოკლა. ქვას დევის ნახელარი და ნაბარი ახლაც ატყვია და სხვა კლდესაც ეტყობა კოპალას ნალახტარი.

## [გაქვავებული დევი და განედლებული წიფელი]

როცა კოპალამ მუსა დევი მოკლა და ქვა დააგდებინა, გაღმითა მხარეზე შემოჩნდა ავთანდილ დევიც. ერთ მხარზე მოკლული ირემი ჩამოეკიდა, მეორეზე ძირით ამოწვდილი წიფელი შეშად. კოპალას ღვთის ბრძანება ჰქონდა, სადაც დევს ნახავდა, უნდა მოეკლა. ესროლა ლახტი და ავთანდილიც იქვე მოკლა. გამოქანდა მოკლული დევი და არაგვში ჩავარდა. ახლაც იქა ძევს ქვად ნაქცევი. წიფელი კი გადმოვარდა და ფესვით მიწაში დაეფლო.

მერე ხატის ბრძანებით, ავთანდილის წიფელი ისევ განედლდა, ავთანდილი კი ქვად იქცა. ნაქცევი გდია წყალში.

## [ჯაჭვით დაბმული დევი]

კოპალამ დევები რომ გაწყვიტა, ერთი დევი ცოცხალი წამოიყვანა და ციხეთგორის ბოლოს, ხევში, კლდის ძირში მკლავზე მსხვილი ჯაჭვით დააბა. როცა კოპალა ვისმე ძალიან გაუწყრება, მაშინ იმ დევს აუშვებს, მიუსევს და ავნებინებს დამნაშავისთვის. იმ დევის ჯაჭვის დანახვა მხოლოდ წყალში შეიძლება, მშრალზე არ ინახვებაო.

ერთხელ ერთი ხევისბერი გაუქადაგებია იახსარს, აუღია დროშა და წასულა იმ კლდის ძირში, სადაც დევია დაბმული. ხევისბერი დროშით რომ მისულა და ხალხიც მიჰყოლია, უნახავს, რომ რაღაცა იყო იმ კლდის ძირში და მიიმალაო.

ერთხელ უძილაურ ლეგუშასაც უნახავს წყალში დევის ჯაჭვი და აკუშოელი ხევსურებიც ნახულობდნენ რაღაცას იმ კლდის ძირში. ხევსურები იტყოდნენ: ხანდახან ღამით ტირილ-წკმუტუნივით რაღაცას გავიგონებთ იქიდან, სადაც დევია დაბმულიო.

ალ. ოჩ. ფშავი 94-95

## 183. კოპალას ქვა

კოპალას ერთი დევი გადაურჩა, სახელად ავთანდილი. და იმ ავთანდილ დევმა კართანაში არაგვის დაგუბება და მთელი ფშავ-ხევსურეთის წყალში ამოღრჩობა განიზრახა. შეუდგა დევი ქვების შეგროვებას. წამოვიდა და ციხეთგორიდან კოპალას ერთი დიდი ქვა მოჰპარა. დაიდო საბელზე, აიკიდა ზურგზე და მოჰქონდა. კოპალამ გაიგო ეს ამბავი, წამოეწია, ესროლა ლახტი და მოკლა. დაცემული დევი ქვად გადაიქცა და ახლაც იქ გდია წყალში. ავთანდილის საქანს ეძახიან ამ ადგილს. კლდის ძირში კი, სადაც მისი მოპარული ქვა აგდია, ერთი პატარა კოშკია აშენებული კოპალას სალოცავად.

ეს არის კოპალას ქვა და ამ ადგილს კოპალას ქვას უწოდებს ხალხი. ამ ქვას მართლაც ეტყობა ნასაბლარები და კოპალას ნალახტარი.

ალ. ოჩ. ფშავი 97

## 184. კოპალა და ცხრათავიანი დევის დედაბერი

კოპალამ დევთა მთავარი ფალავნები მუსა და ავთანდილი რომ დახოცა, ხოლო ხაშრელი ბეღელა იახსარმა მოკლა, კოპალა ახლა ამ დევების ოჯახების ამოსაწყვეტად გაეშურა. გორის ბოლოში რომ მივიდა, დაინახა, რომ ერთი ცხრათავიანი დევის დედაბერი ჯარას უზის და რაღაც მკლავის სისხო ნართსა ძახს. დევის დედაბერმა კოპალა რომ დაინახა, თვალში ეპატარავა, გაიხარა და ჯარაზე დაამღერა: „ჩემი შვილის ვახშამიც მოდისო". კოპალამ აიმაღლა საგმირო ლახტი, დაჰკრა ბებერს და იქვე მოკლა. მერე ავიდა მიგრიაულთგორის ბოლოში. აქ დევებს ქორწილი ჰქონდათ და კოპალაც სტუმრულად მოვიდა, უნდოდა გაეგო, სად როგორ იყვნენ და რა გზით შეიძლებოდა მათი ისე ამოწყვეტა, რომ აღარავინ გადარჩენოდა. დევებმა კოპალა რომ დაინახეს, ერთიმეორეს უთხრეს: „ოჰ, რა კარგია, რომ ნეფე-დედოფალთა სუფრაზე მოსატანი საკლავი თავის ფეხით მოგვივიდაო". დევებს კოპალა უბრალო ხორციელი ეგონათ და მაშინ ისინი ხორციელთ ჭამდნენ, სადაც ვის წააწყდებოდნენ. კოპალამ შეურჩია დრო, როცა ერთად მოქუჩდნენ, აიმაღლა საგმირო და ყველანი ამოწყვიტა (ხევსურის სიტყვით: ამობრასტნა). ერთ დევი თვალწამოთხრილი გაიქცა და აბუდელაურის ტბაში ჩავიდა. მას იახსარი ჩაჰყვა ტბაში და მოკლა.

[იახსრის ამბები ცალკე არის აღწერილი. ამ ამბის მთხრობლებმა ჩამაწერინეს, ვითომც აბუდელაურის დევი თვითონ იახსარს გაექცა, ხალხურ ლექსშიც ისე არის. კოპალას ხევისბერმა ხევსურა თათარაშვილმა კი ჩამაწერინა, რომ ის დევი კოპალას გაექცა, იახსარი მიეშველა და იმან მოკლაო. იახსრის მორიგეებმა და ჩამწერინებლებმა, ე. ი. სოფელ ხაშარში იახსარმა ამოწყვიტა დევები, როცა საპარავისყელს ბეღელა მოკლა. ხალხური თქმულებითაც, იორზე და თიანეთში იახსარმა ამოწყვიტა დევები, ფშავ-ხევსურეთის მიდამოს კი კოპალამ, გარდა შუაფხოსა და აბუდელაურის დევებისა. ეს უკანასკნელიც იახსარმა ამოწყვიტაო. კოპალას ხევისბერმა კი ბეღელთანას დევების ამოწყვეტაც თავის სალოცავს — კოპალას მიაწერა. ჩამწერის შენიშვნა ზ.კ.].

ალ. ოჩ. ფშავი 97-98

## 185. კოპალას გამარჯვება I

კოპალა და ე შუაფხოს ხატი იაჴსარი, იტყვიან, ძმებიაო. საცა დღეობა იციან, ციხეგორი ჰქვიან. იმითა ჰქვიან, რო ციხე ჰქონია იქ დევებსა. კოპალა ჰყოლია ი დევებს მოჯამაგირედა. ჴორცივლადა ყოფილა მაშინ ი კოპალა. თურმე აღონებენ ე დევები. ეხვეწება უფალსა: „მომეც მე ძალა, რო ამ დევებს მოვერიოო".

მიეცა კოპალას ძალა. უთხრა ი კოპალამ დევებსა, აიყარენით აქითაო.

მემრედა კოპალას კი არაფრად აგდებენ. მისცეს ერთი მურგვალ რკინა, ერთიც ცულის ნაჯახი. აბაო, თუ დაამტვრევო ე რკინასაო.

ჰოდა, დაანაფოტა ისი აიმ ცულის ნაჯახითა. მემრე ერთმანეთს შახედნეს ამ დევებმა, ხვთისი კი არ იყოს ესეო. მემრე უთქომ აი დევებსა: ირემთკალოს შავჴდეთ, იქით ქვებ გამოვჰკრათო, რომენიც გადმოვაცილებთო ამ გორასაო, იმას დაგვრჩებაო ე ციხეგორიო.

წამოიდეს და, მანდა რო შამოჴდეს მთაზედა, აწონეს ი ქვები. სიპ ჩაუყრავ, ისენ მიწაჩი ჩაეფლობოდენ. ჩაყარეს ის სიპი, დაიბარეს ქვენაით დევები კიდენა, ფალავნები.

ეგრე მოჰკვალავდენო მიწასაო, როგორც ჩვენ თოვლს მოვჰკვალავთო. შავშინდიო ძალიანაო, უთქომ კოპალასა, ისევაო გულ შავიმაგროდიო.

ეხლა ი დევებს ქაჯები დაყენებული ჰყოლია, ი ჩვენებ ქვები კოპალაისას გადააცილეო, არ გვაჯობოს კოპალამაო.

დეებღრივნეს ი მაცილები, გადააცილეს გორსა, წამაიღეს ი ქვა, მაგრამ ი კოპალაის გაკრულ ქვას დეეჴირა, ველარ წამაიღეს მაცილებმა. აჯობა კოპალამა.

ჰოდა, აიყარნეს ი დევები იქითა. აქ დარჩა სალოცავად ი ციხ-ეგორი. პირველად მანდით გაიმარჯვა კოპალამ. მემრე მიჰყვა, ისენი სუ დალივა, ის დევები. მანდით მიჰყოლია მემრჲ, გაულახტიან ისეე-ბი, იაჴსარიც დაჲშველებია.

დიალექტ. 123

## 186. კოპალას გამარჯვება II

ეხლა, ი კოპალა მოჯამაგირედა ჰყოლია ი დევებსა, ციხე-გორსა. იქ სამჭედლო ჰქონია დევებსა. იქ ყოფილან დაბინავებული. თურმე აღონებენ ამ კოპალასა. აჯავრეს ძალიანა და შეეხვეწება ღმერთს: „იმოდენა ძალა მომეც, რო ამათ მოვერიოო". ეხვეწება კო-პალა. ჰოდა, მემრე გადაულოცა უფალმა, ხომ უნდა მარევიყო დე-ვებსა, უფალმა გადაულოცა, უნდა მარევიყოო და უთხრა, რო, კო-პალამა, რო უნდა აიყარნეთ თქვენაო. ჰოდა, ერთი დიდი რკინა, რაიმ მურგვალი.... გადმაუღავ. აბა, მაშინ დაჭერო შენაო, თუ რა შაგიძლაო და დაუნაფოტებავ ამ კოპალასა ისი, დაუჭრავ. ერთმანეთს შახედ-ნესო დევებმა, თქვესო, რო ეს ღვთით არ იყოსო, რო დაანაფოტა ისი. წავიდეთაო და, ირემთკალოს რო ეძახიან, გამოღმით ე მთაზე, ქვები ავწონოთო და რომენიცაო ამ გორს გადავაცილებთო, ციხეგორსაო. გაღმით ბაშოა, სცოდნია დევსა, იმას დარჩებაო ეს ციხეგორი.

აწონეს ქვები, გამოვიდენ იქა და სიპები ჩაყარეს ძირსა, რო ი დევებიო ქვას მაიქნევდენ, მიწაში დაეფლობოდენ. ეხლა საზარე დგას იმაზედა. ჰოდა, ამოჩნდესო, ფალავნებ დაუბარებიან ქვენაითა, დევები. ამოჩნდენო გორ-და-გორაო და, როგორც ჩვენაო თოვლს გავკვალავთო, ისე მაჰკვალავდენ მიწასაო. და მთხოვესო მუქარაო: „შე ტყის ბუკუკაო, შენ უნდა აღონებდეოა კაცსაო?"

შავშინდიო და შავიმაგროდი გული ისრივაო. ისენ რას ხე-დავდენო, კვირა მედგა გვერდსაო. კვირამაო მათრაჴი შამამკრაო და რო გავისროლე ქვა, ქარი შაუგდოო. ჰოდა, გადააცილა კოპალამა და ეხლა იქა ეშმაკები დაუყენებავ ი დევებსა — მაგან რო გვაჯობ-ნოს, მაგის ქვა აქათ გადმააგდეო და ჩემი იქითო. დაბღრევიან იმასა და ვერ გადმაუცილებავ ი კოპალას გაკრულ ქვისთვის, ვერ გად-მაუცილებავ.

ეხლა იქ რო დღეობა მოდის, დიდი დღეობა, დროშაით გახდე-ბიან იქა, იმ ხატის გაკრულ, კოპალას გაკრულ ქვაზე სანთელს მაან-თებენ და იმ ეშმაკების გაკრულზე ზედ გადახტებიან.

რა იქნებოდა, აიყარნეს იქითა, მოყვნეს კოპალა და იაჴსარი და გალალნეს ეს დევები.

მთხრ. მარიამ კოჭლიშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), შუაფხო, 30.06.95.
თსუფა 30063

## 187. კოპალას ბრძოლა დევებთან

კოპალა ბატარაი ჰყოლია დედასა და მიდის, შაიარა ჴოშარაზედა. დაიჭირეს დევებმა, ციხეგორს რო შეემართა. დაიჭირეს დევებმა და შაჭამეს. დარჩა კოპალა ბატარაი. გაზარდეს. როცა წამოჩეგერავდა, თქვეს, რო შავჭამოთო. წავიდა ისი, გაიპარა და იხინჭის ეკლესიაში შაეხიზნა და იქ ილოცა. იმას მიეცა ხუთ დევისოდენა ჯანი ხთის წყალობითა. მემრე წავიდა ისი. დედა რო შაუჭამეს, ჯავრ მასდის. ხუთი ძმანია დევები. ციხეგორს რო შეემართება კაცი, იქ არი იმათ ნასახლარი. მივიდა. მონადირე ვარო და შამინახეთო, — უთხრა კოპალამა (მე პაპის გადმოცემით ვიცი. პაპაი გვყვანდა ერთი, ასოცდაშვიდი წლისა იყო, რო დაილუპა). არა, კოპალა ხვარა ხარო? რა კოპალაო! — გაჯავრდა, — რის კოპალა, ვის ამბობო. მე ის არ მინახია, კაცო, ხთის ბრძანებითაო. მოდი, შაგინახავთო.

შაბათ საღამოს მივიდა. კვირას უხმეს ამ დევებმა, რო ვიჯილდაოთო, კვირა არიო. აი, აკუშოს ძირსა და ციხეგორის შუაზედა ღრმა ჴევ ჩამოდის. და ვიჯილდაოთო. აიღეს ემოდოდენ ქვები და უთხრა კოპალამა: მოდი, მეც თქვენთან ვიჯილდავებო. შენ რას გაგვიკეთებ, შე ტყის ბუკუკაო? იმათა ზოდი ჰქონდა, მჭედლებ იყვნენ. აჰაო, ეს ცულიო ზოდს შამაჰკარო და, თუ იმდენი ჯანი გაქვ, რო შაიჭყლიტა ცულის პირი, არა გიშავო. შამაჰკრა ცული და შუაზე გაიყვა ის ზოდი. შაშინდენ დევები: ეს რა არიო? წავიდენ და უნდა იჯილდაონ. გამაჰკრავს ჯილდასა დევი ავთანდილი (ერთს ავთანდილი ჰქვივნებია, ერთს — მიგრი, სხვებს — არ მახსონ, რა ექვივნა). ისი სამ ნაბიჯით ცოტა წინ ისვრის იმ ჯილდასა. შაშინდენ. დაიბარეს მეორე კვირისად ჴაშრის დევები. და იმ გორზე რო ანავალი ნახოთ, შვილო, აი, რო წახვიდე, ხეობაში მიხვიდე, როგორც თოვლშია ნაკვალი, ისეა მიწა აკვალული, ხოლოთა ბალახია ამოსული და ნაკვალიც ისივ ეტყობა, იმათი ნავალი. დაიჭირეს მათა და დააგეს სიპი, რო ფეჴ არ ჩასხლეტიყო. რაც გინდა რკინის მარგილ ჩაუსჭვა ცხენსა, მიწას ვერ ჩაატანს, ისე არი. ის ქვები აისეთ მრგვალებია, როგორც ეს არი დაქუჩებული. და ციხეგორს რო ავა კაცი, იქ არი ის ქვები, იმათ

გადმოყრილები. იქა ლოცულობენ კოპალის გადმოყრილ ქვებსა. გაიქცენ ეს დევები, შეშინდენ და დადგენ შუაფხოსა, კართანასა. ის ავთანდილი წავიდა სანადიროდა და კოპალა დადგა იმათ ნადგომში. წაართვა სახლები, ეზოები — ყველაფერი ციხეგორსა.

ადგა მემრანა და... დევის დედა ზის ბანზედა და ჯარასა სძახს, ჴვივის ეს კვიშტავი. გადააგდო ისი, რო ნახა კოპალა იმ დედაკაცმა, იმათ დედამა: ამააგდეო. ამაჰკრა ისარი და შაუგდო. იქით წადი, ტყის ბუკუკაო, ჩემ შვილებმ არ მოგასწვრანო, თორომაო ერთ ლუკმა არ გამაუხვალო. დევის დედაოო, შენ რამ აგიპყროო, იმან უთხრა, სად არი მიგრიო? — მიგრიო, კოპალა არი თუ რაღაც ეშმაკიაო,

პაპის ქვა დაჲრჩა იქაო და ის უნდა მაიტანოსო. გაიგო ამ კოპალამა ისი და წავიდა. გამაჲხედა და ამ მიგრიაულთის პირდაპირა ეს მიგრი მოდის და ნახა კოპალა. ესროლა ისარი. გაჲხედნა და ის არი, მიგრია. გაუტყვრა ისარი, მასწყდა ი მიგრი, ავთანდილი, მიგრი კი არა. გამოქანდა ეს ავთანდილი და, ავთანდილის საქანს ეძახიან, კართანის ცოტა შაღმითა მთელ არემარეზეა გამოტანილი და ის ავთანდილი წყალშია ჰგდავ. როგორც ადამიანი, ეგრე ჰგდავ და ქვა კი არი. არაგვი რო შატალღავდება, გეგონება, ადამიანიაო, ლურჯი.

წამოიდა, შვილო, იქითა და ნახა მიგრიმა, რო კოპალა მოდის. დააგდო ეს ქვა, გამაიქცა. მააყოლა ისარი და მოკლა კოპალის ქვის ცოტა ქვემოთა. ი კოპალის ქვას კიდენა ხალხი ლოცულობს. საკლავიც მიჰყავის, სასმელიც მიაქვის. (ერთხელ ე მართას ბალღსა იქით ფულებ ეელო, დაწირულები. კინაღართა გაგიჟდა). ეგ იყო, შვილო, დევების მტერი.

მთხრ. ბაბალე ტურაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, ლეჩური, 1985.
თსუფა 26324

## 188. კოპალა

კოპალა როცა ბალღად ყოფილა, მაშინ დევებს დაუჭერიათ და უმსახურებიათ. თურმე ეტყოდნენ: შე ტყის ბუკუკაო (კოლოო), ერთ ნერწყვ არ გამოხვალ, ჩაგთქამთო. მერე დეეღწია დევებს. ღმერთს ეხვეწებოდა. მერე წავიდა ბერებში, ილოცა ბევრი, ღმერთო, ძალა მომეციო, რომ დევები ამოვწყვიტოო.

მთხრ. ჭრელა კოჭლიშვილი,
ჩამწ. თამილა ქაიხოსროშვილი, მალაროსკარი.
თსუფა 19104

## 189. კოპალა ბაჩალში

...ეგ არი ბაჩალში, ბაჩლის ცოტა ზემოთაა. მანდა ყოფილა დევების სოფელი. კოპალას დაუბარებავ [დევისთვის], წამოდიო, ჯირითი ვისროლოთო, საგმირო. წამოსულან ვერხველა-ბეღელანი. წამოსულან და, რო ამოჩნდესო, წინ მაუძღვებოდა ბელელაი და მიწას მაჰკვალავდაო. კოპალას თურმე უთხრეს: აი, შე ტყის ქათამოო, შენ უნდა გვტანჯავდეო? და, აკუშოს ეძახიან, გაღმა არი. ისი, გაუსროლავის საგმირო, გაუსროლავის იმ დევებსა და, საცა დაცემულა. ახლა კოპალას გაუსროლავ და, კვირიამაო მათრახ შამამიკრა, რო გავკარო, და იმას გადაუცილებავ. გაუწყვეტავის ისინი, დაუმონავებავ ერთი. დაბმული ჰყავ მანდაო და წელში ერთხელ უშვებსო. საქობოსყელს ეძახიან, კიმხშია და იმაზედა აქვს გზაო და სადღაც ჰყაო და წელში ერთხელ გადადის, თვალს ავლებსო. გადმოცემით მე ეგრე გამიგია.

მთხრ. პეტრე კუნაშვილი, ხუცესი,<br>ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, მუქუ, 1981.<br>თსუფა 25455

## 190. კოპალას შურისძიება

მაშარაში მდიდარი კაცი ცხოვრობდა. მაღლა, მთაში წველიდა ძროხებს და ქვემოთ რძე მილებით ჩამოუდიოდა.

ერთხელ მუშა ჰყოლია. დაუტრაბახნია, კოპალას ყმებს წყალი არა აქვთო და ჩემი ყმები ლუდში ბანაობენო.

ერთ საღამოს მათ ოჯახში საკიდელს უხსენებელი ჩამოჰყოლია და ჩასულა ქვაბში. ყველამ ჭამა, გარდა ბავშვისა და დედისა. ბავშვი იძახდა, ჭია, ჭიაო, და ყველა დაიღუპა ამათ გარდა.

მთხრ. ირაკლი ლაშქარაშვილი,<br>ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, უძილაურთა, 1983.<br>თსუფა 25606

## 191. კოპალეს ქვა მატანში

სოფელ მატანში, სოფლის განაპირას, კოპალეს პატარა ნიშია. ნიშის ახლოს, ხევის პირას, სამხრეთ-დასავლეთით, უზარმაზარი ქვაა, რომელსაც ხალხი „კოპალეს ქვას“ ეძახის.

გადმოცემით, მატანში ძველად მდიდარ ხალხს უცხოვრია. მათი სიმდიდრის ამბავი გაუგია სამ ძმა დევს და გადაუწყვეტია მისი წართმევა, მაგრამ ხალხს გმირი კოპალე ეხმარებოდა თურმე.

ერთხელ დევებმა დაინახეს, რომ კოპალე მატნიდან მთაში წავიდა. ცოტა ხანი მოიცადეს და როცა იდროვეს, სოფლისაკენ ქნეს პირი. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, დევები მოდიანო, და ატყდა წივილ-კივილი. მთაში მიმავალი კოპალე დაუნახია თურმე იახსარს (ილტოს მარცხენა მხარეს, მაღალ გორზე, მისი ეკლესიაა) და სტუმრად მიუ-პატიჟნია, აღარ გაუშვია მთაში. იახსარი და კოპალე ნადიმობდნენ, როცა წივილ-კივილის ხმა გაუგონიათ მატნის მხრიდან. კოპალე მიმხვდარა, რაშიც იყო საქმე და იქიდანვე უსვრია დევებისთვის ქვა. ორი დევი იმ ქვით მოუკლავს, მესამე კი გაქცეულა.

მოახტა თურმე კოპალე ცხენს და ის იყო, წასვლას აპირებდა საომრად, რომ გაახსენდა: თავისი შურდულის ქვა დევებს ესროლა. ამიტომ იახსარს სთხოვა ლახტი. კოპალე ჴელად დასწევია დევს, ისიც მოუკლავს და მთაში წასულა.

ხალხს გვიან გამოუბედნია გარეთ გამოსვლა და როცა უნახ-ავთ დალახტული დევი, უთქვამთ: „იახსარმა იდიდოს, იმას დაულახ-ტავსო" და შესაწირავებით მისულან იახსართან. იახსარს უთქვამს: „რაღა ჩემი ლახტის ერთი ნიშანი ნახეთ და ჩემი ძმა კოპალეს შურ-დულისა და მარჯვენის ნიშანი ველარაო." იმის შემდეგ მატნელები იახსარსა და კოპალეს უერთმანეთოდ აღარ ახსენებდნენ. დამნა-შავეს ასე სწყევლიდნენ: „იახსარმა დაგლახტოს და კოპალეს ქვამ დაგიტანოსო".

მთხრ. დათიკო ძირეული,
ჩამწ. ზეინაბ შეფიაშვილი, ახმეტა, 1967.
თსუფა 5917

## 192. ძმები ხევისბრები

ჩემ მამა რო ხევისბერ იყო, ჩვენებს ეგეთა ჩამამავლობა აქვის, ჩვენის გვარისასა. ორნ ძმან იყვნენ ჩემ მამა-ბიძანი. ნიკოს — ჩემ ბიძას დროშაი ჰყვანდა. ხევისბერ იყო. ჯერ პაპაჩემი ყოფილა ხე-ვისბერი. მემრე ი ნიკასა კახეთში სიარული დაუწყავის. იქ დასდე-ნია საქონი გამოსაკვებად. პაპაჩემ თუ[რმე] ეუბნებოდა ნიკასა: „შენ იქ სიარულს არ მოგიხდენსო, ორნივ მამა-შვილნ ხატში ხო არ შავცვივითო." დაჰჴოცია იმას ცოლ-შვილი. დააბრალეს ხატს. წავიდა მკითხავთანა აფშოს. აუნთავ სანთელი. გამიარა ისეთა გულმაო, რო

ამაიღე ხანჯარი და დაიკარო. თავად კი ვერ დავიკარო და დაუშინე ი სკამსაო. გავხეთქე მკითხავი შიშითაო (ჯერ ადრე ყოფილა მკითხავთანა. იმას უთქომ, სხვა მკითხავთან წადიო).

დეეჴოცნეს ცოლ-შვილნი. მკითხავიც ეგრე გახეთქა შიშითა.

ეუბნებოდნენ: უნდა იწმინდოო... მერე ციხეგორობას თავდღეობა იცან უძილაურებმა. საითაც დევებ გადაასახლეს, იქ ყოფილან.

ჩემ ბიძა გაუქადაგებავ: „ხე ტყდებაო, ქვა ტყდებაო, შენ ვერ გაგტეხე ჴორციელოო. რა გგულაო, თავის თავს ნუ დამიდებ! ესეო დეეწვადისო, აი ბორტვი ესრე ამაიღისო და გადააგდისო. ხო გაგაფუჭვე და რაიგადღა გაგაფუჭოო“ (ცოლ-შვილი რო დეეხოცა). ხალხს სიმირგვლივ უვლიდისო. მემრე დატრიალებულა მლოცავი. ვისაც ი დროშაი ჰქონია, იმისად აღარ მიუცავ. ნიკოს აუღავ ის დროშაი. იყო მემრე. მთელ ხალხმა იცოდა, რო ცოლ-შვილ დეეხოცა, მაინც არ გაუშვა თავისუფლადა. ერთხელაო ავიღეო კოკაო (ცოლ-შვილ რო ჰყავდა დახოცილი) და ბოსლის კარებზე გავიარეო. გამოიქცაო ჭრელიო (ძმა იმისი, მამაჩემი): „ბიჭო, რასა სჩადიო. გამამართვა კოკაო. მემრე ისე არ წავალო, რო ის არა ვნახოო (სიზმარში). მაშინ ძალიან ვაწყენინეო“. მემრე ცოლიც ექნა, ბედიც კიდე ექნა. იარა საქმემა და ნიკო აღარ იყო, მამაჩემი იყო. ეხლა იოსებია. მაგან აიღო დროშაი და უძღვება მთელ საქმეებსა ხატში. ხალხი სუ მაგას ეკითხება, რაც საქმიანობა არი სახატო საქმე. ყველას მაგის სჯერავ. ჩვენ ჩამამავლობაზე მოდის. ეგენ ვინ იცის მერამთვეენე მამაზე არიან.

ორი ძმანი ყოფილან. უწმინდებიან ორნივ (მაგათ კაცები). ერთი გაჯიუტებულა: მე მარილ-კვერიან ვერ მაცხოვრებენო, ხატშიით მოცემულნიო. არ მინდა წმიდობაო. მემრე ამდგარა, ხატმა თავ დამანებოსო, — ცხენი ყოფილა მამკვდარი და იმაში გამძვრალა, — ვითომ უსურმაგიაო და ხატი თავს დამანებებსო. და დამბრმალა კაცი. იმისი ძმა ყოფილა ხატისი ძალიან მაამური. ის კაცი ისე დაბერებულა, რო სიბერისგან სუ გაშავებია თმაო. გაჯეილებასავით უქნიაო. მემრე ის მოდენილა დიდ ხატში (უძილაურთის დაბლა). ის მიდენილა იქა. ჴელში ჯვარი სჭერია. გაყირაულა სიბერისაგან და ი ჯვარი გაფრენილა. ქვაზე დატრიალებულა ი ჯვარი. კოჭლიშვილოო, შენც დაგაბრუნებდიო, თუ მზე გორის პირს დაბრუნდებოდესო. ე. ი. გაგაცოცხლებდიო. იმითა, რო ის მაამური ყოფილა და შიგ ხატში მოკვდა ის კაცი. რაით რა იყო ისე მაამურიო, თქვის ჩემ ბიძა ნიკომა. იმის ჩამამავლობისანი სუ კარგად არიან. იმ ძმისანი მადურანია. ჩვენ სუ ამ ტანჯვაში ვართო. ჩვენ იმისანი ვართ, რომენმაც აწყენინა. მადურან გაათავისუფლებინა და ჩვენ ისევ ისე გვტანჯავს, ეს მოწმინდრობა იმით მოგვიდის, ცხენის ღრუში გაძვრა.

ერთხელ, გამოღმით რო ჩადენილან, ციხეგორს რო მიდის მლოცავი, ეს ბრმაც იქ მიჰყავის, რომენიც ცხენის ღრუვში გაძვრა. ის, რომენიც მაამური იყო, ისი წყალში ცემულა. გატიტვლულ წაუღავ წყალსა. წაღებინებია თავადა. ეს ბრმა დაზიდულა: ძმაო, მე დაგღუპე, ისრე რო გავაკეთეო. იჭერენ იმ კაცსა. გახედნეს და ციხეგორის ბოლოს აჩენილა ის კაცი.

მემრე ხალხი რო მისულა, იქ (ციხეგორს) დახვედრია გაბანილი სუფთად.

ხევსურები, ადგილს რო სცილებიან უძილაურებსა, ისე დაუმიზეზებიან ხატსა, რო წყლის გამოღმით ჯოხიც რო მოსჭრანო, იმაზედაც კიდენ მიზეზ უდგებათ.

მთხრ. მინდია აბას ძე არაბული,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, 12.08. 1967.
თსუფა 29712

## 193. კოჭლიშვილების მოსვლა უძილაურთაში

ქისტეთის ხამხის ხეობიდან სოფელ კაკმეთში გადმოსულა დევნილი ქისტი. სახელი მისი არ არის ცნობილი, ხოლო გვარად მოიხსენიება როგორც ხამხაძე. იგი კაკმეთში დასახლებულა, დაოჯახებულა და გამრავლებულა. იქ არის მათი ნასახლარებიც. ერთხელ ამ სოფელს ღამით დასცემიან თათრები ავდალალიას მეთაურობით. ხამხაძის ოჯახიდან, ქისტების შთამომავალი რომელიღაც ოჯახიდან, ქალი ყოფილა გათხოვილი მთიულეთში, სოფელ პავლეურში. იმ ღამეს იგი ბავშვთან ერთად მამის სახლში ყოფილა სტუმრად. დედაშვილი როგორღაც დასხლტომია მტერს ხელიდან და გაქცეულან. არაგვის ხეობისკენ აუღია დედას გეზი. ციხისძირის მოპირდაპირე სოფელში, მამიდასთან მიუყვანია, იქ არის იხინჭა, კოპალას ნიში. მამიდას ბავშვი გაუზრდია. დავაჟკაცებულა. იგი ხის ფეხიანი ყოფილა. რატომ ჰქონდა ხის ფეხი, უცნობია. გვარად კი ხამხაძედ დარჩენილა. მოსულა უძილაურთას. მოსწონებია სამოსახლოდ ეს ადგილები. ამის შემდეგ ის კვლავ მამიდასთან დაბრუნებულა. მამიდას უჩუქებია ხარი და უძილაურთისკენ გამოუსტუმრებია. მაღაროსკარის მახლობლად, სოფელ წიფრანთან, დახვედრიან ლეკი ყაჩაღები, რომელთაც უკვე დატყვევებული ჰყოლიათ ხალხი. დაუჭერიათ ეს კოჭლი კაციც. ორნი ყარაულად დამდგარან. დანარჩენები სხვაგან წასულან საძარცვავად და სოფლების მოსარბევად. ერთი ლეკი არაგვზე ჩასულა საბანაოდ. მეორეს კი დაუძინია. უფიქრიათ კოჭლია და სად

გაგვექცევაო. ამ კაცს მოუკლავს მძინარე ლეკი. აუყრია იარაღი და წამოსულა მამიდის ნაჩუქარი ხარით უძილაურთას. უძილაურთაში შეხვეწნებია კოპალას სალოცავს, რომ ერთხელ ხომ გადამარჩინე, ეხლა მეორედაც გადამარჩინეო. ქვეყნიერების გამჩენო, გეყმობი და გემსახურები შვილით-შვილამდეო, — დაუდია აღთქმა კოპალასთვის. ამ კაციდან მოდის კოჭლიშვილების გვარი, რომელთაც ხატში ხევისბრობა მოუდით.

მთხრ. იოსებ კოჭლიშვილი,
ჩამწ. სანათა კოჭლიშვილი, უძილაურთა, 1995.
თსუფა 29706

## 194. ნიკო კოჭლიშვილის გახევისბრება

ნიკო იყო, ალალი ბიძა იყო ჩემი. ჰო, იმას აწმინდებდა, უნდა ეწმინდა და გაჯიუტდა თურმე, არ უდებდა თავსა. ისაო, საბოლოო საქმეს გავიხდიო, მე ვერ შევასრულებ ხატის წესსაო, მე რად უნდივარ ხატსაო, ყუნჭები არ უყუდვისაო?

ვნახე სიზმარიო: დედაკაცის ცხენზე ვიჯეო, ნაღვარში გადმივარდაო და მე და ჭრელსაო, ძმასა, ჴმლები გვქონიყოო ვერცხლისებიო და მიწაში დაგვემარხაო. ი ჩემი ჴმალიო ძალიან შეეჭამა მიწასაო, ჭრელისას კიდევ არა უშავდაო. მემრე არ დაუდვა თავი. მაუკვდა დედაკაცი ბიძასა (ალალი ბიძა იყო ჩემი), ი შვილიც მაუკვდა, ერთ ვაჟიშვილი ხყვანდა. ჰოდა, დედაკაცი, შვილი. დარჩა კაცი ეგრე. მემრე ი დროშაი ვისაც ეჭირა, სხვა მკადრეს კაცსა, გააქადაგაო, გააქადაგაო, რო: „ხე ტყდებაო და ქვა ტყდებაო და შენ ვერ გაგტეხეო ჴორციელოო! თავის მამა-გვარით გადაგაძევებო." დაიჴდიდა ფეჴებსაო, შამახკრისო აი, იფნებსაო ხატში. ესე გაგბერტყო, თავის მამა-გვარით გადაგაძევებო. ნუ დამიდებ თავსაო! ხო გაგაფუჭეო და რაიგადღა გაგაფუჭოო?" რო დეეხოცნეს ცოლ-შვილი და რო არ იწმინდა და თავი არ დაუდვა, მემრე რაღა იქნებოდა. მერმე რასაც აბძანებენ, იმ დროშასა, აალებინა იმ ხატმა და იყო და იყო მემრე.

მემრე... კიდევაცაო მოგცემო ბედსაო. მართლა, მემრე სხვა დედაკაციც მაიყვანა და ეხლა იმის შვილია ჴევისბერი, ჴელმკადრე.

მთხრ. მარიამ კოჭლიშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), შუაფხო, 30.06.1995.
თსუფა 29713

## 195. თავხევისბრის წინასწარმეტყველება

ისეთა დრო მოალისო, დამრავლდებიან ეშმაკნიო და ჩამოგვერთმისო ვენაჴებიო. ერთ კაც ხო იქნებითო მაშინაო, წახვიდითო იქაო, ერთ კაცი ხო იქნება სოფელშიაო და ხო დეეტყობაო ი ნამარნალიო, და სანთელი მაანთოდითო. მართლა და, ისე აცხადდა. ჩამეერთვა ის ხატის ვენაჴები და კოლექტივი ჴნავდა, ჩამაართვეს. სულ იმასა ჯავრობდის.

მთხრ. მარიამ კოჭლიშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), შუაფხო, 30.06.95.
თსუფა 29714

## 196. თავხევისბრის სიკვდილი

ისეთი მაამური ყოფილა თურმე ეს კაცი, დაბერდაო, დაბერდა ძალიანაო, სიბერით თეთრი თმაო (ხო გაუთეთრდება) გაუშავდაო. დიდიხნის გამხდარა. მემრეო, მიდენილა ხატში და ჯვარი სჭერია ჴელშია და დაყირავდა ეს კაცი. ჰოდა, გაფრინდა ეს ჯვარი და ქვაზე დატრიალდა.

„კოჭლიშვილო! — აძახა თავად იმასა თავის პირითა — შენც დაგაბრუნებდიო, თუო მზეო გორისპირს დაბრუნდებოდესო!" და მამკვდარა იქავ.

მთხრ. მარიამ კოჭლიშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), შუაფხო, 30.06.1995.
თსუფა 29715

## 197. ჩორხაული

ჩორხაული იყო ხევსური, ბაცალიგველი. ქრისტეს დილას, ოცდახუთს დეკემბერს, გააქადაგა კოპალამ ბაცალიგოში, გამოიქცა და სადილობის დროს ფეხშიშველა მოვიდა უძილაურთაში, კოპალას საბეროში. ფეხებიც არ ჰქონდა გაყინული... მემრე დარჩა უძილაურთაში მუდმივ დასტურად. კოპალამ მისცა თავისი მამულები და ამით ცხოვრობდნენ.

ჩორხაულს ებარა თას-განძი და სხვა სახატო ქონებაც. პურსაც ინახავდნენ ჩორხაულები. პური როცა მოიმკებოდა, ერთ-ერთი ჩორხაული ხელ-მხარს გაინათლავდა და შეიტანდა ბეღელში პურს.

ბეღლის კარს წელიწადში ორჯერ აღებდნენ: ერთხელ პურის ჩაყრის დროს, მეორეჯერ თესლობის დროს. თესლობის დროს კიდევ აუწყავდნენ მომავალ მდუღეებს სალუდე პურს, ახალი პურის გალეწვამდინ საკმარისს, რადგან იქ ხელ-მხრის უნათლავად ვერავინ შედიოდა.

ხელ-მხრის განათვლის შემდეგ ჩორხაული ფეხშიშველა შედიოდა ბეღელში და იქიდან დიდის მადლის თხოვნითა და ხვეწნით გამოდიოდა. გამოიკეტავდა ბეღლის კარს... მერე წამოვიდოდა ჩორხაული და მოხნულ მამულზე თესლსაც ის დათესავდა, ქუდმოხდილი.

ალ. ოჩ. ფშავი 100

## 198. დანადები

ჩვენა — კოჭლიაანთ, მადურათა და ლოსეურაშვილებს დანადები გვქონია — არ უწმინდებავ და იმაზე.

ორნ ძმანი ყოფილან. უწმინდებავ ხატს ერთ-ერთი ძმა, მაგრამ იმას არ უკისრებავ ჴევისბრობა. ამდგარა, მკვდარ ცხენ უნახავ და იმის ღრუში გამაუვლავ ჴელები. ამაზე დამბრმალა. იმის ძმა დაუჭერავ. გამიხარდაი ქვივნილა. იმ ძმისები ჩვენა ვართო — ჭრელამ იცოდის, მეორისა — მადურანიო. იმასაო ჯერ გაუთეთრდა თმა, მემრე გაუშავდაო და, ბოლოს, როგორც ხავსი, ეგრე გაუჴდაო. ამაზე ვკლავთ დანადებს ათენგენაში.

მეორე ძმა მაამური ყოფილა. იმას დროშა კი არა, ოქროს ჯვარი უბრძანებავ. მერე წაუღია ის ჯვარი, მლოცავ დაუთხოვავ, ის ჩაუბძანებავ და შემოდგომას დაღუპულა კიდეცა.

მადურანი და ჩვენ ერთნი ვართ. დანადებში ესენიც გვიდგებიან. ხისფეხიანი ყოფილა ჩვენი წინაპარი. კოჭლიშვილები იმიტო დაგვექვივნა. ჩვენი გვარი ხამხაძე ყოფილა. იხინჭის გვერდში კაკმეთი ყოფილა, იქ უცხოვრია. მამა ქისტი ჰყოლია, დედა — ქართველი. წამოსულა მერე აქისაკ.

საქისტაუროს საერთო დანადები აქვ. აქ დიდი სახლი ყოფილა. ჰყოლიათ რძალი. ის რძალი რო მოუყვანიათ (ისიც ჴევისბრის ქალი ყოფილა), ავად გამჴდარა. რო გაუჭირდა ავადობითა, ამ ქალმა დაუბარა მამას, შამახვეწე ხატსაო, მთავარანგელოზსაო.

წამოსულა ის კაცი, უდღეობო დღეს ჯვარი გადმოუბრძანებია. იმით ახვეწებს. გამოფრენილა ეს ჯვარი. შასულა და ზედ კერაში დაცემულა (შუაფხოში, სადაც ავადმყოფი იყო). დაგვედო იმის შემ-

დეგ ნიგვზურთ სალოცავი. ერთ წელს საკლავი უნდა დაგვეკლა. შემოდგომას ყველა ოჯახში საკლავს დაკლავდნენ და კერასა და საკიდელს ნათლავდნენ. ერთდროულად სალმრთო თავის ოჯახში ყველას უნდა გადაეხადა. დანადებს ისე გაიგებს რო ან სიზმარში მაიხილებს. მაგ. დედაჩემს ისე გეეგო, რო სიზმარში იხილა: „მოიდის ბაჴაიო და მთხოვდისო, ან ჯიგარ მამე, ან ცხვარ მამეცო." დაუკლავ. იმ დღესავ ენახა სიზმარი: მოიდა ბაჴაი და მთხოვდისო, ან ჯიგარ მამე, ან ცხვარ მამეცო. ეგ იმაზე ყოფილა, რო დანადები არა გაქვ შასრულებულიო. დაუკლავ. იმ დღესავ ენახა სიზმარი: მოიდა ბაჴაი, ნაილო ჯიგარი და მითხრაო: ეხლა თავისუფალი ხარო. ერთ წელს საკლავი უნდა დაეკლა, მეორე წელს სანთელ-კელაპტარი.

მთხრ. იოსებ კოჭლიშვილი, იოსებ პეტრეს ძე ელიზბარაშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, უძილაურთა, შუაფხო, 13.07.1979.
თსუფა 29998

## 199. ხატის მიერ ხოდაბურების დაჭერა

უძილაურთაში, ეხლა რო ვჴნავთ ჯაბახურას ვეძახით, ჯვრის ყანებია. ორი ძმა ყოფილა, ჯაბახურა და ძებურაი. ესენი ყოფილან ურწმუნონი, ჯიუტნი. შემოდგომა იქნებოდა თუ ათენგენა, არ ვიცი, მიდენილან დროშიონნი კახეთში, ახმეტას სალოცავად. ამ ჯაბახურაის სახლის უკან ჩაუვლავის. მყეფარი გამასტევებია. იმ ბანზე ყოფილა ხორბალი დაფენილი. ის მყეფარი რო დეეტევა, შავარდნილა საფქვავზე და დაუფანტია. გამოვარდნილა ჯაბახურა, გაულანძღავ, რას დასდიხართო. წასულან ესენი. უთქომ ჩავლისას, შენ გაგვამწარენო და ამოვლისას ნულარამც დაგვხვდებიო. რო ამოუვლიათ, ორივე ოჯახში დაუწყვეტიან ხატსა და იმათ ხოდაბურები დაუჭერავ. შემოხიზნულ, მოსულა ამანათად. ხევსურ იყო თუ თუში. ზეზვაის მამულებს ეძახიან, მუხრიანს აქეთ ველია, იქ დაუყენებავ ეს ზეზვაი, ამანათი. დაცოლშვილებულა. სხვაგან მოუთხოვავ მამული, გაფართოვება მოუნდომებია. წასდავებიან უძილაურებს. მეტში წასულა. მერე უთქომ სოფელს: „რით მოიშოროთ ეს კაცც, რა არიო." ქრისტე დილას თავმოყრილი ყოფილა ხალხი და უთქომის, რომ სანამ წესს შავასრულებთ, ჯერ იქ ჩავიდეთ საკლავითა და დროშითაო. წასულან ყველანი. საგათენებოდ ჩამჴდარან. სახლის უკან მაუჭრავ საკლავისთვი თავი, გაუნათლავ ის ადგილი სულა, დროშა, ხალხი. გამოსვ-

ლია მიზეზი იმ ზეზვაის ოჯახს მთლიანად. ყველგან ავად გაჴდილან. აყრილა და წასულა კიდეც. იმ ადგილში ეხლა ვერავინ ვერ დგება. ის კოპალაისთვი შაწირულია. არც ქისტაურს იჴდენს მანდ, არც უძილაურს.

მანდ ფუნჩიათ გიორგის და სვიმონ ლოსეურაშვილს ებათ ჴარები. უნდა მეეჴნათ. ის თავისუფალ ადგილ იყო. არ ვიცი, რამდენს მოჰჴნავდნენ. ეს გუთნისდედა გიორგი გამჴდარა ცუდად, ჩაქცეულა კვალში. უგრძნობლად მოუყვანეს სახლში. მამაჩემთან მოვიდნენ. იმან უთხრა, რო კოპალას უჭერავ და იქ მოჴვნა არ შაიძლებაო, საკლავი მიიყვანეთო. ჩეევლია საკლავი და კარგად გაჴდილიყო მაშინ.

მთხრ. იოსებ კოჭლიშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, უძილაურთა, 13.07.1979.
თსუფა 29999

## 200. სასწაულმოქმედი ჯვარი

თათრის ლაშქარი დასცემია იხინჭას, კახეთს, იქ დაუდვავ ბინა. ზევით ციხეა დიდი. იქ ალბათ ბევრი შესაწირავი იქნებოდა. დაუპატიმრებიან დასტურ-ჴევისბრები იმ თათრებს. იცოდენ, რო ჰქონდათ განძი. ერთ-ერთს უთქვამ, გამათავისუფლეთო და გასწავლითო. უსწავლებავ იმასა (ისე გაუჴდავ ხატს ისი, რო მერე ძაღლივით ყეფდაო). ციხის წვერში ყოფილა ის განძი. სამჯერ ჩამაუტანავ ნაბდითა. ერთი ოქროს ჯვარი ყოფილა დიდი, ის უფროსს მიუთვისებავ. რო წასულან მანდიდანა. ეს ჯვარი სახლში მიუტანავ. დაუკიდებავ. თურმე არა აქვ მოსვენება. დაწვებიან და გაჩნდება ცეცხლი. ცოლს უთქომ: „ეს ეშმაკისა რა მოიტანეო, მააშორეო, ხო ხედავ ძილი არა გვაქო." მერე ერთ-ერთი ტყვე ამაურჩევავ და უთქვამის: „ეს ჯვარი იქვე მიიტანე, საიდანაც წამოღებული არისო." ჩაუდვავ ჯვარი გუდაში და წაუღავ. აჴადის მთისას გადმოსულა. ჩამოსულა მისრიანთ კარს. იქ დამდგარა, დაღამებულა. გუდა დაუკიდებავ, დაუძინებავ, რა უძე ამ გუდაშიაო და უნახავ. ამაუღავ ეს ჯვარი, გუდა ისევ დაუკიდებავ. ის კაცი წამოსულა, გუდა არ უნახავ, არი თუ არა შიგ ჯვარი. ის ჯვარი ზღავის ქვეშ დაუმალავ მისრიაშვილებს გომურში. ამაზე ის ოჯახი სუ ავად გაჴდილან. რაშია საქმე, რა არიო? ამ ჯვარის მიზეზი გამოსვლია. იმ ბინის დატოვება მას დობნებია.

ზუსტად იქ არის აშენებული საზარე, სასანთლე, სალუდე — იმ სახლზე. კოპალაის ნიშია. „წელშუ დავდიოდით კურეტითაო," — ჭრელმა თქვის. კოპალაობით ლოცულობენ, მარიანობას ან გიორგობას მიდიოდნენ.

მთხრ. იოსებ კოჭლაშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, უძილაურთა, 13.07.1979.
თსუფა 30000

## 201. თას-განძის გატანა

მემრე შადგა კოლექტივი, გაჰქონდათ ხატშიითა თას-განძი, იჭერდენ ჴევისბრებსა. ჩემი ბიძაი დაჭერილი იყო, ნიკო. სადა გაქვთო ხატში შაწირული ვერცხლეული, აი, თასები, ჯვრები...

რო დაიჭირეს, მოვკვდებოდიო, მარა რაღას ვიქმოდიო, საცა ცოტა იყოო, შვიდი-რვა თასი იყოო, იქ ვასწავლეო. წამოსულან მემრე და ერთი ჩვენებური ახალგაზრდა ბიჭი იყო, ლოსეურაშვილი, მაჩხურათი. დაუგდავის, რო მოიტანე ქარჩიო და ამოგვითხარეო. ამაუთხრავ იმასაცა და, რაღა იქნებოდა, წაიღეს ის თასები და მემრე ის ბიჭი სულ დაცივდა, სულ დაცივდა. ბიძაშვილთან იყო, დედ-მამაი არ ჰყვანდა და, რო გაუჭირდა, იმანაც თავი მაიკლა.

მემრე ი ბიძაშვილმა დამარხა, საცა თავ მაიკლა და ვისთანაც იყო, თავისებთან. „რად გინდათო, სუფრას რო მიდგამთო, მე ესენიო არას მანებებენო, ეშმაკებიო, შემიჭამენო. ჩემ ულირს ჴელიო იქ ნუმც ჩაწვდილაო".

მთხრ. მარიამ კოჭლიშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 30.06.1995.
თსუფა 29716

# ქისტაურთ თემი (შუაფხო)

## 202. იახსარი

იახსარი პირველად ყოფილა ხორციელი „წმიდა ბერი", ხვთის მლოცავი და ხვთიდან მიცემული დიდი ძალის მქონე. ხვთიდანვე ჰქონდა მიცემული ძალა, ებრძოდა დევებს და ანადგურებდა. იმ დროს დევ-კერპნი ზეპირად გამოსულნი ყოფილან, ხოცავდნენ და სჭამდნენ ხალხს. მათი შიშით ადამიანები ველარსად მიდიოდნენ. ამიტომ მორიგე ღმერთმა იახსარსა და კოპალას — ერთურთის მოძმეთ, ორივე წმიდა ბერს მოულოცა ძალა და შეძლება დევებთან ბრძოლისა და მათი განადგურებისა. იახსარს ნინახში ჰქონდა პატარა სამლოცველო და საბერო. მისი სამლოცველოს ნანგრევი ახლაც არის კლდის თავზე. ახლანდელი ეკლესიის მსგავსად კარები აქვს შემოსასვლელი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აქვე, გვერდზე ჰქონია თავისი საცხოვრებელი პატარა საბერო. ეს ადგილი მაშინაც და ახლაც დაბურულია მუხის ხეებით. აქვე საბეროს წინ იახსარს ჰქონდა საყუჩი — საყარაულო. ერთ ძირზე ოთხი მუხა იყო ამოსული, რომელიც ახლაც არის და ქორბუდიან მუხათ ეძახიან. აქედან ყარაულობდა იახსარი ერთ დიდსა და მდიდარ დევს გამხვეურას. გამხვეურა ამ დევს იმიტომ ერქვა, რომ ის გახვევებული იყო ცოლშვილითაც და ცხოვრებითაც. ეს დევი ცხოვრობდა იახსარის საცხოვრებლიდან დასავლეთ მხარეს. იმ ადგილს შემდეგ დაერქვა გამხვეურთკარი — დევის სახელწოდებიდან. გამხვეურთკარის პირდაპირ, არაგვს გაღმა, სამხრეთისაკენ იყო კიდევ ერთი სოფელი დევებისა (ახლა აქ შუაფხოვლები მოსახლეობენ და ეწოდება თხილიანა). სოფელ შუაფხოში კი ხალხი ცხოვრობდა, ქისტაურები. შუაფხოდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით დასავლეთ მხარეს იახსარის ბინა იყო და აქედან ამდენივე მანძილის დაშორებით გამხვეურასი. გამხვეურას და იმის პირდაპირ მოსახლე დევებს ფაცერი ჰქონდათ გაბმული. ფშავის არაგვის ჭალაზე გამვლელ ხალხს იჭერდნენ და

სჭამდნენ. როგორც ვთქვით, გამხვეურა იყო დიდი დევი, დედა ჰყავდა ცხრათავიანი და ცხრა შვილი ჰყოლია, სულ ვაჟკაცები:

ცხრათავა დედა ჰყოლიყო, ცხრათი გამზრდელი შვილისა,
სალუდე ქვაბი თავს ედგა, საზარელ იყო სინისა.

ეს დევები აქ რომ გამრავლდნენ, მოინდომეს ავისგორს დასახლება (ავისგორი: სადაც ახლა იახსარის ნიშია და იახსარს ლოცულობდა ხალხი, მაშინდელი იახსარის საცხოვრებელი ადგილი ნინახისა და შუაფხოს საშუალო ადგილზე), წამოვიდნენ და აქ დაუწყეს სახლს შენება. გაიგო იახსარმა, აქვე ერთი ხევია, ხატისხევა, ამ ხევიდან მიეპარა და ბოლოზე ამოჩნდა. დევების უფროსმა ძმამ თქვა: „რა კაი სადილი მოდისო." უმცროსმა ძმამ უთხრა: „სადილი კი არა, ეგ იახსარი არ იყოს, რომ ეგრე თამამად მოდისო." შეშინდნენ დევები და აირივნენ კიდეცა. იახსარი იმ დროს მივიდა, რომ კარისთავს დებდნენ ცხრანი დევნი და ვერ ერეოდნენ, იახსარს დასცინეს: „მოდი, ძმობილო, გვიშველე კარისთავის შადებაო" (კარისთავად შესადები დიდი ქვა იყო). იახსარმა გადიკვართა კალთები, მოავლო ხელი ქვას და მარტომ შეაგდო. შეშინდნენ დევები და გაიქცნენ, იახსარმა კარისთავიც იმათ ესროლა და გამხვეურთკარს სახლი დაუნგრია. ჯერ არ იყო ბრძანება მათი მთლიანად განადგურებისა, რადგან იორზედაც უნდა ამოეწყვიტათ, ამავე დროს კოპალას უნდა ამოეწყვიტა ისინი ციხეთგორს. კოპალას და იახსარს პირობა ჰქონდათ შეკრული: იახსარს იორზე ხაშარს უნდა გაეწყვიტა დევები. აქ სახელგანთქმული დევები ყოფილან მუზა და ბელელა. მუზა ყოფილა დევების მეფე, ხოლო ბელელა ლამაზი დევის ქალი. ხაშარს ბელელას სკამი ჰქონია ქვისა, მაღალი. თურმე სკამზე რომ დაჯდებოდა, ისეთი გრძელი თმა ჰქონდა, რომ მიწაზე შვიდკეცად დაიდებოდა. უძილაურთისთავს არის ზედ მთაზე დიდი მოედანი, რომელსაც ჰქვიან ირემთკალო. იახსარსა და კოპალას აქედან ციხეთგორისკენ ქვები უნდა ესროლათ მჯობინზე და გაეგოთ, ვინ იყო მძლავრი. სახელგანთქმული დევები დაბარებული იყვნენ ყველგნიდან. იახსარს და კოპალას განზრახული ჰქონდათ ამ დროს დევების ამოწყვეტა. ბრძანებაც ასეთი იყო მორიგე ღვთიდან. იახსარი ჩუმად წავიდა და ხაშარის გადმოსავალში, საპარავის ყელში ჩაუსაფრდა. ხაშრიდან წამოსული მუზა დევი ამ გზით გამოივლიდა, ირემთკალოსაკენ მიმავალი. იახსარი აქ იმას მოკლავდა. მერე ხაშარს ჩავიდოდა და იქ ამოსწყვეტდა დევებს. მართლაც, მუზა მთაზე შემოხდა. გამოხედა ირემთკალოს და იქიდან შემორიშხნა. ამ დროს იახსარი აქ იყო ჩასაფრებული. დაჰკრა თავში ლახტი და მუზა დევი მოკლა. სასიკვდილოდ დაჭრილმა დევმა დაიღრიალა. ხაშარში რაც დევები იყვნენ, იმათაც გაიგეს, რომ მუზას რაღაც გაუჭირდა. მანამ ისინი მოსაშველებლად გამოემართებოდნენ,

მივარდა იახსარი თავისი ლახტით და სულ ამოწყვიტა ყველანი, სახლიც დაუქცია (მათი ნასახლარი ხაშარში ისევ არისო — ამბობდნენ მთხრობლები. ისეთი ქვებისგან არის ნაშენები, რომ თითო ქვას ოცი კაცი გვერდს ვერ გადაუქცევსო). ზოგები იორზე გაექცნენ, დაედევნა და გზადაგზა სულ ამოწყვიტა.

ამ დროს ირემთკალოს რა ხდებოდა? დევებმა და კოპალამ სიპით დიდი კალოს ოდენი ადგილი დააზღავეს (ირემთკალოს, ახლა საცა კოპალას საზარეა, იმ ადგილზე) იმიტომ, რომ ქვის სროლას რომ დაიწყებდნენ, სიმძიმისაგან მიწა არ ჩაბრუნებულიყო. ჯერ კი ელოდნენ მუზას და იახსრის მოსვლას და მერე კვირას მეთვალყურეობით დაიწყეს ქვის სროლა. დევების ფალავანმა გაისროლა ქვა და ციხეთგორს იქით (ახლა ხატის მამულია) დაეცა. ქვები ერთნაირი იყო, ახლა კოპალამ გაისროლა ქვა, კარგა დიდის ძალით გაისროლა, მაგრამ კვირამ ამ ქვას მათრახის წვერი წამოჰკრა. კიდევ გაამალა და იგი დევების გასროლილ ქვას შორს გადასცილდა. დევები შეეცადნენ, რომ უკან გადმოეწიათ, მაგრამ ველარ გადმოაგორეს (ახლაც ეტყობა ნაბრძოლი, ქვა უკან არის გამონათარიო, ამბობენ მთხრობლები). შეშინდნენ დევები და გაქცევა დააპირეს. დაერია კოპალა ლახტით და სულ ამოწყვიტა. სახლი დაუნგრია და იმათ სამყოფელს თვითონ დაპატრონდა. ახლაც მისი საზარე ისევ არის. ფშაველ-ხევსურები მიდიოდნენ ციხეთგორობას სალოცავად. აქედან იწყება კოპალასა და იახსარისაგან დევების ხოცვის ამბავი. ხალხის თქმით, მათი ნაომარი და ამოწყვეტილი დევების ნასახლარები ბევრგან არის, სადაც ილოცავენ იახსარსა და ზოგან კოპალას.

ერთ დევს მიჰქონდა თურმე მოკლული ირემი. ერთ მხარზე ძირიდან ამოწვდილი ნიფლის ხე ედო. შეხვდა კოპალა, ესროლა ლახტი და მოკლა დევი. რომ მოკვდა, ქვად იქცა. ახლაც არაგვში გრძელი ქვა არის და, ხალხის რწმენით, ის ქვა გაქვავებული დევია. ამ დევს ავთანდილი ერქვა და ამ ადგილს ახლაც ავთანდილის საქანს ეძახიან. მეორენაირადაც არის კოპალის ქვის ამბავი: დევები კართანაში ქვას აგროვებდნენ, აქ წყალი უნდა დაეგუბებინათ და ფშავ-ხევსურეთი წაელეკათ. გაიგო კოპალამ, წამოეწია დევს, რომელსაც ეს კოპალის ქვა მიჰქონდა წყლის დასაგუბებლად, ესროლა ლახტი და მოკლა. ქვა გადაიქცა სალოცავად და დაერქვა კოპალაის ქვა.

კოპალა რომ აქ ხოცავდა დევებს, მაშინ იახსარი იორზე მიჰყვებოდა და, სადაც მათი ბინა იყო, ყველგან ამოწყვიტა. ამ ადგილებზე ყველგან არის ნიშები-სამლოცველოები. მაგალითად: იხინჭას (ზემო თიანეთშია) ყოფილა დევების დიდი ოჯახი, შებრძოლებია იახსარი და გაუწყვეტია. მერე ამ ადგილსაც თვითონ დაპატრონებია. მას აქეთ გაშენდა მისი სამლოცველო აქ.

ერთი სახელგანთქმული დევი ზემოთიანეთს იყო, რომელსაც ვერხველას ეძახოდნენ. ეს დევი თავისი ცოლ-შვილით ცხოვრობდა ზემოთიანეთის სათავეში ერთ ვიწრო ხევზე და ამ არემარეს არავის შეეძლო გავლა. მას ჰყავდა დიდი ოჯახი. ეს დევები იჭერდნენ ადამიანებს და ჭამდნენ. დაიჭირეს პირქუში ოქრომჭედელი და ტყვედ ჰყავდათ. აკეთებინებდნენ იარაღს, მშვილდ-ისარს და ოქრო-ვერცხლს. პირქუში ბევრს ცდილობდა, მაგრამ დევების ტყვეობას თავი ვერ დააღწია. იახსარმა ეს რომ გაიგო, მივიდა ჩუმად და პირქუშს უთხრა: დაგიხსნი, თუ ერთ კარგ ზარს გამიკეთებო. პირქუში ზარის გაკეთებასაც დაჰპირდა და ბევრ სხვა რამის გაკეთებასაც. იახსარი დევებს თავს დაესხა და თავისი ლახტით ჯერ ვერხველა დევი მოკლა, მერე ყველა ამოსწყვიტა და პირქუში გაათავისუფლა. პირქუში წამოვიდა და ახადში დაბინავდა, იახსარს დაპირება შეუსრულა. ბოლოს თვითონაც ხთიშვილად გადაიქცა. პირქუშს სამი კარგი ვერცხლის თასი ჰქონდა. იახსარმა ეს თასები სთხოვა. პირქუშმა არ მისცა. მაშინ იახსარმა წაართვა ძალით და მიიტანა თავის სამლოცველოში. შემდეგ, როცა ერთიც ხთიშვილი გახდა და მეორეც, პირქუში ამ თასებს ისევ ედავებოდა. ბოლოს ხთის კარზე რჯული ჰქონდათ. დამბადებელმა და კვირამ გაარჩიეს ეს საქმე და თასები პირქუშს არგუნეს, რადგან ძალით იყო წართმეული და ხთიშვილთ ერთიმეორეში ძალადობის ნება არ ჰქონდათ დამბადებლისაგან. ძალადობის ნება მარტო დევკერპებთან ჰქონდათ. მკითხავის პირით იახსარმა გამოაცხადა: მე და პირქუშს ხთის კარზე რჯული გვქონდა და ეგ სამი თასი პირქუშს არგუნესო. ძალიან დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს თასები იახსარიდან ახადში, პირქუშში, წაიღეს. მას აქეთ აიკრძალა შუაფხოელი ქალის ახადს გათხოვება და ახადელი ქალისა შუაფხოში. ეს წესი დღესაც დაცულია. იახსარმა ბოლოს იორზე და თიანეთში ყველგან ამოწყვიტა დევები და დაბრუნდა შუაფხოში. აქ ისევ იყვნენ დევები და უკანასკნელად ესენი ამოწყვიტა.

საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დავუქციე ბანიო,
ერთ კიდე გამოქცეულა, რომენიც ფალავანიო.

იახსარმა გამხვეურთკარის დევებს ესროლა ლახტი თავისი საყუჩიდან. ბანი დაუქცია, ეცა და ყველა ამოწყვიტა. შემდეგ გავარდა თხილიანაში და თავისი ლახტით იქაური დევებიც ამოწყვიტა, მაგრამ გაიგო, რომ ერთი უფრო დიდი დევი ხევსურეთისაკენ გაიქცა. დაედევნა, არაგვი შეიარა იმის კვალზე, ქმოსტ-როშკა აიარა და აბუდელაურს დაეწია. მივიდა დევი და ჩაძვრა აბუდელაურის ტბაში, ჩაჰყვა იახსარიც — ძირს ჩასულს დაჰკრა ლახტი და მოკლა. დევის სისხლმა ტბის ზედაპირი დაფარა და რაკი ეს სისხლი უწმიდური დევისა იყო, იახსარი ველარ ამოვიდა, შეეკრა გზა. იახსარი სამ წელს

დაკარგული იყო, ველარ ამოდიოდა ტბიდან. ხალხი ეძებდა: რა იქნა ის დევების მხოცელი ბერი იახსარი, რომელმაც დევებისაგან გაგვათავისუფლაო? ბოლოს, მისი ამბავი ერთმა მკითხავმა გაიგო და გამოუცხადა ხალხს. ხალხმა მის ამოსაყვანად ბევრი იწვალა, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ბოლოს ისევ მკითხავმა უთხრა, რომ იახსარი აბუდელაურის ტბაში არის სიმურში დამრჩალი, იქ მან დევი მოკლა. დევის სისხლი ტბას აქვს გადაფარებული და ველარ ამოვა. მანამ ეს არ გაიხსნება და გზა არ ექნებაო. ახლა ამ სისხლს რა მოაშორებდა და ამ გზას რა გახსნიდა, ამაზე დაღონდნენ. ესეც ისევ მკითხავმა გამოურჩია: სოფელ ბლოში ერთ კაცს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი ჰყავს, ის გამოართვით, იმ ტბაში ჩაკალით და გზა გაეხსნებაო. მოსთხოვეს ბლოელ კაცს ცხვარი და მანაც უარი არ უთხრა. როცა იახსარმა ტბის პირზე მისულ დევს ლახტი ესროლა, თვალი გამოსთხარა და კლდე ოთხად გაატეხინა, აი ამ კლდესთანაც დაკლეს ეს ოთხრქა, ოთხყურა საკლავი. სისხლი ტბაში ჩავიდა. გაიხსნა ტბის ზედაპირი, ერთი ბროლის ქვა ამოვიდა და ამოჰყვა იახსარი. ის ქვაზე მტრედის ალით დაჯდა. ყმათ დაინახეს და დაიწყეს პირჯვრის წერა. მას შემდეგ იახსარი ხორცივლობიდან იქცა ხთიშვილად.

იახსარი აქედან გაფრინდა და ლიქოკისთავს კარატისწვერზე მოიკიდა კოჭი ე. ი. დაბძანდა. მას აქეთ აქ იახსრის ნიში და საზარე ააშენეს. აქედან გამოფრინდა და უბისთავს, კარატისწვერზე მაღალ მთაზე მოიკიდა კოჭი. აქაც საზარე და კოშკი არის აშენებული. აქედან შუაფხოში ჩამოვიდა და აქ სამუდამოდ დაარსდა.

იახსარი სამ წელს ყოფილა ტბაში. იახსარის ნაამბობს მკითხავები გადმოსცემდნენ ხალხს: ტბის ძირში დევების სოფელი ყოფილიყო და იქ ვყავედი ტყვედ დაჭერილიო. მერე საკლავი რომ დაიკლა და გზა გამეხსნა, ხვთიდან ბრძანება იქნა და ამოვედიო.

რომელმა ბლოელმაც ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი მისცა, მას უთხრა იახსარმა: „შენ კაი სიკეთე ჰქენი, რომ ცხვარი მიეცი ჩემ ყმათ და მე დამიხსენითო. შენ ერთხელ მიშველე, სამაგიეროდ მე სამჯერ გიშველიო. როცა ძალიან გაგიჭირდება, მაშინ შამომძახე და დაგიხსნიო. ერთხელ ამ ბლოელი კაცის ოჯახს სისხა შეუდგა და დალუპვაზე იყო მისი საქმე მისული. დაიწერა პირჯვარი და შასძახა იახსარს: „დალოცვილო იახსარო, შამოძახილზე ნუ გამიწყრები, მომირჩინე ეს ავადმყოფები. გადამარჩინე ამ უბედურებას და მოვალ მომავალ დღეობაში შენს კარზე ზღვენითა და სანთლით ჩემის ოჯახით მოვალ, თუ ისინი ცოცხლები დამრჩებიანო." იახსარმა გაიგო მისი მდგომარეობა, მიეშველა და გამოიხსნა უბედურებიდან ის და მისი ოჯახიც. მეორედ გაჩნდა ბედნიერი (სახადია) და ამ ბლოელის ოჯახსაც შეუდგა. მაშინაც ბლოელმა იახსარს შემოსძახნა, მოეშველა და

ყველანი გადაარჩინა სიკვდილს. ბლოელიც დანაპირებ-ნაქადებს არ გადასთქვამდა, გადარჩებოდა უბედურებას თუ არა, მოჰყავდა საკლავი, სანთელი და ემსახურებოდა იახსარს ჩვეულებრივი წესით.

მესამედ ბლოელმა შამოსძახნა უბრალო საქმეზე: ნამთიბლავი ჰქონდა ასახვეტი, ამ დროს საავდრო ღრუბელი გაჩნდა ცაზე, ბლოელი შეშინდა, რომ გაავდრდეს, ნათიბი გამიფუჭდებაო, მოაგონდა და შემოსძახნა იახსარს: „დალოცვილო იახსარო, ნუ გააავდრებ, ნათიბს ნუ გამიფუჭებ და შენს კარზე სამსახურით მოვალო“. ამ დროს თურმე იახსარი ხთის კარზე იყო შამხდარი რაღაც დიდი საქმისთვის, თავის სახელის ხსენება და შეძახნება გაიგო და მოსაშველებლად მობრუნდა, იქ აუცილებელსა და დიდ საქმეს კი თავი დაანება. მოვიდა და ნახა, რომ ამას დიდი არაფერი უჭირდა. თავის გულისათვის შაუძახნებია და ხთისკარიდან იმისთვის დაუბრუნებია. გაწყრა იახსარი, შერისხნა და ის ოჯახი სულ ამოწყვიტა. მერე მკითხავის პირით თქვა: იქ ხთისკარზე ძალიან დიდი საქმისათვის ვიყავი მისული, შამოძახნება რომ გავიგე, ჩემს წესს ვერ გადავედი და მოვბრუნდი ხთისკარიდან, შემოძახილის ადგილზე მივედი, ვნახე, რომ საქმე არაფერი უჭირდა, იქ კი დიდი საქმე დამრჩა გაუკეთებელი, ამიტომ გავუწყერი და თავისი ოჯახით ამოვწყვიტეო.

ალ. ოჩ. ფშავი 41-47
(მთხრ. ხევისბრები ბიჭურ ბადრიშვილი და ჭრელ ჯიხვიაშვილი)

## 203. იახსრის ზარი

იახსარში ჰქონიათ სახელგანთქმული ზარი, ტანად პატარა, მაგრამ მისი ხმა ახადს ისმოდა თურმე შუაფხოდან:

ავისგორს შამიკიდოდით ჩემი პატარა ზარიო,
დაჰკრან, ხმა ახადს გავარდეს, პირს დაიწერონ ჯვარიო,
ლოცვა-წირვაზე დადგოდენ ჩემის პირქუშის ყმანიო.

ზარი პირველად გალმა ხატში ეკიდა. რაკი ავისგორს გადმოვიდნენ, ზარის გადმოტანაც აქ უნდოდათ, მაგრამ ამ დროს მტრიანობა იყო, ეცემოდნენ ლეკები და სხვა მტერი. ეს ზარი სახატო ქონებაში ყველაზე მეტად ეხარბებოდათ და ამიტომ მალავდნენ ისევ სახარბაკეში. მხოლოდ დღეობას გამოიტანდნენ, ავისგორს საზარეზე დაჰკიდებდნენ. დილა-საღამოს, როცა დაწესებული იყო, დარეკავდნენ, მერე კი ისევ გაიტანდნენ და დამალავდნენ სადმე მიწაში.

ერთხელ გივი ხევისბერს დავიწყნოდა სამალავი და ველარ იპოვნა ზარი. ბევრი იარეს, ბევრი ეძებეს, მაგრამ ჯერაც დაკარგულია. მის საძებრად ნათხარი ადგილები ჯერაც ეტყობა, მაგრამ ალბათ რაიმე მიზეზით თვითონ იახსარმა დასდო საფარველი, თორემ უნდა ეპოვნათ იმდენი ძებნით. დარჩა საზარე ცარიელი. მერე ზოგი ხალხმა შეკრიბა, ზოგი სახატო ცხოვრება გაყიდეს და გივი ზარის საყიდლად წავიდა, ორი დასტურიც გაჰყვა.

მისულან, სადაც ზარები იყიდება. შესულა გივი და იახსარი იქ დახვედრია: ერთ-ერთ ზარზე მტრედის ალით იჯდაო. ამით მიხვდნენ, რომელი ზარიც უნდა ეყიდათ. იყიდეს, მოიტანეს და იახსრის საზარეში დაჰკიდეს.

ალ. ოჩ., ფშავი 52

# 204. ბრძოლა ალვისტანისათვის

ალვისტანი რო გვქონდა — ჯვარი, ლიქოკელები იმას გადმასდევნებიან. პაპაშჩემს ხახულია ქვივნილა. ის მაღლა ხევსურეთის კარატში მაუკლავ ხევსურებს ჯვარის თაობაზე.

როცა ხევსურები წამოსდავებიან, ხახულიას უთქვია: „მაუყვანეთ ქადაგი, მე ამ ხატს წამოვაბძანებ. თუ ბძანა აქ დარჩენა, თუ არა და წავაო." თორღვა შუშანათი ყოფილა, მედროშავე. წასულა ისიც. მისულან, დაუსვამთ მეენე და ქადაგს უთქვია, რო იქვე უნდა წავიდეო. მე აქ არ მოვიკიდებ კოჭსაო. იმ თორღვასთვინ უთქეიათ. წამოდი ბინაზედაო. აქით წამოუყვანიათ და უნდა ხმალი დეეცათ: ის გადარჩენილა. ხახულია კი მოუკლავთ. ამდგარა და იმ თორღვას ჯორისთევი აუკიდია ცხედარი, დროშაც აუკიდებია, აუღია ჯვარი და წამოსულა. შაუკრია გზა ჴევსურებს. დამაცინტაკა ორჯერაო. გამაუცვალე წამალი, ხმალსაც ამოვსწიე, მაგრამ ჴევსურს — უფროს კაცს არ გაუშვია ისინი.

ლათინურად იყო ჯვარზე დაწერილი. ის ჯვარი ტოხიანთ ჴევშია. აქ ერთი ოქრომჭედელი ყოფილა. სადაური იყო, არ ვიცი, თანდილაანთ კაციც იყო გოგოლაურთაში. მას ქვაბებსაც უკეთებდა. ის ხატი მეტი ნაწილი ოქროსა იყო.

მთხრ. ბიჭურ ბადრიშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 24.07.1952.
თსუფა 30064

## 205. ცაბაურთის ხატი შუაფხოში

ერთი ცაბაური ქალი იყო შუაფხოში გამოთხოვილი. ეს ქალი ჰყავდა ვიღაც ფოცხვერათ კაცს. ამ ფოცხვერათ სისხა შეუდგათ და იხოცებოდნენ. ცაბაური ქალიც ძალიან ავად გახდა და მამას შეუთვალა: „ხატი გამოაბძანე, შუაფხოსკე გადმოახედებინე და იქნება მეშველოსო." მისი მამა მთავარანგელოზის ხევისბერი იყო ცაბაურთაში. ორჯერ დანაბარებზე მამამ არ შეუსრულა, რადგან უდღეობოდ ხატის გამობძანება არ შეიძლებოდა. მესამედაც რომ შეთვალა, ვკვდები, მიშველეო, ხევისბერმა ჯერ ერთხელ გამოაბძანა და გადმოახედებინა ცაბაურთიდან შუაფხოსაკენ (ცაბაურთა მაღლა მთაზეა, შუაფხო კი — ჭალაში, ცაბაურთის გორის ბოლოში). მეორედაც და მესამედაც რომ გამოაბძანა და გადმოახედებინა, „დასცქვრა" ხელიდან ხატი და გადმოფრინდა. წამოვიდა და ფოცხვერათ სახლის თავზე რომ მოვიდა, თოფივით დაიქუხა, საკვმისას სახლში პირდაპირ ცეცხლში ჩავარდა. ნაწილი კიდეც დაიწვა. მოასწრეს და გამოიტანეს ცეცხლიდან. გაწყრა ხატი და ის ხევისბერი თავისი ოჯახით სულ ამოწყვიტა: უდროოდ რად გამომაბძანეო. ამ ფოცხვერათ ოჯახიც, ვისი გულისთვისაც ხატი იყო გამობძანებული, სულ ამოწყდა. მერე ხატმა აღარ მისცა ნება, რომ ცაბაურთაში წაებძანებინათ და დარჩა შუაფხოში, იახსარში.

ფოცხვერანი იყვნენ გვარად ბადრიანები და ამათ გვარს ჯერაც დანადები აძევს — საკიდლის ნათვლა. ყველა კლავდა წელიწადში ერთ საკლავს თავის ოჯახში. ადიდებდნენ იახსარს, მთავარანგელოზს და სისხლს უწევდნენ თავის საკიდელს.

მას შემდეგ აიკრძალა ცაბაური ქალის გამოთხოვება შუაფხოში და შუაფხოველი ქალის გათხოვება ცაბაურთაში. თუ ეს მოხდებოდა, ბოლო კარგი არ იყო: ან შვილები დაეხოცებოდათ ან სულ არ ეყოლებოდათ, ან ცოლ-ქმარში მოკვდებოდა რომელიმე ადრე.

ალ. ოჩ. ფშავი 94

## 206. გივი ხევისბერი და ბადრიშვილი

იახსარი პირველად იმ ადგილას დაარსდა, სადაც ახლა სახარბაკეს ანუ გალმითა ხატს ეძახიან. მერე აქედან გამოვიდა ავისგორს, სადაც გამხვეურა დევის შვილებს პირველად შეებრძოლა და სასახლე დაუშალა. სახარბაკედან ხატის ქონება სულ აქ გადმოზიდეს.

ამ დროს აქ იყო დიდი ხევისბერი გივი ფოცხვერაშვილი. ის ხატს პირად ელაპარაკებოდა. იახსარმა მისი პირით ბრძანა ავისგორს დაარსება თავისი მთავარი საარსოსი და სალოცავისი.

გივი ხევისბერმა ხატის ქონების მეტი წილი თავისი ზურგით გადმოზიდა. როცა სალუდე ქვაბი დაიდო საბელზე და უნდა გადმოეტანა, წამოიწია და ვერ მოერია, ვერ წამოიკიდა. ამ დროს აქ ერთი ბადრიშვილი იყო, შუაფხოველივე და იახსრის ყმა. მან წამოუწია ქვაბს და გივიმაც აიკიდა ქვაბი და წაიღო. ამაზე ბადრიშვილი ავად გახდა, ჩავარდა ლოგინად და კინაღამ მოკვდა. ბოლოს, იახსარმა მკითხავის პირით შემოუთვალა: „შენ რად მიეშველე ქვაბის წამოკიდებაში, შენ ვინა გკითხავდა, მე ჩემ ყმას ვცდიდი, აიკიდებდა, თუ ვერა. მე თვითონ ან ავაყენებდი ჩემ ყმას ან არა, თვითონ ვიცოდიო."

ამაზე ბადრიანებს დანადები აძევს: წელიწადში ერთი საკლავი და ერთი კოდი ლუდი საშობაოდ.

ალ. ოჩ. ფშავი 52

## 207. თავხევისბერი ბადაანთ კაცი

ხატის მაამური ვინცა ყოფილა, იმას ხატი აფასებდა. ბადაანთ კაცი ყოფილა თავჴევისბერი ერთი. აქა სცოდნია ფსიტები. მანდ ნაწვეთასთან ყოფილან გადმოყრილები. ამ ჴევისბრის შვილი მონადირე ყოფილა. ერთადერთი შვილი ჰყოლია.

— უნდა ფსიტის ჴორცით პირი გავაჴსნევინო ჴევისბერსაო, — უთქომ და სანადიროდ წასულა. მოუკლია ფსიტი, მაგრამ თან გადაჰყოლია და მომკვდარა. შაბათ დილას საკლავი დასაკლავია, მაგრამ ვინ გაუბედავს ჴევისბერს, რო უთხრას. ბოლოს, როგორც იყო, უთხრეს ჴევისბერს. ის ძალიან მორწმუნე კაცი იყო, უთხრეს ჴევისბერს. ის ძალიან მორწმუნე კაცი ყოფილა.

— მოასვენესო? — უკითხავ.

— არაო.

— აბა მორეკეთ საკლავებიო, დავჴოცოთო. სახლში უთხარით, მანამ წესს არ მოვრჩები, ვერ მოვალო.

უიმისოდ დაუსაფლავებიათ.

მემრე გაუქადაგებია ისი ხატსა: მოგცემ ძესაო და მიუცია კიდევაცა.

აი ესეთ ხალხია მაამური.

მთხრ. იოსებ ელიზბარაშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 13.07.1979.
თსუფა 29997

## 208. კოჭლაურა

ახმეტაში იახსრის ვენახში ქვევრი იყო ამოჭრილი ერთი კოჭლი კაცისგან, ამიტომ ამ ქვევრს კოჭლაურა ერქვა.

იახსარმა რომ დევები ყველგან ამოწყვიტა, ნახა, რომ ეს კოჭლი კაცი დევებს ჰყავდა დაჭერილი და აკეთებინებდნენ სხვადასხვა იარაღს. იახსარი მივიდა ამ კაცთან და უთხრა: „დევების პატიმრობიდან დაგიხსნი, თუ ერთს კაჟის ქვევრს ამომიჭრიო."

კოჭლმა პირობა დაუდო: ოღონდ იმათ ხელიდან დამიხსენი და ისეთ ქვევრს გაგიკეთებ, რომ იმისი ცალი ქვევრი არც აქნობამდინ გაკეთებულიყოს და არც ამის შემდეგ ვისმე შეეძლოს იმისთანა ქვევრის გაკეთებაო.

იახსარმა დევების განწყვეტის შემდეგ ეს კაცი დააბინავა ახმეტაში. გამართა კაცმა სამჭედლო და ისეთი იარაღები გამოჭედა, რომ ხესავით ჭრიდა. ეს კაცი იახსარმა თავის მარანში დააბინავა და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდა და პატრონობდა ვენახს.

ალ. ოჩ. ფშავი, 64-65

## 209. გადმოცემა კვირას სალმთოს დანესებაზე

როცა ჭირვეულობა გაჩნდებოდა, მაშინ დაუნესებიათ სალმთო. წინათ ხო ტყვეები უვლევავ ლეკებსა. ტყვე ყოფილა აქით დაჭერილი, აჭადელი კაცი. მამუშავებდნენო. ტყე იყოო. იმასა ვჭრიდიო. კაცი გამოჩნდაო, მოვიდაო და მითხრაო:

— ბიჭო რადა სჭრი ტყეებსაო, ჩემია, რად მიფუჭებო.

— რა ვქნაო, ტყვე ვარო და მაჭრეინებენო,

— ტყვე ხარო? არ გინდაო, რო სახლში წახვიდეო?

— აბა, როგორაო?

— რას მამცემ, რო გაგგზავნოო?

— რა მაქვს, რა მოგცეო.

— ფირფილა ხარი რო გყავ სახლშიო, ის მამეციო.

— სახლ-კარსაც მოგცემო.

ხარის რქა ეჭირაო. მითხრა: ჩახედეო.

ჩავხედეო და ვნახე აჭადის მთაო, ჩვენი ქოხიო. ჩემი ცოლი მატყლს ასთავდაო, დედაჩემი ტიროდაო. მემრე უთხრა იმ კაცმაო: შაკმაზე თეთრი ცხენიო, ერთი თამაქო წაიღეო და ცხენით იარეო. რო დაგიღამდებაო, როცა დასდგებიო, იქ ცხენს რო მოხდიო, წყალი დაასხი იმ თამაქოსაო და მაათრივე, სადაც შენა და შენი ცხენი სდგეხართ სიმურგვლივაო.

ისე ვქენო. რო გათენდაო, მთელი ესე იყო გველი (ხელით აჩვენებს — თ. ო.) წამომდგარიო და თამაქოს ველარ გადმოსულიყვნენო.

წავედო. იმ კაცმა მითხრაო:

— რო მიხვალო, ის ხარიო ლაშარს დაჰკლოდიო, ჩემი ძმობილია ისიო, ლაშარის ჯვარიო. სუ კარგად ვიარეო, გამიყვანა ცხენმაო. დავკალ ხარიო, სალმთო ვქენო. მემრეო აჴადისკენ მივდიოდიო, საკვირაონია იქა, და ზემოდან გადმოჩნდა ისევ ის კაციო.

— ვერ მიცანი? — მითხრაო.

— კია, შენი ჭირიმეო.

— შენ რო ჴარი დაჰკალ, ეხლა ის ხარი ჩემთან არიო. ეხლაო ფშაველთ გამაუცხადეო: მე კვირა ვარო, აჰკვეთონ ერთი დღეო და ქნან სახმთოო კვირას სახელობაზეო. აი, ამაზეა დანადები.

მთხრ. ბიჭურ ბადრიშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 6.08.1967.
თსუფა 30065

## 210. დევის სისხლი

ვისაც მართებს დევის სისხლი, იმ ხალხსა სტანჯავენ. დევები თვითონაც ხორცივლებია.

დევის თავი ემართა შუშანათა. ბალიაურთ ჰყვანდა ბულალაურთაში მოკლული. ფაცერი სდგმიათ. იორზე თევზი იცის. იმ ფაცერთან მაჰჴდომია ბალიაურსა და იქ მაუკლია.

შუშანათ მასდევს დევის თავი. აბუდელაურზე შუშანათ კაცს რო მიუტანია დროშა, დაუკრავ ტბისთვი დროშა, — მე დავკარი დიდო იახსარო და შენც დაჰკარო.

მე რალა დაკვრა მინდოდა, — დევს უთქომ, — მეორედ მაგან რომ დამკრაო. იმის შემდეგ თავი დეედვა დევისა.

ცხვარი ჰყოლიათ შუშანათ მთაში. ღრუბელი მოიდაო და დაბნედილა შუშანათ ხალხი სუყველა. მარტო წყემსი დამრჩალა. რომელიც კაი რძალი ყოფილა, ის გაგიჟებულა. ქათამს შემოვავლებდით, ყივილი დაიწყისო, ციკანს რო შემოვავლებდით, კიკინი დაიწყისო.

ჰეპრუწუწუნ პირქუშაო, — იძახის ქალმაო, — რომენიც კაი რძალი იყო, ვერ გამოგირჩიეო?! იმის შემდეგ მასდევს მაგათა.

მთხრ. ბიჭურ ბადრიშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 24.07.1952.
თსუფა 30066

# ცაბაურთა

## 211. ცაბაურთის მთავარანგელოზი

ერთი კაცი, ალბათ თუში იქნებოდა, ცხოვრობდა თუშეთში, სოფელ დანოში. ამავე დროს ყვარელში მდინარე ბურსას გვერდზე ყოფილა სატახტო ქალაქი, სადაც მეფე ცხოვრობდა (ნაქალაქარი ახლაც ეტყობა ყვარლის ტყეში და ნატახტარს ეძახიან). დანოდან ეს კაცი წამოვიდა და მეფეს სთხოვა, აქ დავსახლდებიო. მეფემაც ნება დართო. დაიწყო ცხოვრება ამ ქალაქში. მერე ქალაქს დაღისტანი შემოესია, მეფეც მოკლეს და ქალაქი გადაწვეს. ვინც მოასწრო, ქალაქიდან გაიქცნენ და შეეხიზნენ მთებში (ნატახტარს ახლაც ეტყობა დამწვრობა). ეს თუშიც გამოიქცა და გადმოვიდა იორზე. სოფელ კერნოვანში გაიკეთა ეკლესია და წმიდა გიორგის ჯვარზე ლოცულობდა. აიშენა ციხეც ოთხთვლიანი, რომელიც ახლაც ისევ დგას. აქ ეს კაცი ისე გამრავლდა, რომ მისი შვილ-შვილიშვილი აღარ დაითვლებოდა. გაკეთდა დიდი სოფელი და თანაც მდიდარი. გაიგეს ლეკებმა ამ სოფლის სიმდიდრეზეც. ორმა თავგამოჩენილმა ბელადმა შეკრიბა ჯარი და დაეცნენ ამ სოფელს. ჯერ პირველი ბელადის ჯარი ჩამოვიდა და ბელადმა ზევიდან დაჰკივლა. ხალხმა გაიგო მტრის მოსვლა და შეიარაღებულნი გამოვიდნენ ციხიდან. ბელადმა დაინახა, რომ ბევრი ხალხი გამოიშალა, და თქვა: „დახე, რა ხუხუნი გამოიღესო!" მას აქეთ დაერქვა ამ გვარს ხუხუნაშვილები. პირველი ბელადის ჯარი დაეცა სოფელს და გაიმართა ბრძოლა. დამხვედრებმა სძლიეს და გაანადგურეს ჯარი. მოჰყვა ამას მეორე ბელადი თავის ლაშქრით. ამასაც შეეგებნენ ხუხუნაშვილები, ლაშქარი დაამარცხეს და ბელადი ცოცხლად დაიჭირეს, მოსჭრეს ცხვირი, მარჯვენა ყური, მარჯვენა ხელი და ისე გაუშვეს: „წადი და შენს ლეკეთში თვითონ წაიღე შენი გამარჯვების ამბავიო."

ამ ამბის შემდეგ იცოდნენ, რომ კარგი დღე არ დაადგებოდათ, ლეკის ჯარი დაესხმოდა თავს და გაანადგურებდნენ. აქედან აიყარნენ და წავიდნენ (ის ციხე და ეკლესია იქ ისევ არის), შემოიხიზნენ და მზილას დასახლდნენ, მდინარე ნაროულას სათავეში, ცაბაურთის

გვერდზე. მათი ნასახლარები ახლაც ეტყობა ამ კლდეებში. აქედან-აც აიყარნენ და გაიფანტნენ სხვადასხვა ადგილებში. ზოგი რუსეთში ნასულა, ზოგი სათათრეში, ქართლში (კასპში) და ერთი სომხეთში, რომელიც მისულა ერთ წმიდა ბერთან. ეს ბერი ამავე დროს ყოფი-ლა გმირი. ერევნის ქალაქი მას ემორჩილებოდა და მათგან ბეგარას იღებდა. მისულა კაცი ამ ბერთან და მებაღედ დამდგარა. რამდენიმე წელიწადი იცხოვრა აქ. მერე ხმა დავარდა, რომ ერევანს მტერი უნდა შემოსეოდა და გაენადგურებინა ქალაქი. ამის გამო ბერი წამოვიდა იქიდან და მებაღეც გამოჰყვა. მოვიდნენ და თიანეთის ზემოთ პატ-არა გორზე დასახლდნენ. ააშენა ბერმა პატარა ეკლესია და ლოცუ-ლობდა აქ. ამ ადგილს ახლაც ბაღიანი გორი ჰქვია და მისი ეკლე-სიაც აქვე არის. აქედანაც მტრის შიშით აიყარა და წამოვიდა. ჯერ დასახლდა კანალხევში, მერე მოწმაოში და აქედან ცაბაურთაში. აქ დასახლდა ახლანდელ ბელღის კარს. თავისი მებაღის მოდენილობი-დან მოიყვანა სამი კომლი და ცაბაურთაში დაასახლა. აქაც აიშენა პატარა ეკლესია და ლოცულობდა. აქედან თავისი მებაღეებით გა-დასახლდა მათურაში. აქაც სამლოცველო ეკლესია გაიკეთა. აქედან მტრისავე შიშით ისევ აიყარნენ და დასახლდნენ ცაბაურთაში. იმისი სამლოცველოს ადგილზე ახლა ბეღელია და ბელღისკარი ჰქვია ამ ადგილს. ლევანი (თათარაშვილი, ცაბაურთის მთავარანგელოზის ხევისბერი) ამბობს, იახსრისა და კოპალას დედას რუსუდანი ერქვა, მთავარანგელოზის დედას მარიამი. ესენი დები იყვნენ. ეს ბერი მთა-ვარი იყო და ბოლოს მთავარანგელოზად იქცა, როცა ხვთიშვილი გახდაო.

ბოლოს, ქისტის ჯარი დაეცა ცაბაურთას და ააოხრა. მთავარი ბერის ეკლესიაც ქისტებმა დაანგრიეს. ამის შემდეგ ბერი დაუმე-გობრდა პირქუშს, მჭედელს, და თავისი სურათი გააკეთებინა დრო-შაზე. ჯერ თვითონვე დადიოდა ერევანში და თავის ყმებისაგან ბეგარას იღებდა: წელიწადში სამოც ცხვარს და სამოც ხარს. მოუ-დიოდა ბეგარა და ყმანი — ხოხორდაულნი ინაწილებდნენ. ცაბაურ-თას ქისტის ჯარი მეორედ დაეცა და ამის შემდეგ აღარავინ იცოდა, სად წავიდა ეს ბერი. ყმანი ხოხორდაულნი კი აქ დარჩნენ. ბოლოს, ეს ბერი გამოცხადდა მთაწმიდას მთავარანგელოზად და თავისი ყმები მთაწმიდას მოითხოვა.

ყმანი მთაწმიდაზე ავიდნენ. მთავარანგელოზმა თავისი პირველი ხევისბრის გამახარე ხოხორდაულის პირით გამოუცხადა: „მე დამბადებელმა თქვენ სალოცავად ჩამომგზავნა, სისხმის ნამსა და მზის შუქს ჩამომაყოლა და თქვენი თავი ყმად ჩამაბარაო". ხოხ-ორდაულთ მაშინვე ყმობაზე თავი დასდვეს და ხევისბერის ბრძანებით შეუდგნენ წესების შესრულებას. ამის შემდეგ მთავარანგელოზმა

დამბადებელს მოსთხოვა საბძანებელი და სანადო ადგილები. დამბადებელმა მისცა ის ადგილი, სადაც ეკლესია ჰქონდა წინათ და აქვე მისცა სანადო მამულებიც. მერე ცაბაურთაში სამ ადგილას გაკეთდა მთავარანგელოზის სამლოცველო. ბელლისკარი იყო ცაბაურთიდან აღმოსავლეთ მხარეს, იქვე, სოფლის ახლო. და მამულებიც აქ იყო სახატო. მეორე სამლოცველო იყო ღუნხევს, ცაბაურთის ზემოთ ჩრდილოეთ მხარეს. აქ მთავარანგელოზი ბურთაობდა. ხევისბრები ასე იტყოდნენ: „ღუნჴევს მებურთვალო". მერე მთაწმიდას, სადაც პირველად დაარსდა მაღალ მთაზე, საზარე და კოშკი ააშენეს, აქვე იყო საბეროც. ღუნხევსაც და ბელლისკარსაც საზარე, სალუდე, საბერო და ბეღელი იყო და ისევაც არის, ოღონდ ცარიელი. დროშა დარჩა თვით ბერის სურათით, პირქუშის გაკეთებული.

პირქუშის გაკეთებული დროშით, რომელიც ბერის სურათით იყო შემკული, დაიწყეს ერევანში სიარული და ბეგრის აღება ბერის ყმათაგან. მიდიოდნენ დასტურ-ხევისბრები და ყმანი ხოხორდაულნი. ხოხორდაულთ ცაბაურთის სხვა მცხოვრებნიც შემოუერთდნენ მათავარნგელოზის ყმად. მაგალითად, ჩიტონი, გოგნელანი და ბეკურაულნი. ესენი ისეთივე ყმანი გახდნენ, როგორიც იყვნენ ხოხორდაულნი და ისეთსავე მონაწილეობას ღებულობდნენ მთავარანგელოზის სამსახურში. ამათაც დაიწყეს ერევანში გაყოლა ბეგრის ასაღებად. მოტანილ ბეგარაშიც წილი ედებოდათ. მოყვანილი ხარები ზოგი ცოცხლად ინახებოდა, ზოგს დაკლავდნენ და ხორცს ინაწილებდნენ, ცხვარს კი ხატის ცხვრად უშვებდნენ.

ერთხელ წავიდნენ ერევანში ბეგრის ასაღებად მთავარანგელოზის დროშით და პირქუშის გაკეთებული სურათით (ერევანში დროშას და ზედ იმათ ბატონის სურათს რო დაინახავდნენ, დაუზარებლად აძლევდნენ ბეგარას). მისულებს ბევრი სასმელი დაალევინეს. ერთმა მღვდელმა ჯვარი მოიპარა და ხიდის ყურეში დამალა. ეძებეს ხატი (ჯვარი) და ველარ იპოვნეს. ერევნელებმა უარი უთხრეს: „ჩვენ არ ვიცით, ვინა ხართ. თუ ჩვენი ბატონის ყმანი ხართ, მოიტანეთ მისი დროშა და სურათიო." მისულებმა ვერაფერი უთხრეს, რადგან ხატი აღარ ჰქონდათ და დაბრუნდნენ ცარიელები.

რამდენიმე წლის შემდეგ ერთმა ხოხორდაულმა მოიგონა მკითხაობა, რომ თავისი ხატი ეპოვნა და წავიდა ერევანში. მალე გაითქვა მკითხაობის სახელი. თან ჩუმად კითხულობდა, სად იყო მათი ხატი დამალული და ვინ მოიპარა. ეს ყველაფერი გაიგო. ახლა იმ ამბავმა შეუწყო ხელი, რომ რაც ეს ხატი მოიპარეს, მას აქეთ რამდენიმე წელი იყო და ერევანში ცას ნამი აღარ ჩამოვარდნილა. მოსავალი არ მოდიოდა და ხალხი სიმშილით იხოცებოდა. აბრალებდნენ ხატის მოპარვას, მაგრამ სადაც დამალული იყო, იქიდან მის გამობრძანებასაც

ვერავინ ბედავდა. ვინც მოიპარა, ის მღვდელი აღარ იყო ცოცხალი და იყო ხალხი შეწუხებული. ამ უწვიმრობის შესახებ მკითხავთან მოვიდნენ და მკითხავმა უთხრა: თქვენ მოგიპარავთ წმიდა ბერის დროშის ხატი, ის ხიდის ყურში არის დამალული და, თუ არ მოიშორეთ, გვალვას კი ნუ სჩივიხართ, ერევანი ცეცხლში გადაიწვებაო. ხალხმა სთხოვა, ოღონდ ის ხატი მოგვაშორე და, რაც გინდა, გადაგვახდევინე. მან უთხრა: „მე საიდან მოგაშორებთ, ჯერ ქალაქი რა დღეში ხართ და მე ერთი კაცი მაგას რას გაუხდებიო." ეს კაცი ხატის წამოსაბძანებლად იყო მოსული, მაგრამ ეჭვი რომ არ აეღოთ, მაინც უარს ეუბნებოდა. ბოლოს, უთხრეს: „თუ მოგვაშორებ ამ ხატს, ორი უღელი ხარ-კამეჩი რასაც დასძრავს, ოქრო-ვერცხლს გაგატანთ და, თუ არ მოგვაშორებ, მოგკლავთო." დათანხმდა ეს კაცი. ჯვარი ხიდის ყურიდან გამოაბძანა და წამოიღო მათი მიცემული ოქრო-ვერცხლიც და ჯვარიც.

ხოხორდაულები ზოგნი თიანეთში ცხოვრობდნენ, ზოგნი ცაბაურთაში. ამ კაცმა რაც კი ერევნიდან მოიტანა, ზოგი ხატს შესწირეს და ზოგი თვითონ ძმურად გაიყვეს.

ალ. ოჩ. ფშავი 127-130
(მთხრ. ხევისბ. ლევან თათარაშვილი)

## 212. ხელიდან გაფრენილი ხატი

ცაბაურთის მთავარანგელოზის დანადები აქვთ შუაფხოვლებს. ფოცხვერთ ნასახლარში (კუჭუნათი) — დიდი სახლი იყო, სისხა გაჩენილა. ცაბაური ქალი ყოფილა აქ გამოთხოვილი, უთქომ, რო შეწუხებულა: მამაჩემს უთხარითო, ხატი გამააბძანოს და გადმაახედნოსო. უდღეობო დღეს გადმაუხედნებია. დაჰგლეჯია ხატი ხელიდან და გამოფრენილა. საკმისას, კერაში, ნიგზურებში ჩავარდნილა. ეხლა ის ცალი მხარე იმ ჯვარსა ემჩნევა, დამწვარია. ამაზე გვაძე ჩვენ დანადები. ის კაცი სულ ამოწყვეტილა. ის ქალიც მამკვდარა. ქალებსაც აღარ ვირთავდით ერთმანეთისას. არცა ხეირობდა. მე ბაბაი არ მეკუთვნებოდა (ცოლზე ამბობს), იმიტო, რო მჭედლურები ცაბაურთ ხატის ყმებია. დანადებად გვაძე ჩვენ საჩაქუნაუროს. ამაღლებას უნდა ქნან. ჩვენ საბადრიანოთა მაშინ უნდა დავკლათ საკლავი.

მთხრ. ბიჭურ ბადრიშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 06.08.1967.
თსუფა 30067

## 213. გამახარე ხოხორდაული I

ახალწელიწადს დადენილან მეკვლენი, ხევისბერნი მთაწმიდას. ერთხელ, როცა ახალწლის ღამეს იქ იყვნენ, დიდი თოვლი მოსულა. მეორე დილას ხევისბერი ჩამოუძღვა მლოცველებს წინ თავისი დროშით და იმას ფერხისაით მოყვებოდა ხალხი.

ხევისბერს დროშა ხელში უჭირავს, ნილობები კალთით მოაქვს და წინ მოდის, თავხევისბერი რომ იყო. მოწყდა, შაუსქდა ზვავი და წამოიღო ზვავმა. დიდი ქვა, სასუფრე, სატაბლე, რაზედაც აწყობდნენ, ისიც თან გამოაყოლა. როცა მზილას მოაღწია ზვავმა, ის ქვა ცოტა ზენად დადგა, ის კაცი კი ხევზე დააყენა. ზვავი რომ შეჩერდა, ხევისბერი ფეხზე იდგა, დროშაც და ნილობებიც რიგზე იყო, არაფერი დაბნევია. ხევისბერი თოვლიანი იყო. დაიბერტყა თოვლი და უთხრა მათავარანგელოზს: „დროშა გადაგირჩინეო." არ დაუფასა ხევისბერმა და იქით შეედავა: „მე გადაგირჩინე დროშაო." მერე რომ ვერ შეაგნებინა ხატმა, აღარ ახევისბრა და მოკლა. იტირა იმისმა ნათესავმა:

ნეტავი შენა, ბედსა შენსა,
ხოხორდაულო გამახარეო,
მთაწმინდით წამოგიღო ზოვმაო,
მზილას ფეხზედავ დაგაყენაო,
კალთას ნახვევნი ნილობანიო
ცოლ-შვილთავ მიუტანენ შინაო.

და მერე მთაწმიდას აღარ მიდიოდნენ საახალწლოდ.

ბარდ. ფშავი 102

## 214. გამახარე ხოხორდაული II

ერთხელ მთაწმიდაზე მეკვლეთ დიდი თოვლი მოუვიდა. ლიტანია დღეს შეიცვალა ამინდი, მაგრამ მეკვლენი მაინც ავიდნენ მთაწმიდას. ყველა წესი შეასრულეს. ღამით თოვა დაიწყო. დილისათვის ყელამდინ თოვლი დადო. მთაწმიდას სადღეობო ისეთ გორაზე არის, რომ გარშემო სულ საზვავე ადგილები, დაქანებული გვერდალი კლდეები ახვევია. ხან ერთ მხარეს მოემზადნენ და ხან მეორეს მეკვლენი, მაგრამ წამოსვლა ვერ გაბედეს. ბოლოს გააქადაგა მთავარანგელოზმა ხევისბერი გამახარე ხოხორდაული. მან აიღო ხელში სამი ვერცხლის თასი, მხარზე დროშა გაიდო და ქადაგობით პირდაპირ საზვავე კლდეზე დაეშვა პირთაქვე. გატყდა მთის დიდი ზვავი

და წამოიღო ხევისბერი. ერთი დიდი კლდე წამოიღო და ხევისბერი ზედ მოხვდა. კლდე ვერსნახევარზე ისე ჩამოიტანა, რომ გვერდი არ გადაუქცევია და ხევისბერიც თან ჩამოაყოლა. ჩამოვიდა ხატების პირდაპირ, მზილას. ხევისბერი მშვიდად გადმოვიდა კლდიდან და დროშის წკარუნით გავიდა ხატში. დროშაც მხარზე ედო და თასებიც ისევ ხელში ეჭირა. მთაწმიდაზე დარჩენილნი შეშინდნენ და დაეშვნენ ნაზვავარზე პირთაქვე. რომ ჩამოვიდნენ, ნახეს, რომ კვალი ბეღლის კარისაკენ მიდიოდა. გამახარე ხევისბერი ბეღლისკარის საბეროში იჯდა და მთაწმიდის ამბავს უამბობდა ხალხს. ამ ხალხმაც დაინახა ზვავი, კლდეზე ნაჯდომი გამახარეც და დიდი მოკრძალებით შეხვდნენ, როგორც ხთიშვილისგან გადარჩენილ კაცს.

ამის შემდეგ გამახარეს ხთიშვილთან ერთად სცემენ პატივს. ის კლდე, რომელზეც გამახარე იჯდა, ახლაც მზილას არის და იმის ახლოს მირეული ქალი არ გაივლის. პატივს სცემენ როგორც წმიდა ადგილს.

ხოხორდაული რომ ზვავმა წამოიღო, შემოუძახა: „მიშველე, მთავარანგელოზოო!" როცა გადარჩა, იმის შემდეგ მთავარანგელოზმა კიდევ გააქადაგა და ათქმევინა:

წინწინ რო იძახ, მსახურო, ერევანს ვიყავ ყმისასა,
მეორედაც რომ იძახენ, თავს ვიქენ მთაწმიდისასა,
მესამედაც რო მიძახენ, წვერს ვიქენ მთაწმიდისასა,
მალედვე ჩამოგეშველე, მადლსა იმ შენი ხთისასა.

მერე ხევისბერმა დაიკვეხნა: „მთავარანგელოზო, ჩემმა დავლათმა გიშველა, თორომ დროშაც დაგეკარგებოდა, თასნიც და ხევისბერიც მოგიკვდებოდაო". ეს იწყინა მთავარანგელოზმა. გამახარეს დალევა დაუპირა, მაგრამ ლაშარის ჯვარმა არ დაანება, უთხრა: მე დასალევი ყმანი არა მყვანო.

ეს ხოხორდაულნი ცხრანი ძმანი ყოფილან და ძალიან ამაყნი. არც ხატს ემორჩილებოდნენ ბევრად და არც ხალხს რამეს ჰკითხავდნენ. ამიტომ მთავარანგელოზი მათზე კარგი გულით არ იყო, მაგრამ ლაშარის ჯვარი იცავდა და მათი ზიანის ნებას არ აძლევდა. ბოლოს, მთავარანგელოზმა უთხრა ლაშარის ჯვარს: „ამ ცხრა ძმათ მოგცემ და შენი ყმებიდან ერთი კაცი მომეციო." ლაშარის ჯვარმა ცხრა ძმაში ერთი კოჭლი კაცი მისცა, მჭედელი, ხოშარელი, ისინი კი აიყვანა თავის ყმად. იმ კოჭლი მჭედლის მოდენილობის ხალხი მჭედლურები ახლაც არიან, ცხოვრობენ სოფელ აფშოში, ქუთხში და თითო-ოროლა სხვა სოფლებში.

ბოლოს, მთავარანგელოზმა ხევისბრად დაიჭირა ეს მჭედელი. ამაზე გახდნენ მჭედლურები მთავარანგელოზის ნამდვილი ყმანი.

ალ. ოჩ. ფშავი 140-142

## 215. გამახარე ხოხორდაული III

ეგ ისრე იყო, შვილო, რო მთაწმინდის წვერზე წავიდოდენ წელწადსა, წავიდოდენ მეკვლენი. ჰყვანდა დასტური. ჯევისბერი გარეკავდა იმათა, წაიყვანდენ სასოფლო საკლავსა, დაკლავდენ და იმ ღამეს ჯევისბერი ვერ დაიძინებდა — ეშმაკ მაატყუებდა. ეს ჯევისბერი დამთვრალა, დასძინებია — მაუტყუებავ ეშმაკსა. ამდგარა, გაბანილა ეს ჯევისბერი — როგორ თუ დამეძინა და ეშმაკმ მამატყუაო. მაუმიზეზებავ ამ ხატსა და ერთ ზოვ-მცურავა გამოქანებულა იმ თოვლშია და ცაბაურთას აქათ რო რუვ ჩამოდის, თავის კალთებიანადა (ჩოხის კალთებში შახვეული ჯორცი, წილობები, ქადები...) იქ ჩამაუტანავ, საით წამოღებული, წვერზეით წამოღებული, შვილო, ცაბაურთის იქით, ნინამათის გვერდზედა. ჯევ-ჯუვებ რას არ არი, შვილო! იმაზე რო წამოვიდეს, გეგონება, წისქვილის ღარში მიდის წყალიო (ისე წამოსულა ის ზოვ-მცურავაი). იქ დამდგარან და იქა ლოცულობენ ეხლა, რო იმათა არც ის მაუვიდა, არც ისი. ადგნენ, მიიბერტყ-მაიბერტყეს ეს ჩოჯები და გაიკვირვეს. რო ეს რა მოგვივიდა, ეს რადა ქნა ესრეო და მემრე ჯევისბერს უთქომ, შვილო, რო ესე მამიჯდაო, კაცოო, და ჩემ ბრალიაო ყველაფერიო.

მთავარანგელოზს უთქომ, რო ისეთ იასაულ მოგისიეთო, რო უნდა სულ გადამეყარენითო, რო ერთ ღამე ვერ დასთმეთ ჩემის გულისთვინაო, ძილ ვერ დასთმეთო. მე თავის ყმანი ვერ გავიმეტენო, რო შუაფხოში ჩამეყარნესო. თავის ყმან ვერ გავიმეტენო, რო იაჯსარ დამცინებდაო. ი ხატს ის უთქომ.

იქ სასანთლე არი, იქაცა ლოცულობენ, საცა ისენ ჩამოიდენ.

მთხრ. ბაბალე ტურაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური (მაგნიტოფირი), ლეჩური, 1985.
თსუფა 26321

## 216. ცაბაურთის ხატის დაარსება

### (იფნი კერიაში)

ცაბაურთის მთავარანგელოზი ციდან სვეტად ჩამოსულა და პირველად მთაწმინდაზე დაბრძანებულა, იქ დაუსვენია. მერე ღუნჯევს ჩამოსულა, სოფლის თავში, და აქაც დაუსვენია. ბოლოს კი ბელლისკარს დამდგარა, სადაც მაშინ სოფელი ყოფილა, ხალხს უცხოვრია. აყრილა ეს ხალხი და ხატისთვის დაუთმია ადგილი. ოღონდ

ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი ყოფილა, უთქვამს: „მე ვერსად ვერ წავალ, ვერ ავიყრები, სახლის აშენება არ შემიძლიაო."

ერთ ღამეს ამ დედაკაცს კერაში იფნი ამოსვლია, ამოსულა და ბანი აუხვრეტია, მაღლა წასულა. ქალს უთქვამს: „ახლა კი ავიყრე-ბიაო," და აყრილა.

[პასპორტი დაკარგულია]

## 217. აფშოს თავის ტბა

აფშოს თავ ერთი ტბა იდგა და ამ ტბას ხპატრონობდ ერთი დევი. ის დევი ისით ავი ყოფილ, რო ანადგურებდ ხალხს, ბეგარ დაადვ. წელში თითო ქალი დ' თითო ვაჟი უნდა მისულიყვნეს. გამავიდოდა დ' შაშჭამდ ორთავ. სხვას ხალხს კი აღარას დაუშავებდ იმ წელს.

ერთ ლამაზ ქალსა დ' ვაჟს მიარგუნეს ერთ წელს დევსთან მისვლაი. ემზადებოდეს იმასთან მისავალადა დ' შაშჭამდ ისი. ახ-ალგაზრდას დაეძინა დ' ძილში ნახ შარვან წმინდა გიორგი. გიორგიმ უთხრ: რო მიხოლავ, ჴმალ დახკრიდივ ორჯერაო დ' ის გეტყვისავ: დამისამევ. მესამედ აღარ დახკრა. შენ უთხარივ, რო შარვან წმინდა გიორგი დაგისამებსავ.

აფშოს ტბასთან რო მისულან, ახალგაზრდას ჴმალ ხქონივ და-მალული დ' გამასულ დევიც იმათ შესაჭმელად. ამაულავ ახალგაზ-რდასა დ' დაუკრავ ორჯელ ჴმალი. „დამისამევ," — უთქომ დევსა დ' ახალგაზრდას უთქომ: „შარვან წმინდა გიორგიმაო დ' სანებამ და-გისამასავ." წაქცეულ დევი და მამკვდარ. გასჩენივ შარვან წმინდა გიორგისაგან ცეცხლი დ' დამწვარ. ეს დევი რო მამკვდარ, ატეხილ ღრიალი, ყვირილი დ' მასულ დევებისგან ქვის სეტყვაი. დაქცეულან ქალ-ვაჟნი დ' ეხში შამძვრალანა დ' ძლივ გადაურჩენავ თავი დ' მა-სულან შინ მშვიდობით.

ალ. ოჩ. M 17, რვ. 35

## 218. სულა და კურდღელა

სულას და კურდღელას ჩარგალში უცხოვრებავ. იმათ მილები ჰქონიათ დაწყობილი და ისე მოსდენიათ რძე. ჴევსურებს სულას და კურდღელას შიშით ჯორებისათვის საპირულები უკეთებავ, რო არ დაეყროყინა.

ამ სულა-კურდღელათ ხალხი არ უშობავ არაგვის ჭალაზე, არც ფშავლები და არც ჴევსურები. მაშინ ხალხი მარტო აფხუშოში ყოფილა. სულას და კურდღელას დედა ლუხუმის და ყოფილა (ვაჟამაც იქით აილო). ეგ ლუხუმი ყოფილა პაპაშჩვენი. იმას ჰყოლია ორი ვაჟი და ერთი ქალი ანა, ვაჟები — ივანე და ლაჭაური.

იმ სულა-კურდღელათ ისე შაუნუხებავ ხალხი, რო ამდგარა ლუხუმის შვილი, ცაბაურთაში წასულა და წელწად დილას სასოვეთ თავის მაღალზე, საპარავის ყელისას, ნაბდის ჴლუჩაით გადაულალავ ხალხი და ღალატით დაუჴოცინებავ ისეები. ხალხი ჩაუსაფრებავ, თავად მეკვლედ მისულა. მიიღეს როგორც დედიძმის შვილი. როცა დაითვრნენ, ადგა და შეატყობინა იმ ხალხსა, დეეცა ეს ორი სოფელი — აფხუშო და ცაბაურთა იმ ორ კაცსა. სულაი ახუნის შასამართს მაუკლავ, კურდღელა გამაჰქცევია და ჩარგლისკართ მაუკლავ.

როგორც სულა და კურდღელა ჩარგალში, ისე არხალში არხალი ყოფილა, არტანში — თაღლაურა. იმ ახალწელს სუყველანი სამგან ამოუწყვეტიათ ფშავლებსა. სულა და კურდღელაზე ნატირალი მაშინდელია...

ჩარგალში ლაშარის ჯვარის ნიშია. სულა-კურდღელათ ეძახიან, იმათი ნაციხვარია.

თ. ოჩ. 116
(მთხრ. ხევისბ. ლევან თათარაშვილი)

# გოგოლაურთა

## 219. გოგოლაურთის ხვთიშობლის დაარსება

### [იფნი კერიაში]

სადაც ჩვენი გოგოლაურთის ხვთიშობელია, ღურბელაშვილები მდგარან მანდა და უბრძანებავ ხატს: „მამშორდით აქედან, აიყარენითო!“ არა. მემრე ერთ ღამეს, კერა რო არი, საცეცხლური, იქ იფნი ამოსულა, სამ მტკაველი, ერთი არშინი. მაუჭრია ისა. კიდე, მეორე ღამეს — არა, მესამე ღამეს კიდე ამოსულა. კაცო, ეს რა ამბავია! წავიდენ მკითხავთან და, „კაცო, ნუ ილუპებით, მაიშორდით მაგ ადგილსო,“ — მკითხავმა უთხრა. აიყარნენ მერე, რა თქმა უნდა, და დადგა დედა ხვთიშობელი. დღეს დედა ხვთიშობლის ეზო-ყურეა.

მთხრ. პეტრე კუნაშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მუქუ, 1981.
თსუფა 25448

## 220. მთავარმოწამე და მისი ყმები

მთავარმოწამე, გოგოლაურების სალოცავი, ძალზე მრისხანე ღვთიშვილი ყოფილა. თუ თავის ყმათ რამე უწესობას შეამჩნევდა ან ხელით ან ენით, ან უფრო მირეულობით, არ აპატიებდა და ამოსწყვეტდა. ჯერ ერთხელ ამოსწყვიტა თავის ყმანი უწმიდურობაზე და წმიდა გიორგიმ (იგულისხმება ლაშარის ჯვარი, ზ.კ) მისცა თავის ყმათ ნაწილი. მეორედ იმათაც ვერ დაიცვეს მისი სიწმიდის წესები და ისინიც ამოსწყვიტა. მესამედ წმიდა გიორგიმ უთხრა: „თავის ყმანი ხომ გაათავენ და ჩემ ყმათაც ათავებო. ერთხელ კიდევ მოგცემ ყმათ და გაფრთხილდი, აღარ ამოსწყვიტოო, თორემ მეტს აღარ მოგცემ და შენც უყმოდ რისილა ბატონი იქნებიო.“ მთავარმოწამემ თურმე

უთხრა: „შენ შეგიძლია მოითმინო და მე რა ვქნა, მე რომ არ მიწე-სობს მირეულობა და ვერ მოვითმენო. ამის შემდეგ იმის პირობას კი მოგცემ, რომ ჩემ ყმათ არც სულ გავათავებ და არც გავამრავლე-ბო."

ამ პირობით ჰყავდნენ მთავარმოწამეს მესამედ მიცემული ყმანი და, მართლაც, იხოცებოდნენ, მაგრამ არც სულ თავდებოდნენ. მათი გამრავლება ხომ წესი არ იყო. მთავარმოწამის ყმები თავადაც სულ ჩიოდნენ: „ჩვენ ჩვენი სალოცავი არ გაგვიშვებს, რომ გავმრავ-ლდეთ, სულ ერთ მამაზე მოვდივართო." თითქმის არავის ახსოვდა, რომ სამი ძმა ყოფილიყო მთავარმოწამის ყმათაში. თუ იქნებოდა, აუცილებლივ დაზარალდებოდნენ და ისევ ერთზე ჩამოვიდოდა მათი შთამომავლობა.

ალ. ოჩ. ფშავი 39

## 221. გოგოლაურნი

არ ვიცი, საით მოსულები... მოსულებ საითამ არიან, ჰო, მო-სულები. მონადირედა ყოფილან, სანადიროდ წამოსულები, რავი, საით წამოიდეს...

... ტყე ყოფილა მაშინ. ეხლა ხო აღარ იბადება ის ტყე. სან-ადიროდ წამოსულან და მასწონებია იქ სასახლეები დასადგომად, სამყოფლად. მეედანი, ვაკე იყო ზოკან, ალბათ, რა ვიცი. ეხლა, წისქვილ სად გავაბრუნოთო, უფიქრებავ, წისქვილი. წამოსულან ეგრე, სამ აი, ნარაულას ვეძახით, ი ნარაულაისაკა და ჩქამ მიზდენია, წყლის ჩქამი. დაჰყოლიან ი წყლის ჴმას, დაჰყოლიან ეს მონადირეები და ჩამოსულან ი ნარაულაზედ. ჰო, აქ საწისქვილოც კარგ იქნებაო, უფიქრებავ. დაუკეთებავ კიდეც წისქვილები იქ. დამდგარან მემ-რე იქა. მიჲმატებიან, მემრე, რა ვიცი, იქ გამრავლდენა, კიდევ სხვა ხალხიც მიემატა, რავი, ბევრ ნაჴოვლარ კი არი იქაც.

ცოც. ფშავი 140

## 222. მასთალის სვეტის ანგელოზი

მთავარმოწამის სალოცავის მოპირდაპირე მხარეს, არაგვს გაღმა, ტყეში, მდებარეობს სალოცავი ნიში, რომელიც მასთალის სვეტის ანგელოზობით იხსენიება. მთავარმოწამე პირველად მასთალას

დაარსებულა, სვეტად ჩამოსულა მასთალაში. იმ დროს ფშავის დიდი ნაწილი წყლით ყოფილა დაფარული. მთავარმოწამეს უთქვამს: „მასთალას რო ჩამოვედ, წყლის მხეცნი (თევზნი) ბოლოსა მცემდნენო."

მთხრ. გენჯელა ღურბელაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გოგოლაურთა, 1980.
თსუფა 29966

## 223. ღვთისშვილთა კრება ქმოდის გორზე

სიზმარში მივედ ქმოდის გორს. შავხედე, უცხო ხალხი იყო, ლამაზი ხალხი. მეგონა, ეს გუდამაყრელებია, მლოცავებია თუ, რა ამბავია, რა მშვენიერი ხალხია... ჩემ ამხანიგებიც იქ არიან და, მე რო მივედ, ესენი მარჯვენა მხარეზე ეგრე წამოიდენ, შვიდი კაცი. ჰოდა, თან ილმინებიან, ზოგი გაჯავრებით მიყურებს. ამხანიგებს შევეკითხე, რო ვინ არიან, რა კაი მლოცავებ მოსულანო, კაცო, ჩემზე ხვარაფერი თქვესო და... გვიანობს ისი, თქვესო, გვიანობს ეგაო. ცოტა ჯავრობენო, გვიანობს, გვიან მოდისო [ხატში] და მე მიგვიანდება, როგორც მარტუა კაცსა.

მემრე გავიანგარიშე და, აქედან არი წასული ეს ნიშები. ჩამოვთვალე, სწორედ გამოიდა: ექვსი-შვიდი კაცი — შვიდი ნიში, აქედან წასული. უკანა ფშავისაც მაგისია, ახადისაც, შენი ჭირიმე, კოტიას წითელაურთისაც და ხოშარისაცა და, საყაჭეს ეძახიან, მათურის ხატსა, იქაცა. ჰოდა, მე რო ეს ხალხი მომეწონა და ესე წამოიდა, ეს ხთიშვილთ კრებული ადგილი რო არის, აქედან არი მთელი აი, ეს ნიშები, რაც არი ამ ქმოდიდან წასულები. ხთიშვილები იყვნენ ეგენი. კრება ჰქონიათ მანდა.

მთხრ. პეტრე კუნაშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მუქუ, 1981.
თსუფა 25449

## 224. მასთალას მიმავალი ხევისბერი

ერთი დაუდევარი ხევისბერი ყოფილა. მასთალას მიდენილა. ცხენი შაუკაზმავ, აულავ დროშა, შამჯდარა ცხენზე და ცხენის გავაზე გადაუსვია ნადობი (წაწალი). აბა, დროშასთან ქალს რა უნ-

დოდა, კაცო! ისე შესულა არაგვში. ადიდებულ წყალს ხევისბერი და იმისი ნადობი ცხენიანად დაუხრჩვია, დროშა კი გამაურიყავ ნაპირზე.

აი, ესეთი ძლიერი ხატია მთავარმოწამე.

მთხრ. ხევისბერი გენჯელა გოგოლაური,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გოგოლაურთა, 1980.
თსუფა 29965

## 225. გარას გაგულისება

ერთ ჩვენ პაპაი ყოფილა, გარაი. ორ ძმანი ყოფილან კიდენა, ამაყ კაცები, და ი უმცროს ძმა გარაი დამბლაი ჰყოლია, ბეჩავი.

ციხე აქა ზდგომია, აი, ე თურმანაულთ ბინასთანა. თურმე გარა გადაივლის, დაჯდება და ჩაჰხედავს მათურჴევსა და იცინის სიმწერელჩვილითა.

ერთხელ ძმებმა ჰკითხეს:

— რა არი იქ, რას ჩაჰხედაო, რა გიკვირსო?

— ის მიკვირს, რო ზენაით ნისლა ჭარი მუა, ქვენაით — წითელ ჭარი და მაინც ი წითელ ჭარი ერევაო.

ისრე გამოიდა, რო ნისლა ჭარი ლაშარის ჯვარია, წითელ ჭარი კი გარაის ყისმათი.

ახლა უთქომ ძმებსა: „ესეთა ბეჩავაია, ჩვენს ინაბარას დამრჩალი. მოდი, ამას ცოლი შავრთოთო, მოვგვაროთო".

ცაბაურ ქალი ჰყოლია ცოლად აჭადელსა და ლამაზიცა ყოფილა ი ქალი ძალიანა. ცოლ-ქმარნი თურმე გზაზედ მოდიან და დაჰხვდეს ე ძმები დ' წაართვეს ე ქალი, წაიყვანეს და ძმას მიჰგვარეს.

იმ ხანებში ლაშარობა ყოფილა და სამნივ ძმანი იქა ყოფილან. ფშაველთ აუგავ საქოლავი, რო გარა ჩეექოლა. გაიქცა გარაი დ' ერთ აზღვავებულ წყალ მოდენილა, არაგვი, და ცემულა შიგა. გაუხარდა ფშავლებსა, რო ჩაქოლვა აღარ დასჭირდა და წყალი დაარჩობდა. წყალმ გარა არ დაარჩვა. რამთვენსამე ხნის იქით ის ლაშარის გორზე შაჴდა, აიღო დროშაი და წავიდა ქისტეთს საომრადა. ხალხს გაუკვირდა ამ მწერელჩვილის გაგულადება და გაჰყვა უკვენა.

სუ მთელ ცხვარ-ძროხა, რაც ქისტებსა ჰყვანდა, სუ ფშავს გადმოლალეს. მარტო ორ ჯორი დამრჩალიყო და შვიდ წელს იმით ეჴნა ქისტებსა.

დიალექტ. 121

# 226. გარა თურმანაული I

აქ თორმეტი თემი იყო. ამ თორმეტმა თემმა შაკრა პირი და გოგოლაურები უნდა ჩაქოლონ. ლაშარს მოაქუჩეს საქოლავი — ქვა. დღეობა დღეს რომ მივლენ იქ, დღეობა დღეს უნდა ჩაქოლონ ისინი. გაიგეს გოგოლაურებმა, ასე გვიპირებენო.

ეს ნაპირი სოფლები, ეს ხომ აულავ მთელი გარასა, ძაან უმარჯვებავ. ჰოდა ლაშარში ვისამ შაუყვედრებავ. გაბიდოური ყოფილა, ხოშარელი, ის კაცი. აქაო, რა დიდი გულითა ხარო, გარაისთვი უთქვამ, რა მაისტის ცხვარ-ძროხა მამიტანეო? და შაშჭრია გულში გარას და ახლა კიდე ეს საქმეც რო მაუხდა, რო მეტობას აკეთებს, თავს წავიდა ეს კაცი. ცოლებს ართომს სხვა თემის ხალხსა. ხალხმა პირი ქნა და უნდა ჩაქოლონ. ადგა და წავიდა ჯარითა და გატეხა მაისტი. მაისტი გატეხა და კაი მანძლია, აი, წვერიდან, აი, იქა ადგილია დაბლა, იმდენი ცხვარ-ძროხა გამაურეკავ, რო ბოლო იქა ყოფილა, ქუჩი როა გამოსული.

ჰოდა, ის ხახა ყოფილა, გაბიდოური, ხევისბერი ლაშარისა, რომელმაც შააყვედრა, აქ რა მაისტის საქონელი მომიტანეო. ჰოდა, იმისად დაუძახებავ, საქონელი რო მოდის, ნათავარი ლაშარს უნდა დახოცონ და მემრე გაიყონ ნადავლი. იმისად დაუძახებავ და წოლილა ის, დილა ყოფილა, და დედაკაცი გამოსულა გარეთა და, ვაიმეო, იქაო ცხვარ-ძროხა რასმე მაუდისო, ნადავლია, ეტყობაო. იმ ხახას უთქომ, რო იქ ლაშარსაო რაიმ გაწყდებოდენო, მაისტის გატეხაო მარჯვე ხო არ არიო. ჩაუცვამ ქალმები და გაქცეულა ის ხევისბერი.

ეხლა, ეს დროშა რო მიდის, — დროშაით დენილა ი გარაი, — დროშა რო მიდის, იქ უნდა დახვდეს ხევისბერი, ზარი უნდა დარეკოს. მისულა, რეკავს ზარსა ხევისბერი. მისულა გარა, მიუბძანებავ ი დროშაი და დაუდვავ ჯოხი, გამაუგდავ ის: „შენი ცოლი და დედა კიაო, ვერც ეხლა მოვიტანე მაისტის ცხვარ-ძროხაო? ზარის დამრეკავიც თავად ვარო და სანთლის ამნთებელიცო“. გამაუგდავ გარა თურმანაულს.

ე ცხვარ-ძროხა რო მაუვიდა, ნასახელარი ხალხი მოდის, მათურის თავ-კაცი ვინც ყოფილა, ხევისბერი, იმას უთქომ, რო აკი მაისტი გატეხაო, გოგოლაურს მე კი ვირიგებო, დანარჩენ თემებმა თავად იციანო. და გატყდა. ვერცალა სხვა თემებმა ქნეს.

მთხრ. პეტრე კუნაშვილი,<br>
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, მუქუ, 1980.<br>
თსუფა 25457

## 227. გარა თურმანაული II

იმათი ნაშთი აქა ცხოვრობს... თურმანაულია და გარაშვილობით იწერება ის ბალღი. მაგისა ვერაფერი ვერ ვიცი სხვა. მაგისა ვიცი ისე, რო ის კაცი იყო სახელიანი. ის იყო ლაშქრის მოწინავე კაცი. ლაშქრობდა, გადადიოდა ქისტებში ლაშქრებით და ყოველთვინ გამარჯვებული მოდიოდა. იტაცებდენ საქონელს.

გარაის დროსა შვიდი წელიწადი, უკაცრაოდ პასუხია, ვირებით უჴნავის ქისტებსა, ჴარი აღარა ჲყოლია შვიდი წელიწადი გარაის დროს. რო აღარა ჰყოლია საქონელი, რა, მოკლეთ, საბოლოოდ, რო ყოფილა ის გარაი, მოხუცებულიღა ყოფილა და უთქვია მაშინისა, რო ერთხელ კიდე წავალო, გავილაშქრებო, უკაცრაოდ პასუხია, მაგ ძაღლებზედაო და მემრეო კი თქვენ გადმოგილოცავთ ყველაფერსაო. მართლა გაუმარჯვებავ კიდეც. ჰოდა, ერთი ჩვენი მოგვარე კაცი ყოფილა, ჩვენი პაპა, ხუმარაი ქვივნილა იმ კაცსა, მარტო ის დაუჭრავის ქისტებსა. უვლევავ, ის დაჭრილ, უვლევავ და, ქვაჴიდს ეძახიან. აი, მუცო-არდოტს რო გაჲცდება კაცი, ანატორია, მა, ქისტების სასაფლაოა იმ ანატორში, იქ სალოცავიცა აქვ ერთი. გაჲცდები მემრე და სანამდე ჯარეგაში გაჩნდები, იქ არის ერთი ადგილი, ქვაჴიდს ეძახიან. ი ქვაჴიდზე... ქვაჴიდამდი მაუყვანავ ი ჩვენი პაპა, ცოცხალი კიდევა. ახლა თურმე თან საქონელ მაუდის, ველარ იმასაშვრებიან, ველარ მაჲჰყავის ის კაცი და, რას იზამს ეხლა... ამდგარა ეს კაცი და უთქვია მემრე, რო მე მაინც მოვჰკვდები, მაინცაო და დამაგდეთო, მკვდარს რაღას მიქმენო ე ქისტებიო. და ის ქართული დამბაჩები იყო წინათ, ემ სიგძეებ იყო, აი პატარები. ის გაგვავსებინაო ტყვია-წამლითაო და... ის დაიტოვაო. და რო მოვდივართო, მოგვიდის ი საქონელიო, მალი-მალ უყურებთ იმასაო. გადავიხედავთო, მაღლა არი ამოსასვლელი ი ქვაჴიდიდანა და, ნაბადს აჲნია და გაჲხედა ი ქისტებსა, რო მაჲმარჯვდენო. „სირცხვილი თქვენიო, ფშავლებოო, — დაიძახა იმ გარამაო, — რომ ხუმარა მანდ გაჲწირეთო". ერთი ჴევსური იყოო და გადაფრინდა ის ხევსურიო და ფშავლებიც გადაჲყვნესო და მაჲკიდეს ჴელი ამ კაცსა და წამაიღესო. აღარც იყო სასიცოცხლეო. დაიცალა სისხლადაო და... ჰო და, მუცუში რო ამაუყვანავის, უკვე დათავებულა ის კაცი. გადაუჭრავ მემრე და ცხენით გადმაუტანია [ასე გადაშჭრიდეს, შვილო, რო მოკვდებოდა, წელზე გადაჲჭრიდეს და თავთავად აჲჰკიდებდეს და წამაიღებდეს. არ დატოვებდნენ].

ჰო და, მერე ეს გარა დიდხან აღარა ყოფილა. წასულა, გამაჲსალმებია ამ... აქაურ ქვეყანას და უვლავ ამ ფშავლებსა და ველარა დ' ველარ გაუმარჯვებავის. ამდგარან და ... რაშია საქმე, კაცო,

როგორ, როგორ, როგორა და აი, მკითხავებ რო ვიცით, ვიღაცას უთქვია, რო თქვენ, ფშავლებო, ვერ გაიმარჯვებთ, თუ გარაის ნაწილ არ გაიღეთო. რა ნაწილი, როგორ, იმ კაცის რა ნაწილია, საიდან, უკვე ის კაცი ჩანაცრებულია მიწაში [...]. ამდგარა მერე და რა ვი, ვინ იქნებოდა, ვიღაცა დაფიქრ-მოფიქრებულა და უთქვია, რო მოდი, სხვა ნაწილ რა იქნება იმისა, ძვალი ხო იქნება, ის ძვალი მაინც ამოიღოთ და ის გავიყოლოთო. და ლაშარის ჯვრის დროშასება აი ემსიგძე ფერცხლის ნატეხი გარაისი. ჰო, აი მე ჩემის თვალითა მაქვს ნანახი, გეფიცებით ჩემის დედ-მამის სულს, ამას ტყუილად არ გეუბნებით. ერთ, აი ემსიგძე ნატეხი დროშაზე იყო შამბული, სახატო დროშაზედ. შეიძლება ზედავეც ებას ეხლა, თუ ისევ არი ი დროშა...

ნასულა კიდევ ეს ჩვენ ფშავლები და კიდენ გაუმარჯვებავ მართლაც და მერე მაისპო და მაისპო. მერე ჩემ მოსწრებას გადავიდა კიდევა და იქ გასწყვიტეს ქისტებმა. ველარცარა გაიმარჯვეს ვერაფერი. ეგ იყო... ვერ გეტყვი, კაცო, აი რომელ წელში იყო, ოცში იყო თუ ოცდაერთში იყო. იმ წლებში სადამ იყო. არა. არა, არა, ვტყუი. ოცდაერთში კი არა, ეგ იყო ჩვიდმეტში, ჩვიდმეტში იყო. ჩემი და იმ ზამთარს გათხოვდა. აი ეხლა გამახსენდა, ჰოდა, რომენი დაც ცოცხალი მყავის, ეგ და იმ ზამთარს გათხოვდა.

ცოც. ფშავი 200-202

## 228. პიროფლიანი გარა

პირველი პიროფლიანი ლაშარის ჯვრის ხევისბერი გარა თურმანაული იყო. ეს კაცი ლაშარის ჯვრის დროშით მუდამ დადიოდა ლაშქრის წინამძღვრად. გარას ორი სხვა ძმა ჰყავდა და სამივენი ძალიან ამაყები იყვნენ. ორმა ძმამ ფშავში სხვისი ცოლები შეიყვარეს, წაართვეს და თვითონ მოიყვანეს. გარა კი უცოლო იყო. ერთი ჭიჩოელი კაცი იყო, თავმომწონე, და იმან თქვა: „თურმანაულები რომ სხვებს ცოლებსართმენ, აბა ჩემს ყელღილიანს მოჰკიდონ ხელი და მერე ნახავენ, რას ვუზამო." ამ კაცს ცაბაურთიდან ჰყავდა ცოლად ჩიტოთ ქალი. ის ერთხელ მამისახლში წავიდა და ერთი ძაღლი გაიყოლა. ცაბაურთის გზა გოგოლაურთ სოფელზე გადიოდა. ჭიჩოელი კაცის ნათქვამი თურმანაულებს გაგონილი ჰქონდათ და გადაწყვიტეს იმისათვის ცოლის წართმევა და გარასთვის მოყვანა. ამ ქალმა ცაბაურთისაკენ აიარა, ჩამომავალს გზა შეუკრეს და მოაბრუნეს გარას ცოლად.

თავაყრილი ხალხი იყო თურმანაულები და არავის არაფრად აგდებდნენ. იმათ შიშით ვეღარც ქალმა თქვა გარას ცოლობაზე უარი. ამ ქალის ქმარმა ბევრი იწვალა, მაგრამ თურმანაულებს ვერაფერი დააკლო.

ამ დროს ლაშარის ჯვრის ხევისბრებთან ასაჩივრებდნენ ასეთ საჭირბოროტო საქმეებს და ისინი ასამართლებდნენ ხალხს. ჭიჩოელმა კაცმაც აქ გაასაჩივრა თავისი საქმე, მაგრამ გარა აქ თავხევისბერი იყო და იმის შიშით ვინ რა სამართალს მისცემდა. ბოლოს, გარამ თვითონ შეუთვალა: ახლა ლაშარის ჯვრის ბრძანება არის, მითხოში ლაშქრით უნდა გადავიდეთ და დავლა წამოვიღოთ. ეგ ჭიჩოელი თუ ვაჟკაცობაზე თავსა სდებს, გამოგვყვეს, ლაშქარში თავი ისახელოს და მაგ ქალს ისევ დავუბრუნებო. ჭიჩოელმა წასვლაზე უარი თქვა. გარა სალაშქროდ მოემზადა, მაგრამ ბევრი ხალხი არ გაჰყვა. გაჰყვნენ მარტო გოგოლაურნი. მითხოში ჩავიდნენ, დაეცნენ სოფლებს და დიდძალი ცხვარ-ძროხა გამოირეკეს, იმდენი, რომ წინა პირი ლაშარს იყო მისული და ბოლო ხოშარაში გადიოდა. ხალხმა ეს რომ დაინახა, შურით აივსნენ და ამბობდნენ: უყურეთ მაგ ქვეყნის მექალრძლეთ რა უქნიათ, რამდენი დავლა მოიტანესო.

რამდენიმე წლის შემდეგ გარამ კიდევ გამოაცხადა ლაშარის ჯვრის ბრძანება, მითხოში უნდა წავიდეთ, გამარჯვება ჩვენია და დიდი დავლა დაგვრჩებაო. ხალხი მოემზადა და გაჰყვა. მითხოში გარა ლაშარის ჯვრით ჩაუძღვა ლაშქარს, მაგრამ ქისტებმა ადრე გაუგეს, გზა შეუკრეს და ბრძოლაში ბევრი ხალხი დაიღუპა. ვინც გადადარჩნენ, იმათ კი წამოიღეს ნადავლი და ლაშარის გორზე გაინაწილეს. მითხოში დაღუპულთათვის დაანესეს შესანდობარი, რომელიც ქორწილშიც იდგმება, საყეინოშიც იხსენიებენ და ხან სხვა დროსაც მოიგონებენ.

პიროფლიანი ნიშნავს იმას, რომ ბრძოლაში დაიხოცნენ დაღლილები და ოფლიანები, თავის ხალხისა და ლაშარის ჯვრის დროშის გულისათვის. პიროფლიანნი პირველად ესენი იყვნენ. ზოგი ამბობს: მითხოს შვიდი კაცი გაიფიცა, რომ თავი დაედოთ და ხალხი გადაერჩინათ. შვიდივე დაიხოცა, ხალხს კი გზა გაუხსნეს და ქისტებისგან გარშემორტყმისაგან გაათავისუფლეს.

ესენი არიან პიროფლიანები.

ალ. ოჩ. ფშავი 153-154

## 229. გარას დავლათი

გარა ქისტეთში ლაშქრობდა. ტყვეებ გადმაუდიოდა.

ხატის ხევისბერი ყოფილა ხახათ ხახაი, ჭოშარელ კაცი. გადაუდის ხალხი, გადმაუდის და ტყუილადა სტანჯავს, ვერც ტყვეებ გადმაუდის, ვერც საქონ გადმაუდის.

მერე ამან (ხახათ ხახამ) სიზმარი ნახა: მათურის წყალი საცა არის, იქ კაი მინდორი იყო. იმაში შავიყარენითო. გოგოლაურთიდან მოიდა ერთი ჭარიო, ლურჯი ჭარი იყოო. შავიყარენითო და იქ ვიჭიდავეთო და იმან წამაქციაო. იმან კი არ წააქცია, იმან წააქცია, რო ის გარაი იყო და ისი სჯობნიდა იმას მოჭერჭებითა და ყისმათითა. ხახა ტყუილადა სტანჯავდა ხალხსა, ის კი (გარა) არა სტანჯავდა — ტყვეებიც გადმაუდიოდა.

მერე მოკვდა ეს გარაი. დამარხეს და გადადის-გადმოდის ეს ხალხი და ცარიელებ გადმოდის ისევა, ველარც ტყვეებ გადმორეკეს და ველარც ცხვარ-ძროხა გადმორეკეს. მკითხავთან მივიდენ. ეგრეა ჩვენი საქმეო, უთხრეს მკითხავს. „თქვენ წადითო და გარა ამოთხარეთო, — უთხრა მკითხავმა, — მარჯვენა ბეჭი ამაიღეთო იმისიო და დროშას შააბითო და, აბა, გამარჯვებული გადმოხვალთ თუ არაო." მართლა ამოთხარეს გარაი. წავიდენ და გადმორეკეს ცხვარი, ძროხა. მოიდენ გამარჯვებულები.

მთხრ. ხუმარა ბადრიშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, ლეჩური, 1985.
თსუფა 26346

## 230. გარას ბეჭი

გარა რომ მომკვდარა, ველარ გაუმარჯვნიათ ფშავლებს. ლაშარის ჯვარს უბრძანებია მეენის პირით: „გარა ამოთხარეთ, მარჯვენა ბეჭი აათალეთ და ის შააბით ლაშარის დროშასო." ასეც მოქცეულან. შაუბამთ დროშაისიდ ბეჭის ანათალი და მემრე გაუმარჯვიათ.

მთხრ. პეტრე კუნაშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, მუქუ, 1981.
თსუფა 25458

## 231. დევი და მარაული

მარაულები ფშავის სოფელ შარახევში ცხოვრობენ. მათ წინაპარზე ერთ ასეთ ამბავს ყვებიან:

მარაულმა ნახშირი დაწვა, გაავსო ტომარა და მჭედელთან წავიდა: ცული უნდა გააკეთებინოს. გზაზე შემოხვდა დევი. მიდიან ერთად. ამ დევსაც ტომარა ჰკიდია ზურგზე. შუა გზაში დაისვენეს, ტომრები ხეზე მიაყუდეს. მარაულის ტომარა დიდია, დევისა — პატარა. წასვლისას დევმა დიდი ტომარა მოიკიდა, მარაული პატარა ტომარას დასწვდა, მაგრამ ემძიმა.

მივიდა მარაული დანიშნულ ადგილას, გახსნა ტომარა და რას ხედავს: განძით არის სავსე, ოქრო-ვერცხლით. გახსნა დევმა და რას ხედავს: ნახშირია! მივიდა დევი მარაულთან და ეუბნება: მომეცი ჩემი ბარგი, შენი შენ წაიღეო. მარაულმა არ მისცა. დევმა ისევ მოსთხოვა. რომ არ მოეშვა, მარაულმა ხმალი გამოიტანა და ორჯერ შემოჰკრა დევს. დევი წაიქცა და იყვირა: „მისამეო!" მარაულმა უპასუხა: „წმინდა გიორგიმ გისამოსო!" მესამედ რომ დაეკრა, დევი გაცოცხლებოდა და, რაკი მარაულმა წმინდა გიორგის სახელით დასწყევლა, დევი ვეღარ გაცოცხლდა.

მერე ის განძი მარაულმა ხატებს შესწირა. ხახმატის ჯვარსაც შესწირა, ხმალსაც შესწირაო, ამბობენ. მას მერე დევი ემტერება მარაულებსა. ფშავის სხვა თემებიდან ან სხვა სოფლებიდან მარაულებზე ქალს არ ათხოვებენ: დევი ჰყავთ გადაკიდებულიო.

მარაულები ძირად სისაურები ყოფილან. მარაულ პაპას უნახავს ერთი დევი: შავი ნაბადი ეხვია, შავი ქუდი ეხურა და თეთრი საპირე ჰქონდა იმის ქუდსო.

მთხრ. კიმოთე მახაური,
ჩამწ. ტრისტან მახაური, თბილისი, 1988.
თსუფა 29964

## 232. მთავარმოწამე და ყარტაულა I

ერთ დღეს მთავარმოწამის მამულზედაც იყო მუშა და ერთ მდიდარ კაცს ყარტაულასაც ამავე დღეს ჰყავდა მუშა თავის მამულზე. ყარტაულამ გორიდან გამოხედა, ჩემი მუშა უფრო ბევრია თუ თავარმოწამისაო. დათვალა კიდეც და თავის მუშათ უთხრა: „ჩვენ მეტნი ვართ და მომკილიც მეტი გვაქვსო." აბა ხთიშვილთ რა გამოეპარებოდა! გაიგო თავარმოწამემ, რომ თავს მე მადრის და თავის მუშას — ჩემს მუშასო. ჩემი სწორობა მოინდომა ხორციელმაო. ნა-

მოვიდა და ჯვართანის გორს ყარაულობდა: ყარტაულა თუ კიდევ გამოჩნდა, ლახტს დავკრავ და მოვკლავო. ამაზედ არის „ჯვართანის გორის მოყარაულე“. აქ რომ ყარტაულა აღარ გამოჩნდა და ლახტი ვერ დაჰკრა, თავარმონამე ახლა ქვევით ჩამოვიდა. აქ ხეები იყო და ჩრდილში „წამოილაიბა“, წამოწვა, მოისვენა. ამაზე არის: „ხეთანას მოლაიბე“. თავარმონამემ ლახტი რომ ვერ დაჰკრა, გველი მიუსია და ხორციან ქვაბში ჩაუგდო, საჭმელი მოუწამლა. ყარტაულაც თავ-ისი ოჯახით ამოწყდა და მისი მუშაც სულ დაიხოცა..

ალ. ოჩ. ფშავი 25-6

## 233. მთავარმონამე და ყარტაულა II

ემა ცაბაურთას ჴელმარჯვნივ ნაროულაი ჩამაუდის. იქა, იმ ჴეობაზედა, ყოფილა მცხოვრებ კაცი, პატრონი ბევრის ცხვარ-ძროხ-ისა, სახელად ყარტაულას ძახნილან. იმის ცხვარ-ძროხა მჭადაის ვაკესა მდგარა სამთოდა. იქითა ჰქონია მილი მიწაზედ გაყვანილი. იმ მილზედ უსხამ რძე და ბარჩი დენილა, იქ კი უდღვებავ.

ის მდიდარ კაცი მოჯაბრე ყოფილა მთავარმონამისა.

ხატის მამულის მკის დრო ყოფილა. ამ დღეს სუყველას ხატის ყანა უნდა ემკო, ნება არა ჰქონდა თავისაში ემუშავა. იმ ყარტაულას იმ დღესაოდ შაუყრიან მუშანი და დასჯაბრებია ხატის მუშათა და თავმოწონებულს გადმაუხედნებავ და უთქომ: ჩემ მუშანი შჯობიან მთავარმონამის მუშათაო.

მუშანი მუშაობენ და ვაჴშმად ჴორცი იხარშება დიდს ქობშია. ამ ქობში საკიდელზე ჩამოცოცდა დიდ გველი დ' ჩეეშვა ქობშია. ისიც იქ მაიხარშა.

მუშაჩი ერთი დედაკაცი ჲრევავ, რომენსაც ორი-სამის წლის ბალღი ჰყავის მასპინძლის სახში დანირული. ამ ბალღმ დაინახა, რო ეს დიდრონ გძელ ჭიაი ამ ქობში ჩაჯდა და აღარ ამამჴდარა, და საღა-მოზედ ვაჴშმობის დროს დედას უთხრა: „დედავ, დიდ ჭიაი ჩაჯდა დ' მაიხარშა, არა შჭამოო“.

წეეტანება ჯამს საჭმელად ე დედაკაცი, გეემბის ბალღ ჴელჩია და დაიწყებს ტირილსა. იმ დედაკაცის მეტმ სუყველამა ჭამა ე დაშხა-მულ ჴორც-წვენი. სუ გაიბრაშტა სტუმარ-მასპინძლიანადა. მარტუა დედაკაცი დ' იმის ბალღ წავიდენ შინა.

მასქი ყარტაულაის სახ-ბინა დაჴოვლებულა.

დიალექტ. 122

## 234. ზარისჭალა

გოგოლაურებსა და შუაფხოვლებს ბევრჯერ ჰქონიათ დავა საზღვრების გადაწევა-გადმოწევაზე. დავაში თურმე მონაწილეობას იღებდნენ ორივე თემის სალოცავები: შუაფხოს ხატი იახსარი და გოგოლაურთის მთავარმოწამე. მთავარმოწამე თავის ყმებს ამცირებდა უწმიდურობის გამო, იახსარი კი ამრავლებდა, ცოდვებს პატიობდა ხოლმე და სასიკვდილოდ ადვილად არ გაიმეტებდა. თუ ვინმე რამეს შესცოდებდა, მხოლოდ მოამიზეზებდა, საკლავ-ზღვნით, სანთლითა და ჯურუმით გადაახდევინებდა. ამიტომაც ქისტაურები გამრავლებულან და ადგილი აღარ ჰყოფნიდათ. იახსარიც ხელს უწყობდა და თავადაც ძალით მოინდომეს საზღვრის გადატანა.

ერთ გაზაფხულზე ქისტაურები შეიყარნენ, მთელი დიდი გვარი წავიდა და სამანი ხიშმუს ხევზე ჩადგეს (ორ თემს შორის საზღვარი კი ნაროულას ხევზე გადიოდა). მირეკეს ხარ-გუთანი და მთავარმოწამის სანადო მიწებს დაუწყეს ხვნა, რომ იახსრის სანადო მიწებად გაეხადათ. სიწმიდის დარი იყო. რომ წამოსადილდა, კიბულის მთიდან წამოვიდა პატარა შავი ღრუბელი და უცბად ისე გაიბერა და ისეთი სეტყვა გამოუშვა, რომ ქისტაურების ხარ-გუთანი და კაცი სულ ჭალას მიაბარა ნიაღვარმა. მთავარმოწამის საზარეც თავისი ზარით ჭალას ჩამოიტანა. ზარიც გაიბზარა ცოტათი. მერე მკითხავთა პირით ჰქონდათ ლაპარაკი იახსარსა და მთავარმოწამეს. იახსარი ეუბნებოდა: „გაუშვი ჩემნი ყმანი, შენ ადგილი ბევრი გიჭირავს და ყმანი ცოტანი გყვანანო." მთავარმოწამე ეუბნებოდა: „გავუშვებ, ოღონდ მე უნდა დამეყმნენო." იახსარმა უთხრა: „მე ჩემნი ყმანი დასალევად არ მინდიან. შენ თავის ყმანი გაათავენ და ახლა გინდა ჩემ ყმათ მიჰყო ხელიო."

ვერ შეთანხმდნენ და მიჯნა კი ისევ ძველ ადგილას დააბრუნეს. არ გაუშვა მთავარმოწამემ, აღარც ზარი მიიღო უკან. მერე მასთალას აიტანეს და ახლაც იქ არის. მას შემდეგ ამ ჭალას ზარისჭალა დაერქვა და დღემდის ეს სახელი ჰქვია.

ალ. ოჩ. ფშავი 40

## 235. კუდოელი თავხევისბერი

ერთი კუდოელი კაცი ყოფილა, ძალიან რწმუნებული თავხევისბერი. წელწადში თოვლი მოსულა და ამ ხევისბერს წასვლა დაზა-

რებია თავის სალოცავში, მთავარმოწამეში. წელწადლამეს ჯალაფნი დიდხანს მსხდარან, ხევისბერიც გვიან დაწოლილა, ტანთ გაუხდია და წინდა-ახალუხიანი წოლილა. ერთი კი დასძინებია და გაუქადაგებია მთავარმოწამეს. წამოვარდნილა და გამოქცეულა ქადაგობით გოგოლაურთისკენ წინდიანი და ახალუხიანი, უქუდო. წინდები დაგლეჯილა და ფეხშიშველა დამრჩალა იმ თოვლში და სიცივეში. თავარმოწამის სადასტუროში ყოფილან ადგილობრივი დასტურ-ხევისბრები. თურმე თენება არის და მოესმათ ქადაგობა. ცოტახანიც და, ხევისბერი მოვარდა ოფლიანი. მიეგებნენ აქაურებიც და თურმე მოითხოვა სანთლები, გავიდა ისევ ფეხშიშველი და კოშკთან დაბრძანებულ დროშასთან დაანთო ჩოქით, თავის ხრით და მადლის თხოვით. მერე შემოვიდა დამშვიდებით და დაჯდა სადასტუროში. არც ხელები ჰქონდა მოყინული და არც ფეხები. მერე მოყვა თავის ამბავს, როგორ დაიზარა წამოსვლა და როგორ წამოაგდო და გამოაქცია თავის სალოცავმა შუაღამისას.

გაიგეს მისმა ბიძაშვილებმა, რომლებიც აქვე გოგოლაურთაში ცხოვრობდნენ, მოუტანეს ჩასაცმელ-დასახური და ლოგინი. ერთი საკლავიც სამანანულო (რომ შეინანა შეცოდება) მოიყვანეს და დაკლეს.

ალ. ოჩ. ფშავი 35

## 236. ხევისბერი ბეწინტური

ერთი მედროშავე ხევისბერი იყო ძველად, სახელად ბეწინტური, გვარად ბუდურაშვილი. ამაღლება დღე იყო, მასთალისაკენ წავიდა ხატი და მისი მლოცავებიც. ბეწინტური დროშით წინ გაუძღვა. შევიდა ადიდებულ წყალში ცხენით, წყალმა ცხენიც წაიღო და კაციც, დროშა მალევე გამორიყა უვნებლად, ცხენ-კაცი კი ორივე დაიხრჩო. დახრჩობამდე სამჯერ ამოჩნდა წყალში ბეწინტური და სამჯერვე ერთი სიტყვა დაიძახა ხალხის გასაგონად: „მარიანობასაო!“ ეს იმას ნიშნავდა, რომ დღეობა მარტო მარიანობას ყოფილიყო, რადგან არაგვი ხიდს არ აყენებდა. ამაღლების წყალი დიდი იყო და ასეთივე უბედურება განმეორდებოდა.

ამის შემდეგ დაწესდა მასთალას მარტო მარიანობას ყოფილიყო დღეობა, რადგან წყალი იკლებდა და გასვლა შეიძლებოდა.

ალ. ოჩ. ფშავი 20

## 237. ფუძის ანგელოზი

ყოველი ახალი ოჯახი ფუძის ანგელოზის პატრონი ხდება. ეს ანგელოზი იმ ადგილას არის, სადაც მათი ფუძე — საცხოვრისი მდებარეობს. ოჯახს სწამს ფუძის ანგელოზი, რომელიც ახალგაზრდის სახითაა წარმოდგენილი. ოჯახის სადღეგრძელოში ფუძის ანგელოზიცაა მოხსენებული: „ოჯახის კეთილ ანგელოზს გაუმარჯოს! იცავდეს ოჯახს ბოროტისაგან, ჯვარსა სწერდეს კაცსა, საქონსა, ნაქონ-ნაყოლსა."

იმ ოჯახზე, სადაც არეულ-დარეულობა და მუდამ ჩხუბია, იტყვიან: „ფუძის ანგელოზი წავიდა და მათ სახლ-კარს ეშმაკი დაეპატრონაო."

მთხრ. იოსებ ღურბელაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 193.

## 238. უკვდავების წყარო

გომეწარში, მაღაწლის მთის ძირას შვიდ წელიწადში ერთხელ თურმე გაიდებოდა ოქროს ღარი, ზედ გადმოვიდოდა უკვდავების წყალი და რამდენიმე წამის შემდეგ ისევ გაქრებოდა.

ერთხელ ერთი მწყემსი ქალი შემთხვევით იმ დროს მისულა, როცა უკვდავების წყარო გადმოდიოდა. ქალს ძალიან მოსწონებია და დაულევია. ის ქალი იმავე გომეწრის ერთ-ერთ უბანში — სიპისკალოში დაბადებული და სამგლე გორაში გათხოვილი ყოფილა. მის ოჯახს მთის მკაცრი კლიმატის გამო დაუტოვებია სოფელი და კახეთში ჩასახლებულა.

გასულა ხანი. ერთხელ გომეწრელები ჩასულან კახეთში პურის საყიდლად. მათ უნახავთ ჭრელ ფშაურ ფარდაგზე მჯდომი ღრმად მოხუცებული ქალი. მას გამოუკითხავს სტუმრებისათვის ვინაობა და როცა გაუგია, რომ გომეწრელები ესტუმრენ, ძალიან გახარებულა და უთქვამს: „მეც გომეწრელი ვარ, შვილო, სიპისკალოელი ქალი და სამგლე გორელი რძალი. ერთხელ მაღაწალში უკვდავების წყარო დავლიე და აღარ ვკვდებიო".

დღეს აღარავინ იცის, სად იყო ის წყარო. იგი საფარველდადებულია.

მთხრ. ღვთისო ფარნაოზაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 178.

## 239. საფარველდადებული განძი

მოხუცებულების გადმოცემით, მიწაში დაფლული განძი ღვთისგანაა საფარველდადებული, ე. ი. დაცული (უხილავი).

გომეწრელი ხევისბერი ხვთისო ფარნაოზაშვილი გადმოგვცემს: ერთხელ ერთი კაცი გორმაღალაის ტყეში ყოფილა. უცებ მის წინ მიწა გახსნილა და ოქრო-ვერცხლით სავსე ქვევრი გამოჩენილა. ქვევრის გვერდით შეიარაღებული კაცი მდგარა. ის ყარაულობდა თურმე ამ სიმდიდრეს. ჩვენებურ კაცს რაღაც უხილავი ეუბნებოდა: ეს ფული დაქუდე, დამქანე, სახლში წაიღეო. იმ კაცს სიმდიდრისათვის ხელი არ უხლია, სანამ მკითხავს რჩევას არ ჰკითხავდა. მკითხავს კი უთქვამს: ის ფული ღმერთმა შენთვის გაიმეტა, უნდა აგეღოო. მეორედ წასულა ის კაცი, მაგრამ ველარც ის ადგილი მაუხელავ და ველარც ოქროიანი ქვევრი.

მთხრ. ხვთისო ფარნაოზაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომენარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 177

## 240. ლაშარის ჯვარის უჩინარი ცხენი

უჩინარი, საფარველდადებული ცხენის არსებობა მე გამიგია. ლაშარის ჯვარს ჰყოლია უჩინარი ცხენი. ამას მარტო ქადაგი ხედავს თურმე.

ლაშარელაის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშრისა,
ქორებულ გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა,
ჩაეშველება საყმოსა, ხან რო არ იყოს მისვლისა.

მთხრ. მართა ლურბელაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, სოფ. გომენარი, 1981.
თსუფა 30231

## 241. ჯიხვის რქაზე ანთებული სანთელი

ერთ მონადირეს დაუნახავს ჯიხვი, ამოუღია მიზანში, მაგრამ თოფი არ გავარდნილა, ჯიხვის რქებზე კი სანთლები ანთებულა. ამბობდნენ: ის ჯიხვი თავისმა მფარველმა იხსნაო.

მონადირეს ნადირთა მფარველი შველოდა ყოველთვის. ოღონდ ამ მონადირეს აზარის გათავების შემდეგ თავისი თოფი უნდა მიწაში დაემარხა და ხელი აეღო ნადირობაზეო.

სანადიროდ წასვლის წინ მონადირე შეეხვეწებოდა ნადირთა ღვთაებას, რომ ამ საქმეში ხელი გაემართა. სამაგიეროდ მონადირე მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს სადმე ეხში ცეცხლზე ააშიშხინებდა ნადირთა მფარველის საამებლად.

ნადირთა მფარველი უჩინარი არსება იყო. იგი მონადირეს უმეტეს შემთხვევაში ლამაზი ქალის სახით მოევლინებოდა ხოლმე.

მთხრ. მართა გორელაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 175.

## 242. ნადირთმფარველი და ხვთისო საფარაშვილი

ფშაველის წარმოდგენით, ნადირსაც ჰყავს თავისი მფარველი არსება, რომელიც კლდეებში, ჭიუხებში, ძნელად მისასვლელ ადგილებში ბინადრობს.

მაღაროს მთაში (სოფელ მაღაროსკარის ზემოთ) ცხოვრობდა ფშაველი კაცი ხვთისო საფარაშვილი. იყო განთქმული მოლექსე, კარგი ხელოსანი და საუცხოო მონადირე. ერთხელ ის ჭიუხებში ჯიხვზე სანადიროდ წასულა. ნადირობიდან დაბრუნებულს მეზობლებისთვის უთქვამს: ჯიხვების ნაკვალევს მივაკვლიე და როცა მივუახლოვდი, დაფრთხნენ, შორს გადაიხვეწნენო. რაღაცა ძალა მეუბნებოდა: მიდი, ბოლომდე მიჰყევიო. მეც გადავყევ, ისევ დავლანდე ხარ-ჯიხვი, ამოვიღე მიზანში, ვესროლე და აკი არ დავაგორეო!

ამ ამბის შესახებ სოფელში მორწმუნე ქალები ამბობდნენ, ნადირთა მფარველს ხელი გაუმართია მისთვისო.

მთხრ. მართა გორელაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 174.

## 243. ქალუნდაურს გამოდევნებული გველი

ნაწილიანი მამუკა ქალუნდაურის დაკრძალვის დღეს თავაწეული გველი გამოჩენილა, რომელიც ცხედარს მიჰყვებოდა ნაწილის ხელში ჩასაგდებად. ერთ ხევსურს ხმალი უშიშვლებია და გველისათვის თავი მოუჭრია.

მთხრ. კვირია არაბული,
ჩამწ. ტრისტან მახაური, სოფ. გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 196.

## 244. ფუძის გველი და ნატვრისთვალი

ფშავში პატივს სცემდნენ გველს როგორც სახლში, ისევე ხატში. სახლში, ყორეში თუ თვალს მოჰკრავდნენ გველს, არ გააღიზიანებდნენ, არ მოჰკლავდნენ, იტყოდნენ — ფუძისააო. თუ მოჰკლავდნენ, მაშინ იმ ოჯახს დიდი უბედურება დაატყდებოდა (ვიღაცა მოუკვდებოდა). ასევე, გველს პატივს სცემდნენ ხატში. იმ ადგილს საერთოდ არ გაეკარებოდნენ, სადაც ის იქნებოდა დახვეული. ვინც მას მოჰკლავდა, ხატი გაუწყრებოდა.

შეიძლება ნაწილიან (ღმერთთან წილნაყარ, ბარაქიან, მადლიან) ოჯახში, სადმე ყორეში ინახებოდეს ნატვრისთვალი. ამას პოულობს ფუძის გველი და შუაღამისას, როცა თბილა, გაიტანს მინდორში და ათამაშებს, გააგორებს, დაედევნება სრიალით, დაიჭერს; კიდევ გააგორებს და ასე ათამაშებს.

ერთხელ ერთი მწყემსი შემთხვევით შესწრებია ამ ამბავს. იქ, სადაც მწყემსი ღამეს ათევდა, გველი გამოსულიყო და ნატვრისთვალს ათამაშებდა. თვალი, თურმე შორს გაგორდა. მწყემსმა დრო იხელთა, წამოვარდა ნაბდიდან, თვალს ხელი სტაცა და გაიქცა. გველმა ეს გაიგო და მაშინვე მწყემსის ნაბდისკენ გასრიალდა, შეძვრა შიგ, დაგესლა, დახვრიტა, დააცხავა ნაბადი, მაგრამ იქ რაკი თვალის მომპარავი ვერ ნახა, უკან გამოედევნა. მირბის მწყემსი წინ, ძალზე შორს... მისდევს გველი, მისრიალებს, ეკითხება გზაში ხეებს, ბალახებს, თუ საით წავიდა ნატვრისთვალის ქურდი. მცენარეებიც გზას ასწავლიან... მიუახლოვდა მწყემსი ნაკადულს, შევარდა შიგ, გავარდა მეორე მხარეს და მალე თვალს მიეფარა.

მისრიალდა წყალთან მცურავი და ჰკითხა: ჩემი ნატვრისთვალის ქურდი საით წავიდა, არ იციო? ნაკადული რას უპასუხებდა, როცა ის ერთ ადგილას არ დგას... გველმა ველარ გაიგო, სად წავიდა

მწყემსი. მწყემსს კი შერჩა ნადავლი. გამდიდრდა, გაუბევრდა ცხვარი და ძროხა და დაიწყო ბედნიერი ცხოვრება.

ნატვრისთვალის დაკარგვით შეღონებულმა მცურავმა კი იქვე, წყლის პირას, ქვაზე მოიკლა თავი.

მთხრ. იოსებ ღურბელაშვილი,
ჩამნ. ტრისტან მახაური, გომენარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 194.

## 245. სად არის ქაჯავეთის ქვეყანა

ფშავლების წარმოდგენით, ქაჯავეთი არის ისეთი ქვეყანა, სადაც ავსულები ცხოვრობენ. ისინი ბრძენნი არიან, მაგრამ ბოროტნი. ქაჯავეთი არის უდაბურ ადგილას, კლდოვან ადგილას, უსიერ ტყეში.

ქაჯავეთში ჩასვლა ყველას არ შეუძლია, იქ მიდის მხოლოდ ის, ვისაც შესწევს ძალა, აქვს სიბრძნე და სათანადო გამოცდილება.

ქაჯავეთში სალაშქროდ დადენილა ხახმატის წმინდა გიორგი. მას დაულაშქრავს ქაჯეთი და იქიდან ძროხის რქა წამოუღია, რომელიც ადრე ხახმატის ჯვრის წმინდა გიორგის ხატში ინახებოდა. ქაჯეთიდან მოტანილ ფურის რქაში ერთი ლიტრა ქერი ჩადიოდა — ამბობდენ მოხუცებულები.

ადამიანებიდან ქაჯეთში ჩასვლა თორღვას შეეძლო.

მთხრ. იოსებ ღურბელაშვილი,.
ჩამნ. ტრისტან მახაური, გომენარი, 1980 წ.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 182.

## 246. ქაჯავეთური საწყაო და უჩინარი ნაქსოვი

გარდა სასწაულებრივი ჯაჭვისა, რომელიც თორღვამ გამოიტანა ქაჯეთიდან, იქიდან სხვა ნივთებიც გამოუტანიათ, მაგალითად, წმინდა გიორგიმ ქაჯავეთიდან წამოიღო ირმის რქა, რაშიც ლიტრანახევარი ქერი ჩადიოდა თურმე.

ქაჯავეთში ქაჯის ქალები ისე ქსოვდნენ წაღმა-უკუღმა, ნაქსოვი არ ჩანდა თურმე. ობობას (ბებერაის) ქსოვილივითა ქსოვენო — უჩინარი იყო (უჩინარს ჰქსოვდნენო). ვინც იმათ ნაქსოვს მოისხამ-

და, უჩინარი ხდებოდა. იმას არც ტყვია ეკარებოდა, არც ისარი. ეს ნაქსოვი მოსასხამი მზეზე ლივლივებდა გველის ჭარივითა (გველის ჭარი გველის პერანგია). ამ მოსასხამის შოვნა, მისი ხელში ჩაგდება ძალიან ძნელი ყოფილა. მისი შოვნა ნაწილიან კაცს შეეძლო (ქაჯები ასეთ კაცებს აძლევდნენ).

მთხრ. ხვთისო ფარნაოზაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1981.
(არაგვის ხეობის სამეცნ. ფოლკ. ექსპედიციის მასალებიდან)

## 247. ქაჯები საქმეს უკუღმა აკეთებენ

ქაჯეთში ქაჯები ანუ ეშმაკები ყველაფერს უკუღმა აკეთებენ, უკუღმა ლაპარაკობენ (ერთმა მეორეს რომ უთხრას, სახლი დაანგრიეო, მეორე სახლის აშენებას დაიწყებს). ქაჯები ანუ ეშმაკები ცხოვრობენ კლდეებში, კლდის გამოქვაბულებში.

ქაჯი ადამიანს შეიძლება ეჩვენოს ლამაზი ქალის სახით, ან კიდევ საშინელი სანახავი იყოს. ქაჯები ცხოვრობენ ძველ ნასახლარებში, მიტოვებულ სოფლებში, ძველ ნაფუძრებში. ასეთ ადგილებს ნახოვლარებს ეძახის ხალხი და ფინთ ფუძეს.

იმ ადგილებზე გავლისას ღამით კაცს შეიძლება აესიონ ეშმაკები. ისინი უჩინრად მიჰყვებიან კაცს და თავის სახელს მისძახიან. მათ შეუძლიათ კაცი გააგიჟონ ან კლდეზე გადააგდონ.

ღამით მიმავალმა მგზავრმა შეიძლება დაინახოს ცეცხლი მინდორში ან ტყის შუაგულში. ცეცხლის გარშემო ჩანან ადამიანისმაგვარი აჩრდილები...

ქაჯებს კოჭი მოქცეული აქვთ.

მთხრ. მოსე მახაური,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 186

## 248. ეშმაკის ნასწავლები

ერთხელ ერთი ფშაველი კაცი სათიბში ყოფილა. უცებ ტყიდან გამოსულა ეშმაკი. ფშაველს ის დაუნახია, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევია და თიბვა გაუგრძელებია. მაშინ ეშმაკს ხის ცელი გაუკეთებია და ფშავლის გასაჯავრებლად თიბვა დაუწყია. სინამდვილეში

კი არ სთიბდა, არამედ ბალახს სთელავდა. ფშაველს ხერხისათვის მიუმართავს. ტყეში შევარდნილა, წნელი გამოუტანია და თავის ფეხები გაუკრავს ამ წნელით. ეშმაკსაც იგივე გაუმეორებია. ფშაველს ცელისპირი ამოუსვია წნელისთვის და ფეხები გაუთავისუფლებია. ეშმაკს თავისი წნელი ველარ გაუჭრია ხის ცელით და ფეხშეკრული დარჩენილა. ფშაველი იმნამსვე მივარდნილა, დაუჭერია ეშმაკი, დაუჭრია მისთვის ფრჩხილები და სახლში წაუყვანია. სახლში მისულ ფშაველს წელიდან ხანჯალი მოუხსნია, ქარქაშში ეშმაკის ფრჩხილები ჩაუყრია და კედელზე ჩამოუკიდია. ფრჩხილებდაჭრილი ეშმაკი ველარსად წავიდოდა. მას ეშინოდა ხანჯლისა და, რა თქმა უნდა, ფრჩხილებს თვითონ ვერ დაიბრუნებდა.

ამ ოჯახში ეშმაკი შვიდ წელინადს დარჩენილა, ამ ხნის განმავლობაში ეშმაკს მათთვის ყველაფერი უსწავლებია: საჭმლის დამზადება, ბალახეულით მკურნალობა და სხვა. წყლის მოსატანად ყოველთვის ის მიდიოდა, მან კარგად იცოდა თუ წყლის რომელი ნაკადი იყო სუფთა. რძესაც ეშმაკი უდღვებდა. მისი შედღვებილი კარაქი იმდენი მოდიოდა, რომ სადღვებლიდან ვერ ამოლევდნენ თურმე.

მეშვიდე წელს ეშმაკს უთქვამს: ახლა კი გამიშვით, ვგრძნობ, უნდა მოვკვდე და თუ აქ გავთავდი, თქვენთვისაც უარესი იქნება და ჩემთვისაცო. ოჯახს რო გავცდები, არაფერი დამიძახოთ, სანამ წყალში არ გავალო.

ოჯახის პატრონს აუსრულებია თხოვნა. ეშმაკი წასულა, მაგრამ იმ ოჯახის წევრი, მოხუცი კაცი, უკან გამოდევნებია და დაუძახია: არაყისგან ავად გამხდარ კაცს რა უშველისო? ეშმაკი მობრუნებულა, მოკლე პასუხი გაუცია: ისევ არაყიო. შემდეგ ქვა აუღია, მეორე ქვისთვის დაურტყია და დაუწყევლია: სუ ჯიელები გასწყდება თქვენს ოჯახშიო.

ამის შემდეგ იმ ოჯახში სუ ჯიელები იხოცებოდნენ.

მთხრ. მართა გორელაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომენარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 190

## 249. თორღვას ჯაჭვი ქაჯებმა აჩუქეს

თორღვა ერეკლე მეორის უკანონო შვილი იყო. ერეკლე ერთხელ მთაში რაღაც საქმეზე წასულა. იქ რამდენიმე დღეს დარჩენილა და ქალთანაც კავშირი დაუმყარებია. დაბადებულა ბიჭი სოფელ

მუცოში. იგი სწრაფად წამოზრდილა, თორღვას მუცოში თავისი ციხე-სიმაგრე აუშენებია, მეომარი ყოფილა, ფშავი დაუმონებია და მისთვის ბეგარა დაუდვია — კომლზე თითო შიშაქი ცხვარი, თითო არწივის მხარი (ისრისათვის) და თითო ნაცრიანი ტომარა (ზამთარში თოვლიანი გზების გასამშრალებლად).

თორღვა ქაჯეთში ჩასულა. იქ მისთვის ქაჯს ჯაჭვი უჩუქნია. ამ ჯაჭვს ისეთი გამძლეობა ჰქონია, რომ არც ტყვია ეკარებოდა და არც ისარი, მაგრამ თორღვა თუ გაიხდიდა და მიწაზე დადებდა, ჯაჭვი გველივით გაცურდებოდა.

ერთხელ თორღვა არჭილოს აბანოში წასულა. ჯაჭვი გაუხდია, იქვე დაუდვია, მაგრამ ჯაჭვი გაცურებულა და დაჰკარგვია. თორღვას ველარ უპოვია თავის დამცველი. წასულა უკან. გზაში ჩონთა შეხვედრია, რომელსაც თორღვა ისრით მოუკლავს.

— ჯაჭვი რა უყავ თორღვაო,
ეშმაკის ნაჩუქარიო?!
— გავწირე არჭილოზედა,
გაქანდა, როგორც ღვარიო,
გამაუყენე მწევრები,
ვერ მაუძებნეს კვალიო.

მთხრ. მოსე მახაური,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 182-183.

## 250. დევებს ფეხის კოჭები შებრუნებული აქვთ

ფშავლების წარმოდგენით, დევი საშინელი არსებაა. საზარელია მთელი მისი სხეული. ამ საშინელების აღწერისას ხალხი ასეთ სიტყვასაც იტყვის: „დევებს კოჭ უკუღმ აქვისო" — ეს იმას ნიშნავს, რომ დევს ორივე ფეხი შებრუნებული აქვს. კოჭი მოქცეულია წინ, ხოლო ფეხის წვერი თითებით უკანა მხარესაა.

კოჭი უკუღმა აქვს აგრეთვე ქაჯს, ეშმაკს. ქაჯი და ეშმაკი თითქმის გაიგივებულია. საშინელი სანახავი ყოფილა დევი ქუდიელი. მას კოჭუკუღმ სიარული სცოდნია. დაფარული ყოფილა ბალნით. თავზე სალუდე ქვაბი ჰხურებია, რომელსაც სიარულის დროს აჟღიალებდა.

მთხრ. მოსე მახაური,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 181.

## 251. კოპალამ დევი მიწის ქვეშ გადაჰკარგა

### [გამიწრივლება]

დევები უმეტესწილად ბნელ ხევებსა და უდაბურ ადგილებს ეტანებიან. ისინი ხშირად მიწაში ჩადიან, უჩინარდებიან თავდაცვის მიზნით ან სხვადასხვა გარემოებათა გამო. ამას ხალხი „დევთ გამიწრივლებას" ეძახის.

ერთ კაცს, შუაღამისას ტყეში მიმდინარს, დევი შეხვედრია, მიწიდან საითამ ამოძვრა. საზარელი სანახავი იყოო, უთქვამს იმ კაცს. შევხედე და კინაღამ გავთავედი... წინ გადამიდგა, არ მიშვებდა, ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა და ქობივით ლაშთ აღრენდაო.

მერე კი მომაგონდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავ. სამჯერ გადავიწერე პირჯვარი და ბერ კოპალას შავეხვეწე: ავსულისგან დამიხსენიო. იმავ წამს ცაზე რაღაცამ გააბურჯღლა, ჩემ წინ მიწა გაიხსნა და დევიც თან ჩაიყოლა. მე გულზე მომეშვა, შინ გამოვწიეო, — უთქვამს კაცს.

მთხრ. მოსე მახაური,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 177.

## 252. დევების გამიწრივლება გომეწარში

ხალხის წარმოდგენით, გარდა ხვთისშვილებისა, არსებობენ აგრეთვე ავი სულები, ბოროტი ძალები, რომლებიც დევების, ეშმაკების სახით ცხოვრობენო. ისინი იბრძვიან კაცთა მოდგმის წინააღმდეგ. მათი ბრძოლა ძე-ხორციელთა წინააღმდეგ უმეტეს შემთხვევაში ფარული (გამიწრივლებული) სახით მიმდინარეობს („მისეულობით" — იტყვის ფშაველი), მაგრამ ზოგჯერ საჩინოც ხდებაო.

ავსულები აესევიან უსიერ ადგილებში დასახლებულ ხალხს, ოჯახს, სხვადასხვა ადგილას გაჩნდებიან ხოლმე. არსებობს ასეთი ლექსიც:

დევნ გამიწრივლდენ გომეწარს,
მცხოვრებნ დაშინდეს ყველანი,
დაუჭერავის ავსულთა
ხევნი, მთანი თუ ველანი.

მთხრ. ხვთისო ფარნაოზიშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1980.
ფ. არქ. ქ. 332, გვ. 176.

# მუქუ

## 253. როგორ დასაჯა ხატმა მერხების წამომლები

მერხებ წამეელო მუქუთა (მუქუდან) და ჭოშარას მეეტანა. მასწავლებელი ყოფილიყო. ი ოთახში ის ქალი თუ არი, ხაზეინი იმისი. და ეთქვა, რო იმეებს მიიტან იქავაო, მიიტანო, თუ არაო და სიცოცხლე უნდა გაგითავოთო. „ვაიმე, მოვლენო, ვაიმე, მოვლენო!“ მოსულა თოვლი, ველარ წაუღავის. მოსულან მართლა, შვილო, და ჭოშარის ძირსა ფალარა კლდეებ რო არი, იმის აქათა დაუგორებავ და... „მოიდენო“, ი დედაკაცისად უთქომ. „ბიჭო, გაჩუმდი, რეებ მოიდენ, რასა ხედავო?“ „აგე, ფანჯარაში არიანო“. ხატიო კაცს ვერას უქამსო, თუ ეშმაკ არ მიუსიაო. გადააგდეს, ჭოშარის კლდენ რო არიან, ა, იმის აქათა, ის ბიჭი. „მოიდენო“, თვითონა ხედავდა ის ბალლი, ის მასწავლებელი, ი დედაკაცს ისრე ეუბნა. დალუპეს ა, ისრე. რად უნდოდა, ხატისა რო მაჰქონდა? რა მერხი, რა ეშმაკი! ეგრეც კარგა დასხდებიან კუნძებზე, სკამებზედა.

ყველაფერ საწამებელია, შვილო, ხოლოთ ეშმაკიც, ხატიც, ღმერთიც — ყველა თავის გამჩენსა თავის გზაზე დაუწესებია. ეშმაკეულობა, შვილო, კაცს არ შეეჩვევა, თუ არა ჰფიქრობ რაღაცა ცუდებსა: ან თავ მოიკლაო, ან რაღაცა არ გავაკეთოო, ან მარცხ საქმეს არა ფიქრობ, იმ ეშმაკს შენთან საქმე არა აქვ. ბევრი ფიქრობს, შვილო, რო დაშავდება რაღაცა: „თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავო“. ვინც თავს იკლავს, ეშმაკსა რჩება იმის სული. ადამიანი მიწაა, სული კიდენა ხთისგან ჩადგმული და უნდა ჩაიბაროს მთავარანგელოზმა ისი. ისე იცოდენ ნინავა, შვილო, რასაც კარგს იტყვი, ეშმაკსა სწყინს; რასაც ცუდს იტყვი, ეშმაკს უხარია. და მთავარანგელოზი ყველაფერსა სწერს. თუ აჯობნა ეშმაკსა ხატმა, იმის სულს ვერაფერ ვერ გამაჲრჩება, თუ არა და, დაინარჩომებს, მისია, უნდა აწამოს, უნდა დატანჯოს. რა ძალი არი!

ეს მზის ყურება აი, ყვავილსა ჰგავ ჩვენთვინა, ცოცხალ ყვავილსა. თვალია, შვილო, მართალი და ყურია მტყუანი. ბევრ რამეს გაიგონებ, ბევრ რამეს დაიჯერებ. თუ თვალით არა ნახე, არა, არ არი მართალი.

მთხრ. ბაბალე ტურაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, ლეჩური, 1985.
თსუფა 26316

## 254. ჩირეხა და დევი

ბასილის ქორწილი ყოფილა, წონკოლაურისი. აი, ემ სახლში ცხოვრობდა, აი, დიდ ქვა რო არი. მაგის ქორწილი ყოფილა და ცაბაურთ ქალი წამოუყვანავ, ჭყრუნათ ქალი, და ჩირეხაი, ბიძა ყოფილა იმ ქალისა, წამოსულა მაყრად თავის ცხენით. კაი ცხენი ჰყავ, ნაბადი ჰხვევავ, და დაუღამდა.

მიდის და, ხოხას ეძახიან, ამ გოგოლაურთის იქით არი, ხიშმუს აქათ, მიდის იქა და ნაბდიან კაცი გზაში ჰყუდავ, გაბოტიტნებული. „კაცო, მამეცალე! რომელი ხარ?" ეუბნება. არ იღებს ხმასა. „კაცო, მამეცალეო". ე ცხენი ტრიალებს და ეს აღარ ეშვება გზასა. ჩამოხდა მერე ჩირეხაი და დეეხალა იმ ნაბდიან კაცს. იბრძოლეს, იბრძოლეს და ვერც ერთმა გააგორა, ვერც მეორემ. გაიყარნეს.

მივიდა ქორწილში ჩირეხაი და ჰკითხავს ეს ხალხი: „ჩირეხავ, როგორი ხარ შენ, რა მოგივიდაო?" არ იღებს ხმას, გატრუნულივით არი, გალენჩებულია კაცი. „კაცო, რა მომივიდა და, — რო შააწუხა ე ხალხმა, უთხრა, — აი, გზაში რამ შამხვდა ნაბდიანი კაციო, კაცოო. ვეუბენ, მამშორდი, არ მამშორდაო. ჩამოვხე, დავიხალენითო და ვერც იმან გამაგორა, ვერც მენაო და გავიყარენითო, და რაღაც დაიდუდუნაო და წავიდაო". გაკვირდა ეს ხალხი. რა იყო? კი ტყუის ეს კაციო. კაცო, აბა, რო წავიდა ეს მაყრიონი აქითა და დაინტერესდეს, რო აბა, რომენ ადგილს, ჩირეხავ, სად ჩაიყარენ, და აი, აქა და, დააკვირდენ და ის კოჭით ნახნავ მიწა ეტყობა, ბორცვი, კაცო, ნაბრძოლი იმათი. დამტკიცდა ეს ამბავი.

მემრე ეს ჩირეხა ბეტისჩდილში ცხოვრობდა და იმისი არვინ დარჩა, სულ გაწყდა ის კაცი. ალბათ შასწყია იმ დევმა, რო ვერ გააგორა, რა ვიცი. დაიტუტუნაო, რო გავიყარენითო და ეგ იყო. აი, უბედურება, კაცო! რაღა იმას შახვდა, ემოდენა ხალხმ იმაზე გამაიარა. დიდ იყო, ლოხ კაც თურმე და იმაზე დეეხალა, რა ვიცი, მაგრამ ვერ გაუგორებავ კია.

მთხრ. პეტრე კუწაშვილი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მუქუ, 1981.
თსუფა 25452

# ჭიჩო

## 255. მთაწმინდის ბერის ანდრეზი

მთაწმინდა არის მაღალი მთა მისრიანთ და ჭიჩოელთ ზევით, ყველაზე მაღალი მწვერვალი. თითქმის იქ თოვლი მკათათვეშიც არის და მარიამობის თვეში ახალსაც ჩამოსთოვს. აქ ყოფილა ერთი ბერი, ზამთარ და ზაფხულ იქ უცხოვრია. ჰქონია პატარა სამლოცველო, ეკლესიის მსგავსი, და თვითონაც შიგ ცხოვრობდა. მისი სამლოცველოს ხეები და ფიცრები ისევ არისო... ფიცრებიც და ხეებიც ისეთი წითელია, როგორც ცხვართ სისხლიო. პური ამ ბერებს ალბათ ზაფხულში მიჰქონდათ სამყოფიო, თორემ იქ ზამთარში მისვლა შეუძლებელიაო.

იქ ერთი ქვევრი ყოფილა. არ ვიცით, წყალი იქნებოდა შიგ, თუ ღვინოო. იმისი სახელი დავიწყებულია, დავიწყებულია სალოცავის მფარველი ანგელოზის სახელიც. ხოლო მთაწმინდას ეძახიან და იმ ბერის ნადგომში კაცის მისვლა არ შეიძლებაო.

ბარდ. ფშავი 179

# ახადი

## 256. იახსარი ნაწადის ტბაში

იახსარი ანგელოზი იყო და ანგელოზად ჩამოვიდა ციდამ. სადაც დღეს შუაფხოში საყდარია, იქ დევების სადგური იყო. სახელად ამ ადგილს ერქვა ავისგორი. იახსარი გადის პირდაპირ და ჟლეტს დევებს ლახტით აქაც და სხვაგანაც. გადაურჩა მხოლოდ ერთი ცალთვალა დევი და გაექცა. დევი ახადს ნაწადის ტბაში ჩავარდა, იქ უნდა დამალულიყო. იახსარი ტბას არ შეუშინდა და თან ჩაჰყვა ტბაში, სადაც მოჰკლა ცალთვალა დევი. სისხლი დევისა ამოვიდა მაღლა ძირიდამ, გადაეფინა ტბას და მთლად დაჰფარა, გაება ზედ აბლაბუდასავებ. იახსარი, რადგან წმინდა იყო, ანგელოზი, ღვთის შვილი, ვერ ამოვიდოდა მაღლა, რომ დევის სისხლი არ მისცხებოდა და არ გაუწმინდურებულიყო. დარჩა იახსარი ტბაში. ხალხმა გაიგო ეს ამბავი და დიდად შესწუხდა. ქადაგის პირით ხალხმა ღმერთს შესთხოვა, ესწავლებინა მას ხალხისათვის საშუალება იახსარის ტბიდან განთავისუფლებისა, ამოყვანისა. ღმერთმა ქადაგისავე პირით გამოუცხადა, ეშოვნათ ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი და იმის სისხლით გაენათლათ ტბა, ე. ი. სისხლი ამ ცხვრისა ჩაეღვარათ ტბაში, ანუ შიგ ჩაეკლათ ცხვარი. ფშავში ბევრი ეძებეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი, მაგრამ ვერ მოიძიეს. ბოლოს, ხევსურეთში აღმოჩნდა ეს საოცარი ცხვარი. ღვთის ბრძანებისამებრ, წაიყვანეს და ჩაკლეს ცხვარი ნაწადის ტბაში. მაშინვე ცალი პირი ტბისა გაიხსნა და იახსარი მტრედისფრად ამოვიდა ტბიდამ, შემოჯდა ტბის პირად ქვაზედ და დაიწყო მხრების ბღერტა, სწორება. ეს ამბავი თვით ხალხურს ლექსშიაც ნათლად არის გამოხატული...

აი, ლექსი იახსარზედ:

ღვთის კარზე შავიყარენით
ღვთიშვილნ სამოცდაცხრანიო;
ქვემოთ, ბოლოში ჩამოვჯე,
მე, ხატი იახსარიო.

გადმოდგეს სასწორ-ჩარექი,
კვირავ, გვიჭირე თვალიო.
ჩამაირიგეს ღვთიშვილთა,
ვერვინ გაუგდო ქარიო.
გადავხე, ერთი ავწიე,
ღმერთო, შენ მამე ძალიო.
სამოცლიტრიანს რკინასა
ქვეშ გაუვლიე ქარიო.
ავისგორს შამამიკიდეთ
ჩემი პატარა ზარიო.
დაჰკრან, ხმა ახადს მოვიდეს,
იქ დაიწერონ ჯვარიო.
დევს მაუქნიე საგმირო,
კლდეს მააფარა თავიო.
კლდე ოთხად გავანათოსე,
დევს გამოვსთხარე თვალიო.
წანადას ტბაში ჩავარდა,
მიძრნა და მოძრნა ტბანიო.
ღვთისაგან ვიყავ შათვლილი,
თან ჩავყე იახსარიო.
დევი მოვიგდე ტბაშია,
თავს დავამტვრიე ფარიო.
ამოსვლით ველარ ამუელ,
სისხლით შამიკრა წყალიო.
ხატი დაგვრჩება ტბაშია,
შაწუხდნენ ჩემნი ყმანიო.
მაიყვანეს და ჩამოკლეს
ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო.
ღვთისაგან იქნა ბძანება,
მემრე გაიხსნა წყალნიო.
შამოვჯე ბეღლის ქვაზედა,
შამოვიბერტყენ მხარნიო.

ვაჟა IX 80

## 257. პირქუში და იახსარი

პირქუში ხევსურეთშიც არის სოფელ ბაცალიგოში და ფშავში სოფელ ახადშიც. რაკი ერთი სალოცავი ჰქვიათ, ახადლებს და ბაცალიგვლებს ძმობაც ჰქონიათ. ჯერაც ერთიმეორეს ბიძაშვილს ეძახიან.

პირქუში პირველად იყო კაცი, სახელგანთქმული მჭედელი და ამასთან ხთის მლოცავი. ხვთიდან ჰქონია გავლენა დევ-კერპთაზედაც.

უკანაფშავში მდგარა ერთი თავადი და დევები თურმე ავიწროებდნენ მას. ისინი მდგარან უკანაფშავის სოფლის შელმა ხევზე, წყაროსთავს. წყაროსთავი მოხერხებული ადგილია საარსებოდ და აქ დადგომა სდომებია წყაროსთაულს, მაგრამ დევებს არ გაუშვიათ. ამ დროს პირქუში იორზე მდგარა. წასულა ეს თავადი, პირქუშისთვის მშვილდ-ისარი გაუკეთებინებია და ზროიანი ისრები. პირქუში თვითონაც გამოჰყოლია. იქ, სადაც დევები მდგარან, ახლო ერთი პატარა გორია, მაშალოსგორს ეძახიან. მოჰპარებიან მაშალოს გორიდან წყაროსთაული და პირქუში და ისრებით ეს დევები სულ ამოუწყვეტიათ. მას შემდეგ წყაროსთაული წყაროსთავს დამდგარა და ხთიშვილად გადაქცეულა. ახლა ასე ახსენებენ:

თავადო წყაროსთავ წმიდაო გიორგიო,
დევდედაბერთ ამომწყვეტო.

ალ. ოჩ. ფშავი 155-156

## 258. კუდიანი რძალი

კუდიანები იყვნენ მამაკაცებიც და დედაკაცებიც. ისინი ციცებად გადაიქცეოდნენ, გაძვრებოდნენ სახლიდან, როცა ოჯახის წევრები დაიძინებდნენ და წავიდოდნენ აჩხოტის მინდორში, სადაც იმ ღამეს კუდიანები იყრიდნენ თავს. მთელ ღამეს იქ იყვნენ, არიგებდნენ, სად რა ვის ავნონ, ვინ წყალში ჩააგდონ, ვინ მოკლან ზვავით და სხვა. ავალებდნენ, შენ ის უნდა გამოღვიძლო და შენ ისაო, თუნდა იმისი ნათესავი ყოფილიყოს.

ერთ კუდიან ქალს თურმე უყვარდა თავისი მაზლი ნათესაურად, რადგან ის ძალიან კარგი კაცი იყო. დაავალეს თურმე კუდიანებმა მისი გამოღვიძლა. თუ არ გატეხილიყო, აუცილებლივ უნდა შეესრულებინა დავალება. გამოტყდა იმის გულისათვის, რომ მაზლი

ვერ გაიმეტა. გამოვიდა და სახალხოდ თქვა: მე კუდიანი ვარ და გავტეხილვარო. თუ გამოტყდებოდა, რომ კუდიანია, კუდიანობის უნარს კარგავდა, ჩვეულებრივ ადამიანად იქცეოდა.

მაზლის გულისთვის რომ გამოტყდა, კუდიანმა ილაპარაკა: ერთი კაცი მოდიოდა მთაზე საზვავე თოვლში, იმის მოკვლა გვინდოდა ზვავით, მაგრამ დავლათიანი ყოფილიყო და ვერ მოვკალითო. თოვლიან მთაზე რომელი გზაც უნდა გაევლო, იქ წავედით და სადაც უფრო საზვავე თოვლი იყო, ბალახი ისე გავაკეთეთ, ვითომც თოვლი ძალიან თხლად იყო და გამხმარი ბალახი მიწის პირიდან ისევა ჩანდაო. ეს კაცი რომ მოვიდა, ჩვენ გაგვიხარდა, ახლა კი მოვკლავთო. მაგრამ კაცი დადგა, მიიხედ-მოიხედა და არგნით გასინჯა თოვლის სიმაღლე. არგანი ღრმად რომ წავიდა, გაუკვირდა და თქვა: დიდება შენდა, ღმერთო, ეს რა ამბავია? ამსისხო თოვლია და ეს ბალახები როგორღა ჩანსო? ღმერთის ხსენებაზე მისთვის დამზადებული საზვავე თოვლი გატყდა და ისეთი ზვავი ჩავიდა ჭალაში, რომ ციხე კიდევ მაღლა იყო. ეს კაცი ჯერ თოვლზე არ შემდგარიყო და თავისი დავლათით გადარჩაო.

ალ. ოჩ. ფშავი 172-173

# გაბიდოურთ თემი

## 259. ხოშარის წმიდა გიორგი

ხოშარლები წინწინ ღელეში ცხოვრობდნენ, ხოშარის ადგილი კი დევებს ეჭირათ და ხალხს აშინებდნენ. მერე აქ დასაარსებლად მოსულა წმიდა გიორგი, მაგრამ დევებს ბრძოლა დაუწყიათ მისთვის. წმიდა გიორგის ლახტი და სხვა საბრძოლო იარაღი არ ჰქონია მაშინ, ერთი ძელისთვის მოუვლია ხელი და ამით დაუხოცავს დევები და დაარსებულა ამ ადგილზე.

გაუგიათ ეს ამბავი გაბიდოურებს, რამამ დევები ამოსწყვიტა და თვითონ დაარსდაო, წამოსულან ამ ადგილას და აუშენებიათ კოშკი და, რაკი არ იცოდნენ, ვინ იყო დევების გამწყვეტი, დაარქვეს „კოშკის ანგელოზი". მერე მკითხავი გაქადაგდა და მისი პირით შეიტყვეს, რომ ეს წმიდა გიორგი ყოფილა. ამის შემდეგ მოაქვივნეს „გიორგი კოშკის ანგელოზი" და „სახუთმეტო ძელის ანგელოზი".

ერთი დევი გაექცა წმიდა გიორგის ართაჯურისგორზე. ესროლა ქვა წმიდა გიორგიმ, ქვა მიწაში ჩაეფლო, დაშალა ნაზირზენი. ერთი ნაზირზენი თვალში მოხვდა გიორგის და თვალი დაუზიანა. დევი გაიქცა და გადაიკარგა.

ღელეში, სადაც წინწინ ხოშარლები ცხოვრობდნენ, ჯერ სალოცავი არ ყოფილა. ერთხელ, როცა პურს ლეწდნენ, ხარებს რქებზე ცეცხლი უჩნდებოდა. ბოლოს, მკითხავმა უთხრა: „აქ თამარ მეფის სალოცავი დაარსდა და უნდა აიყარნეთ, რქებზე ცეცხლი ამის მიზეზი არისო."

ბოლოს, აიყარნენ ყველანი და ხოშარაში გადასახლდნენ. მამულები დარჩა სანადოდ თამარ მეფის ხატს.

[პასპორტი დაკარგულია]

## 260. თამარ მეფის ხატის დაარსება

ხოშარლები პირველად ატარებდნენ გაბიდოურს გვარად. ხოშარის თემი ერთ-ერთი გვარძლიერი თემი იყო. სათემო სალოცავი ამათი ყოფილა ღელე, თამარნეფის ხატი. ეს ხატი რამდენიმე სოფელს აერთიანებდა, მაგრამ უნჯი ყმანი იყვნენ გაბიდოურები. გაბიდოურები ძველად ორ ადგილზე ცხოვრობდნენ — ხოშარაში და ღელეს, სადაც ეხლა თამარნეფის ხატია.

ხოშარაში წინათ ხატი არ ყოფილა, ცხოვრობდნენ გაბიდოურები, მაგრამ ღამე რომ კალოს ლეწავდნენ, ხარებს რქებზე თურმე ცეცხლი უჩნდებოდა. შეშინდნენ გაბიდოურები და მიმართეს მკითხავს. მკითხავის თქმით, აქ გაჩნდა თამარნეფის ხატი, ე. ი. თამარნეფეს ხატად ილოცავდნენ (ზოგის თქმით, აქ იყო საფლავი, რომელსაც თამარ მეფის კუბოს ეძახდნენ და ამაზე გააჩინეს სალოცავიო). სოფელი აიყარა და ყველანი გადასახლდნენ ხოშარაში. სასოფლო მამულები დარჩა ხატის სანადოებად ანუ ხოდაბუნებად. გაბიდოურები ხშირად ხოშარიდან ემსახურებოდნენ თამარნეფის ხატს. წლის ბერები აქედანაც დგებოდნენ, ახადიდან და ჭიჩოდანაც. ხევისბრებიც უფრო გაბიდოურებიდან იყვნენ. ისე კი ხატის მოკითხვით ხანდახან სხვა სოფლებიდანაც დგებოდნენ.

ალ. ოჩ. ფშავი 285

## 261. ჩოხელაშვილების ცაცხვი

კუჭეჭისწვერის წმინდა გიორგის ხატიდან ღამღამობით მურგვლად წამოვიდოდა ხოლმე რაღაც ბურჯგუმ-ბურჯგუმით და ჩოხელაშვილების ცაცხვთან ისვენებდა. ერთხელ მეც ვიხილე ღამით.

ერთი კაცი ყოფილა, ჩვენს სოფელში ცხოვრობდა, შარახევში. იმ ცაცხვთან რომ მოდიოდა ის რაღაცა, ბურჯგუმ-ბურჯგუმით, ანგელოზი იყო, ანათებდა. იმ კაცს ბასარიონი ერქვა. ურწმუნო კაცი ყოფილა. იფიქრა თურმე, ამ ცაცხვში ფუტკარი იქნებაო, და თაფლის ამოღება მოუნდომებია. აუღია ცული და ხის მოჭრა დაუპირებია. ბასარიონს პატარა ბავშვი ჰყოლია აკვანში, ბასილი. მოჭრა რომ დაუპირებია, ბავშვს კვდომა დაუწყია. ბავშვის დედა ატირებულა, ქმრისთვის ხმა მიუწვდენია და დაბრუნებულა ბასარიონი. ბავშვი მოსულიერდა.

მეორე დღეს აიღო ისევ ცული, დამალა და ჩუმად წავიდა ხის მოსაჭრელად. კვდება ბავშვი. ისევ მობრუნდა ეს კაცი, დამალა ცული. ბავშვი ისევ გონთ მოვიდა. ბოლოს, მაინც ამოწყდა ის ოჯახი: ხატმა არ აპატია ურწმუნობა და ღალატი. ცაცხვი ახლაც უძრავად დგას შარახევში. ძირიდან სწორად იზრდება კაცის სიმაღლეზე, მერე ორად იტოტება.

მთხრ. მარიამ ბოძაშვილი,
ჩამწ. მედეა იმერლიშვილი, ქვემოქედი, 1988.
თსუფა 28927

## 262. ხახანი

ხახანი არიან ქისტის ჩამომავალნი. მაგათი პაპა ყოფილა ქისტეთიდან გადმოხვეწილი, ალბათ მკვლელობაზე. ეს ქისტი, სახელად გეზელი, დასახლებულა ახლანდელ მაღაროსკარის თემის სოფელ კაწალხევში. აქ მოსულა სტუმრად მეფე ერეკლე, დაღლილს დაუძინია. მხლებლებს ხალხისთვის უთქვამთ: მეფეა, ღმერთის სწორი კაცი და რასაც მოითხოვს, უარს ვერ ეტყვითო. რომ გაიღვიძებს, ქალს მოითხოვს და ისეთი ლამაზი ქალი მოამზადეთ, რომ მეფის საკადრისი იყოსო. ქისტი გეზელის ცოლზე ლამაზი აქ არავინ ყოფილა. ეს ქალი გამოუწყვიათ სუფთად და მეფესთან მიუყვანიათ. დარჩენილა იმ ღამეს მეფესთან. დაბადებულა ხახა, გაზრდილა და დავაჟკაცებულა ისეთი, რომ ამ ქვეყანაზე ცალი არ ჰყოლია. ერეკლემაც იცოდა, რომ ხახა მისი იყო და ხშირად იბარებდა თავისთან. მას ქაღალდებიც ჰქონდა მამულებისა ერეკლეს მიერ მიცემული. მამული ჰქონდა ახმეტაში და გომბორზე. ეს ქაღალდები ხახათ გვარში გვიანობამდე ინახებოდა. ხახა რომ მოკვდა, ეს ქაღალდები ხელში ჩაუვარდა მისრიათ ბეწინტურას, რომელიც ხახათ ედავებოდა ღელეს მამულებს. გაირკვა, რომ ეს ქაღალდები ბეწინტურას მიუცია მღვდელ ფარნაოზ ზაბახიძისათვის და იმან არ ვიცით, სად წაიღოო. ხახას ერთი შვილი გომბორში ჰყოლია, თავის მამულში, სახელად გიორგი. სხვა ცოლ-შვილი კი აქ ჰყავდა.

კაწალხევში ცხოვრების დროს ხახა არც ერთ ხატს არ ეყმობოდა და არც რომელიმე თემის წევრი იყო. ბოლოს მოამიზეზა ლაშარის ჯვარმა, ისე მძიმე ავად გახდა, რომ ლოგინიდან ვერ იძვროდა. მკითხავმა უმკითხავა ლაშარის ჯვარზე წასვლა და თავხევისბრად დადგომა. ხახას არც ფეხით შეეძლო წასვლა და არც ცხენზე დადგომა. ერთ-ერთ დღეობაში, როცა ეს კაცი ავად იყო, მკითხავი

ურჩევდა, თუ არ წახვალ ლაშარის ჯვარში, ვერ მორჩებიო. საკაცით მიიყვანეს ლაშარის ჯვარში. ცოტა ხნის შემდეგ ხახა გამორჩა და გახდა ლაშარის ჯვრის თავხევისბერი. ლაშარის ჯვრის და თამარნეფის ბრძანებით გაბიდოურებმა მიიღეს სოფელ ხოშარაში, მისცეს ადგილი და სახლის გაკეთებაში თვითონ გაბიდოურები დაეხმარნენ. გახდა გაბიდოურთ თემის სრული წევრი და ლაშარის ჯვრის ხევისბერი. ემსახურებოდა ადგილობრივ სასოფლო სალოცავებსაც. ამის შემდეგ ხახა იყო ფშავში თავკაცად, რადგან ერეკლე მეფის ჩამომავლად ითვლებოდა და თვითონაც ძალიან ყოჩაღი კაცი იყო. როგორც ლაშარის ჯვრის თავხევისბერს, მას მართლაც ჰქონია მისვლა-მოსვლა მეფეებთან. მისი ჩამომავლობა შეუერთდა გაბიდოურთ თემს და გახდნენ ლაშარის ჯვრის ხელდებული ყმანი. მათი გვარიდან ერთ-ერთი უეჭველად უნდა ყოფილიყო თავხევისბრად.

ალ. ოჩ. ფშავი 286-287

## 263. ხახა

ხახა ისეთი სახელგანთქმული იყო, რომ არხოტამდინ გადავიდა მისი ქება-დიდება. იმ დროს სახელიანი კაცის მოკვლა სასახელო იყო და არხოტივნები თორმეტი კაცი წამოვიდა ალუდი კურდღელაიძის ხელმძღვანელობით ხახას მოსაკლავად. სალმურთობა დღეს მოვიდნენ და ჩაუსაფრდნენ სახატო იფნებთან ხატში. იცოდნენ, რომ ხახა თავხევისბერი იყო და აუცილებლად გამოვიდოდა აქ. უნდა დასხმოდნენ თავს, ხმლებით მოეკლათ და დიდ სახელს წაიღებდნენ არხოტს. მზე რომ ამოვიდა, გამოვიდა ხახა საბეროდან და არხოტივნებს თორმეტსავ კაცს შაეკრა ხელ-ფეხი, ველარ გაჩუჩუნდნენ. ხახამ ეს ხატისაგან გაიგო და უთხრა ხალხს: აგერ იქ გიორგის პატიმრები არიან, ადით და აქ ჩამორეკეთო. მივიდა ხალხი და ნახეს, თორმეტი ვაჟკაცი დაბღუნძვილი ზის — ვერც ხელს აჩუჩუნებენ, ვერც ფეხს. ხალხმა მათი იარაღი აილო და მოუტანეს ხახას. მერე ხახა თვითონ მივიდა მათთან და ჰკითხა მოსვლის მიზეზი. ალუდმა არ დაუმალა და უთხრა: სახელიანი კაცი გამეგონე და სახელის გულისად მინდოდა შენი მოკვლა და იმით მოვედიო. ხახამ უთხრა: რა დაგიშავე, სახელის გულისად რომ იქით აქ წამოხველ ჩემს მოსაკლავად, ცოდვა მაინც არ გაშინებდაო? აპატია და სალოცავს სთხოვა მათთვის შენდობა. მერე ყველას გაეხსნა ხელ-ფეხი და ჩამოვიდნენ ხატში, მისცეს ფიცი ძმობაზე და დაპირდნენ: ამა და ამ დღეობაში მოვალთ, ხარს მოვიყვანთ და ძმად გავიფიცნეთ ჩვენ და ხოშარლებიო.

დანიშნულ დღეობაში არხოტივნები მოვიდნენ, მოიყვანეს ერთი ხარი, ლუდი წინასწარ აქ იყო დამზადებული, დაკლეს და დაიფიცეს ძმობაზე. არხოტივნებმა თან მოიტანეს ფიჭვის მასალა, ააშენეს ერთი კოშკი და დახურეს ამ მასალით, რომელიც ნელობამდინ იყო. ჩადგეს მაღალი ქვა — ძმობის სამანაი და ჩამოაცვეს ზედ სპილენძის ქვაბი — ესეც ნელობამდინ იყო. სამანი კი ისევ არის, ქვაბი დაიკარგა. გადაიხადეს დიდი დღეობა და მას აქეთ არხოტივნების და ხოშარლების ძმობა მომდინარეობს. არხოტივნები ყოველთვის მოდიოდნენ ხოშარას სალოცავად, მოჰყავდათ საკლავები, მოჰქონდათ სასმელი და აქაც დიდის პატივით ხვდებოდა ხალხი.

ალ. ოჩ. ფშავი 9-10

# წითელაურთ თემი

## 264. ხევისბერი ქავთარა

კოტიას წმიდა გიორგის, წითელაურთა თემის, საერთო სალოცავს ორიათასი სული ცხვარი და მწყემსები ჰყავდა. ხევისბერი ქავთარა ხშირად მიაკითხავდა ხოლმე წმიდა გიორგის ფარებს. წინასწარ იცოდა, რომელ ღამეს მოვიდოდა წმიდა გიორგი ცხვრის დასათვალიერებლად. ეტყოდა მწყემსებს: ამაღამ წმიდა გიორგი მოვა და ცხვარი რომ შეფრთხეს, არ დაიკივლოთ, იცოდეთ, წმიდა გიორგი იქნებაო.

ერთხელ ქავთარა კოტიისგორს ყოფილა წმიდა გიორგის ცხვარში. მისულა იმის საზარესთან, დამჯდარა და დაუწყია ხატთან პირად ლაპარაკი. ხან ნელა ესაუბრებოდა ხატსა, ხანდახან კიდევ გაუჯავრდის ქავთარაიო. ამ დროს ქისტები ყოფილან გადმოსულნი ქავთარაის მოსაკლავად და ცხვრის გასარეკად. საზარესთან ახლო ყოფილან ჩასაფრებულნი, რადგან სცოდნიათ, რომ ქავთარა საზარესთან ხშირად მოდიოდა. გადაუსხამ ქისტებს თოფები მოსაკლავად, მაგრამ როცა დაუმიზნებდნენ თოფს, ქავთარა თურმე გაუჩინარდებოდა. მოაშორებდნენ ნიშანს და — იქვე იჯდა და ხატს ესაუბრებოდა. რამდენჯერმე რომ განმეორდა ასე, ქისტები მიხვდნენ, რომ ქავთარა წმიდა კაცი იყო და შეშინებულები უკან დაბრუნდნენ, ვერც ქავთარა მოკლეს და ვერც ცხვარი გალალეს. ქავთარა ბოლოს პანკისში მოკვდა და მკვდარს თურმე ციდან სვეტი ედგა. რომ გაასვენეს, სვეტიც თან მიყვებოდა და საფლავში რომ მიწა მიაყარეს, სვეტიც მაშინ გამქრალა.

ალ. ოჩ. ფშავი 295

## 265. წინლიკური, ხატის მეცხვარე

კოტიას წმიდა გიორგის ცხვრის მომვლელი ყოფილა ერთი გამიაშვილი, წინლიკური. წინავ შირაქში არ დადენილან, ტყეში დადენილან. აფშოელებიც ყოფილან ცხვარში. წინლიკური წასულა სანადიროთ. აფშუელ კაცს ჯიხვის ტყავი სცმია. წინლიკურმა იფიქრა, ჯიხვიაო და მოკლა კაცი. აიკიდა და მიიტანა ბინაში. უთხრა: აი, ეს ვქენი და, თუ გინდათ, მომკალითო. წაიღეს ეს კაცი აფშოს. გაზაფხული რომ მოვიდა, მაითხოვეს თავსისხლი. წინლიკურმა უთხრა: უნებურად მომიხდა და თავსსისხლს არ მოგცემთო.

დიდგორს ეძახიან, იქ არის წინლიკური. წამოვიდნენ აფშოვლები მოსაკლავად. სტვირი აქვს წინლიკურს. რომ დაუსტვენდა, ცხვარი ჩერდებოდა. მიუსხდნენ ერთ გორზე. გაუსწორებენ, ეფარება თვალს. ვერ გაუსწორეს ნიშანი. ის კი ზის და სტვირს უკრავს. ახლა სხვები წამოვიდნენ. სხვებსაც ასე მოუვიდათ. მემრე უთხრეს: ალალი იყოს შენზედაო. გვიპატიებია შენთვისო.

გამიათ (გამიაშვილებს) მოდენიათ კაცის მოკვლა. უსათუოდ უნდა შამაკვდომოდა კაცი, თუ ნებით არ მოკლავდნენ.

მთხრ. ალექსი ჩოფანიშვილი,<br>ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, ნაკვალესავი, 1982.<br>თსუფა 25522

# უკანაფშავი

## 266. წყაროსთაული წმიდა გიორგი I

წყაროსთავში წინათ დევები ყოფილან. წმიდა გიორგის ეს ადგილი მოსწონებია და თვითონ მოუსურვებია აქ დადგომა. დევებისთვის შეუთვლია: დაცალეთ ეს ადგილი, თორემ სულ ამოგწყვეტთო. დევებს არად ჩაუგდავ წმინდა გიორგის ნათქვამი და არ აყრილან. მაშინ წმინდა გიორგი მიჰპარვია და გორზეით ისრით ამოუწყვეტია. ერთი დევისად ისრით ფეხი მოუტეხია, ფეხმოტეხილს ტყისთვის შეუფარებია თავი. წმიდა გიორგის ის აღარად ჩაუგდავ, აღარ მიუქცევია ყურადღება. მერე რო უძებნია, იქ ვეღარ მოუჴელავ. გაპარულა და გადაკარგულა სადღაცა.

ამის შემდეგ დაარსებულა აქ წმიდა გიორგი და ხალხსაც მადლი მოსვლია: დევ-კერპთ ვეღარ უვლიათ წმიდა გიორგის შიშით.

ალ. ოჩ. ფშავი 201

## 267. წყაროსთაული წმიდა გიორგი II

ეს წმინდა გიორგი ყოფილა წყაროსთავსა, უკანაფშავსა. გამაუყრიან დევები. მგზავრი ყოფილა და წამოსულა, იქიდან გადმაუყვანავ, წყაროსთავი დაუდგამის აქ, საყდრად აუშენებავ და „ყმათაო მტერ მიზარალებსო", ამდგარა და აქ მოსულა. და აქაც არი წყაროსთავი, იქ არი თავადი.

თავადი წყაროსთაველი<br>
დევების ნაფრენს მასდევსა,<br>
თეთრფთენს მაისვრის ისარსა,<br>
მშვილდი ყორნებულ მაჰყეფსა.

აქ ეშმაკთ ყურეს ვეძახით, ტყეში სადამ ერთ საყდარ იყო. იმან გამაიჩინა თავი, რო მთავარწმინდა გიორგი ვარო.

მთხრ. ბაბალე ტურაშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, ლეჩური, 1985.
თსუფა 26318

## 268. წყაროსთაველი

წყაროსთაველს რკინის ქალმები ჰქონია, სხვა ხატებს არც ერთსა. მაგის დღეობა მოდიოდა მკათათვის 14-15-ში. კვირა რომელ დღესაც გაატანდა, მაშინ იქნებოდა. მეორე დღეს იქიდან კოტიას დადიან. ეგ დევებთან მებძოლი ყოფილა. წყაროსთაველი წმინდა გიორგი იყო. დევების ნაბინავარშია ეგ ხატი. ჩაჰბარებია დევებს ზემოთაითა. ფეჴსაჴადათ ეძახიან. ერთი გამაჰქცევია, კლდეს მაჰფარებია და კლდისად დაუკრავ ლახტი. ნალახტარი ეტყობა. ი დევისადა თვალ გამაუთხრავ. ფეჴსაჴადასთან აჰგებებია. წიქა ქვივნილა დევსა და იმისად მაურტყამ. ფეჴსაჴადაშიიდან გამოქანულა, ჩამაუღარავ მიწა, რუდ დამრჩალა. წიქანარევანს ვეძახით იმ რუვსა, ფეჴსაჴადაშიით მოდის. მაგაზეა ლექსი, ფერჴისაში იმღერებდნენ:

აბეჩავ წყაროსთაველო,
მასდევდი ირმის ნაფრენსა,
დევი მოგიკლავ წიქაი,
კაწალჴევ ძაღლებ ათრევდა.
ბარბარეს ქალნი ამბობენ:
— რა თბილი დილა გათენდა.

კაწალჴევი ხატთან არი, წყალი ჩამოდის, იქ ჩამოსდგამს ის რუვი.

მთხრ. ლევან ბობღიაშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, სიონი, 7.08.1979.
თსუფა 30003

## 269. შვილი მსხვერპლად

...ერთ ბებერ კაცმა გველაპარაკა ჩემ ბალღობაში. ილაპარაკა, ჰოდა, დამახსონდა (ბალღობინდელი ყველა მახსონ): წინა-

თაო პირველეებით ბალღებ უკლავო, ბალღიო. კანონ ეგრე ყოფილა, წესი, წესი, რა. არ შეიძლებოდა გადახვევა... მერე თურმე დანასა ლესავს, შვილი უნდა დაკლას და წამოზრდილია და ვერა ბედავს კაცი, კაცო, იმის დაკლვასა. კაცო, ერთი ჰყავ და როგორ უნდა დაკლას ბიჭი! უთქვია მერე, რო (ბალღს უთქვია): დამკალ, მამავ, რაღას ელი, სამსახურიო... რო ვერა ბედავს, ვერა ბედავს და ქრისტე ღმერთსაო ჭედილა წამაუყენებავ იმ ბალღთანაო და ის დაუკლავ და ბალღი დამრჩალა. მერე გადასულა ამ ცხვრის ჭედილეებზე და ბალღს აღარა ჰკლავდენ.

მთხრ. ლუკა კობრეშვილი,
ჩამწ. ტრისტან მახაური, ლაფანყური, 1985.
თსუფა 26284

## 270. წყაროსთაული

წყაროსთაულს რკინის ქალმები სცმია. ეგენი (ხატები) წინავ კაცები ყოფილან. ეგ მაგარი გმირი ყოფილა და დევი გამაშჩენია ამ წმინდა გიორგისა. ნიქაი ქვივნილა იმ დევსა, თავის ცოლ-შვილი ჰყოლია. ცოლ-შვილით გამხვივნებული ყოფილა. იმ ხატთან ერთი ბატარა გორაა. იქ იმ დევისა იმოდენა სახლ ყოფილა, იმათ საბძლის ერთი მჴარის ნაწილის წყალი იქით გადადენილა, გორის იქით ჴევში, მეორე მხარის — მეორე მხარეს ჴევში. როცა ნახა წმინდა გიორგიმ, თქვა: დედას გიტირებო. წავიდა და ერთი ხატია ყაწიმის ოსტატი, პირქუში, მისულა და უთქომ: რკინის ქალამნებ დამიკეთეო. გაუკეთა რკინის ქალმები, მშვილდ-ბოძალდები რკინისა. თქვა, რო ან მე ვიყო, ან დევებ მოიშორროო. წავიდა წმინდა გიორგი, შამაუარა მაღლითა. ნამაუყრია ისრები და მააყარა და მააყარა. გამეექცა ერთი დევი. იმ ხატში ერთი დიდი ქვა ძე, იმ ქვას მაჰფარებია. წყაროსთავის ალაგში არი ის ქვა, სადაც ხალხი ჯარდება, წყლის გაღმით. ლახტი მაარტყა და კლდე შაუთხრია. თვალ გამაუთხრია დევისთვი. იქიდან გამაჰქცევია და სირბილში ქალმან გაჰჴდია დევსა. როცა დაიხარა ქალმის ასაღებად, წამეეწია წყაროსთაული და მოკლა. ფეჴსახდელას ვეძახით იმ ადგილს. გამოქანდა ეს დევი, ვიწრო ჴევია, შიგ იმ ხატთან ჩამოჴდა და იმ ჴევში ჩაიდვა. წიქანარევას ვეძახით იმ ალაგს. ვითომ წიქაის (დევის) ნაქანებიაო.

ფერჴისაში ვიმღერებდით:

ჩვენ ბატონს დევი მაუკლავ,
კაწალჴევ დევებ ათრევდაო.

ეს ჩვენ კანალჴევია, იმ ხატთან არი კანალჴევის ჴევი, ხატის წყალსა ჰქვიან, ბოთანის მთიდან მოდის. ეგ ფერჴისული აღარ მახსონ, ჴევისბრებმა იცოდეს მაგის მღერა.

წყაროსთაული შიგ დევის ნასახლარებშია დაბინავებული. ამონყვიტა და თვითონ დაბინავდა. დიდი შენობებია, დიდი ნაყორები.

მთხრ. ლევან ბობლიაშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, სიონი, 1971.
თსუფა 29988

## 271. ნადირთმწყემსი

ნადირთმწყემსი უხილავია, ხოლოთ ხმა მიედინება ნადირთუფროსისა. მონადირეები იმ ნადირთმწყემსისა და უფროსისათვი კელაპტარს გააკეთებდნენ და ხეზე დააკრავდნენ — ხელი მამიმართეო.

ერთხელ ერთ მონადირე ხელპირდაუბანელი წასულა. მალე გადენილან ბინდზე, რო არავინ შახვდეს მელდურყისმათიანი. წასულა. შავიდა სანადირო ტყეში. რამდელიმე გზა გაიარა და მეესმა შრიალი ფოთლისი. გახედა და ირმის ხრო გაიქცა, გაფრთხვა სამოცამდე ირემი. ქართულ თოფი ჰქონია. თქვა რო, ვაი თუ ვერ მიუწიეო. იფიქრა: თუ მოარტყამ, მოარტყამ, თუ არა ჯანაბასო. ჩამაუჯდა ამ შუა ხროსა, დაუმიზნა, ესროლა და დარჩა ერთი ნადირი. მეედინა კაცივით ხმა, ხრო რო გადაეფარა:

— ვაიმეო, როგორ ბრიყვად ვიყვენითო, ხელპირ დაუბანელია და ვერავის დაგვკრავსო. ვაიმეო, ჩემ კოჭლიას დაარტყაო. ერთი მყვანდაო, ერთზედამც დარჩებაო.

ჩამოჯდა ეს მონადირე, გაატყავა, იქნებ კარგ არ იყოსო, ინანა. ორი ვაჟი ჰყოლია შვილი. წამაიღო ნანადირევი. მოვიდა სახლში და, რასა ხედავს, ხალხი ირევა სახლის კარებზედა. შავიდა სახლში და ერთ-ერთი შვილი დაცხედრებულია. კელაპტარ უნთავ. მაუკვდა შვილი.

იმ ნადირთაც უფალივითა ჰყავო, როგორც ჩვენა გვყავ.

მთხრ. ლევან პეტრეს ძე ბობლიაშვილი,
ჩამწ. თინათინ ოჩიაური, სიონი, 1971.
თსუფა 29987

## 272. თორღვას ციხის განძი

ერთი მონადირე მთელი დღე პანკისის ტყეებში დახეტიალობდა. ხელმოცარული შინ გაბრუნებას აპირებდა, როცა საოცარი სილამაზის ქორბუდა ირემმა გადაურბინა. ირემი დაუჭრია, მაგრამ დაჭრილი ცხოველი გაჰქცევია და მონადირეც სისხლის კვალს გაჰყოლია. ირემი თორღვას ციხე-გალავანში შესულა და უეცრად კვალიც დაკარგულა. მონადირეს უძებნია და ამ ძებნაში ძველ ნანგრევებთან რაღაც იდუმალი ჩასასვლელით სარდაფის მსგავს ბნელ ოთახში მოხვედრილა, მაგრამ ნადირი მაინც ვერ უპოვნია. სიბნელეში ხეტიალის დროს რაღაც საგანს შესჯახებია. დააკვირდა და რას ხედავს, ოქროსა და ვერცხლის ზოდებია. განძის ნახვით გაოგნებული დახრილა და რამდენიმე ბლუჯა ოქრო გუდაში ჩაუყრია. წამოდგომისას ზემოთ აუხედავს და მოულოდნელობისაგან კინაღამ გაგიჟებულა. თავზე საშინელი გარეგნობის ხმალამოწვდილი გოლიათი წამოსდგომოდა. მონადირეს ერთი დაუღრიალა და შიშისაგან თმააბურძგნული იქით გაქცეულა, საითკენაც განსაცდელი ელოდა: ახლა ხანჯლისფრთებიანი, ვეებერთელა, რაღაც არწივის მსგავსი ფრინველი მისკენ სისინითა და ჟღარუნით გამოქანებულა. კაცს გუდა დაუგდია, პირჯვარი გადაუწერია, ღმერთი უხსენებია და გასასვლელიც გამოჩენილა. დაზაფრული და ელდანაკრავი მონადირე კიბეებზე ოთხით ამოსულა. სამშვიდობოს რომ გასულა, ჩასასვლელიც გამქრალა. ამის გამო ჩვენში ამბობენ: „თუ განძი თვითონ არ გეძლევის, არც შენ შეგერგება და არც შენს გვარსო".

მთხრ. გოჩა ჩეკურიშვილი,
ჩამწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, ყვარელწყალი, 2003
თსუფა 30014

# მთიულეთი

# მთიულეთი და ხადა

## 273. ოქროს ყორჩები

ჭადაში ხატობა ვიცით. დაბლა ყოფილა ის ხატი, მაგრამ მამლის ყივილი მიუდიოდა, ამდგარა და გადასულა სერზე. ის ხატი შორს არ არი, მარჯვეა. დილით რო ნახვიდე, ემ დრომდე მიხვალ. ისეთი გზაა, რო მართლად კარგი. ცოტა აღმართია აქიდან. მემრე ახვალ ვაკობში, მემრე კი გვერდობში შეუდგები.

მენ ერთი ყორჩი წავიყვანე, ყური მოვაჭერ, ყორჩიც ვამსახურე და ხატებიცა ვნახე. ფარიდან მოვედი ყორჩის გამოსაყვანად, გამოვსხლიტე და წამოვიდა თავისითა. მაშინ ვნახე ის ხატები და ისეთი საზარლებია, რო სუ ჟრუანტელმა დამიარა.

ორი ყორჩია, ოქროს ყორჩები. ერთი, მჴრები საცა არი, იქ გატუსვილი არი, ნასროლი არი. მონადირეს მოსჩვენებია ფსიტად, ესროლა. ცხრა ძმანი ყოფილან, სუ გაწყვეტილან. ბატარა რომელიც არი, ის არი ნასროლი ფსიტი, ჯიხვისმაგვარია, როგორც თხა, ისეთია. გამეეცხადა, ვითომ ფსიტ იყო. მაშინდელი გატყაული არი.

იქ რო მიხოლ, აი ამოდენაზე, იმის ნიშს ვეტყვით, ესე ზედან ვაკე არი, თასია ვერცხლისა. იქ მივალის დეკანოზი, ჭადელი კაცია, და იქ ჩაასხამსკე. მივალის იქა, რო სუყველაყამ ნახოს, ვინც არი სალოცავად. ეხლა ვინც იქ წავალის სალოცავად, იმ ადგილას ფეჴშველა უნდა წავიდეს, ვერც სარტყელს გაიყოლებ, ვერც ქალმებს, ეგეთი წესწყობილობაა. დაიხსნის ხალხი, დატოვებს ქალმებს, სარტყელს, მემრე დეკანოზი დაილოცება.

კაიშ. 50

## 274. ბეგოთ სალვთო და მიდელაური I

...ყოფილა სოფელი [მიდელაურთა] და ცხრა ძმანი ყოფილა. და წავიდა ეს მონადირე და სალამოს მოიდა და იარალი აიყარა და დაჰ-

კიდა ბოძზე... ჰოდა, ჩამოცვივნილა ის იარაღი. კიდევ დაუკიდნია, ჩამოცვივნილა და მამას უთქვია, რომ „სად იყავ, შვილო, დღეს სად იარეო? სად რა ნახეო და" — არაფერი არ მოუტანია — და „ბეგოთ ხატის ტყეში ვიყავო და მტრედს ვესროლეო, დავჭერ ფრთაშიაო და წავიდა ისიო." „გაგიწყრა ღმერთიო, ბეგოთ სალვთო დაგიჭრიაო..."

მთხრ. უცნობია,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), 1983.
თსუფა 30232

## 275. ბეგოთ სალვთო და მიდელაური II

### [მტრედისა და დაგორებული აკვნის ამბავი]

ბეგოთ ხატი წინათ წკერის ზეით ციხესთან ბრძანებულა და მემრე იქედან გაფრენილა და ზეით წვერზე ასულა.

მიდელაური სანადიროთ წასულა და ის მტრედათ გამეეჩვენა. მიდელაურმა, მივიდა, დაჲჭრა. მემრე ებრძოლა, ვერ გამაიღო ისარი. გაფრინდა, წავიდა და შვილდ-ისარი იქ დარჩა. მემრე წამოიდნენ და სახში დაჰკიდა ბოძზე შვილდ-ისარი და ჩამოვარდა. კიდენ დაჰკიდა და ჩამოვარდა. „—სად იყავიო?" „—ტრედი მოვკალიო."

იმ ღამეს ჩაუარდა გველი ქობში. მხოლოთ ბატარძალმა არა ჭამა და ის გადარჩა. სხო სუ გაჲსწყდა იქა. მამრე რაღა ქნან? ეყოლა. იმაზე მიდიან ისინი, იმ ბატარძალზე. „ბეგოთ სახვთო დაგიჭრიათ და დავღუპულვართ ჩვენაო."

ჩვენ, დედაკაცები, იქ ავდივართ. იქ ადენილან, აკვანი აუტანია, აურეკია ხიზანი. დაგორებულა ეს აკვანი, ბავშვი წოლილა იქა. გამოსულა ქოით ჭალაზე და დამდგარა იქა. ქობიც დაგორებულა ხორც-წვნიანი და ისივ დუღდა. ბავშვიც ცოცხალია. მასუკან აღარ არიან მიმსვლელები დედაკაცები.

ხატებს ბევრი შასძლებია.

კაიშ. 51

## 275-ა. მიდელაურების დალევა

მიდელაურები ყოფილან ძალიან მდიდრები და ძლიერი გვარის ხალხი. მათ ბევრი ცხვარ-ძროხა ჰყავდათ. საქონელი და ცხვარი ეყენათ საკოხეს (გუდაურის ახლოს, ხადის ხეობის მაღალ მთაზე).

იქიდან თიხის მილები ჰყავდათ (ასეა!) გამოყვანილი სახლამდე. საკოხეზე საქონელს, ცხვარს წველავდნენ და რძე მილებით სახლში მოდიოდა.

მიდელაურებისაგან შეწუხებულ ქოროღოელებს ერთხელაც მილში გველი ჩაუსვიათ [ვარ. ერთხელ გველი ჩამძვრალა მილში და მოუშხამია რძე]. გველს რძე მოუშხამია. ოჯახი მთლიანად ამოწყვეტილა. გადარჩენილა ერთი ფეხმძიმე ქალი. ბიჭი ეყოლა და ამჟამად ყველა მიდელაური იმისგან მოდის. ხადაში ნასოფლარი დარჩენილა.

მთხრ. ვასიკო ლადოს ძე ზაქაიძე,
ჩამწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, ბეგოთკარი, 10. 07. 1996.
თსუფა 29708

# 276. ლომისის ნათელი

წკერიდან დაგორებულა ხორც-წვნიანი ქობი, ისე ჩამოსულა, რო არ დაღვრილაო, ჭალაშიო. ეგ დღეობა რო მომარჯვდება, ლომისიდან გადმოდის, აი ესე ბრტყელია, ბოლო გრძელია, როგორც ვარსკვლავი, დიდია, ანათებს, ბარჯღლებს ამაიქნის. ლომისის დღეობა მომარჯვდება და აქედან გადადის, თვითმფრინავის ბოლო როგორც არის, და ბრჭყვიალაა, თითქოს ცეცხლიაო. ლაკათხევის საღვთოშიც გადადის ეს ნათელი ამ ბეგოთ საღვთოდან. ამის დამნახავი ხშირადა ვარ.

მთხრ. ქეთო ნამალაიძე,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, მულურე, 1985.
თსუფა 26757

# 277. ოქროს ვერძების ანდრეზი

წკერეს გაღმა რო ციხეა, იქ დიდი ტყე ყოფილა უწინა და შიგ ბევრი ნადირი ბუდობდა თურმე. ქოროღოში ერთი ნასახლარია, იქა ცხრა ძმა ჲცხოვრობდა და მეათე მამა ჲყოლიათ. მამრე წასულან ისენი სანადიროთა და იქა ოქროჲ ვერძები გამოცხადებიან უცხო ფრინველადა. ერთ ძმასა გამოღმიდან გაღმა უსვრია ამ ფრინველითვინა; დაურტყამ მხარში ისარი. ეს ისარი ამაუწევია ამ ფრინველსა და ვერ ამაუძრია. მამრე თავი რვა ძმითვინა დაუძახნია: გამოდით, ესეა საქმეო, როგორილაც ფრინველია და ისარი ვერ გადაჲძვრაო.

ეს ცხრა ძმანივე დაჭიდებია ამ ისარსა, მაგრამა ვერ ამაუძვრიათ. როცა ამ ჩიტმა სუყველაყას თავი თავი აჩვენა, გაფრინდა და ისარი აქ დააგდო. წამოჲდნენ მამრე იქიდგანა, დახოცეს ფსიტები და წამაილეს. გამოჲდენ შინა... დაჲკიდეს ბოძზე იარაღი... დაჲკიდეს და ჩამოცვივდა. დაკიდეს მეორეთა, ჩამოცვივდა... ეხლა მესამედ შაჲკიდეს და კიდენ ჩამოცვივდა.

მაშინ, მამამა ჲკითხა: „სად იყვენით დღესაო?" „— სად ვიყავითო და, აი, ამა და ამ ადგილას ვიყვენითო." უამბეს მამასა იმ ფრინველის ამბავი. ამ დროსა ერდოდან გველი ჩამოვიდა და ჩაუძვრათ ქობშია. დილა დაღამდა და ვახშამი უნდა ჲჭამონ. ერთი ბატარძალი ყვანდათ იმათ ფეხმძიმეთა და ლოგინობაზე უწვათ. ეს ვახშამი იმან არ ჭამა, სხვამ ყველამა ჲჭამეს. მეორე დილასა ბატარძალი ელის, ან ეხლა ვინმე ადგება, ან ეხლაო და საჭმელს გამამიტანენო. ჲმასა იმ ღამეს ბიჭი ეყოლა და ჲრცხვენიან, როგორ უნდა ადგეს? როცა დატკბა სული, მამრე ადგა. ნახა, ყველა მკვდრები არიან. ადგა მამრე, პურიან გოდორს დაჲკრა ხელი და გადმააგდო ძირსა, ეს მკვდრები დაასაფლავა და თვითონ წავალის შვილიანათა. ეს ბიჭი რო გაეზარდა, მამრე ისევ დაბრუნდა ამ ადგილასა. ახლაც იქა სახლობენ იმათი გორის ხალხი მიდელაურები. იმ ოქროს ვერძებსა ეხლაც ეტყობათ ხანჯარი წვერი ნაბრუნებლობაჲ.

ამ ვერძსა, ი ბიჭმა რო დაჲჭრა, ჭრილობა ოქროჲ ჯაჭვითა აქუს შახვეული. იმ ვერძი ხელი აღება არ შაიძლების, იმას მარტო დეკანოზი გადმააბძანებს ხოლმე ფოთლითა. აი, იმ მაღალი მთი წვერზე არიან ოქროჲ ქობშია და შიგ ღვინო უსხიათ და დაცურავენ. ზამთრით ვერძები ვერცხლიფრად იქცევიან ხოლმე. ზაფხულით ოქროსანი არიან. იქა ვერავინ ბედავს ასვლასა, ისენი არავის იკარებენ შარჩენილი დეკანოზის მეტსა. ქალები ვერ მივლენ იმასთანა, წასვლა რო დააპირონ, გაქვავდებიან გზაშია.

მთხრ. გიორგი ზაქაიძე,<br>
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, ბეგოთკარი (ხადა), 1946.<br>
თსუფა 5100

## 278. მთავარანგელოზის ქვა

მთავარანგელოზიდან დაგორებულა ქვაჲ და დევს მაუტაცნია. მთავარანგელოზი გამოსდექია და ეს ქვა უნდოდა წაერთმია. ეს ქვა

შირიმის ქვა ყოფილა. მამრე ეს ქვა წაურთმევია მთავარანგელოზსა. გზაზე რო მოდიოდა და ამ ქვას სადაც დაჲდებდა დასასვენებლად, იქა ეკლესია შენდებოდა.

მთხრ. ივანე ვეშაგური,
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, მეჯილაური, 1946.
თსუფა 4986

## 279. ღუდას ყოვლადწმინდა

ღუდას ყოვლადწმიდას იტყვიან. ეხლა იქ მისულა ერთი ადამიანი [დედაკაცი]. ძალიან უნდა თურმე, რო შვილი ჰყვანდეს. იმ დროს ნაწილს იძლევიან. ადგა ეს ქალი თურმე, ქმარი ჰყავს და შვილი არა. ქვა გაახვივა, რო მამეცით მეცაო. ნაწილი მისცეს. გამობრუნდა და ქვა ბავშვად იქცა. გაუმარჯოს ღუდას ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, ქვის წულად მქცეველსაო!

ვირს. 529

## 280. ლომისას შეწირული ჯაჭვი

როცა ლომისის სალოცავს აშენებდნენ, თურმე რამთენ კედელსაც არ ამაიყვანდნენ, იმთონი არა დგებოდა. მემრე ხალხმა იფიქრა, რომაო ეს კედლები კაცის უნაწილოდ არ ამოვაო. დაუჭერია ერთი კაი შავგვრემანა ყმაწვილი ხალხსა და ოთხ ნაწილად კი გაუჭრია. ეს თითო ნაწილი თითო კედლითვინ დაუყოლებიათ და ამოსულა კედელი. ამ ბიჭსა ერთი ჯაჭვი კიდებია და ეს ჯაჭვი კიდენა ეკლესიის კარზე ჩამოუკიდნიათ.

ამ ჯაჭვი მოხსნაჲ არ შაიძლების, იმისთვინა, რომა ეკლესიაზეა შაწირული. ძალიან გაჭირებია ხალხსა ამ ხატი აშენებაჲ. მთის წვერიდან მლეთამდე სუ კაცები მდგარან და ესე აწვდიდნენ თურმე ქვებსა ერთმანეთსა. ლომისაში რო წყალი ჩამოდის, ესა ხატისა და ხალხის ცრემლებია, იმ ბიჭსა ჲბრალობს ხალხიცა და ხატიცა.

მთხრ. გიორგი ზაქაიძე,
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, ბეგოთკარი (ხადა), 1946.
თსუფა 5099

## 281. სალვთოს ეკლესია

სალვთოს ეკლესიაჲ კლდეშია. იქ ვერავინ ვერ მიდის. იმ კლდეში ხატებია. გაკეთებულია ოქროს ცხორები. იმათი მნახველი ბევრი არ არის. მარტო ერთი დეკანოზი მიდის იქა, სხვა ვერავინა. ეს ხატი წინადა ამ კლდის დაბლა ყოფილა ციხეშია. ცხრა ძმა მიდელაურთა ეს ხატი ტრედად მოჲჩვენებია. უსროლიათ და მხარში დაურტყავთ. ეს ტრედი გაფრენილა და იქ ზემოდ ასულა. ჩასულან სახშია, დაუკიდნიათ თოფები. თურმე თოფები აღარ დგება საკიდელზედა. მას უკანა გათეულან ის ძმები. ის ხატი კი ზემოთ ასულა ამ სალვთო მთაზედა.

მთხრ. ჯლუნია ნარაიძე,
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, წკერე (ხადა), 1946.
თსუფა 5143

## 282. ფერიცვალების უქმე

ფერიცვალობა დღესაო
არ შაჲძრავს ქარი ტყესაო.
შენ წინ ფურცელ რო იძროდეს,
ხელ გაკარ, გააჩერეო.

ღვდელსა ფერიცვალობა დღესა კალო შაუბამ. ღმერთს უთქომ: „ღვდელო, რატო შააბი ფერიცვალობას კალოო?“ „— ეჰ, ჩემმა ქალებმა დილასვე იცვალეს ფერიო (უმარული წაისვესო)," — უპასუხნია. იმ ადგილასა მიწა ამაბრუნებულა, თან ჩაუტანია მთელი მღვდლის ხიზანი, ახტალა გაჩენილა.

მთხრ. მაშო არლანაშვილი,
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, ნალვარევი, 1946.
თსუფა 5082

## 283. ცოდვიანი დოლიანთ ნინი

დოლიანთ ნინი ყოფილა წკერეში. ნინი ძლიერ კაც ყოფილა. მთავრობასთან ჰქონდა საქმე, ძველ მთავრობასთან. აშინებდა ხალხს დარტყმით. ერთხელ ნინი ყოფილა პირიმზეში. დატრიალებულა და მთელ გუდამაყრელებს დარევია. შემდეგ წრე გაურღვევია,

გაქცეულა და კიტოხის მთაზე ტყეში ასულა და თურმე არწივივით დაჰყურებდა ზემოდან ხალხს. გზაში ქალამანი გასძრომია და თურმე იზომებდნენ, აბა, რას მოვერეოდითო.

ბეგოთკარელებს ოქრო მიუციათ ნინისთვის, რომ წკერელების მამულზე (გაღმა რო არის) თქვი, ბეგოთკარელებისა არისო. მისულან ხადის თორმეტწამეში ეს წკერელები და ბეგოთკარელები, მისულა ნინიც და ნინის ჩოჴის კალთა დაუბერტყია და უთქვამს:

„— გამიწყდეს საბოლოო, თუ ეს ადგილები ბეგოთკარელების არ იყოსო," — დაიფიცა ტყუილად.

ამის გამო სულ გასწყდნენ, არავინ დარჩა იმის ოჯახიდან. ჯერ შვილები დაეხოცა. ბოლოს — ნინიც, მათი არავინ დარჩა. თვითონ ნინი ასე მოკვდა:

წისქვილი ჰქონია ნინის წკერეს, ხიდის ყურს, დაბლა. ზვავს დაუგუბებია თურმე წყალი. იმ დროს ნინის წისქვილში სძინებია და ვერ გაუგია, წამოსულა უცბად დაგუბებული წყალი და დაუხრჩვია მძინარე. ცოდვიანი კაცი იყოო, იტყოდნენ ხოლმე ნინიზე.

მთხრ. ნიკალა ჯერმიზაშვილი,
ჩამწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, წკერე, 1.07.1996.
თსუფა 30010

## 284. ზაქაიძეები ლომისას

ზაქაიძეების წინაპრებს ქისტეთში, არმხის მახლობლად უცხოვრიათ. იმ ადგილს რქმევია ხანდა. მამასა და მის სამ ვაჟს სისხლმესისხლეობის გამო დაუტოვებიათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი. მამას რქმევია ზაქა, ხოლო შვილებს — ყარა, ყატუყა და ბრაი. მამა-შვილები მაშინ მოსულან მთიულეთში, როდესაც ქსნელები და არაგველები მაღალ მთაზე ლომისის ეკლესიას აშენებდნენ. დაღლილ-დაქანცული მშენებლები დახვედრიათ... თურმე ვერავის აუწევია ეკლესიის კარის თავზე სათაღე ლოდი. ზაქას ერთ-ერთ ვაჟს — ბრაის აუწევია ლოდი და თავის ადგილზე დაუდია. ქვის აწევის დროს ტანსაცმლის ქვეშიდან ვერცხლის ჯაჭვის პერანგი გამოსჩენია. კალატოზებს მაშინვე შეუწყვეტიათ მუშაობა და უთქვიათ, თუ იმ ჯაჭვის პერანგს მოგვცემენ, ვიმუშავებთ, თუ არა და ხელსაც არ გავანძრევთო. ზაქას შვილები ღმერთის მორწმუნე ვაჟკაცები იყვნენ. ეკლესიას, ლომისას შესწირეს ის ძვირფასი ვერცხლის (ჯაჭვის) პერანგი და დიდ ლომისას ყმად შეეფიცნენ.

მოხუცებს, დეკანოზებს უთქვამთ მამა-შვილებისათვის: „აირჩიეთ, სადაც გნებავთ საცხოვრებელი ადგილი და დასახლდითო“. გადმოუხედავთ ლომისის მთიდან. მამა-შვილს ზაქასა და ბრაის ხადას ხეობის ქვემო წელი — დიდი ველი აურჩევიათ. ამჟამად იქ მოზრდილი სოფელია, რომელსაც დამაარსებლის საპატივსაცემოდ ზაქანი ჰქვია. ყატუყა მუღურეში დასახლებულა. თუმცა მისი ჩამომავლობა ამოწყვეტილა და იმ კაცისგან აღარავინ დარჩენილა. ყარაის შთამომავლები კი ბეგოთკარში ეხლაც ცხოვრობენ. ყველანი ზაქაიძეებად ეწერებიან.

ძველი დამსახურების გამო ზაქაიძეების არყოფნის გარეშე ლომისის კარი არ გაიღებოდა.

იმ ჯაჭვის პერანგზეა ნათქვამი ლომისური:

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის ვისია,
ადგა და ქალმა*შესტირა,
ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია.
შავეთით გამოტანილი
შავგვრემანაი ყმისია,
დაეხსენ, ჟანგმა შეჭამოს,
ეგ ჯაჭვი მაგის ღირსია.

*ეს ქალი იმ ზაქაიძის ძმა იყო, რომელმაც ქვა ასწია. ჯაჭვი ალბათ ძვირფასი იყო და შემდეგ მოიპარეს (მთხრობლის კომენტარი).

მთხრ. ვასიკო ზაქაიძე,
ჩაწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, ბეგოთკარი, 10 ივლისი, 1996.
თსუფა 29704

## 285. ლომისას ამბავი

როცა ლომა ჯარმა ხატი მაასვენა თავისი რქითა, აქა ამ ხატსა ნიში აუშენეს და ლომისა დაარქვეს. ერთი ვაჟი ყოფილა მთიულეთშია და იმ ვაჟსა ეშმაკებისა და დევ-ქაჯებისაგანა მისნობა უსწავლია. თურმე სულ ესმოდა, რასაცა ხეები და ჩიტები ლაპარაკობდნენ თავიანთ ენაზედა. ერთ დღესა ეს ბიჭი შავეთს შასულა და იქიდანა ეშმაკი დასაბმელი ჯაჭვი მაუტაცნია. წამაუღია ეს ჯაჭვი და ამ ლომისაზე კი დაუკიდნია. ხალხი რო ხატობაში შაყრილა, უცვნია ეს ეშმაკეული ჯაჭვი და გაჯავრებულა. უნდოდათ, მაეხსნათ ე ჯაჭვი, მაგრამა ეშინოდათ ღვთის რისხვისა. უთქვიათ, რომაო ვინც ეს ჯაჭვი

აქ მაიტანა, იმან თითონ მოხსნასო, მაგრამა ი ბიჭი უკვე მამკვდარა ჯავრითა. მაშინ იმ ბიჭის დამ იცნო თავი ძმის მოტანილი ჯაჭვი და ტირილი დაუწყია, რომა ეგ ჯაჭვი ეგრე დაჟანგდეს, რომაო ეშმაკე-ბით მაიტანაო. ხალხი რო წავიდა, იქ დარჩენილა და ტიროდა სულა თავი ძმი შარცხვენასა. იქ მამკვდარა ი ქალი ტირილშია და ი წყალი რო ჩამოდის ლომისშია, იმ ქალი ცრემლებია.

მთხრ. ალექსი ბიბილაშვილი,
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, ბიბილაანი, 1946.
თსუფა 4998

## 286. ლომისის წმიდა გიორგის ხატი ტყვეობაში

ეგ ლომისა მე ეგრე გამიგია: აქ ხატები მოუკრეფიათ და ეგ ლომისაც გაუყოლებია ლეკებს. მერე ეგ რო იქ ჩაუყვანიათ, იმათას აღარც ძროხას უშობნია, აღარც ადამიანს, აღარც ჭირნახული მო-სულა, სუ გამხმარა, სუ გამქრალა ყოველივე ასე შვიდ წელინადსა. მერე მისულან მკითხავთან და იმას უთქომ: „ეგაო, გურჯებიდან რო ხატები წამოგიღიათ, იმისგან არისო. მანდ არის ხატი ისეთიო".

რა უყონ? გასცეს პრიკაზები:'"მოიტანეთ, ვისაც რა გაქვთ, ჩამოტანილი იქიდანა". ადგენ, მიიტანეს სუყველაყა და მიაყარეს ცეცხლში. სუყველაყა ჩაიფუფქა და ლომისა ამოფრინდა და დადგა მაღლა. მკითხავმა უთხრა: სუყველაყა გარეკეთ, ტყვეებიცაო, თორო ეგ კარგს არას იზამსო.

წავიდეს ეს ხალხი, ტყვე დაძრეს. შაქუჩდა შვიდი ათასი ტყვე, აქედან წარეკილი. გამოუძღვა, წამოვიდეს ეს ხატი ლომისა და გამოჰყვეს ხალხი და, აი, საცა ლომისა არის, იქ ავიდა მაღლა წვერში და იქ დადგა. თურმე იქ დაასვენეს, იქ ააშენეს ეკლესია და ლოცუ-ლობენ. აი, ეხლაც სუ იმასა ვლოცულობთ.

აი, რო გვალვა იქნება-კე და გადინვება აქაობა, მაშინ იმას გამააბძანებენ, იმის ხატსა, და გაინათლება მთელი ქვეყანა. მაშინვე გაავდრდება.

ორნივ ერთნი არიან, ორნივ წმინდა გიორგეები არიან, ფუძის ანგელოზი და ლომისა.

ვირს. 528

## 287. ლომისა

ლომისაზე გინდა რამე დაგითვალო? შეგეწიოთ თქვენცა და ჩვენცა.

როცა თურმე ლეკებმა დაიტაცეს საქართველო, წაიყვანეს და ტყვედ ჩაყარეს შვიდი ათასი, ლომისის ჯორიც [ჯვარი] წაუღია. იმ თათრებში აღარც ბალღი გაჩნდის, აღარც მოსავალი. ბოლოს, შეწუხდა ის ხალხი, წავიდენ მოლასთან. იმან უთხრა:'"ეს ხალხი და ის ჯორი თუ არ დააბრუნეთო, სულ დასწყდებითო". მართლაც, სულ ასე იყვის-კე. ადგენ და, რომელიც მძლე ხარი ჰყვანდა, დააკრეს შუბლზე ის ჯორი ხარსა და მოიხმეს მთელი ხალხი და უთხრეს: „თავისუფლები ხართო". ის ხარი უნდა გამაუძღვეს წინ, ის კი ტრიალებს. თურმე ერთი კოჭლი ქალი კიდენ აკლდა. ისიც გამაატანეს. გამოუძღვება ეს ხარი. სადაც დაწვებოდის, ყველგან ნიში ააშენეს. ფასანაურს აქეთაცაა ნიში. წვერზე რო მოვიდა, იქ განისვენა სული, გაჲსკდა.

კაიშ. 114

## 288. ლომისის ხატი

ჩვენებმა იცოდნენ გამოთქმა: „ლომისის წმინდა გიორგის გაუმარჯოს, შვიდი ათასი ტყვის დამხსნელსაო". ძველებმა თქვეს, რომ ეს ხატი ჰქონდათ ლეკებს მოტაცებული. შვიდი წელი ამ დაღესტანში. სანამ ეს ხატი ჰქონდათ მოტაცებული, არც მოსავალი მოვიდა, არცა რა გაჩნდა, არც ბავშვი, არც საქონელი. მემრე ერთმა მოლამ უთხრა ლეკებს: სანამო ამ ტყვეებს არ გაათავისუფლებთ და იმ ხატს არ დააბრუნებთ უკან საქართველოში, მანამ თქვენში არ გაჩნდება არც ბავშვები, არც საქონელიო. მემრე მოაქუჩეს ეს ტყვეები (შვიდი ათასი კაცი), ეს ხატი დასვეს ხარის რქაზე. არ წამოვიდა ეს ხარი მანამ, სანამ ერთი ტყვე კოჭლი გოგო აკლდათ და ის არ მოიყვანეს. მემრე წამოვიდა ის ხარი. საცა დაისვენა იმ ხარმა, ნიში დადგეს. სამას სამოცდასამ წმინდა გიორგის რომ იტყვიან, ის ლომისის ნიშია.

ახვლ. 117-118

## 289. ლომისა, „ხოროშნის ტყვის დამხსნელი"

ლეკებმა გარეკეს შვიდი ათასი კაცი და უამრავი საქონელი დაღესტანში. დაეცა ჯანღი. სამი დღე და ღამე მზე არ ამოსულა. არც მოსავალი მოვიდა. იყო ბნელი, წვიმები. აკითხვინეს მკითხავს. ხატი გამოუტანიათ თურმე ეკლესიიდან და ტყვეებთან ერთად წამოუღიათ. მკითხავს უთქვამს: „მაგათი სალოცავი წამოგიღიათო და ამის ბრალია ყველაფერიო". მიკრიფ-მოკრიფეს საქონელი, ხალხი და დააყენეს გზაზე. ტრიალებს თურმე საქონელი, არა და არ ადგება გზას. თურმე ერთი ცალთვალა მოზვერი დარჩენიათ. მერე მოუნახავთ ეს მოზვერი. მოუტანიათ თითო კონა ფიჩხი, გაუკეთებიათ ჯებირი და დაუნთიათ ცეცხლი. შუაგულ ცეცხლში ლომისის ხატი ჩაუგდიათ. ერთ მხარზე ამოუვლია ალს და ამოუღია ცეცხლიდან ხატი. დაძრულა ხალხი, საქონელიც. გზად რომ მოდიოდნენ, საცა დაუსვენიათ, ყველგან ნიშები დაუტოვებიათ.

ეხლა ის ხატი ეკლესიაშია.

მთხრ. ლადო დარძული,
ჩამწ. მედეა იმერლიშვილი, ქვემო ქედი, 1988.
თსუფა 28931

## 290. ხორაშანის ამბავი

თათარს გაუტეხნია საქართველო. ხატები წაუღია, ტყვეები გაურეკნია, თანა ერთი სალოცავი ხატიც წაუღია მთიულთა. იმ თათრის სახელმწიფოშია შვიდი წელინადი მოსავალი აღარ მოიდა, საქონელი აღარ ნაშენება. მამრე მკითხველს აკითხვინეს და იმან უთხრა, რომაო გურჯი ხატებისგან არისო. მამრე თქო თათრი ხემწიფემა. მააგროვეთ ხატები და დაწვითო, აბა თუ ხატებს ძალა აქთო, ამოვიდნენ იქიდანაო როცა რო წაუკიდეს ცეცხლი, ეს ლომისას ხატი, რაია ეხლა, ამოფრენილა იქიდგანა. დაჯდომია შვიდი წლის ბულას რომელსაცა ლომა რქმევია, რქაზედა და ისე ზის თურმე. ამ ხატმა თურმე თავისი ხალხი მაითხოვა. შაეშინდა ი თათარსა. შაკრიბა ქართველები და უნდა გამაერეკა უკანა, მაგრამ ბულა თურმე არ იღებს გზას მაინცა, თურმე ერთი კოჭლი ქალი სადღაც არის კიდენ დარჩენილი, მამრე გამაუძღვა წინ ეს ბულა, როცა ეს ქალიც მოიდა, ხატი ზედ აბრძანია თურმე რქაზედა და მოდის. მოჲდევს ხალხიცა უკანა. ორი კომლი კიდენა თავისი ხალხი გამააყოლა თათარმა

თურმე მზითევადა. ერთი მკერვალიძე იყო და მეორე ბარათაშვილი. სადაც დაისვენებდნენ, თურმე ყველგან ნიშებს აკეთებდნენ და ვახშამსა ჭამდნენ. ეს ლომისა მლეთაში კი არ იყო უწინა, აქა მობრძანდებოდა ფასანაურის გაღმა გორაზედა. ქავთარაანთ გაღმა ლომისის ნიშია და იქ მამკვდარა თურმე ბუღა. თურმე როცა მთიულებსა ოსები იმორჩილებდნენ, მლეთელებსა ეს ოსები დაუხოცნიათ და ეს ლომისის ხატიცა საჩუქრად უთხოვნიათ ამისათვინა და გადაუსვენებიათ თავიანთ გორაზედა.

მთხრ. ალექსი ბიბილაშვილი,
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, ბიბილაანი, 1946.
თსუფა 5000

## 291. ლომისობა

ლომისობას ვიცით დიდი ხატობა. ეხლაც კიდენ ბევრი მოდის. გარეკილი ყოფილა ტყვედ ქართველები. მემრე დაპატრონებია თავი ხალხს ლომისა. ერთი ქალი ყოფილა, კოჭლი და ჩამორჩენილა კოჭლი ქალი. მანამ ის ქალი არ მისულა, მინამ არ დაუწყვიათ. კურატი ყოფილა შენირული. კურატი უნდა გამოუძლვეს, მაგრამ არ გამოყოლია, მინამ ის კოჭლი ქალი არ მოსულა. საცა კიდენ დაისვენებენ, ყველგან იმ ხატის სახელობის ნიშია.

ლომისობას ბევრი ხალხი მოდის. ერთი ქალი მაიყვანეს, ხატი აძრახებდა. რაღაცამ დამეხა თავში, გახელდა. გადმოიყვანეს ლომისობას, იქ აიყვანეს წვერზედა. მემრე შესაწირავ მიიყვანეს. ეხლა გამანთავისუფლა ხატმაო. ისეთი კი იყო, ორ სიტყვას ვერ გადააბამდა ერთურთზე.

სამწყალობნებს ეძახიან, ოჯახს ამწყალობნის დეკანოზი. დეკანოზებზე ასე გამიგია, ხატი იჭერსო. ცუდათ ხდება, ავად არი, მემრე თავს რო დაუდებს, კარგად გახდება.

სახვთოს [დროს] დეკანოზი ერთ კვირას სახში ვერ წავა, ჯალაბშია. მანამ ხატობა იქნება, გარეთ არი გასული, გაუტანენ იქ პურსა.

კაიშ. 53

## 292. ლომისას შენება

ეგ არი სათემო გაკეთებული. იქათ ქსანი, აქეთ მთიულეთი შაყრილან და იმათ უშენებია ლომისა. ჩვენ ტყეში კლდე არი და იქიდან უზიდნია სიპი. კაცი კაცთან მდგარა ახლო და აწვდიდნენ ერთიმეორეს ქვას.

ახალგაზრდებსააძრახებსკე. ზოგის ლაპარაკი ცხადდებაკე.

ღმერთო, დიდო ლომისაო,
გამარჯვებულო, საქრისტიანო სალოცავო,
შენ დეეხმარე მუდამ შენ ყმასაო,
შენ მეხვეწნართაო, შენ მლოცველთაო,
წულგაჭირვებულსაო წული გაუჩინეო,
ათასად გაუხდინეო,
დალოცვილო უფალოო,
ავადნაყოფი თუ ჰყავს, გაუსაღეო,
ჯანსაღად დაუყენეო,
შააძლებინე შენი სამსახურიო.

კაიშ. 56

## 293. ლომისური

ესეთი წესი იყო: მოხუცები წამოიწყებდენკე ლომისურს. თუ ისინი ლომისურს არ იმღერებდიან, სადღეგრძელოსავით თუ არ იტყოდიან, ისე ახალგაზრდებს არ შეეძლოთ სიმღერის წამოწყება. ამის შემდეგ შეეძლოთ სხო რამეების წამოწყება.

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის, ვისია.
შეხედა ქალმა, შასტირა:
ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია,
შავეთით გამოტანილი
შავგვრემანაის ყმისია.

კაიშ. 54

## 294. სოფელი ჴევშა

ლომისა ყველაზე ძრიალი ხატია მთაში. ამას მარტო ახოს პირიმზე ფუძის ანგელოზი უახლოვდება — ხევსურებისა. იმის დღეობასა პირიმზე ახოობა ქვია. ამისი დღეობა 18 მარიამობის თვეს მოდის ძველითა. ეს პირიმზე ხევსურის ვაჟია. წითური ბიჭია, ქერა. ძილში რო ხევსური ნახო, იცოდე პირიმზეა. წმინდა გიორგის აქვს 363 ნაწილი. ის ყველა ხატის ნაწილია. წმინდა გიორგი თათარი ყოფილა, მონათლულა და თათრებმა მთიდან დააგორეს: რატო მაინ-ათლეო? ლომისაც წმინდა გიორგია. ლომისა წმინდა გიორგის მკლა-ვია. წმინდა გიორგის ენა არი ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავი. წმინდა გიორგის თავია კოპალე, დანარჩენი ასოები სხვადასხვებია. ლომისას ჩხუბი უყვარს. თუ ჩოხის ყმა შემოგწყევლის, არ არი კარგი. თუ საჩოხლო შამოგწყევლის, უნდა გაყვე კაცსა, ვინც არ უნდა იყოს, თორო არ არი კარგი, რადგან ის წმინდა გიორგის ენაა.

მთხრ. ბატარაი პატაშური,<br>
ჩამწ. ქეთევან ბურჯანაძე, ხევშა, 1946.<br>
თსუფა 5024

## 295. „ქვის წულად მქცეველი" I

„მიშველე, გმირო ლომისაო, ხორომნის ტყვის დამხსნელო, ქვის წულად მქცეველოო", ასე ევედრებიან ლომისის ხატს.

ხატში რომ წავიდოდნენ, საერთო საკლავი რომ დაიკვლებოდა, დაარიგებდნენ ხორცის ნაჭრებს, ამას ეძახდნენ ხორცის წილობას. თითოს თითო ნაჭერს აძლევდნენ. ფეხმძიმეს ორი ნაჭერი შეხვდე-ბოდა ხოლმე.

ერთ გოგოს, ალბათ ძალიან უნდოდა ხორცის წილობა, აუღია გრძელი ქვა, შეუხვევია ნაჭრებში და ჩაუდევს კალთაში, ვითომ ბავშ-ვიაო, და წაუფარებია ზემოდან. ჩაიარა მორიგემ, ვინც არიგებდა, იმ გოგოს კალთაში ბავშვი რომ დაუნახა, ორი წილობა მისცა. მისცა თუ არა წილობები, ქვა გაცოცხლდა და ბავშვად იქცა. ლომისამ გაა-ცოცხლა. ამიტომ ეუბნებიან, „ქვის წულად მქცეველოო".

მთხრ. მარიამ ბოძაშვილი,<br>
ჩამწ. მედეა იმერლიშვილი, ქვემოქედი, 1988.<br>
თსუფა 28928

## 296. „ქვის წულად მქცეველი“ II

ლომისის სალოცავში დღეობა იყო. ხატის კარზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. დაიკლა საკლავები, გაისერა ქადა-საწირავები... დასტურებმა დაიწყეს ხორცის წილობების ჩამორიგება ვაჟებზე. ერთ მარტოხელა უშვილო ქალს ქვა გაუხვევია კალთაში და მორიგეებისათვის უთქვამს: „თქვენი ჭირიმე, ამასაც არ დამიკლოთ წილიო“. ეს უთქვამს და ბალღსაც დაუჩხავლია ქალის კალთაში. ლომისამ რიყის ქვა წულად უქცია თურმე.

მას მერე დეკანოზები ასე ახსენებენ:

„დიდება დიდ ლომისას, ღუდას ყოვლაწმინდას, ქვის წულად მქცეველს!“

უშვილო ქალები იმ დღიდან ლომისაში დადიან სალოცავად, რომ ვაჟი შეეძინოთ.

ვირს. 529

## 297. საღვთო ნვერის ანგელოზის სასწაული

მღვდელი ყოფილიყო. იმ მღვდელს ჰყოლიყო მარტო გოგო. ბიჭი არა ჰყოლიყო, გოგო ჰყოლიყო იმ მღვდელს მარტო, ბიჭი არა ჰყოლიყო. და იმ ხატში მარტო ბიჭები მიჰყავთ, გოგოები — არა. ჰოდა, მიეყვანა ის გოგო ამ მღვდელსა. ბიჭიც ეს არი ჩემიო და გოგოცაო. ჰოდა, იმის მიყვანა რო იქ არ შეიძლებოდა, ვითომ გამოფრინდა, გამააფრინა ამ სალოცავმა ის გოგო და, ერთი დიდი ქვა არი, მთაში გადავდივართ, გზაში არი დიდი ქვა, აი, პაკრიშკა რო არი, ემაზე დიდი ქვა არი, და ვითომ ფეხის დანაკრავი ეტყობა, ქუსლი ეტყობა, ფეხის დანაკრავი.

მთხრ. ლამარა უშარიძე,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ლაკათხევი, 1983.
თსუფა 25618

## 298. გვიდაქის ქაშუეთის ეკლესია

გვიდაქის ქაშუეთის ეკლესია ბუჩუკურთა საგვარეულო სალოცავია, რომლის დღეობა — ქაშუეთობა გაზაფხულზე იმართება ხოლმე.

ეს საყდარი ამირიძეს აუშენებია.

ერთხელ ეს ამირიძე ტყეში სანადიროდ ყოფილა წასული. დაუნახავს, რომ ერთი მტრედი წვრილ-წვრილი ღეროებითა და ბუმბულებით ჯვარს აკეთებდა და ეკლესიასავით რაღაცას აშენებდა. ეს კაცი მიმხვდარა, რომ აქ ეკლესია უნდა აშენებულიყო. მოუყვანია მშენებლები და თავისი შესაწირით აუგია ქაშუეთის ეკლესია.

ამირიძეს ერთ კედელზე, სველ ბათქაშზე ხელი მიურტყამს და ანაბეჭდი დაუტოვებია. ეს ხელი ახლაც ეტყობა.

მთხრ. ალ. ბუჩუკური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, ჩონთო, 1989.
თსუფა 30068

## 299. ალევის წმ. გიორგი, დევის მებრძოლი

ერთი კაცი მომდინარა. ცეცხლი დაუნთია. თურმე ეს დევების ადგილია. რა ქნას? შაშინდის. სად წავიდეს? და უთქომ: „ღმერთო, შენ მიშველე, ალევის წმიდა გიორგი!" და მერმე, რო დაუძახნია, მიშველებია, დაუწვავს წმიდა გიორგის ის წყეული.

— „პირველად რო მახსენე, დედასთან ვიყავ ალავერდშიო. მეორედ რო მახსენე, ალაზანს მივაჩქაფუნებდი. მესამედ რო მახსენე, გიშველე, თუ არაო?"

მემრე ყოჩი უსახელებია მისთვის და არ იცოდა მისი დღეობა და, როცა ის დღე მოვიდის, ი ყოჩი აღარ დამდგარა, მიდის. და ე ბიჭს გაუდევია საგძალი ცხენისთვის და გასდევნებია და მაუყვანია ალევის წმიდა გიორგის ხატში იმ ყოჩსა.

ვირს. 495

## 300. ცხრა ძმა ჩელხიანი

ჩვენ სოფელში [არახვეთში] ცხოვრობდა ცხრა ძმანი. იმათი გვარი იყო ჩელხიანი. ცხრა ძმას ჰყვანდა ცხრა ბიჭი, ცხრა აკვანი ედგა. ისეთი ძალმომრენი ყოფილან და, სადაც მამული მოეწონებოდა, თავადა სთიბდენ და იმ საწყალ ხალხს ართმევდნენ. დედ-მამაცა ჰყოლიან. მემრე იმათ სამი ხარი თეთრი ჰყოლია და ერთი ვერ უშოვია და ამერიკა [მიტკალი] შეუკერიათ იმ ხარისთვისა, რო თეთრი ყოფილიყო, რო დაენახათ, ვის მამულში იყო. აი, ეგეთი ძალმომრენი

ყოფილან ეგენი! სინამდვილეა ეს განა! მენ ჩემი პაპისაგან ვიცი და ბებიასაგან. საცა მთა [სათიბი] მოეწონება, იმას სთიბვენ.

ეს ძმები ყანას მკიან. დედა სდღვებს რძეს სახში და ის რძე მოექცა სუ კარაქათ, გაქვავდა, დო აღარ დარჩა. დაიწყო დედაკაცმა ტირილი და წავიდა მთაში შვილებთან, ახაშარის ქედს ვეძახით. იქ რო ავიდა ის დედა, ეს ბიჭებიც მოიდნენ. „დედა, რაშია საქმეო?" „შვილო, რძე გამიმყარდაო, ჩვენი ტაზარი ასრულდაო". იმათი ნასახლარი ეხლაც არი. „ვაიმე, დედი, სალესავი გაგვიმკვრივდაო, წყალი გაყინდაო და წამოველით სახშიო". ჩამოვიდნენ სახშია და მამამ უთხრა: „შვილო, წადით აქა და იქ, ფუძისკართა, და გათხარეო დიდი ორმოო. რაც ჩვენი რამე არ არის, სარჩო, აიტანე და ჩაალაგეთ თქო". ხალხს არ უნდა დარჩომილოყოო. იციან, საცაა, მაგრამ არვინ უგდებს ყურსა, ცოდვიანი რაღადღა უნდათო?

აჲზიდეს და ჩაადგეს იქა თავისი იარაღები, სარჩო, რაც რამე ჰქონდათ, დაადეს სიპი, გააკეთეს სამთლის ჯორი [ჯვარი] და ჩადგეს იქა. უფროსმა ძმამა უთხრა ძმებსა: „გავიდეთ ეხლა სასაფლაოზე და აკლდამა გავაკეთოთ". არის ისივ განა, ამოვსილიღა არი, საცა ვიმარხებით ჩონ სასაფლაოზე. იქ გავიდენ და აკვნებიც იქ წაიღეს და იქ ჩასხდენ და იქ დაიხოცენ ისინი, ჩქარ დაიხოცენ. წინავ საქონელი და ცხვარი ნატუსში გარეკეს და გააბრუნეს ტყეში. ერთს გიორგის ეძახოდენ, დიდხანს უცოცხლია. ეგრე იქ დაიხოცენ.

წყალკურთხევას იმათთვინ ცალკე ღვრიანკე წყალსა: „ცოდვიანი ჩალხონი შაიწყნაროსკე ღმერთმა. სინამდვილე არის, პაპამ დათვალისკე".

კაიშ. 110-111

## 301. ცხრა ძმა წიფორელნი

წიფორში ყოფილან ცხრა ძმანი, დედა ჰყოლიათ, უფროსი შვილი ცოლიანი ყოფილა. ისე გაავებულები ყოფილან ისენი, რო მთელ სოფელს თურმე არ უშვებენ გარეთ. ურთმევია მეზობლებისთვინა საქონელი. ფულს წაართმევენ, რამეს. ერთი ყოფილა ცოლიანი და ერთი ბიჭი ჰყოლია იმას. თუ ვინმე დაქორწინდებოდა იმ სოფელში, მალვით მიიყვანდნენ პატარძალს იმათ შიშითა. გაიგეს, რომ მოვიდა თურმე ცხრა ძმათი, შახსნა კარები და შავიდა. გადმააჴდინა ეს დედუფალი, „დედუფალს პურის ჭმევა უნდაო", გამოიყვანა, წაიყვანა თავის სახლში. მემრე მოვიდა ეს ქალი, რო გაუბედურდა. გაუბედურებული იყო იმათგან ის სოფელი. არ შაიძლებოდა, რო შიშით სამუშაოზე გასულიყო ხალხი.

ერთი ჭევისბერი ყოფილა. იმას უთქვია, სადამდე ვიყოთ ასეო, ან ავიყარნეთ, ან რამე ვქნათო. ადგენ და წიფორის წმიდა გიორგის ხატში სანთელი აანთეს დეკანოზმა, უფროსმა კაცებმა, „ან ჩვენ დაგვაშორე აქედან, ან ეგენი მოგვაშორეო“.

ცოტა ხანი და გავიდა სათიბლად ცხრა ძმანი მთაში და სთიბენ. იმ ბიჭების დედამ უთხრა რძალსა: „პური გამააცხვე და მთაში წაუღე იმათაო“. ეს ქალი პურს აცხობს. პატარა ბალღი ჰყოლია. დედამთილი რძესა დღვებს. გაიყინა ეს რძე. რა მოუვიდაო? ეხლა ეს აკვნიანი ბალღი გვერდ უდგა. ი ბალღმა რო დააფსა, მოჰკიდა ყინული და მიაკრა იმ აკვანს ძირიდან ე ყინული. იმ ცხრა ძმას კოკა ჰქონია მთაში და ისიც გაიყინა. თქვეს იმ ცხრა ძმათ, რო ღმერთი გაგვიწყრა, რა ამბავიაო? დავაგოროთ კოკები, არ გატყდება მაინცაო“. დააგორეს და არ გატყდა, ისე ჩამოვიდა ჭალაში. ადგენ და წამოვიდენ სახლშია, „უბედურება რამ არი ჩვენ სახლშიაო“. მოვიდენ, ხედავენ, გაყინულია აკვნის ძირიც, რძეც. დედამ უთხრა: „უბედურებაა ჩვენ თავსა და ეცადენით, მანამ არაფერი მოგვივაო“.

ისინი ამდგარან ღამე, თხრიან. თორმეტი დღე სულ თავისი სამარე თხარეს. მაიტანეს სიპი და სიპით გააკეთეს ის აკლდამა მიწაში. ძალიან ბევრი ოქრო-ვერცხლი ჰქონდა იმათა. ის კიდევ ესე მამულებში გაუტანია და იქ ჩაუმარხია. „ჩვენ ვილუპებით და ნურავის დარჩესო“, დედას უთქვია. ისიც ისე დაუფარავ, ვერავის უნახავ. მემრე გასულან. იმ სახლისთვი თავი დაუნებებია, დედაც წაუყვანია. შასულან აკლდამაში, ბავშვიც იქ გაუყვანია. თორმეტი დღის მერე სუ გაწყვეტილან ისენი, რო არ დარჩომილა ერთი.

მემრე ის სოფელი ნიადაგ რო გაიხარებდა. ამის შემდეგ გაიგო სოფელმა სიცოცხლე და წუთისოფელი.

თ. ოჩ. 195-196.

## 302. გვიდაქეს ტრაგედია

სოფელ გვიდაქეში უცხოვრიათ ბერებს, იქ ჰქონდის ეკლესია. იქ არის რაღაცა დაუფვლილიო ბერების მიერ. ჩვენ წინაპარს ეთხარა ორმო და რაღაცამ დაიწკრიალა და გული წაუვიდის. „უნჯია რაღაცა, მკითხავი ეუბნება, ის ადგილი უნდა აწმინდოთო“.

როდესაც ნიკალაი შემოვიდენ, შამაიყვანეს ღორები, ესე იტყოდაკე პაპაჩემი. ამ უწმინდურების შემოსვლა ვერ აიტანეს ბერებმა და იქ წვერზე დასახლდენ. ააგეს ეკლესია ბუა. ბუაობა დღესას-

წაული მოდისკე ელიაობის მეორე კვირას. მემრე ბერები გაწყვეტილან. სოფელ გვიდაქეში უკვე მესამე თაობაა. ორი თაობა გასწყვიტა გადამდებმა სისნეულემ. ბერები ხო ამოსწყდნენ, მემრე გაჩნდა ხალხი. მეორე თაობა ყოფილა ცხრა ძმა და უცხოვრიათ ძალიან მდიდრად. გადაუწყვეტიათ აეშენებინათ დიდი ციხე. ჰყოლიათ ბევრი საქონელი. როცა დიდი ციხე აუშენებიათ, დაუძახიათ: „ეხლა კი დაგისწორდით, სალვთოო!" ტემათაში ხატი გაურისხდა, გასწყვიტა ძმები, გაუწყვიტა ქალ-რძალი. დარჩა მხოლოთ ორი დანი. მარტონი მწყემსავდენ ცხორს, რო დაიჴოცებოდენ და, ნადირს რო არ შაეჭამა, ხეზე ავიდენ და ორთავე იქ მოკვდა.

კაიშ. 100-101

## 303. ცხრა ძმა ჯაუნართ სასჯელი

იქ ჯაუნართ უცხოვრიათ, ცხრა ძმათ. დაუწყიათ ციხის შენება, სალმთოს უნდა ავუსწორდეთო. „ერთი შემოვლაღა გვაკლიაო!" — დაუძახნია ერთ-ერთს. სალმთოს მეხი დაუკრია, დაუნგრევია ციხეც და ის ძმებიც ამოუხოცია, იმათთან რვა რძალი. მეცხრე რძალი აქა ყოფილა ჩამოსული, ლაკათხევს. ეგ ამბავი რო მამხდარა, ამ წყაროსთან მისულა და მანდ გასჩენია ბალღი. დაურქმევია წყარუა. იმაზე მოდიან ეს წყარუაშვილები.

ხორნ. 192-193

## 304. ეშმაქალის ამბავი

ხანდოში მომხდარა ესეთი ამბავი. კაცს უთიბნია და ტყისპირ გამოვიდა და ქალი სთიბს. ქალია, ქალი სთიბს და გაიგო ამ კაცმა, რომ არ არის ადამიანი, სთიბს ეს კაცი და სთიბს ის ქალიც. უყურა, უყურა და, რაც იმან გააკეთა, იმ კაცმა, ქალმაც ის გააკეთა. ბოლოს, ადგა ეს კაცი, დაგრიხა თივის ალდახი, დაგრიხა მაგრათა და ფეხები დაიბა. ქალმაც ეს გააკეთა, ფეხები გაიბა. ალბათ ჭკვიანი კაცი იყო, ცელი ამოუსვა ამ ალდახსა, ამოუსვა და მოსჭრა. განთავისუფლდა ეს კაცი. უსვამს ეს ქალი, უსვამს, ხის ცელი აქვს, რას გასჭრის. დაიჭირა კაცმა და წამოიყვანა სახლში. თმები დააჭრა და ხმლის ქარქაშში შეინახა და ფრჩხილები ხმალთან, სადაც ხმალია, ეს ფრჩხილები

იქ ჩაყარა. იმ ხმალს ვერ მიუდგება, არ შეიძლება, ხმალი აშინებს მაგას. ჰოდა, იყო რამდენიმე ხანი. დიდხანს იყო ის ქალი იმათას. და ის ოჯახი ისე გამდიდრდა, ისე აშენდა, რომა არ შეიძლება მეტი. არც ვინ ავად გახდებოდა იმათი, არც არაფერი გაუფუჭდებოდა. წყალზე რო გავიდოდაო წყლის მოსატანადაო, წყლის თულუხები იცოდენ წინავ, თულუხსა ესე ხან მააცლიდაო წყალსაო. რატომ აკეთებო ეგრე, ეტყოდენო — და სუფთა წყალი უნდა ავილოო. კარგად იყო ის ხალხი.

ბოლოს, ბავშვისთვის უთქვამს, აბა, ის ჩამაილე, ის ხმალიო და წამოჩეჩეო. წამოჩეჩა და ფრჩხილები წამოსცვივდა. აკრიფა ფრჩხილები და აილო თავისი რაც იყო, და წავიდა, უთხრა: ვერაფრით ვერ გაგიჩქერებთო, სულ კარგად მექცეოდითო, კარგი ოჯახი იყავით, ჩემთვის კარგები იყავით და თქვენ ცეცხლსაო სინათლე ნუ ექნებაო. მაინც ამით დაწყევლა. მეტი არაფერი არა თქვა და წავიდა ეს ქალი.

ეგ გამიგონია მე. ეგ ნამდვილად მართალი იყო, ხანდოში მოხდა. ჩიკრიკიანები არიან ეგენი გვარად.

მთხრ. გოგა წიკლაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ლუთხუმი, 1982.
თსუფა 25583

## 305. ნათელმირონობის წესი

დაუძახეს ი ბებერსა, რო გამოხეო ალექსაის დედაო, აქაო, გვიფიხვნეო, ვილაპარაკოთო. და გამოხდა ი ბებერი, შვილო, და იმანა და ჩემ დედიძმამ იუბნეს, რო ესეთა წამებულობა იყო წინავაო, რო ერთ სოფელშიაო, კისადამაო, შვილო, დამავიწყდა... იქაო ბიჭს ორი ბალღი მაუნათლავ ერთ კაცისთვინა. უწინაო ყრილობას ეძახდნენ და იქ შუა სოფელში იქნებოდაო ბანი სადმეო. იქაო მაიწვევდენო, საცა უფრო ეხერხებოდათ ხალხსაო, ყრილობასაო. ამ ყრილობაზედაო მისულა ის ბიჭიო, ბანზე შამხდარაო და წინ-წინაო ი ორი ბალღი მაუნათლავო ი კაცისთვინაო. ი ბებო გამოსულაო და დაუნახავო და დაუძახნიაო: ვასილოო! და: ჰაოო, მანდ რად შაჰხეო, რადაო? ვაიმეო, რალა ვქნაო, რად შაჰხეო მანდაო! და ის ბიჭიო სუ გაშრაო, ისე დაშინდაო. აიო, რო წამოხოლო, უთხრაო, ეგ შენი გამონავალი გზაო და მინავალიო, ჰო, გამონავალი გზაო ახალუხის კალთაითაო გამოწმინდეო, აი, ესე გამაიარეო და ესე გამაიტანეო ახალუხის კალთითაო, რო მანდაო შენი ფეხის მტვერი არ დარჩესო და ნათლულსაო მტვერი არ დეედინოსო.

აესეთა წამებულობა იყოო და ეხლაო ისეთა დრო მუაო და მე რას დავიხსომებდი, შვილო, ამა და ამ დროსაო ნათლიასაც შეირთვენო (ღმერთო, მაპატივე დალოცვილო!), ნათლიასაც ცოლად შაირთვენო და აი, ცოლად ექნებაო ნათლიასაო და აღარც ნათლულსაც არ მეერიდებიანო, ისეთა დრო მუაო. სუ გაირეცხება ხალხიო, აი, სუ წაიმწიკება, წაიბილწებაო ქვეყნიარობაო. და იმ დედაკაცმაო რო ის უძახაო, შენი ჭირიმე, და წამოიდაო ი ბიჭიო, გადმოიდა ბანის გარეთაო და იქ იდგაო, იქიდან მაუსმინა ი ყრილობასაო. აბა, კარგა რაიმ იუბნიან და მე დამავიწყდა.

ეშმაკმა ჩამაიარაო ი სოფელზედაო, ჩამაიარაო, ადამიანი იყოო (ეშმაკი ჩვენს მტერსა, ჩვენს მოავესა!). ჩამაიარაო ი სოფელზედაო და დაუძახაო: ვინცაო ჩემი ხალხიაო, იმასაო აესე გულში ვიხუტებო. ეხლა ვინც ეშმაკს მიჰყვება, ალბათ ისა, კარგა იუბნეს იმათა და მე აღარ მახსონ, შვილო. ვინც არაო და შენი ჭირიმე, კი რამამაო ესე უყოსო. მობრუნდაო ის ბიჭიო, ი რომენმაცაო ი ბანის გარეთ ეყუდაო, ის ბიჭიო, და დაუძახაო, რო შე წყეულოო, შენ შემაცდინეო, შენაო, იმით შავხეო ნათლულების თავზედაო, თოროო... ბანზედაო, თოროო არ შავხდებოდიო. აიო შენაო ესე მაცდინეო, ეე, ესეო...

— „შენ კი არაო, ბევრ შენისთანას ვაცდენო" — და ჩამეეფარა თავქვეო ამ სოფელზედაო. წამოიდაო და უყურესო ეხლაო ამ ეშმაკსაო, შენი ჭირიმე, რო სად წავაო, სად წავაო, გამაუდგებოდა ეს ბიჭებიო ხანჯრებითაო. გამაუდგენო ამ ყრილობიდანაო ბიჭებიო, ახლგაზრდებიო, გამაუდგნენ კაცებიო და გაიქცაო ი ეშმაკიო და შიგ შუა წყალში ეცაო, არაგვშიაო, დაიმალა, დაიკარგაო.

აი, ვინ იცის, რა იუბნიან, შვილო და რა არ იუბნიან.

ვინ იცის, აი, ესე იქნება და ესე იქნება, ესე იქნება და მემრე, შენი ჭირიმე, დედასჩემი ავად იყვის და, ი დედასჩემი, უთხრა ი დედიძმამა მალევა ისა, რო შენაო ღვდელს ეზიარებინეო. ეზიარებინეო ღვდელსაო, რო კარგა გაჰხდეო. ეგაო, ქალო, როგორ შეიძლებაო, როგორცა ხარო, მღვდელმა უნდა გაზიაროსო.

წავიდა ე დედასჩემი, შვილო, ფასანეურშია და ი ერთი ღვდელი იყო, გიგო ღვდელი, ქებაძე. ღვდელი იყო და გიგოს ეძახდნენ ი ღვდელსა. რო მივიდა ი დედასჩემი, მივედიო. მე გავყევ, ბალღი ვიყავ ბატარაი და არა, რა ისე ბატარაიც არა და გავყევ და მივედით და დავსხედით, შენი ჭირიმე და სხვებიცა ჰყვანდნენ იმასა იქა, რო აზიარებდა ი ღვდელი. და ჰკითხა ი დედასჩემსა, რო ქალოო, უთხრა, შენი ჭირიმე. ჯერ ამაიღო დიდ წიგნი, ის უნდა წაუკითხოს. უთხრა: ხატ-ღმერთიიო გაგილანძღავო? — დედასჩემს უთხრა.

— გავლანძღეო.

— რადაო?

— იმითაო, რო კლდეზედაო ძროხებმა გადამაგდესო. იმ ღამესაო იქ დავრჩიო.

— ეჰეო.

და მემრე, შენი ჭირიმე, ახლა ისი ჰკითხა, რო დედ-მამა გაგილანძღავო?

— არაო.

— ნათელ-მირონიო კი გაგილანძღავო?

— არაო.

— მაშ, არა გიშავო, უთხრა.

და ის დიდი წიგნი დადვა და სხვა წიგნი აიღო და ის შენაო, ქალოო, უთხრა, რაღაცნაირად უთხრა ეშმაკზედა, შვილო, რაღაცა უთხრა. შენაო იმისგან იქნები ეგრე მოხიბლულიო. უკითხა, უკითხა ი დედასჩემსა ის წიგნი, შენი ჭირიმე, რა ვიცი, რას უკითხავდა, აღარ მახსონ კია. უკითხა და იმან უთხრა, რომოო ი ღვდელმა, შვილო, ბოლო დროსა, რო არცად არ ნახვიდეო პირჯვრის დაუწერელიო. დაიწერეო პირ-ჯვარიო და შეეხვეწეო ღმერთსაო, აი, მუდამა და მუდამაო.

მარცხენა მხარზედაო რო დასწვებიო და სიზმარსა ნახავო, ადგოდეო და საცა გვერდალიაო, გახვიდიო, იქაო ქვა გააგოროდეო და უთხროდეო: აი, ჩემი ცუდი სიზმარიო, ქვაო, შენსავითამც ტყუილად ჩავაო. მიხვიდოდეო, წყალს ულაპარაკოდეო და სამჯერ ჩააფურთხოდეო წყალშიაო, რო ჩემი ცუდი სიზმარიო, წყალოო, შენსავითამც ტყუილად ჩაივლისო. მარცხენა გვერდზე რო სწევხარო და იმ სიზმარსა ნახავო.

მარცხენა გვერდიო ეშმაკისა არიო, მარჯვენა გვერდიო ანგელოზისაო.

რა ვიცი, აი, ბევრ რაიმა, შვილო, ბევრ რაიმა და რაღა მახსონ. შენი ჭირიმე, გავუგონთდი, გავუგონთდი. აღარაფერ აღარ მახსონ.

მთხრ. მაშო ვეშაგური,<br>ჩამწ. ტრისტან მახაური (მაგნიტოფირი), გომეწარი, 1999.<br>თსუფა 29667

## 306. საიქიოს მოხილვა

ჴნვა იყო მაშინა, შვილო, გუთნები ება. ჩვენ წავედით, წავასხით ჴარები. სოფლის თავზედა ჰჴნავდა ხალხი. შავაბით გუთნები და ვჴნავთ და თორმეტ საათი იქნებოდა, გუთნის სადილობას ეძახიან. იქ ხო აეგ საათი არ იცოდენ. ადრევა დაიწყეს ძახილი, რო ვალიკო

მოკვდა, პაპუნიანთიო, ბალღი დაიღუპა, დაიღუპაო, გაუშვით გუთნებიო. გაუშო ხალხმა გუთნები და წავედით შინა. ის ბალღი მეორე დღემდენა, რასაც დროს მოკვდა, იმ მეორე დღემდე მკვდარი იყო. ხალხი წავიდა ტყეშია. ადრევა ხის მოჭრა იცოდიან, ნედლი ხისა და წიფლისა, იმის გათლა, ღმერთმა თქვენ ჯვარი დაგწეროთ, იმის კუბოს გაუკეთებდენ. წავიდა ხალხი კუბოს გამოსაჭრელად. მესამე დღეს არ უნდა გადასცილებიყო მკვდარი. და რო წასულა ი ხალხი, მიიჩმუჩნ-მაიჩმუჩნა ეს მკვდარი და წამოდგა. გაცეტდა იქ ეს მოტირლები, რო ეს რა ამბავია, რა არიო? და, აბა, ნიადამ ხალხსაც დაუძახეს. მობრუნდა ეს კაცები ამ ტყიდანა და არ მასჭრეს ის ხე. რა მაიხილეო, რა ჲნახეო, დედა ეუბნება, შვილო, რა არიო? ამ ბალღმა უამბო სუყველაი. სუყველა უამბო და უთხრა, რო მარტოო ერთ სიტყოს ვერ ვიტყვიო. ის რო ვთქვაო, მაშინაო სამუდამოდ მოვკვდებიო, აქ აღარ მუალ. აბა, არა სთქო, ი დედამ უთხრა და უამბო, რო აე ქურდობაო არ შაიძლებაო, ღალატიო, არ შაიძლებაო, კაცსაო არცარა უნდა მაჰპაროო, არ უნდა უღალატოო. უნდა იყო ისეო, თავის შრომითა, თავის წვალებითაო. აი ერთ დედაკაცსაო, უამბო დედასა და იმ მოტირლებსა, კვერცხები დეეპარაო. დააწყვის ისიო, დააწყვისო საბელზედაო, აბაო, საბელზე დააწყვისო და როცა უნდა შეეხვივა და ეეკიდნაო, დაგორდის ის კვერცხებიო, სუ დეეფანტისო. კიდევ, კიდევაო, რაც მე იქ ვიყავო, ი დედაკაციც იმ სატანჯველში იყოო. ვინცაო ცოდვიანი იყოო და კაცის მამკლავი და იყოო ბოროტიო, დიდი წყალი მოდისო, კუპრიელის წყალიო, დიდი წყალიო და იმ წყალზედაო ბეწვის ჴიდი არიო. ვინც ალალი არიო, დიდი მინდორი არიო გაშლილიო, აყვავებული მინდორიო, სუ კელაპტრები ანთიაო იქაო. და ვინც ალალიაო, მიდის აიმ მინდორზედაო, აყვავებულ მინდორზედ დადისო, სუ დადის ისიო, აი, ნელა-ნელა დადიანო. ვინცაო ქურდებიაო, შვილო, და ბოროტებიაო, კაცის მამკლავები არიანო, ღალატიანებიო, ისეებიო სუ იმ ჴიდის ყურზედ არი მისულებიო და წყლის პირზედაო და ჩაჲხედვენ იმ კუპრიელის წყალშიაო. კუპრის წყალი მოდისო, შავნა წყალიო, და არ შაიძლებაო, ისენიო ვერ გაჴდებიანო. დღე და ღამე იქა სხედანო. არაფერი იმათ არა აქვო, არც სასმელიო, არც საჭმელიო, და ვინც მინდორში გადისო, აი, შანდობას რო ვეუბნებითო, შანდობას რო ვეტყვითო, ვინც იმ მინდორში გადისო, იმათაო სუ გაშლილი პურ-სუფრა აქვისო. სუყველა აქვის იმ პურ-სუფრაზედაო, აი, კარგიო. ხინკალიო არ შაიძლებაო, ნუ ხარშავთ ხინკალსაო, ისი ობდებაო, ორთქლი ასდისო. მარტო გამამცხვარია კარგიო იქაო, აი, გამამცხვარიო, ისეთიაო აი, სუფთადაო, ისე სუფთადაო. სუ სუფრებია გაშლილიო, ვინც ალალიაო, იმათათვინაო. ვინც ბოროტიაო, ისაო იმ კუპრის წყალში ჩახედავსო და არი ის-

რენაო. რაც მე იქ ვიყავ, ის ხალხიც ისრე იყოო, უამბო იმ ბალღმა. და მემრე, შვილო, აქით რო წავედით (გომეწრიდან ბანცურებში, რედ.), დედაი რო აღარ იყო, ბეჩავი, და წავედით, იქ მოიდა: გენაცვალე, მაშო დიავ, ის ჩემზე ბატარაი იყო ნიადამა. შენაო რო კეცის პური მაჭმიეეო, ისეთი კარგი იყო ის კეცის პური, ისეთი კარგი იყოო, მამაგონდებიო და ვიტყვიო, ღმერთმა კარგად ამყოფოს მაშუაიო, რა კარგი იყოო. და ამ ურაის ქალმა (მეზობელმა, რედ.), შენი ჭირიმეო, უთხარო, რო აბა, იქ რა მაიხილაო, გვიამბოს ეხლაო. უთხარ, არა მაქვ გულიო, ჩემო ნინოო, რო ის ვალაპარაკოო, აღარა მაქვ გულიო. თან დაღონებული ვიყავ, დედა მამიკვდა, და ველარ ავალაპარაკე რა. და ეხლა აღარ ვიცი, ცოცხალივ არია თუ მოკვდა, შვილო.

მთხრ. მაშო ვეშაგური,
ჩამწ. ტრისტან მახაური (მაგნიტოფირი), გომეწარი, 1999.
თსუფა 29668

# გუდამაყარი

## 307. ზეგარდის წმ. გიორგი I

აი, ესე არის:

მანდ ყოფილან, იქით, მთიულეთს, ხალხი ყოფილან იქ, დიდი ოჯახი ყოფილა და დამდინარან ნადირობად. ჰო, ახლა, როგორც მე წავიდე და გადავიდე ამ სერს იქით და... ჰო. ნადირის გამო უვლია, უვლია და გადმოსულან იქიდან და, მანდა ყოფილა, რა ვიცი, ბერები ყოფილა, ნასახლარები ყოფილა იქ. და დარჩენილა და დაღამებია იქ. მერენის, დაწოლილა, აბა, ეხლა, სა წავიდოდა. იქა მტრედი ყოფილა აი, იქა, იმას უკეთებია საბუდარი იქ, იმ ბერების ნასახლარში. რა ვი, ი ბერები როდინდელი იქნებოდენ. ჰოდა, კაი სიზმარი უნახავ იქ. ამდგარან, წასულან, უამბნია, როგორც აი, ახლა ჩემთან თქვენ მოხვედით, რა, ერთი ჯალაფი ყოფილა, ისენი, ერთი ოჯახი ჰქონიათ. ესე, ესე არისო, იქო ვნახეთო აი, ესეთიო, როგორც ეხლა ნაკოჭვარიო, რა ვიცი. ჰოდა, იქაო მტრედი აკეთებდაო. გაიგეთაო, წადითაო. წასულან, გაუგზავნიათ ჰოდა, თქვენსავით ჯეელები ყოფილან ისინი. წამასულან, დაღამებიათ იქა და დამდგარან. ჰოდა, ის რო აკეთებს საბუდარს, მივიდა ი უფროსი, ჰო. დაადგნენ. მაგრამ, ისა, ეხლა ეგ ჩვენია, ისენი უცხოებია, ეს ჩვენი ხატია, ეგა. ჰო, ნასახლარი იყო, ეკლესიად იქნებოდა ნაშენები. ააშენეს ეკლესია იმათა, იმ უცხოებმა, იმ მთიულებმა. ააშენეს, შენი ჭირიმე, ეს ეკლესია. ეხლა, ამ ჩვენებს უხარის რა, ამ ჩვენს, ვინც ყმანი ვართ იმ ხატისა, აფციაურებს [ქალის ხმა: ეკლესია აგვიშენესო! ჩამწ.]. ჰო, ეკლესია აგვიშენეს. მერე მოიყარა თავი ამ აფციაურებმა და თქვეს, რომა, რა მივცეთ ამათაო? მივსცეთ, გავუსწორდეთ, ეკლესია აგვიშენესაო. შაიყარა ეს ხალხი, დაიბარეს ის ოჯახი, რომელმაც ააშენეს ის ეკლესია, ქარჩაიძეები. ჰოდა, უთხრეს, რო რა გინდაო, ეხლაო, რა მოგცეთაო მაგის აშენებაშიაო? საქონელი გინდათო, ფული გინდათო თუ ცხორი გინდათო. გვითხარითო, რა ფასი გადავწყვიტოთო და ჩაგაბაროთო.

წავიდენ და უთხრეს, ეხლა, იმ ბიჭებმა, აი, როგორც თქვენ მოხვედით ჩემთანა და, ჰოდა, შეეკითხენ იმ უფროსს, ესე, ესე გვითხრესო. ეს უფროსი დაადგა — ოცდარვა სული ხიზანი ყოფილა ერთად, ერთი ოჯახი, დაადგა კაცებს, ბიჭებსა, რა გამოვართვათ, რაო. ფული

გამოვართვათო, საქონელი გამოვართვათო, თუ რას გვეტყვითო. ჰო, ის უფროსი ეკითხება ქალებსაც, დედაკაცებსაც, რაღა, ქალებსაცა, ბიჭებსაცა. ერთი ბიჭი ყოფილა ერთი თვის ნაქორწილარი, ჰოდა, პატარძალი ყოფილა და წინათ ესეთი წესი ყოფილა, რო თითქმის ვერც კი ელაპარაკებიან, ისე ხათრი ქონიათ ერთიმეორესი. ჰოდა, შენ რაღას იტყვიო, უფროსი მივიდა, ჩემო ქალოო (ჯერ უფროს დედაკაცებს დაჰკითხა). „აბა, მეო რა მეკითხებაო", ეგრე თქო, „უფროსები თქვენა ხართო". ჰოდა, ემ ქალს ეთქო: „ჩემის ფიქრითაო, მე ესე გირჩევთ: ყველაფერი გაქვთო, საქონელიც გყავთო, ცხორიცა გყავთო, ფულიცა გაქვთო. სამლოცველად დააგდეთ ეგ ეკლესიაო, რომ იმი დღეობა როცა იქნებაო, წინწინისაო თქვენი საკლავი უნდა დაკლანო, თქვენ შაგახვენოთო", ამ ქალმა უთხრა. მეეწონა უფროსს ეს ამბავი. მიუბრუნდა ამ ჯალაფთა: „აბა, მე ძალიან ჭკუაში მომივიდაო, როგორი დარიგება არი ესაო". გაუხარდა ყველასა: კარგია, კარგი იქნება, კარგი იქნებაო. ჰოდა, ეხლა. აი, ეხლა, შარშან იყვნენ, წელდაწელშუა დადიან მუდამ წელს [ქალის ხმა: არ დაჲკლავენ საკლავს, მინამ იმათი საკლავი არ მივა, იმდენი ყმანი არიან, ამათზე მეტი]. შარშანწინ იყვნენ. მე ვიყავ უფროსი მაგ ხატისა. საიდან მოდიან? იქ არიან ქარჩანი, აი, იქ არიან. ქარჩათ ეძახიან იმ მეკომეს. ჰო, მლეთას გამოღმა არიან, აი. დავილოცებით: „სწყალობდე ქარჩათა! ეკლესია ააშენე და ფასი არ აიღე, სამლოცველად დააგდე". ქალ-ქალიშვილსა, სადაც ვინმე წასული არის, გათხოვილი შვილიშვილის. ესე დაილოცება და... მანდ ერთ 50-80-მდე საკლავი დაიკვლისკე, შვიდი კურატი.

მთხრ. ივანე აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1983.
თსუფა 25613

## 308. ზეგარდის წმ. გიორგი II

...ხე უჭრია აქა და მოა ტრედი, დაჲცემს ჭოჭსა და წაიღებს. დაფიქრდა ე კაცი, სად მიაქვს ეს ნაფოტიო ტრედსო. ადგა, როცა მოჭრა ე ხე, და გაჰყვა ამ ტრედსა. გაფრინდება, დაჯდება, გაფრინდება, დაჯდება და, ჩირდილია დიდი და, იქ აუგია, აქუჩებს, ეკლესია. დაფიქრდა, სალოცავია, რა არი? როგორც ეკლესია, ისე აგებს. ამდგარა, გონიერი კაცი ყოფილა და ეკლესია უშენებია იმ კაცსა იქ, წმინდა გიორგისი. და წასულა, მისულა და უთქომ ამ აფციაურებსა, რო რასაც მოგვთხოვთ, მოგცემთ. ხარს მოგვთხოვთ, ძროხას

მოგვთხოვთ, თუ რასაც მოგვთხოვთ, მოგცემთ. უარი არ არი. წასულა, ჯალაბთ დავეკითხებიო. მისულა — ჯალაფნი, ისინი ცხრა ძმანი ყოფილან. „ჯალაფნო, ესე, ესე მაძლევენო და რა გამოვართოო. ფული გამოვართოო, თუ ძროხაო, თუ ცხორიო?" ზოგს ცხორი უთქომ, ზოგს ძროხა უთქომ, ზოგს ხარი უთქომ. პატარძალი ჰყოლია ერთი და მოდიო, პატარძალსაც შავკითხოთო. „რა გამოვართოთო", უთქომთ პატარძლისათვის. „მე თუ მკითხავთო, არც ცხორი გინდათო, არც ძროხა გინდათო. უწინ რო მოვაო, საკლავი რო დაიკვლის, თქვენი დაიკლასო, თუ იქ იქნებითო და რო მუდამ ხატობაში: „წყალობდე ქარჩაიძესა! გამრევლდეს ქარჩაიძეები! წყალობდე! არაფერი გინდათ მაგაზე მეტიო".

და დღესაც რო აი, მუდამ წელს ხატობა და, თუ ისენია მოსული, იმათი საკლავი უნდა დაიკლას დღემდი, ქარჩაიძეებისი. „ქარჩაიძეებო, ვინ არი, მოიდეს! სწყალობდეს, ეკლესიის ამშენებელსა!"

მთხრ. ბურთა აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1981.
თსუფა 25551

## 309. ზეგარდის წმიდა გიორგი III

ჰოდა, იმას უთლია ხეები, იმ ხელოსანსა, ქარჩაიძე ყოფილა. ერთხელ მოფრინდა მტრედი, მეორედ, მესამედა და ემ კაცს გული რო შეუწუხდა და წავიდა მერე, მიჰყვა ამ მტრედსა და აქ ასულა მაღლა, აიმ ტყეში. გადაუფარებია ის ნაფოტები. მერე ეს კაცი... რაღაცა მოუაზრებია და აუშენებია ეკლესია ამ კაცსა. მერე წავიდა აიქ, მთიულეთში, თავის სახლში, უთხრა, რო ესეო, ეკლესია ავაშენე გუდამაყარშიაო და ფული გამოვართო თუ ცხვარი იყოს, თუ ხარიო. მერე ერთ ქალს ეთქვა, სამი დღის მოყვანილი პატარძალი ყოფილა, იყოსო სამწყალობნადაო, ჩვენი საკლავი დაიკლას პირველადაო. აი, ეგრე დარჩა ეგ ამბავი.

მთხრ. ჯოყოლა აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო 1982.
თსუფა 25547

# 310. ზეგარდის წმიდა გიორგი IV

ეხლა, ეკლესია არის აშენებული, ზეგარდის ეკლესია, ტყეშია მაღლა. აუშენებია ქარჩაიძესა, მთიულეთიდან, ქარჩაიძესა, ხელოსანი ყოფილა. ხოდა, თლის ეს ქარჩაიძე ამ ხესა და მივიდა მტრედი. ჯერ ერთი ნაფოტი აიღო, ახლა მეორე, მესამე. დაინტერესდა ეს კაცი, ეს ხელოსანი, ეს ქარჩაიძე, გაჲყვა, გაჲყვა და ავიდა მაღლა, ეს ნაფოტები სადაც ეცემოდა. მერე, ქარჩაიძე ხთის მონაწილე კაცი ყოფილა, თქო, რო, ალბათ, ეკლესიასა თხოულობსო ეს ნაფოტები. ააშენა ეკლესია ამ ქარჩაიძემ, ააშენა, ჩამოიდა სოფელში, რო ავაშენე ეკლესიაო. სოფელმა უთხრა, რო ფასი; გინდა ძროხა, გინდა ფული, გინდა პური. მენა ჯალაფი მყავს ლაკათხევშიაო, შევეკითხები იმათაო, როგორ იტყვიანო. გავიდა. ამ ჯალაფთ უთხრეს, ამ ძმებმა, რძლებმა, რო ხარი, ა ეს ფული აიღე. სამი დღის მოყვანილი პატარძალი ყოფილა. აბაო, შენ რაღას გვეტყვიო. მე იმას გეტყვიო, ჩემო მაზლოო, ამ ქალმა უთხრა, ამ სამი დღის მოყვანილმა, პირველათაო თქვენი საკლავი დაიკლას ზეგარდაშიო: სწყალობდე ქარჩაიძესაო, ეკლესია აუშენებია, ფასი არ აუღიაო. მეეწონა ამ ხალხსა და დღემდე ჲკვლენ. საკლავები რო მიდის ზეგარდაშია, დაჲძახებს დეკანოზი: ქარჩაიძე არ მოსულა, არ მოსულა? თორმეტ საათამდე ელიან იმათა. მერე დაიწყება საკლავების ხოცა. ჰო, ესე დარჩა ეს საისტორიო ამბავია, ქარჩაიძეს აუშენებია ეგ ზეგარდის ეკლესია.

მთხრ. ჯოყოლა აფციაური,
ჩამწ. ილია ხეიძე, შოთა მურცხვალაძე, დუმაცხო, 2005.
თსუფა 30095

# 311. ზეგარდის წმ. გიორგი V

ეს ქარჩაიძენი ძალიან დიდი ოჯახი ყოფილა. ერთი ახალგაზრდა წასულა იმ დუმაცხოსკენ. წავიდა სანადიროდ და მოხვდა იქ, დუმაცხოში. ჰოდა, ერთ ადგილას ჩამოჯდა, რო უნდა დაისვენოს და მტრედი იღებს ნაფოტებს და ალაგებს ერთ ადგილზე. ჰოდა, იმან ყურადღება მიაქცია, ეს რატომ აკეთებსო ესეო. მერე ადგა და წავიდა მკითხავთან. ჰოდა, მკითხავმა უთხრა, რო იქაო სალოცავის იმასა თხოულობსო ის მტრედი, იმიტომ აშენებსო, რო სალოცავი უნდა

დაბძანდესო იმ ქედზედაო. მაღლა არის. წამოიდა მემრე ეს ქარჩაიძე, ადგა, ყველაფერი თავისას დაავალა და ააშენა საყდარი. ააშენა საყდარი და ეს საყდარი რო ააშენა და დაამთავრა, მერე მოვიდა თავის სახშია, ლაკათხევში. მთელი ოჯახი ერთად არი, საღამო იქნებოდა თუ რა იქნებოდა, მაგას ვერ გეტყვი. ჰოდა, უთხრა, რო მე აი, ესეთი, ესეთი ნიშანი ვნახეო და იმ ადგილზეო მეო საყდარი ავაშენეო და ის ხალხი მეო მელაპარაკებაო, იქ მცხოვრებელი ხალხიო, რო შენ რო ესეთი პატივი გვეცო და ეს საყდარი ააშენეო, რა გინდაო, რო მიიღო შენი გასამრჯელოო. და თქვენ რას მეტყვითო, რა ავიღოთო. ისენ-იო ცხვარსაც მეუბნებიანო, ძროხასაცა, ფულსაცაო და აი, რომელი ვარჩიოთო, რომელი ავიღოთო. ითათბირეს მერე ყველამ, ითათბირეს და არვის არაფერი არ უთქვია და ერთი ახალმოყვანილი რძალი ჰყოლია, პატარძალი. ამ მოხუცს იმისათვის უთქვია, თავის მამამთილს, რო შვილოო, შენც ჩვენი ოჯახის წევრი ხარო და აი, შენ რას იტყვიო. იქნება შენმა რჩევამ ამჯობინოსო. ამ ქალმა უთხრა, რო მე კიო, ჩემი საქმე არაფერიაო, როგორც ახალმოსული კი არ უნდა ჩავერიოო, მაგრამაო მეო იმას ვიტყოდიო, რო იქ ხატიო იყოსო თქვენთვის სამლოცველოდაო. არც ცხვარი გინდათ, არც ძროხა გინდათ, ბოდიში, არც ცხენი გინდათ, არც ფული გინდათ. ეს ყველაფერი წავაო და ამ ხატში თქვენ წილდებულები იქნებითო და თქვენი სალოცავიც იქნებაო. ამ ქალის თქმაზე ყველამ თქვა, რო ეს კარგი სიტყვა თქვა ახლაგაზრდამ, ამ ახალმა მოსულმა რძალმა. „ესე დარჩება, შვილო, ამ მოხუცმა კაცმა უთხრა, აი, როგორც პატარძალმა თქვა, ეს საქმე ესე დარჩება". დარჩა, დარჩა.

მოვიდა და უთხრა, რო მე არაფერი მინდაო. აი, ემ სალოცავში ჩვენ წილი გვედვასო, ჩვენ სადიდებოდ სამთელი აენთებაო, გინდა აქ არ ვიყვენითო, და დაგვამწყალობნოთო. მეტი არაფერი არ მინდა მეო. ესე მითხრეს ოჯახშიო, არაფერს არ ავიღებთო. ადგენ მერე იმათ და ერთი დიდი მოედანი, ძალიან დიდი მოედანი აჩუქეს. აი, იმას უთხრეს: „შვილო, როცა იმ შენმა ოჯახმა ეგრე თქო, თქვენ აქ წილდებულები უნდა გახდეთ, პირველ რიგში ამ სალოცავში უნდა დაიკლას ქარჩაიძის საკლავი, ჩვენი დეკანოზი იქნება, თუ ვინ იქნება, პირველ რიგში ის ქარჩაიძეს დაამწყალობნებს და თქვენი მოსასვლელი და წასასვლელი, რომ მოხვიდეთ და თავისუფლად დაისვენოთ, იქნება დაგეზაროთ ოჯახებში მისვლა, აი, ეს ადგილი იქნება ქარჩაიძეების ადგილი. აი, ის მამულია ქარჩაიძეებისა იმ დუმაცხოში დარჩენილი".

როდესაც ის დღეობა არი, ჯერ იკითხავენ, რო ქარჩაიძე თუ ვინმე არი აქ, ან ქალ-ქალიშვილი, იმათი საკლავი უნდა იყოს და

სანთელს ავანთებთ, ისენი უნდა დავამწყალობნოთ. თუ არვინ არ ვიქნებით იმ დროს იქ, მერე აფციაურებისი დაიკვლის, მერე კიდევ, ვინც მივა და ვისაცა სურს ხატში მისვლა, მიყოლებით დაიკვლება.

მთხრ. ნატო ჯალმაიძე,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ქვეშეთი, 1983.
თსუფა 25619

## 312. ზეგარდის წმ. გიორგი VI

...იქა ეკლესიაა, საცა ხატია და ლოცულობს მლოცავი. მანდ არ ყოფილა ეგ ხატი ადრე. მემრე ერთ კაცსა ხე უჭრია. ხე უჭრია მთიულ კაცსა, ქარჩაიდან არიან, მლეთიდან. ქარჩაიძე ყოფილა. ხე უთლია და თურმე თლის ხესა, აბა, სახლისთვინა და მიდის ტრედი და ნაფოტები მიაქვს. აიღებს ნაფოტსა და წამაიღებს. ერთხელ ხედავს, ორჯერ, უყურებს, სად მიაქვო ე ტრედს ე ნაფოტებიო. ჰოდა, მოჰყვა, მოჰყვა ამ ტრედსა. მოდის და მოაქვს ე ნაფოტები. იარა, იარა და მაიტანა აქ და მოსულა ე კაციც, და უქუჩებია ტრედს და თურმე აწყობს ერთმანეთზე ამ ნაფოტებს, საცა ეკლესია არის ეხლა. მოყვა ეს კაცი, ეს ქარჩაიძე, და ნახა. ჰოდა, დააინტერესა ამათ, ქარჩაიძეებსა, რო ე ხატისაგან არის და ალბათ რაღაცა არის და ხატის ნიშანია ესა. წამოიდენ ეს ქარჩაიძეები და ეკლესია ააშენეს. ეკლესია ამ ქარჩაიძეებმა იმ ტრედის მონატანს ნაფოტებზე და დაიწყო იქ ხატობა მერე, მიდიოდა მლოცავი და იქ ლოცულობდნენ. ჰოდა, ადრე სხვაგან იყო ეს სალოცავი. ჰოდა, როცა ხატობა, დიდი დღეობა მოდიოდა, ზეგარდობა, პირველ რიგში, იმ ქარჩაიძეების საკლავი უნდა დაკლულიყო. არ შეიძლებოდა, სხვა საკლავს არ დაჰკლავდენ. ეს გამიგონია მენა.

მთხრ. გიორგი აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1981.
თსუფა 24675

## 313. ზეგარდის წმ. გიორგი VII

მონადირეები ყოფილან ქარჩანი. დუმაცხოში წამოვიდნენ. ორმოცამდე სული ყოფილან. სიზმარში რაღაც ეჩვენებოდათ, ტრედს უშენებია ბუდეო. მტრედი სახლობდა გორაზე. „ნაწილი იქნებაო, ხა-

ტის ნაწილი, — უთქვამს უფროსს, — ნიში ააგეთო“. აუგიათ ნიში. უფროსიც ნაწილიანი ყოფილა. „ეკლესია ააშენეთო, უკეთესი იქნებაო“. მოსულან და აუშენებიათ ეკლესია. აფციაურებმა გაიგეს, ეხმარებოდნენ კიდეც. ააშენეს ეს ეკლესია. „რა მოგცეთო, უკითხავთ აფციაურებს, საქონელი თუ ფულიო?“ შევეკითხებითო, რას იტყვიანო. შეეკითხა და ზოგმა ფული თქვა, ზოგმა საქონელი. პატარძალსაც ჰკითხეს. უთქვამს: „ყველაფერი გაქვთ. მოსთხოვეთ, თქვენ დაგლოცონ პირველად ეკლესიაშიო. პირველი საკლავი თქვენი დაკლანო“. მოსწონებიათ მისი რჩევა.

საკლავის დაკვლა რომ იწყება, დავიძახებთ: „ქარჩათი ვინ არი აქო!“

მთხრ. ვანო აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1981.
თსუფა 25537

## 314. ზეგარდის წმ. გიორგი VIII

ზეგარდა უშენებიათ. ხან ვინ მოუყვანია, ხან ვინ. მაინც ინგრეოდა. ალბათ ფასს ღებულობდნენ და არ კადრულობდა ხატი, ინგრეოდა. ქარჩათი ვინმე მოსულა. „რა გინდათ, მოგცათო?“ შახვეწნებიან. რო დაუმთავრებია, სახში წასულა და ჯალაფს შაჰკითხვია: „ავიღო თუ არა ხელფასიო?“ რძალი ჰყოლიათ, ძალიან ჭკვიანი: „თუ ჩემსას გაიგონებთო, არ გინდა ნაფასურიო, ეგ რა ბედენააო“.

მემრე დამდგარა. ეხლა პირველად ქარჩათ საკლავსა ჰკლვენ. გინდაც იმათი არავინ იყოს, წინ-წინ იმეებს დაჲლოცავენ.

მთხრ. ალექსი ნიკლაური,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, ზანდუკი, 1985
თსუფა 26789

## 315. ქისტის მკლავი

ხუთშაბათს არი ზეგარდობა. გათენდებოდა პარასკევი და ქობებს გაუყრიდნენ დიდ კეტებსა და გამაიტანდნენ, ბინებია, ვაკე ადგილები, და ურიგებდნენ — ზეგარდულია, რამდენი სულია, რამდენი სული ხართ.

ეტყოდნენ ხუთნი ვართ, ათნი ვართ, ორნი, სამნი. ერთი ბალღი თურმე ხან სად გამოუჩნდება, ხან სად. შენაო, წელან არ მოგეციო, ამ ფეხზე მდგომმა უთხრა, ამოჲკრა წიხლი. შენმა·მზემაო, ახლა ჲ დედამ დაუძახა, თუ მაგას წიხლი ამაჲჰკარი, ქისტის მკლავი არ ჩამიგდო კალთაშიაო. ააძრო ამ კაცმა კეტი ქობსა და წავიდა. ბურსაჭილი, ქუენამთა, ყაზიბეგი გაიარა, გველეთს ჩავიდა და — მოქარავნე ყოფილა, საქონელი დგმია — მოუკლავს ის მოქარავნე, აუჭრია მკლავი და სანამ აქ ჩამოვიდოდნენ, დროშაჲ ჩამააბრძანებდნენ დაბლა, ჩაუგდო კალთაშია. რა იყო, ფრინველი იყო ის კაცი, ველარ გაიგეს, მაშა. ჰო, ა ესეთი ამბავი იყო წინათ. ამ კაცის სახელი არ ვიცი, ესეა გადმოცემა.

მთხრ. ჯოყოლა აფციაური,
ჩამწ. ილია ხეიძე, შოთა მურცხვალაძე, დუმაცხო, 2005.
თსუფა 30096

## 316. დეკანოზი ფაცხვერა

ფაცხვერა თურმე ფრენილა დროშით ხელში სალვთო მაღალის წვერიდან იმ ადგილამდე, სადაც ახლა ხატობა იმართება.

ზეგარდობის დღეობა რომ მთავრდებოდა, ხატიდან ჩამომავალს დაუძახნია ხატისთვის: „დამითხოვე, წმიდა გიორგიო, აღარა ვარ შენი საფერ-საკადრისიო!" ვილაცამ მომაძახაო: „ეგრე შაგწყინდიო, ჩემო ბერ-ყუნჭოო?"

ამის მერე კიდევ სამი წელი უბრძანებია დროშა ფაცხვერას. ფაცხვერა კომად ასპანიანი ყოფილა, ქისტის წარმოშობის. ასპანიანები აფციაურებს შეკედლებიან და აფციაურად დაწერილან.

მთხრ. კატუშა აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1981.
თსუფა 25536

## 317. სალმთო მაღალის სასწაული I

ადრე ყოფილა ისეთ გორზე, რო ეხლა კაცი ვერ მივა იქა, ისეთ მთაზე ყოფილა. მაღალი მთა არი, რო მე იქ ვერც მივსულვარ, არც ახალგაზრდობაში, ისეთი საშიშარია, კაცს ეშინია. ადრე იქ ყოფილა სამლვთო მაღალი, მოდენილა მლოცავი, ქობიც მოჰქონებია. მერე

აკვნიანი დედაკაცი ყოფილა, ბავშვი ჰყოლია. დაჰგორებია ის აკვანი იქიდანა და, დიდი მთა არი, და ხევში გადმოვარდნილა ეს აკვანი. თქვეს, რო მოკვდა, მოკვდა. რა გადაარჩენდა, იქიდან დაგორდა, თითქმის ორი კილომეტრია. ჩამოიდენ, ნახეს ეს ბალღი და ისევ ისეთია, როგორც იყო, ტრედი აზის და დაღუღუნებს და ართობს. მერე ხორციანი ქობი ყოფილა, როცა მოხდა ეს ამბავი, იქა თურმე. ეს ხორციანი ქობი აფრენილა და, აბა, რამ ააფრინა, ალბათ ხატმა, და გამოფრენილა ღელეზე, ეხლა საცა არსებობს ის ხატი, საცა ლოცულობენ, იქ დამდგარა ის ქობი. წამოსულა ეს მლოცავიცა და იმას მიჰყოლია და იქ დაბინავებულა.

და აი, დღესაც ისივ იქ დღესასწაულობენ, ლოცულობენ. იქ კაციშვილი ვეღარ მივა, იქ ისეთი გვერდო მთა არი. სამღვთო მაღალს ვეძახით ეხლა იმ ადგილს.

მთხრ. გიორგი აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, დუმაცხო, 1981.
თსუფა 24673

## 318. საღმთო მაღალის სასწაული II

გაღმა ერთი წვერია, კლდეზედ არი. იქა მდინარან. ბალღიანი ყოფილა შახვეწილი, აკვნიანი. აკვნით ყოფილა და, თქვიანკე, მეტად ძრიალი იყოო, არ უხდენია იქ. ის აკვანი დაგორებულა, ადუღებული ქობი დაგორებულა. კლდეა ისეთი, რო, რა ვიცი, ტყუილია თუ ამბავია. დაჰყოლია. თავმოჭრილი კურატი ამამდგარა და, საცა ეხლა იციან, იქ გამასულა, თავმოჭრილი კურატი დაწოლილა იქ. დაჰყვა თურმე ხალხი იმ ბალღსა, ჩამოვიდა. აი, ხევია ქვევით, ზოვებია, და ქობი დამდგარა ზოვზე. თურმე დუღს და, აი, ტრედი ზის და არც აკვანი დალეწილა, არც ბალღი მამკვდარა. აკვანზე ტრედი ზის და არწევს. დაჰყოლია დედა, აუკიდნია, იქ აუნთია სანთელი, ერთი მტკაველი სანთელი და, მანამ ის სერზე ავა, ის სანთელი არ დამწვარა. აკვნის კამალებზე მიუკრავ. იქ ასულა, ის არ დამწვარა, ის სანთელი.

მემრე იქ მაუშლიათ ხატობა და ახლა აიქ, საცა ადიან, იქ.

მთხ. ბურთა აფციაური
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1981.
თსუფა 24676

# 319. საღმთო მაღალის სასწაული III

ეგა... აი, ესე ყოფილა, რო იქა მაღალი ქედი არის. ეხლა, მე ცხორში დავდიოდიკე ბალღობაშია და... ისენი წამოსულან, უვლია, აქ მწყემსადა ყოფილა ერთი ხანდოდან, ჰოდა, ხატი მოუპარავ აი, იქ, წვერის ანგელოზს ვეძახით, ათნოხისთავზე, ის წაულია იმას. ჰოდა, მეელისო, რა ვიცი, უბრძანებია, აქ მიზეზი მიუცია, როცა მაიპარა ესა და, უბრძანებია იმათა იქიდან, რო, ჰოდა, გზებია, ახლა, ნაკეთარი. იქ საძოვარია, აი, იქა, ისეთი კლდეებია, რო გახედო, ელდანი გეცემა. ამათა, რო გაიაროს, აი, ეხლა, იქიდან კურეტს წამაიყვანს, საკლავს წამაიყვანს, იქიდან ი დროშას წამაიყოლებენ. ჰო, დღეობაა თურმე მაღლა სერზედა. მარმარილოს ქვები არი იქ დაწყობილი, აი, ნიშია. საცა ის სამკვიდრე არის, იქ დედაკაცი ვერ მივიდოდა. იქ მივიდოდა დაჲტური, დეკანოზი. დედაკაცი ვერ ავიდოდა. ზეით ნიშანია და ქვეით იყო კიდევ, ვაკე არი, ქვეითკენა და იმაში ი აკვანიც იქ დაუდგამ, ხორციც იქ, კურატიც დაუკლავ. ხორცი უხარშავ. მერენისა, იქ კურატი რო დაუკლავ, რა ვი, ისე იტყვიანკე, რო ისი აკვანი ხო დაგორდა, დაგორდა ეს აკვანი, დაუგორდა იმ დედაკაცს. მოტრიალდა აქათ, მოტრიალდა, წამოიდა, დაჰყვა ტირილით. ჰოდა, საცა დადგა ეს აკვანი, ჩამოვიდა კარგად, როგორც აი, თქვენ რო მოსჩენიხართ, ემდენზე ეგორა იმ აკვანსა. მინამ ეს ჩავალის, დედა ბავშვისა, მანამდე მტრედი მისულა და დაჲჯდომია იმაზე, აკვნისა იმაზე, და არც გატეხილა ი აკვანი და დაღუღუნებს ი ტრედი. მივიდა ე დედა, დახედა, თქო, რომა განა რა ცოცხალი იქნება. დაკლეს კურატი იქ, ქვეით, საცა ის აკვანი იყო. აიქ, იმაში დაკლეს. ეს კურატი მემრენის, ეს თავმოჭრილი აფრინდა. რაკი ისეთი ის იყო და ქვეით არის ვაკე, დიდი ვაკე არის, რა, იქა და დეეცა თავმოჭრილი კურატი. ეგრე იტყვიანკე, აბა, მე არ მოვესწრებივარ და. დეეცა იქა და მემრე იფიქრა ხალხმა, დასტურ-დეკანოზთა, ალბათაო, აი, ესე, ესეაო, აქ აღარ ხდენილობსო.

მთხრ. ივანე აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1983.
თსუფა 25614

## 320. დაგორებული აკვანი

ეგ წვერის ანგელოზი იყო სერზე. თურმეააბძანიან ხატი და იქ რო ავიდოდენ, როგორც მანდ, საგულებელში იციან დღეობა, ისე იქ თურმე, ზედ სერზე, აი, მაღლა არი, ჭალისთავს ეძახიან, მითამ დაგორებულა ბავშვი, გაიგე, აკვნით. მემრე გამოჲდეგია ხალხი და იქ რო ჩასულა, დაბლა ჴევში, დამდგარაო, არაფერი მოსვლიაო, აკვანი მთელი იყოო და მტრედი ეჯდა ზედაო. რამდენად მართალია, ალაჰმა უწყის.

მთხრ. სიმონ ბექაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), გამსი, 1982.
თსუფა 25559

## 321. პირიმზე-ფუძის ანგელოზი I

პირიმზე აქ არის, გუდამაყარში, პირიმზე, და ფუძის ანგელოზი ახოში არის. ბარისახო რომ არის, ბარისახოდან ახლოა, არ არი შორი. ის ბარისახოა და იმას უკენახოს ეძახიან.

პირიმზე არის ახალციხიდან მობრძანებული ძველ დროში. როდესაც თათართანა ბრძოლა ჰქონდა ქართველებსა, ამ დროს ალბათ დაამარცხეს ჩვენმა წინაპრებმა, იქიდან ტყვეები წამოუყვანია და ხატიც წამოუღია. ხატის რა ნიშანი იქნებოდა, როგორი იქნებოდა, ჯვარი იქნებოდა, ოქროსი... ესე გაგონილი კი მაქ, რო იქიდან რო წამოუბრძანებიათ, როგორც ცოცხალი, როგორც ოქრო, ეგეთი იყოო, მათრახს იქნევდაო. წამოუყვანიათ და იქ დაუბრძანებიათ, ჩოხს იქით არის, ჭალაზე. მემრე მანდ როცა საქართველოში რუსი შემოვიდა, ამ გუდამაყარში შემოსვლა გაჭირვებია. კიდაც ნათქვამია: „ვერ შემოვედითო, შავი წყალი ჩამოდისო და შავიო ხალხი გამოდისო“, შავგვრემანი ქართველი ხალხი. ყაზბეგზე გამოსულან, გოგორის ხიდს ვეძახით, ბახნის ქვემოთ რო გახვალ, კლდეები რომ არი, დიდი კლდეები...

მთხრ. გოგა ნიკლაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ლუთხუმი, 1982.
თსუფა 25586

## 322. პირიმზე-ფუძის ანგელოზი II

ის ადგილი, სადაც ახლა ფუძის ანგელოზია დაარსებული, დევებს სჭერიათ. ფუძის ანგელოზი ახალციხიდან მოსულა, შებრძოლებია დევებს, ამოუწყვეტია და ჩამდგარა იმ დევების ნაბინავარში.

ერთ ძროხას ხბო მოუგია იმ ადგილზე და ვერ აყენებენ ამ ხბოს, რომ ააყენონ და გამოაყოლონ ძროხას. მივა იქ ძროხა, მოაწოვებს, მერე წავა და მივა სახლში, ამ უკანახოს, ხევსურეთში.

ერთი მოხუცებული კაცი იყო და უთხრეს ამ კაცს: „ძროხამ ხბო მოიგო აქა და აქაო და ხბოს ვერ ვაყენებთო". უთხრა მოხუცებულმა: „აბა, იმ ფუძის ანგელოზს დაუყენეთო ის ხბოო, ვისიც ის ფუძე არისო, და აბა, ერთი ვნახოთ, რას იზამსო".

ადგნენ და დაუყენეს ხბო იმ ფუძის ანგელოზს, იმ ფუძის ანგელოზისა იყვეს, ვისი ფუძეც არისო. და დაუძახეს სალოცავს ფუძის ანგელოზი.

ადგა ეს ხბო და გამოჰყვა თავის დედას, წამოვიდა. როცა გახდა დროსი, მივიდა და დადგა იმ ფუძეში, და დაკლეს იქ. და ასე გაჩნდა აქ სალოცავი პირიმზე-ფუძის ანგელოზი.

ბაკურხევზე გზა არ ჰქონდა გუდამაყრიდან წამოსულ მლოცავს. მანდ დევები იყვნენ, საკერპოს ეძახიან, და არ უშვებენ. მლოცავი მიდიოდა საჩალის ჭალაზე და ასე გადადიოდა იქით. წამოვიდა ეს ფუძის ანგელოზი, შეეშველენ იახსარი და კოპალა, შეიყარნენ გორზე ერთად და იმ ფუძის ანგელოზმა უთხრა: „ჯერ მე ჩავალო და, თუ რამე გამიჭირდა, თქვენ მიშველეთო". ჩავიდა ფუძის ანგელოზი და ამოსწყვიტა ეს დევები.

მთხრ. ბერი წიკლაური, დეკანოზი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მაქართა, 1982.
თსუფა 25541

## 323. პირიმზე-ფუძის ანგელოზი III

უკანახოში დაჰკარგვიათ ფური. შობის დრო მოუვიდა ფურს და ხბო მოიგო იმ ადგილას, სადაც ეხლა ხატში საკლავებს ხოცვენ. მივიდნენ და ვერ ააყენეს ხბო. დალოცეს ის ადგილი და შეეხვეწნენ: „აიმ ადგილის ფუძის ანგელოზო, როცა დრო მოუვა, გაგვაგებინე და აქ დავკლავთო". მისულა შემდეგ ძროხა, ხბოს მოუწოვია რძე და წამოჰყოლია.

გავიდა ხანი, სამი თუ ხუთი წელი. გაიზარდა ბოჩოლა და გახდა კურეტი. წამოსულა ეს კურეტი ბუბუნით, უკან გაჰყოლიან პატრონები. აბა, სად წავა, ვნახოთო. წასულა ეს კურეტი და, სადაც დაბადებულა, ისევ იქ დაწოლილა. გვარის უფროსს დაუკლავს და უთქვამს: „ამ ფუძის ანგელოზო, შენს სადიდებულოდ იყოს ეს ხარ-მარეშიო".

ასე დაფუძნებულა პირიმზე-ფუძის ანგელოზი. პირიმზე ეს არის, რომ ლოცულობენ მზის შუქს, ქვეყნიერების გამშუქებელს, ხოლო ფუძის ანგელოზს, როგორც დედამიწის ბატონ-პატრონს. პირიმზე-ფუძის ანგელოზისთვის დღე და ღამე სულ ერთია, ის დარაჯია დედამიწისა ყოველთვის. „ჟამთ-უჟამოთ მოარულოო", ასე ამბობენ დეკანოზები. „დიდო პირიმზე-ფუძის ანგელოზო, ყმათ მოიმედეო, უყმო ყმათ დამხმარეო, ჟამთ უჟამოთ მოარულო! იდიდე და იძლიერე. შენ უშველე სანთელში სანთლის გამრევსა, ქადა-პურის გამრევსა [გამსერავსა], სამსახურის მამყვანსა და შემწირავსა. შენამც გაგემარჯვება, პირიმზე-ფუძის ანგელოზო. შენ ერთგულს მუხლი მოუყრია, პირჯვარი დაუწერია. ხელსამც მოუმართავ და შენამც იდიდები..."

მთხრ. მიხა წიკლაური (დიხჩოდან),
ჩამწ. ტრისტან მახაური, გომეწარი, 1993.
თსუფა 30231

## 324. პირიმზე-ფუძის ანგელოზი IV

ჩვენ ადრე ჴევსურეთში ვყოფილვართ. ფუძის ანგელოზი არავის არ გაუგონია. თურმე ძროხა დაჰკარგა იქ მცხოვრებელმა, საცა ეხლა ბრძანდება. ის ძროხა მივიდა და იმაში ჴბო შობა, საცა ეხლა ხატია. დადიან, ეძებენ და ვერ მოჴელეს. მემრე მიაგნეს, შახვდა პატრონი: ჴბოა მოგებული. დეეზიდა პატრონი ი ჴბოსა და ვერ ასწია. ეზიდება, ჴბო არი, იმის აღება რაღა საქმეა! ვერ ასწივა. გაანება თავი, მივიდა და შეეკითხა ხალხს, ძროხა მოვჴელეო, ჴბო მოუგიაო, ვერ წამოვიყვანეო. ჴბოს როგორ ვერ მეერიეო, დედა მტრისასაო! წავიდა და ვერც იმან აიყვანა. ვერც მე ავიყვანეო.

უფროსმა უთხრა, აბა, წავიდეთ და უთხრათო: „ემ ფუძის ანგელოზოო, მოგვეც ნებაო, რო წავიყვანოთ ე ჴბოო და გილოცავთო". მივიდენ, ისე უთხრეს და წაიყვანეს ჴბო. მაშინ უფროსმა უთხრა: „იმ ფუძის ანგელოზი ყოფილაო". იქ დაარსებულა. მემრე უჩენია თავი. მემრე გაძრიელდა და გამძლავრდა. ეგ ისეთი ხთისშვილია, რო საზღვარგარეთ დადის. ყმა იყოს, უყმო ყმა იყოს, რო აჴსენებს, უშველის... შაშინებული კაცი მოიფიქრებს, რომ მიშველისო: „გამიჭირდა და მიშველეო!" იმ წუთში იქ დაიბადება, ცეცხლის სახით ნახავს,

როგორც ადამიანი. ჩვენ (დეკანოზებს) კი ისე გვეჩვენება ჩერქეზულად ჩაცმული, ოქროსფერი ქუდი, ოქროსფერი ჩოხა-ახალუხი, მასრებიანი. მშვენიერი ისეთი, იტყვი, ამას უყუროო.

აბა, ეგ არი დევ-კერპების მებრძოლი. ბაკურწევში დევები მდგარან, საკერპოში. იმისი მლოცავი არ უშვია იმ დევებს, ფუძის ანგელოზისა. აქეთაზე დადენილან, რიდებიან. მემრე შაიყარა ხთისშვილები, ფუძის ანგელოზმა მაიწვია ხთისშვილები. დეეცნეს და განწყვიტეს ისენი და გზა მიეცა. თითონაც საცა ბრძანდება, იქ დევების ნასახლარებია. იაჯსარმა უთხრა, ამაში შენ დადექ, თორემ ისევ გათესლდებიანო. დაბინავდა ესეც. მაგას ვინ წაუვა, სად წაუვა!

უკანაჯოში, სადაც სამკვიდროა, სოფელი ჰქონიათ დევებს. ადამიანებივით ყოფილან, ოღონდ ფეხები უკანა ჰქონიათ, ცერი თითები არა ჰქონია. ამათგან არი მოგონილი ეგ მჭედლობა. საცა კი იდგომებოდნენ, ყველგან სამჭედლოს გააკეთებდნენ. მანდ, როგორც ჩვენ ვლოცულობთ, ისე იმ დევებს იქ სალოცავი ჰქონია. შაყრილან დევები იქა და ულოცნია.

თ. ოჩ. მით. გადმ. 168-169

## 325. პირიმზე-ფუძის ანგელოზის თასები

ახალციხიდან არი მობრძანებული პირიმზე. ახალციხიდან მობრძანებულა ეგა. მერე იქ ყოფილა, ჴევსურეთში, ეგაც და ფუძის ანგელოზიცა. როგორ იყო, რა ვიცი. ეხლა, მანდ წამოსულა ეგ და წამოუღია მაგათ, ის ქონია მაგათ, თასები რაღაც, იმისა, ფუძის ანგელოზისა, ცალ-ცალკე. და ის თასები წამოუღია, აქ მოუბრძანებია და იმ ფუძის ანგელოზის თასები დაკარგულა და პირიმზისი დამრჩალა მანდ. ეხლა, ჯერ ერთხელ წამაიღეს ეს თასები, დაიკარგა ისივ. იქ გამოჩნდა ის თასები, ფუძის ანგელოზში. აქ გადმოტანილი თასები, ხატიდან, იქ გამოჩნდა ისივ. მესამედ წამაიღეს, ისივ დაიკარგა და დაანებეს თავი.

ეს პირიმზე აქ (გუდამაყარში) დარჩა და ფუძის ანგელოზი იქით (ხევსურეთში). ეგ მძლავრია, ფუძის ანგელოზი.

მთხრ. ბერი წიკლაური, პირიმზე-ფუძის ანგელოზის დეკანოზი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტ.), მაქართა, 1982.
თსუფა 25540

## 326. ფუძის ანგელოზის თასების პარვა

თასები ორჯერ წაიღეს ფუძის ანგელოზიდან ხევსურებმა, ორჯერ მაიპარეს. არეულ-დარეულია, გაუბედურებულია. ხოლოთ ვერ შასულიყვნენ. იცი, რა ექნა იმას? ციცაი მეეყვანა და ამით გადანათლულიყო და შასულიყო მერე. სამჯერ მისულიყო და ვერ მისულიყო. ვერ მიდიოდა, ხატი უშლიდა.

მთხრ. ბერი ნიკლაური, დეკანოზი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მაქართა 1982.
თსუფა 25543

## 327. ფუძის ანგელოზი და ცხვრის ფარა

ზღვის პირას ამ საქართველოში ყოფილან მწყემსები. ჰოდა, ეხლა, ორნი ყოფილან მწყემსები და ის მწყემსები ერთმანეთს თურმე ეშველებიან სალამოთი. და იმას მეეჩვენა რაღაც ამხანაკი მეორე ამხანაკს და ამ ცხორს შაუძლევა ზღვაში. ზღვის პირზე მოდიან, შაუძლევა ეს ცხორი. და დაიძახა: „მიშველე, ფუცოო, მთაში რო იტყვიანკე, დიდო სალოცავოო!“ და გაელდა ზღვაო, დეეცა რამა ზღვასაო და ეს ცხორი სულ უკენ გამობერტყაო. გამოიდა უკენაო და მერე მისულა ეს ამხანაკი: კაცო, ესე იყო, ესე იყოო, და მორეკა ცხორი. მოსულა მერე ისენი და სამი ყოჩი გამოურჩევია და დაუყენებია მაგ ფუძის ანგელოზისათვინ. ეხლა, არც გზა იციან ამ ხალხმა, არც კვალი იციან და, რა ქნან ეხლა, სად წაასხან, საითკე უნდა წავიდენ.

მოხუცებული კაცი ყოფილა ერთი და იმითვინ უთქომ, რო ესეა, ესეა და როგორ მოვიქცეთო. იმას უთქომ, რო ეგენი გაუშვითო და უკენ გაჰყევითო და თავად გაიგებენ ეგენი, საცა უნდა წავიდენო. გამოურჩევია ეს ყოჩები, წამოსულა. უვლია, უვლია და მოჰყოლია პატრონები და ფშავისკე შაბრუნებულან და ასულან იქ, ფუძის ანგელოზში, და მისულან დღეობაში და დაუხოცია იქ.

მთხრ. ბერი ნიკლაური, დეკანოზი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მაქართა, 1982.
თსუფა 25542

## 328. მონადირე და ფუძის ანგელოზი

მონადირე იყო ერთი, ტყეში ირემი მოკლა და დაუღამდა. გამოქვაბული იპოვა, გამოქვაბული, რა. დაადგა ამ გამოქვაბულში უწმინდური რამე, ესეთი, დიდი — უნდა გაგაქროო. ყველა სალოცავი ხო ჩამოთვალა და არ ეშველა. ფუძის ანგელოზია აქა და იმან ვერ იცოდა სახელი და „ფუცო", ესე თქვა, ვერ იცოდა სახელი, და შაუთქვა საკლავი. გამოფრინდა ფუძის ანგელოზი და იქვე დაანავლა ის დევი. მერე წამოვიდა ეს კაცი გუდამაყარში — ჩემი ამბავი ესე, ესე იყოო და ეს ყველაფერი შავთქვიო და მავიყვანო ეხლა ამის კარზე უნდაო, ვამსახუროო.

მთხრ. ილია (ილუშა) ბექაური,
ჩამწ. ილია ხეიძე, შოთა მურცხვალაძე, ზანდუკი, 2005.
თსუფა 30084

## 329. დევი პირიმზე-ფუძის ანგელოზის ხატში

პირიმზე-ფუძისანგელოზობა იყო. დეკანოზი და დასტურები საჯარეში ისხდნენ, მლოცველი გარეთ ლოცულობდა და ქეიფობდა. ამ დროს საჯარეში დევი შესულა. დასტურები შეშინებულან და აქეთ-იქით კუთხეებში მიმოფანტულან. დეკანოზი არ დაბნეულა, ჰოდა, ამ დეკანოზს სამთელი სჭერია ხელში და ჯერ ერთხელ გადაისახა პირჯორი და შემდეგ მეორედ. დევს ეთქვა: ნუ მწყევლიო. ამდგარა ეს დევი და წამოსულა შეშინებული. ხატის კარებში რო გამოსულა, მეორედ დაუწერია დეკანოზს პირჯორი. უცბად გაიელვა, განათდა და დაიწვა ეს დევი. გარეთ მლოცველმა აბა რა იცოდა, რა მოხდა. ამ დროს ააძრახა და გააქადაგა ხატმა ერთი დედაკაცი. მთელი მლოცველი მისულა იმ ქალთან.

— „პირველად რო პირჯორი გამოისახეო, ჩემ ყმებს ვეძებდი გატაცებულებსაო. მეორედ რო გამოისახე პირჯორიო, ალაზანი გამოვაჩქაფუნეო. მესამედ რო გამოისახე, ხო გაიგეთ, რაც მოხდაო".

მთხრ. ვასო ზაქაიძე,
ჩამწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, ბეგოთკარი (ხადა), 1996.
თსუფა 29943ა

## 330. ბექაურ-წიკლაურების გაყრა

ბექაი და წიკვაი, მე ესე გამიგონია, ძმანი ყოფილან. ბექასა ის ძმა უჩაგრავ, წიკვაი. დღეს, ხვალ, იქითა, აქეთა, ჩაგრა ძმა, ტანჯა. გამოიდა მოთმინებიდან ეს კაცი და უთხრა: „ძაღლი უნდა გავკვეთოთ შუაზე ბექაურმა და წიკლაურმა, რო ქალი გვერგოს ერთიმეორეში და ჩამოვშორდეთ ერთიმეორესა“. ძმობიდან გაიყარნენ, ბექაი ბექაურად დარჩა, წიკვაი წიკლაურად დარჩა. ჰოდა, ეხლა წიკლაური უფრო ბევრია, ვიდრე ბექაური. არ ვი, რატომ არი ასე, მრავალი ხალხია წიკლაურები და ბექაურები ნაკლებადა ვართ.

მთხრ. ალექსი ბექაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დიდებანი, 1982.
თსუფა 25563

## 331. აფი და ჩახი

რა ვიცი, ეს აფციაურები, იტყვიანკე, საიდან მოვიდა, ქისტები ყოფილან. ჰო, ორი ძმანი ყოფილან, გადმოსულან აქა და მაგათა, აი, ესეთი ის იციან, ჩვენ ხო კვირას ვინახავთ და ეგენი პარასკევს ინახვენ კვირეის მაგივრად. გადმოსულან ი ორი ძმანი იქიდან. აქ როცა გადმოსულან, ეხლა, უნდა აი, ეხლა, როგორც ქარჩანია, ყმათ შეეწირონ აქაურ რჯულზე. მერენის, იმ ერთს ქვივნებია აფი, მეორესა ქვივნებია ჩახი, იმ ძმებს. აფციაურები, აფი რომელსაც ქვივნებია, იმაზე მოვდივართ. ჰოდა, ჩახი რომელსაც ქვივნებია, ჩოხი იმაზე მოდის. ეხლა, ამათ დაადგინეს, პარასკვევი არის იმათი უქმი, როგორც კვირეს ვერ ვიხმარებთ, აი, დღესინდელ დღეს ზოგი, თორო წინათ ვერ ვხმარობდით, ეხლა სუყველა ხმარობს.

უთქომ ამ ძმებს, რო როცაო ჩვენი შვილისშვილის შვილი გაჩნდებაო, ამ პარასკევსაო ეს უქმი დავკარგეთ ჩვენიო. ეს როგორ გადავაკეთოთო, ასე გადავაკეთოთო. მაიფიქრეს იმათო, რო პარასკევს აფციაური და ჩოხელი ვერ ნათლავს თეთრი ხარით. პარასკევსა ჩვენი შვილიშვილიო ერთმანეთშიო ქალ დაუწყებენ თხოვნასაო. ჩვენ, ეხლა, არ შაგვიძლია, რო ჩოხელმა აფციაური ქალი ითხოვოს, აფციაურმა ჩოხელი ქალი ითხოვოს (ეხლა კი თხოულობენ).

ჰოდა, მოვდივართ იმაზედა.

მთხრ. ივანე აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1981.
თსუფა 25616

## 332. მჭედელი და ბერები

წინავ იქ, მთაში, ბერები ყოფილან. აქ ყოფილა მჭედელი. იქიდანა ბერებს თურმე წყალი გამაუგზავნიათ აქა კალათაით. მჭედელმა გაახვიის თურმე ბამბაში გახურებული რკინა და წაუღის, მთაში ხართო და ხელები მაითბეთო. და თურმე ეგრე ჰაერზე მიდიან და მიდიან.

მერე ერთი ქალი ყოფილა აქ, ჩოხში. ამ ბერს ეთქო, რო ეს ქალი უნდა შავრთოთო იმ მჭედელსა. უთქომ მჭედლისთვინა და დაჲყაბულებია. იმ ქალს არ იცნობს ეს მჭედელი. ქალას ჩამოსულა აქ. წინავ ყაზარმები ყოფილა მეიდანზე, გაღმა. ამ წყლის პირა იმ ქალისთვინ უთქომ: არიქაო, დაძმობასაო, ჯოხი გადმამიგდეო, გამოვფრინდეო. არ იცის, რო დანიშნულია. რა იცის, ერთმანეთს არ იცნობენ და გადმოუგდო ი ქალმაც.

ბერმა წყალი გაუგზავნა კალათაით და, როცა ავიდა სახლში, მჭედელმა რკინა გაუგზავნა, დაწვა ბამბა და ვერც ჰაერზე გაიარა. აბა, ეხლა ცოლადა ჰყავდა, დაძმობა რათა თქო, ღმერთმა აღარ მაუმართა ხელი და დაწვა ბამბა. ჯავრობს კაცი. ჰაერზე დადიოდა, ახლა რა ქნას. ჯავრობს, რაღა ვქნა და რაღა ვქნა, იძახის. ი ცოლი მაიყვანა, იმასთან შვილები ჰყავ. რატო დავღუპე თავიო. კარგიო, ცოლს უთხრა, შენ კარგად ჩაიცვიო, გამოეწყვეო და იმას დავპატიჟებო, ბერსაო. ეს ქალი მაიქცა, როგორც წინანდელი ამბავი იქნებოდა, გაიპუდრ-გამაიპუდრა. ჩაფიქრდა ეს ბერი: რა მომივიდა, მე ვერ ვითხოვეო? გულში იფიქრა. ადგა, გეემზადა, მაგრამ სადღა წავა, ვეღარ გაიარა ჰაერზე. ეე, ჯერ მე დაგღუპეო და ახლა შენ დამღუპეო!

ეგრე ყოფილა იმათი ამბავი. წინანდელები თვლიან .

მთხრ. ბურთა აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო, 1982.
თსუფა 25546

## 333. ჩოხის წმ. გიორგი I

ბერასა ძახებულან, ჩოხელი, და თურმე ნადირობს. წასულა ცირასებში, მთაზედა და, ეხლა, ნადირობს. და ერთ პატარა კლდეში ჯვარი ნახა. გაანება ნადირობას თავი და ეს ჯვარი ამაიღო, აიღო და გუდაში ჩადვა და წამოვიდა. დეედეევნა დევიო, დეედეევნა უკენაო და მოხყვა, მოჰყვაო და, ვერ დეენივა. და საცა ეხლა ჩოხის ხატი არ

არის, იმ ადგილზედა მიიტანა და ეს ჯვარი იქ დადვა. და ი დევიც მიხყვა და იქამდე ვერ მივიდა, საცა ის ჯვარი. ერთი დიდი ქვა არი, მე ჩემი თვალითა მაქვ ნანახი და, აი, ესე ჴელი აქვ დარტყმულიო, დარტყმული და ის ნათითვრები. ციკანს ჲკვლენ იმ ადგილზე. აი, ეს გამიგონია.

ეს (დევი) მონაწილეა, იმისი მონა არი. ის ჩოხის ხატი ვისაც ეტყვის, რო დაჲმიზეზავს, გაიგე, და იმას (დევს) მოუსევს, დაჲმიზეზავს, ავად გახდის და მემრე საკლავითა და ბატკნითა და ციკნით უნდა მივიდეს იმასთან, რო დაამწყალობნონ და უშველოს. ეს დევი იასაულია ჩოხის ხატის.

მთხრ. სიმონ ბექაური,<br>ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), გამსი, 1982.<br>თსუფა 25560

## 334. ჩოხის წმ. გიორგი II

...ისე კი არ ვიცი მე მაგისი შინაარსი და ისა ყოფილა ეგ დევი. წამოუყვანია ცირასებიდან (ჩოხის გიორგი ცირასებიდან არი გადმობძანებული). ჰოდა, გამოჰკიდებია დევი, რო ეს უნდა წაართოს, ვინც წამაილო, ეს ხატი. უნდა წაართოს და გამაუდგა და ვერ ეწევა. მააბძანეს ეს ხატი და, ხე იყო, იმ ხეში აიტანეს. და დევი იქ ვერ ახდებოდა, ხეზე, რომ ის ჩამეელო, ის ხატი. და უთხრეს, რო აგე, იქ არი ხატიო, ჩამაიტანეო, თუ გინდაო. და დევი ვერ ავიდა იქა, იმ ხეზე. ვერ ავიდა და დარჩა ეს ხატი იქ. მემრე იმ ხატმა აღარ გამოუშვა ის დევი, ველარსაით ველარ გაუშვა. აქათ რო გადმოხდა იმ ქედის აქათა, ისი დევისა დარჩა, ადგილი. იმ დევს უნდოდა დეეჭირა ადგილი სულა და ის, რაზედაც ხატი დადგინდა, ის ადგილი დარჩა იმ ჩოხლებს. ჰოდა, იქ, ეგ ვიცი მაგისი და, იქ კიდა, იქ დაუარსეს ეს, ხატი გააკეთეს იქა, ზარებიც გააკეთეს და ყველაფერი. და ის დევი ველარ წამოვიდა აქათა. დაიჭირა ის და დაუდვა იმაზე გრანიცა. და იქ არი ერთი ქვა აი, ესეა დაკრული ჴელი და, როგორც აი, ცომი არ დაზელო, ეგრეა დაზელილი! გრანიცაზეა დადებული სოფლის იქით. ეგ ვიცი მაგისა, სხვა არაფერი.

მთხრ. ბერი წიკლაური,<br>ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მაქართა, 1982.<br>თსუფა 25549

## 335. ჩოხის წმ. გიორგი III

მონადირე წასულა სანადიროდ ჩოხიდან. დაუნახავს ირემი. მოსხლიტა ბოძალი, არ გავარდა, ირემს კი რქებზე სანთლები ანთებია. დაბრუნდა მონადირე სახლში და მამას უამბო ეს ამბავი. მამამ უთხრა, უნდა ინმიდოო. ორი კვირა ინმიდა მონადირემ, მაგრამ ბოძალი ველარ დაძრა ადგილიდან, დატოვა სახლში, ველარ წაიღო.

წავიდა და ის ირემი ისევ იქ დახვდა, რქებზე ისევ სანთლები დაენთო და გაუძღვა მონადირეს მთის წვერისაკენ. ცირასებზე რომ ავიდნენ, ირემი გაუჩინარდა, მაგრამ მოფრინდა მტრედი და მხარზე დააჯდა მონადირეს. ამ დროს გალმიდან ყვირილით გამორბის დევი: სად მიგყავს, ჩემიაო! მონადირემ მტრედი გუდაში ჩაისვა და გაიქცა. მირბის და მისდევს დევი. ხეთანასთან დევი წამოეწია, მაგრამ ხე წამოიქცა და დევი დააბრკოლა, აღარ გადმოუშვა. ჩოხში რომ მოვიდა, მონადირემ გუდიდან ამოსვა მტრედი. მტრედი გაფრინდა და ჩობალაურთთავზე იფნის ხეზე დაჯდა, აქედან ხოზას გაფრინდა. ხოზადან ისევ ჩოხში დაბრუნდა იმ ადგილას, საიდანაც გუდიდან ამოსვა მონადირემ. ყველგან, სადაც კი მტრედი დაჯდა, ნიშია და დღესასწაულობენ. ასე დამკვიდრდა წმიდა გიორგი ჩოხში. დევისთვის კი ადგილი მიუცია: ჩემი იასაული იყავიო. როცა ჩემ ყმათ გაუჭირდება, მიეშველეო და ჩემი ყმები ციკან-ბატკანს დაგიკლავენო. დევის ადგილზე ქვა არის ერთი, ზედ დევის უცერო ხელი და შებრუნებული ფეხი ატყვია. აქ კლავენ ციკან-ბატკანს.

ხატის გამძღო ხელს გადაიბანდა ღვინით, სამკადრეოს გადაიფენდა და ზედ მტრედი დააჯდებოდა ხოლმე. ბოლოს, მჭედელს კოჭობი გაუკეთებია, შიგ მტრედი ჩაუსვამს და მიწაში ჩაუმარხავს, ვითომ არ გაგვიფრინდესო.

ერთ მჭედელს გაუკეთებია კოჭობი, მტრედი ჩაუსვამს და მიწაში ჩაუმარხავს. სოფელს მჭედელი გადაუსახლებია, ხატი არ ხდენილობს კაკუნსო. სოფლის ბოლოში ჩამოვიდა, ნასამჭედლოვარია. ნახშირი ამოდიოდა, როცა ვხნავდით. ჩოხელები მესამე ყმანი ვართ წმიდა გიორგისი. ჩოხის წმიდა გიორგის ადრე სხვა ყმები ჰყოლია. „მაშინ ვიყავ წმიდა გიორგიო, როსაც ჩემ მეიდანზე სამოცი ფეხმირგოლი (ცხენი) იკვლებოდაო". ეს მეიდანი ცირასებზე ყოფილა.

მთხრ. გოდერძი ჩოხელი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე, ჩოხი, 1981.
თსუფა 25538

## 336. წვერის ანგელოზი და მირიანეული I

ამ წვერის ანგელოზის სამკვიდრო აქა ყოფილა, სოფლის [გამსის] თავზე. ერთი კაცი მირიანეული გამდიდრებულა ძალიან. ეს ხატი არ იხდენს თურმე ღორების ყოლას. მივიდნენ ეს ღორები ხატში, სთხრიან, გადმოთხარეს იქაურობა. ის ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა, ერთ დღეს ორი ქორწილი უნდა ჰქონდეს. ამაიტანა კახეთიდან ღვინოები, მააქვს და გზაში დეეცა დიდი ქარიშხალი, გააფუჭა ყველაფერი. „მაცალე, მე მირიანეული ვარო, კიდევ ვიყიდიო". წავიდა და კიდევ მაიტანა. გზაში აღარა ხიფათი არ მოსვლია. გაამზადა ეს მაყრები. წავიდნენ. ორი ქალი უნდა მაიყვანონ ოჯახში და ქორწილი გადაიხადონ. როცა მოდიან მაყრები და მოჰყავთ ქალები, ისეთი წარღვნა მოვიდა, წამოვიდა მიწა, მოიმზღვლა, მოხვდა და მთელი მაყრიონი წაიღო ნიაღვარმა, ხალხიც, პატარძლებიცა. ის ხატი იმაზე გაჯავრდა, ღორებმა რომ ამოთხარეს.

აფრინდა ეს ხატი, ზევით ვლოცულობთ, საგულებელს ეძახიან, იქ დაარსდა. ამ მირიანეულმა გაიგო და იქაც არეკა ეს ღორები. იქიდანაც აფრინდა და სუ წვერზე ავიდა, ჭალისთავის წვერს. ყამირია, იქეთაც და აქითაც არავინ გასთიბს. არ ახსონთ მამა-პაპას, ვერავინ ვერ გასთიბს. იქ ქვებია გათლილი, ნასაყდრალია. იქ ღორები ვერ ავიდოდა. იმაზე გაჯავრდა და იმიტომ დაღუპა.

როცა ესენი დაუღუპავ, მემრე გამეეცხადა, თუ როგორ იქნებოდა, და უთხრა მირიანეულს: „გაგერიდე, ზევით წაველი და შამამყევ, მირიანეულო. მიგაყენებ და მოგაყენებ, ქალის ქალზე დაგაყენებო!"

სუ გაწყვეტილა ის ხალხი. მართლაც ქალის ქალი დამრჩალა, სხვა ნათესავები სუ გაწყვეტილან.

თ. ოჩ.195

## 337. წვერის ანგელოზი და მირიანეული II

მირიანეული ყოფილა ერთი და ღორები ჰყოლია მრავალი. ეს ღორები, საცა ე ხატი ბძანდებოდა, წვერის ანგელოზი, იქ უვლევია. უვლევია იქ ეს ღორები და ეს ხატი გაფრენილა მემრე და იქით გადასულა, გაძრიდებია. იქაც მიურეკავ, იქიდან აფრენილა და, კოშკისმაღალს ვეძახით, იქ არი ყორე, იქ დაბძანებულა. იქაც აურეკავ ღორები. მემრე ათნოხს გასულა იქიდან (ათნოხს იციან ახლა ეს

წვერობა). მერე გამოსულა მოთმინებიდან ეს ხატი და სულ გაუთავებია მირიანეული თავის ოჯახიანათა.

შავხე და შავხე, შაგეცალეო,
შამამყევ, მირიანეულოო,
ხო მიგაყენე და მიგაყენე
და ქალი-ქალზედა დაგაყენეო!

ეგრე დალოცა, დასწყევლა ეს კაცი. მე ეგრე გამიგონია და მომსწრე არავინ არის. მამაჩემი ასი წლისა მოკვდა, მაგრამ იმასაც გაუგონია და, როდის იქნებოდა, არავინ იცის. ნაკოჭვარია ხატისი, ჩვენ იქა ვლოცულობთ ისივა. ჩვენ ათნოხს არ მივდივართ, თუ ნათქომობა არა გვაქვ. თუ არა და, შენი ნებაა, გინდა იქ წახვალ, გინდა აქ იქნები.

მთხრ. ალექსი ბექაური, დიდებანი
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), 1982.
თსუფა 25562

## 338. ფშარაულა

აქ ფშარაულა არი. ფშარაულა ადრე იყო, ბაზალეთის ტბა ხო იცი, იქ. ჰო, იქ იყო ერთი ხვნა-მთესავი კაცი, ადრე ხო ხარებითა ჲხნავდნენ, ჰოდა, ერთი დროა — ექვივნა გულადაჲ იმას, იმ გუთნიდედას, გულადაჲ ერქვა — ერთი დროა და ხარი დაუვარდა იმას, აღარ გაჲსწივა ეგა. ხოდა, გაიხედა და ხარი მოდის ერთი ისეთი, რო იმის ხარებზე უკეთესი. თქო ამ კაცმა, დღეს რატო უნდა გავცდე, ამ ხარს ჩავაბამ და მოვხნავ. შააბა მართლა ეს ხარი და ეს ხარი იყო დევი, ხარი კი არ იყო, ეს იყო დევი, დევი ხო იცით, რაც არი. ეს ხარი რო შააბა, ცოტა ხან გაიარ-გამაიარა და მერე გადაიწივა ამ ახალმა ხარმა, დევმა, ტბაში უნდა შეიტანოს ეს მთელი ხარ-გუთანი კაცით, ყველაფრით. ხოდა, ეს გულადა ისეთი მაგარი იყო, რო, ის გუთანი რო დაიჭირა, ვერ მეერივა, ვერ შეიტანა იქ. რო ვერ მეერივა და ვერ დაძრა, მერე გამოუცხადა, გამოტყდა, რო ეს დევი იყო. უთხრა, ვიჭიდავოთო. ვიჭიდავოთო, გულადამაც უთხრა.

მერე დაიჭიდნენ და ამ გულადამ წამააქცივა, გულადამ წამააქცივა ეს დევი. ამას ხო შერცხვა, რა. მერე უთხრა, რო, რამდენიც გინდა, იმდენ ოქრო-ვერცხლს მოქცემო, იმდენ ფულს მოქცემო, ოღონდ არა ჲთქვა, რო წამამაქცივე. ხოდა, მერე შეჰპირდა, მაიღო ოქრო, ვერცხლი, ფული, რაცაა, დევისგან და შეჰპირდა, რო არ ვიტყვი არსად, რო წამააქცივა. თუ ეს თქვიო, ესეთი პირობა დადეს,

თუ ჲთქვი, ყოველ დღეობაში ერთი კაცი, ერთი ქალი ჩემია, დევმა უთხრა. კარგი ეგრე იყოს, შეჲთანხმდნენ ესე და ამან, ამ გუთნიდ-ედამ არა თქვა არაფერი, მაგრამ ცოლს ხო მიუტანა ეს სიმდიდრე, ოქრო, ვერცხლი, რაღაცეები. ჰო, ამ ქალმა — ქალს, ხო იცით, ცოტა მსუბუქი ჭკუა აქვს — ამ ქალმა ვერ მოითმინა, გაიგე? ვერ მოითმინა და ადგა, მეზობელს უთხრა... თუ იცით, ნუ მათვლეინებთ... იმ მეზო-ბელს უთხრა, იმას უთხრა, იმას უთხრა და გაიგო ხალხმა.

ფიცი გატეხა ამ გუთნიდედამ იმიტომ, რო... ხო გატეხა ფიცი? მერე პირობა პირობა იყო. ყოველ დღეობაში — მარიანობა დღეს იცოდნენ ხატობა — ყოველ დღეობაში — ბაზალეთის ტბაზე იყო ადრე ფშარაველი. აი, ფშარაველი ახლა აგერ არი მაღლა დაბძანებ-ული (ხელს იშვერს მთისკენ). ადრე იყო ბაზალეთში. აი, მაგის ის-ტორია გითხარ, ფშარაველის ისტორია — ხოდა, ყოველ დღეობაში ერთი ქალი, ერთი კაცი, რომელიც მეეწონებოდა დევსა, მიუდიოდა, ჲკლავდა, ჲჭამდა.

ადრე ხო იყო ეგეთი მომენტი, კერპთაყვანისმცემლობა იყო. ეხლა რო სალოცავებს ვლოცულობთ, ადრე იმ დევს ლოცულობდ-ნენ, კერპები იყვნენ, დევ-კერპნი.

მერე ერთხელ, ორჯერ, ერთი წელი, ორი წელი, სამი წელი და ახლა ხალხმა გაიგეს, რო ამ გულადამ პირობა დაარღვივა და ქალი და კაცი იმიტო მიუდის. გახდა იძულებული ეს გულადა და თქო, რო ამ ფშარაველს წავაბძანებ და სადმე უნდა დავმალო ისეთგან, რო დევმა ველარ გაიგოს. მაიფიქრა და წააბძანა ეხლა ეს ფშარაველი იქიდანა და, აი, ფშავისა და გუდამაყრის საზღვარია ეს მთა, იქ დააბ-ძანა. ხოდა, რა იქნა ეხლა, ეს დღეობა აღარ არი იქა. მერე დევმა გაი-გო ისევ, რა თქმა უნდა, საცა წააბძანა და საცა არი დღეობა და მი-აკითხა იქაც. იქაც მიუდის უკვე თავისი ნორმა, თავისი გეგმა, რაცა აქ. პირობა რაც ქონდა, იქაც არჩევს ქალს და ბიჭსა. იქ წყალი არი კლდეებშია ერთი, იმას ეძახიან დევის წყალს, იქ ჩაუდიოდა ეს ქალი და ბიჭი. მერე, თუ გაგიგონიათ კოპალე და იახსარი, სალოცავი მთა ფშავში. კოპალე იყო ფშაველი.

ხატობა როა, დააბძანეს ის ხატი, ფშავმაც გაიგო, ყველამ, და ყველა მოდიოდა სალოცავად. ამოვიდა იქიდან ხალხი, გაიგეს, რო ის დევი იქ არი, ისევ მიუდის ქალი და ბიჭი. ამოვიდნენ და რო ჩავ-იდნენ, კოპალეს შეატყობინეს, რო ესეთი ამბავია იქ. ეს ხო ახალი ხატობა დაიწყო. ა ესეთი ამბავია, დევი მოდის და მიუდის ქალი და ბიჭი, რომელიც მეეწონება, სად მიუდის, შეჲსჭამს თუ რასაც უქნა, რა ვიცი.

ეს კოპალა და იახსარი ძმები იყვნენ. ხოდა, ამათ, ამათ რო შე-იტყვეს — ესენი დევ-კერპებს ებრძოდნენ — წამოვიდა ერთ დროს

ეს კოპალე და ამოვიდა ხატში. უყურებს ახლა, როდის მოვა დევი. მოიდა, მოიდა, აარჩივა კარგი ქალი და ბიჭი, რომელიც მეეწონა. ეს კოპალე ზდაროვი იყო. ხოდა, რო აარჩივა ქალი და ბიჭი იმ დევმა, უნდა წაიყვანოს, საცა კი უცს. ამ კოპალემ უთხრა, რო ეს ბიჭი დატოვეო, მე წამიყვანეო, მე უფრო დიდი არა ვარო? უცქირა, დაჲხედა იმას და თქო, რო ეს ჯობია. წამოდიო. დევის წყალზე რო გადარეკა, კოპალეს დევმა უთხრა, რო ჩამიძელ წინაო. არაო, მე რა ვიციო, შენ ჩამიძელ წინაო, მე რა ვიცი, სად წავიდეო, — ამ კოპალემ უთხრა. ის დევი რო ჩაუძლევა, მამყეო. იმან დაჲკრა მაშინ ლახტი. ლახტს ეძახოდნენ, აი ესეთი იყო... ესე იგი რო ტყვიაზე მეტი იყო, ხმალზედაც მეტი იყო და ყველაფერზედაც ის ლახტი. ეს ლახტი რო დაჲკრა და გააგლიჯა თავი ამ დევს, აქეთკენ გამოგორდა, საცა ხალხი ისხდა, მლოცავი საცა იყო. ხოდა, რო წავიდნენ, კოპალემ უთხრა: აქ ესე-ესე მოხდებაო ეხლაო და ხმა არავინ ამაიღოთო. ეს თავი გამოგორდა და, ვაიმე, გავსქდი, ვაიმე, გავსქდი, — ეს თავი იძახის. ერთ-ერთი მოხუცი — მოხუცი, ხო იცი, ცოტა ბავშური ჭკუა აქ, იმან ხო გააფრთხილა, არაფერი არა ჲთქვათ, რაც გინდა რა იყოს — ადრევე გასახეთქი იყავ და ძლივსა გაჲსქდიო. ბებერმა რო დაიძახა, მოხუცმა ქალმა, რო ადერევე გასახეთქი იყავო და ძლივს გაჲსქდიო. ეს რო თქო, დაიძახა და მოიდა ქვის სეტყო, ქვისა მოიდა ისეთი მსხვილი, რო ეს ხალხი, ეს მლოცავი სუ მთელ გაჲწყვიტა. აბა, როგორ გადარჩებოდა. აი, დღეს რო მიხვიდე იმ ფშარაველში, ის სასაფლაოები, როგორც ისხდა ხალხი და როგორც არი, ისეა დასაფლავებული. ანდე ეგ არი ფშარაველის ისტორია.

მთხრ. შიო აფციაური,
ჩამწ. შოთა მურცხვალაძე, ილია ხეიძე (მაგნიტოფირი), ლუთხუბი, 2005.
თსუფა 30071

## 339. დეკანოზად დადგომა

ავად ვიყავი, სამი წელი. არც წამალი მამიდგა, არაფერი, და მითხრეს, რო უნდა იყო დეკანოზადაო. მეტი გზა არა მქონდა რა. მე კი არ მინდოდა, მაგრამ რას ვიზამდი. ჩავარდი ლოგინად, ჩავარდნილი ვიყავი და არც წამალი მამიდგა, არაფერ არ მამიდგა. გიორგი რო იყო, დეკანოზი, ნახულობდა სიზმარს: „სამჯერა შენ გადმოგაბარეო დროშაო. სიზმარი ვნახეო, სიზმარი, რო სამჯერა შენ გადმოგაბარეო".

მე სიზმარი ესე ვნახე, რო ხატში მივდიოდი და ხალხი მხვდებოდა გზაზე და ვერ მიჭერდენ გზაზე, მაინც მივდიოდი, მაინც ჩოულებრივ.

მერე მე ცეცხლი გამიჩნდა ფეხებში. ფეხებში რო გამიჩნდა ცეცხლი, ალი წამოვიდა და გადმაიარა და ველარ გავიგე მემრე, რა ვქენ, როგორა ვქენ. მემრე გონი მომივიდა. მემრე წავედი, მეტი გზა არა მქონდა.

მთხრ. ბერი ნიკლაური, დეკანოზი,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მაქართა, 1982.
თსუფა 25545

## 340. გაქადაგებული ბავშვი

ერთხელ ფუცანგელოზში ხატმა გააქადაგა ერთი ათი წლის ბავშვი. როგორც ნაცემი, ეგრე მიმკვდარდება, ვისაც გააქადაგებს. ეს ბალღი ავიდის ორ მეტრზე, როგორც ფრთებით, და ისივ ჩამოვიდის. ვინც უცქერდით იმას და იმის დედ-მამათ, ყველა ვტიროდით. ბალღი ლაპარაკობდა, ხატი ლაპარაკობდა ბავშვის ენით.

დიხჩოელი გიორგი ნიკლაურის შვილიც გააქადაგა. ის უკვე კაცი იყო. ცერად რო არ წავიდა, წაიყვანა, წაიყვანა და სადღაც შორს დააბძანა.

მთხრ. მარო ნიკლაური,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, მაქართა, 1985.
თსუფა 26823

## 341. „ქვა წულად ნაქცევი"

ღუდობას ჴორცი დაურიგიანკე ეგე პეშვითა. ნაწილს ვერავის დააკლებენ. ერთი მარტოკაი ქალი ყოფილა, გასათხოვარი. სალოცავად ყოფილა. იმას თუ უნდოდა, მეტი ნაწილი მიეღო. აუღია ქვა, გაუხვევია და კალთაში ჩაუდვია, ვითომ ბალღია. აუღიათ დასტურებს და ნაწილი არ დაუკლიათ. ორი ნაწილი რო მიიღო, ბალღმა შასჩხავლა: „ქვა წულად ნაქცევიო!"

მემრე რა, გაიზრდებოდა ის ბალღი და ყმა იქნებოდა.

„გაუმარჯოს დიდ ღუდა ყველანწმიდას, ქვა წულად ქცეულსაო!" მთიულები და ოსები ლოცულობენ.

ლომისობა და ღუდობა ერთად მოდის.

მთხრ. ალექსი ნიკლაური,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, ზანდუკი, 1985.
თსუფა 26788

## 342. აღების ღამის სასწაული

მამა იტყოდა, ეს ყველიერი რომ წავიდა და მოვიდა დიდი მარხვაო, აღების ღამეაო. ამ აღების ღამესა, კვირა ღამეს, დაჯდა სამი კაცი კერაზედ და კვერცხები ნაცარში დააწყვეს, სამი ცალი, და ლაპარაკობენ, საუბრობენ. ამ კაცებს, წესი იყო, ამ კვერცხით უნდა დაემარხულათ. გინდ ხორცი ჰქონიყო, გინდ ერბო ჰქონიყო, იმით არ დაიმარხულებდნენ, საბოლოოდ კვერცხით დაიმარხულებდნენ. ჰოდა, უნდა შეჭამონ ეს კვერცხი და დაიძინონ. შვიდმა კვირამ ისე განვლო, რო დილა რო გათენდა, „ქრისტე აღდგაო", დაიძახეს. და ამ სამმა კაცმა, ისეთი ნაწილიანი ხალხი იყო, რო ისე გაატარეს ეს ღამე, რო შვიდმა კვირამ განვლო და ვერ გაიგეს, როგორ გავიდა ეს დრო. ეს კვერცხები ისევ ცეცხლშია და „ქრისტე აღდგაო" უთხრეს. და მიიხედ-მოიხედეს, ეს რა მოხდაო.

აი, ისეთი ხალხი იყო თურმე, ღმერთთან ნაწილიანი ხალხი.

მთხრ. კატუშა აფციაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), დუმაცხო 1982.
თსუფა 25548

## 343. მაჩაგნის ჯვარი

„მაშინდელი ვარ მაჩაგნის ჯორიო, მაშინდელიო, როცა ჩემს სამსახურში სამოცი ცალთოლიანი მოდიოდაო". ეხლა ორთოლიანი რამტვენი-ღა იქნებოდა, რა ვიცი, აბა!

მაღლა სერზე კოშკია, მაჩაგნის ჯორს ვეძახით. ვისაც მიზეზი გამაუვიდოდა, უნდა მსახურებულიყო.

მთხრ. პოვლე ნიკლაური,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, მაქართა, 1985.
თსუფა 26793

## 344. მაჩაგნის ჯვარი და ფშარაველი

მაჩაგნის ჯორი და ფშარაველი ყოფილა პირველა სალოცავე-ბი. არც ფუცანგელოზი იყო, არც სხონი ღთიშვილნი. უთქომს ფშარ-აველსა, სალოცავია, კაცი კი არ არი, რო:

მაშინდელი ვარ ფშარაველიო,
ბარიდანაო ულამი მამდიოდაო.
სხვა ღთიშვილნი არცა იყვნენო,
მაჩაგნის ჯორი ნავარდობდაო.

მანდაც ირმები იკლოდა, სხო საქონელიცა: ჴარი, საკლავი.

მთხრ. პოვლე ნიკლაური,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, მაქართა, 1985.
თსუფა 26796

## 345. ლუთხუბელი

ერთ ლუთხუბელ ახალგაზრდას ცოლად მოუვიდა ქაჯის ქალი, ჯერ აქ იცხოვრეს და მერე წაიყვანა ქაჯავეთში ცოლმა. ქაჯავეთში სამს წელს იცხოვრეს და ახალგაზრდამ ბევრი რამ ისწავლა ქაჯები-საგან. ქაჯები იყვნენ მჭედლები და, როცა საქმე არაფერი ჰქონდა, ახალგაზრდა მათთან დადიოდა საფეხვნავად. მერე ცოლმა უთხრა: „იქ რაც რკინის ნამცეცები ყრია, მოკრიფე და ხმალი გააკეთებიე, დრო იქნება, რომ გამოგადგებაო". ქმარმა გაუგონა, შეაგროვა რკი-ნის ნამცეცები და ხმალი გააკეთებივა. სამი წლის შემდეგ ქაჯავეთი-დან ისევ ლუთხუბში დაბრუნდნენ და ხმალიც თან წამოიღო. იმათ აქ არყოფნის დროს ლუთხუბს შემოსჩვევიყო დევი, წელში ერთხელ მოვიდოდა და სოფელს უნდა მიეცა შესაჭმელად ერთი ქალი და ერთი ვაჟი. თუ ამას არ შეასრულებდნენ, დევების ჯარით სოფლის განადგურებას ემუქრებოდა.

დევის მოსვლის დღე რომ მოვიდა, ამ ვაჟმა უთხრა სოფელს: „მე შევემბი იმ დევს და, თუ რამე დაინახოთ, ხმა არ ამოიღოთო". წავიდა ვაჟი და სოფლის ბოლოში დანიშნულ ადგილას ელოდებოდა დევის მოსვლას. მოვიდა დევიც, მისმა ორთქლმა სოფელი დაფარა. ვაჟი თუმცა შეკრთა, მაგრამ ქაჯეთით მოტანილი ხმლის იმედი ჰქონდა და შეებრძოლა დევს. დევს უნდოდა ეს კაცი ხელში ჩაეგდო, მაგრამ წამოკრა ქაჯების გაჭედილი ხმალი და თავი გააგდებინა. გაგორდა თავი და იძახდა: „ვაიმე, მიშველეთ გავსქდი, გავსქდიო". ამ დროს

ერთი ბებერი გარეთ გამოვიდა, დაინახა დევის თავი და მისი ძახილიც გაიგონა და დაუძახა: „ადრე გასახეთქი გვიან გასქდიო". ამის ძახებაზე ლუთხუბი სამს წელს ზედიზედ დაისეტყვა. ვაჟმა იმიტომ გააფრთხილა ხალხი, რომ ხმა არ ამოიღოთო, მაგრამ ბებერმა გაფრთხილება ვერ შეასრულა და დასეტყვა ლუთხუბი.

[პასპორტი დაკარგულია]

## 346. ირმების განწყვეტა

აქ ზეით სოფელში ადგილის დედასთან მიდიოდა ირემი. ადრევე, ვიდრე ხალხი გამრევლდებოდა, ფშა არი, ირმები ყოფილან მოჩვეული. პირქუში ყოფილა, ფშაველი, დაუჴოცია ირმები, აქაო სახლი უნდა გავაკეთოო. კაკლის ხეები იდგა იქა. ნადირი იყო მოჩვეული და ჴოცდა.

ეგენი პირქუშანი ყოფილან. ერთი კაცი გაჩნდებოდა მაგათი, გაიზრდებოდა, მამა მოკვდებოდა. ერთზე მოდიოდნენ.

პირმზეში დადენილან, ექვსი ძმანი ყოფილან. იქა ხალხი მიდის, ლუდებია ნადუღარი, სასმელია. ეს ექვსი ძმანი მანამ არ მოვლენ, ვერ გახსნიან ამ სასმელს. კოდები იმათ უნდა დააკურთხონ. მოძალენი ყოფილან:

ეხლა მოიდენო პირქუშანიო,
სათითოანიო, დაშნაჭრელნიო.

მემრე დაიწყებოდა ხატობა. მინამდი ვერა. პირქუშათ დაასაბუთეს ის ხატობა. აქაც აუარებელი მიწები ეჭირათ. ფშავიდან გადმოსულები არიან.

მთხრ. პოვლე ნიკლაური,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, მაქართა, 1985.
თსუფა 26794

## 347. ჯვრის მპარავი

ბაჩიკელას შამაუვლია ღამით. ბექაური იყო ის კაცი, ღამე მოდენილა. მანდ ჯვარი მოუხელავ თორღაანთ, ჯალაბაურს, ვერცხლის ჯვარი, და სახლში მიიტანა. ჰოდა, იქიდან დაუძახნია, მე ვერა ვხედავდიო:

„ბაჩიკელაო, ჯალაბაურს უთხარ, რომა ი ჯვარი რო წაიღო, გამაიტანოსო, თორომ არ შევარჩენთო, ჩვენიაო". რამ დამიძახა, ვერ ვხედავდიო, უხილავად ეგრე...

ჯვარი იმ ადგილზე უპოვნია, სადაც ქვისპინებს ვეძახით.

მთხრ. გოგა ნიკლაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ლუთხუმი, 1982.
თსუფა 25577

## 348. ფშარაო

ეხლა ჩვენ რო ვლაპარაკობთ ფშარაოზედა, მაგას აქვ ისეთი ისტორია: მაგ ფშარაოსა ჰპატრონობდა დევი. იქ როცა ავიდოდენ მლოცავი, შიგ ამაარჩევდა დევი ლამაზ ქალსა და ლამაზ ბიჭსა და წაიყვანდა ისე, ლეგენდაა ეგეთი,.რა. წაიყვანდა იმ გოგო-ბიჭსა და დაჲჭამდა ალბათ, მარიანობა დღესა ხდებოდა ეგ ამბავი. მერე მოხდა ისრე, რომა ყველაზე ლამაზი და უკეთესები ამ ხალხში და-ძმა აღმოჩნდნენ. ამ ბიჭმა უთხრა... კარგი, ეხლა მოვიდა ეს დევი და ესენი უნდა წაიყვანოს, ეს და-ძმანი. წავიდნენ ეხლა, გაჲყვნენ ეს და-ძმანი. გადასასვლელია იქა ფშავის მხარეზედა და დევისწყალას ეძახიან, კლდეში გამოდის წყალი, იქ ისე უნდა გაევლო იმ კლდეზედა, ამათ გადაჲყრიდა და ჩავიდოდა და დაჲჭამდა. ამან მერე ამ ბიჭმა უთხრა, რომა ეხლა მე რა ვიციო, როგორ წავიდეო და შენ გამიძეღ წინაო, ამ დაჲ უთხრა, რო შენ უკვენ მამყეჲო. გაიმძღვარა ეს დევი წინა, როცა კარგა გადეემართნენ ამ კლდეშია და სანამ იმ წყაროსთან მივლენ, მოუსვა ხმალი ამ ბიჭმა, შეფარებული ჰქონდა ისე, რო იმან არ იცოდა, გაუსო ხმალი და გააგდებინა თავი და დაგორდა ეს თავი.

წინ-წინვე ჰქონდა ამ ბიჭს გამოცხადებული, რო რაღაცა მოჲხდეს, არავინ ჴმა არ ამაიღოთ ხალხმაო. მაგრამ ერთმა მოხუცმა ვერ მაითმინა... იმან ხო თქვა, რო დაგორდა თავი და ყვირის: გაჲსკდა თავი, გაჲსკდა თავი, კივის დევის თავი. ამ მოხუცმა ვერ მაითმინა, რო გამწარებული იყო ძალიან, აღრე გასახეთქი გვიანაც ძლივს გაჲსკდაო, იმ მოხუცმა დაიძახა. ჰოდა, მერე, რა ვიცი, ასეთი თქმულება არი, რო ვითომ გასკდა ცა და წამოვიდა ქვის სეტყო და დაღუპა, დაჲხოცა ეს ხალხი მინდორზედა. ისე კი სინამდვილეშია, იქ არი ის საფლავები. მინდორია, დიდი მინდორია, იქ არი სუ საფლავები იმ ადგილებზედა, იმ გორებზედა, სადაც ის იყო გადამდგარი და სადაც ის სეტყო მოხდა.

ეს ბიჭი იყო, შვილო, თანგულათი, სახელი არ ვიცი, წიკლაური-ბის გვარის, ჩემი, უფრო ჩემი მისამტირაო(?). მეც თანგულათი ვარ. ჯიშსა ჰქვია, ერთ მოდგმასა თანგულანი. მე მგონი, რო თანგულაჲ ერქვა. იმის ხმალი დევის სისხლიანი დღესაც შენახულია იმ მამა-ჩემის სახლებთანა. დევის სისხლი ზედა აქვ შემხმარი, მეც მინახავ. ჩვენს თანგულათში ინახება და არ უნდა გავიდეს ჩვენი გვარიდანა. არ ვიცი, ვისთან არი ეხლა, ვერც განახებთ და ვერც მოვჰკიდებ ხელ-სა. იმას თანგულაობას აკეთებენ თანგულანი და როგორც ხატს, ისე ლოცულობენ. ივლისის ბოლო შაბათია, მგონი, სოფელში აკეთებენ დღეობას, სადაც უფრო თანგულანი ვცხოვრობთ.

აქ საორბეს ვეძახით, კლდეს რო შეხედავთ, საორბეს კლდესა. მაგის დაბლა ქოხები იყო, ჩემს ბალღობაშიაც 12-13 კომლი სახლი იყო. ჰოდა, როცა ისრე ყოფილა თურმე, ეს დევი წამოიდოდა მთიდანა, ვითომ იმ მოკლულის ძმა, წამოიდოდა იქიდანა, ვითომ თანგულანი უნდა დავხოცოო, უნდა ამოვსწყვიტოო. წამოიდოდა, წამოიდოდა და ერთი ადგილი არი, შვილო, ა ესე კლდეები არი და ესე ემდენი გასასვ-ლელია, დევის მიჯნას ვეძახით დღესაც იმ ადგილს. იქამდე მოიდოდა და ფშარაველი დაუძახებდაო, რო მობრუნდიო, თორო გაგაქრობო. ფშარაველი სდებდა ხელსა აქ თანგულანთა, ჩვენ, რა. მიბრუნდე-ბოდა, იმის აქათ ვერ გადააბიჯებდა ის დევი. აგე ანდე თანგულანთა მფარველი იყო ფშარაველი, ვენაცვალე იმის მადლსა.

მთხრ. თამარ (არმინდა) წიკლაური,
ჩამწ. შოთა მურცხვალაძე, ილია ხეიძე, ლუთხუბი, 2005.
თსუფა 30077

## 349. ცხრა ძმა და დევები

წინავ რო დევები ყოფილან როშკასა, პატარძალი მოუყვანიათ, ხევსურებმა მიამბიანკე, - პატარძალი მოუყვანიათ და ცხრილისთ-ვის გაუგზავნიათ (ცხრილი ის იყვისკე, აი, საფქვავს რო არჩევენ). სოფლად ყოფილა. წასულა პატარძალი და მისულა და არ არი ხალხი. კაცო, ფეხები, აი, ესე აქვთ, ქუსლები ესე აქვთ. რა ხალხია ეს, რა ხალხიაო? შაშინებულა, წასულა. კაცო, ეგ რა ხალხიაო? ი პატარძალს უთქომ, რო ეს თქვენ გაჲთავდებით და ესენი გაშენდ-ებიანაო. ღვთიშვილთ მადლი დაჲთხოვეთო, რო ესენი მაასწორონო. დაუთხოვნია მადლი ხალხს სახლიდან და დაჲტანებია ეს ხატები იმ დევებსა და ერთი ცხრათავიანი ყოფილა და აბუდელაურ ტბაში

ჩაძრომია. ის ჩაძრომია და იახსარი ჩაჰყოლიაო და მხარი მაუტეხიაო, ვეღარ ამოსულა. და ცხრა ძმანი ყოფილანო, ცხრა რძალნიო და მკითხავს უთქომო: თქვენ შაიძლებთო იმათ შველასაო. ერთი ხარი აიყვანეთ და ერთი ცხვარიო. ის ხარი დაკალით და ხელუკულმა გადაყარეთ ი ტბაშიაო და იმით პურიჭამა გააკეთეთო, სანთელი აანთეთო და მადლი დაძთხოვეთო. ისაო ტრედად ჩამოფრინდება, ის ლურჯი ქვაა, იმ ქვაზე შამოფრინდებაო. მართლა ასე გაუკეთებია ი ცხრა ძმათა და ცხრა რძალთა. ასულან ისევ და შამოფრენილა მართლა და ისაო, მკითხავს უთქომ, სამ სიტყვას დაგიძახებთო, ის იტყოდა, აი, სწორედ ტრედი: „კარნაულნოო (როცა მოფრინდა და ქნეს), უფლისაგან მაქვ ნაბრძანებიო, სამჯერ დაგეხმარებით ყველასაო, თუნდა სულ გაძწყდეთ, დაგაცოცხლებთო, სამჯერაო". მამრე გაფრენილა, წასულა.

ჭირ რამ გამოჩენილა. სუ ავად დამხდარან. აბა, საქონელი ექნებოდა. უხსენებია: „გვიშველე, გუდანის ჯვაროო!" სუ ფეხზე დამდგარა. ჰო არ ჩაგვიარა ჭირნახულმაო. ხალხი თავებულა, ესენი — არა. მერე თიბა მოსულა, უთიბნია ცხრა ძმათა. თურმე წასულან სახვეტად, როცა მოსახვეტია, და ხვეტენ, და დაიჭეხა ცამა. უნდა გაავდრდეს რაღა! რა ქნან? „გვიშველე, გუდანის ჯვაროო!" (აბა, როცა უთხრა, სამჯერ გიშველიო!). მოსულა და სუ დაკარგულა ცაღრუბელი.

და იმათი მისხისმისხი არ დარჩაო, სუ გათავდენო. რატომ ეხლა: უფლისგან ვიყავო, კრება გვქონდაო და იმის [....] ვერ მოვისმინეო: დამიბარეს ნაკელზედაო. არცრა გაუჭირდებოდა იმაზე მეტიო. ორჯერ რო დახოცილიყვნენ, შემეძლო გამეცოცხლაო და ნაკელზე მიმიყვანესო.

იმათი მისხისმისხი არ დარჩა, სუ გათავდაო.

მთხრ. ვასილ ჩოხელი,
ჩამნ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ჩოხი, 1982.
თსუფა 25553

## 350. დევის პინები I

მთვრალ კაცს გამოუვლია და დაძინებია. იმ კაცს ერქვა ბეჟანი ჩოხელი. მივიდა დევი და დაადგა თავზედა. რას წევხარო მანდაო, ჩემი ადგილიაო. შენი რატოღა არისო? ეს ქვები ხო ჩვენიაო, ვინ მოგცა შენაო?

აუღია ამ დევსა, ჯერ დაბლა გადაისროლა, მერე ისევ აჲსწივა და წამაილო და გაჲსტყორცნა ხევში – ანდე, შენი ეგ არისო. იბღუნა მერე იმ კაცმა, იბღუნა, იბღუნა, ეხვეწა, ევედრა ღმერთსა, ხატსა და ამოვიდა გზაზე და წამოიდა და ესე გამრუდებული ყბებით დადიოდა ბოლოსა. ესეც ლაპარაკობდნენ, რო ის იყო იმისი ქვები, საჭმელს იმ ქვებზედ სჭამდა. ჰო, ეგეთი ლაპარაკი იყო, რო სადაცა იქნებოდა საჭმელი, იმ ქვებზე სჭამდა დევის პინები ჰქვია.

მთხრ. თორღვა აფციაური,
ჩამწ. შოთა მურცხვალაძე, ილია ხეიძე, წინამხარი, 2005.
თსუფა 30069

## 351. დევის პინები II

პინებთანა რძე მოჲქონებია მთიდანა მილებით. იმაში უყენებიაო და ორი პინა იყვისკე, სხვა კი არა იყვის და ტყუილია ეგა, კაცო! რო ვერვინ იცის, არა, ზოგი რას გამაიგონებს და ზოგი — რასა.

სადღაც ზევითა ყოფილა, საქონელი უწველავა და მემრე მილში ჩაუსხამა და იმ პინებზე ჩამოდიოდაო. ან მილში რა ჩამოდიოდა ან იმაში რა დაეტეოდა! გამოგონილია და, ეს ვიცი, რატო იყო დათლილი პინა და, მაგისი გამგე არავინ არი. და დევის პინებს იმიტომ ეძახიან.

მთხრ. ალექსი წიკლაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), მაქართა, 1982.
თსუფა 25573

## 352. აკლდამა დევის პინებთან

ყოფილა ესეთი შემთხვევაც, არ ვიცი, მართალია თუ არა, ეს კაცი მანქანით როგორც მოვიდა დევის პინებთან, იმ ადგილზე რაღაც ქეიფია გამართული, გოგოები ჰყავთ, ბიჭებიც არიან, ცეცხლი ანთია. ხოდა, რო გამოუვლია ამ კაცს, ვითომ აჰყოლია და რო მოდის აქეთ, ფიჭვები რომ არი, ახლა იქ დახვდა. გააჩერა და რო გადმოვიდა მანქანიდან, ახლოს კი აღარ მივიდა და მერე გაქრა, აღარც ქალი იყო, აღარც კაცი იყო.

ასე მახსოვს ჩემს ბავშვობაში, იქ არი ქვა, ქვებია, წყალი რო აკეთებს, შირიმის ქვებს ვეძახით დღესა, ამოთხრილია ჯამებივით.

დევის პინების ქვევით იყო აკლდამა, ეტყობა, იქაც რაღაცა იყო ადრე, ხალხსაც ეშინოდა, ეხლა აღარავის ეშინია დევის პინების.

მიამიტი ხალხი იყო. ერთმანეთს აშინებდა ხალხი. ყოფილა შემთხვევა, ჩამოსულა ეს კაცი და, აი, დევმა დამარტყა და დევი ვნახე და ნაბდიანი იყო. ეგეთი შემთხვევაცა ყოფილა, მერე უთქვია, მე ვიყავიო. ფასანაურელი ყოფილა, ვიღაც მედუქნე.

მთხრ. გიორგი (გოგი) ნიკლაური,
ჩამწ. შოთა მურცხვალაძე, ილია ხეიძე, მაქართა, 2005.
თსუფა 30081

## 353. ალი ტყვეობაში I

ერთი კაცი თურმე სთიბს მთაში. იმას აჰყვა ერთი ალი ქალის მაგივრად. ლამაზ ქალივით იქნებოდა. მამრე ის რო სთიბს, ტვირიფაის ხე გააკეთა ცელის მაგივრად. რას მასთიბდა?! უკიცხავს იმასა. რაღა ქნას ამ კაცმა. პური ჭამა, იმანაც შაჭამა. ახლოს არ უდგება.

მოთიბული ბალახი ხო აქვ. გაგრიხა მაგარი ალდახი, მაჯის სისხო. შამაიხვივა ამ ფეჴებზე, რო თქოს კაცმა, ამ ეშმაკმაც ისე გააკეთა: დაიხვივა ქალმაც. კაცმა ცელი გამოუსვა და გასჭრა, ქალმა — ვერა. კაცმა დაიჭირა ქალი, მააჭრა თმა, ფრჩხილიც მეეჭრა, მგონი, ჩადვა ქარქაშში და სახში წამაიყვანა. არის იმასთან. წყალზე რო წავიდეს, თურმე იგვიანებს. ის კაცი ეკითხება: „რატო იგვიანებო?" „სურდო მოსდევდაო." ვერა და ვერ იჴელა. გავიდა დიდი ხანი. ეხლა იმ კაცს ბალღი ჰყავს შვიდი-რვა წლის. ჯალაბნი სადღაც წავიდნენ. ვერ მივა იმ ხმალთან ალი. ამ ბალღს უთხრა, აი ის ხმალი ჩამამიღეო და ზოგი რა მისცა, ზოგი რა. დააბრუნა ეს ქარქაში, აიღო თავისი ფრჩხილები, თმა და ეს ბალღი ისე გახადა, არ მოკლა კი და, მაგრამ არც დაანარჩომა.

მთხრ. ალ. ნიკლაური,
ჩამწ. ლალი ნიკლაური, ზანდუკი, 1982.
თსუფა 26783

## 354. ალი ტყვეობაში II

ერთი თიბავს, თიბავს, მთაში არი და დაინახა ალი. როგორც ეს კაცი თიბავს, ისიც ისე ვითომ. ამ კაცმა მოგლიჯა მერე ეს ბალახი, დაგრიხა და გაიკრა ფეხები, როგორც თოკი. გაიბა ფეხები იმანაც, გაინასკვა. ამ კაცმა უცებ ამაჲკრა ცელი და გაიხსნა თოკი, მივიდა და დაიჭირა ისა, დაიჭირა, დააჭრა ფრჩხილები, მააჭრა თმა.

ამ გუდამაყარში ვერ ნახავდით, რო ხანჯალი არა ჰქონიყო კაცსა. ამან კი შიგ ქარქაშში ჩაუშვა ფრჩხილები თუ თმა. ისიც გაჰყვა. იქ სახლში ჰყავდა ისე, რომა ისეთი მადლი ჰქონდა ამ ოჯახს, რო აშენდა. ის ხანჯალი ეკიდა იქა. იმის შვილსა ჩამააღებინა, თითონ კი ვერ მიუდგებოდა. აბა, წამოხარე ეგ ქარქაშიო. წამაახრეინა ი ქარქაში და დაცდა იმ ქარქაშიდან ისინი და ისიც გაიქცა. სანამ იქა ჲყვანდათ, სიმდიდრე იყო და დაიკარგა ის სიმდიდრე.

მთხრ. ილია ბექაური,
ჩამწ. შოთა მურცხვალაძე, ილია ხეიძე, ზანდუკი, 2005.
თსუფა 30092

## 355. დევი და კაცი

კაცი ყოფილა აქაური, მე იმას ვერ ვიცნობდი, ირემს ეძახოდნენო ადრე. შეხვედრია ე ჭალაზედა დევი, უჭიდავნია და უჭიდავნია. თურმე ისეთ კაცს დაეჭიდებოდა ეს დევი, ერთი რო გაჲხედავდა ბეჭებშია, თუ სინათლე გაჲდიოდა იმის თვალითა ბეჭებშია, დეეჭიდებოდა იმ კაცსა და თუ სინათლე არ გაჲდიოდა, ისეთ კაცს არ დაეჭიდებოდა და ჲრევდა დევსა ის ირემი. მოსულა სახლში და დედითვინ დაუძახნია, რო ლამფა ჩააქრეთ. არ შეიძლებოდა, რო ლამფის შუქზე შასულიყო, თორო აირეოდა. ვაიმეო, რა არიო, შაგხვდა სადმე ის წყეულიო?

მთხრ. თამარ (არმინდა) წიკლაური,
ჩამწ. ილია ხეიძე, შოთა მურცხვალაძე, ლუთხუბი, 2005.
თსუფა 30079

## 356. დევი ბავშვის სახით

იყვნენ ჩემი მამიდები, ორნი. წასულან ცხენით, თურმე ავიდნენ, ერთი დიდი ტყემალი იდგა გზის პირას და იქა მშრალი მიწა იყო,

თურმე ბალღია იქა, წითელი ბოჩოლაჲ ბეწვიანი გუდა ჲკიდია. მამიდამ შაჲხედა და დაინახა, ამ ბალღსა ფეხები უკუღმა ჰქონდა. მიხვდა, რო დევია ესა. შაშინდნენ და გამაიქცნენ. მოჲდევს ბალღი, მაგრამ ვერ დაეწივა, შეასწრეს სახლში. ჴმას ვერ იღებენ. მიხვდა ამათი მამა, რო დევი შაჲხვედრიყო. ხანჯლით შამოუტარა სამჯერ მიწაზე ფეხებთანა და უწმინდურმა ველარა ავნო, ამაჲდგეს ჴმაჲ.

მთხრ. თამარ (არმინდა) წიკლაური,
ჩამწ. ილია ხეიძე, შოთა მურცხვალაძე, ლუთხუბი, 2005.
თსუფა 30080

## 357. დევების ქეიფი

აი, ეხლა ი ტარიელი რომ იყო მოანგარიშედ იქა, ე ბეჩავაი ჰყვანდა. ვილისით დადიოდა ბეჩავაი, შოფერი. მანდიდან წავიდნენ ღამე, მაქართიდან. იქ რომ მივედითო, შუქია და თამაშობა არიო. ხალხია, ბინებიაო, როგორც ხატობაშია ადგილ-ადგილ ბინები. ზოგი სხედს, ქეიფობსო. ქალ-რძალი და ახალგაზრდობა პირდაპირ გზაზე თამაშობდენო.

რომ მივედითო, ყველა მობრუნდა და გადაგვიდგა წინაო. დაიწყეს ლაპარაკი და გაიცინესო, და ფინთი ლაშ-პირი გააღესო, რომ გაიცინესო, უშნო თავ-პირი დაუჩდაო. შეშინდა ბეჩავაი და „გაიარე, გაიარე, შე სულელო, გაიარეო, — ბეჩავაის — გაიარეო!“ — „როგორ გავიარო, წინ ხალხი მიდგასო?“ და გაიარა და ხელად გაქრა ხალხი. დააგდეს ადგილი და წავიდენ.

მთხრ. გიორგი წიკლაური,
ჩამწ. ზურაბ კიკნაძე (მაგნიტოფირი), ლუთხუბი, 1982.
თსუფა 25579

## 358. გველი ხატში

ჰო, ეს დასტური რო ვარ ხატისა, მთელ გუდამაყარსა დასტური მოჲდევს. ამხანაგი მყვანდა, დავდიოდით და გამაიტანა არაყი და ვსვამთ. დავინახე გველი და დავინახეო ეს გველი და ქვები იყოო. დადიოდა ეს კაცი, ავადყოფი იყო და კასტილით დადიოდა. ხოდა, წავიდა იმის მოსაკლავადა, გველის მოსაკლავადა. ეს კასტილი დაუ-

ქნივა ამ გველსა, გაქანდაო და ფეხებზე მეცაო და გადამაყირავაო. წავიდაო და მე მიყურებდაო, სადღაცა კუდით ჩაძვრა, სადღაცაო. ხატის ადგილში წავიდა. ხოდა, იქ, იმაშია, საცა ის ჩაძვრა და სიპი ხო აფარია და ესე კუდით ჩაძვრა, თურმე იმაში იყო ქვევრი, რაღაცა პატარა. ავსწიეო, ქოთანი იყო პატარა და დავაფარეო ისევეო, ხატისა იყოო.

ღამე მოვიდა და დავსწევო. მოიდენო სამნი, დამადგენ თავსაო. გავაქროთო. მეორემ უთხრაო, ვაპატივოთო. სამნი მოვიდნენ სიზმარში. ერთი ლაპარაკობს, გავაქროთო. ასე, იქით, აქეთ, ვაპატივოთო, ვაპატივოთო. ხოდა, ავყევ მენა, მაპატიეთო. ხოდა, მენცა მაპატიესო. გამამეღვიძა, ვიყავ ბურანშიაო. ისეთი ვარ, რო როგორც წყალში ჩაწოლილი ადამიანიო. ა ეგეთი ვარ ოფლიანი.

პატარ-პატარას გიყვებით, დიდი კი არი.

მთხრ. ილია (ილუშა),
ჩამწ. ილია ხეიძე, შოთა მურცხვალაძე, ზანდუკი, 2005.
თსუფა 30093

## 359. ვეშაგურები ხანდოს მთავარანგელოზში

ჩვენ წინაპარს, ვეშაგურს, ქისტეთში უცხოვრებავ, ქისტი ყოფილა და ისეთი ავკაცი, შვილო, რომ მოკლედ, მოუკვეთავთ ის ცხონებული ჩვენი პაპაი, ის ქისტი! წამოსულან მამა-შვილი ხარის ტყავით და სადაც დაუღამდებოდათ, ხარის ტყავს დაფენდნენ და იქ დაიძინებდნენ. მოდიან და სად მოდიან, არ იციან. ბოლოს, მოსულან ხანდოს ხევს. იქ დაღამებიათ და დაწოლილან დასაძინებლად. ამ დროს ხანდოს ხევიდან ლეკები მოერეკებოდნენ ტყვეებს. თურმე ტყვეები მოუდით წიოკით. მამა-შვილი ამოუფრინდენ ამ ლეკებსა და სულ თავები გაასხიპეს. ტყვეები დააბრუნეს უკვენა.

ჩავიდნენ წყალზე გარეცხეს
ომში ნახმარი ფარ-ხმალი, —

მამა-შვილ ვეშაგურებზეა ნათქვამი. ხანდოელებმა თქვეს, ჩვენ ამ ხალხს რაღათი ვცეთ პატივიო. ბევრი იფიქრეს და ბოლოს შესთავაზეს ქისტებს, აქ დასახლდითო. ქისტებმა უთხრეს, იმდენი ადგილი მოგვეცით, სადამდისაც გასწვდა ის ხარის ტყავის ზონარი, ხანდოელებმაც იმ ფართობის ადგილი მისცეს. იმ ქისტების შიშით ხანდოელებს ვერც ლეკები და ვერც თათრები ხმას ვერა სცემდნენ. ქისტის შვილი იქ დაოჯახებულა და ხანდოს მთავარანგელოზის ყმა გამხდარა.

ქისტის შვილები ძალიან ამაყები და ავკაცები გამოსულან. ისინი გამოერეოდნენ მლოცველებს თურმე საჯარის კარებზე და ანიოკებდნენ. იმ ქისტის შვილიშვილს მამესნარა რქმევია სახელად. ის საჯარის კარებს ჩამოხსნიდა და იმ კარებით სცემდა, ხეობაში ყრიდა ხალხს.

ხანდოელები შეიყარნენ ხატში, დაარისხეს ქისტები და ჩადგეს სამანი. თუ კიდევ ასე მოიქცეოდნენ ვეშაგურები, მათ სამუდამოდ მოიკვეთდნენ. თავიანთი კუთვნილი საჯარე ხანდოს მთავარანგელოზის ქვემოთ ჩამოატანინეს. დღემდე ვეშაგურებს ზემო ხატში ასვლის უფლება არა აქვთ.

დარისხების სამანი ისევ დგას ხანდოს მთავარანგელოზის სალოცავში. ყველაზე თამამი და ლამაზი ახალგაზრდა ვაჟი, ვინც გამოერევა ვეშაგურებში, ვერ დაბერდებაო, — ასე დაუწყევლიათ ხატში.

მთხრ. მაშო ვეშაგური-მახაურისა,
ჩამწ. ხვთისო მამისიმედიშვილი, გომენარი, 1995 წ. 23 ნოემბერი.
თსუფა 30004

# თუშეთი

## 360. სამას სამოცდასამი წმ. გიორგი

სამას სამოცდასამი წმინდა გიორგი ყოფილა. ის ქაჯებს ტყვედ ჩავარდნია. უთქვამთ, ეს წმინდანია და უნდა გამოვცადოთო. სამი დღე და ღამე ნისქვილის ბორბალზე მიუკრავთ, ისე ტანჯეს, ვერ მოკლეს. სამი დღე და ღამე საკირეში ჰყავდათ ჩაგდებული, არ დაიწვა. მერმე სამას სამოცდასამ ასოდ დასჭრეს. ეხლაც არ მოკვდებაო? შაიმოსა სუყველა ანგელოზებად და გაფრინდნენ და ყველა იმას თავ-თავის სახელი ჰქვიან და ყველანი წმინდა გიორგის ნაჭრები არიან და იმისი მოძმეებია კოპალა, ლაშარი, ხახმატი, ლალ იახსარიც. შეიძლება ერთის ნიში ათგან იყოს. ყველაზე პირველი წმინდა გიორგია დაჭრილი, მერე კოპალა...

ბოჭ. 425

## 361. ახალჯვრის დაარსება დანოში

წინავ დანოელებს სოფლის თავში ჯვარ არ ჰყვანივ. მემრ მე'ამბვ, რომე აშტოთაჲ გამოვიყვანოთავ, სოფლის თავშიითაჲ კარგადა' გვიპატრონებსავ.

ერთ ტრედ დე'ჭირ დანოელებს. გე'შვ ისი აშტოთაჲ. ჲეს სიაც დაჯდებავ, იქ დავაწესოთავ ცხვა ჯვარივ. ის ტრედიც სოფლის თავში გორზე დამჯდარიყვ. ჯვარ კიდენ ჲაგრ გამე'ყვან აშტოთაჲ: ერთ კაცს დროშა' გე'დვ მხარზე, სანთელ-ზედაშე ე'ლვ. ერთ ბებერ დი'აც უკვენ გახყოლივ ტყავის კალთა'ების ბარტყუნით: „გამოქში, გამარჯვებულოვ, გამოქში, გამარჯვებულოვ!" იმ დღითაჲ ხყავის დანოელებს ახალჯვარ.

ჩამწ. ეთერ თათარაიძე (პირადი არქივი)

## 362. მალალოელის ზარი

ჭეკაან ზვავმ რო დი'ტან, ჲასრ იამბიან, რომევ ის დი'აცივ მალალოელსთან სთიბდისავ, უძახიანავ: „ნუ შედიხარივ, ახლოს ნუ წახვავ". „არ მომდიოდავ", იამბის ი'მ დიაცმ. ზვავ რო მოსრულიყო დ' გარეთ გამოსრულიყვნეს ჩაქცეულ სახლითები, მალალოელის ზარი იმა'თ კარებსთან გდებულიყვ (ზოგთ ჲასრ თქვეს, მალალოელის თასივ). სიდ მალალოელია დ' სიდ ჭეკაანთ შინაი! რა' უნდოდ ი' მ ზარს ი'მათას. ქმარისად ე'ღები ზარი დ'ზედაშეი.

ბიჭა მუ'კვდაოდე დ' თავად ძლივა' გადარშჩნეს ნახოცნუხოცა'ები. ი'მ მალალოელს უმაქცი.

ჩამწ. ეთერ თათარაიძე (პირადი არქივი)

## 363. ასტორი I

წყაროგორის დეკანოზი იყვის ასტორი. იცოდიან, რომევ აშტოთაჲ წყაროგორამდივ ჯაჭვი იყვისავ გაბმულიო დ' იქით კიდენ ასტორამდე. ასტორი ლაშარის ჯვარის დაჭერილ ყოფილიყვ. ერთხენ შუა ზამთარს ტიტველაი მთა-მთა წასრულიყვ ლაშარში. პირველაი სოფელს ვერ გაეგო, თუ სად წავიდა დ' მემრეაი ლაშარით მოსრულიყვ. ის მეტა წმიდად ინახევდის თავს. არც ცოლ ში'რთ, რომეთ ლაშარმ ამიკრძალავ. აგრ იცოდის, ცხადლივ გამომეცხადებაო დ' ყველას მიამბობსავ. იმის ნაამბობი ჩვენ არ გვითხრის.

ბარდ. თუშეთი 38-39

## 364. ასტორი II

ჩვენთან, დანოს, იყვ ერთ ჴელოსან წინავ, სახელად დუჩი. გამოცვლილ სახელ ასტორ ექვივნ. ი'ს სამ წლისა დაკარგულიყვ დანოშიითაჲ, სამ წლის ბალღი, თოვლში, ფეჴშიშველა, 'პერანგიანა. ეკვლი [უძებნია], ეკვლია დ' ლაშარ მე'ჴელ, ჩილოს თავში. ვილაცეებს ენახვ, პატარა ნისლის კოტორი დანოთა წადენილიყვ ლაშარისაკ. ხანდახანავ იმ ნისლშიავ ბალღ გამოჩინდისავ. იმის შემდეგ გაჴდ ლაშარის მონაი დ' ჴელოსანი ის ასტორი.

ის ასტორ ერთხელ დალოცვის, დამწყალობნების დროს ლაშარში დამუნჯებულიყვ. საბძანებელშიითაჲ გარეთ რო გამოსრული-

ყვ, ენა ამე'დგა დ' ეთქვ, რომევ ლაშარივ ჲაქ არ არსავ, ჰად ნება არ მაქვავ დალოცვისაივ. ცოტა ხანა რო გავიდავ, მთელ მლოცავებს გაღგონიყოვ ცხენისაიო დ' აბჯრის ჟღრიალივ. მემრინასია ეთქვავ, რო ლაშარ მოვიდავ ჰად დაელოცავ.

ჩამწ. ეთერ თათარაიძე (პირადი არქივი)

## 365. თეთრწვერიანი მოხუცი

სალამოხან სამუშაოთმოსვლით დედამ მითხრ: „წედივ ჴევშიით წყალ გადმიღევ". ღამეი, შეთვალისკიდებულ. დავადექ ჴევის გზას. გავიხედე დ' რას ვხედავ: ჴევის პირზე ორ ხნიერ ადამიან დგას. რაგვერც იმათთან მივედივ, მითხრეს: „ცხვა გზისაკ წედივ, იქითა წილევ წყალივ". აბა მე რაილ ვიცოდ, რო ისენ ეშმაკებ იყვნეს. მეაც იმ გზას დავადექ, რომელზეაც მითხრეს. გამოვხედე დ' რას ვხედავ: მოვედივ ერთ თეთრწვერა მოხუცი დ' ჲამ ორ მოხუცს ჴელ ხკრაა დ' წყალში გადაყარა დ' მიძახ: „წედივ იქ სი მიდიხარივ".

მე დამეშინა დ' გაქცეულ წავედ შინისაკ. ავიხედ მაღლა დ' ის თეთრწვერიან მოხუც ჴელებგაშლილ ზედ გადაფარებულ მომდევდ. რაგვერც თავის სახლს მივახლოვდით, მითხრ: „შენ დედას უძახევ, რო ნაკვერჩხლიან ხე გადმაგდოსვ". მეაც უძახ დედასა დ' გადმაგვდ ნაკვერჩხლიან ხეჲ. გავიხედე დ' ის თეთრწვერიან მოხუც გამქრალიჲ. შევედ თუ არ ბინად, მეტა' ავად გავჴდ. ჩემ დედიანთ ხან ვინ მიყვანესა დ' ალოციესა დ' ხან რა მინამლეს. მემრ მკითხველა' მიყვანესა დ' იმან უთხრ: „ავქარ დასცემიავ. ის თეთრწვერა მოხუც რო არ ყოფილიყოვ, აუცილებლად მოხკლევდესავ. ღმერთ დაშველებიავ, ღმერთივ".

მთხრ. თამარა გოთაიძე,
ჩამწ. ეთერ თათარაიძე (პირადი არქივი)

## 366. ცეცხლის ბურთვი

დანოში წინავ ერთ ბებერ დიაც ცხოვრობდ, ძალიან მარჴე დიაც. ერთ ბიჭა' ხყვანდ, ხან დღეში ორ-სამჯერ სტკეცდ. სუ „ერეკლევ, ერეკლევ!" ყვირილით დადიოდის. ეს ბიჭა' კიდენ სუ იმალებოდის დედის შიშით. რვა წლის ბიჭამ გარეთ ათენის. ერთხენ ცხენ დეკარგ ღამ. შინ ველარ მიყვანეს. „შენავ რად ღლისივ არ მიყვანევ ცხენივ", ღამე იყვის, „ჲახლ მიკლიევ-გამიფრინ". იმ ბალღმ გვიამბის მემრინას: ჩვენ

ცხენის კვლევადავ წყაროგორისაკ წავედივ. მეშინოდავ. წყაროგორის ახლოს რო წავედივ, წყაროგორითივ რაღაცა გრიალ გამეგონავ, დამეშინაო დ' უკვენ მოვბრუნდივ, ორ ცეცხლის ბურთვ გამოფრინდავ წყაროგორითივ ჩემკისკევ. ჩემ ახლოს რო მოვიდესავ, პატარა თეთრ ძაღლებად იქცნესავ. იმ ლეკვაებსავ რქებსავით ხქონდისავ. ერთ მარჯვენა მჴარეზე დამიდგაო დ' ერთ მარცხენაზეავ. ყურებ რო დაცმაცუნიანავ, აღარ მეშინოდისავ, შიშ მავიწყდებოდისავ. ბებერა გორამდ მომაცილესაო დ' მემრ დიკარგნესავ.

მთხრ. კობა ხაპრიძე,
ჩამწ. ეთერ თათარაიძე (პირადი არქივი)

## 367. მოძღვრის ქვა

ჰეღოს ერთი მწყემსი ყოფილა. რაც დრო გადიოდა, თანდათან ხდებოდა. პატრონმა ცოლს უთხრა: „ალბათ საჭმელს არ აძლევ და იმიტომ ხდებაო." ცოლმა უთხრა, მე კი ვაძლევ, მაგრამ უკანვე მოაქვს, არა სჭამსო.

წავიდა პატრონი და უყარაულა. ხედავს, სამმა მტრედმა წიგნი გადაუშალეს და საღამომდე ასწავლიდნენ. მერმე ის მოძღვარი გახდა და სიკვდილამდე მოძღვრად იყო ჰეღოში.

დასაფლავებულია ჰეღოს ბოლოს, ვაკეზე. ზედ მაღალი ქვა აქვს დასჭმული. როდესაც მღვდელი არ იყო ხოლმე, ქვას ცოტას მოსტეხავდნენ, წაიღებდნენ და მიცვალებულს საფლავში ჩაატანდნენ, და ანდერძგადახდილი იქნებოდა.

ბოჭ. 424

## 368. თებჟორიკა

ამბობენ, შენაქოში ქვრიტიანებს ჰყოლიათ დაჭერილი თებჟორიკა. ომალოში კაცი მომკვდარა და სატირალში მიმავალ შენაქოელ ქალებს შეხვეწნია: „მარტო მომწყინდა, მეც წამიყვანეთ სატირალში, ხალხში მაინც გავიდე, გულს გადავაყოლებო." „არაო, უთქვამთ, შენ იქ ისეთ რამეს ჩაიდენ, შეგვარცხვენო." „ხმას არ ამოვიღებო," შეჰპირებია, „ჩემთვის ვიჯდები ჩუმადო." წაუყვანიათ. მართლაც, ზის მოტირალ დიაცებში თებჟორიკა, ხმას არ იღებს. უცბად,

სხვები რომ ტირიან, ამან ერთი ღონივრად გაიხახანა. შეწუხდნენ შენაქოელი ქალები. იქ მუჯლუგუნებით გააჩერეს. გზაში ჰკითხეს, მაინც რა გაცინებდა იმ უდროო დროსაო? უთხრა, როგორ არ გავიცინებდი, ერთმა კოჭლმა კაცმა გამოიარა და მკვდრის ცოლმა გაიფიქრა, ნეტა ერთი ასეთი კაცი მაინც არ წამიყვანსო?

ეს თებჟორიკა დიდხანს ჰყოლიათ ჭერიტიანებს ტყვედ. ერთხელაც, შინ რომ დაუტოვებიათ საქმეების საკეთებლად და თვითონ სადღაც წასულან, ბავშვისთვის უთქვამს, შენ რა კაცი ხარ, კედელზე რომ შენი ბიძის ხანჯალი ჰკიდია, იმასაც ვერ ამოსწევო. როგორ ვერ ამოვწევო. ჩამოუღია ბიჭს ხანჯალი და ამოუღია ქარქაშიდან. აბა, ქარქაში გადმოაბრუნეო. გადმოუბრუნებია. იქიდან ფრჩხილი გადმოვარდნილა, დაუტაცნია თებჟორიკას ხელი და გაქცეულა. წასვლისას დაუწყევლია თავისი დამტყვევებლები: „სახელიან კაციმც ნუ დაგელევათა-დ უსახელო ქალივ".

თებჟორიკას დაწყეულნიაო, ამბობენ ჭერიტიანებზე. მართლაც, მათ გვარს სახელოვანი ვაჟკაცები არასოდეს აკლდა, ოღონდ ქალების სახელით კი მაინცა და მაინც ვერ მოიწონებდნენ თავსაო.

ცოც. გიორგ. 90-91

## 369. თებჟორიკას პწკილი

დართლოში იდოიძეების ციხე თებჟორიკას აშენებული ყოფილა. ის მაჯლაჯუნა ყოფილა, კაცს ზედ დასწოლია და დაუჭერიათ და ეს ციხეები სულ ღამით უშენებია. მერმე ამ თებჟორიკას ბალღებისთვის ხმალი ჩამოუღებინებია, თითონ ჩამოღება ვერ გაუბედავს. იმათთვის უთქვამ: „ჴმალი ამაიღეთ, წითელ პერანგს ჩაგაცმევთო". ამოუღიათ. ქარქაშიდან პწკილი ჩამოვარდნილა, აუღია (თუ პწკილი მოაჭრეს, მერმე ველარსად წავაო). თებჟორიკას ბალღებისათვის ჩამოუკანრია და უთქვამ: „ეგ არის თქვენი წითელი პერანგიო" და წასულა. წასვლისას გვარის ერთი ძმისათვის უთქვამ: „მანამდიო ჴარის ნაჴნავით მუცელს ნუ გაიძღებენო, მანამ სისხლის ზღვა არ გადავარდებაო". მეორე ძმისათვის უთქვამ: „მანამდე კარგად ნუ იქნებიან, მანამდე შვიდ სისხლს არ იზღამენო" და, მართლაც, შვიდი სისხლი ვიზღეთო და სისხლის ზღვაც მოისპოო.

ბოჭ. 423

## 370. სალმერთოს დაარსება

მანდ ქუეს სოფელი ყოფილა წინავე, ნასახლარებიც ისევ ეტყობა ზოგან. მაგრა ძალიან ცუდი ხალხი ყოფილა, ძალიან, რო მეტი არ იყოს. ძროხა გადაჩნდება იქით რამე ამ ომალოელებისა, დაიჭერენ და კლავენ და შეჭამენ. ცხენი, ცხვარი თუ სხვა რამ, მოუკლავს არ გაუშვებენ. კაცი გადავა, დასცემენ. მოკლეთ, შეწუხდა ეს ომალო,

ალარ იციან, ამ ხალხს რა მოუხერხონ. მემრე ამდგარან და გომეწრელებს გალრიგებიან: თქვენ მოდით, წამოდით, მაგ ხალხს დაეცით, ჩვენ აქედან წამოვალთ და ეგენი მანდედან ავყაროთ. რაც რამე იქნება უძრავ-მოძრავი ქონება, სულადი, საქონელი თუ სხვა რამ, თქვენი იყოს, გაიყავით, მოდავე კაცი არ იქნება. დაუჯდა ჭკუაში გომეწრელებს ეს პირობა, წამოვიდნენ და დაეცნენ ამ ხალხს. ამათ ომალოელებისკე დაყარეს გუმანი, მოგვეშველებიანო, მაგრამ წავიდნენ ეს ომალოელები და ამათაც იმათავე დახკრეს. მიესივნენ აქედან ესენი, იქიდან ისენი და სუ გაანადგურეს, მოსპეს სოფელი. რანიც დაიხოცნენ, ხო დაიხოცნენ იმ ამბავში და რანიც გადარჩნენ, ესენიც ახყარეს. ზოგი ომალოს გადმოასახლეს და ზოგი კიდევ, ვისაც საით უნდოდა, იქით წავიდა. ის ქონება-ცხორება კიდე, როგორც პირობა ხქონდა, გომეწრელებმა გაიყვეს, მოდავე არავინ იყო.

ემანდ სოფელთავ რო ჯვარია, სალმერთოს ვეძახით, ისაო, იტყვიან, ქუელი დედაკაცის დაწესებულიაო. ი ქუეს რო ხალხი ცხოვრობდა, იმათ ხო თავისი ჯვარიც ექნებოდა და ის ხალხი რო ახყარეს იქიდან და სოფელი რო მოისპო, ხო ჯვარიც უპატრონო დარჩებოდა. იმ დიაცს იქიდან ერთი მჯილი მიწა წამოუღია და ემანდ დაუყრია. ვინაც აქ დედაკაცი შევიდესო, დაწყეული იყოსო. ეგრე გაკეთდა ჯვარი. ჩვენ ეხლა დედა მარიამიო, ვამბობთ, მაგრამ ეგ სალმერთო იმ ქუელი დედაკაცის დაარსებულია.

ცოც. გიორგ. 139

## 371. ბიჭეხელი

ერთი დიკლუელ ქალ ყოფილ. გუ'თხოვარა დაორსულებულ. სოფელს გუ'გდი. ჲახლ სიდაც ჯვარი, 'იმის უკვენისაკენ ერთ ეხში დაცხორებულ. 'ჲიქ გუ'ჩინავ ბიჭი დ' გუ'ზდი. გამოსრულ მეტა სახელუან მეომარ. ისთა სახელუან, რო ხალხს ხთიშვილად მიული. რაკი ეხში გაჩინდა დ' გი'ზარდ, მით ლალ ბიჭეხელ დუ'ქვივნებავ. მითამდევ ეხის ბიჭიავ.

ცოც. გიორგ. 28

## 372. ბიჭიხელას ხატი

საცა ის ბიჭიხელას ხატი გვაქვ, იმ ხატის ბოლოში ციხეებია მაღ-ალი, ძველი. იქ ეცხორა დიკლოს ადრევე. მაშინ იქ ერთი გასათხოარ ქალ დაორსულებულ. მთელ ხალხს აუძულებია ეს ქალი რო, როგორ თუ შენ ასეთი უნამუსობა ჩაიდინეო და გამააგდეს ამ კოშკებიდან ეს ქალი. წამოიდა იქითაჲ და იქ მაღალ გორაზე, წინავ ნანახი თუ ხქონ-და, ეხი ყოფილა ერთი, იქ შეძვრა, იქ გააჩინა ბალღი და გაზარდა. გამოიდა ძალიან ვაჟკაცი, ისეთი კაცი, რო ძალიან სახელოანი და მაგარი. იმის გამო ხქვიანო ბიჭეხივ, ეხში დაბადებულ რო არისავ, ეხის ბიჭივ, რაა-დ იმის სახელზედ არის ჯვარიც. ასე მაქვ გაგებული და თითქოს ნამდვილ იქნებაო, ვიტყვი, რო დავფიქრდები.

ძველად, სანამ ხელოსნები იყვნესა და ხატს ხპატრონობდეს, დროშას იმ ეხში ინახავდეს, საცა ის ეხი იყო, სოფელში კი არ მოხ-ქონდ. მერე ერთ დროს ვიღაცა დიდოები გასრულან გულადა და გაუცარცვნია ის დროშაი და მერე იქ აღარ დატოეს. ხატიც იქავ იყვ. მაღალ წამოხურულ კლდეია და მაღლ ერთი ფიჭვ დგას, დიდი ჯღარდალა ფიჭვი. იმ ფიჭვზე მთელი თავ-რქით სამსვია იყვის. თურმე იქ ილოცებოდ, იმ ეხის თავზეა-დ ეხლა ზევით გააკეთეს ცოტა. წინავე იმ ფიჭვთან ვლოცულობდეთ.

ცოც. გიორგ. 138-139

## 373. ქუმელაურთის ჯვარი

ქუმელაურთა სალოცავი ჯვარი, შაფურთა, ქალია. იგი ქუმე-ლაურთის მაღლა, ტყიან გორში, ერთ დიდ ფიჭვშია დაბუდებული.

უწინ თურმე ის ალაზანს გაღმა, ქუმელაურთა საბოსლოებთ-ან, ნაპირის ცერს, ერთ კუჭობზე ყოფილა. მერე, რაკი ჯვარი გან-საკუთრებულ სიწმიდეს მოითხოვდა, აქო ხალხისა და საქონლის ფეხის საბრუნი ადგილიაო, იქიდან წასულა. ქუმელაურთელებს დაუნახავთ, რომ მათი სალოცავიდან ცეცხლის ბურთი აფრინდა და გამოღმა მთაზე, სადაც ახლა შაფურთის ხატია, იქ დაეშვა. მიმხვ-დარან, რომ ჯვარმა ადგილი იცვალა და ამის შემდეგ იქ დაუწყიათ ჯვარისკრობის გამართვა.

ის ძველი ადგილიც კვლავ წმინდა ადგილად მიაჩნიათ, ქალები ერიდებიან იქ შესვლას და ზოგჯერ სანთელ-ზედაშეც გაჰქონდათ. შაფურთობის ღამესო, გაღმიდან გამოღმა ცეცხლის ბურთები გად-

ად-გადმოდიოდაო. ეს იმის ნიშანია, რომ შაფურთის ჯვარს მთლიანად არ გაუწყვეტია კავშირი თავის ძველ ადგილსამყოფელთან.

ცოც. გიორგ. 149-150

## 374. იფნი სახლის ნაშალში

ჩვენა, ეგ გიგოიძეები, იჩუაანი და დევიანი ერთნი ვართ, ერთი გვარის განაყრები. ერთი ოჯახი კიდე იქ ყოფილა, ციხე როა, სოფელი ციხე. ისენი დალეულან, ალარავინაა იმათი. ჩვენ კი გვიანობამდე მივზდ-მოვზდევდით ერთმანეთს სანიჭრით, რამით.

ჩვენა ვყოფილვართ ხევსურები ბისო-ხახმატიდან. ობლები ყოფილან ოთხნი ძმანი, გასულები გარემხარს მწყემსად. სახლი ხქონია ერთი და ის ჩაქცეულა, ჩაბრუნებულა. იმ ნაშალაში იფანი ამოსულა ერთი და ეს ძმები რო მოსრულან, გველი დახვედრია ამ იფანზე ახვეული. ეგეო ცუდი ლიშანიაო და ამდგარან და წამოსულან. ლაშქარაულნი ყოფილან გვარად. თურმე ვარდვაკეს რო გამოდიან, ბეღელაელთ დაუძახნია, ერთნიო აქ ამოდითო, ჩვენ დაგასახლებთ ერთსაო. ასულან და იქ კოჭა უგდია, რომელსაც შეგხვდებათო, იმას დაგასახლებთო. მემრე იმ კაცისთვის კოჭაური დაუქვივნებია და ეგ გიგოიძეები ვინც არიან, ეგ ხაჩივრიანი, ეგ ჭანთოანი, სუ იმ კოჭაურიდან მოდიან, პირველად კოჭაურები ყოფილან. მეორე ძმა გუდაანთას დასახლებულა. არ ვიცი, იმას აჭა თუ ექვივნა, ეგ აჭაიძეები, ეგ დევიანი სუ იმისები არიან. მესამე ძმა გოგრულთას მოსრულა. ალბათ ეგ ლაშქარაულთა რო არის, იმათი საბოსლო თუ იყო. მე კი არ გამიგონია, რო ვისმე ეთქვას, რო ეგაო ჩვენი ნაჭერიაო. მეოთხე ძმა ვესტმოს წასულა და იმისები ეგ იჩუაანი არიან...

ცოც. გიორგ. 36-37

## 375. ცეცხლის გირკალი

მაგ თორღვაანთ პაპა ყოფილა ერთი, დალხიზეჲ, თავადაც თორღვა'ხქვივნებია. ღამე წოლილა, ზძინებია. სად ეძინა, ჭერხოსა, ჩარდახში თუ სად, ეგ კი არ ვიცი და ერთიანად სათავსქვიოს ცეცხლის გირკალი აშჩენია. თურმე აუჩნდება ეს ცეცხლის გირკალი, გავა

და ნავა. ერთხენ, ორჯელ, სამჯერ, კაცო, უფიქრია, ეს ხო ჯვარნია და ნეტა რას მალიშნებენო. ამდგარა, ხმალივ გამოუყოლებავ და გამოსრულა. ეს ცეცხლის გირკალი ხევ-ხევ ნასრულა. ახყოლია ესეც. იქ, ზენახახას რო ვეძახით, იქ ერთი ქოხი იყვის და ხატის ჭურჭელი ვინახიდით იქ. ვერცხლის ჯამები იყვის თორმეტი, კიდევ სხვა რამეებიც ბევრი იყვის ვერცხლისა და რვალისა. ხოდა, ეს ცეცხლის გირკალი პირდაპირ იქით ნასრულა. მიხყოლია ეს კაცი, მიხყოლია და ერთიანად დაინახა, რომ ვიღაცა ამ საგანძურის კარებს მიზდგომია და რაზას ხერხავს. მიხპარვია ეს თორღვა, მიხპარვია და უნდა ხმალი დაუშვას, მაგრამა, უფიქრია, კაცო, აქ ქრისტიანი არ იყოს, აქ კაცის მკვლელი არ გავხდე. ჯერ ფეხები დაუტოტნა და ნახა, ხუნჩა'ები აცვია. ჰო, დიდო ყოფილაო და დაუშვა კიდეც ხმალი. დაანება თავი იქა მკვდარსა, წამოვიდა და დაწვა. მეორე დღეს ცოლს უთხრა, რო, ღმერთმანი, წუხელ ჯვარის საგანძურს ვიღაცა სტეხდა, მოვკალიო და იქავე ღგდიაო. ეს გაეგონა იმის ქალსაც, კიკა' მქვიანსა და, ძროხები რო გარეკა ძროხათსაყენა'თან, იქ ქალებში თქვა, მამაჩემმა წუხრიო მეჯვარე მოკლაო და იქავე ქავისკარა ღგდიაო. აბა, იქიდან კაცებმა გაიგეს და ნავიდნენ, ნახეს, მართლაც, დიდო ღგდია. ლექსიც იყვის მაგაზე, სუ მთელი კი აღარ მახსონს კარგა:

ლომო, დალხიზევ თორღვა'ო,
ბერო, დიდხანამც ხარიო,
ხმა გაგიტეხეს ღვთისშვილთა,
დალეწეს ქავის კარნიაო,
ჩამოხდნენ ანგელოზები,
ხევ-ხევ გასწავლნეს გზანიაო.
ხმალმაც მაგრ გაშჭრა, მამალმა,
ქავის კარ და'გდე' მკვდარიაო,
ხმა გაუტეხე სოფელსა,
ეხლ თქვენ უჭირეთ გზანიაო.
გვიდიდობს დალხის კიკა'
ეს რა ქნა მამაჩემმანაო,
დოჭუს მოუკლა მეჯვარე,
იქავე ღდია მკვდარიაო.

ცოც. გიორგ. 136-137

## 376. მხსნელი წმ. გიორგი

კოტიტა პავლე იყო ერთი, ვესტომთელი, ხმის ნაამბობი მახსოვს. მეო ცხრა-ათი წლის ბალღი ვიყავიო, თუშეთიდან მოვდიოდითო და დიდი თოვლი მოგვივიდა ძალიანაო. მე და ჩემი ბერდედა ვიყავითო, დიდგვერდში დავრჩითო. მემრეო ჩემმა ბერდედამ თქვაო, რო ამ წყალს გავხყვნეთო და კახეთში ჩაგვიყვანსო. დავხყვენით ამ დიდგვერდის წყალსაო, ორმოც დღეს ვიარეთო. საჭმელიც გაგვითავდაო. ერთი ყველის ნატეხი გვქონდაო, იმას ვლოკავდითო, წყალს ვსვამდითო და ის როგორღაც გვასაზრდოებდაო. წყლის პირპირ მოვდიოდითო და ხანო ერთ დღეშიო ერთ კლდეს ძლივს გადაუვლიდითო. ერთხენო ძალიან მაგრა გააავდრდაო და გაღმაო ერთი ტყიანი გორი იყოო და იმ ტყიდანო მოდიოდა ლაწა-ლიწიო, ლაწალიწიო, ძალიან მაგარი ლაწა-ლიწიო. ჩემ ბერდედამო დიდი ცეცხლი აანთოო, დაიწყო ლოცვა და პირჯვრის წერაო.

მემრეო იმ ტყეშიო სამჯერო ცეცხლის გირკალი დანათდაო და გაჩერდაო ის ლაწა-ლიწიო.

მეორმოცე დღესო ხევსურმა მონადირეებმა გვიპოვესო. სამნი იყვნენო და ერთიო ჩვენკენ გამოჭენდაო, გაღმიდან მეორემ დაუძახაო, რომაო, „ფეხჩი შახედეო, ბერდიაო, ეშმაკებ არ იყვნენო". ამბობენ, ეშმაკებსო ფეხები უკუღმა ასხიაო. წაგვიყვანესო ქოხშიო, ყვა გაგვიზილესო და გვაჭმიესო. ის მონადირე რო ყვას ზელდაო, იმ დროსო ქოხში ერთი თეთრწვერიანი კაცი შემოვიდაო, იმ ხევსურსო, ჩვენ რო გვიპოვაო, ხელი ჩამოართვა, გაბრუნდა და წავიდაო.

მემრეო, კახეთში რო ჩამოვედითო, ჩემი ბერდედა მკითხავსთან წავიდაო და იმან უთხრაო, რო თქვენაო წმიდა გიორგი გეშველებოდათო, თორე ვერ ჩამოხვიდოდითო, დაიხოცებოდითო. იქ ტყეში რო ლაწა-ლიწი მოდიოდაო, ისაო ავკაცი მოდიოდა თქვენ დასაჭმელადაო და წმიდა გიორგი დაგეშველათო, ისარ-ფშვინდი ასრია და გააბრუნაო. იქ ქოხში რო ბერიკაცი შემოვიდაო, ისიც წმიდა გიორგი იყოო.

ცოც. გიორგ. 137-138

## 377. ხოხიაიძეთა ანდრეზი

ჩვენა ვართ ხევსურეთიდან გადმოსულები. სამი ძმები ყოფილან ჩვენი ძველი პაპები. იქ თავის ქვეყანაში რაღაცა მკვლელობა მოხდომია, დიდი ამბავი, და წამოსულან. გაზაფხული ყოფილა, აღ-

დგომები, დღეობები, ჩამოუვლია ეგ პირიქითის ხეობა. არსად არ გაჩერებულან, პირდაპირ დართლოში მოსულან. იქ, აბა, დღეობები ყოფილა, ჯარობები და მიუპატიჟებია მაგ დართლოელებს. ერთი სამ-ოთხი დღე დამრჩალან. წამოსვლისას იარაღი მოუკითხია. იმ მასპინძელს, მოსვლისას რო იარაღები ჩამოურთმევია, იქ სადღაც ქავის კედელზე დაუკიდებია. ნახეს და რა, ერთი ძმის თოფის ჩულში ჩიტს ბუდის კეთება დაუწყია. იმ ძმას უთქვია, რო მეო აქ უნდა დავრჩეო, ჩიტმა რათ დაიბუდა ჩემი თოფის ჩულშიო. წამოსულან ორნი, მოსულან დოჭუში. ერთი-ორი დღე აქაც დამრჩალან და იმ ერთ ძმას ხმალი დაშჭიკვია, თურმე ქარქაშიდან ველარ იღებს. მკითხველას უთქვია, რომაო, ეგ ხმალი სანათლავს ითხოვსო. იქავე საკლავი უყიდნია. სანთელიც უშოვნია და, როგორც კი საკლავის სისხლი მოხვედრია ხმალს, ისევ დალაღებულა, ერთი პატარა ხელის ამოკვრითაც კი ამოუღია. იმ მეორე ძმასაც უთქვია, რო ხატიო ჩემს აქ დაცხორებას ითხოვსო, აბა რათა ქნა ჩემმა ხმალმა ეგრეო და დამრჩალა. ის მესამე ძმა კიდე წამოსულა კახეთისაკე და იქ ბარში რო ჩამოსულა, მაშინ პირველი სოფელი ლალისყური ყოფილა და იქ დამრჩალა, დაცხორებულა. დართლოს რო დამრჩალა, იმ ძმას ლეკა ხქვივებია და იმისები ეგ ლეკაენი რო არიან, ეგენია, ლეკაიძეობით იწერებიან. ჩვენ პაპას ხოხია ხქვივნებია, გვარადაც ხოხიაურები ყოფილან და ჩვენ ხოხიაიძეებად ვიწერებით. იქ კახეთ რო ჩასულა, იმას ბუშური ხქვივებია, ძალიან მძლავრი კაციც ყოფილა. ეხლა მანდ ლალისყურში ერთი შვიდი-რვა კვამლია ბუშურიშვილები. ესენი სუ ბიძაშვილები ვართ, ჭირის დღე და ლხინის დღე სუ ერთი გვაქვ, სუ ერთმანეთში მივდი-მოვდივართ.

ცოც. გიორგ. 36

## 378. გულუხაანი

ჩვენა ვყოფილვართ თიოენი, გულუხაანი მემრე, გვიან გავხდით. ზამთარში, ხიბალ-კუდიანობა რო ვიცით, მაშინ ჩვენი პაპა გასულიყო სოფლის გარეთა და სოფლისკე ისარი გამოესრია. ის ისარი ერთი სახლის სარკმელს დახკვალვებიყო, შევარდნილიყო და აკავანში მწოლარე ბალღს დაშჭედებიყო. იმ კაცს, იმ ბალღის მამას, არც თვითონ ამოეღო ხმა და არც ცოლისთვის ამოეღებინებინა. ის ისარი აეღო და მეორე დღეს საანჯმოში გამოეტანა. ეთქვა, რო, კაცო, ნეტა ეს ისარი ვინ გამოისრია სოფლისკენაო, რა უჯანო ყოფილაო, ემანდ გზაში ჩამოვარდნილაო. ჩვენ პაპას მიეწვადა ხელი, „აბა, მაჩვენეო,

ეგ ხო ჩემი ისარიაო." „— ჰო შენი ისარიაო და წამოდიო. მაშ ის ბალღიც შენი მოკლულიაო."

აბა, მაშინ ხო დაჭერა და რამე არ იყო. სოფელს გაესამართლებინა და ეთქვა, რო რა უყოთ ამ ხალხსაო. რა უყოთო და გავასახლოთო. მთელი ჩვენი საგვარეულო, მთელი თიოენი მაშინ გაესახლა. ერთი ბალღი დამრჩალიყო მაშინა და ჩვენ იმ ბალღისები მოვდით ეს ომალოელი გულუხაანი.

აქედან ნასული ხალხიო უკანამხარში ცხოვრობსო, იციან, მთელი ნახევარი სოფელი ყოფილა. აქედანვე ბევრნი ნასულან. ცხრაო მარტო აკვანი წაილესო, გამიგია. ის ერთი ბალღი როგორ დარჩა, სოფელმაც ინტერესი გასწია, რო ეს ერთი მაინც დარჩესო, თუ ცხვარ-ძროხაში იყო და ისე დარჩა, ეგ კი ვერ ვიცი. იმ ბალღიდან რო მოვდივართ კი, ეგ კარგად ვიცი.

ცოც. გიორგ. 38-39

# 379. ღამე საქვაბეში

წინავე, ეხლა სადაც სოფელია, დოჭუ იქ არა ყოფილა, მაღლა ყოფილა, სახეოს. ერთი კაცი წამოსულა სანადიროდ, დაღამებია. ეხლა სადაც დოჭუელების საქვაბეა, იქ დაწოლილა, დაზძინებია კიდეც. მეორე დღეს ასულა სოფელშია და ხალხისთვის დაუწყია, რომაო, მეო იქაო საფუვრის სული მომდიოდაო, ხატიო იქ დასახლებასა გვთხოვსო. ხალხმაც დაუჯერა. იქ სახეოდან აიყარნენ და ქვევით ჩასახლდნენ. ეგრე გაკეთდა დოჭუს სოფელი.

ცოც. გიორგ. 37

# 380. ჰელოს წარმოშობა

ეხლა რო ჰელოა, წინათ სოფელი იქ არა ყოფილა, ცოტა იქით ყოფილა და ბოჭორნა ხქვივნებია. ერთ დროს ამ ბოჭორნას სატკივარი გაჩენილა და მთელი სოფელი განყვეტილა. დამმარხავი რო აღარავინ ყოფილა, ხალხი თავად შედენილა კალდიმებში და იქ ხოცილა. ხალხი გათავებულა. იმ კალდიმებში აღარავინ შედი-გამოდის. ერთ მემცხვარეს იქ ახლოს ცხვარი უძოვებია და თურმე მთელი დღე ბალღის ტირილი მიზდის. უგდებს ყურს, კალდიმაში ბალღი ტირის. ველარ გაზძლო და თქვა, რაც მომივა, მომივიდესო, ეგ ბალღი

უნდა გამოვიყვანოო. შევიდა. აკავანზე დედაა ჩამკვდარი, ძუძუზე ბალღი ხყავ მობმული და რძე რო აღარ გამოზდის, ტირის. გამოიყვანა. გაზარდეს. ბიჭი იყო. რო გაიზარდა, ხპატრონდა იმ თავის მინამამულს, ოღონდ იქვე აღარ დასახლდა, ცოტა აქეთ დასახლდა. იმის ჩამომავლობამაც იქვე გააკეთა სახლები და გაკეთდა ახალი სოფელი — ჰეღო. ეხლა ბევრნი არიან იმის ჩამომავლები, ეგ ბუღრიანებიც იმისებია, ფადიანებიც იყვნეს კიდე პანკისში...

ცოც. გიორგ. 37-38

## 381. მტკაველისტოლა კაცი

ქალთვაკეს მემცხვარეებს ენახვ მტკაველისტოლა კაცი. ქოქვესაკ მოდენილიყვ, მაგრამევ არც კი ეტყობოდავ რომაივ. მემცხვარეს ეკითხ, სიდ ნახვავ. დართლოს დალევადავ, ეთქვ. მემრ აგთა რომით როდის უნდ ჩახვიდევ დართლომდინასევ, ეთქვ მემცხვარეს. როცა გინდ ჩავიდევ, სამს წელს ხო ჩავალივ. მართლეც სამ წლის მემრ მოღრევიყვ დართლოელთ ჭირი დ' სუ დახოცილიყვნეს. დართლოელნ ისთან ყოფილიყვნეს, რო სტუმარ მუვიდოდა დ' ფაფაში ერბოს ჩუდებდეს. სტუმარი რო აღარ შჭამდ, ერბოს გადასწურევდესა დ' ჯალაბთ ისთა უერბოას აჭმევდეს. ზეს ან ცხვა რას ხო არ აჭმევდეს ჯალაბთ, სველის მეტს არაფერს აჭმევდეს. დართლოელნივ ჯალაბთ ცოდვამ განწყვიტავ, იციან.

აზიკ. 111

## 382. სულის ძიება

ჩემ ბალღობას გადავარდ დიკლოს ერთი კაცი, ზამთრის, ქუჩობ წარსული, თლუმა ექვივნ. მემრ ზაფხულის, როს ხევსურებ მოიდნეს, წავიდნეს სულის მოყვანად. ხაპრო გახყვ, ვინც იქ ეტან გადავარდნასა-დ' ვინც იცოდა, სი დალი იმ კაცმ სული. პირდაპირ გაჭენდავ, გაჭენდავ, იამბის ხაპრომ, გაჭენდაო'დ სიდაც თლუმამ სულ დალიავ, ი'ქავ ბორტვს დუ'წყოვ გლეჯაივ. მემრ, იქამ რა'რა ჩი'დინეს, აბ, მე ვერა ვიცი-დ ის კი მახსონს, რომ შემოჩინდნეს. წინ ხაპრო მოვიდოდის შიშველა' ხმლის ქნევითა-დ თან თქვის: „მოვალთ და მოგვყავ თლუმაის სული. მოხყავის კარატის ჯვარსავ". ხევსურმ დროშა'

შა'ჟღრიალის. ჲაგთა'ნ მოვიდნეს ფეხჩქარადა-დ ზედ იმ თლუმაანთ სახლის ბანზედ შეცვივდნეს. იქ იმ ხევსურმ საკლავ დაკლა-დ დაბლ გადმოღრეკ.

ცოც. გიორგ. 144

## 383. უჩინ-მაჩინის ჩაჩი

ერთხენ თურმე გარა თურსიეხსთან ნადირობს. უცბათ ქალის კივილ გაღგონიყვ, გაქცეულიყვ. ალბათ ტყვეებ თურ მიუდისა-დ დავაყრევიოვ. რას ხედავს, მგელს ქალ დაუჭერავ. მეკლ გარას ის მგელი. ქალ ეშმაკ ყოფილიყვ. ეთქვ, რომევ ჩემ დედ-მამასავ მეაია ვხყევარივ. ვიცივ, არას დაგეშინებაო-დ მოდილავ, ჩვენს წავიდნ-ეთავ. რო მივალთავ, წამიშლებიანავ: ითის დარცალის გარა მოი-დავ. შენავ არასიდისაკ არ მიიხედოვ, სიდისაკეც მე წავალივ, იქისაკ მოხვიდივ. შინ რო მივალთავ, მეავ სუ ყველ-ყველას უამბობავ. ისენ გკითხვენავ, რა მოგცეთავ, რა გინდავ. შენ უთხრიდივ, უჩინ-მაჩინის ჩაჩ მომეცითავ, ცხვა არაიც არ მინდავ. არ შიძლებავ, რო არ მოგცე-ნავ. ისიცავ წამოსვლის დროსავ ფეხზე ამდგარმ უთხრიდივ, ცხვა ხმა არ ამიღოვ. მივიდნეს. გარამ ჩაჩ სთხოვ. გამუტანესა-დ თან უთხრეს, ენა გახხმესავ, ვინაცავ შენ ეგ გასწავლავ. ის ჩაჩ თურმე შვიდ ცხ-ენიან კაცს ეფარებოდ.

ერთხენ ხარჯ ყოფილიყო-დ ხალხ თურმე ტირსა-დ დალაობა დაწყებულივ. თურმე ხუთ კაც იქ ხყუდავ თავის ცხენზეითა-დ ვე-რავინ ვერ ხედავს. მემრ ცხენს ჩორე დეყარა-დ ისია დაჩენილიყვ.

აზიკ. 106-107

## 384. ინანი

ერთ ქალ წისქვილ ყოფილიყვ, ინან ხქვივნებიყვ. იქ დაზძინები-ყო დ' ერთხენა'რადარ დაორსულებულიყვ. ვერც იცის, ვისაი, ვინ და'ორსულ. მუცელ რო შესტყობიყვ, დედას შინითა გამე'გდუ, შენავ რად შეგვარცხვინევ, სიდაც დაორსულდივ, ადექიო-დ იქავ წედივ. წასრულიყვ ეს ქალ ასთა' ტირილით იქავ წისქვილად, ეძახ: „ტყენოვ, კდენოვ, ღრენოვ, რა'ნიმ ხართავ, ჯვარნიმ ხართაავ, ეშმაკნიმეავ, ქაჯნიმეავ, კაცნიმეავ, რა'თაც ჲაგრ გამაუბედურეთავ, თავადავ

ჩამიბარეთავ". ერთხენა'ერთ კდე გაღებულიყვ, ერთ ნაბდიან კაც გამოსრულიყვ, მე'ხვი ქალისად ხელი, შე'ყვანა დ კდე გარევ დახურულიყვ.

მემრ დედას შეღნანებიყვ ქალის გაგდებაჲ, მთელ ხევ-ჭალა'თ თურ ივლის, „ინანივ", ძახილით. ერთხენაც იმ წისქვილისაკ გე'არა დ' ერთ კდის ძირშიავ დალაოგა'შიავ ინან იჯდავ, იქი-აქისევ ორ ოქროს აკავან ედგავ, იმა'ებს აქანებდავ, თან მღეროდავ:

ინანის დედა ინანდა ინანის გამოგდებასავ,
ინან კი არას ინანდავ ოქროს აკავნის რწებასავ.

ტყუბ ბიჭა'ებ დე'ჩინნეს, ოქროს ქუჩუმიანები. დედა რო ენახვ, მე'ვლვ აკავნებისად ხელი, კდე გახსნილიყო-დ ინან შიგ შესრულიყვ. მემრ კდე გარევ გამთელებულიყვ.

ცოც. გიორგ. 91-92

## 385. ნაწილიანი ცხენი

ერთი ჩვენი პაპა ყოფილა, ბახტური, ძალიან მეომარი და მელეკე კაცი, ბარმას ძახნილან, ალბათ ცალთვალა' თუ იყო-დ მით თუ ეძახდეს ბარმას. ამ ბარმა ბახტურს ცხენი ხყვანია ნაწილიანი, გულთმისანი. თურმე ჯარ რო სადმე ჩამოდგებ თუშეთა-დ ომის ხმა დავარდება, ამ ბახტურის ცხენ გი'გებსა და ჭიხვინადა-დ ტოტის ცემად შედგებ. ხოდა ბახტურმა უკვე იცის, რო სადღაც ომია, შეჯდებ ცხენზე, გაუშვებსა დ' თავად მიიყვანს ომის კარს.

ერთხენაც ნადილი'ურთას წოლილა ეს ბახტური და ზძინებია. ცხენიც იქავ ხყავ, რაღა თქმა უნდ. ამ დროს ხისოს დიდოს ჯარ ჩამომდგარ. გაუგია ამ ცხენს, დაუწყია ჭიხვინი, ტოტის ცემა, მაგრ პატრონს არ გაღვიძები. მემრ მისულა ეს ცხენი და ფეხის თითნიკა'ზე უკმენავ. გაღვიძებია ბახტურსა და „შე ოხერ ცხენო, რა'იმ გინდაო", შემჯდარა-დ გაუშვი. წასულა ეს ცხენი. მანდ ბუხურთის იქის რო გასულა, დავითა'ანთ ბოსლის აქეთ, იმ ღრმა ხევში, გამალებულს ველარ მუ'ხვიავა და პირდაპირ გაფრენილ ამ ხევზე.

ჩვენ პაპებთ იცოდიან, რომევ ჩვენ მოსწრებასაო ისევ ეტყობოდისავ კდეზეავ ნალის დანაკრავივ. ჲახლაც ამ ადგილს ბახტურცხენ-განაფრინდომს ეძახიან ბუხურელნი.

ცოც. გიორგ. 173

## 386. სამკალს დარჩენილი აკვანი

ერთ გირეველ დია'ცს ყანა უმკი მათიგოს. მათიგო საყანე ადგილი სოფლითა კარგადაე'ვ შორედა'ი, რამდენიმე გორიკა'ის იქისი. აკავანიც თან ხქონი წალებული. თურმე მოსარჩოა' ყანა აქვა-დ ეშურებ, რო მოვრშჩელავ, ხვალ აკავნის მოღება ამსიშორეზე აღარ მომინდესავ. მორშჩ რა'გვერც იქნა მუშა'ობას, წამოკრიფ ბარგებ, წამიკიდა დ' წამოიდ, აკავან იქავ დარშჩ. შინ რო მოიდ, მემრია' მაგონდ აკავანი. ქმარ მოსრულ ცხვრითაიდ' თან სტუმრებიც მუ'ყვანავ. მარჯე ქმარ ხყავ, ვერც ეტყვის, აშინებს, ძროხებ დაწველ, ქმარსა-დ სტუმრებს აჭმი, და'ძინა დ' მემრია'ირბი აკვანისად. მათიგოს გორს რო გადავიდ, ნახ, რო აკავანს შუქ ადგასა-დ სამნ ჩალგურგურებენ:

> ნანა, საკმა ქალა'საო, სამკალ განირულა'საო,
> დედა მოა დ' ძიძა'ს მუ'ტანს, ზია'გატენილა'საო.

მემრ ამ ქალა'ისად სამკა' დე'ქვივნა დ' ეშმაკის ნათლულიავ, თურმე იცოდიან.

ცოც. გიორგ. 175

## 387. ნადირთ პატრონები

ერთ მონადირე წასრულიყვ სანადიროდ. ზდი, ზდია-დ ვერ მოკლ, სუ უცდების, რო დაღამებიყვ, იქავ დაწოლილიყვ. რო დაწოლილიყვ, პირჯვარ გადეწერა-დ ეთქვ: „ადგილის დედაოვ, შენ დამიფარევ, შენ გებარებოდევ."

შორს სიდამ ცეცხლ გამოჩენილიყვ. იქითან თურ ეძახიან ადგილის დედას: „ადგილის დედაო, მოდილავ, ჩვენთანა მოდი. არავ, ვერ მოალივ, სტუმარ მყავისავ." თურ ის ეძახის. ისივ მიყვანეო-დ მოდივ, ეძახ იქითა. წასრულიყვნეს, მისრულიყვნეს. მონადირეებ ყოფილიყვნეს, ნადირების პატრონები. ნადირებს თურ ერთ წელს ქალებ ხპატრონობენა-დ მეორეს წელს ბიჭები. ბიჭების წელსავ, იციან, ნადირ მეტ იხოცებავ. ბიჭებ ბრიყვებიავ, გონთ ყურს არ უგდებენავ. ქალების წელს კიავ სუც ნადირ არ იხოცებავ.

მონადირეებს მერეკ ნადირი, დეჭირ ერთი-დ დეკლ. მემრ ერთ მონადირეს ეთქვ: დღესავ ერთ მონადირემავ მეტა ზდიავ ნადირსავ, მაგრ ვერ მოკლავ. თოფს რო ასრევდავ, რკინის ნიჩაფს ვახვედრებდივ ტყვიასაო-დ ვაცდენდივ. მეხარშ ჯიხვი, ეჭამ. მემრ ძვლებ დეგროვა-დ ერთ ბეჭ დახკლებიყვ. იმ მონადირეს დემალ. ეკვლი, ეკვ-

ლია-დ რო ვეღარ მეხელ, ხისა გამეთალა-დ დედვ. მიერტყ-მოერტყ წკეპლაი-დ ცოცხალ ჯიხვ წამომდგარიყვ.

მემრ მეორედ რო წასრულიყვ ის მონადირე, ის ხისბეჭიან ჯიხვ მეკლ.

აზიკ. 95-6

## 388. ბუდ ქცეული კაცი

გაბიდა'თ აბროან ზამთრის აქ, თუშეთ დგებოდეს. ჰოა-დ შემოდგომის დროს ერთ კრუხს წიწილაე'ებ გამე'ჩეკ. წიწილა'ებ იქ კერა'ზე ხყვანიყვნეს, თავადაც იქ მსხდარიყვნესა დ' ერთხენა' ერთ ბუვ სიდითაიმ მოარდნილიყო-დ იმ კრუხს დასთელებიყვ. ამ აბროს დე'ჭირ ის ბუვი დ' დე'ბ. ორ-სამ დღეს ისთა'დამბულ ხყვანიყვ. ახლოს რო წავიდნიდთავ, სუ ზედ გვეტევებოდავ, ისთა' საშინელა' რა'იმ ყოფილ. მემრ ეთქვ, რომევ, ეს რა'ისად გვინდავ ასთა' დამბულიო დ' გე'შვ. გუ'შვითაო დ' რო გაფრინდავ, ალიზგორის სწორა'რო გავიდავ, სამჯერ მირგველ შემუ'არაო დ' მემრია' წავიდავ, პირიქითისაკ, დართლოს მხარეს გაფრინდავ.

გავიდ რამდენიმე ხანი დ' ისივ შემოდგომაიად' დია'ცისად ეთქვ აბროს, რომევ, ერთნიო წისქვილ წავიდნეთაო-დ ერთთავ კიდე ეგ არაყ გავაყენოთავ. დია'ცს ეთქვ, რომევ მეავ არაყს გავაყენებავ, წისქვილ ვერას წავალიო დ' შენავ წისქვილ წედივ. თურმე ავალის წყალზე ეს დია'ცი-დ რო მიდის, თუნგით წყალ უნდ მი'ღოს, უკვენისთისკითა გაჭენებულ ცხენის ფეხის ხმასავით გე'გონებ. ვაჲმე, ცხენინაავ, არლ ჩამლახოსავ, მი'ხედავსა დ' არაი. ჲაგრ ელვ წყალი. ერთ სამჯერ მე'ღოო დ' მემრ აბროიც მოსრულიყვ. ეთქვ ქმრისად, რომევ მეავ ჲაგრ რა'იმ მეჩვენებაო-დ მეავ წყალზე ვეღარ წავალივ, ეგ არაყიც შენავ გა'ყენევ. ცხვრის ნოტო ხყვანიყოდ' ბალღებ ყოფილიყვნეს იმ ნოტოსთანად' მეავ იმათ მივეშველებივ. წასრულიყვ ეს დია'ცი-დ გორზე რო გადასრულიყვ, რადარ მგელ მიხფრენი ამ ბალღებსად' თავპირზე ხრავს. გაჭენებულიყვ ეს დია'ციდ' ზედ გადახფარებიყვ ამ ბალღებს. ის მგელ კიდე, ძაღლებთ რო ჩამოცუცქა'ება იციან, ი'სრ თურმე ჩამუ'ჯდ თავს-თანად' ასწევს თავსად' ზედ თავ-პირზე შეღვარდებ. იმ ბალღებს რო მიზდენიყვ ცხვარი, ეს მგელ სიდითაიმ მოვარდნილიყოდ' ცალ მხარეზე რო ბალღებს მუ'დის, მეორე მხარეზე ეს მგელ მიზდევს. ის ბიჭა'თურმე ქვებს ასრევსად' რამდენჯერამ რო დახკრ, დასთელებიყოდ' ამ ბალღების გლეჯა დე'წყვ. ზედ ეს დია'ციც გადაჩენილიყო დ' იმ ბალღებს გადახფარებიყვ, ახლა იმას

შეღვარდებ კიდე. კოკლა'ითა ვისა'მ ეძახ, მე'შველენთავ, ემანდ ცხ-ვრებსაოდ' ბალღებსავ მგელ დე'რიავ, უშველეთავ. ეს ძახილ რო გაღგონიყვ, აბროს თოფ გამე'ტაცად' ის მგელ. მე'კლ, ცოლ-შვილნ შინ გამერეკნეს. ის ქალა'კი დამრჩალიყვ, დევდარა'თ სარა რომე, ჲეგე. ის დედაიდ' ბიჭა'ქალაქში გე'რეკნეს. იქ ექიმებს ცოფის წამალ გე'კეთად' დახოცილიყვენეს.

ის მგელ, კიდევ, წამე'ღვ. გე'ტყავა დ' ნატყვიარ არ ხქონიყვ, აგრია' ყოფილიყვ მკვდარი. მემრ მეორ-მესამე დღეს ამბავ მოსრული-ყვ, რომევ დართლოსავ ერთ კაც მოკვდავ, ნატყვიარ ხქონდავ, მემრ მკითხველა'ს ეთქვ, რომევ თქვენავ ავქარ დაგცემიათავ. ჯავრ ხქო-ნიავ თქვენზეავ ავქარსაოდ' ი'ს დაგცემიათავ, იმ დართლოელ კაცს ქალობას ი'ს აბროს ცოლ ეთხოვ, სამს წელსაც ეთხოვად' არ შე'რთოვ, ხუა დ' ი'ს ყოფილავ. ის ბუვ რო დაგეცათავ, ისიც ის იყოვ.

ცოც. გიორგ. 89-90

## 389. ხევსური თუშეთში

ბასოს მცხოვრებნი ხევსურეთიდან გადმოსულან. ერთ ხევ-სურს ბასოს ადგილას, იმ დროს იქ ტყე ყოფილა, ჯიხვი მოეკლა. დაბრუნებულა მამასთან და უთქვამ: „ჯიხვი იქ მოვკალ და კაი სასოფლე ადგილიაო". მამას უთქვამ: „ამ ჯიხვის ყვერში რაც ქერი ჩაეტევა, აბა ის წაიღე, დათესე და, თუ კარგად მოვიდა, კარგი სა-სოფლე იქნებაო".

წასულა შვილი და დაუთესია, შემოდგომაზე მოუმკია და გამოუფშვნეტია და ის ჯიხვის ტყავი პირთამდე აუვსია. მაშინ მამას უთქვამ: „კარგი ადგილი ყოფილა, წადი და დასახლდიო".

წამოსულა და დასახლებულა. გვარად ის ფიცხელაური ყოფი-ლა და აქედან არიან მისი ჩამომავალნი, რომელნიც დღეს იდიანად ან იდიძეებად იწერებიან. ბასოდან ეხლა ფარსმაში არიან გად-მოსახლებულები.

ბოჭ. 423-424

# 390. მგლის კერძი

ერთი დიაცი ყოფილა ორსული. ღამე სტუმრად მისულია ერთი კაცი და იქვე დამრჩალა დასაძინებლად. იმ ღამეს იმ დიაცს ბიჭი გაუჩენია. დედას დასძინებია და იმ სტუმარ კაცს ღვიძავს. შუაღამისას შემოსულან სამნი. დამსხდარან კარების პირშივე და დაუწყიათ გარიგება. ახლა იმ ახალგაჩენილ ბიჭს რა ბედი დავსწეროთო. ილაპარაკეს. ზოგი რა თქვეს, ზოგი — რა. ასე და ასე გაიზარდოსო, ესა და ეს თავს გადახდესო, ასეთი და ასეთი კაცი დადგესო. ბოლოს, ერთმა იკითხა, ეს კიო და ახლა სიკვდილი როგორღა დავუწეროთო, როგორ მოკვდესო. როგორ მოკვდესო და თავის ქორწილში მგელმა შეჭამოსო, მეორემ უთხრა. ადგნენ და წავიდნენ.

ეს ყველაფერი ხომ გაიგონა ამ სტუმარმა კაცმა და არავის არაფერი უთხრა, ოლონდ დედას კი შეეხვეწა, რო ეს ბალღიო მე მომანათვლინეთო. გამოვიდა ერთი კვირა და რა ხანი, მოიყვანეს ღვდელი, დაუძახეს ამ კაცსაც და მონათლეს ბალღი, როგორც წესია.

ახლა, თვალ-ყურს ადევნებს ეს ნათლია და ის ბალღი მართლაც ისე იზრდება, როგორც იმ ღამეს იმ ბედისმწერელთ დაუწერეს. გაიზარდა. გახდა საცოლე. უთხოვეს ცოლი. ქორწილში ნათლიაც დაჰპატიჟეს, რაღა თქმა უნდა.

ქორწილია. ნეფე-პატარძალნი ერთად სხედან და ეს ნათლია არა ჯდება, ფეხზე ტრიალებს, ელოდება რაღაცას. უცბად ატყდა ჩოჩქოლი. არიქა, მგელი, მგელიო. იძრო ამ ნათლიამ ხანჯალი და ნეფისკენ წამოსულ მგელს წინ გადაუდგა, მოკლა. თავი მოაჭრა, ტანს მოაშორა და მერეღა დაჯდა. თქვა, რომაო, აი, რატო არ ვჯდებოდიო. მეო ამ ბალღის დაბადებასაო იქ ვიყავიო და მესმოდაო, რომ ბედ-მწერელთაო თავის ქორწილში მგლის შეჭმა დასწერესო და იმას ვყარაულობდიო, რო ეს ჩემი ნათლული მგელს არ შეეჭამაო. დამშვიდდა, დაჯდა. ჩამოშოშმინდ-მოშოშმინდა ხალხიც, ქორწილი გაგრძელდა. იმ ნეფეს სული შეუწუხდა, ნეტა რა მგელი იყოო, მე რო უნდა შევეჭამეო. ცოტა ხანში ადგა და გავიდა. იმ მგლის თავი და ტანი იქვე ყრია ცალკ-ცალკე. მაშ, შენ უნდა შეგეჭამეო? იმ მგლის თავს კბილებში ფეხი მიარტყა. მიარტყა და და იმ მგლის კბილი ფეხის ჯიგვში შეერჭო. ეს ჭრილობა გაუავდა, გაუავდა, დაიამნა და მოკლა. თავის ანაწერას მაინც ვერ ასცდა.

ცოც. გიორგ. 169-170

## 391. ეშმაკის გუდა

ერთ დია'ც ნადენილიყვ წისქვილ. ის ადგილებ სუ ეშმაკებით ყოფილიყვ სამსვია'ი. გზისძირითა ვილაცას ემე'ძახ, რომევ ჰაშურა'სალ უთხრიდივ, ჰაგუნდა'მავ ბიჭა' გაგიჩინათავ. აბა, დღეივ ყოფილიყოდ' იმ დია'ცს არცა დაშინებულიყვოდ' არაფერი ნასრულიყვ ასთა' წისქვილ. აბა, იქ წყლის მიგდებაი, წისქვილის ჩახხმაი, იმის დართვაი-დ ამაობაში დაღვიწყებიყოც, მეაწავ ჲაგრ რა'მამ მიძახავ. რო დე'ს-მეჲსაქმად' დამჯდარიყვ, მემრია'მოღგონებიყოდ' თავისთვის დე'თქვ, რომევ ჰაშურა'სალ უთხრიდივ, ჰაგუნდა'მავ ბიჭა' გაგიჩინათავ, ეგემ რა'ს ექვივნავ ანამ რა'მ მიძახავ. თქმა ამისაიდ' „გუდა მახარობელსავ" ერთ ვისა'მ სამსვია' გუდა ამე'რეკ საღორეშიითაჲ. დაშინებიყვ ამ დია'ცს, წამე'ვლვ თავის ჭამიან გუდისად ხელიდ' რბეულიყვ შინისაკი. შინ რო წასრულიყვ, იქაია' გონად მოსრულიყვ, რო გუდას პირს მოხსნილიდ' სუ დაცლილი, რა'ზედაც ჴელ ეკიდ, იქაია' დამრჩალიყვ ერთ მჯიღ ოქროჲ. იმ ეშმაკს ოქროთ სამსვია' გუდა მაე'რეკ. ამას კიდე გულგახეთქილს თავის გუდის გონებით ის ეშმაკის გუდა გამე'ტაც.

ცოც. გიორგ. 83-84

## 392. კუდიანი დედაკაცი I

ერთხენავ ცხენებში ვიყავივ, იცოდის ერთ ბებერ კაცმ. კარგადა დაღამულ იყოო-დ ჯერ კი არ დამძინებიყოვ. ბუწკნარიან რაღაცა ადგილ იყოვ. ცოტა ხანა გამოიდაო-დ ერთ დიაც გამოჩინდავ სოფლისკითაივ, მთელაივ გატიტვლდავ, მიწაზე აგორდავ, მგლად იქცაო-დ ქოქვესაკ გიქცავ. ქოქვესკითაივ მედინავ ძაღლების ყეფაიოდ თოფების ხლაივ, ხალხის ყვირილივ. იმ დიაცმ რო ტანისამოს გიხადავ, ჯაგში დამალავ. მე ვიფიქრევ, მოდი, ამ სამოსებს მოვხპარავავ, რაგვერ ვერ გავიგებავ, ვინ იყოვ. ავილევ სამოსებივ, მოვიმარჯვევ ხანჯარიო-დ ასთა ვხყუდივარივ მგლის მოლოდინშიავ. პატა ხანა რო გავიდავ, ქოქვესკითა გამოჩინდავ ენაგადმოგდებულ მგელივ. იმ ადგილასავ მოიდავ, სიდაც სამოსებ გაწირავ, გარევ აგორდავ, დიაცადავ იქცავ. იკვლიავ სამოსებიო-დ რო ველარ მოხელავ, გაგორდავ მიწაზეაო-დ გარევ მგლად იქცავ. მოვიდაო-დ დამირბინავ. ხან ერთკისკითა მომვარდებაო-დ ხან ცხვაკისკითაივ. მე ხანჯარს ვიშველებაო-დ ახლოს არ უშვებავ, თან გულს ვიმაგრებავ, კაც არ ვარიავ, ამან რა უნდ მიზასავ. ვეუბნებივ, რო სულ ერთიავ, არ მოგცემავ,

სანამდ არ გამომეცხადებივ, ვინ ხარივ. დიდ ბძოლის მერევ ნავიდავ ცხვაკისაკევ, მიწაზე გადატრიალდავ, დიაცად იქცაო-დ სარცხვინაზე ხელდადებულ მოიდავ. მითხრავ, ხო გამოგეცხადევ, მაგრამევ თუ შენ თავისად კარგ გინდავ, არსად სთქვაავ. სიბერის დროს იმ კაცმ თქვის, ის დიაცივ ახლაც ცოცხალიავ, დაქორწილებულ შვილებ ხყვანავავ.

აზიკ. 108-109

## 393. კუდიანი დედაკაცი II

ერთი ფარსმანელი დედაკაცის ნალაპარაკევი გამიგონია, კუდიანი ყოფილიყო. რვანი ვიყავითო ამ პირიქითის ხეობაზედაო. წავისვიდითო ნაჩში ერბოო, გადავსხდნიდითო აკაზმულებზედაო და დართლოს წინ, კლდეებში დორაისხეველთან დავქუჩდნიდითო. დორაისხეველისაგან გვქონდისო დავალებულიო, რო შენო აქა და აქ ამასა და ამას დაარიალებო, ამასა და ამას დახვდებიო, გააგიჟებო, ან კდეთ გადააგდებო, ამას ცხვარს შეუჭამ, ამას — ცხენსო, მავანს მეხს დასცემ, წყალში ჩააგდებო და კიდევ, ვინ იცის, რასო. ხო და იმ დედაკაცმა ერთი ცხვარი ბიძაჩემსაც შეუჭამა. ფარსმის წინ ბერნ-ბატკანი ხყვანია. მიაყოლებს თურმე საღამოსხან საბინაოსკე, უნდა ჩამოაყენოს. გვიანია, მზე ჩადის. ამ დროს ფარსმიდან ერთი დედაკაცი წამოვიდა. წისქვილებია, იმ წისქვილებს გამოსცდა და პირდაპირ ამ ცხვრისკე წამოვიდა. კაცო, იფიქრა ამ კაცმა, ამ ღამებას ამ დედაკაცს აქ რა უნდა, ეგ ფარსაკი არ იქნებაო და დაუწყო ყურება, თან კდეს ამოეფარა. მოვიდა, მოვიდა ახლოს და თან აქეთ-იქით იყურებაო, მე მიკვლევსო. რო ვერ მნახაო, ერთი გაგორდ-გამოგორდაო და მგელი წამოდგაო. ეცა ერთ კაი შიშაქსაო და გადააფარა ხევშიო. მეო ჩქარა-ჩქარა ჩამოვაქუჩე ცხვარი საბინაოზედაო და წამოვედი ფარსმისკეო, რო როგორმე სახლში შევასწროო და წინ დავხვდეო, ერთი რას მეტყვისო. მართლაც შევასწარიო და ამ დროს ისიც წისქვილების მხრიდან გამოჩნდაო. დიაცებმა ხკითხესო, რო ამ ღამებასო წისქვილში რა გინდოდაო და არაო, წისქვილში არა ვყოფილვარო, აქლა ვიყავიო. მე უთხარიო, რო მე ხო დაგინახეო, რო წისქვილების მხრიდან მოხვედიო და არაო, სადაო. შე წყეულოო, ის ცხვარი რად შამიჭამეო, უთხარიო და დაიწყო ტირილიო, არაო, სადაო. ერთ ამბავში ჩავარდაო.

მემრე ერთი დროა და მთიდან ჩამოვედი ალვანშიო. ცხენი გადავიყვანე ტყის მხარესაო და იქ ბალახზე დავაბიო. საღამოხანსო

მივდივარ ადგილცვლადაო და ერთიანადო ერთი დიდი შავი ძაღლი გადმოხტა ლობეზედაო და დამეტიაო, რო პირდაპირ შესაჭმელად იწევსო. ამოვიღე ხანჯარი, მოუქნიეო და შუბლში მოვარტყიო. მაგრად კი ვერ მოვარტყიო, მაგრამ გაეჭრა კიო. ერთი დაიწკმუტუნა, ისევ ლობეზე გადახტაო და შეეფარაო. შინ რო მივედიო, მამაჩემმა მითხრაო, რა მოგივიდაო, რატო ეგეთი ფერი გძესო. მე უთხარიო, რო ეგრე, ეგრეო, აქაო ერთი ძაღლი გადმომიხტაო და კინაღამ შემჭამაო. ოხ, ეგ წყეულიო, თქვაო, იქო ის დიაცი ცხოვრობსო და ნამდვილად ის იქნებოდაო. აბა, წავიდეთო. წავედითო და დაუძახაო მამაჩემმაო, რო აბა, გარეთ გამოდიო, საქმე მაქვსო. არაო, შიგნიდან დაიძახაო, ვწევარო, ვერ გამოვალო. მივატანეთ კარებსო და დაკეტილიაო.

ადექიო, კარები გაგვიღეო, ჩვენ შემოვალთო და არაო, ვერ ავდგებიო, კარებს ვერ გავაღებო. ფანჯარა ჩავამტვრიეთო, შევედითო და თავშეხვეული ლოგინში წევსო. თავზე რა მოგივიდაო, მამაჩემმაო და ვერ ვიციო, ნებიერა ამტკივდაო. მოღგლიჯაო მამაჩემმა სახვევაო და შუბლშიო ჩემი ნახანჯრალი ხქონდაო. უთხარიო, რო, ქალოო, აღარ შემეშვებიო, აღარ უნდა გამანებო თავიო და მემრე კი გატყდაო, გამომჟღავნდაო, აღარა ჩარა დაედვაო. მომჭამე ჭირიო, მითხრაო, ის ცხვარიც მე შეგიჭამეო და წელანაც მე დაგაშინეო.

რაკი ერთი გატყდება და გამჟღავნდება, იმასო ძალა აღარა აქვსო, იციან, კუდიანი აღარ არისო. მემრე კი ილაპარაკის ყველაფერი, რო ეგრე და ეგრე ვშვრებოდითო.

ცოც. გიორგ. 87-89

## 394. შეთე და ეშმაკი

ცნობილი გმირი, ქუმელაურთელი შეთე გულუხაიძე, წისქვილში ყოფილა ხოშანის ჭალაში. ცეცხლის პირას მჯდარა. ამ დროს ერთ ახალგაზრდა ქალს შეუღია წისქვილის კარი, შესულა და თურმე სხვასაც ეპატიჟება: „მოდიღავ, მოდივ, შეთეს რა კარგა ცეცხლ უნთიავ, პატაიღ დავთბნეთავ". შეხედა შეთემ და ქალს ფეხები უკუღმა ასხია. „აი, შენი თესლი კი გაქრაო," წამოავლო შეთემ მუგუზალს ხელი და მოუქნია. ეშმაკმა მოასწრო და წისქვილის სალარეში გადახტა. გარედან მოისმა მეორე ქალის ხმა: „წინავ გითხარ, შუშანქალო, შეთე მარჯვე კაციავ, არ დი'შალე დ' შიგ შეხვედი, ნიგზურ'იც გასრიავ". სალარედან კი შუშან-ქალი ეხვეწება შეთეს: „ბერიკაცო, ბერიკაცო, სულით საცხონებელო, შენაწ მაინც არას გარგებს, ეგედ

ჩაჩი გადმომიგდევ!“ ნეტა რასა მთხოვს ეგ წყეულიო, მიმოიხედა შეთემ და ნახა, რომ ერთი ჯორის ჩლიქი გდია. ალბათ ეს არისო, აიღო და გადაუგდო. შუშან-ქალი გაჩუმდა. ეტყობა, გადახტომისას ჩაჩი მოსძვრა და შეთეს შიშით წასაღებად ველარ ამოდიოდა.

ცოც. გიორგ. 83

## 395. ეშმაკების ფერხული

გვიან ღამეით წისქვილიდან მოდენილა ალუდაიძე იროდი. კიწლურთ რუვსთან რო გადმოსულა, რასა ხედავს, ეშმაკებს ცეცხლი უნთიათ და ერულა ჩაუბამთ, გარშემო უვლიან ცეკვა-თამაშით. ესეც მიიპატიჟეს: „იროდი, მოდი, გათბი, შეციებული იქნებიო.“ იქიდან პირდაპირ ჩანს წითელთის ჯვარი. იროდის პირჯვარი გადაუწერია და შეხვეწნია: „წითელთის ჯვარო, აი, ეხლა მიშველე შენს ყმასაო.“ წამოსულა იქიდან ცეცხლის გირკალი, შიგ შუაში დაეცა და სუ მიფანტ-მოფანტა ის ეშმაკებიო.

მეორე წელს ალუდაიზეს ნაყოჩარი მიუყვანია წითელთის კარზე.

ცოც. გიორგ. 82

## 396. თუშები და ვეშაპი

თორმეტი თუში მექობაურის მეთაურობით სამზირლად წასულა ლეკეთში. რამდენიმე დღე-ღამის შემდეგ ისეთ ადგილს მიადგნენ თურმე, რომ ვერა გაიგეს რა გზისა. დადგნენ ერთ საკვირველ ნალენიან ტყეში და თან ჭაობიანში, ტაფობ ალაგში. შუაღამისას მძინარე თუშებს ერთი ჭანდრისოდენა გველეშაპი შამოჰხვევია, რომელსაც თავი ბოლოზე ედო. ვეშაპს რომ თუშებისთვის შეწუხება დაუტყვია, დაუწყია ლაქუცობა, ენით ფეხების ლოკა. მოხსნილა და ცოტა მოშორებით დაწოლილა. მერე თავის ალებით უნიშნებია, მომყევითო. გაჰყვნენ. იარეს. შაიფერხებდნენ თუშები, ვეშაპიც დადგებოდა. მიადგნენ ერთ დიდ წყალს, რო ვეფხვი ვერ დაეკარების. ვეშაპმა აიღო თავი და წყალს გაღმა ნაპირზე დადვა, ბოლო კი გამოღმა ჰქონდა. გაიდვა ხიდად და თუშებს ანიშნა, ჩემზე გამოიარეთო. მექობაური

შედგა ვეშაპის ბოლოზე და ისევ გადმოვიდა, თქვა: რბილიაო. მეორედ რომ ავიდა, ცოტად გამაგრებულიყო და ისევ გადმოვიდა. მესამედ რომ ასულა, ძალიან გამაგრებულიყო და მაშინ კი დაუძახა ამხანაგებს, მომყევითო. გავიდნენ წყალს გაღმა. იქ რო ტაფობში ტბა მდგარა, შიგ თურმე სხვა ვეშაპი ბუდობდა და გამვლელ-გამომვლელს შეუჭმელს არ უშვებდა. ერთბაშად ტბა აინდგრივა, აინძრა, ტბაშიგით ერთი გორისოდენი გველეშაპი გამოვარდა, რომელსაც ნახევარი ტანი მიწაზე არ ედვა, ისე მაღლა ეჭირა თავი, მოდის ისარივით ჩქარა, წივილით. ეს ვეშაპი კი მოუბრუნდა და თუშებს შველა სთხოვა, აიძაგრა, აიღო თავი მაღლა და წავიდა მტრისკენ. მიყვნენ უკან თუშებიც. შეხვდნენ ერთურთს ვეშაპნი, იბრძვიან თავგანწირულები სასიკვდილოდ. ტბიდან მოსული ვეშაპი ჯალდავს თუშების მეგობარ ვეშაპს. უთუოდ მოკლავს, ერევა. მექობაურმა უთხრა თუშებს: „არიქათ, თუშებო, ამ ჩვენს ვეშაპს უჭირს, ნუ მოვაკვლევინებთ, ხმლითა ვსცეთო." დაისვეს თუშებმა ხმლებს ხელები და სცეს ტბიდან მოსულ ვეშაპს. ბოლო მოსჭრეს, დაერივა ცოტა ვეშაპიც და მოკლეს დიდი ვეშაპი.

გამარჯვებულმა ვეშაპმა ანიშნა თუშებს, მომყევითო. წავიდნენ და მივიდნენ ერთ დიდ სოროსთან, სადაც დიდ ვეშაპს შვილები ჰყოლოდა. პატარა ვეშაპმა გაუწყვიტა შვილებიც. მაშინ იმ სოროშიგით გამოიღო ვეშაპმა თოფი ბუჩა, ხმალი ფრანგული და სხვა და სხვა აბჯარი, და მისცა თუშებს, გამაუძღვა და გზაზე დააყენა.

ეს გველეშაპის სოროდან გამოტანილი ბუჩა ახლა მთის იქით, გუროში, არის. ის ხმალიც ფრანგული ქალუნდაურს ჰქონია. მერე ისევ თუშებს წაუღიათ, ქალუნდაური რომ მოუკლავთ.

შან. ხევს. 397-398

# ხევი

## 397. ბეთლემი I

მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი, გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა. გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქუაბისაგან და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ, და სხუათაცა საკვირველთა. არამედ ვდუმებ.

ვახუშტი 357-358

## 398. ბეთლემი II

იოსებ მოხევე, მღვდელი. ესე ფრიად სიწმიდის მოყვარე და მემარხული, რომელ ყოვლგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა, და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამისა, მამათმთავრისა, რომელ ჯერეთცა არვინ აღსრულ არს მთასა მას. მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარავისა მის. და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა.

კალმასობა 210-211

## 399. ბეთლემის საყდარი

უწინ გერგეტის უდაბნოში ყოფილა ერთი განთქმული მონადირე და ღვთისმოყვარე ბერი, სახელად მამუკა. ერთ ღამეს მამუკას ძილში გამოეცხადა სპეტაკი სამოსელით მოსილი, მზესავით ელვარე ჭაბუკი. მამუკამ თვალი ვერ გაუსწორა უცნობს, მან კი ანგელოზური ტკბილი ხმით უთხრა: „ნუ გეშინია, მამუკავ, მე ვარ ბეთლემის წმიდა გიორგი. შენი ღვთისმოსაობა ღირსადა გხდის იხილო ჩემი საბრძანებელი მყინვარზეო. წაიყოლე ერთი ვინმე, ვისაც შენ მოისურვებ, თან საკიდელი წაიღე და წადიო"...

ვიდრე გზას გაუდგებოდა, მამუკა სამების ეკლესიაში ავიდა სალოცავად და განსაწმენდად. იქ მარხულობდა, ყოველდღე რძეში განიბანებოდა და ლოცულობდა. ბოლოს, შვიდი დღე და შვიდი ღამე რომ შეასრულა, დილაადრიანად, მზის ამოსვლამდე გაუდგა გზას. თან თავისი ძმისწული, თვრამეტი წლის ყმაწვილი წაიყოლა. მესამე დღეს მიადგნენ ერთს ისეთ ყინულიან კლდეს, რომელზედაც თუ ჩაფრინდებოდა კაცი, თორემ ჩასვლით ვერ ჩავიდოდა. მამუკამ საკიდლის ერთი ბოლო თავის ძმისწულს მისცა ხელში, მეორეს თავად მოეჭიდა და დაიწყო ჩასვლა. უკვე ძირს იყო ჩასული, რომ ყმაწვილს ხელიდან გაუსხლტა საკიდლის ბოლო და მამუკას თან ჩაჰყვა საკიდელი და უკან ამოსვლის იმედიც გადაუწყდა. მამუკამ ანუგეშა სასოწარკვეთილი ძმისწული: „ალბათ ასეთია წმიდა გიორგის ნება, რომ უკან აღარ ამოვიდეო. ნუ სტირი, მანდ მომიცადე, სანამ მოვბრუნდებიო."

ორი დღე და ორი ღამე ელოდა ძმისწული ბიძას. მესამე დღეს გამოჩნდა მამუკა და ეს უამბო ყმაწვილს:

„ვიხილე ბეთლემის საყდარი, შეგეწიოს იმისი მადლი. იმაზე მშვენიერი და გასაოცარი სიზმარშიც არაფერი მინახავს. საყდარი ერთ უშველებელ, თივის ბულულასავით მომრგვალებულ, სულ მთლად ლუსკუმ ყინულის მთაზე დგას. მთისძირიდან წვერამდე შიგ ყინულში გამოკვეთილი კიბე აუყვება. ვახსენე ღმერთი, ხევის ანგელოზები, წმიდა გიორგი, გადავიწერე პირჯვარი და შევუდექი კიბეს. კიბე რომ ავათავე, თვალწინ უფრო გასაოცარი სანახაობა წარმომიდგა: მთის წვერი საგანგებოდ გადაჭრილს ჰგავდა. კალოსავით მრგვალი და ხელისგულივით მოსწორებული ვაკე ისე ლაპლაპებდა მზეზე, რომ გაყინული ტბა გეგონებოდა. მოვავლე ირგვლივ თვალი და დავინახე მთელი ცისკიდური — ზღვა და ხმელეთი. ჩავიხედე ძირს ყინულის სარკეში და დავინახე ქვესკნელი. ამ ყინულის კალოზე დგას ბეთლემის ეკლესია — წმიდა გიორგის საბრძანებელი. აქედან გადმოჰყურებს ის ჩვენ ცოდვილ ქვეყანას. შევედი საყდარში და ისე გავოგნდი სანახავისგან, რომ კარგა ხანს ნაბიჯი ვერ გადავდგი წინ. ეკლესიას გუმბათი ვარსკვლავებისა აქვს, იატაკი სულ თვალ-მარგალიტით არის მოჭედილი. შუაგულ იატაკზე ოქროს აკვანი დგას, ისიც პატიოსანი ქვებით მოოჭვილი, ზედ მტრედი აზის და არწევს. საკურთხეველში ერთი საკვირველება ვნახე, მაგრამ ნება არა მაქვს გამხელისა... ახლა კი, შინ წადი, შვილო, და, აი, თუ გსურს ოდესმე შენც ეღირსო იმის ხილვას, რაც მე ვიხილე, ცოდვას ნურასოდეს ჩაიდენ და, რაც მე ახლა გიამბე, იმასაც ნურავის ეტყვი".

გაბრუნდა ყმაწვილი უკან. სოფელში მისვლისას გულმა არ მოუთმინა და ყველაფერი უამბო დედ-მამას, და იმწამსვე დამუნჯდა.

ყაზბ.

## 400. მყინვარი, ბერები და ქალი

მყინვარჩი, გამოქვაბულჩი, ცხოვრობდეს ბერები. ისინი მზის შუქზე ხურჯინი გაჰკიდიანე. ის ხურჯინი ივსებოდა ღვთის შანევნითა, პურითა და მადლითა. აკვანი ედგათ. იმ აკვანზე იყო მტრედი. მამრე ის მტრედები ბერებს სამს მარცოლს მიუტანდნენ და იმით საზრდოობდეს.

ქალი ვინმე უზიდავდა წყალსა. გაუავდრდა და შანუხდა. მწყემსი შახვდა და შაეფარა. ველარ მივიდა გამოქვაბულჩი და ველარ მიუტანა წყალი კალათით, რადგან მწყემსთან ის მოტყუვდა და კალათამ წყალი აღარ დაიჭირა. ბერებიც მიხვდნენ, რო ღმერთი გაუწყრათ. აიყარნენ და წავიდეს მცხეთის ტაძარსა.

მთხრ. სოფიო პაპიაშვილი,
ჩამწ. მაყვალა კოჭლავაშვილი, სნო, 1983.

## 401. ბეთლემის ბერის შეცოდება

ყოფილა ერთი მონადირე, რომელიც მთელ თვეებს ნადირობაში ატარებდა თურმე. მისი ცოლი კი სახლში უქმროდ იტანჯებოდა. ერთ დღეს ქალს ქმრის ნახვა მონატრებია და ტყეში მის საძებრად წასულა. აქ მას შეხვედრია ბეთლემიდან მომავალი ერთი ბერი და დედაკაცი ამ ბერის სიყვარულით გამსჭვალულა. სულ იმაზე ფიქრობდა და ოცნებობდა, როგორმე ამ ბერის ალერსით დამტკბარიყო.

ბოლოს, ქალს ასეთი ხერხისათვის მიუმართავს: თავი მოუავადმყოფებია და ქმრისათვის უთქვამს: „ფითილის დახვევის დროს ბეთლემის ხატის მიზეზი გამამივიდა, მასთან შეხვეწილი ვარ და იქ სალოცავად უნდა წავიდეო." ქმარმა დაიჯერა, მოუმზადა სანირი და ორივენი ბეთლემის გზას გადგომიან. როცა მონასტერს მიუახლოვდენ, ცოლს უთქვამს, ხატის სანთელი სახლში დამრჩა. წადი, მოიტანე, მე აქ დაგიცდიო. ხატის შიშით ქმარი მაშინვე გაბრუნებულა. ამ დროს ჭექა-ქუხილი ამტყდარა, წამოსულა დიდი ნიაღვარი და ქალს ბერებისათვის თავშესაფარი უთხოვია. ბერებმა ქალი შეიბრალეს, ჯაჭვი ჩაუგდეს და სენაკში ამოიყვანეს. ქალმა აქ თვალი მოჰკრა თავის მოწონებულ ბერს და საქმე ისე მოაწყო, რომ მის სენაკში დააწვინეს. ბერი დიდხანს ებრძოდა ქალის მაცდურობას, მაგრამ ქალმა მაინც შეაცდინა.

გათენებისას ბერები გარეთ გამოსულან ქალის ქმრის ამოსაყვანად და ამ დროს დაუნახავთ თოვლით დაფარული უზარმაზარი მთა — მყინვარწვერი, რომელიც იმ ღამით ჩადენილი ცოდვის გამო ღმერთს აღუმართავს.

მაკ. ხევი 240-241

## 402. სამების დაარსება I

ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებს ერთმანეთში დავა ჰქონიათ თურმე, თუ სად უნდა აშენებულიყო წმიდა სამების ტაძარი. მაშინ მცხეთაში ერთი ბერიკაცი წამომდგარა და მათთვის მოუხსენებია:

— მეფენო, ფურბერწი დაკალით და მისი სამგორველი (ბეჭი) სოფლის ბოლოს დააგდეთ. მოვა შავი ყორანი და, სადაც გამოხრავს, სამებაც იქ ააშენეთო. მეფეებიც ასე მოქცეულან. ყორანი მართლაც მოფრენილა და წაუღია ეს სამგორველი. მდევრად ყორანს ხალხიც გაჰყოლია. ანანურის თავზე ყორანს დაუსვენია და აქ სამების ნიში აუგია. ყორანი აქედან ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილზე) დაფრენილა და აქაც ჯვარი აღუმართავთ. ბიდარიდან ყორანი გერგეტში გაფრენილა და ელოგეშის ნიშთან ცოტათი შეუსვენია და შემდეგ სამების წვერზე დაფრენილა. აქ ეს სამგორველი გამოუხრავს და ძვლებიც იქვე დაუყრია.

ახლა მეფეებს დავა იმაზე მოსვლიათ, თუ ვის უნდა ჩაეყარა საძირკველი პირველად. წამომდგარა ერთი კეთილი კაცი და უთქვამს:

— წადი ბიდარის მთაზე, სადაც სამების ჯვარია აღმართული და იქიდან ყველანი გამოიქეცით და, ვინც სამებაზე პირველად ავა, საძირეც იმან გაუჭრასო.

ასეც მოქცეულან და ყველანი, ცხენით თუ ფეხით, ბიდარის მთიდან გამოქცეულან. მათ შორის ერთი ხურთისელი კოჭლი ბაჩხიძე მთა-მთა მოკლე გზით გადმოსულა, სამების მთაზე ცხენოსნებზე წინ მისულა და სამების საძირკვლად იმას გაუჭრია. ამიტომ ახალწელიწადს გერგეტელები პირველად ამ ხურთისელ ბაჩხიძეს ამწყალობებენ.

ტაძრის ასაგები ქვა დევ-წიქარა ხარებს ყანობ-ხურთისიდან უზიდიათ, კალატოზებისთვის წყალი გერგეტის წყაროდან მეცხვარეს უზიდია. ამ წყაროს დღესაც კალატოზის წყაროს უწოდებენ. ამ მეცხვარეს თავისი სახე სამების სამრეკლოზე გამოუსახავს. მისი

ფარა მთაზე უმწყემსოდ ძოვდა თურმე და ნადირი არ ერჩოდა. ამ მეცხვარესაც სამების დეკანოზები ახალწელიწადს პირველად ამწყალობნებენ.

მაკ. ხევი 226-227

## 403. სამების დაარსება II

რჯულის წყობაჩიგა ეკლესია მაინდომეს სამმა ნეფემა: ქართლისამა, კახისამა და იმერეთისამა. ერთმანერთს ნება არ მისცეს: არა ჩემს საჴემწიფოში უნდა აშენდეს, ჩემჩიო და, არა, ჩემჩიო. იმათ მოცნიარნი ყვანდეს ამორჩეულნი. იმათ უთხრეს: თქვენ ძალას ნუ მოიჴმარებთ ერთმანეთშიაო. თქვენა ქორა ჴარი დაკალითო, გამოშჭერითო შვაძოლიო, მოვიდესო ხთისა ძალითო ყორანიო, წაილასო ის ლეშიო. საცა ის ლეში შაიჭმევაო და ძოლი დარჩებაო, იქ აშენდესო, რომენ საჴელმწიფოჩიგ იყოსო. დაკლეს ქორა ჴარი, იმათი ალთქმა არ გაამტყუნეს. გამოშჭრეს შვაძოლი. დადვეს მევედანზედა. მოვიდა ზეცით ყორანი, კრა ბლაჯი და წამოიღა. საცა დაისვენა და ჯვარი გააკეთეს. იქიდან გამოფრინდა და, აგე, ელოგეშს ვეტყვით, იქ დაისვენა. აფრინდა, აიღა ლეში და წავიდა. სუყველანი რო მოგროვდენ, სამნი სანეფო, მაშინ აფრინდა და წავიდა ზეითა. თქვეს, რომაო ეგ ზეთსროლს წავიდაო, დაიკარგა ჩვენი წოლებაო. ისი მაღლა წავიდა, რო აღარ ჩნდა. მამრე დაბრუნდა და დაუსწორდა გორსა, დაჯდა და ლეში შეჭამა და დააგდა ძოლი. დაამტკიცეს, რომაო აქ ინება ეკლესია ღმერთმაო.

აქ, მთაჩიგა, ეკლესიას ვინ ააშენებდა, თუ სამი ნეფე არ ყოფილიყო? გორგასლა მოთაური იყო, რადგან მის სანეფოჩი იყო.

შან. ხევს. 198

## 404. ხედენიში

ხედენიშში ღვინით წვიმდა თურმე და თეთრი პურით თოვდაო. მაგრამ ერთ უგუნურ დედაკაცს ხედენიშობას ეს ადგილი ბავშვისათვის წაუბილწინებია, ამაზე ხატი გაჯავრებულა და მიწაში ჩასულაო. ხალხს იქაურობა გადაუთხრია, მაგრამ ხატი ვერ უპოვნიათ. ბოლოს, ხატს მიწიდან ამოუძახნია: „ნუ იღლებით, რამდენ თოხს დაჰკრავთ, იმდენადაც მიწის სიღრმეში ჩავდივარო."

ამ ნათხარს გორაის ტბას უწოდებენ და დღესაც უჩვენებენ. ხედენიშის წმიდა გივარგიში 20 მკათათვეს დიდი ხატობა იმართებოდა. ხედენიშზეა ნათქვამი:

განჯას თუშნი ცხენებს სჭედენ, იძახიან გალობასა,
ბედრენაი შეესწრება ხედენიშთა ჯორობასა.

მაკ. ხევი 243

## 405. მფრინავი ღვთაება

### [ხევის სიონის ღვთაება მარტყოფში]

მღვთაება ერთხელ თურმე გაფრენილა და ის ანგელოზის სახით სისაურსა და ცოფურს ჩვენებია. ორივე ეს გვარი მას დასდევნებია და მღვთაება მარტყოფის კლდეში დაფრენილა და ისინიც აქვე დაბინავებულან. ეს ბერებს გაუგიათ, მარტყოფში მისულან და მოხევეებისათვის უკითხავთ მისი გადმოსვლის მიზეზი. მოხევეებს უპასუხნიათ, რომ აქ ჩვენი ხატის საბრძანისიაო. ბერები გამოქვაბულში შესულან და აქ მღვთაებისათვის თაყვანი უციათ. შემდეგ მისთვის მალულად ოქროს ძეწკვი შეუბამთ და ეს მღვთაება ტფილისში წაუბრძანებიათო და აქ მის საბრძანისად სიონის ტაძარი აუგიათო. მაგრამ ხატი აქაც არ დამდგარა და ისევ მარტყოფის კლდეში დაბრუნებულაო. ამიტომ, ხალხის რწმენით, მისი მთავარი საბრძანისი მარტყოფია, შემდეგ კი ხევისა და ტფილისის სიონიო.

მაკ. ხევი 217

## 406. სპარსანგელოზი

როდესაც სპარსელებს საქართველოდან ტყვეები წაუსხამთ, მათ შორის ერთი მოხევის ქალიც ყოფილა, ბავშვიანი. ქალი ათენგენობის წინა დღით აკვანთან მჯდარა დაღონებული და წვერისანგელოზობაზე ოცნებობდა თურმე. ამ დროს ჩვენებია ანგელოზი და უთქვამს: „ადექ, ნუ ტირი. თაროდან გამოიღე ჩემი საყურე და ხევის გზას გაუდექიო. დღე მე გმალავ და ღამე ჩემი შუქით გატარებო." იქვე ხარიც გაჩენილა, სპარსანგელოზი ხარის რქაზე დამჯდარა და ქალს წინ გაძღოლია.

სნოში ქალი ათენგენობას მისულა და მაშინვე წვერისანგელოზში ასულა. საყურე აქ ყოჩის ჯვრისთვის შეუბამს, ხარიც დაუკლავთ და სპარსანგელოზიც იქ დაფრენილაო. ამ დროიდან, ხალხური გადმოცემით, ათენგენის წვერისანგელოზს სპარსეთიდან მოსული ანგელოზის სახელი სპარსანგელოზი ეწოდაო. მაგრამ სპარსანგელოზი რაღაც მიზეზისა გამო აქ არ დგებოდა თურმე და დაფრინავდაო. ერთხელ ის ყუროსკენ გაფრენილა, მაგრამ მონადირე ვინმე გურაპეტს მოუხელავს და ისევ მოუყვანიაო. ამით გურაპეტს სპარსანგელოზი წილში ჩაუდვია და სპარსანგელოზობის ხუცობაში კურატის სამგორველს აძლევდნენ თურმე.

მაკ. ხევი 252

## 407. ათენგენობის ხატი I

ჩვენ სოფელჩი არის ერთი სალოცავი ხატი, რომელსაც ათენგენობას ეძახიან. ამ ხატზე ამბობენ, თურმე ეს ხატი ხევის ხალხს გამოუგზავნა ლომისამ. ამ ხატის ღმერთს ერქვა ათენგენო და უბრძანა, რომ რომელიმე მთის მწვერვალზე დასახლებულიყო და ხევის სოფლებისთვის თვალყური ედევნა. ამ ხატის საპატივცემულოდ გარბანის ხალხმა ააშენა ქვითკირის პატარა სალოცავი, სადაც ყოველ შემოდგომაზე ადიან. იკვლება მრავალი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

მთაჩი ამბობენ, თუ ამ საკლავს ეკლესიაში ნაკურთხებ ან შელოცვილ წვიმის წყალს არ გამოავლებ, საკლავს ღმერთი არ მიიღებსო.

მთხრ. ალ. წამალაიძე,
ჩამწ. რუსუდან ცანავა, გარბანი, 1979.
ფ. არქ. 321-ა 97

## 408. ათენგენობის ხატი II

სოფელ გარბნის მთაზე აშენებულია პატარა კოშკი. რომელსაც ათენგენობის ხატი ეწოდება. ამ ეკლესიაში ხალხი ეხლაც იყრის თავს და ლოცულობს. ძველად გარბნის ეკლესიიდან დაკარგულა ზარი, შემდეგ კი წმინდა გიორგის სურათი. ეს ხატი, რომელიც ახლა

არის, ლომისამ გამოგზავნა ხევის ხალხის დასაცავად და მთაზე იმიტომ არის აშენებული

მთხრ. ჯემალ ქუქიშვილი,
ჩამწ. კობა არაბული, გერგეტი. 13 ივლისი, 1965.
თსუფა 3460

## 409. ბრძოლა ხატისთვის

ჩვენ სოფელჩი არის ხატი, რომელსაც კვირაძლობას ვუწოდებთ. ეს ხატი არის თერგის პირას. ერთხელ ეს ხატი მოეტაცნა გაიბოტნელ კაცს, რომელსაც ლომაჲ ექვინა. ერთ ღამით გამოსულიყო ჩვენ სოფელჩი რამდენიმე შეიარაღებული კაცით და მოეპარა ეს ხატი და ჩუმათ თავის სოფელჩი წაეღა. როცა ირემას გაეგა, მოეკრიფა ჯარი და გაიბოტნელებს შესევიყო. გაიბოტნელებს შიშისაგან ამ ხატის მოტაცება ქისტებისათვის დაებრალათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ხატის ჯვარი გამოჩნდა გაიბოტნელების ეკლესიაში. შემდეგ გარბანელი ხალხი გასულიყვნენ ამ ჯვრის გამოსატანად და გაიბოტნელებს ეს ჯვარიც დაებრუნათ და კიდევ შესარიგებლად რამდენიმე ცხვარი და ძროხა გამოეყოლა, და დაედგა ამ ხატის ნიში გაიბოტნური ხატის პირდაპირ. და ეს ეკლესიაც არის თერგის მარცხენა მხარეს.

მთხრ. პელო მარსაგიშვილი,
ჩამწ. რუსუდან ცანავა, სიონი, 1979.
ფ. არქ. 321-ა 95

## 410. სახლის ანგელოზი I

როცა დედ-მამა დამეხოცა, მაშინ მე ბატარაი ვიყავი. მყვანდა და-ძმები. იმათ ვუვლიდი. მარტუები ვიყავით. ერთხელ საცრისთვინ აველ ჩემს რძალოსთანა. ჭერხოჩი სახლი ჰქონდა ბანიანი. კიბეზე რო ავიარე, დავინახე ლამაზი ქალი, ისით ჯერ ჩემ თოლებს არ ენახა. ქალს ეცო გრძელი საგულე თეთრი ფერისა და ეხურა თეთრი მანდილი. მე იმათი სტუმარი მეგონა და უთხარი: „რძალო შინ არის-მეთქი?" ეს რო უთხარ, დემეცქირა, ჴმა არ ამამიღა, მარტო დამბერა სახეზე. გულგახეთქილი შევარდი იმათ სახლჩი და უთხარ რძალსა: ეგე, მანდა ვიღაც უცხო ქალი არის-მეთქი. მან საცერი მომცა. მე კი

შიშით ველარ გავდიოდი. მითხრა: ნუ გეშინიან, ეგ არას გავნებსო. ეგ ჩვენი სახლის ანგელოზიაო. როცა გამოვდიოდი, იქ აღარა იყო რა.

მთხრ. ნინო ნამალაიძე,
ჩამწ. რუსუდან ცანავა, გარბანი, 1979.
ფ. არქ. 319 66

## 411. სახლის ანგელოზი II

ჩვენ გვქონდა სახლი გაწოლილი. ერთი ოთახი იყო საძინებელი, მეორე შასასვლელი. მე ბატარაი ვიყავ. ხენცაში რაისთვისღაც გამგზავნეს. იქ რო გავე, გავიხედე და კუნჭულაში ლამაზი ქალი ზის. ტანსაცმელი სულ ბუმბულის ჰქონდა. ახლოს მივე და ხელი გადაუსვი. იმან შამამხედა პირითა და ხელით მანიშნა, გამეცალეო. მე მაინც იქ ვიდექი. მემრე დამემუქრა, ხელი დამიქნია. მე შავშინდი და გავიქეცი. დავიწყე ტირილი. გამაცვივდეს ჩემი ძმები და კვლავ ვიღაც ბებერი დედაკაცი იყო. უამბე, როგორც იყო. რო გავედით, ის იმ ალაგას აღარ იყო. მემრე მითხრეს, ანგელოზი იქნებოდაო.

მთხრ. ნინო ნამალაიძე,
ჩამწ. რუსუდან ცანავა, გარბანი, 1979.
ფ. არქ. 31967

## 412. სეენჯას დაბრუნება I

სოფელ სნოში ოდესღაც უცხოვრია მომხიბლავი სილამაზის ქალს სეენჯა გოდერძიშვილს. ხევზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს ის მოუტაცნიათ სპარსელებს და გამოუმწყვდევიათ განჯის ციხეში. სეენჯას შვილი შესძენია. სამშობლოს მოშორებული ქალი თურმე აკვანზე მტირალი ალამებდა და ათენებდა. შემონახულია ხალხური ლექსის ფრაგმენტი, რომელიც გვამცნობს ტყვე ქალის გასაცდელს.

სეენჯას შემოუთვლია: განჯას თათარჩი ვჰყვივარო,
ღამით მიყრიან ბორკილსა, დღისით ჯაფაჩი ვჰყვივარო.
გარდამავალო ღრუბელო, წაიღე ჩემი თმანიო,
დაჰკიდე დარბაზის კარზე, აბრიალებდეს ქარიო,
გამვლელი და გამომვლელი ტიროდეს ჩემი სწორიო.

ერთ ღამეს, როდესაც ტირილით ღონემიხდილ სეენჯას აკვანთან ჩასძინებია, დასიზმრებია წმინდა გიორგი, რომელსაც უნუგეშებია ქალი და მისთვის ასეთი რჩევა მიუცია: თაროზე რომ ვერცხლის საყურეები დევს, აიღე და წადიო. დღისით არ გამოგაჩენ, ხოლო ღამით ჩემს შუქზე გატარებო. ზედიზედ სამ ღამეს მოსჩვენებია ასე წმინდა გიორგი სეენჯას. მესამედ დასიზმრების შემდეგ ქალს მიუტოვებია შვილი და ხევისკენ წამოსულა. წმინდა გიორგის ღვთაებრივი შემწეობით ის თითქოს მეორე დღეს მოსულა სნოში. ეს მომხდარა ხუთშაბათს, რის შემდეგ ამ დღისთვის შეურქმევიათ დიდი ხუთშაბათი და დაუწესებიათ ათენგენობის დღესასწაული, ხოლო სპარსელთაგან სეენჯას მხსნელი წმინდა გიორგისთვის უწოდებიათ სპარსანგელოზი.

სამშობლოში დაბრუნებულ სეენჯას ბევრი ყმაწვილი მოუხიბლავს. ვაჟკაცებს შორის შური და მტრობა ჩამოვარდნილა, რამდენიმე მათგანი ასეთი მოქიშპეობის მსხვერპლი გამხდარა. ეს ტრაგედია ვერ აუტანია სეენჯას და თავის მოკვლა გადაუწყვეტია. ამ მიზნით მას ყანის პირას ბექობი გამოუთხრია, თხრილში შეწოლილა და მიწა ზემოდან დასცემია. ცოცხლად დამარხულ ქალს აბრეშუმის კაბის კალთა გარეთ დარჩენია. მზეზე მოელვარე ფარჩა შეუნიშნავს ერთ მწყემსს და სოფლისთვის უცნობებია. ხალხს სეენჯასთვის იქვე, გოდერძიშვილების სახნავ ნაკვეთში გაუკეთებია საფლავი. ამ დღიდან ხსენებული ადგილისთვის დაურქმევიათ ქალისყანა. ამ დღიდანვე დაუწესებიათ სეენჯას შესანდობარი, რაც ახლო წარსულამდე სრულდებოდა. როგორც წესი, ხვნა-თესვის დასაწყისში გოდერძიშვილები ამ ყანაში გადიოდნენ, სეენჯას შესანდობარს შესვამდნენ და პირველ რიგში ხვნას იქ შეუდგებოდნენ.

ითონ. 153-154

## 413. სეენჯას დაბუნება II

სოფელ სნოდან სპარსელებს მოუტაცნიათ ხევში სილამაზით სახელგანთქმული სეენჯა გოდერძიშვილი, წმინდა გიორგის ხატი და ვერცხლის დიდი საყურეები. უცხოობაში მყოფი ქალი საშინელ განსაცდელში ჩავარდნილა. მას განსაკუთრებით ბევრი უტირნია იმ დღეს, როდესაც მის სოფელში ათენგენობას დღესასწაულობდნენ, ხოლო თვითონ კი ამ სიამოვნებას მოკლებული იყო. ნამტირალ სეენჯას ჩასძინებია და მოსჩვენებია წმინდა გიორგი, რომლის სახელზედაც სნოში ათენგენობა იმართებოდა. წმინდა გიორგის უთქვამს: ამა

და ამ თაროზე დევს სპარსელთაგან წამოღებული ხატი და მისი საყურეები. ორივე ნაიღე, ღამით იარე და დღისით იმალეო. სეენჯაც ასე მოქცეულა და მეორე ათენგენობაზე მშობლიურ სოფელში მისულა. თან მიუტანია წმინდა გიორგის ხატი და საყურეები. ხალხს ეს ხატი თავის ადგილზე დაუბრძანებია. მისთვის სპარსანგელოზი უწოდებიათ რამდენიმე ხნით სპარსეთში ყოფნისა და სეენჯასთან ერთად სპარსეთიდან კვლავ მობრძანების გამო. დღიდან ამ შემთხვევისა, სპარსანგელოზის ხატში დეკანოზობის უფლება თემს გოდერძიშვილებისათვის მიუნიჭებია. ამ უფლებით სარგებლობდნენ გოდერძიშვილები ახლო წარსულამდე, ვიდრე ამ დღეობასთან დაკავშირებული რიტუალი სრულდებოდა. პირველი საკლავის დაკვლაც დღეობის დასაწყისში გოდერძიშვილებს შეეძლოთ. მხოლოდ მათი ზვარაკის შემდეგ შეეძლოთ საკლავების მიყვანა სხვა გვარების წამომადგენლებს.

ითონ. 154

## 414. ეშმაკი კაცის სამსახურში I

ერთხალის წყალფერდზე სთიბდა ჴართიეთ კაცი, ნიკოლაზაი. დილბინდზე დაინახა ნიკოლაზამა, რო ვინღაც ეეტმასნა. ნიკოლაზაი უკან გამოუდგა, ეშმაკი დაუმთხო. რასაც ნიკოლაზაი აკეთებდა, ეშმაკიც იმას აკეთებდა, უკირცხლავდა. დიდხანს დაზდევდა უკენა. ჩაქანცული დაჯდა და დაიწყ ფიქრი, როგორ დეეჭირა ეშმაკი. ესრე მაიგონა, რო თავათ ხელები და ფეხები გეეკონა. ეშმაკმაც გაიკონა ჴელ-ფეჴი. ნიკოლაზამ ერთბაშად გაიჭრა წნელი. ეშმაკმა ქვა უსო წნელსა, მაგრამ ველარ გაშჭრა. ნიკოლაზამ ეშმაკი დაიჭირა და მრჩხილები დასჭრა. ერთის ხევა-ბღლეძაით ჩამაიყვანა შინა. როსთენიმე ხანი ჰყვანდა შინა, ვერა შაასმინეს რა. საბოლაოდ გაიგეს: რასაც წაღმა ელაპარაკებოდეს, ის უკუღმა ასრულებდა.

დიალექტ. 34

## 415. ეშმაკი კაცის სამსახურში II

შილდოში წავიდა კაცი და დაიწყო ბალახის თიბვა. ამას აედევნა ეშმაკი (ქალი). როგორც ეს კაცი თიბდა, ისე ის ეშმაკი თიბდა. რაკი

უცნობი იყო ის ქალი, უცნობი სახე ჰქონდა, ამ კაცმა ვიღაც მეზობელს დაუძახა: ესა და ეს ამედევნაო. მეზობელმა უთხრა: მაგასო ხის ცელი ექნებაო და დაარიგა, ფეხებშუა ჩაიდგი შენი ცელი და ისიც ისე გააკეთებსო. შენი ცელი რკინის ცელია და ადვილად გასჭრის ბალახსაო. იმისა კი ვერ გასჭრისო. და ის კაცი მართლაც ასე მოიქცა. მივიდა თავის ცელით, ბალახი გაჭრა, ეშმაკმა კი ვერ გაჭრა ბალახი. ამ კაცმა დაიჭირა და ფრჩხილები დააჭრა. დაამთავრა საქმე და სახლში წამოვიდა. ისევ დაჰყვა ეშმაკი. ამ კაცს სახლში ჰყავდა რამდენიმე ხანი. ეს ეშმაკი სახლის საქმეს ისე ასრულებდა, როგორც ადამიანი. მისი ფრჩხილები ამ კაცს ხმლის ქარქაშში ჰქონდა შენახული. ეშმაკი ქარქაშს ვერ ეკარებოდა. ამ ოჯახის წევრები ერთხელ სამუშაოდ წასულან და პატარა ბავშვი ეშმაკისთვის დაუტოვებიათ. ეს ბავშვი მიუგზავნია ეშმაკს ხმლის ქარქაშთან და ფრჩხილები ამოაღებინა. ამ ფრჩხილებით ბავშვს დაღადრა ყელი და დასწყევლა: „შვიდი წელიწადი ნურც გაშენდებით და ნურც განყდებითო," და წავიდა.

ამის შემდეგ მართლაც ჩვენი სოფელი განახევრდა.

მთხრ. გრიშა ხართიშვილი,
ჩამწ. ც. მღებრიშვილი, სნო, 1979.
ფ. არქ. 320 129

## 416. ეშმაკი კაცის სამსახურში III

სეთურიძე გიგუშას (გახეთას) პაპის მამას ასეთი ამბავი შეემთხვა. ერთხელ სათიბში ყოფილა. უცებ შეამჩნია, რომ ვიღაც ქალი იყო სათიბში და, რასაც ის გააკეთებდა, ქალიც იმას აკეთებდა. მერე ხერხი მოიგონა: ფეხები ვითომ მაგრად გაიკოჭა. ქალმაც გაიკოჭა. მერე ხელები შეიკრა. ქალმაც შეიკრა. მერე უცებ წამოხტა და ეს ქალი დაიჭირა. სახლში წამოიყვანა, ფრჩხილები და თმები დააჭრა და ცეცხლის ქვეშ, კერაზე ორმო ამოთხარა, შიგ ჩამარხა. ეს ქალი ოჯახის საქმეებში ეხმარებოდა. ყველაფერს აკეთებდა. შინაურივით იყო. ერთხელ ყველანი სატირალში წავიდნენ და ეს ქალიც წაიყვანეს. მკვდრის ცოლი ისე ძალიან ტიროდა, რომ თავს იკლავდა. ერთი კოჭლი კაცი შევიდა და დამშვიდება დაუწყო. ეს კაცი რომ გადიოდა, დაქვრივებულმა ქალმა გულში გაიფიქრა: „თუ სხვამ არ წამიყვანა ცოლად, ეს მაინც ხო წამიყვანსო." ეშმაკი ქალი იმწუთშივე მიხვდა, რაც იმან გაიფიქრა, და ხმამაღლა გაიცინა. რა გაცინებს, არ გრცხვენიანო? შეუძახა ხალხმა. მაშინ ეშმაკმა თქვა ყველაფერი. ეშმაკი

ქალი ძალიან სწრაფი და მოხერხებული იყო. ერთმანეთში რომ აგერია ქერი, ხორბალი და ბრინჯი ტომარაში, ეშმაკი რამდენიმე წუთში გამოარჩევდა და ცალ-ცალკე გადაანწყობდა.

ერთხელ ოჯახის წევრები მთაში წავიდნენ. ეშმაკს ბავშვი დაუტოვეს. ეშმაკმა ბავშვს უთხრა: „კერაზე ეს ორმო ამოთხარე, თმას და ფრჩხილებს ამოვიღებ და ნითელ მძივებს შეგაბამო." ბავშვმა ამოთხარა და მისცა თავისი თმა და ფრჩხილები. ეშმაკმა ბავშვს ყელი გამოღადრა და გაიქცა.

მთხრ. ტასო ნამალაიძე,
ჩამწ. რუსუდან ცანავა, სიონი, 1979.
ფ. არქ. 321-ა 81

## 417. ხოგაის მინდია

ამლიონი ყოფილა, ნიკლაურის გვარის. ერთი კვირა, როგორც მკვდარი, ეგრე ყოფილას, სული არ დგმია. სადღაც წამიყვანეს (სულთ თუ დადიოდეს) და მივედი ტყეჩი. მტკაველი და ერთი ციდა კაცები იყო. გალებს სჭრიდეს, აკაკუნებდეს. „რად გინდათ?" შევეკითხე. „საღამოზედაო ფრინვლის ლაშქარი დაგვეცემისაო." მოვსჭერ ერთი კარგი ჯოჯი და წამიყვანეს იმათ სახლებჩი (რაი სახლები ექნება, რა ვიცი?). მივიდა ფრინველი ბევრი და ჴოცა დაუწყეს (ეს ფრინველი გუგუტებია). ბევრი იომეს (ეგ თურმე კაცებია, რა ვიცი!). მერე, ისეებიო, ფრინველი შეშინდესო და წავიდნენო.

მერე თქვეს, ცხვარ მოვა და საკლავ დაუკლათ სტუმარსო. მავიდა გველები ბართხლიანი და დაკლეს ერთი. „ჭამეო", მითხრესო და როგორა ვსჭამა? „აუცილებლად უნდა სჭამოო". თვითონაც სჭამეს, მეც მაჭმიესო.

ღამე ერთმანეთს უთხრეს, სტუმარი დავაწვინოთ ეხლაო. სამი ლოგინი დამიგესო, სამი ადგილი მაჩვენეს — ერთჩი რო ვერ გაძლებ, მეორეჩი გადადი და მერე კიდე მესამეჩიო.

გამამელვიძ, დამძინებიყო და, რო გამამელვიძ, ველარ ვძლებდი. მესამე ლოგინი გამავიცვალეო. მერე დავუძახე, რო ველარ ვძლებო. ესეები ილლიების ძირებ დამისივდაო. ადგეს მერე და გამიჭრეს ეს ილლიის ძირები. სულ ტილი გამავიდა ან მკბენარი და წავიდა. „მთის კაცსა ეს გამძიმებსო", მითხრესო. მერე გათენდეს და „შინ წაგიყვანთო", მითხრესო.

ერთი ბრმა ყოფილა და „ეს თვალი შენ მამთხარეო," მითხრა. „იქ რო სოფელჩი ქვა იყო და ქვაზე დავჯექი და ქვა მესრიე, მაშინ მამთხარეო."

წამამიყვანა და იქით რო ზღვას გავალთო, ფრინველად მავიქცევი, კაც აღარ ვიქნებიო. საცა დავიძახებ „გუგუო!", იქ მაჴვიდი შენცაო. მე მამყვიდიო კვალზედაო. საცა ჴიდზე მიჴვალო, ქარ გაგისერის და ქვები ჩაიწყოდე ჯიბეჩია, რო დამძიმდეო. პატარა, როგორც ცხვრის კოჭი, მაგოდენა რამე მამცესო — „ენა აუსვი, როცა მაგშივდების და მეტი არ გინდაო."

ისევ ვიდინე და მამიყვანა თავის სოფელჩი. მერე დაბრუნდა და წავიდის და ის იქ დარჩა.

მთხრ. ჩაჩაურ არაბული,
ჩამწ. გიორგი (იურა) ჯაფარიძე, ჯუთა, 1965.
თსუფა 3588

## 418. გერგეტის ამბავი

გერგეტს ყოფილან ირჯეულნი წმინდის სამების ძირა. ერთ მარიამობა დღეს ხალხს, თემს შაექმნა პირობა, რო ისინი აჯავრებდეს ხალხსა, სტუმარს არ უშობდეს და იმაზე შაიყარა ხალხი. მემრე თემმა პირი შაჰკრა, რო იმათ როგორ მოუხერხა საქმე. ადგეს და დაბლა ყანაა, გაუშვია საქონელი. ციხის ყარაული, რომელიც იყო, როცა წავიდის ხალხი, საქონელჩი, გადუშვეს ციხის შიგნით ყარაული და დაუწყა ხოცა საქონლისა. მწყემსები დაიმალნენ. მეძროხე გაიქცა და ციხეჩი შაასწრო. დაკეტა კარები და აუშო დროშაი ციხის თავზედა, ნიშანი ის იყო. მაშინ გახდა ჩხუბი და დაძალეს. რა ის გამაექცა, ციხე დახვდა დაკეტილი. ეხლა მაადგა იმათ დასახოცებლად ხალხი. ისინი ციხეჩი ველარ შავიდეს. ჩაცვივდენ ზურგზედა და ფერდზე შავიდეს, საგორავს ვეძახით, ავიდა, რაც გადარჩა ხალხი და წავიდეს. ციხეც გატყდა და მადლი მოუვიდა ხალხს.

მთხრ. ვანო ჩიბაშვილი,
ჩამწ. ინგა წერეთელი, გერგეტი, ივლისი,1965.
თსუფა 3562

# შემოკლებათა სია

აზიკ. — კოხტა აზიკური, თუშური ჩანაწერები, „მერანი", თბ., 1995.
ალ. ოჩ. არხოტი — ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი (არხოტი), „მეცნიერება", თბ., 1988.
ალ. ოჩ. ფშავი — ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები (ფშავი), „მეცნიერება", თბ., 1991.
ალ. ოჩ. ხევს. — ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), „ენა და კულტურა", თბ., 2005.
ალ. ოჩ. M 15 — ალექსი ოჩიაური, თქმულებები ხევსურულ ღვთაებათა და ღვთისშვილთა შესახებ, 1938 (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის არქივი).
ალ. ოჩ. M 17 — ალექსი ოჩიაური, ხალხური დღეობები ბუდე-ხევსურეთში, 1939 (იქვე).
ალ. ოჩ. M 18 — ალექსი ოჩიაური, ხევსურულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, პირიქითა ხევსურეთი, ხახაბო, არდოტი, 1939 (იქვე).
ალ. ოჩ. M 32 — ალექსი ოჩიაური, რელიგია ბუდეხევსურეთსა და შატილის თემში, 1940 (იქვე).
ალ. ოჩ. M 43 — ალექსი ოჩიაური, ხევსურული ანდრეზები, 1941 (იქვე).
ალ. ოჩ. M 84 — ალექსი ოჩიაური, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1950 (იქვე).
ალ. ოჩ. M 86 — ალექსი ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1950 (იქვე).
ახვლ. — გივი ახვლედიანი, „ქართლის ცხოვრების" ფოლკლორული წყაროები, „საქართველო", თბ., 1990.
ბალ., მაკ., მახ. — მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, „მეცნიერება", თბ., 1989.
ბარდ. ფშავი — ვერა ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი I, ფშავი, „მეცნიერება", თბ., 1974.
ბარდ. ხევს. — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი II,1, ხევსურეთი, „მეცნიერება", თბ., 1982.
ბოჭ. — გიორგი ბოჭორიძე, თუშეთი, „მეცნიერება", თბ., 1993.
გაბ. — ბესარიონ გაბაური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული" I-II, 1923-1924, ტფილისი.
დიალექტ. — ქართული დიალექტოლოგია I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1961.
დოლ. — გივი დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თსუ გამომც., თბ., 1975.
ვაჟა IX — ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტომი IX, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1964.

ვახუშტი — ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, IV, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1973.
თ. ოჩ. — თინათინ ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „მეცნიერება", თბ., 1967.
თსუფა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი.
თსუფა/სსნ — თსუფა-ში დაცული სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები.
ითონ. — ვალერიან ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, „მეცნიერება", თბ., 1971.
კაიშ. — ლია კაიშაური, მთიულური ტექსტები, „მეცნიერება", თბ., 1975.
კალმასობა — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა ტ. II, „სახელგამი", თბ., 1948.
მაკ. ხევი — სერგი მაკალათია, ხევი, სახელმწიფო გამომცემლობა, თფ., 1934.
რადე — Г. Раддс, Хевсурия и хевсуры, Тифлис, 1881.
ფ. არქ. — ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი.
ყაზბ. — სოლ. ყაზბეგი, ყაზბეგის მთა, „ივერია", 1895, 197.
შან. ხევს. — აკაკი შანიძე, ქართული ხალხური პოეზია I, ხევსურული, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფ., 1931.
ცოც. გიორგ. — გიორგი ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, „მეცნიერება", თბ., 1990.
ცოც. ფშაური — გიორგი ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, „მეცნიერება", თბ., 1978.
ხიზ. — დავით ხიზანიშვილი, ფშაველი და ფშავლები, „ივერია", 1899, 183.
ხორნ. — გიგი ხორნაული, მთები და სახელები, თსუ გამომც., თბ., 1983.
ხუდ. — Худадов Н.А. Заметки о Хевсурии. «Зап. Кавк. Отд. И.Р.Г.О, Книжка XIV, вып. 1. Тифлис, 1890.

# ლექსიკონი

(შეადგინა ტრისტან მახაურმა)

## ა

**აგთა** (თუშ.) — აგეთი.

**ადამიანი** (ხევს.) — 1) დედაკაცი, 2) ცოლი.

**აზარი** (ჩეჩნ.) — ათასი. „აზარს შეადგენს ასი წმინდა, ჩლიქგაპობილი ნადირი. მელია, მგელი და დათვი არ ითვლებიან“ (ვაჟა). ყოველი აზარის ათავებისას მონადირე მიწაში მარხავს თოფს.

**აკალდამა** — სამარხი.

**ალაღებული წყალი** — ადიდებული მდინარე.

**ალდახი** (გუდ.) — ნედლი ბალახისგან დაწნული თოკი, „თივის ალდახი“.

**ალერდი** (ფშ.) — იგივეა, რაც ალდახი, მწვანე ბალახისგან დაწნული თოკი თივის გადასაკრავად, ქარმა რომ არ დაფანტოს.

**ამანათი** — შეხიზნული, შეფარებული.

**ამერიკა** (მთიულ.) — მიტკალი, თეთრი მატერია.

**ანაბრივ** — ალბათ.

**ანაწერა** (თუშ.) — ბედი, ბედისწერა.

**ანდრეზი** — „ზეპირი გადმოცემა ამა თუ იმ წესის, ჩვეულების, ადათის, მომხდარი ამბის შესახებ“ (ალ. ჭინჭარაული).

**ალე** — სახე.

**აჩქამება** — ხმის ამოღება.

**ახალკვირე** — თომას კვირა, აღდგომის შემდგომი კვირა, კვირაცხოვლობა.

**ახალსული** — ახლად გარდაცვლილი.

## ბ

**ბაია** — ცეცხლის რკალი („როგორც მათრახს გაჰკეცავ, ეგეთ ბაია წამოვიდავ და ისივ ცეცხლს შეუერთდავ“).

**ბაკანი** — ხის ჭურჭელი, ფართე, პირგადაშლილი.

**ბალინჯი** — ცუდი, უკეთური.

**ბარდღლი** — ბალანი.

**ბართხლიანი** (მოხ.) — ბეწვიანი, ბანჯგვლიანი.

**ბარჯღლები** — ბეწვები, ბალანი.

**ბედი** — ვაჟიშვილი, ძე, მემკვიდრე („ბედი შეგეძინება“).

**ბედნიერი** — ციმბირის წყლული.

**ბედრენაი** (მოხ.) ბედნიერი.

**ბერდედა** — დიდი დედა, ბებია.

**ბერ-ყუნჭი** (გუდ.) — დაბერებული, დავრდომილი, არაფრის შემძლებელი.

**ბობოჩიკი** — ობი.

**ბორტვის ნაკვეთი** — ჯვარის დაჭერილი, კუთვნილი ადგილი.

**ბორწკალნი** (ხევს.) — პინცეტის მსგავსი ხელსაწყო („სულის ამოსაღებ ბორწკალნი“).

**ბორჯღალნი** — ცეცხლის ნაპერწკლები.

**ბორჯღლები** — ბუჩქები („ტყის ბორჯღლები“).

**ბრიშა** — სამკუთხიანი რაღაც ლითონი წლის მოსავლიანობის გამოსაცნობად. „ამ სათამაშოს სოფ. ამღაში მეკვლენი კამათელივით აგორებენ. სამი წერტილი კარგი იყო, ორი საშუალო, ერთი — ცუდი“ (ალ.

ჭინჭარაული). ირიცხება ქაჯავეთიდან მოტანილ განძში.
**ბუზვი** — ნებისმიერი სახის მწერი, მათ შორის, ფუტკარიც.
**ბუზურა** — ფუტკრის მსგავსი მწერი, რომელიც თაგვის სოროში ან მიწის პატარა ხვრელში აკეთებს ფიჭას და ამზადებს თაფლს.
**ბუკუკა** — კოლო, ქინქლა.
**ბურჯგუმ-ბურჯგუმი** — ბლუჯა-ბლუჯად.
**ბურჯღუმი** — ცეცხლის ბურჯღუმი, მსხვილი ნაპერწკალი.
**ბუწკნარიან ადგილი** (თუშ.) — გაუვალი ჯაგნარით დაფარული ადგილი.
**ბლაჯი** (მოხ.) — ყორნის ბრჭყალი.

## გ

**გაატყერნისავ** — თვალებს გაახელდა. გადატან.: გაანათებდა ხოლმე.
**გაბოტიტნებული** — გაჯგიმული, ფეხებგაფარჩხვით მდგარი.
**გადაძევება** — უძეოდ, უმემკვიდრეოდ გადაშენება (გადაგაძევებ).
**გადიკვართა** — (კალთები) დაიკაპიწა.
**გავუგონთდი** — უგონო გავხდი, გონება ამერია.
**გათეულან** (მოხ.) — განყვეტილან, გადაშენებულან.
**გაიბრაშტა** (ფშავ.) — განყდა, დაიხოცა.
**გამძღო** — ჯვარის მსახური, რიტუალების გამძღოლი.
**გამხვივნებული** — გაუხვებული, გამრავლებული, გამდიდრებული.
**განათოსება** (ფშავ.) — დაქუცმაცება.
**გართული** — გარეული, ანგელოზებთან ურთიერთობაში მყოფი (იხ. გარყვნილი).
**გარმოხენებს** — (ხევს.) გადმოიხედავს.
**გარყვნილი** — აქ (175): ჯვარ-ხატებში გარეული, გართული.
**გასხვარიგება** — ხასიათი შეცვლა („გავსხვარიგდი").
**გაფიხვნება** (მთიულ.) — ერთმანეთთან გასაუბრება.
**გაქჩერება** (მთიულ.) — გამეტება („ვეღაფრით ვერ გაგიქჩერებთო, სულ კარგად მექცეოდითო").
**გაწოლილი სახლი** (მოხ.) — გადატიხრული სახლი.
**გაჯუღურება** — დამახინჯება, „გააჯუღურა".
**გახალიზებული** — გახარებული, ხალისიანი, გათამამებული.
**გაჴეითი** — გაღმა.
**გვარ-ძვალი** — სისხლით ნათესავი.
**გვერდო** (გუდ.) — ციცაბო.
**გვერდობი** — დაფერდებული ადგილი, ვაკობის საპირისპირო.
**გვლარძები** — დახვეული, დაგრეხილი რკინები.
**გირკალი** — რკალი.
**გრილო** (ხევს., ფშ.) — ჩრდილი.

## დ

**დაბორბოწიავება** — დაბარბაცება („დავბორბოწიავდი").
**დაბლუნძვილი** (ფშავ.) — დადამბლავებული, დაკუტებული. აქ (263): ჯვარისგან დაჭერილი.
**დაგაბოლოებავ** — უძეოდ გადაგაშენებო.
**დაგვირგვლული** — დახვეული, დამრგვალებული.
**დაზეზდებ** — აეხსნება.
**დავლათი** — ღვთისგან მონიჭებული მადლი, ქარიზმა („გატყდა ბადრიაულის დავლათი").
**დათვლა** (მთიულ.) — მბობა, ამბის მოყოლა.
**დაკვ** (ხევს.) — ფერფლი („სრუ დაკვ დამრჩალა").
**დაკვლად აქცია** — დაანაცრა, ფერფლად აქცია.
**დალამფარი** — ფარი, გუდანისა და ხახმატის ჯვრის სახმარი.
**დალაღებულ** (თუშ.) — მოხალვათებული, ხალვათი („როგორც კი საკლავის სისხლი მოხვედრია ხმალს, ისევ დალაღებულა, ერთი პატარა ხელის ამოკვრითაც კი ამოულია").
**დამბლა** (ფშავ.) — ბეჩავი.
**დამაცინტავა** (ფშავ.) — დამაცხიკვა.

**დამქანე** (ფშავ.) — პეშვით ამოიღე. მქანე — პეშვი.
**დარიალება** — დაფრთხობა („დაარიალებ").
**დარისხება** — ხატში დაწყევლა, ანუ ხატზე, ანათემაზე გადაცემა.
**დარისხებული** — ხატში დაწყევლილი.
**დასალევი** — ამოსაწყვეტი.
**დასულებული** — სუნადენილი.
**დატეხილნი** — დამორჩილებულნი, დათრგუნულნი („პირქუშს ყმან ისით დატეხილნი ხყვანიო...").
**დაუმკაცრეველი** (ფშავ.) — გაუპატიოსნებელი მიცვალებული.
**დაუფვლვილი** (მთიულ.) — დაფლული, დამალული.
**დაქუდე** (ფშავ.) — ქუდით ამოიღე.
**დაჭიკვა** (თუშ.) — გაჭედვა ხმლისა ქარქაში („დაშჭიკვია ხმალი").
**დაცქვრენა** (ფშავ.) — ხელიდან გასხლტომა.
**დაცხედრებული** — მკვდარი.
**დაცხორება** (თუშ.) — დამკვიდრება.
**დაწილული** — დაკრეფილი.
**დაწირული** (ფშავ.) — დატოვებული, შეწირული ანუ ჯვარში მიტანილი და იქ დატოვებული.
**დეებღრივნეს** (ფშავ.) — დაეჯაჯგურნენ (ქვას).
**დეეჴირა** (ფშავ.) — წამოედო.
**დევ-წიქარა ხარები** (მოხ.) — დიდრონი, მოწითალო ფერის ხარები.
**დობილნი** — მსუბუქი სენის გამომწვევი არსებანი.
**დოლოჩა** — ცხენის ჩონჩხი.
**დღე, კაცის დღე** — კაცის წუთისოფელი, კაცის სიკვდილის დღე.
**დღიდგე** — დღიდან.

## ე

**ერთვას** — ერიოს, ურევია.
**ერთკისკითა** (თუშ.) — ერთი მხრიდან.
**ერთსხვა** — ერთმანეთი.
**ერთხან** — ერთხელ.
**ერულა** (თუშ.) — მარულა („ერულა ჩაუბამთ" ეშმაკებს).

## ვ

**ვეშრაპი** — თუნგი, წყლის ჭურჭელი.

## ზ

**ზალტე-საჯიგვე** — საცერული რკინა, ცერზე წამოსაცმელი.
**ზედგანი** — „ცეცხლზე შემოკიდებული თხელი თუჯი ან სიპი ხმიადისა და მაჭკატის გამოსაცხობად" (ა. შანიძე).
**ზეთვალი** — ზემო სართული.
**ზეპირ** — ხილულად („ზეპირ უდენავ, საცხად").
**ზისცვარი** (ხევს.) — რძე.
**ზოვ-მცურავა** —პატარა ზვავი.
**ზღავი** — საქონლის სადგომში იატაკად გამოყენებული ხის ფიცარი ან სიპი ქვა.
**ზღვნობა** — ძღვენის შეწირვა („იზღვნეს იახსრის ნიშთან").

## თ

**თავაყრილი** — თავხედი, თავგასული.
**თავთავადნი ორთ** — სხვადასხვანი ვართ ან ცალ-ცალკე ვართ.
**თავსისხლი** — მკვლელობის შემთხვევაში სამაგიერო სისხლის აღება, შურისძიება.
**თათი** — წინდა.
**თბა** — ისრის ფრთა.
**თვითგეს** (ხევს.) — ერთი თვის განმავლობაში.
**თუ** (ხევს.) — თურმე.

## ი

**იარდა** — ქისტების სალოცავი.
**იბადება** — არის, აღარ იბადება — აღარ არის, აღარ ჩანს.
**იასაული** — ღვთისშვილის მიერ ურჩ ყმათა დასასჯელად გამოშვებული არსება
**იუდა, იუდანი** — ბოროტი სულები.
**იქით** — იქიდან.

## კ

კალდიმები (თუშ.) — აკლდამები.
კანი (ხევს.) — კარგნი (მხოლ. კა — კარგი)
კანტალაობა — წვრილმანი ქურდობა, ქურდ-ბაცაცობა.
კაც-შუაკაცი — შუამავალი.
კბილ-სავარცხელანი — ეშმაკები.
კედ-პირსაკრავები — ტომრის პირსაკრავი ხის პალოთი, რომელიც ბანარზეა გადახვეული („ტომარათ კედ-პირსაკრავები").
კვად (თუშ.) — კვლავ („ქსელ კვად უკულმ განირავ").
კვერი — 1) მჭედლის ჩაქუჩი. 2) ქადა, ქადისკვერი ან გამომცხვარი პური.
კვიშტავი — კვირისტავი.
კვრივი — მოსარიდებელი, შეუღწეველი საკრალური ადგილი ხატში.
კიდა (მთ., გუდ.) — კიდევ.
კოდნი — 1) ხის ჭურჭელი მარცვლეულის ჩასაყრელად; 2) ხის კასრი ლუდის ჩასასხმელი.
კოიჭ-კოიჭ — მუჭა-მუჭა, მუჭში რაც ეტევა.
კოტორი — ნისლის პატარა ქულა.
კოფა — ხილის ჭურჭელი.
კოჭობი (ხევს., გუდ.) — თასი.
კუჭობი (თუშ.) — წვეტიანი გორი.

## ლ

ლათბა — „გრძელი და დიდი გეჯა. ხმარობენ უმეტესად ხატებში ლუდისთვის" (ა. შანიძე).
ლახტი — დევების წინააღმდეგ მებრძოლ ღვთისშვილთა (კოპალას, იახსრის) საომარი იარაღი.
ლუსკუმი (მოხ.) — მოლიპული, გლუვი ყინული („ლუსკუმი ყინული").

## მ

მაათრივე — მოაყარე, მოაფრქვიე.
მაამური — მაამებელი (ხატის).
მაგანძური — გუდანის ჯვარის ყმა (არაბულები, ჭინჭარაულები, გოგოჭურები)
მადლიანი — უცოდველი.
მამა — 1) ერთი გვარის განშტოება, 2) ერთი თაობა
მარჯვე — ადვილი, მოსახერხებელი.
მარჴე (თუშ.) — ცუდი, ავი („მარჴე ქმარ").
მასქი — მას იქით.
მგებრნი (ხევს., ფშავ.) — გარდაცვლილი ნათესავები, რომლებიც საიქიოში მიცვალებულს ეგებებიან.
მეავადე — ავადმყოფი.
მებალინჯე (ხევს.) — ეშმაკი, ბალინჯის (იხ.) გამომწვევი.
მეზღვნე — ძღვნის შემწირველი.
მელდურ-ყისმათიანი — ავთვალიანი („არავინ შახვდეს მელდურ-ყისმათიანი").
მერენის — მერე.
მესიცივე — მცივანა.
მეღამიე — ღამეული ავი სული.
მეჯაბრე — მოშურნე, მოწინააღმდეგე.
მეჯვარე (თუშ.) — აქ (375): ჯვარში შესული, ჯვარში ნამყოფი კაცი.
მზვარე — მზიანი ადგილი („აქ ჩვენ მზვარე ას, ჩვენს იქით ისე ყოფილა, როგორც გაღმით").
მზემაბრუნვა — გაზაფხულის ბუნიობა.
მთვარის ნალევი — ნამგალა მთვარე.
მიზეზი — ჯვარ-ხატის მიერ გამოწვეული ვნება, დაავადება ადამიანის ან საქონლის.
მითამდევ (თუშ.) — ვითომ („მითამდევ ეხოს ბიჭიავ").
მირეული — შელახული, გაუწმინდურებული ადგილი, სადაც დედათწესის მქონე ქალს გაუვლია ან უწმინდური ცხოველი (ღორი, ძაღლი) შეუყვანიათ.
მირ-მარეული — შელახული, შერყვნილი.
მიქრეჯდი (ხევს.) — მაჯავრებდი. ქრეჯა — ვისიმე საქციელის გამოჯავრება ამ საქციელის გამეორებით (იხ. უქრეჯს).
მიქსავ — მიზამს („მე მაინც მოვკვდებიო და რასაც მიქსავ, მიქსავ").

**მიჭუჭკვილი** — შევიწროებული.
**მიხენა** — მიხედა.
**მკადრე** — ჯვარის მსახური, რომელსაც ჯვარი კადრულობს და ხელზე მოსდის.
**მოდენილობა** — 1. შთამომავლობა, 2. მემკვიდრეობითობა (ტრადიცია).
**მონა** (ხევს., თუშ.) — ცუდი.
**მომარჯვება** — მოახლოება („ეგ დღეობა რო მომარჯვდება").
**მომიზეზება** — დამიზეზება, მიზეზის გამოჩენა (იხ. მიზეზი).
**მოქვივნება** (ფშავ.) — დარქმევა („მოაქვივნეს" — დაარქვეს).
**მოცნიარი** (მოხ.) — მეცნიერი, ბრძენი.
**მოხელვა** — პოვნა.
**მრევლ დიაცი** — დედათნესის მქონე (იხ. მირეული).
**მურგვლად** — მრგვალად.
**მუში** — ცაცხვის ქერქი, რომელსაც სანთლის ნაცვლად ანთებენ.
**მყეფარი** — ძაღლი.
**მყოლ-მარჯეკალი** — მაყარ-პატარძალი, მაყრიონი.
**მწერელთშეილი** — სულელი, ჭკუანაკლული.
**მჯობინი** — შეჯიბრი სროლაში („მჯობინზე სროლა").
**მჴარი** (ხევს., გუდ.) — ფრთა.

## ნ

**ნაგაბარი** — ნაგლეჯი, ნაფლეთი.
**ნადობი** — ვაჟის მეგობარი ქალი, ნანალი.
**ნაზირზენი** (ფშავ.) — ნამსხვრევი.
**ნათავარი** — საქონლის პირველნაშობი.
**ნათრიელი** — შუქი, სინათლე („ერთხელ ცის განხმას დასწრებიან. ცა გაიხევ და კარიეით გამაჩნდებ ნათრიელი").
**ნატეშრები** — შთამომავლები („ქეჩანის ნატეშრები ვართ ყველანი").
